
ელემიწიერი
მოვლენამდე
ჟიულ ვერნი

დედამიწიდან მთვარემდე
მთვარის გარშემო

4Love.Ge

დედამიწიდან მთვარემდე
97 საათსა და 20 წუთში
პირდაპირი გზით

ფრანგულიდან თარგმნა
დანიელ სიბაშვილმა

პირველი თავი

"საზარბაზნე კლუბი"

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროს მერილენდის შტატის მთავარ ქალაქ ბალტიმორში ძლიერ გავლენიანი კლუბი დაარსდა. ცნობილია, რა ენერგიით გაიღვიძა მაშინ სამხედრო ინსტიქტმა ამერიკელებში - გემის მეპატრონეებსა, ვაჭრებსა და ხელოსნებში. უბრალო სოვდაგრები ტოვებდნენ თავიანთ დახლს და ყოველგვარ "უესტ-პოინტის" სამხედრო სასწავლებლის დიპლომის გარეშე კაპიტნები, პოლკოვნიკები, გენერლები ხდებოდნენ. სულ მალე ისინი "ძველ მატერიკიდან" მოსული თავიანთი თანამოძმეების მსგავსად არ ზოგავდნენ არც ყუმბარებს, არც მილიონებს, არც ადამიანებს და, რაც მთავარია, "ომის ხელოვნებაში" გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. საარტილერიო მეცნიერებაში - ბალისტიკაში - ამერიკელებმა ყველას გასაოცრად მაშინ ევროპელებსაც კი გაუსწრეს, ვერ ვიტყვით, რომ სროლის ტექნიკაში დიდ სრულყოფილებას მიაღწიეს, მაგრამ მათ შექმნეს ისეთი უჩვეულო ზომისა და გაბარიტის ზარბზნები, როლებიც საოცარ მანძილზე ისროდნენ. მცელავ, დაფენილ, ირიბ, სიგრძივ თუ ზურგიდან სროლაში ინგლისელებს, ფრანგებსა და პრუსიელებს არაფერი აქვთ სასწავლი. მაგრამ მათი ქვემეხები, ჰაუბიცები და ნაღმსატყორცნები ამერიკელების შესანიშნავ არტილერიის გვერდით მხოლოდ ჯიბის პისტოლეტებივით თუ გამოიყურებიან.

და ეს არც გასაოცარია, ვინაიდან იანკები, მსოფლიოს მექანიკოსები, ისევე არიან დაბადებით ინჟინრები, როგორც იტალიელები - მუსიკოსები, ხოლო გერმანელები - მეტაფიზიკოსები. ბუნებრივია, რომ მათ საარტილერიო მეცნიერებაში შეიტანეს თავიანთია წვლილი. საცქერლად საამო, მაგრამ საკერავ მანქანაზე უფრო ნაკლებად საჭირო მათმა გიგანტურმა ქვემეხებმა ყველას გაოცება გამოიწვია. ყველასათვის ცნობილია, პაროტის, დალგრინისა და როდმენის ცეცხლმსროლელი იარაღი. მათ ევროპელ კოლეგებს. არმსტრონგს, პალიზერსა და ტრეი-დე-ბოლიეს ისღა დარჩენოდათ, რომ მოწიწებით დაეხარათ თავი ოკეანის გაღმელი მეტოქეების წინაშე.

ჩდრილოელებისა და სამხრეთელების სისხლისმღვრელი ომის დროს არტილერისტები განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ. შტატების გაზეთები

ქება-დიდებას ასხამდნენ მათ გამოგონებებს. ამ პერიოდისათვის ალბათ არ იყო არც ერთი წვრილი ვაჭარი, ან თუნდაც გულუბრყვილო hooby[1], რომელიც დღედაღამ თავს არ იტეხდა რომელიმე გიჟური ტრაექტორიის გამოთვლაზე.

თუ ერთ ამერიკელს რაიმე აზრი დაებადა, ამხანაგებს ეძებს, ვინც მის იდეას გაიზიარებს. თუ ისინი სამნი არიან, მასინ ერთ-ერთს პრეზიდენტად ირჩევენ, ხოლო ორს მდივნად. ოთხნი ნიშნავენ არივარიუსს და ბიუროც დაარსებულია. თუ ხუთნი არიან, მაშინ ასამბლეაც მზადაა და კლუბი ჩამოყალიბებულია.

სწორედ ასე მოხდა ბალტიმორშიც. ის, ვინც მოიგონა ახალი ქვემეხი, პირველი შევიდა კავშირში იმასთან ერთად, ვინც პირველი დაეთანხმა ქვემეხები ჩამოესხა და იმასთან, ვინც პირელად შეუდგა მის გაბურღვას. ასე შეიქმნა "საზარბაზნე კლუბის" პირველი "ბირთვი". ერთი თვის შემდეგ კლუბში უკვე ირიცხებოდა 1833 ნამდვილი და 35.365 წევრ-კორესპოდენტი.

ყველას, ვისაც წევრად გახდომის სურვილი გააჩნდა, უყენებდნენ Condition sine qua non-ს[2]. მას გამოგონილი უნდა ჰქონოდა, ან ყოველ შემთხვევაში უნდა გაეუმჯობესებინა რაიმე ქვემეხი, უკიდურეს შემთხვევაში რაიმე ცეცხლსასროლი იარაღი. თუმცა უნდა ითქვას, რომ თხუთმეტსასროლიანი რევოლვერების, ნახევრად ავტომატური კარაბინებისა და საბელ-პისტოლეტების გამომგონებლები არცთუ ისე დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. არტილერისტები მათ ყველგან და ყოველთვის ჩრდილავდნენ.

- "პატივი, რასაც ისინი იხვეჭენ, - განაცხადა ერთხელ "საზარბაზნე კლუბის" ერთ-ერთმა ყველაზე უფრო განსწავლულმა ორატორმა, - პირდაპირ პროპორციულია მათი ზარბაზნების "მასისა" და "მანძილის კვადრატებისა", რასაც მათ მიერ ნასროლი ჭურვები გადიან.

ცოტას არ გაწყდა, ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი ადამიანის მთელ სულიერ ცხოვრებაზე გაავრცელეს.

ადვილი წაროსადგენია ამერიკული გამომგონებლობის გაქანება "საზარბაზნე კლუბის" დაარსების შემდეგ. სამხედრო აღჭურვილობამ კოლოსალურ ზომებს მიაღწია. ხოლო ყუმბარები ნებადართულ მანძილებს გადასცდა და ზოგჯერ ისინი

---

1 ბრიყვი, სულელი. (ინგლ.)

2 აუცილებელ პირობას. (ლათ.)

სრულიად უწყინარ გამვლელს ნაფლეთებად აქცევდა ხოლმე. ყველა ამ გამოგონებამ მალე შორს ჩამოიტოვა ჩვეულებრივი ზომის ევროპული სამხედრო იარაღები. აი, ციფრებიც:

უპირევლეს ყოვლისა, იმ "ნეტარსახსენებელ დროს" ოცდათექვსმეტი ფუტის მქონე ყუმბარა სამასი მილის მანძილზე სპობდა ოცდათექვსმეტ ცხენს და სამოცდარვა კაცს. ეს იყო საარტილერიო ხელოვნების ყრმობის ხანა. მას შემდეგ ყუმბარბი ბევრად გაუმჯობესდა. მაგალითად, როდმენის ქვემეხს, რომლის ყუმბარაც ნახევარ ტონას იწონიდა, თავისუფლად შეეძლო შვიდი მილის მანძილზე ას ორმოცდაათი ცხენისა და სამასი კაცის განადგურება. "საზარბაზნე კლუბში" ბჭობნენ კიდეც, გამოეცადათ ეს ქვემეხები, ოღონდ ეგ იყო, ცხენები კიდევ რომ დათანხმებულიყვნენ, ადამიანებს შორის არავინ აღმოჩნდა ამ გამოცდის მსურველი.

ყოველ შემთხვევაში, ყველა ეს იარაღი სიკვდილს თესავდა: ყოველი მათი გასროლისას მეომრები მოცელილი თავთავებით ცვიოდნენ. რა საცოდავი ჩანდა ამისთანა ყუმბარებთან შედარებით ის სახელგანთქმული ჭურვი, რომელმაც 1587 წელს კუტრასთან ბრძოლისას ოცდახუთი კაცი მოკლა, ისიც, 1758წელს

ცორდნორფთან ბრძოლისას მხოლოდ ორმოცი ქვეითი რომ დახოცა და ბოლოს ავსტრიული ქვემეხები, კესელდორფთან ყოველი გასროლისას სამოდაათ მოწინააღმდეგეს რომ ცელავდა. რას წარმოიდგენდა დღეისათვის ნაპოლეონის ქვემეხები, რომლებმაც იენის და აუსტერლიცის ბრძოლების ბედი გადაწყვიტა? ყოველივე ეს ახლა სასაცილო ჩანდა. გეტისბერგთან ბრძოლის დროს ხრახნიანი ქვემეხიდან გასროლილმა კონუსისებურმა ჭურვმა ერთბაშად ას სამოცდაათი სამხრეთელი მიაწვინა, ხოლო მდინარე პოტომკაზე გადასვლის დროს როდმენის ერთმა ყუმბარამ ორას თხუთმეტი სამხრეთელი გაისტუმრა საიქიოს. გავიხსენოთ "საზარბაზნე კლუბის" სახელგანთქმული წევრისა და მუდმივი მდივნის ჯ. ტ. მასტონის გამოგონილი მორტირიც, რომლის გამოცდის დროს დაიღუპა სამას ოცდაჩვიდმეტი კაცი. მართალია, ეს მსხვერპლი თვით მორტირის აფეთქებამ გამოიწვია, მაგრამ შედეგი მაინც შედეგია.

კიდევ რა შეიძლება დავუმატოთ ამ სისხლიან ციფრებს? თითქმის აღარაფერი. ამიტომ ვერავინ შეედავება სტატისტიკოს პიტკერნის გამოანგარისებას: არტილერიის მსხვერპლთა რიცხვის "საზარბაზნე კლუბის" წევრთა რიცხვზე გაყოფით მან დაადგინა, რომ თითოეულ წევრზე საშუალოდ 2.375 კაცზე მეტი მოკლული მოდიოდა.

თუ ჩავუფიქრდებით ამ ციფრებს, ნათელი გახდება, რომ მეცნიერთა საზოგადოების ერთადერთი საზრუნავს შეადგენდა ადამიანთა მოდგმის გაწყვეტა (თუნდაც ფილანტროპიული მიზნით) საბრძოლო იარაღების სრულყოფის გზით. ამ იარაღებს კი ცივილიზაციის ინსტუმენტებთან ათანაბრებდნენ. ეს იყო სიკვდილის ანგელოზების თავისებური კავშირი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ხსენებული ანგელოზები ცხოვრებაში ერთობ კეთილი ზნისანი იყვნენ.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ იანკები, ძლიერ მამაცი ადამაინები, არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ გამოთვლებით, ისინი ყოველთვის მზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოეცადათ ყოველი თავიანთი ახალი გამოგონება. "საზარბაზნე კლუბის" წევრთა შორის იყო ყველა რანგის ოფიცერი: ლეინტენანტიდან დაწყებული გენერლით დამთავრებული, ყველა ასაკის სამხედრო, ახალწვეული და ამ საქმეს შებერებული ხალხი. უმრავლესობა ბრძოლის ველზე ტოვებდა სიცოცხლეს და კლუბის საპატიო წიგნში იწერებოდა, ხოლო დაბრუნებულთა უმრავლესობას მამაცობის უტყუარი კვალი ჩამოჰყვებოდა ხოლმე.

რას არ ნახავდით კლუბში: ხის ფეხებს, რკინის კაუჭიან ხელოვნურ ხელებს, პლატინის ცხვირებს, ვერცხლის კეფებსადა კაუჩუკის შუბლების მთელ კოლექციას. სტატისტიკოს პიტკერნის გამოთვლით, მთელ კლუბში ყოველ ოთხ კაცზე მხოლოდ ერთი ხელი, ხოლო ექვს კაცზე ორი ფეხი მოდიოდა.

თუმცა მამაცი არტილერისტები ასეთ "წვრილმანებს" ყურადღებას არ აქცევდნენ და ამაყობდნენ კიდეც, როცა გაზეთში ამოიკითხავდნენ, რომ ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი თითქმის ათჯერ აღემატებოდა გამოშვებულ ყუმბარებს.

მაგრამ ერთ სევდიანსა და მოსაწყენ დღეს დაზავდნენ ისინი, ვინც ერთმანეთს ხოცავდა და ომის ხმაც ნელ-ნელა მიწყდა, ქვემეხები დადუმდნენ, ჰაუბიცები დიდი ხნით არსენალებში ჩაკეტეს, ყუმბარები კი პირამიდებად აღმართეს. სისხლიანი მოგონებები თანდათანობით დავიწყებას მიეცა; ადამიანთა ხორცითა და სისხლით უხვად გაპოხიერებულ მიწაზე დიდებული ბამბის პლანტაციები აღმოცენდა, ჭირისუფალთ შავი ტანსაცმელი გაუცვდათ. ტკივილები მიყუჩდა დ "საზარბაზნე კლუბის" წვრებსაც საქმე გამოელიათ.

მართალია, რამდენიმე დაუცხრომელი გამომგონებელი მაიცნ არ ისვენებდა და აპროექტებდ უშვლებელ ყუმბარებს, მაგრამ აბა რა აზრი ჰქონდა თეორიას პრაქტიკის გარეშე? "საზარბაზნე კლუბის" დარბაზები თანდათან დაცარიელდა, ფარეშები წინკარში ყვინთავდნენ. მაგიდაზე დახვავებულ გაზეთებს ობი მოჰკიდებოდა, ჩაბნელებული კუთხეებიდან კვნესანარევი ხვრინვა ისმოდა. არც ისე დიდი ხნის წინათ ასე ხმაურიანი კლუბის წევრები ახლა მოწყენილობისგან თვლემდნენ და თან არტილერიის გამარჯვებაზე პლატონურად ოცნებობდნენ.

- ლამის სასო წარმეკვეთოს! - დიჩივლა ერთ საღამოს მოსაწევ ოთხში მჯდომმა მამაცმა ტომ ჰანტერმა და პირდაპირ ბუხარს შეუკეთა თავისი ხის ფეხები, ვერც კი შეამჩნია, რომ ბოლოებს ცეცხლი ეკიდებოდა.

- რა უსაქმურობაა, რა მოსწყენი ცხოვრებაა! ეჰ, სადღაა ის დრო, ყოველ დილით ქვემეხის გუგუნი რომ გვაღვიძებდა?

- გაქრა ის ბედნიერი დრო! - უპასუხა ფიცხმა ბალსბიმ და ანგარიშმიუცემლად შეეცადა, გაეშალა ხელები, რომლებიც საერთოდ არა ჰქონდა. - აი, ცხოვრება მაშინ იყო! გამოიგონებდი რაიმე ახალ ქვემეხს და სულ ახალ ჩამოსხმულს მიარბენინებდი მტერზე გამოსაცდელად, შემდეგ ბრუნდებოდი ბანაკში, სადაც შერმანი გამხნევებდა, მაკ-კლელანიც ხელს გართმევდა! დღეს კი, გენერლები დახლებს დაუბრუნდნენ და ყუმბარების მაგივრად უშვებენ... ბამბის ბარდანებს. წმინდა ბარბარს გეფიცებით, არტილერიის მომავალი განწირულია ამერიკაში!

- მართალი ხარ, ბილსბი, - წამოიძახა პოლკოვნიკმა ბლემსბერიმ. - რა საზიზღრობაა რწმენის დაკარგვა. რატომ მივატოვეთ ჩვენი მშვიდი საქმიანობა, რატომ მივატოვეთ ბალტიმორი, რატომ შევისწავლეთ სამხედრო ხელოვნება? რატომ ჩავდიოდით ბრძოლის ველზე გმირობას? განა იმისათვის, რომ ორი-სამი წლის შემდეგ მთელი ჩვენი შრომა ნაცარტუტად ქცეულიყო? იჯექი ახლა უსაქმურად, ჩაიყავი ჯიბეებში ხელები და ყლაპე ბუზები!

სიმართლე გითხრათ, მოხუც პოლკოვნიკს გაუჭირდებოდა თავისი სიტყვების შესრულება - ჯიბეები კი ჰქონდა, მაგრამ ხელებისა რა მოგახსენოთ - რაც არ ჰქონდა, რას ჩაიყოფდა!

- არავითარი ომიც არაა მოსალოდნელი! - ამოიოხრა სახელგანთქმულმა ჯ. ტ. მასტონმა და თან თავისი რკინისკაუჭიანი ხელით გუტაფსის კეფა მოიფხანა. - ჰორიზონტიც უღრუბლოა... ამ დროს კი რამდენი რამ არის გასაკეთებელი საარტილერიო მეცნიერებაში! ჰო, მართლა, ამ დილით დავამთავრე ახალი მოტორის ნახაზი, ჰორიზონტალური ჭრილით და სქემით: ამ იარაღმა შეიძლება ომის კანონები შეცვალოს!

- მართლა? - ჩაეკითხა ტომ ჰანტერი, მან წამსვე წარმოიდგინა ფრიად პატივცემული ჯ. ტ. მასტონის ახალი იარაღის "გამოცდის" სურათი.

- დიახ! - უპასუხა მასტონმა, - მაგრამ საკითხავია, რისი გულისათვის ვიმუშავე ამდენი? რისი გულისათვის ვიტეხე თავი ძნელ გამოთვლებზე. განა ტყუილად არ გავისარჯე? ისე ვატყობ, ახალი ქვეყნიერების ხალხებმა ერთმანეთს მშვიდობიანი ცხოვრება აღუთქვეს. ჩვენი მებრძოლი "ტრიბუნი" კაცობრიობას მეტისმეტად საშინელ მომავალს უწინასწარმეტყველებს მოსახლეობის პირდაპირ დაუშვებელი სისწრაფით ზრდის გამო.

- მასტონ, თქვენ გავიწყდებათ, რომ ევროპაში ომები გრძელდება. - შეახსენა პოლკოვნიკმა ბლემსბერიმ, - იქ ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა ეროვნული შუღლი.

- მერე და რა?

- უნდა შევეცადოთ, იქ მაინც ვიღონოთ რამე, თუკი ისინი ჩვენს სამსახურს მიიღებენ...

- როგორ გეკადრებათ! - წამოიძახა ბილსბიმ. - უცხოელების სასარგებლოდ ვიმუშაო ბალისტიკაში?

- ყოველ შემთხვევაში, უსაქმურობას მაინც სჯობია! - განაცხადა პოლკოვნიკმა.

- რასაკვირველია, სჯობია! - დაეთანხმა მასტონი. - მაგრამ ამაზე ფიქრიც არა ღირს.

- ვითომ რატომაო? - გაუკვირდა პოლკოვნიკს.

- რატომ და იქაურები სამხედრო კარიერას სხვანაირად უყურებენ. მათ აზრადაც არ მოსდით, რომ შეიძლება ლეინტენანტობიდან არ დაიწყო და ისე გახდე მთავარსარდალი. თითქოსდა არ შეიძლება იყო კარგი მემიზნე, თუ თვითონ არ ჩამოგისხამს ზარბაზანი. ეს ხომ ნამდვილი...

- სისულელეა! - შეაშველა ტომ ჰანტერმა, თან სანადირო დანით თავისი სავარძლის სხელურს ჩლიგნიდა. ასე თუ გაგრძელდა, ისღა დაგვრჩენია, თამბაქოს მოყვანას ან ვეშაპის ქონის გამოხდას მივყოთ ხელი.

- როგორ! - ხმამაღლა შესძახა მასტონმა, - ნუთუ ისე უნდა დავბერდეთ და დავიხოცოთ, რომ ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელი წლები არ მივუძღვნათ უფრო სრულყოფილი ცეცხლსასროლი იაღარის შექმნას? ნუთუ არაღასოდეს მოგვეცემა შემთხვევა, გამოვცადოთ ჩვენი შორსმსროლელი ქვემეხები? ნუთუ არასოდეს გაანათებს ზეცას ჩვენი ყუმბარების ბათქების ცეცხლი? ნუთუ ისე აღარ დაიძაბება საერთაშორისო ვითარება, რომ ომი გამოვუცხადოთ რომელიმე ოკეანისიქითა სახელმწიფოს? ნუთუ ფრანგები ერთ გემს მაინც აღარ ჩაძირავენ ჩვენსას? ნუთუ ინგლისელები აღარ დაარღვევენ საერთაშორისო სამართალს, - თუნდაც მაგალითად არ ჩამოახრჩობენ ჩვენს სამ-ოთხს თანამემამულეს?

- არა, მასტონ, - ამოიოხრა პოლკოვნიკმა ბლემსბერიმ, - - ნუღა ელი ამ ბედნიერებას! არა, აღარ მოხდება აღარცერთი ინციდენტი, და თუნდაც მოხდეს, ჩვენ ვეღარ შევძლებთ მის გამოყენებას. ნაციონალური სიამაყე შეერთებულ შტატებში დღითდღე სუსტდება, სულ მალე ყველანი დიაცებად გადავიქცევით!...

- დიახ, ჩვენ ხშირად ვიმცირებთ თავს! - დაეთანხმა ბილსბი.

- უფრო მეტი - სხვები გვამცირებენ! - შეესიტყვა ტომ ჰანტერი.

- სრული სიმართლეა! - უფრო ენერგიულად განაგრძო მასტონმა. - ბრძოლისა და ომის ათასობით მიზეზი არსებობს, ომი კი მაინც არსად ჩანს. ჩვენი ხელისუფლება უფრთხილდება ხალხის ხელ-ფეხს, მათ კი არ იციან, რაში გამოიყენონ ეს ხელ-ფეხი. რაღა შორს ვეძიოთ ომის საბაბი, განა ჩრდილოეთ ამერიკა უწინ ინგლისს არ ეკუთვნოდა?

- უდავოა! - უპასუხა ტომ ჰანტერმა, თან გამალებით ურევდა თავის ყავარჯენს ბუხრში ნაკვერჩხალს.

- თუ ასეა, - განაგრძო მასტონმა, - მაშინ ახლა ინგლისი თვითონ რატომ არ უნდა ეკუთვნოდეს ამერიკას?

- ეს კი მართლაც სამართლიანია! - სახე გაუნათდა პოლკოვნიკ ბლემსბერის.

- აბა, მიდითდა შესთავაზეთ ეს შტატების პრეზიდენტს! - წამოიძახა მასტონმა. ნახეთ, როგორ მიგიღებთ!

- ცუდად მიმიღბს! - გამოსცარ ომის შემდეგ შერჩენილ ოთხ კბილებსი ბილსბიმ.

- პატიოსნებას გეფიცებიტ, - კვლავ წამოიძახა მასტონმა, - თუ მომავალ არჩევნებში კიდევ მივცე ხმა.

- ნურც ჩვენი იმედი ექნება! - ერთხმად აღმოხდა ომის ინვალიდებს.

- ჰოდა, ასე, - დაასკვნა მასტრონმა, - დასასრულს ამას ვეტყვი; თუ არ მომცემენ საშუალებას, ჩემი ახალი მორტირი ნამდვილ ბრძოლაში გამოვცადო, მაშინ გამოვდივარ "საზარბაზნე კლუბიდან" და საერთოდ ვტოვებ ბალტიმორს. აქ ყოფნას მირჩევნია, ცოცხლად დავიმარხო არკანზასის სავანებში.

- ჩვენც თქვენთანა ვართ! - კვლავ ერთხმად უპასუხეს მამაც ჯ. ტ. მასტონს ამხანაგებმა.

ასეთი მდგომარეობა იყო კლუბში; მღელვარება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, კლუბს დაშლის ნამდვილი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ იხსნა იგი აშკარა განადგურებისაგან.

ზემოთ მოყვანილი საუბრის მეორე დღეს კლუბის თითოეულმა წევრმა შემდეგი შინაარსის ბარათი მიიღო:

"ბალტიმორი. 3 ოქტომბერი.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი აცნობებს ყველა თავის კოლეგას, რომ მიმდინარე თვის 5-ში გამოვა "საზარბაზნე კლუბისათვის" მეტად საინტერესო მოხსენებით. ამასთან დაკავშირებით. იგი ითხოვს კლუბის ყველა წევრს, შეძლებისდაგვარად გადასდონ თავიანთი საქმე და დაესწრონ კლუბის მორიგ სხდომას.

გულითადი სალმით
თქვენი იმპი ბარბიკენი ს. კ. კ. "[1]

მეორე თავი

ბარბიკენის განაცხადი

5 ოქტომბერს, საღამოს რვა აათზე, იუნიონ-სკვერზე მდებარე N21 სახლში ტევა არ იყო. კლუბის დარბაზებში აუარება ხალხი ირეოდა. ბალტიმორში მცხოვრებმა კლუბის ყველა წევრმა მოვალედ ჩათვალა თავი, ამ მოწვევის შემდეგ კლუბში გამოცხადებულიყო. ბალტიმორში სამგზავრო მატარებლებს ათასობით წევრ-

1 ს.კ.პ.- საზარბაზნე კლუბის პრეზიდენტი.

კორესპონდენტი ჩამოჰყავდა. კლუბის უზარმაზარი სხდომათა დარბაზი ვერ იტევდა მოხვედრის მსურველებს. სწავლულებით აივსო დარბაზები და დერეფნები. "უცხო პირთა" უზარმაზარი ნაკადი კლუბის კარებში გაიჭედა. თითოეული მათგანი ცდილობდა, წინ წასულიყო, რათა მალე შეეტყო პრეზიდეტნის ფრიად მნიშვნელოვანი განაცხადი. მოქალაქენი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ჯიკავ-ჯიკავით მიიწევდნენ წინ, ენერგიულად და მოურიდებლად, როგორც სჩვევიათ "selfgovernment" -ის[1] სულისკვეთებით აღზრდილ ადამიანებს.

ამ საღამოს ბალტიმორში მოხვედრილი უცხოელიც კი ვერავითარი საზღაურით ვერ შეძლებდა საზარბაზნე კლუბის ცენტრალურ დარბაზში მოხვედრას. გარდა ნამდვილი წევრებისა და წევრკორესპოდენტებისა, არავის არ ჰქონდა იქ დასწრების უფლება. ქალაქის წარჩინებულნი და ადგილობრივი ხელისუფალნიც კი იძულებულნი იყვნენ, კლუბის ეზოში, ბრბოში შერეულებს პირდაპირ ჰაერში დაეჭირათ ამბები, რომლებიც დროდადრო შენობის შიგნიდან აღწევდა.

კლუბის უზარმაზარი დარბაზი საუცხოო სანახაობად ქცეულიყო. ეს ფართო ჰოლი შესანიშნავად ასრულებდა თავის დიდებულ დანიშნულებას. საუცხოო

მხატრული გემოვნებით თავმოყრილი კოლექცია უფრო დეკორაციული დანიშნულების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ვიდრე სასიკვდილო იარაღისას.

შესანიშნავი ვიტრინის მიღმა, საპატივცემულო ადგილზე, თავს იწონებდა ზარბაზნის "თეფშის" ნამსხვრევი, დენთის გაზისაგან ერთიანად დაჭეჭყილი, დაგრეხილი, ძვირფასი ნაშთი ჯონ მასტონის ყბადაღებული მორტირისა.

დარბაზის სიღრმეში, ფართო ფიცარნაგზე პრეზიდენტი წამოჭიმულიყო. გარს ოთხი მდივანი ეხვია. ზარბაზნის ზედადგარზე მოთავსებული მისი სავარძელი, რომელიც ოცდათორმეტდუიმიანი ლულის მქონე ქვემეხს ჰგავდა და 90°-იანი კუთხით იყო დადგმული, ისე იყო ჩამოკიდებული თანაურ ღერძებზე, რომ სიცხის დროს პრეზიდენტს ადვილად შეეძლო ექანავა და გაგრილებულიყო.

პრეზიდენტის მაგიდის მოვალეობას რკინის ფურცლის დიდი ნაჭერი ასრულებდა, რომელიც ოსტატურად იყო დამაგრებული ექვს ძველებურ საზღვაო ზარბაზანზე. სამელნის მაგივრობას შესანიშნავად გამოჭრილი ხელყუმბარა სწევდა, პრეზიდენტის ზარი კი რევოლვერივით ისროდა, თუმცა გაცხარებული დისკუსიების დროს მისი წკარუნი ძლივს ფარავდა მგზნებარე არტილერისტთა ხმებს.

პრეზიდიუმის წინ, ციხის სანგრებივიტ, ზიგზაგურად განლაგებულ მერხებზე კლუბის წევრები ისხდნენ. ამ საღამოს მთელი გარნიზონი მართლაც რომ მზად იყო საბრძოლველად. კლუბის ყველა წევრი შეკრებილიყო, ისინი კარგად იცნობდნენ თავის პრეზიდენტს, იგი განსაკუთრებული მიზეზის გარეშე არ შეაწუხებდა მათ.

ორმოცი წლის იმპი ბარბიკენ მშვიდი, გულგრილი, კუშტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ქრონომეტრივით ზუსტი, ურყევი ხასიათით და რკინისებური ნებისყოფით გამოირჩეოდა. მართალია, დიდი რაინდული მიდრეკილებებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ უყვარდა თავგადასავლები და თავის პრაქტიკულ სულს ყველაზე სახიფათო წამოწყებაში ჩააქსოვდა ხოლმე. ის გახლდათ ახალი ინგლისის ტიპიური წარმომადგენელი, ჩრდილოელი-კოლონიზატორი, სტიუარტთა დინასტიის საბედისწერო მტრების "მრგვალთავიანთა" შთამომავალი, სამხრეთ-შტატების "ბატონთა", ძველი ინგლისის ამ ყოფილი კავალერების, დაუძინებელი მტერი. ერთი სიტყვით, თავით ფეხებამდე იანკი იყო....

ხე-ტყის ვაჭრობით ბარბიკენმა აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა. ომმა რომ

---

1 თვითმმართველობა (ინგლ.)

იფეთქა, იგი არტილერიის უფროსად დაინიშნა. სწორედ ამ პოსტზე გაითქვა სახელი გამოგონებებითა და თავისი საოცრად გაბედული იდეებით. ეს გულადი ნოვატორი ყოველნაირად ხელს უწყობდა არტილერიის წინსვლას და უმაგალითო ფართო მასშტაბის ცდებს ატარებდა. ბარბიკენი საშუალო სიმარლის, სავსებით საღ-სალამათი კაცი გახლდათ, რაც ძალზე იშვიათი იყო "საზარბაზნე კლუბში". მისი სახის მკვეთრი ნაკვთები თითქოს საგულდაგულოდ გამოეხაზათ გონიოთი და რეისფედერით. და თუკი, როგორც იტყვიან, შესაძლებელია ადამიანის ხასიათის გამოცნობა. პროფილით, მაშინ ბარბიკენის პროფილი, უდავოდ მეტყველებდა პატრონის ენერგიაზე, გამბედაობასა და გულგრილობაზე.

მართალია, დარბაზში ერტი ორმოტრიალი იდგა, ისმოდა გაუთავებელი შეკითხვები, აზრთა გაცვლა, ზოგი კი ჯიქურ შესცქეროდა პრეზიდენტს თვალებში და ამით ცდილობდა გამოეცნო მისი საიდუმლოება. მაგრამ ბარბიკენი არავითარ ყურადღებას აქცევდა გარშემო ახმაურებულ ხალხს. მშვიდი და აუღელვებელი სახე ჰქონდა.

როგორც იქნა, დარბაზში საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა. უეცრად ბარბიკენი მთელი ტანით წამოიმართა, გეგონებოდათ, ზამბარებმა აისხლიტესო. დარბაზი გაირინდა და ორატორმა საზეიმო კილოთი დაიწყო:

- პატივცემულო კოლეგებო! ჩვენი სამყაროს უსაშველოდ გაჭიანურებულ, უნაყოფო მშვიდობას, კარგა ხანია, განწირული ჰყავს "საზარბაზნე კლუბის" წევრები უსაქმურობისათვის, რამდენიმე წლის დიდებული გამოცოცხლების შემდეგ იძულებული გავხდით, შეგვეწყვიტა ჩვენი საქმიანობა და შევჩერებულიყავით პროგრესის გზაზე. მე დღეს არ მეშინია ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ჩვენთვის უკიდურესად საჭიროა ომი, ყველანაირი სახის ომი, რომელიც ხელში იარაღს აგვაღებინებს.

- დიახ, ომი! აუცილებელია ომი! - წამოიძახა ანაზდად დაუდეგარმა ჯონ მასტონმა.

- მოუსმინეთ! მოუსმინეთ! - გაისმა ყოველი მხრიდან.

- თუმცაღა ომი უაზროა ახლადელ ვითარებაში, - განაგრძო ბარბიკენმა, - როგორც არ უნდა სწყუროდეს იგი პატივცემულ ორატორს, რომელმაც ეს-ეს არის შემაწყვეტინა სიტყვა თავისი მგზნებარე წამოძახილით, კიდევ მრავალი წელი გაივლის, ვიდრე ჩვენი იარაღი საომარ ველზე დაიქუხებდეს. ამას უნდა შევურიგდეთ და სხვა გამოსავალი ვეძებოთ ჩვენი შემოქმედებითი წყურვილის დასაოკებლად.

კრებამ იგრძნო, რომ პრეზიდენტს ახლა უნდა ეთქვა ყველაზე მთავარი. დარბაზი სმენად იქცა.

- აი, უკვე რამდენიმე თვეა, პატივცემულო კლუბის წევრებო, - განაგრძობდა ბარბიკენი, - რაც მე ჩემს თავს კითხვა დავუსვი: ნუთუ არ შეგვიძლია ჩვენ, ჩვენი სპეციალობის ფარგლებში, თავი გამოვიჩინოთ, მეცხრამეტე საუკუნის შესაფერი, ღირსახსოვარი საქმით. და ხომ არ მოგვცემს ბალისტიკის დიდი მიღწევები მისი წარმატებით განხორციელების საშუალებას? მე დიდხანს ვფიქრობდი, ვწვალობდი, ვანგრიშობდი და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვენ შევძლებთ ერტი საქმის ხორცშესხმას, რომელიც ყველა სხვა სახელმწიფოში განუხორციელებლად მოეჩვენებოდათ. ჩაფიქრებული წამოწყების პროექტი გამოთვლებით მაქვს დამუშავებული, სწორედ ეს გახლავთ ჩემი მოხსენების თემაც. ეს საქმე თქვენი და "საზარბაზნე კლუბის" დიდებული წარსულის შესაფერისია და უეჭველია, დიდ აურზაურს გამოიწვევს მთელ მსოფლიოში.

- დიდ აურზაურს? - იკითხა ვიღაცამ.

- დიახ, დიდ აურზაურს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - უპასუხა ბარბიკენმა.

- ნუ აწყვეტინებთ! - გაისმა აქეთ-იქიდან.

- პატივცემულო კოლეგებო! - განაგრძო ბარბიკენმა, - ახლა გთხოვთ, მთელი ყურადღება მომაპყროთ.

კრებას ნერვიულმა ჩურჩულმა გადაურბინა. ბარბიკენმა ცილინდრი შეისწორა და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

- ყველა თქვენგანს, რასაკვირველია, არაერთხელ უნახავს მთვარე, ყოველ შემთხვევაში, სმენია მასზე. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ღამის მნათობზე დავიწყე ლაპარაკი. ვინ იცის, იქნებ, ჩვენ ჯერ კიდევ უნახავი სამყაროს კოლუმბობა გვიწერია! გამიგონეთ, დამიჯერეთ - და მე თქვენ გაგიძღვებთ მთვარის დასაპყრობად. ჩვენ მის სახელს შევუერთებთ იმ ოცდათექვსმეტ შტატს. შეერთებული შტატების უძლეველ სახელმწიფოს რომ ქმნიან.

- გაუმარჯოს მთვარეს! - ერთხმად იღრიალეს "საზარბაზნე კლუბის" წევრებმა.

- მთვარე დაწვრილებითაა შესწავლილი, - განაგრძობდა ბარბიკენი, - უკვე კარგა ხანია, ზუსტადაა განსაზღვრული მისი მასა, სიმკვრივე, წონა, შედგენილობა, მოცულობა, მოძრაობა, დაშორება დედამიწიდან და საერთოდ მისი როლი მზის სისტემაში. მთვარის რუკა შედგენილია არანაკლები სიზუსტით, ვიდრე დედამიწისა. ფოტოგრაფიამ მოგვცა მთვარის პეიზაჟთა შეუდარებელი სილამაზის ანაბეჭდი. ერთი სიტყვით, მთვარის შესახებ ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია, რაც კი შეიძლება გვცოდნოდა მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკისა და გეოლოგიის საშუალებით, მაგრამ დღემდე მაინც არა გვაქვს .... პირდაპირი კავშირი მთვარესთან.

ამ სიტყვებზე დარბაზში მყოფნი გაოცებისაგან შეკრთნენ.

- ნება მიბოძეთ, - განაგრძობდა ბარბიკენი, - რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ ის ფანტაზიორები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი წარმოდგენით მოგზაურობდნენ მთვარეზე და ამტკიცებდნენ, თითქოსდა შეიჭრნენ დედამიწის თანამგზავრის იდუმალი სამყაროს საიდუმლოებებში. მეჩვიდმეტე საუკუნეში ვინმე დევიდ ფაბრიციუსი ამაყობდა, თითქოს საკუთარი თვალით ნახა მთვარის მცხოვრებნი. 1649 წელს, ერთ-ერთმა ფრანგმა, ჟან ბოდუენმა გამოსცა წიგნი "ესპანელი ფათერაკების მაძიებელი დომინიკო გონზალესის მოგზაურობა მთვარეზე". თითქმის იმავე დროს სირანო დე ბერჟერაკმა აღწერა მთვარეზე ექსპედიცია თავის წიგნში, რომელსაც საფრანგეთში უდიდესი მოწონება ხვდა წილად. მოგვიანებით მეორე ფრანგმა, - უნდა ითქვას, რომ ფრანგები ფრიად დაინტერესებულნი არიან მთვარით, - ცნობილმა ფონტენელმა დაწერა თავისი საუკუნის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წიგნი "სამყაროს მრავალსახეობა". მაგრამ მეცნიერება წინ მიდის, უკან იტოვებს თვით მწერლების ფანტაზიასაც. 1835 წელს გამოჩნდა საინტერესო ბროშურა, იგი ამოღებული იყო ჟურნალ "ნიუ-იორკ ამერიკენიდან". ბროშურაში მოთხრობილია, როგორ შექმნა გამოჩენილმა ასტრონომმა ჯონ ჰერშელმა კეთილი იმედის კონცხზე თავისი ექსპედიციის დროს ისეთი სრულყოფილი ტელესკოპი, "თანაც შიდა განათებით", რომლის მეშვეობითაც შეძლო მთვარის დანახვა ოთხმოცი იარდის სიშორიდან. ჰერშელმა თითქოს ნათლად გაარჩია ბეჰემოთების საცხოვრებელი მღვიმეები მთვარეზე. იხილა ჭალების ოქროს ვარაყით გარშემოვლებული მწვანე მთები, სპილოს ძვლისფერ-რქებიანი ცხვრები, თეთრი ძვლები და ადამიანის მსგავსი არსებები, ღამურასავით აპკიანი ფრთები რომ ჰქონდათ გამოსახული. ამერიკელი ლოკის მიერ დაწერილ ამ ბროშურას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. თუმცა ჩქარა გამოირკვა, რომ ეს იყო მეცნიერული მისტიფიკაცია და ფრანგებმა პირველებმა აიგდეს იგი მასხრად.

- როგორ, ამერიკელებს დასცინეს? - აღმოხდა მასტონს, - აი, ესეც თქვენი casus belli[1]...

- დამშვიდდი, ჩემო ღირსეულო მეგობარო! ფრანგები სანამ სხვას დასცინებდნენ, თვით აღმოჩნდნენ გაბრიყვებულნი, რადგანაც თავდაპირველად დაუჯერეს ჩვენს თანამემამულეს. ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის დასამთავრებლად მინდა დავუმატო, რომ ვინმე როტერდამელმა ჰანს პფაალმა საჰაერო ბუშტი აავოს აზოტისაგან განთავისუფლებული გაზით, რომელიც ოცდაჩვიდმეტჯერ მსუბუქი აღმოჩნდა წყალბადზე, ავიდა ჰაერსი და მეცხრამეტე დღეს მიაღწია მთვარეს. ეს მოგზაურობა, ისევე როგორც ყველა მისი წინამორბედი, რასაკვირველია, წარმოდგენითი გახლდათ, მაგრამ იგი შეთხზა ამერიკის ერთ-ერთმა საყვარელმა მწერალმა, ამერიკის თავისებურმა ფანტასტიკურმა ტალანტმა. მე მხედველობაში მყავს ედგარ პო.

- დიდება ედგარ პოს! - აღმოხდა პრეზიდენტს სიტყვებით აღგზნებულ დარბაზს.

- ამით ვამთავრებ საუბარს ცდებზე, რომლებიც მხოლოდ მწერალთა თუ ჟურნალისტთა ფანტაზიამ შექმნა და დედამიწისა და მთვარის კავშირს არაფერის ჰმატებს. მაგრამ უნდა დავუმატო, რომ იყო სერიოზული მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მთვარეზე მიმოსვლის ცდებიც - ასე მაგალითად, ერთმა გერმანელმა მათემათიკოსმა რამდენიმე წლის წინათ შესთავაზა საზოგადოებას, აღეჭურვათ სამეცნიერო ექსპედიცია ციმბირის ტრამალებში. იქ, უკიდეგანო ვაკეებს შორის, შესაძლებელი იქნბოდა, რეფლექტორების დახმარებით გამოესაათ გიგანტური გეომეტრიული ფიგურები და თანაც იმდენად გამოკვეთილი და ნათელი, რომ შესამჩნევი ყოფილიყვნენ მთვარიდან და სხვათა შორის პითაგორას სამკუთხედი, რომელსაც უბრალოდ "პითაგორას შარვალს" უწოდებენ. "ყოველმა მოაზროვნე არსებამ, - ამტკიცებდა მათემატიკოსი, - უნდა გაიგოს ამ ფიგურის მეცნიერული მნიშვნელობა. ამიტომ სელენიტები, თუკი ისინი საერთოდ არსებობენ, გვიპასუხებენ მსგავსი ფიგურებით და მაშინ ადვილი იქნება ანბანის შედგენა, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, კავშირი დაამყარონ მთვარის ბინადართან".

ასე ამბობდა გერმანელი მათემატიკოსი, მაგრამ მისი პროექტი არ განხორციელებულა და დღემდე არავითარი კავშირი არ დამყარებულა მთვარესა და დედამიწას შორის.

თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელების პრაქტიკული გენია დაამყარებს კავშირს ამ ციურ სხეულთან. არის საშუალება მივწვდეთ მთვარეს. საშუალება უბრალო, ადვილი, სარწმუნო, საიმედო და ამის შესახებ მინდა ახლავე გაცნობოთ.

ხალხი გამაყრუებელი ხმაურით და აღტაცებული შეძახილებით ესალმებოდა ბარბიკენს. მსმენელები მოაჯადოვა ორატორთა სიტყვებმა.

- უსმინეთ! უსმინეთ! გაჩუმდით! - აჩუმებდნენ ერთმანეთს.

მღელვარება რომ დაცხრა, ბარბიკენმა კიდევ უფრო საზეიმო კილოთი განაგრძო:

- თქვენთვის ცნობილია, რა მიღწევები მოიპოვა ბალისტიკამ უკანასკნელ წლებში. და აი, აქედან გამომდინარე, მე დავუსვი კითხვა ჩემს თავს: შეიძლება თუ არა საკმარისი სიდიდისა და სათანადო ძალის მქონე იარღიდან გაიშვას ყუმბარა

---

1 ომის მიზეზი (ლათ.)

მთვარეზე.

ამ სიტყვებზე ათასობით ადამიანს ერთსულოვანი "ოოჰ!" აღმოხდა.

წუთით სიჩუმე გამეფდა, მსგავსი იმ ღრმა სიჩუმისა, რომელიც წინ უსწრებს მეხის გავარდნას და მართლაც იმავ წუთს იქუხა მეხმა, გაისმა ისეთი მძლავრი შეძახილები, რომ უშველებელი დარბაზი შეზანზარდა.

ბარბიკენი ცდილობდა სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ათი წუთის შემდეგ შეძლო მიექცია მსმენელთა ყურადღება.

- მომეცით საშუალება, დავამთავრო, - გულგრილად განაგრძო მან, - მე გაბედულად შევუდექი ამ ამოცანის გადაჭრას, ყოველ მხრივ ავწონ-დავწონე და უდაო გამოთვლების საფუძველზე შემიძლია დავამტკიცო, რომ ჭურვი, თუ მას წუთში თორმეტი ათასი იარდის[1] საწყისი სიჩქარე ექნება, ზუსტი დამიზნების შემთხვევაში, უეჭველად უნდა მიფრინდეს მთვარემდე.

მაშ, ასე, ღირსეულო წევრებო! ნება მომეცით, შემოგთავაზოთ ამ პატარა ცდის ჩატარება.

მესამე თავი

ეფექტი, რომელიც ბარბიკენის სიტყვამ მოახდინა

შეუძლებელია იმ მქუხარე ოვაციის აღწერა, პრეზიდენტის სიტყვებმა რომ გამოიწვია: ყოველი მხრიდან ისმოდა შეძახილები, იდგა გამაყრუებელი ღრიანცელი! ყვირილი! ვაშა! ღრიალებდა ხალხი და გაშმაგებული უკრავდა ტაშს. დარბაზის კედლები ზანზარებდა ფეხების ბრაგუნისაგან. ალბათ მუზეუმში თავმოყრილი ყველა იარაღის ერთდროული ზალპიც ვერ დაჰფარავდა ასეთ მჭექარე ხმას. თუმცა, რასაკვირველია, ზოგი კანონიერი ხომ თავის ზარბანზე უფრო ძლიერად ქუხს.

ამ აუწერელ ღრიანცელსი ბარბიკენი გასაოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ეტყობოდა, კიდევ სურდა რაღაცის თქმა: ხელს მაღლა წევდა, ცდილობდა სიჩუმის დამყარებას; მისი უცნაური ზარის ხმაც იქაურობას აყრუებდა, მაგრამ იგი არავის ესმოდა. მეგობრებმა და კოლეგებმა ბარბიკენი სავარძელს ააგლიჯეს და ხელში აყვანილი, ტრიუმფით გაატარეს დარბაზში. გასასვლელში მას არანაკლებ მღელვარე ქუჩის ტალღა დაეპატრონა.

ამერიკელს ვერაფრით გააკვირვებ. ამბობენ, ფრანგისათვის სიტყვა "შეუძლებელია" არ არსებობსო, მაგრამ ეს მათ არ ეხებათ. მხოლოდ ამერიკელს ეჩვენება ყველაფერი იოლად და მარტივად. ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ სიძნელეებს, ეს რა სალაპარკოა, არც ერთი წმინდა სისხლის იანკი არ მისცემდა თავის თავს უფლებას, ეჭვი შეჰპარვოდა ბარბიკენის პროექტის განხორციელების შესაძლებლობაში. რას ბრძანებთ? - ითქვა - გაკეთდება კიდეც.

მთელი საღამო გრძელდებოდა ტრიუმფალური სვლა აურაცხელი ჩირაღდნის შუქზე. მერილენდის შტატში შემავალი სხვადასხვა ეროვნების ათასობით ადამიანი - ირლანდიელი, გერმანელი, ფრანგი, შოტლანდიელი თავის მშობლიურ კილოკავზე გაჰკიოდა აღტაცების გამომხატველ სიტყვებს და იგი, ერთ მთლიან გუგუნად გადაქცეული, ყურთასმენას ახშობდა. მთვარემ თითქოს იგრძნო, რომ მას ეხებოდა ეს აურზაური, უფრო გაიბადრა და დააბნელა ყველა მიწიერი ჩირაღდანი თავისი

---

1 იარდი უდრის 914.402 მმ.

თვალისმომჭრელი შუქით. ყველას მზერა მის დიდებულ დისკოს მიეპყრო. ერთნი ხელის დაქნევით ესალმებოდნენ, მეორენი უნაზესი სიტყვებით ამკობდნენ, მესამენი მუშტის თვალით ზომავდნენ, იყვნენ ისეთებიც, მუშტებით რომ ემუქრებოდნენ საღამოს 8 საათიდან შუაღამემდე ჯონსფოლ-სტრიტის ცენტრალური ქუჩის ერთ-ერთი ოპტიკოსი დიდი შეძლების კაცი გახდა, ერთბაშად გაიყიდა ყველა მისი ჭოგრიტი და საჭვრეტელი მილი. უჭვრეტდნენ მთვარეს მაღალი წრის კეკლუც ქალბატონსავით. თითქოს ამ გაბედულ დამპყრობლებს უკვე ხელთ ეგდოთ ოქროსთმიანი ქალღმერთი და შეერთებული შტატების შემადგენელ ნაწილად ექციათ.

ქალაქის საათმა შუაღამისა ჩამოჰკრა, ბრბო კი არა ცხრებოდა; მღელვარებას ყველანი ერთსულოვნად იზირებდნენ: მოსამართლენი, სწავლულები, კომერსანტები, მედუქნეები, მტვირთავები. სულის სიღრმემდე იყო შეძრული საქმის მცოდნეცა და უცოდინარიც! საქმე ხომ ეროვნულ წარმოწყებას ეხებოდა და ამიტომ ქალაქის როგორც "ზედა" ისე "ქვედა" ნაწილში, მდინარე პატაპსკოს სანაპიროზე, დოკებში

მდგარ გემებზე ხალხი ჯინით, ვისკითა და სიხარულით თვრებოდა. ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა, ბჭობდა, დაობდა, ტაშს უკრავდა - ყველა - დაწყებული ბარების სავარძლებში გადათხლაშული ჯენტელმენებით, ფინჯნებით შერის რომ წრუპავდნენ, და დამთავრებული ნავსადგურის მუშებით, ფელს-პოინტის უბადრუკ ტავერნებში რაღაც საზიზღარ სალაფავს რომ ეძალებოდნენ.

ღამის ორი საათისათვის, როგორც იქნა, ქალაქი ჩაწყნარდა. ბარბიკენსაც ეღირსა ოჯახში დაბრუნება. იგი საშინლად დაღლილი, დამტვრეული და მოთენთილი იყო. თვით ჰერკრულესსაც კი ილაჯს გაუწყვეტავდა ამგვარი გაწამაწია.

ქუჩები და მოედნები თანდათან ცარიელდებოდა. ოთხ სარკინიგზო ხაზზე სხვადასხვა მატარებელმა ქალაქი უცხო სტუმრებისგან განტვირთა და შედარებით სიმშვიდე დამყარდა.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ამ ღირსახსოვარ საღამოს მარტო ბალტიმორი ღელავდა. შეერთებული შტატების ყველა დიდმა ქალაქმა: ნიუ-იორკმა, ბოსტონმა, ოლბანმა, ვაშინგტონმა, რიჩმონდმა, კრესენტ-სიტიმ, სან-ფრანცისკომ, ჩარლსტაუნმა, მობილმა და სხვა, ტეხასიდან მასჩუსეტსამდე, მიჩიგანიდან ფლორიდამდე, ყველამ შეიტანა თავისი წვლილი ამ ციებ-ცხელებაში, ვინაიდან "საზარბაზნე კლუბის" ყველა 30 ათასმა წევრ-კორსპონდენტმა დროულად მიიღო თავისი პრეზიდენტისაგან წერილი და მოუთმენლად მოელოდა ცნობებს 5 ოქტომბრისათვის დანიშნულ სენსაციურ მოხსენებაზე.

და იმ საღამოს, ბარბიკენის ბაგეს მოწყევტილი ყოველი სიტყვა ტელეგრაფის მეშვეობით ელვის უსწრაფესად ედებოდა მთელ შტატებს. შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ იმ საღამოს, არამედ იმავე წამს შტატების უზარმაზარ ტერიტორიას, ათასჯერ რომ აღემატებოდა საფრანგეთისას, ერთდროულად აღმოხდა "ვაშა" და ეროვნული სიამაყით ერთდროულად შეტოკდა 25 მილიონი მცხოვრების გული.

მეორე დილითვე ბარბიკენის პროექტი ათასობით ყოველდღიურმა, ყოველკვირეულმა და ყოველთვიურმა ჟურნალ-გაზეთებმა აიტაცა. იგი განიხილეს ფიზიკური, ეკონომიური, მეტეოროლოგიურ-ეკონომიკის თვალსაზრისით, პოლიტიკურ უპირატესობათა და ცივილიზაციის ინტერესების თვალსაზრისით, პრესამ დასვა საკითხები: მთვარე უკვე გაყინულ პლანეტას წარმოადგენდა, თუ მასზე კიდევ რაიმე ცვლილებები ხდება? ხომ არ ჰგავს იგი იმ დროინდელ დედამიწას, როცა ჩვენს პლანეტას ჯერ კიდევ არ ერტყა ატმოსფერო? რა ხდება დედამიწისათვის უხილავ მთვარის იქითა მხარეს? და მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი ღამის მნათობზე მხოლოდ ჭურვის გაშვებას შეეხებოდა, ყველანი თვლიდნენ, რომ ახალ გრანდიოზულ გამოკვლევებს ეყრებოდა საფუძველი და თანაც ყველა იმედოვნებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკას ეწერა ბედად, ამოეხსნა დედამიწის თანამგზავრის უკანასკნელი საიდუმლოეაბ. ზოგიერთები შიშობდნენ კიდეც, მთვარის დაპყრობას შესამჩნევად არ დაერღვია პოლიტიკური წონასწორობა.

მაგრამ არც ერთ გაზეთს ეჭვიც არ შეჰპარვია იდეის განხორციელებაში. მეცნიერულ, ლიტერატურულ თუ რელიგიურ საზოგადოებათა კრებულები, ბროშურები, ბიულეტენები ფართოდ აღნიშნავდნენ პროექტის ღირსებებს. ამერიკის მთელი რიგი ასოიაციები კლუბის წევრებს უგზავნიდნენ არამარტო მისალმებებს, სთავაზობდნენ კიდეც ფულს და ყოველგვარ მხარდაჭერასაც.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს არც ერთ მეცნიერულ პროექტს არ ჰყოლია იმდენი მომხრე, როგორც ბარბიკენისეულს. მას არც ყოყმანი, არც ეჭვი და არც შიში არ გამოუწევია მაშინ, როდესაც მსგავს პროექტებს, თუკი იგი წამოყენებული იქნებოდა ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში. - ყოველი

მხრიდან დააყრიდნენ ოხუნჯობას, კარიკატურისა და შაირების ნიაღვარს. ამერიკაში კი მსგავსი რამ წარმოუდგენელია და თუ მაინც აღმოჩნდებოდა ვინმე ასეთი, თავს დაატყდებოდა საზოგადოების რისხვა. არის ისეთი რამ, რაზედაც ახალ სამყაროში სიცილი აკრძალულია.

ალბათ ამიტომ იმპი ბარბიკენი უცბად გადაიქცა აშშ-ს ერთ-ერთ ცნობილ მოქალაქედ, ახალ ვაშინგტონად მეცნიერულ დარგში. აი, ერთი მაგალითი იმისა, რა შორს შეიძლება შესტოპოს ხალხმა ერთი ადამიანის თაყვანისცემისას.

"საზარბაზნე კლუბის" ცნობილი სხდომის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, ინგლისის დრამატული თეატრის ანტრეპრენიორმა რეკლამით ამცნო ბალტიმორის საზოგადოებას თავისი მორიგი წარმოდგენა: "აურზაური არფრის გამო". ბალტიმორის მოქალაქეებმა ამ სათაურში დაინახეს მწარე ირონია პრეზიდენტის პროექტისადმი. შეიჭრნენ თეატრში, დამტვრიეს სკამები და ანტრეპრენიორი აიძულეს მოესპო რეკლამა. მან ქედი მოიხარა ხალხის ნება-სურვილის წინაშე, ერთი კომედია შესცვალა მეორეთი: "როგორც გენებოთ" და რამდენიმე კვირის მანძილზე დიდი შემოსავალი ნახა.

მეოთხე თავი

კემბრიჯის ობსერვატორიის პასუხი

მგზნებარე ოვაციებს ბარბიკენისათვის თავბრუარ დაუხვევია. მან მაშინაც შეაგროვა თავისი წევრები კლუბის შენობაში. ამ სხდომაზე გადაწყდა, ჯერ სწავლული ასტრონომებისათვის ეთხოვათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი, ხოლო პასუხის მიღებისთანავე გულდასმით განეხილათ საკითხის ტექნიკური მხარე უდიდესი პროექტის წარმატების უზრუნველსაყოფად.

იქვე შეადგინეს საგანგებო საკითებისაგან შემდგარი სასწრაფო წერილი დ მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯის ობსერვატორიას გადაუგზავნეს. ამ ქალაქში დაარსდა ოდესღაც აშშ-ს პირველი უნივერსიტეტი, რომელიც საქვეყნოდაა განთქმული თავისი ობსერვატორიით. იქ მუშაობდნენ ამერიკის ყველაზე ცნობილი მეცნიერები. სწორედ ამ ობსერვატორიის ძლიერი ტელესკოპი დაეხმარა ბონდს, განესაზღვრა ნისლეულის ბუნება ანდრომედას თანავარსკვლავედში, ხოლო კლარკს - აღმოეჩინა თანამგზავრი სირიუსი. ასე რომ, ცნობილი დაწესებულება ყოველნაირად იმსახურებდა კლუბის წევრთა ნდობას.

ორი დღის შემდეგ პასუხი; რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ, ბარბიკენს უკვე ხელთ ჰქონდა. იგი იტყობინებოდა:

"კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორი - "საზარბაზნე
კლუბის" პრეზიდენტს
ბალტიმორში.
კემბრიჯი, 7 ოქტომბერი.

თქვენი წერილის მიღებისთანავე საჩქაროდ იქნა მოწვეული ობსერვატორიის საბჭოს სხდომა და დამავალეს გაცნობოთ შემდეგი:

წერილის განხილვისას წარმოდგენილი იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:

1. შესაძლებელია თუ არა ყუმბარამ მიაღწიოს მთვარეს?

2. როგორია უზუსტესი მანძილი დედამიწიდან მთვარემდე?

3. როგორი იქნება ფრენის ხანგრძლივობა და რა მომენტში უნდა გაიშვას ყუმბარა, რომ იგი შეეხოს მთვარის ზედაპირის განსაზღვრულ წერტილს?

4. რა დროს იქნება მთვარე იმ სასურველ მდგომარეობაში, რომ ყუმბარამ მის ზედაპირს მიაღწიოს?

5. ზედა სფეროს რომელ წერტილსი უნდა დაემიზნოს ზარბაზანი, საიდანა ყუმბარა გაიტყორცნება.

6. ცის თაღის, რომელ წერტილში იქნება მთვარე ყუმბარის გაშვების მომენტში.

პასუხი პირველ კითხვაზე:

"შესაძლებელია თუ არა ყუმბარამ მიაღწიოს მთვარეს?

შესაძლებელია, თუკი საწყის სიჩქარეს მას მიანიჭებენ 12 ათას იარდს წამში. გაანგარიშებით დადასტურებულია, რომ ასეთი სიჩქარე სრულიად საკმარისია. რაც უფრო დასცილდა ყუმბარა დედამიწას, მიზიდულობის ძალა შეიცვლება მანძილის კვადრატის უკუპროპორციულად - ესე იგი, თუ მანძილი გადიდდება სამჯერ, მიზიდულობა შემცირდება ცხრაჯერ. ასე და ამგვარად, ყუმბარის წონა სწრაფად დაიკლებს და ბოლოს გაუთანაბრდება ნულს - ეს მოხდება იმ მომენტში, როცა მთვარის მიზიდულობის ძალა ტოლი აღმოჩნდება დედამიწის მიზიდულობის ძალისა. ე.ი. ყუმბარა გაივლის მთელი მანძილის ორმოცდაშვიდ-ორმოცდათორმეტ ნაწილს, ამ დროს იგი დაკარგავს თავის წონას, და თუ ის გააგრძელეს ფრენას, მოხვდება მთვარის სფეროსი და დაეცემა მთვარეზე, ასე რომ, ცდის თეორიული შესაძლებლობა შეიძლება სავსებით დამტკიცებულად ჩაითვალოს. მისი ფაქტიური წარმატება კი დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ იარაღის სიძლიერეზე.

პასუხი მეორე კითხვაზე:

"როგორია უზუსტესი მანძილი დედამიწიდან მის თანამგზავრამდე?

მთვარე შემოხაზავს დედამიწის გარშემო არა წრეს, არამედ ელიფსს, რომლის ერთ წერტილშიც იმყოფება ჩვენი პლანეტა. აქედან გამომდინარე, მთვარე სხვადასხვა დროს სხვადასხვა მანძილზე იმყოფება დედამიწიდან. ყველაზე დიდ მანძილს აპოგეა ჰქვია, უმცირესს - პერიგეა. როგორც ცნობილია, განსხვავება აპოგეასა და პერიგეას შორის საკმაოდ დიდია. ასე რომ, მისი გვერდის ავლა შეუძლებელია, მართლაც, აპოგეასი ყოფნის დროს მთვარე დედამიწიდან დაშორებუია 247.552 მილით, ხოლო პერიგეასი ყოფნის დროს 218.657 მილით. მათ შორის სხვაობა 28.895 მილს შეადგენს. ე.ი. ყუმბარის გასასვლელი გზის ერთ მეცხრედ ნაწილს. ამიტომ გამოთვლის საფუძვლად აღებულ უნდა იქნეს უმცირესი მანძილი მთვარემდე.

პასუხი მესამე კითხვაზე:

"როგორი იქნება ფრენის ხანგრძლივობა და რა მომენტში უნდა გაიშვას ყუმბარა, რომ იგი შეეხოს მთვარის განსაზღვრულ წერტილს?

იმ შემთხვევაში, თუ ყუმბარა შეინარჩუნებს 12 ათასი იარდის საწყის სიჩქარეს წამში, მაშინ იგი დაფრინდება მთვარეზე დაახლოებით 9 საათში. მაგრამ რადგანაც ყუმბარის სიჩქარე, როგორც გამოთვლები გვიჩვენებენ, განუწყვეტლივ იკლებს, საჭირო იქნება 300 ათასი წამი. ე.ი. 83 საათი და 20 წუთი, რათა ჭურვმა მიაწიოს იმ წერტილს, როცა მიწისა და მთვარის მიზიდულობის ძალა თანაბარი აღმოჩნდება. ამ წერტილიდან დაწყებული ყუმბარის მთვარეზე დაცემა გასტანს 50 ათასს წამს; ანუ 13 საათს, 53 წუთსა და 20 წამს. ამიტომ საჭიროა ყუმბარა გაშვებულ იქნას 97 საათით, 13 წუთით და 20 წამით ადრე, ვიდრე მთვარე გაივლის თავისი გზის ამ აღნიშნულ წერტილს.

პასუხი მეოთხე კითხვაზე:

"რა დროს იქნება მთვარე იმ სასურველ მდგომარეობაში, რომ ყუმბარამ მის ზედაპირს მიაღწიოს?"

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უპირველესად უნდა განისაზღვროს დრო, როცა მთვარე იქნება პერიგეასა და ამასთანავე ზენიტში. მაშინ მანძილი შემცირდება დედამიწის რადიუსით, ანუ 3.919 მილით. ამიტომ ყუმბარის გზის სიგრძე საბოლოოდ განისაზღვრება დაახლოებით 214.976 მილით. მაგრამ, მთვარე, მართალია, ყოელ თვე იმყოფება პერიგიაში, ყოველთვის როდია ზენიტში. მსგავსი დამთხვევები მეორდება დროის დიდი მონაკვეთის შემდეგ, ამიტომ საჭიროა, დაელოდოთ ზენიტს და პიერიგიაში მისი ყოფნის მომენტს. საბედნიეროდ, ეს წუთი დადგება მომავალი წლის 4 დეკემბერს, ზუსტად შუაღამისას მთვარე იქნება თავის პერიგეაში, ე.ი. უმცირესი მანძილით იქნება დაშორებული დედამიწიდან, და იმავე წუთში აღმოჩნდება ზენიტში.

პასუხი მეხუთე კითხვაზე,

"ცის თაღის ზუსტად რომელ წერტილს უნდა დაემიზნოს ზარბაზანი, რომლიდანაც გაიტყორცნება ყუმბარა?"

წინამდებარე მითითებიდან ცხადი ხდება, რომ ზარბაზანი უნდა იქნეს დამიზნებული იმ ადგილის ზენიტში, საითკენაც მოხდება გასროლა. მაშასადამე, გასროლის მიმართულება პერპენდიკულარული იქნება ჰორიზონტის სიბრტყისა და ასე და ამგვარად, ყუმბარა უფრო ჩქარა განთავისუფლდება დედამიწის მიზიდულობის ძალისაგან. მაგრამ იმისათვის, რომ მთვარემ გაიაროს მოცემული ადგილის ზენიტში, საჭიროა იმ ადგილის გეოგრაფიული განი არ აღემატებოდეს მნათობის გადახრის გრადუსს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი უნდა იმყოფებოდეს ჩრდილო ან სამხრეთ განედების 0°°-სა 28° შორის. ყველა სხვა ადგილის დამიზნება მოგიხდებათ მახვილი კუთხით. ეს კი მეტისმეტად არახელსაყრელი იქნება ცდის ჩასატარებლად.

პასუხი მეექვსე კითხვაზე:

"ცარგალის რომელ წერტილში იქნება მთვარე, როა გაისვრის ზარბაზანი?"

რადგანაც მთვარე გადაადგილდება ცაზე დღედაღამის განმავლობაში დასავლეთიდან აღმოსავლეთის 13°10´ და 35´´-ზე ამიტომ გასროლის მომენტში იგი უნდა იმყოფებოდეს ზენიტის დასავლეთით, რომელიც ოთხჯერ აღემატება მის დღეღამურ მანძილს, ე.ი. 52°42´ და 20´´-ზე. ეს არის სწორედ ის მანძილი, რომელიც მან უნდა გაიაროს ჭურვის ფრენის განმავლობაში. გარდა ამისა, ყურადსაღებია ჭურვის გადახრა ვერტიკალური მიმართულებიდან დდამიწის ბრუნვითი მოძრაობის გამო იმ მომენტში, როცა ჭურვი მიაღწევს მთვარეს. იგი გადაიხრება 16 მიწიერი რადიუსის ფარდი მანძილით, ამას თუ მთვარის ორბიტას მივუყენებთ, მივიღებთ დაახლოებით 11° და 11° უნდა დაემატოს რიცხვს, რომელიც აღნიშნავს მთვარის გადახრას ზენიტიდან. რაც 64° მოგცემს. მოკლედ, გატყორცნის მომენტში ხედვის სხივმა მოცემული ადგილიდან მთვარის ცენტრამდე უნდა შეადგინოს 64° კუთხე მოცემული ადგილის ვერტიკალით. აქედან გამომდინარეობს შემდეგი:

1. ზარბაზანი უნდა დაიდგას ჩრდილო ან სამხრეთ განედის 0° და 28° შორის მდებარე ადგილზე.

2 ზარბაზანი უნდა დაემიზნოს ამ ადგილის ზენიტს.

3. ყუმბარის საწყისი სიჩქარე უნდა იყოს 12 ათასი იარდი წამში.

4. გასროლა უნდა მოხდეს მომავალი წლის 1 დეკემბერს, საღამოს 10 საათსა, 46 წუთსა და 40 წამზე.

5. ყუმბარა მიაღწევს მთვარეს 4 დღის შემდეგ, ე.ი. 4 დეკემბერს, ზუსტად შუაღამეს. როცა მთვარის ცენტრი გაივლის ზენიტში. ასე და ამგვარად, "საზარბაზნე კლუბის" წევრებს ევალებათ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მზადებას და აღნიშნული დროისათვის მზად იყვნენ. თუ ისინი ხელიდან გაუშვებენ ამ დროს, მათ უნდა იცოდნენ 18 წელი და 11 თვე, ვიდრე კვლავ არ დაემთხვევა მთვარის პერიგეაში ყოფნა მის ზენიტში გასვლას.

კემბრიჯის ობსერვატორიის საბჭო თავის თავზე იღებს "საზარბაზნე კლუბის" წევრების მზრუნველობას და მზად არის, დაეხმაროს მათ ყოველნაირი თეორიული, ასტრონომიური საკითხების გადაჭრაში და აღნიშნულ წერილში თავის მილოცვას და კეთილ სურვილებს უერთებს მთელი ამერიკის მისალმებებს.

საბჭოს წევრთა დავალებით
ჯონ მ. ბელფასტი,
კემბრიჯის ობსერვატორიის
დირექტორი".

მეხუთე თავი

მოთხრობა მთვარეზე

იმ ეპოქაში, როცა სამყარო ჯერ კიდევ ქაოტურ მდგომარეობაში იყო, დაკვირვებული, უსაზღვროდ მახვილი თვალის მქონე ადამიანი რომ აღმოჩენილიყო უხილავ ცენტრში, რომლის გარშემო ბრუნავს სამყარო. შენიშნავდა კოსმოსურ სივრცეში შემავალ უთვალავ მირიად ატომს. ნელ-ნელა, ურიცხვი საუკუნეების მანძილზე მოხდა მთელი რიგი ცვილებები: აღმოაჩინეს მსოფლიო მიზუდულობის კანონი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ მოეხეტიალე ატომები: ეს ატომები შეერთდნენ და ქიმიური თვისებების მიხედვით დაჯგუფდნენ; ასე წარმოიქმნა მოლეკულები, მოლეკულებმა წარმოშვეს მატერიის შეჯგუფება - ნისლეული. მატერიის ამ გროვამ მაშინვე შეიძინა ბრუნვითი მოძრაობის უნარი და იწყო ტრიალი ცენტრალური წერტილის გარშემო. გაიშვიათებული მოლეკულეისაგან შემდგარმა ამ ცენტრმა იწყო ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო. ამასთან - მექნიკის გარდაუვალი კანონების თანახმად, რაც უფრო მცირდებოდა შეკუმშვის შედეგად მისი მოცულობა, მით უფრო იზრდებოდა სიჩქარე. და ამ ორი მუდმივად მოქმედი ფაქტორის გამო ნისლეულში შეიქმნა ცენტრალური ბირთვი - მისი მთავარი ვარსკვლავი.

ვინც ყურადღებით დააკვრიდებოდა, შენიშნავდა, რომ მატერიის შეჯგუფების გამომწვევი დანარჩენი მოლეკულებიც გადიან ამავე სტადიებს, და ასევე მკვრივდებიან სულ უფრო მზარდი ბრუნვითი სიჩქარის გავლენით და ქმნიან ვარსკვლავთა უთვალავ რიცხვს, რომლებიც ბრუნავენ ცენტრალურ მნათობის გარშემო. ასე წრმოიქმნა ვარკვლავთა შეჯგუფება ანუ ნისლეული. ამჟამად ხუთი ათასამდე ნისლეულს ითვლიან.

ამ ხუთი ათასიდან ერთ-ერთი, ირმის ნახტომი თვრამეტ მილიონ ვარსკვლავს ითვლის და თითოეული თავისი "სამყაროს" ცენტრს წარმოადგენს.

თუკი დაკვირვებული ადამიანი ამ თვრამეტი მილიონი მნათობიდან ყურადღებას შეაჩერებდა ერთ, საკმაოდ პატარ და არც თუ ისე კაშკაშა, მეოთხე სიდიდის ვარსკვლავზე, რომელიც ატარებს ამაყი მზის სახელს, - დაინახავდა, რა თანმიმდევრულად გადის იგი კოსმოსური სხეულების წარმოქმნის პროცესის ყველა სტადიას.

იგი დაინახავდა, მოძრავი მოლეკულებისაგან შედგენილი, ჯერ კიდევ გაზისებური მზე როგორ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო და თანდათან მკვირივდება. მექანიკის კანონების თანახმად, ეს მოძრაობა თანდათან უნდა დაჩქარებულიყო მოცულობის შემცირებისდა მიხედვით და დადგებოდა წამი, როცა ცენტრიდანული ძალა გადაძლევდა ცენტრისკენულს, რომელიც მოლეკულებს ცენტრისკენ ეწევა.

მაშინ დამკვირვებელი ახალი მოვლენების მოწმე გახდებოდა: ეკვატორის ზონაში მყოფი უთვალავი მოლეკულები შურდულივით გაიტყორცნებოდნენ მზისაგან და იმ რგოლისებურ ფორმას მიიღებდნენ, სატურნს რომ გარს არტყია. მაგრამ კოსმოსური მატერიის ეს რგოლები ცენტრალური ბირთვის გარშემო სწრაფი მოძრაობის შედეგად თავის მხრივ უნდა დარღვეულიყვნენ და გარდაქმნილიყვნენ მეორეულ ნისლეულებად, საიდანაც წარმოიშვნენ პალენტები.

თუკი დამკვირვებელი ყურადღებას გაამახვილებდა პლანეტებზე, იგი დაინახავდა, როგორ იმეორებენ ისინი მზის გავლილ სტადიებს, და გარკვეულ ეტაპზე როგორ იქმნება მათ გარშემო ერთი ან რამოდენიმე რგოლი, დასაბამს რომ აძლევენ უფრო დაბალი რანგის მნათობებს - ე.წ. თანამგზავრებს (სატელიტებს).

ასე და ამგვარად, ციურმა სხეულებმა, დაწყებული სამყაროს შექმნის პირველი დღიდან, განიცადეს მთელი რიგი გრდაქმნები. ატომებიდან წამოიქმნენ მოლეკულები, მოლეკულებიდან - ნისლეული, ნისლეულიდან - ცენტრალური ვარსკვლავი, ცენტრალური ვარსკვლავიდან - მზე, მზიდან - პლანეტები, პლანეტებიდან -მისი თანამგზავრი.

მზე თითქოს ჩაკარგულა ვარსკვლავთა უკიდეგანო სამყაროში, თანაც როგორც ასტრონომებმა დაადგინეს, იგი შედის ირმის ნახტომის სახელით ცნობილ ვარსკვლავთა ნისლეულში. მართალია, მზე ცალკე "სამყაროს" ცენტრია, მაგრამ იგი არარაობად ჩანს ცის უკიდეგანო სამყაროში. თუმცა ჩვენთვის იგი მაინც უშველებელია, რადგან მისი მოცულობა მილიონ ოთხასჯერ აღემატება დედამიწისას. მზის გარშემო ბრუნავს რვა პლანეტა, ეს პლანეტები მზის შექმნის პირველი დღეებიდანვე გამოიყვნენ მისივე წიაღიდან. უახლოესი მათგანი - მერკულრია, შემდეგ ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი. გარდა ამისა, სივრცეში მარსსა და იუპიტერს შუა განსაზღვრულ ორბიტაზე სხვა მცირე ზომის სხეულებიც ბრუნავენ. შესაძლებელია, ისინი პლანეტათა ნამსხვრევებიცაა. ასეთი ასტეროიდები, უკანასკნელ დროს ოთხმოცდაჩვიდმეტამდეა შენიშნული ტელესკოპებში.

მზის ამ თანამგზავრთაგან ზოგიერთს, რომლებსაც მიზიდულობის დიადი კანონი ელიფსურ ორბიტზე აკავებს, გააჩნია თავისი თანამგზავრები: ურანს და სატურნს რვა-რვა, იუპიტერს - ოთხი, ნეპტუნს ალბათ - ორი, დედამიწას კი - ერთი. მზის სისტემაში შედარებით უმნიშვნელო ამ მნათობს ეწოდება მთვარე. და საჭირო იყო ამერიკელების გაბედული გენია, რომ გაჩენილიყო აზრი ჩვენი თანამგზავრის დაპატრონებისა.

ღამის მნათობი, დედამიწასთან მისი სიახლოვისა და ფაზების თანაბარი ცვლის გამო, და მზე დიდი ხანია იპყრობენ დედამიწის მცხოვრებთა ყურადღებას. მაგრამ მზეს თვალს ვერ გაუსწორებ, მისი მკვეთრი შუქის ბრწყინვალება და სიძლიერე ყოველთვის თვალს ჭრის ადამიანს.

ქერათმიანი ფებოსი შედარებით უფრო ადამიანურია და გულმოწყალედ გვრთავს ნებას დავტკბეთ მისი მოკრძალებული სილამაზით, თვალი გავუსწოროთ მის სინათლეს. იგი თავმდაბალია, თუმცა ზოგჯერ ჩრდილავს თავის ძმას, სხივოსან

აპოლონს, მას კი არასოდეს აძლევს ამის უფლებას. მაჰმადიანებიმა დიდი ხანია ღირსეულად შეაფასეს დედამიწის ერთგული თანმგზავრი და დროს დედამიწის გარშემო მთვარის მოქცევის მიხედვით ითვლიან.

უძველესი დროიდან ამ უბიწო ღვთაებას განსაკუთრებულ კულტად აღიქვამდნენ, ეგვიპტელები იზიდას უწოდებენ, ფინიკიელები - ასტრატას, ძველი ბერძნებისათვის იგი ფებოსი იყო, ასული ლატონისა და იუპიტერისა, და მის დაბნელებას ხსნიდნენ მშვენიერი დიანას საიდუმლო პაემანით ენდიმიონთან. თუკი ვერწმუნებით მითოლოგიას, ნემეის ლომი, დედამიწაზე გამოჩენამდე მთვარის ველებში დანავარდობდა. და პოეტი აგეზიანასი თავის ლექსებში, რომლებიც ციტირებულია პლუტარქეს მიერ, უმღეროდა სხივნათელ სელენას ნეტარებით აღსავსე თვალებს, მშვენიერ ცხვირსა და მომხიბვლელ ბაგეს.

მაგრამ, მართალია, უძველესი დროიდან ადამიანებმა გამოიცნეს მისი ხასიათი, ტემპერამენტი, ერთი სიტყვით, მთვარის მორალური თვისებები, ყველაზე ბრძენიც კი მათ შორის სელენოგრაფიის სფეროსი უვიცი გახლდათ.

ასე მაგალითად, არკადიის მცხოვრებნი ამტკიცებდნენ, რომ მათი წინაპარნი დედამიწაზე ჯერ კიდევ მაშინ ცხოვრობდნენ, როცა მთვარის ხსენებაც კი არ იყო; სიმპლიციუსი მას ბროლის ცის თაღზე დაკიდებულ უმოძრაო სხეულად თვლიდა; ხოლო ტაციუსს მზის დისკოს ნამსხვრევად მიაჩნდა იგი; არისტოტელეს მოწაფე კლეარკეს გლუვი პრიალა სარკე ეგონა, რომელიც ოკეანის წყალს ირეკლავს, ზოგიერთს კი მიაჩნდა, რომ იგი დედამიწის "ამონასუნთქი" ორთქლის გროვაა, ანდა თავის ღერძის გარშემო მბრუნავი სფერო, რომლის ერთი ნაევარი ცეცხლია, მეორე კი - ყინული.

თუმაღა იმ უძველეს დროშიც ზოგმა ასტრონომმა შენიშნა მთვარის ის თვისებები, რაც თანამედროვე მეცნიერებამ დაადასტურა. ღრმა დაკვირვების შედეგად, ოპტიკური ხელსაწყოების უქონლად, მათ ამოიცნეს იმ კანონთა უმეტესობა, რომელსაც ემორჩილება ღამის მნათობი. ასე მაგალითად, თალეს მილეთელმა 460 წელს ჩვენს ერამდე გამოთქვა აზრი, რომ მთვარე მზისგან იღებს სინათლეს; ხოლო არისტარქე სამოსელმა სწორედახსნა მისი ფაზები. კლეომენი ასწავლიდა, რომ მთვარე ანათებს არეკლილი სინათლით. ხალდეი ბეროზმა აღმოაჩინა, რომ თავის ღერძის გარსემო მთვარის ბრუნვის ხანგრძლივობა ტოლია დედამიწის გარშემო მისი ბრუნვის ხანგრძლივობისა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მთვარე მუდმივად მიმართულია დედამიწისაკენ ერთი და იმავე მხარით. და ბოლოს, ჰიპარქოსმა ორი საუკუნით ადრე ქრისტიანულ ერამდე აღმოაჩნია ცნობილი უთანაბრობა დედამიწის თანამგზავრის მოძრაობაში.

ყველა ამ აღმოჩენამ დროთა განმავლობაში დიდი სამსახური გაუწია შემდგომი საუკუნეების ასტრონომებს. პტოლემაიოსმა მე-2 საუკუნეში და არაბმა აბულ-ვეითამ X საუკუნეში შეავსეს ჰიპარქოსის დაკვირვებები, ახსნეს დედამიწის თანამგზავრის მოძრაობის უთანაბრობა იმით, რომ მისი ორბიტა მზის ზეგავლენით იღებს ტალღისებურ მოხაზულობას. შემდეგ კოპერნიკმა XV საუკუნეში და ტიხო ბრაჰემ - XVI საუკუნეში დაწვრილებით აღწერეს მზის სისტემა და მთვარის როლი ციურ სხეულთა სისტემაში.

მაგრამ თუ ამ ეპოქაში უკვე ცნობილი იყო მთვარის მოძრაობის კანონები, მისი ფიზიკური აგებულება კვლავ გამოცანად რჩებოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ გალილეიმ სინათლის მოვლენები, მთვარის ფაზაში ზოგიერთი რომ მეორდება, მთვარეზე მთების არსებობით ახსნა. მათი საშუალო სიმაღლე 4500 ტუაზით განსაზღვრა.

უფრო გვიან დანციგელმა ასტრონომმა ჰეველიუსმა ამ მთების სიმაღლე დაიყვანა 2600 ტუაზამდე. მაგრამ მისმა იტალიელმა თანამოძმემ რიჩიოლიმ კვლავ აიყვანა იგი 7 ათას ტუაზამდე.

მე-18 საუკუნის ბოლოს ჰერშელმა იმ დროისათვის მძლავრი ტელესკოპის მეშვეობით მნიშვნელოვნად შეამცირა ეს რიცხვები. მაგრამ ისიც ცდებოდა. შემდეგ ამ საკითხს სწავლობდნენ: შერეტერი, ლუვილი, გალეი, ნესმისი, ბაინჩინი, პასტორფი, ლორმანი, გიუიტჰაზენი. ამ მეცნიერთა შრომებმა, განსაკუთრებით კი ბერისა და მედლერის მრავალწლოვანმა დაკვირვებებმა, საბოლოოდ გადაწყვიტეს იგი. მათი წყალობით უკვე საბოლოოდ დადგენილია მთვარის გორაკების სიმაღლე. მათ გაზომეს 1905 მთვარის მთა, აღმოჩნდა, რომ ექვსი 2600 ტუაზზე მეტია, ოცდაოთხი 2400 ტუაზს აჭარბებს, ხოლო მთვარის ყველაზე მაღალი მთა 3801 ტუაზს აღწევს.

თანდათანობით გამოირკვა მთვარის აგებულების სხვა წვრილმანებიც. მისი ზედაპირი ჩამქრალი ვულკანების კრატერებით აღმოჩნდა დაფარული, დაკვირვებებმა დაადასტურეს მათი საერთო ვულკანური ხასიათი. შემდეგ დადგინდა, რომ პლანეტებიდან მომავალი სინათლის სხივები არ გადატყდებიან მის ზედაპირზე, ვინაიდან ეს პლანეტები მთვარის დისკოთი არიან დაფარული. აქედან გამოდიოდა, რომ მთვარეზე არ არის ჰაერი, მაშასადამე, არც წყალია. ამგვარად, თუკი არსებობენ სელენიტები, ასეთ პირობებში რომ იცხოვრონ, მათ დედამიწის მცხოვრებთაგან სრულიად განსხვავებული აგებულება უნდა გააჩნდეთ.

ნელ-ნელა, დაკვირვებათა ახალი მეთოდებითა და სრულყოფილი ხელსაწყოებით გამოკვლეული იქნა მთვარის ზედაპირის თითოეული კუთხე-კუნჭული, მიუხედავად მთვარისზედაპირის საკმაო სიდიდისა: მთვარის მთელი დიამეტრი ტოლია 2150 მილისა, მისი ზედაპირი მხოლოდ ცამეტჯერ ნაკლებია დედამიწისაზე, ხოლო მოცულობა - ორმოცდაცხრაჯერ. ამისდა მიუხედავად, ასტრონომთა მახვილ თვალს არ გამოჰპრავია მთვარის არც ერთი საიდუმლოება. ასე მაგალითად, მათ შენიშნეს, რომ მთვარის გავსების ჟამს მთვარის დისკო ალაგ-ალაგ იფარება მოთეთრო ზოლებით, რომლებიც მთვარის სხვა ფაზების დროს შავად ჩანან. უფრო გულმოდგინე შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ისინი სხვა არაფერია, თუ არა გრძელი, პარალელურნაპირებიანი წვრილი ღარები, რომლებიც მეტწილად კრატერებს ემიჯნებიან. ამ კვლების სიგრძე ათიდან ას მილამდეა, სიგანე კი - რვაას ტუაზამდე. ასტრონომებმა მას მთვარის ნაბზარები უწოდეს. დღემდე გაურკვეველია, დამშრალი მდინარეების კალაპოტებია ისინი, თუ სხვა წარმოშობისაა. ამიტომაც ამერიკელებმა სხვათა შორის, მიზნად დაისახეს მთვარის გეოლოგიის ამ მოვლენის გამორკვევა. მათ აინტერესებდათ აგრეთვე პარალელური ზვინულების წარმოშობა მთვარის ზედაპირის ზოგიერთ ადგილებში რომ აღმოჩინა მიუნჰენელმა პროფესორმა გიუტჰაიზენმა. პროფესორი მათ მთვარის ინჟინრების მიერ აშენებულ სიმაგრეთა სისტემად მიიჩნევდა. ეს ორი ბუნდოვანი და, რასაკვირველია, მთელი რიგი სხვა საკითხებიც საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო მხოლოდ მთვარეზე მოგზაურობის შემდეგ.

მთვარის სინათლის საკითხი ამოხსნილად ითვლებოდა, ცნობილია, რომმისი ცხოველმყოფელობა მზისას სამასათასჯერ ჩამორჩება. მთვარის გამოსხივება თერმომეტრს არც ასწევს და არც დასწევს, რაც შეეხება "ფერფრლისფერ სინათლეს", მზის სიხვთა გამონაკრთომია. ფერფლისფერი სინათლე პირველ და ბოლო ფაზაში ნახევარმთვარეს ავსებს.

ასეთი იყო დაახლოებით ხალხის შეხედულებები დედამიწის თანამგზავრზე, როცა "საზარბაზნე კლუბმა" მიზნად დაისახა შეევსო ცნობები მთვარეზე ყველანაირად - კოსმოგრაფიულად, გეოლოგიურად, პოლიტიკურა და მორალურად.

მეექვსე თავი

იმაზე, რისი არცოდნაც შეუძლებელია. და იმაზე, რისი რწმენაც აწ უკვე აკრძალულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბარბიკენის წინადადებამ იმ ასტრონომიული საკითხებისადმი, რაც ღამის მნათობს ეხებოდა, მაშინვე გამოიწვია ღრმა და ცოცხალი ინტერესი. ყველა ერთსულოვნად შეუდგა მის შესწავლას, თითქოს აქამდე ყველასათვის შეუმჩნეველი მთვარე პირევლად ახლა გამოჩნდა ჰორიზონტზეო. მთვარე მოდაში შემოვიდა. შეინარჩუნა თავისი მოკრძალებული სახე, სეზონის ძუ ლომად იქცა და პირველი ადგილი დაიკავა დანარჩენ მნათობთა შორის. გაზეთები მაშინვე აჭრელდა ძველი ანეკდოტებით, "მგლის მზეზე". იგონებდნენ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთვარეს შორეულ უმეცარ წარსულში. ყველა თავისებურად უმღეროდა მთვარეს. კიდევ ცოტა და მთვარის გამონათქვამთა ციტირებას მოჰყვებოდნენ. ამერიკას მთვარის დაავადება შეეყარა.

თავის მხრივ სამეცნიერო ჟურნალებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხებზე, რაც "საზარბაზნე კლუბის" ამ წამოწყებას ეხებოდა. მათ გადაბეჭდეს კემბრიჯის ობსერვატორიის წერილი, ხოტბა შეასხეს მას და დაწვრილებით ახსნეს ყველა დასმული საკითხი.

ერთი სიტყვით, მალე ყველაზე ხეპრე იანკისათვისაც კი წარმოუდგენელი იყო დედამიწის თანამგზავრზე უცოდინრობის გამომჟღავნება და ყველაზე გონებაშეზღუდული ბებერი ქალბატონებიც კი იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ იმ ცრურწმენებზე, რაც მთვარეს შეეხებოდა. ისინი მეცნიერული ცნობების ზღვაში იძირებოდნენ. ყველა ხარბად ისრუტავდა ამ ცნობებს და ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი იყო დარჩენილიყვნენ სახედრად... ასტრონომიაში...

იმ დრომდე ბევრს არ ესმოდა, როგორ გაეზომათ მანძილი დედამიწიდან მთვარემდე, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებმა ისარგებლეს შემთხვევით და ახსენეს, რომ ამისათვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ მთვარის პარალექსის გაზომვა. მათ, ვისაც სიტყვა "პარალექსი" ზედმეტად ბრძნულად მიაჩნდათ, განუმარტეს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ კუთხეა ორ სწორ ხაზს შორის, გავლებული დედამიწის რადიუსის ორივე ბოლოდა მთვარის ცენტრალმდე დასასრულს, რათა ყოველგვარი ეჭვები გაეფანტათ. სასწარაფოდ განაცხადეს, რომ ასეტი მეთოდით გაზომილი მანძილი დედამიწიდან მთვარემდე შეადგენს 234.347 მილს; თანაც შეცდომა 70 მილს არ აღემატებაო.

ასევე, ვისაც მთვარის მოძრაობაზე ცოტად თუ ბევრად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა - ჟურნალ-გაზეთები ყოველდღიურად უმტკიცებდნენ, რომ მთვარეს ორი განსხვავებული მოძრაობა აქვს: ერთი - ბრუნავს ღერძის გარშემო და მეორე - ბრუნავს დედამიწის გარშემო. სხვათა შორის სრულ წრეს იგი ორივე შემთხვევაში ერთი და იმვე დროის მონაკვეთში აკეთებს, კერძოდ 271/3 დღეღამის განმავლობაში.

მთვარის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო ქმნის დღესა და ღამეს, მაგრამ ეს ისეთი დღე-ღამეობაა, რომელიც მთელი თავის მანძილზე გრძელდება. მაშასადამე, მთვარეზე დღე და ღამის ხანგრძლივობა 3541/3 საათს შეადგენს. მაგრამ მისდა საბედნიეროდ, დედამიწისაკენ მიმართული ზედაპირი ნათდება ჩვენი პლანეტით, რომლის სინათლე თავისი სიძლიერით 14 მთვარის სინათლის ტოლია. რაც შეეხება მეორე, ჩვენთვის უხილავ მთვარის მხარეს, საგულისხმოა, რომ იქ 354 ღამის სათის მანძილზე სრული სიბნელე მეფობს, თუ არ ჩავთვლით ციური მნათობების მკრთალ სინათლეს. ეს მოლენა აიხსნება იმით, რომ ღერძის გარშემო მთვარის ბრუნვის დრო ზუსტად ემთხვევა დედამიწის გარშემო ბრუნვის ხანგრძლივობას. როგორც კასინიმ და გერშელმა დაადგინეს, ზუსტად მსგავსი მოვლენა შეინიშნება იუპიტერის თანამგზავრების მიმართ. სავსებით სარწმუნოა, რომ იგივე ახასიათებს სხვა პლანეტების თანამგზავრებსაც.

აღმოჩნდნენ, რასაკვირველია, ისეთებიც, რომელთაც დასაწყისში არ სჯეროდათ, რომ მთვარე დედამიწისკენ ყოველთვის ერთი და იმავე მხარით არის მოქცეული და ამავე დროს იგი ბრუნავს დედამიწისა და თავისი ღერძის გარშემოც.

ასეთ ხალხს ურჩევდნენ: "დადექით სასადილო მაგიდასთან და დაიწყეთ სიარული მრგვალი მაგიდის გარშემო ისე, რომ თვალი არ მოაცილოთ მის ცენტრს. როდესაც შემოუვლით მაგდას, დაინახავთ, რომ თქვენ ამავე დროს სრულიდ გარშემოუართ თქვენსავე თავს. რადგანაც თქვენმა თვალმა თანმიმდევრულად შემოიარა ოთახის ყოველი კუთხე. და აი პასუხიც: "სასადილო ცაა, მაგიდა - დედამიწა, ხოლო თქვენ მთვარე ხართ". და ადამიანებიც აღტაცებულნი იყვნენ ასეთი შედარებებით.

მაშ ასე, მთვარე დედამიწას უჩვენებს ყოველთვის ერთ და იმავე მხარეს. სიზუსტისათვის საჭიროა დავუმატოთ, რომ მთვარის ლიბრაციის ანუ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მისი მცირე რწევის სედეგად ადამიანები ცოტად თუ ბევრად ხედავენ მთვარის ზედაპირის უმეტეს ნაწილს, სახელდობრ ორმოცდაჩვიდმეტ მეასედს.

მას შემდეგ, რაც რიგითმა ამერიკელმა, მთვარის თავის ღერძის გარშემო მოძრაობის შესახებ, მიიღო ისეთივე ცოდნა, როგორც კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორმა, იგი დიდი მონდომებით შეუდგა დედამიწის გარშემო მთვარის მოძრაობის შესწავლას. ათობიტ ჟურნალ-გაზეთი მაშინვე გამოეხმაურა მის ცხოველ ინტერესს. მან მაშინვე შეიცნო, რომ ცა თავისი უთვალავი ვარსკვლავებით შეიძლება შეადარო უშველებელ ციფერბლატს, რომელზეც დადის მთვარე და უჩვენებზ ზუსტ დროს დედამიწის ბინადართ; რომ ღამის მნათობის მოძრაბასთანაა დაკავშირებული მისი ფაზები; რომ სრულ მთვარეს ჩვენ ვხედავთ მაშინ, როცა იგი მზესთან "საწინააღმდეგო მდგომარეობაშია" დედამიწასთან შეფარდებით, უფრო ზუსტად, როდესაც სამივე მნათობი ერთსა და იმავე ხაზზე იმყოფება, თანაც დედამიწა მთვარესა და მზეს შორისაა მოქცეული; რომ მთვარე ივსება მაშინ, როდესაც ის მზესთან არის შეერთებული, ანუ როცა მზესა და დედამიწას შორის ექცევა და ბოლოს, რომ მთვარე პირველ ან უკანასკნელ მეოთხედში იქნება მაშინ, როცა ხაზები მთვარის ცენტრიდან წამოსული გამავალი დედამიწისა და მზის ცენტრისაკენ, ერთმანეთში წარმოქმნიან სწორუკუთხედს.

აქედან საზრიან იანკის შეეძლო საკუთარი მოსაზრებით მისულიყო დასკვნამდე - რომ მზისა და მთვარის დაბნელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მთვარე შეერთებულია მზესთან ან იმყოფება მზის საწინააღმდეგო მდგომარეობაში.

მართლაც, მთვარე რომ მზეს შეუერთდება, მთვარეს შეუძლია მზე დააბნელოს, ხოლო, როცა საწინააღმდეგო მდგომარეობასია, მაშინ დედამიწა დააბნელებს მთვარეს. და თუ ეს რეგულარულად არ ხდება თვეში ორჯერ, იმიტომ რომ მთვარის ორბიტის სიბრტყე რამდენადმე დახრილია დედამიწის ორბიტის სიბრტყესთან შედარებით.

რაც შეეხება საკითხს - როგორ სიმაღლეზე შეიძლება იყოს მთვარე დედამიწის ჰორიზონტიდან, ამაზე ამომწურავ პასუხს კემბრიჯის ობსერვატორიის წერილი იძლეოდა. წერილიდან ყველამ შეიტყო, რომ მთვარის სიმაღლე დამოკიდებულია დაკვირვების ადგილის სიგანეზე, თუმცა მთვარეს შეუძლია მიაღწიოს ზენიტს, ანუ დასცქეროდეს ზემოდან მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთ განედის 28° და ჩდილოეთ განედის 28° შორის მყოფ დამკვირვებელს. აქედან გამომდინარეობდა მითითება, რომ ყუმბარის გასროლა მთვარის მიმართულებით აუცილებელია მოხდეს აღნიშნული ზონის ერთ-ერთი პუნქტიდან, რადგან მხოლოდ მაშინ შეიძლება იმ მიმართულებით გასროლა, რომელიც პერპენდიკულარულია ჰორიზონტისადმი და ყუმბარაც უფრო მალე განთავისუფლდება დედამიწის მიზიდულობის ძალისაგან. ეს მითითება მეტად არსებითი იყო წარმატებისათვის, ამ კითხვებით იყო დაკავებული თითოეული ამერიკელის აზრი და გონება.

კემბრიჯის ობსერვატორიის წერილის შემდეგ ყველაზე ბრიყვებმაც კი გაიგეს. რომ მთვარე შემოწერს არა წრეს, არამდე ელიფსს. ამასთანავე დედამიწა მოქცეულია მთვარის ერთ-ერთ ფოკუსში, რომ ყველა სხვა პლანეტა და თანამგზავრიც მოძრაობს ესლისფური ორბიტებიტ და თეორიული მექანიკა ყოველგვარი დაცვის გარეშე ამტკიცებს. რომ სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. დამტკიცდა აგრეთე, რომ აპოგეაში ყოფნისას მთვარე უკიდურსი მანძილითაა დაშორებული დედამიწიდან და პირიქით, ყველაზე ახლოს დედამიწასთან მაშინაა, როდესაც გაივლის თავის "პერიგეას".

ყოელივე ამას ნებით თუ უნებლიეთ იგებდ თითოეული იანკი და საერთოდ სირცხვილიც კი იყო ასეთი უბრალო რამეების არცოდნა. მაგრამ თუკი ეს ასტრონომიული ჭეშმარიტებანი სწრაფად და ადვილად ვრცელდებოდა, შედარებით უფრო ძნელი აღმოჩნდა ადამიანთა გონებაში გამჯდარი ყოველგვარი უსაფუძვლო ცრურწმენებასა და მთელი რიგი შეცდომების აღმოფხვრა.

ასე მაგალითად, ზოგიერთი წარჩინებული პირი ამტკიცებდა, რომ მთვარე ოდესღაც კომეტა იყო, იგი ბრუნავდა გაჭიმულ ორბიტაზე, მზის გარშემო, აქედან მეტისმეტად დაუახლოვდა დედამიწას და მისი მიზიდულობის არეში მოექცა. "შინგამოჩეკილი" ასტრონომები ამ თეორიით ცდილობდნენ, აეხსნათ, მთვარეს ამიტომ აქვს გარუჯული, გატრუსული იერიო. ამ გამოუსწორებელ უბედურებას ისინი მზეს აბრალებდნენ. მაგრამ, როცა მათ ეუბნებოდნენ, კომეტებს ატმოსფერო აქვთ, მთვარეს კი არაო, პასუხის გაცემა უჭირდათ.

სხვა მშიშარა ობივატელები კი მთვარის ადგილსამყოფელის გამო გამოთქვამდნენ შეშფოთებას: ხალიფების დროინდელი დაკვირვებების ახლანდელთან შედრებისსას, გამოირკვა, რომ მთვარის მოძრაობა დედამიწის გარშემო რამდენადმე აჩქარებულა. ყური მოჰკრეს რა მათ ამ ამბავს, აქედან გამოჰქონდათ სწორი ლოგიკური დასკვნა: თუკი ეს აჩქარებული მოძრაობა გამოიწვევს ორ მნათობს სორის მანძილის შემცირებას, მაშინ ბოლოს და ბოლოს მთვარე აუცილებლად დაეცემა დედამიწას. მაგრამ ისინი მალე დანშვიდნენ და მომავალ თაობათა ბედ-იღბალზე წუხილი შეწყვიტეს, როდესაც აუხსნეს, რომ დიდი ფრანგი მეცნიერის, მათმატიკოს ლაპლასის გამოანგარიშებათა თანახმად, ეს აჩქარება

ერთობ უმნიშვნელოა და როგორც კი იგი მიაღწევს თავის უკიდურეს ზღვარს, კვლავ დაუბრუნდება უწინდელ ნელ მოძრაობას. ასე, რომ, მზის სისტემაში წონასწორობის დარღვევის საშიშროება არ არსებობსო.

რჩებოდა კიდეც უცოდინართა მრავალრიცხოვანი კატეგორია, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, რომ გაჩუმება სჯობდა უვიცობის გამჟღავნებას. ისინი ათასგვარ სისულელეს ყვებოდნენ და ამტკიცებდნენ, ყველაფერი ვიცით მთვარის შესახებო. ზოგი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მთვარე სხვა არაფერია, თუ არა დიდი სარკე, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ დაინახონ ერთმანეთი დედამიწის სხვადასხვა ადგილიდან და აზრიც კი გაუზიარონ ურთიერთს. მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ ახალი მთვარის მოქცევას თან ახლავს ათასი უბედურება: კატაკლიზმები, გადატრიალებები, მიწისძვრები, წყალდიდობები და სხვა. მათ სჯეროდათ ადამიანის ბედზე მთვარის საიდუმლო ზემოქმედებისა. ისინი თვლიდნენ, რომ თითოეულ "სელენიტსა" და დედამიწის თითოეულ ბინადარს შორის არსებობს რაღაც იდუმალი კავსირი. დოქტორ მედომთან ერთად ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის ორგანიზმი მთლიანად ექვემდებარება მთვარის ზემოქმედებას - იმ ზომამდეც კი, რომ ვაჟები ახალი მთვარის დროს იბადებიან. ხოლო გოგონები - მთვარის მილევის ჟამს და ა.შ.

ბოლოს და ბოლოს ობივატელები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ თავიანთ სულელურ აზრებზე და ეწამათ მეცნიერული ჭეშმარიტებანი. და თუკი მთვარის ზოგმა თაყვანისმცემელმა, იმედგაცრუებულმა მისი იდუმალი ძალის არარსებობის გამო, ზურგი შეაქცია მას, სამაგიეროდ, ფართო მასებში მთვარემ უდიდესი პოპულარუობა მოიხვეჭა.

ყველა პატივმოყვარე იანკი გაიმსჭვალა იმ რწმენით, რომ დაეპყრო მთვარის მატერიკი და აღემართა ა.შ.შ.-ის დროშა მის უმაღლეს მწვერვალზე.

მეშვიდე თავი

ჰიმნი ყუმბარას

7 ოქტომბრის წერილში კემბრიჯის ობსერვატორიამ საკითხი ასტრონომიული თვალთახედვით განიხილა. ახლა მხოლოდ და მხოლოდ საქმის ტექნიკური მხარე რჩებოდა გადასაწყვეტი. აი, სწორე აქ იჩინა თავი გართულებებმა, რომელიც სხვა ქვეყანაში გადაულახავი მოეჩვენებოდათ, მაგრამ იანკისათვის იგი ბავშვური თამაში გახლდათ.

ბარბიკენმა დროის დაუკარგავად დანიშნა აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. კომიტეტმა მიზნად დაისახა, სამ სხდომაზე განეხილათ სამი ძირითადი საკითხი - ზარბაზნის, ყუმბარისა და დენთის: კომიტეტში შევიდა ოთხი კაცი. თვით ბარბიკენი - გადამწყვეტი ხმით უთანხმოების შემთხვევაში; გენერალი მორგანი, მაიორი ელფისტონი და ფრიად საჭირო ჯონ მასტონი. მას მდივან-მომხსენებლის მოვალეობას დაეკისრა.

კომიტეტი 8 ოქტომბერს ბარბიკენის ბინაზე შეიკრიბა, რესპუბლიკის ქუჩის N3-ში "საზარბაზნე კლუბის" ოთხივე წევრი მაგიდას მიუჯდა, მაგიდაზე სანდვიჩებით სავსე საგნები და საკმაოდ მოზრდილი ჩაის ჭურჭელი დაევალებინათ. ასე რომ, ეს ფრიად საქმიანი სხდომა შეიძლება ვახშამდე გაგრძელებულიყო, მდივანმა მასტონმა

მიახრახნა საწერი კალამი თავის რკინის კავს და სხდომაც დაიწყო. სიტყვა ბარბიკენმა აიღო:

- ძვირფასო კოლეგებო! ჩვენ გადასაწყვეტი გვაქვს ბალისტიკის, ამ მეცნიერებათა მეცნიერების, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა.

- ო, ბალისტიკა, ბალისტიკა! - აღტაცებიტ წამოიძახა მასტონმა.

- მე მგონია, რაციონალური იქნება, - განაგრძო ბარბიკენმა, - თუ ჩვენს სხდომას დავიწყებთ იარაღის საკითხის განხილვით.

- რა თქმა უნდა! - ჩაურთო მორგანმა.

- თუმცა, - დაუმატა ბარბიკენმა, - სერიოზული მოფიქრების შემდეგ, მიმაჩნია, რომ ყუმბარის საკითხი პირველ რიგში უნდა გადაწყდეს, რამდენადაც ზარბაზნის ზომა დამოკიდებული იქნება ყუმბარის მოცულობასა და წონაზე.

- მომეცით სიტყვა! - წამოიძახა მასტონმა.

წარსულში დიდი დამსახურების გამო ყველამ ხალისით დართო ნება, ეთქვა სიტყვა.

- ძვირფასო მეგობრებო! - მღელვარებით დაიწყო მან, - ჩვენი პრეზიდენტი სავსებით მართალია, როდესაც პირველობა ყუმბარას მიანიჭა ყველა დანარჩენთან შედარებით. ყუმბარა ხომ მაცნეა, ჩვენი პირველი ელჩია, რომელსაც ჩვენ მთვარეზე ვაგზავნით. ამიტომ მოვითხოვ, ამ საკითხს შეხედოთ წმინდა მორალური თვალსაზრისითაც.

ამ ახალმა შეხედულებამ ყუმბარაზე მაშინვე დიდი ინტერესი გამოიწვია და კომიტტის წევრები უფრო დაიძაბნენ მოსასმენად.

- ღირსეულო კოლეგებო! - განაგრძო მასტონმა, - თავს არ შეგაწყენთ და არ შევეხები ყუმბარის მომაკვდინებელ ფიზიკურ მხარეს, მე ვილაპარაკებ ყუმბარის მხოლოდ მათემატიკურ და მორალურ მხარეზე. ყუმბარა, ჩემის აზრით, ყველაზე ნეთელი გამოხატულებაა ადამიანის ძალისა. სწორედ ყუმბარაშია თავმოყრილი მთელი მისი ძლიერება. მისი შექმნით ადამიანი ყველაზე მეტად დაუახლოვდა ქვეყნიერების შემოქმედს.

- დიდებულია! - წამოიძახა მაიორმა ელფისტონმა.

- და მარტლაც, - განაგრძობდა ორატორი, - თუკი ღმერთმა შექმნა ვარსკვლავები და პლანეტები, ადამიანი ყუმბარის შემქმნელია. ყუმბარა ეს ციური სხეულია მინიატურაში. მნათობები სხვა არაფერია, თუ არა უზარმაზარი ყუმბარები, სამყაროს სივრცეებში რომ დაფრინავენ. ღმერტიდან მოდის ელექტრობის, სინათლის, ვარსკვლავების, კომეტების, პლანეტების სიჩქარე, მატი თანამგზავრების, ხმის, ქარის სიჩქარე! მაგრამ ჩვენგან გამომდინარეობს ყუმბარის სიჩქარე, ასჯერ უფრო რომ აღემატება მატარებლებისა და ყველაზე სწრფი ცხენების სიჩქარეს.

მასტონი ექსტაზში შევიდა. მის ხმაში ჟღერდა ლირიული ნოტები. იგი ქებათა ქებას ასხამდა ყუმბარას.

- გნებავთ ციფრები? - აი ისინიც, აიღეთ ყველაზე პატარა ოცდაოთხფუტიანი ყუმბარა, თუმცა იგი 800.000-ჯერ ნაკლები სიჩქარით მოძრაობს, ვიდრე ელექტროდენი, 640.000-ჯერ ნაკლებია სინათლის სხივზე და 76-ჯერ ნაკლები მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის სიჩქარეზე, მაინც ზარბაზნიდან გასროლის შემდეგ იგი მიქრის ხმაზე უსწრაფესად, წელიწადში გაივლის 7.330.650 მილს, მთვარეს თერთმეტი დღის შემდეგ მიაღწევს, ხოლო მზეს - მეთორმეტე წელს, ნეპტუნამდე - მზის სისტემის საზღვრამდე - სამას სამოცი წლის შემდეგ. აი, რას შესძლებდა ეს მოკრძალებული ყუმბარა - ჩვენი ხელით გაკეთებული. ხოლო რა მოხდება მაშინ, თუ შევქმნიტ ოცჯერ მეტ სიჩქარეს. ოჰ, საოცარო ყუმბარავ! მომაჯადოებელო იარაღო! მე

ვოცნებობ იმ დროზე, როცა იქ, სიმაღლეზე - შენ პატივისცემით მიგიღებენ, როგორც დედამიწის ღირსეულ წარგზავნილს!

ამ მაღალფარდოვანმა სიტყვამ ერთსულოვანი ვაშა გამოიწვია. მასტონი აღელვებული ჩაეშვა სავარძელში. კოლეგებმა მას მხურვალედ მიულოცეს.

- ახლა კი, - თქვა ბარბიკენმა, - როცა პოეზიას უხვად მიუზღეთ ხარკი, შევუდგეთ საკითხის განხივლას.

- ჩვენ მზად გახლავართ. - გამოეხმაურნენ კომიტეტის წევრები.

- თქვენ იცით, რა პრობლემაც გვაქვს გადასაწყვეტი: საჭიროა ყუმბარამ განავითაროს 12 ათასი იარდის სიჩქარე წამში. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ამს შევძლებთ. თუმცა შეგახსენებთ, რა სიჩქარეებს მიაღწიეს პრაქტიკულად. გენერალი მორგანი უარს არ გვეტყვის, გაგვაცნოს სათანადო მონაცემები.

- ეს ჩემთვის არაფერია, - უპასუხა გენერალმა. - მითუმეტეს, რომ ომის დროს იმ კომისიის წევრი ვიყავი, იარაღს რომ ცდიდა. შემიძლია ვთქვა, დალგრინის ზარბაზნები უშვებდნენ ყუმბარებს წამში 500 იარდის სიჩქარით.

- კარგი. მაგრამ როდმენის კოლუბიადა? - იკითხა ბარბიკენმა.

- როდმენის კოლუმბიადამ ჰამილტონის პორტსი გამოცდისას გასტყორცნა ნახევარტონიანი ჭურვი ექვსი მილის მანძილზე. წამში რვაასი იარდის სიჩქარით. ამ შედეგს ვერაფრით ვერ მიაღწიეს არმსტრონგმა და პალიზერმა ინგლისსი.

- ინგლისელებს რა ვუთხარი. - აღმოხდა მასტონს და თავისი რკინის კავით აღმოსავლეთს დაემუქრა.

- მაშ ასე, რვაასი იარდი? - იკითხა ბარბიკენმა, - ამ უდიდეს საწყის სიჩქარეს მიაღწია ზარბაზნის ყუმბარამ?

- დიახ! - უპასუხა გენერალმა.

- უნდა გითხრათ, - ჩაურტო მასტონმა, - ჩემი მორტირი რომ არ გახეთქილიყო...

- დიახ, იგი გასკდა... - ჩამოართვა სიტყვა ღიმილით ბარბიკენმა, - ამიტომ ავიღოთ საწყის სიჩქარედ რვაასი იარდი წამში. საჭიროა იგი ოცჯერ გადიდდეს. გადაგვაქვს რა შემდგომი სხდომისათვის წესების განხილვა, რომლითაც შეიძლება მივაღწიოთ საჭირო სიჩქარეს, თქვენს ყურადღებას, ძვირფასო კოლეგებო, შევაჩერებ იმაზე, თუ რა ზომა მივცეთ ყუმბარას. რასაკვირველია, ახლა უკვე საქმე ეხება არანახევარტონიან ყუმბარას.

- რატომაც არა? - იკითხა მაიორმა.

- იმიტომ რომ, იგი ყუმბარაა. - შეაწყვეტინა მასტონმა, - საჭიროა დიდი მოცულობის იყოს, რომ მიიპყროს მთვარის მცხოვრებთა ყურადღება... თუკი, რასაკვირველია, ისინი არსებობენ.

- რა თქმა უნდა, - თქვა ბარბიკენმა, - მაგრამ ამას გარდა არსებობს უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი.

- რა მიზეზი, ბარბიკენ? - ჰკითხა მაიორმა.

- არ კმარა მარტო ყუმბარის გასროლა, საჭიროა თვალყური ვადევნოთ ყუმბარის ფრენას მთვარეზე დაცემის მომენტამდე.

- რაო?! - ერთხმად წამოიძახეს მაიორმა და გენერალმა, ამ სიტყვებით განცვიფრებულებმა.

- უეჭველად! - მტკიცედ მოსჭრა ბარბიკენმა. - სხვანაირად ჩვენი ცდა უშედეგოდ დამთავრდება.

- კი მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ყუმბარა ხომ უზარმაზარი ზომის უნდა იყოს? - იკითხა მაიორმა.

- არც თუ ისე დიდი. მომისმინეთ, თქვენ იცით, რა სრულყოფილი ხელსაწყოები არსებობს ახლა; ტელესკოპები ექვსიათასჯერ ადიდებენ მთვარეს, უფრო სწორად, გვიახლოვებენ მთვარს ორმოცი მილის მანძილზე. ასეთ მანძილზე სამოცი ფუტის სიგრძის საგნები უკვე კარგად ჩანან. მკრთალი, მთვარის - მზის ამ სარკის - არეკლილი სინათლე, ხელს რომ არ უშლდეს ხედვით ზრდას, შესაძლებელი იქნებოდა გამოგვეყენებინა უფრო მძლავრი ტელესკოპები.

- მაშ, თქვენ გინდათ სექმნათ 600 ფუტის დიამეტრის ყუმბარა?

- სრულიადაც არა.

- მაშ, იქნებ გსურთ მთვარის სინათლე უფრო მკაფიო გახადოთ?

- დიახაც.

- აი, ეს მესმის! - წამოიძახა ჯონ მასტონმა.

- ეს ძალზე იოლია. - უპასუხა ბარბიკენმა - თუ შევამცირებთ ატმოსფერული ბირთვის სისქეს, რომლის მეშვეობითაც გვიხდება მთვარის დაკვირვება, მაშინ მთვარის სინათლე ხომ უფრო მკვეთრი გახდება?

- ალბათ, ასეა, - დაეთანხმა ელფისტონი.

- ასე, რომ, სასურველი შედეგების მისაღწევად, საკმარისია. ჩვენი ტელესკოპი დავაყენოთ მაღალ მთაზე. ასედაც მოვიქცევით.

- თითს ვკაკვავ, - თქვა მაიორმა. - თქვენ საოცრად გეხერხებათ ამოცანის გაიოლება!... მაგრამ ასეთი ხერხით რამდენით გაადიდებთ მას?

- ორმოცდარვაათასჯერ, და მაშინ ჩვენ მთვარს ხუთი მილის დაშორებით დავინახავთ. ასეთ მანძილზე კი შესაძლებელია ცხრა ფუტი სიგრძის მქონე საგნის დანახვაც.

- შესანიშნავია! - წამოიძახა მასტონმა. - მაშასადამე, ჩვენს ყუმბარას ცხრა ფუტი დიამეტრი ექნება.

- სწორედ ასეა!

- მაგრამ. ნება მიბოძეთ, შევნიშნო, - შეეპასუხა მაიორი ელფისტონი, - ამ ხერხით ისეთი უზარმაზარი წონის ყუმბარას მივიღებთ, რომ...

- მოითმინეთ, მაიორო! - შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - ვიდრე დავიწყებდეთ ყუმბარის ზომის განხილვას, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა სასწაულებს მიაღწიეს ამ დარგში. რასაკვირველია, არ შეიძლება საკამათო იყოს ის ამბავი, რომ შუა საუკუნეებში დღევანდელზე უფრო საოცარ შედეგს აღწევდნენ.

- გვიამბეთ! - ურწმუნოდ გააგრძელა მორგანმა.

- დაგვიმტკიცეთ! - წამოიძახა ფიცხმა მასტონმა.

- ამაზე ადვილი არაფერია! - მშვიდად მუგო ბარბიკენმა, - შემიძლია მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი. ასე, მაგალითად 1543 წელს, როცა მუჰამედ II ალყა შემოარტყა კონსტანტინეპოლს, ისროდნენ 1900 გირვანქიან ქვის ყუმბარას.

- ოჰ, ოჰ! - წამოიძახა მაიორმა. - 1900 გირვანქა საკმაოდ დიდი წონაა!

- მალტაში, რაინდობის ეპოქაში, ფორტ სენტ-ელმიდან ნასროლი ყუმბარა იწონიდა 2.500 გირვანქას.

- შეუძლებელია!

- და ბოლოს, ერთ-ერთი ფრანგი ისტორიკოსის სიტყვით, ლუდოვიკო XI დოინდელი მორტირიდან ნატყორნი ყუმბარა იწონიდა სულ 500 გირვანქას, მაგრამ ამ ყუმბარებს სტყორცნიდნენ ბასტილიიდან, სადაც სულელებს ჭკვიანები ჰყავდათ გამომწყვდეული და მიფრინავდნენ შარანტონამდე, სადაც გონიერები გიჟებს ატყვევებდნენ.

- დიდებულია! - შენიშნა მასტონმა.

- მაგრამ, რას ვხედავ თანამედროვე ხანაში? - განაგრძობდა ბარბიკენი. - არმსტრონგის ზარბაზნები მხოლოდ 500 გირვანქიან ჭურვს ისვრიან. ხოლო როდმენის კოლუმბიადები ნახევარ ტონას. გამოდის, რომ გაიზრდა ჭურვების ფრენის მანძილი, ხოლო წონა შემცირდა. ჩვენ სულ სხვა მიმართულებით უნდა წავიდეტ. გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები და ათჯერ გავზარდოთ მუჰამედ მეორისა და მალტის რაინდთა ჭურვების წონა.

- ასეც უნდა იყოს, - უპასუხა მაიორმა. - რა ლითონს გვთავაზობთ ყუმბარისათვის?

- ფუი!... თუჯი... - ზიზღით აღმოხდა მასტონს, - ძალზე მდარე იქნება სამთვარეო ჭურვისათვის.

- ნუ ვიქნებით ძალიან მომთხოვნნი, ჩემო ღირსეულო მეგობარო. - მიუგო მორგანმა. - თუჯიც გამოდგება.

- მოითმინეთ! - კვლავ შეედავა მაიორი ელფისტონი, - ჭურვის წონა მისი მოცულობის პროპორციულია; მაშასადამე, ცხრა ფუტი დიამეტრის მქონე წურვი უზარმაზარი წონისა იქნება.

- მართალია, იგი უზარმაზარი გამოვა, თუ მთლიანი იქნება, მაგრამ არც იმდენად დიდი - თუ ღრუ ექნება.

- ღრუ, მაშასადამე ყუმბარა?

- შიგ დეპეშებსაც ჩავდებთ და ჩვენი, დედამიწის ნაკეთობათა ნიმუშებსაც!

- დიახ, ყუმბარა, - თქვა ბარბიკენმა, - ჩვენ სწორედ ყუმბარა გვჭირდება! მთლიანი ჭურვი 108 დიუმი რადიუსი მქონე, აიწონიდა ორას ათას გირვანქაზე მეტს. ეს კი უდაოდ, მეტისმეტია. მაგრამ რაკიღა ყუმბარა საკმაოდ გამძლე უნდა იყოს, წინადადება შემომაქვს, იგი ოცი ათას გირვანქიანი გაკეთდეს.

- როგორი უნდა იყოს მისი კედლების სისქე? - იკითხა მაიორმა.

- თუ დავიცავთ დადგენილ პროპორციებს, - შენიშნა მორგანმა, - მაშინ 108 დიუმის დიამეტრის მქონე ყუმბარის კედელი უნდა იყოს სულ მცირე ორი ფუტის სისქისა.

- ეს ძალიან ბევრია, - უპასუხა ბარბიკენმა. - ლაპარაკია არა ლითონის ჯავშნის გახვრეტაზე, არამედ იმაზე, რომ კედლებმა გაუძლონ დენთის გაზების მოწოლას. ასე რომ, გადასაწყვეტია, რა სისქე უნდა ჰქონდეს თუჯის ყუმბარის კედლებს, რომ გი იწონიდეს 20.000-ს გირვანქას. ჩვენი სახელოვანი მათემატიკოსი, ჩვენი დიადი მასტონი, ამას ახლავე გამოგვიანგარიშებს.

- ამაზე იოლი რა არის? - უპასუხა კომიტეტის საპატიო მდივანმა.

სასწრაფოდ შეადგინა ალგებრული ფორმულები, და ერტი კალმის მოსმით კვადრატში აიყვანა სხვადასხვა Π და X-ები, შემდეგ მან გონებაში კუბური ფესვი ამოხსნა და თქვა:

- კედლები სულ ორი დიუმის სისქისა იქნება.

- ნუთუ ეს საკმარისია? - დაეჭვდა მაიორი.

- ნამდვილად არა. - უპასუხა ბარბიკენმა.

- მაშ, რა ვქნათ? - შიშით იკითხა ელფისტონმა.

- საჭიროა ავიღოთ არა თუჯი, არამედ სხვა ლითონი, - უპასუხა ბარბიკენმა.

- სპილენძი? - დაინტერესდა მორგანი.

- არა, სპილენძი ძალზე მძიმეა. მე თქვენ რამდენადმე უკეთესს შემოგთავაზებთ.

- სახელდობრ რას? - შეეკითხა მაიორი.

- ალუმინს! - უპასუხა ბარბიკენმა.

- ალუმინს? - გაუკვირდათ კოლეგებს.

- დიახ, ჩემო მეგობრებო, მოგეხსენებათ, რომ გამოჩენილ ფრანგ ქიმიკოსს ანრი სენტ კლერ ლევილს ბედნიერება ხვდა წილად 1854 წელს მიერო მნიშვნელოვანი რაონდეობის ალუმინი. ამ ძვირფას ლითონს გააჩნია ვერცხლის სითეთრე, ოქროს უჟანგველობა, რკინის სიმკვრივე, სპილენზის დრეკადობა და შუშის სიმსუბუქე. იგი ადვილი დასამუშავებელია. ადვილად მოიპოვება ბუნებაში, ამასთანავე იგი სამჯერ მსუბუქია რკინაზე და თითქოს საგანგებოდ ჩვენი ყუმბარისათვის არის შექმნილი.

- გაუმარჯოს ალუმინს! - წამოიძახა კომიტეტის მდივანმა.

- მაგრამ ალუმინი ხომ ძალზე ძვირია, ძვირფასო პრეზიდენტო. - შენიშნა მაიორმა.

- ეს ადრე იყო, - უპასუხა ბარბიკენმა, - თავდაპირველად, როდესაც აღმოაჩინეს, ერთი გირვანქა ალუმინის ფასი 260-280 დოლარს აღწევდა. შემდეგ ოცდაშვიდ დოლარამდე დაეცა, ახლა კი 9 დოლარად შეიძლება შევიძინოთ.

- ისე 9 დოლარიც ძვირია. - არ ნებდებოდა მაიორი.

- რასაკვირველია, ძვირფასო მაიორო, თუმცა მიუწვდომელი მაინც არაა.

- რამდენს აიწონის ასეთი ყუმბარა? - იკითხა მორგანმა.

- ჩემი გამოთვლების შედეგი ასეთია, - უპასუხა ბარბიკენმა, - 108 დიუმის დიამეტრისა და 12 დიუმის სისქის კედლების მქონე თუჯის ყუმბარა აიწონიდა 77. 440 გირვანქა, ხოლო თუ მას ალუმინისაგან დავამზადებტ, მისი წონა 19. 250 გირვანქამდე დავა.

- შესანიშნავია! - წამოიძახა მისტონმა, - სწორედ რომ ხელს გვაძლევს.

- შესანიშნავი კია, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ 18 დოლარს თითო გირვანქაზე, იგი დაგვიჯდება...

173.280 დოლარი. მე ეს ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ნუ წუხხართ, ჩემო მეგობრებო, ჩვენი წარმოებისათვის საკმაო ფული გვექნება, ამის თავდები მე ვარ.

- ჩვენს სალაროში ოქრო ნიაღვარივით შემოვა, - დაუმატა მასტონმა.

- როგორ გადაწყვიტეთ ალუმინის საკითხი? - იკითხა პრეზიდენტმა.

- მიღებულია! - უპასუხეს კომიტეტის წევრებმა.

- ხოლო რაც შეეხება ყუმბარის ფორმას, - დაუმატა ბარბიკენმა, - მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ვინაიდან ყუმბარა გასცდება თუ არა ატმოსფეროს, იფრენს უჰაერო სივრცეში. ამიტომ მე გთავაზობთ ბუშტის ფორმას, დაე, ჩვენმა ყუმბარამ, რამდენიც მოეპრიანება იმდენი იბრუნოს თავისი ღერძის გარშემო.

ამით დამთავრდა კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდა ყუმბარის საკითხი. ჯ. ტ. მასტონი აღტაცებული იყო, რომ სელენიტებს ალუმინის ყუმბარას გაუგზავნიდნენ.

- დაე, იმ ბატონებს შეექმნათ სათანადო წარმოდგენა დედამიწის ბინადრებზე!

მერვე თავი

ზარბაზნის ამბავი

რვა ოქტომბრის სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. გაუბედავ ადამიანებს იმის გაფიქრებაც კი შიშს ჰგვრიდა, რომ სივრცეში დაახლოებით ოცგირვანქიანი ყუმბარა უნდა გაეშვათ. თავიანთ თავს ეკითხებოდნენ: როგორი იქნება ის ზარბაზანი, რომელიც ამხელა ყუმბარას გაისვრის

და თანაც ისეთი სიჩქარით, რაც ამ წონას შეეფერება? ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი უნდა გაეცა კომიტეტის მეორე სხდომას.

მეორ დღეს, საღამოს ისევ გაიმართა "საზარბაზნე კლუბის" კომიტეტის სხდომა. მაგიდაზე ისევ ბლომად იყო დახვავებული ბუტერბროდები, ჩაიც ულევად ჰქონდათ. მაშინვე შეუდგნენ საკითხის განხილვას, ამჯერად ყოველგვარ შესავალ სიტყვებს გვერდი აუარეს.

- ძვირფასო კოლეგებო, - დაიწყო ბარბიკენმა, - დღეს უნდა განვიხილოთ ზარბაზნის საკითხი: უნდა განვსაზღვროთ მისი ფორმა, სიგრძე, მასალა და წონა. მის ზომა უთუოდ უზარმაზარი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ინდუსტრიული გენია ყველა სიძნელეს დაძლევს. გთხოვთ, ყური დამიგდოთ და ნუ დაიშურებთ ყველაზე მკაცრ შენიშვნებს. მე ამის არ მეშინია!

თითქოს თანხმობის ნიშნად, კომიტეტის წევრებმა რაღაც ჩაიდუდუნეს.

- გავიხსენოთ, - განაგრძობდა ბარბიკენი, - რაზე შევჩერდით გუშინდელი კამათის დროს; ახლა ასეთნაირად დგას საკითხი: საჭიროა ყუმბარის, რომელსაც აქვს 108 დიუმის დიამეტრი და 20.000 გირვანქა წონა, მივცეტ საწყისი სიჩქარე წამში 12.000 იარდი.

- ამოცანა სწორედ ესაა, - დაუმოწმა მაიორმა, ელფისტონმა.

- მაშ ასე, განვაგრზობ. როცა ყუმბარა სივრცეშია გაშვებული, რა ემართება? მასზე მოქმეებს სამი დამოუკიდებელი ძალა: გარემოს წინააღმდეგობა, დედამიწის მიზიდულობა და ბიძგი, რომელმაც ყუმბარა მოძრაობაში მოიყანა. განვიხილოთ ეს სამი ძალა ცალ-ცალკე. გარემოს ანუ ჰაერის წინააღმდეგობა თითქმის არ იმოქმედებს. მართლაც, ატმოსფერო დიდი-დიდი ორმოცი მილის სიმარლეზეა განფენილი. თორმეტი ათასი იარდის სიჩქარის მქონე ყუმბარა ამ მანძილს გაივლის ხუთ წამში, და დროის ეს მცირე შუალედი შესაძლებლობას მოგვცემს უგულებელვყოთ გარემოს წინააღმდეგობა. გადავიდეტ ახლა დედამიწის მიზიდულობაზე, ანუ ყუმბარის წონაზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს წონა განუწყვეტლივ შეიცვლება მანძილების კვადრატების უკუპროპორციულად. აი, რას გვასწავლის ფიზიკა: ყოველგვარი სხეული, დედამიწის ზედაპირის ახლოს ვარდნისას პირველ წამში გაივლის 15 ფუტს; ეს სხეული მთვარიდან დედამიწაზე რომ ვარდებოდა 257.542 მილის მანძილიდან, მაშინ იგი პირველ წამში გაივლიდა სულ რაღაც ნახევარ გზას. ეს კი თითქმის უმოძრაობას უდრის. ამრიგად, საჭიროა დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევა. როგორ მივაღწევთ ამას? მხოლოდ დენთის გაზების და წნევის შედეგად.

- ესაა მთავარი დაბრკოლება, - თქვა მაიორმა.

- ნამდვილად, არც თუ პატარა დაბრკოლებაა, - უპასუხა ბარბიკენმა. - მაგრამ მისი დაძლევა შეიძლება, ვინაიდან ჩვენთვის აუცილებელი ბიძგის ძალა დამოკიდებლია მხოლოდ იარაღის სიგრძესა და დენთის რაოდენობაზე, რომელიც შეზღუდულია იარაღის კედლების წინააღმდეგობის ძალით. ამიტომ მოდით, დღეს ზარბაზნის ზომა განვიხილოთ. რასაკვირველია, ზარბაზნის კედლების წინააღმდეგობის ძალა შეიძლება უსაზღვროდ გავზარდოთ, რადგანაც ჩვენი ზარბაზანი გადაადგილებისათვის როდია გამიზნული.

- ეს თავისთავად ცხადია. - ჩაურთო გენერალმა.

- აქამდე, - განაგრძობდა ბარბიკენი, - ყველაზე დიდი იარაღის, მაგალითად, ჩვენი კოლუმბიადის სიგრძე არ აღემატებოდა 25 ფუტს; ამიტომ ბევრს გააკვირვებს ის ზომა, რასაც ჩვენი ზარბაზნისათვის ვითვალისწინებთ.

- დიახაც. - წამოისროლა მასტონმა. - მე თუ მკითხავთ, მოვითხოვ, ზარბაზანი, უკიდურეს შემთხვევაში, ნახევარი მილის მაინც იყოს!

- ნახევარი მილის! - წამოიძახა გენერალმა და მაიორმა ერთხმად.

- დიახ. ნახევარი მილის და ესეც არ კმარა...

- ო, მასტონ, - შეეპასუხა მორგანი, - ეს უკვე მეტისმეტია.

- სულაც არა, - არ დაიხია უკან ფიცხმა მდივანმა, - და საერთოდაც არ მესმის, რატომ მდებთ ბრალს გადაჭარბებაში.

- იმიტომ რომ, ერთობ შორს შესტოპეთ!...

- მაშ იცოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, - საზეიოდ განაცხადა მასტონმა, - იცოდეთ,რომ არტილერისტმა, როგორც მისმა ჭურვმა, არ შეიძლება შორს შესტოპოს!

შესაძლოა, ჩხუბში გადაზრდილიყო ეს დავა, პრეზიდენტი რომ არ ჩარეულიყო.

- დაწყნარდით, ჩემო მეგობრებო, და მოდით განვაგრძოთ საკითხის განხილვა რასაკვირველია, ზარბაზანი უზარმაზარი უნდა იყოს, ვინაიდან იარღის დაგრძელებით იზრდება გაზების და წნევის ხანგრძლივობა, რომელიც თანდათან განვითარდება დენთის ანთებისას, მაგრამ სულაც არაა საჭირო ზღვარის გადალახვა...

- სწორია, - ჩაურთო მაიორმა.

- ასეთ შემთხვევაში რა წესს მიმართავენ? ჩვეულებრივად ზარბაზნის სიგრძე ოცოცდახუთჯერ ჭარბობს ყუმბარის დიამეტრს, წონა კი - ორას ოცდათხუთმეტი-ორას ორმოცჯერ მის წონას.

- ეს ცოტაა, - წამიძახა თავშეუკავებელმა მასტონმა.

- თქვენ მართალი ხართ, ჩემო მეგობარო; და მართლაც ამ პროპორციას რომ მივყვეთ, მაშინ ცხრა ფუტის დიამეტრის და ოცდახუთი ათასი გირვანქა წონის მქონე ყუმბარისათვის დაგვჭირდება ორას ოცდახუთი ფუტის სიგრძისა და 7.200.000 გირვანქა წონის მქონე იარაღი.

- ეს იმდენად ცოტაა, - კვლავ შეაწყვეტინა მასტონმა, - რომ უმჯობესია პისტოლეტი გამოვიყენოთ!

- გეთანხმებით, - თქვა ბარბიკენმა, - ამიტომაც გთავაზობთ, ოთხჯერ გავადიდოთ ეს სიგრძე, ანუ ავაგოთ ზარბაზანი, რომლის სიგრძე ცხრაასი ფუტი იქნება.

გენერალმა და მაიორმა დააპირეს შეპასუხება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბარბიკენის წინადადება, რომელსაც "საზარბაზნე კლუბის" მდივანი მხურვალედ უჭერდა მხარს, საბოლოოდ მიიღეს.

- ახლა, - თქვა ელფისტონმა, - გადავწყვიტოთ კედლების სისქის საკითხი.

- ჩემი აზრით, ექვსი ფუტია საჭირო, - უპასუხა ბარბიკენმა.

- იმედია, ამოდენა მაქინას ლაფეტზე არ დადგამთ? - იკითხა მაიორმა.

- დიდებული რამ იქნებოდა! - წამოიძახა მასტონმა.

- მაგრამ ეს შეუძლებელია, - შეეპასუხა ბარბიკენი. - არა. მე ვფიქრობ, იარაღი პირდაპირ მიწაზე ჩამოვასხათ, ნაჭედი რკინის სალტეებით შევკრათ ა მასიური ქვის კედლებით ამოვქოლოთ. ასე და ამრიგად, ეს კედლები და, აგრეთვე, გრუნტი, რომელიც ზარბაზანს გარს შემოერტყმევა, საერთო წინაღმდეგობაში მონაწილეობას მიიღებენ. შემდეგ მოგვიწევს ჩამოსხმული ზარბაზნის არხის მოხარატება და დაყალიბება, რომ არ გაგვეპაროს ყუმბარისა და ზარბაზნის კედლებს შუა, მაშინ დენთის მთელი მამოძრავებელი ძალა ბიძგს მოხმარდება.

- ვაშა! ვაშა! - დაიყვირა მასტონმა, - ზარბაზანი მზად არის!

- ჯერ არა, - შეესიტყვა ბარბიკენი და ხელის მოძრაობით შეაჩერა თავისი სულსწრაფი მეგობარი.

- ვითომ რატომ?

- იმიტომ, რომ ჯერ დაუდგენელია ჩვენი იარაღის ფორმა. იქნება იგი ზარბაზანი, ჰუბიცი თუ მორტირი?

- ზარბაზანი. - უპასუხა მორგანმა.

- ჰაუბიცი! - წამოიძახა მაიორმა.

კამათი ალბათ ფიცხელ დავაში გადაიზრდებოდა, ვინაიდან თითოეული მათგანი თავისი ამორჩეული იარაღის უპირატესობათა ჩამოთვლას შეუდგა, მაგრამ პრეზიდენტმა დროზე შეაჩერა ისინი.

- ჩემო მეგობრებო, - თქვა მან, - მე თქვენ ახლავე შეგარიგებთ. ჩვენს კოლუმბიადაში გაერთიანდება სამივე სახის ცეცხლმსროლელი იარაღი. იგი იქნება ზარბაზანი, იმიტომ, რომ დენთის კამერას არხის დიამეტრი ექნება. იგი ჰაუბიციც იქნება, იმიტომ, რომ ყუმბარას გაისვრის და ბოლოს, შეიძლება მას მორტირიც ვუწოდოთ, ვინაიდან დავდგამთ 90° კუთხით და უძრავად დავამაგრებთ მიწაზე. ამით თავს ავარიდებთ ყოველგვარ უკუქცევას და ყუმბარას გადაეცემა მთელი ის მამოძრავებელი ძალა, რაც კი დენთის კამარაში წარმოიშობა.

- მიღებულია! მიღებულია! - ერთხმად წამოიძახეს კომიტეტის წევრებმა.

- ნება მიბოძეთ, მოგცეთ კიდევ ერთი შეკითხვა, - თქვა ელფისტონმა, ეს ჰაუბიცი-მორტირი-ზარბაზანი კუთხვილი იქნება?

- არა, - უპასუხა ბარბიკენმა, - არავითარ შემთხვევაში. გვჭირდება უზარმაზარი საწყისი სიჩქარე და თქვენ კი მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ კუთხვილი არხიდან ყუმბარა ნაკლები სიჩქარით გამოდის, ვიდრე გლუვლულიანიდან.

- სწორია.

- ახლა ესეც დავადგინეთ! - კვლავ წამოიძახა მასტონმა.

- არა, ჯერ კიდევ არა, - შეესიტყვა ბარბიკენი.

- კიდევ რა დარჩა?

- ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ლითონისაგან იქნება დამზადებული იარაღი.

- მაშ, მოდით, ახლავე გადავწყვიტოთ!

- მე სწორედ ეს მინდოდა.

ამის შემდეგ კომიტეტის წევრებმა კარგი ათ-ათი ცალი ბუტერბროდი მიირთვეს, ზედ თითო ფინჯანი ჩაი დააყოლეს და სხდომაც განახლდა.

- ჩემო ღირსეულო კოლეგებო, - დაიწყო ბარბიკენმა, - ჩვენი იარაღი უნდა იყოს უზარმაზარი გამძლეობის. ჰქონდეს შეუდრეკელი სიმტკიცე, აბსოლუტური ცეცხლგამძლეობა და არ დაიჟანგოს.

- ამაში ეჭვიც არ გვეპარება, - უპასუხა მაიორმა, - და რადგანაც ლითონის საკმაო რაოდენობა უნდა ვიხმაროთ, არჩევანი არ გაგიჭირდება.

- თუ ასეა, - თქვა მორგანმა, - ჩვენი კოლუმბიადისათვის გთავაზობთ ჩვენთვის ცნობილ ყველაზე საუკეთესო შენადნობს, სახელდობრ: სპილენძის ას ნაწილზე კალის თორმეტ ნაწილს და თითბირის ექვს ნაწილს.

- მეგობრებო, - უპასუხა ბარბიკენმა, - ეს შენადნობი საუკეთესო შედეგს იძლევა, მაგრამ იგი საოცრად ძვირია და მისი გადამუშავებაც რთულია. ამიტომ გთავაზობთ გამოვიყენოთ სხვა ლითონი, ისიც მაღალი ხარისხის, მაგრამ უფრო იაფი, სახელდობრ, თუჯი. მეთანხმებით, მაიორო?

- სავსებით გეთანხმებით. - უპასხუა ელფისტონმა.

- და მართლაც, - განაგრძობდა ბარბიკენი, - თუჯი ათჯერ უფრო იაფია ბრინჯაოზე. ის შესანიშნავად დნება, ადვილად შეიძლება თიხის ფორმებში ჩამოსხმა; ამასთან ადვილია მისი დამუშავება. ეს კი ფულისა და დროის ეკონომიაა. ერთი სიტყვით, იგი შესანიშნავი მასალაა. მახსოვს ომის დროს, როდესაც ატლანტს ალყა

ჰქონდა შემორტყმული, თითოეული თუჯის ზარბაზანი ყოველ ოც წუთში ათასჯერ ისროდა, და მაინც არც ერთი მათგანი არ გამოსულა მწყობრიდან.

- მაგრამ თუჯი თხელია, - შენიშნა მორგანმა.

- ჰო, მაგრამ მისი წინააღმდეგობის ძალაა ძალიან დიდი; ყოველ შემთხვევაში, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი ზარბაზანი არ გასკდება.

- და გინდაც რომ გასკდეს, ეს არცაა სამარცხვინო, - დამრიგებლური ტონით წარმოთქვა მასტონმა.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა ბარბიკენი, - და ამრიგად, ვთხოვ ჩვენს დიდად პატივცემულ მდივანს გამოთვალოს თუჯის ზარაბაზნის წონა, რომლის სიგრძეც ცხრაასი ფუტია, შიგა დიამეტრი ცხრა და კედლების სიგრძე კი ექვსი ფუტი.

- ამ წუთში. - უპასუხა მასტონმა და როგორც ადრე, ახლაც გასაოცარი სისწრაფით ჩამოწერა ყველა საჭირო ფორმულა. ერთი წუთის შემდეგ თქვა:

- იარაღი აიწონის 68.040 ტონას.

- რაკი ერთი გირვანქა თუჯი ორი ცენტი ღირს, იგი დაჯდება...

- ორი მილიონ ხუთას ათი ათას შვიდას ერთი დოლარი.

მასტონმა, მაიორმა და გენერალმა შეშფოთებით შეხედეს პრეზიდენტს.

- ბატონებო! - თქვა ბარბიკენმა, - მე უნდა გავიმეორო ის, რაც გუშინ გითხარით: მშვიდად იყავით, ფულის მხრივ შეფერხება არ გვექნება.

პრეზიდენტის ამ დამაჯერებელი სიტყვებით დამთავრდა ეს სხდომა. შემდეგ შეკრება მომდევნო დღისთვის დაინიშნა.

მეცხრე თავი

დენთის საკითხი

დენთის საკითხის ჯერიც დადგა. ხალხი მოუთმენლად ელოდა ამ საკითხის გადაწყვეტას. ყუმბარის ზომა და ზარბაზნის სიგრძე უკვე დადგენილი იყო; რა რაოდენობის დენთი იყო საჭირო ყუმბარის გასასროლად? მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ერთდროულად ამდენი დენთის გამოყენება.

საყოველთაოდ ცნობილია, - და აქამდე ხშირად იმეორებენ - რომ დენთი XIV საუკუნეში აღმოაჩინა ბერმა შვარცმა, რომელსაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს დიდი აღმოჩენა. მაგრამ ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ამბავი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ლეგენდაა. დენთი არავის არ გამოუგონია; იგი წარმოიშვა უშუალოდ "ბერძნული ცეცხლისაგან", რომლის შემადგენლობაში შედიოდა გოგირდი და სელიტრა. თავდაპირველად ეს იყო საწვავის შენარევი, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ფეთქებად ნივთიერებათა შენარევად გადაიქცა.

ოღონდ ერთია. თუ ყოველმა განათლებულმა ადამიანმა შესანიშნავად იცის ლეგენდა დენთის გამოგონებაზე. სამაგიეროდ, ძალიან ცოტას თუ აქვს ნათელი წარმოდგენა მის მექანიკურ ძალაზე. არადა აუცილებელია ამის ცოდნა, რათა გაირკვეს ამ საკითხის მნიშვნელობა კომიტეტის წევრებისათვის.

ერთი ლიტრი დენთი დაახლოებით იწონის ორ გირვანქას. აფეთქებისას იგი წარმოქმნის ოთხას ლიტრ გაზს: თავისუფლად ფართოვდება რა 2.400 გრადუს ტემპერატურაზე, გაზებს შეუძლიათ სივრცესი დაიკავონ ოთხი ათასი კუბიკური ლიტრი. ამრიგად, დენთის მოცულობა შეესატყვისება გაზების აფეთქების დროს წარმოქმნილ მოცულობას, როგორც ერთი - ოთხიათასს. აქედან ადვილი

წარმოსადგენია, თუ როგორი დაწოლა ექნება ამ გაზებს, როდესაც ისინი თავიანთ ნორმალურ მოცულობასთან შედარებით ათასჯერ ნაკლებ შეიკუმშებიან სივრცეში.

ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდნენ კომიტეტის წევრებმა და 10 ოქტომბერს ბარბიკენმა გახსნა თუ არა სხდომა, სიტყვა მაიორ ელფისტონს მისცა, რომელიც ომის დროს დენთს განაგებდა.

- ძვირფასო მეგობრებო, - თქვა ამ გამოჩენილმა სპეციალისტმა, - უწინარეს ყოვლისა, მოვიყვან უდავო ციფრებს, რომლებიც სფუძვლად დაედებიან ჩვენს დასკვნებს. ოცდაოთხგირვანქიან ყუმბარას, მესამე დღესვე ესოდენ პოეტურად რომ მოიხსენია ღრმად პატივცემულმა მასტონრმა, სულ თექვსმეტი გირვანქა დენთი სჭირდებოდა იარაღიდან სასროლად.

- ეს ციფრი დამაჯერებელია? - იკითხა ბარბიკენმა.

- აბსოლიტურად სარწმუნოა, - უპასუხა მაიორმა. - არმსტრონგის ზარბაზნის დასატენად, რომელიც შვიდასგირვანქიან ყუმბარას ისვრის, გამოყენებულია მხოლოდ სამოცდათხუთმეტი გირვანქა დენთი, ხოლო როდმენის კოლუბმიადა ას სამოცი გირვანქა დენთის გამოყენებით ისვრის ნახევარტონიან ყუმბრას ექვსი მილის მანძილზე. ეს მონაცემები ეჭვს არ იწვევენ: მე პირადად ვაწერდი ხელს საარტილერიო კომიტეტში სათანადო ოქმებს.

- სავსებით სწორია, - დაუდასტურა გენერალმა.

- აი, რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ მონაცემებიდან. - განაგრობდა მაიორი. - ზარბაზანში დენთის რაოდენობა არ იზრდება ყუმბარის წონის პროპორციულად. ჩვეულებრივ ზარბაზნებში ოცდაოთხგირვანქიან ყუმბარას სჭირდება თექვსმეტი გირვანქა დენთი, ანუ დენთის წონა შეადგენს ყუმბარის წონის ორ მესამედს; მაგრამ ეს თანაფარდობა მყარი არაა. ასე მაგალითად, ნახევარტონიანი ყუმბარის გასასროლად დენთი უნდა შეეფარდებოდეს სამას ოცდაცამეტ გირვანქას, არადა ირკვევა, რომ საკმარისია სულ ას სამოცი გირვანქა, ანუ ზემოთ დასახელებული რაოდენობის ნახევარი.

- რა დასკვნები გამოგაქვთ? - იკითხა პრეზიდენტმა.

- ძვირფასო მაიორო, - ჩაერია მასტონი, - თქვენი თეორია რომ ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანოთ, გამოდის, რომ უდენთოდაც შეიძლება.

- ჩემს მეგობარ მასტონს შეუძლია იოხუნჯოს ძალიან სერიოზული საკითხების განხილვის დროსაც კი, - შეეპასუხა მაიორი, - მაგრამ დაწყნარდი, კოლუმბიადისათვის მე შემოგთავაზებთ დენტის ისეთ რაოდენობას, სავსებით რომ დააკმაყოფილებს თქვენს არტილერისტულ თავმოყვარეობას. უწინარეს ყოვლისა, მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, შეგახსენებთ, რომ ომის დროს მთელი რიგი ცდების ჩატარების შედეგად დენთის რაოდენობა მუხტისათვის შემცირდა ყუმბარის წონის ერთ მეათედამდე.

- სავსებით სწორია,- დაუდასტურა მორგანმა. - მაგრამ, სანამ გადავწყვეტთ, თუ რა როდენობის დენთია საჭირო გასროლისათვის, ვფიქრობ, უნდა შევთანხმდეთ დენთის ხარისხზე.

- წინდადადება შემომაქვს, გამოვიყენოთ მსხვილმარცვლოვანი დენტი, - თქვა მაიორმა, - იგი წვრილმარცვლოვანზე უფრო მალე ფეთქდება.

- ეს მართალია, - შენიშნა გენერალმა, - მაგრამ იგი ძალიან ვნებს იარაღს და სწრაფად აჭუჭყიანებს მის არხს.

- ერთი შენც! ასეთი ნაკლოვანებებს მნიშვნელობა აქვს იმ ზარბაზნებისათვის, რომელიც დიდხანს გამოიყენება, ჩვენი კოლუმბიადა კი მხოლოდ ერთხელ გაისვრის. ჩვენ არ გვაშინებს ის გარემოება, რომ ზარბაზანი შეიძლება გასკდეს, ჩვენთვის

აუცილებელია, დენთი წამსვე აფეთქდეს, ვინაიდან ეს უფრო სრულყოფს მის მექანიკურ მოქმედებას.

- შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე ფალია, - შემოიტანა წინადადება მასტონმა, - რათა სხვადსხვა მხრიდან დენთი ერთდროულად აფეთქდეს.

- რასაკვირველია, შეიძლება, - უპასუხა ელფისტონმა, - მაგრამ ეს მეტისმეტად გაართულებს ზარბაზნის მართვას. ამიტომ მე ისევ მსხვილმარცვლოვანი დენთის მომხრე ვარ.

- იყოს ასე. - დათანხმა გენერალი.

- თავისი კოლუმბიადის დასატენად, - განაგრძობდა მაიორი, - რამდენი იყენედა მსხვილმარცვლოვან წაბლისხელა დენტს. მის შემადგენლობაში შემავალი ნახშირი მზადდებოდა ტირიფის მასალისაგან, რომელსაც თუჯის ქვაბებში გამოწვავდნენ ხოლმე. ეს დენთი მაგარია, ბრწყინავს, ხელს რომ შეახებ, არავითარ კვალს არ ტოვებს, შეიცავს წყალბადისა და ჟანგბადის საკმაო რაოდენობას, მყისვე ფეთქდება და, მიუხედავად დიდი გამანადგურებელი ძალისა, იგი თითქმის არ აჭუჭყიანებს იარაღს.

- რაკი ასეა, - განაცხადა მასტონმა, - ჩემი აზრით, საყოყმანო არაფერია. მე ეს დენთი ყველა დანარჩენს მირჩევნია.

- ოქროს ფხვნილსაც? - გესლიანი ღიმილით ჰკითხა მაიორმა.

- პასუხად ფიცხმა მეგობარმა თავისი რკინის კაუჭი დაუქნია.

აქამდე ბარბიკენი კამათში არ ერეოდა, მხოლოდ ყურს უგდებდა, როგორც ჩანს, იგი თავისთვის რაღაც იდეაზე ფიქრობდა, ამიტომ მხოლოდ იკითხა:

- თქვენი აზრით, რამდენი დენთი დაგვჭირდება, ჩემო მეგობარო?

- ხუთასი ათასი, - განაცხადა მაიორმა.

- რვაასი ათასი. - დაიძახა მასტონმა.

ამჯერად ელფისტონს არ უსაყვედურია თავისი კოლეგისათვის, რომ იგი აჭარბებდა. სინამდვილეში მთვარეზე უნდა გაესროლათ ოცი ათასგირვანქიანი ყუმბარა. ამისათვის კი საჭირო იყო საწყის სიჩქარედ მიენიჭებინათ 12000 იარდი წამში. მცირე ხანს ყველა ჩაჩუმდა.

დუმილი ბარბიკენმა დაარღვია:

- ძვირფასო მეგობრებო, - დაიწყო მან მშვიდი ხმით, - მე გამოვდივარ იმ ძირითადი დებულებიდან, რომ განსაკუთრებული წესით დაეყენებული ჩვენი ზარბაზნის კედლების წინააღმდეგობის ძალა უსაზღვროა. ამრიგად, მე უნდა გაგაკვირვოთ თქვენ და პატივცემული კოლეგა მასტონიც კი: ის თვის გამოანგარიშებებში ერთობ მოკრძალებული იყო - წინადადება შემომაქვს, მის მიერ შემოთავაზებული რვაასი ათასი გირვანქა გავაორკეცოთ.

- მილიონ ექვსასი ათასი გირვანქა?! - წამოიძახა მისტონმა და ფეხზე წამოიჭრა.

- დიახ, არანაკლები.

- მაგრამ, ასეთ შემთხვევაში ჩემებურად გამოდის, რომ ზარბაზნის სიგრძე ნახევარი მილი უნდა იყოს.

- როგორც ჩანს, ასეა, - დაუდასტურა მაიორმა.

- მილიონ ექვსასი ათასი გირვანქა დენთი, - განაგრძობდა კომიტეტის მდივანი, - დაიკავებს ოცდაორი ათასი კუბიკური გირვანქის სივრცეს. თქვენი ზარბაზანი, რომელსაც სულ ორმოცდათოთხმეტი ათასი კუბიკური გირვანქის მოცულობა აქვს, დენთით ნახევრამდე იქნება სავსე. მაშინ მის არხს არ ექნება საკმაო სიგრძე, რომ დენთის გაზების გაფართოებამ ზეგავლენა მოახდინოს ყუმბარაზე...

არავინ შედავებია. მასტონი მართალი იყო. ყველამ მზერა პრეზიდენტს მიაპყრო.

- ამისდა მიუხედავად, - თქვა ბარბიკენმა, - მე მოვითხოვ დენთის სწორედ ამ რაოდენობას. კარგად დაფიქრდით, მილიონ ექვსასი ათასი გირვანქა დენთი წარმოშობს ექვს მილიარდ ლიტრ გაზს. ექვს მილიარდს! გესმით?

- კი მაგრამ, როგორ მოვიქცეთ? - იკითხა გენერალმა.

- სულ უბრალოდ. საჭიროა, რომ დენთის ეს უზარმაზარი რაოდენობა შევამციროთ, ოღონდ ისე, რომ მის მამოძრავებელ ძალას არაფერი დავაკლოთ.

- შესანიშნავია! მაგრამ როგორ?

- ახლავე გეტყვით, - მშვიდად უპასუხა ბარბიკენმა.

ყველანი, მოუთმენლობით შეპყრობილნი, ბარბიკენს მიაჩერდნენ.

- სინამდვილეში დენთის რაოდენობის ოთხჯერ შემცირება ძალიან იოლია. ცხადია, ყველა თქვენთაგანმა იცის ის საყურადღებო ნივთიერება, რომლისგან შედგება მცენარეთა ქსოვილები და რომლებსაც უჯრედებს ეძახიან.

- ოხ, მე მესმის თქვენი, ძვირასო ბარბიკენ, - წამოიძახა მაიორმა.

- ეს ნივთირება, - განაგრძობდა პრეზიდენტი, - ბუნებაში სრულიად სუფთა სახით გვხვდება, მაგალითად ბამბაში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ბოჭკოს თესლზე მოდებული ბუსუსი. სიცივეში აზოტის მჟავასთან შეერთებით უჯრედისი იქცევა გაუხსნელ, სწრაფად აალებად და უზარმაზარ ფეთქებადი ძალის მქონე ნივთიერებად. არც ისე დიდი ხნის წინათ, 1832 წელს, ეს ნივთიერბა აღმოაჩინა ფრანგმა ქიმიკოსმა ბრაკონომ და ქსილოიდინი უწოდა. 1838 წელს ფრანგმა ქიმიკოსმა პელუზმა შეისწავლა ამ ნივთიერების თვისებანი და ბოლოს, 1846 წელს ბაზელის პროფესორმა, ქიმიკოსმა შონბეინმა წინადადება შემოიტანა, გამოეყენებინათ იგი როგორც დენთი სამხედრო მიზნებისათვის. ამ დენთს ეწოდა აოზტური ბამბა...

- ანუ პიროქსილინი, -შენიშნა ელფისტონმა.

- ანუ ჩხრიალა ბამბა, - დაუმატა მორგანმა.

- ნუთუ ამ აღმოჩენაში არც ერთ ამერიკელს არ უდევს წილი? - წამოიძახა მასტონმა, რომელსაც პატრიოტული თავმოყვარეობა შეელახა.

- სამწუხაროდ, ვერც ერთს ვერ დავასახელებ, - უპასუხა მაიორმა.

- თუმცა მასტონის დასამშვენებლად უნდა ვთქვა, რომ, - განაგრძობდა პრეზიდენტი, - ერთ-ერთმა ჩვენმა თანამამულემ მცირედ როდი იშრომა პიროქსილინის შესასწავლად. მოგახსენებთ, კოლოდიუმი, რომელსაც ფოტოგრაფიაში იყენებენ, როგორც ერთ-ერთ მთავარ მასალას, სხვა არაფერია თუ არა პიროქსილინი. გოგირდის ეფირსა და სპირტის ნარევში გარეული, კოლოდიუმი კი აღმოაჩინა მეინარდმა, როცა იგი ბოსტონში ჯერ კიდევ სტუდენტი-მედიკოსი გახლდათ.

- გაუმარჯოს მეინარდს! გაუმარჯოს ბამბეულის დენთს! - იყვირა "საზარბაზნე კლუბის" ხმაურა მდივანმა.

- დავურბუნდეთ ისევ პიროქსილინს, - განაგრძობდა ბარბიკენი, - თქვენ იცით მის ძვირფასი თვისებები, საოცრად ადვილია მისი დამზადება. საკმარისია, ბამბის ბოჭკო 15 წუთით ჩავყოთ მბოლავ აზოტმჟავაში, შემდეგ კარგად გავრეცხოთ წყალში, მერე გავაშროთ და პიროქსილინი მზადაა.

- მართლაც, რა ადვილია. - შენიშნა გენერალმა.

- პიროქსილინი არც ნესტიანდება. - და ეს განსაკუთრებით ძვირფასი თვისებაა, ვინაიდან ჩვენი ზარბაზნის დატენვა ზედიზედ რამდენიმე დღე მოგიწევს. ამას გარდა, პიროქსილინი ენთება არა 240, არამედ 170 გრადუსის დროს. და იგი ისე სწრაფად იშლება, იწვის და ფეთქდება, რომ შეგვიძლია, დავდოთ ჩვეულებრივ

დენთის გროვაზე და ცეცხლი წავუკიდოთ. სანამ დენთი ანთებას მოასწრებს, პიროქსილინი ერთიანად დაიწვის.

- დიდებულია, - შენიშნა მაიორმა.

- ძვირი კია.

- სიძვირე რა სახსენებელია! - წამოიძახა მასტონმა.

- და ბოლოს, პიროქსილინი ისეთ სიჩქარეს ანიჭებს ყუმბარას, რომელიც ოთხჯერ აღემატება დენთისას. კიდევ დავუმატებთ, რომ, თუკი რვა პროცენტ პიროქსილინს ორ პროცენტ კალიუმის სელიტრს შევუერთებთ, მისი ფეთქებადი ძალა კიდევ უფრო გაიზრდება.

- კი მაგრამ, ეს აუცილებელია? - იკითხა მაიორმა.

- არა მგონია, - უპასუხა ბარბიკენმა. - ამრიგად, ერთი მილიონ ექვსასი ათასი გირვანქა დენთის ნაცვლად საკმარისია, ავიღოთ ოთხასი ათასი გირვანქა ჩხრიალა ბამბა და რადგან შეიძლება ყოველგვარი ხიფათის გარშე დავწნიხოთ ხუთასი გირვანქა ბოჭკო ოცდაშვიდი კუბიკური ფუტის სივრცეში, კოლუმბიადის ტუაზისა. ასე და ამრიგად, ყუმბარა, სანამ იგი გამოვარდება ზარბაზნიდან და ღამის მნათობისკენ გაფრინდება, გაიქროლებს შვიდასფუტიან არხში ექვსი მილიარდი ლიტრი გაზის დაწოლის შედეგად.

ამ ტირადის მოსმენის შემდეგ მასტონმა ვერ შეძლო თავისი გრძნობის შეკავება - იგი თითქმის ზარბაზნის ყუმბარის სისწრაფით გაექანა მეგობრისაკენ და ალბათ დაახრჩობდა კიდეც მას თავისი რკინის ხელებით, მაგრამ ბარბიკენი ისეთი მასალისაგან იყო ნაგები, ბომბის დარტყმასაც კი გაუძლებდა.

ამ ინციდენტით დამთავრდა კომიტეტის მესამე სხოდმა, ბარბიკენმა და მისმა მამაცმა კოლეგებმა, რომელთათვისაც თითქოს არ არსებობდა შეუძლებელი რამ, უკვე გადაჭრეს ყუმბარის, იარღისა და დენთის რთული საკითხები. გეგმა მზად იყო. ახლა მისი განხორციელებაღა რჩებოდა.

- ეგ უკვე წვრილმანი საქმეა! - წარმოთქვა ჯონ ტ. მასტონმა:

მეათე თავი

ოცდახუთ მილიონ მეგობართა შორის ერთი მტერი გამოერია

"საზარბაზნე კლუბის" წარმოწყების ყოველ წვრილმანს დაძაბულ ყურადღებას აქცევდა ამერიკელი საზოგადოება. ყოველდღიურად თვალყურს ადევნებდნენ კომიტეტის სხდომებს და "საზარბაზნე კლუბის" წევრთა შორის გამართულ დავას. უდიდესი ცდის ჩასტარებელი ყოველი სამზადისი, ყველა ციფრი, ყველა მექანიკური სიძნელე, რისი დაძლევაც კი უწევდა კლუბის წევრებს - ერთი სიტყვით, - ყველაფერი, საქმის ყოევლი წვრილმანი - საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა.

სამუშაოს დაწყებიდან დამთავრებამდე მთელ ერთ წელიწადს უნდა გაევლო, მაგრამ დროის ამ მანძილზე მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები უნდა გადაეჭრათ. შეერჩიათ სამუშაო ადგილი, გაეთხარათ შახტი, ჩამოესხათ კოლუმბიადა და ბოლოს, ჩაეტარებინათ ყველაზე საფრთხილო ოპერაცია - დაეტენათ იარაღი.

ყოველივე ეს კი საზოგადოებრიობის ცნობისწადილს ამძაფრებდა. კოლუმბიადიდან გატყორცნილი ყუმბარა რომ წამის რაღაც მეათედში გაქრებოდა თვალსაწიერიდან, ყველამ იცოდა. ხოლო როგორ გაფრინდებოდა იგი სივრცეში? როგორ მიაღწევს მთვარეს? მხოლოდ რამდენიმე ბედნიერ ადამიანს ხვდება წილად საკუთარი თვალით უცქიროს ყუმბარის გაფრენას. ამიტომაც გასაგებია, რომ ფართო საზოგადოებას მეტისმეტად აინტერესებდა ამ დიდი ცდის სამზადისის ყოველი წვრილმანი.

ამას გარდა, მოხდა უცნაური შემთხვევა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქმის მეცნიერული მხარისადმი ინტერესი.

ჩვენ უკვე ვიცით, თავისი პროექტის წყალობით, რა ურიცხვი თაყვანისმცემელი და მეგობარი შეიძინა ბარბიკენმა. თუმცა, არაჩვეულებრივი ძლიერბის მიუხედავად, ბარბიკენის პარტიას არ შეძლო თავის რიგებში უკლებლივ ყველა მოექცია. და ამ დროს მთელს შეერთებულ შტატებში გამოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელმაც "საზარბაზნე კლუბის" წამოწყების წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, გაებათილებინა ბარბიკენის არგუმენტები. ბარბიკენი სწორედ ამ ერთადერთი მოწინააღმდეგის შეტევებს უფრო განიცდიდა, ვიდრე სხვა დანარცენების მხურვალე მხარდაჭერას. ასეთია საერთოდ ადამიანის ბუნება.

არადა, პრეზიდენტმა შესანიშნავად იცოდა ამ ადამიანის ქიშპობის მიზეზი, ძველისძველი ამბავი იყო და პირადული; ბარბიკენმა ისიც იცოდა, პატივმოყვარეობამ რომ წარმოშვა ეს ქიშპი.

თუმცაღა, "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს თვალითაც არ ჰყავდა ნანახი თავისი დაუძინებელი მტერი, და კიდევ კარგი, თორემ მათი შეხვედრა ორივესათვის იქნებ ერთობ სამწუხაროდ დამთავრებულიყო. მოწინააღმდეგე ბარბიკენივით განსწავლული პიროვნება გახლდათ. მასავით ამაყი, თამამი, ფიცხი და ჯიუტი. ერთი სიტყვით, წმინდა სისხლის იანკი. მას კაპიტნის ჩინი ჰქონდა, გვარად ნიკოლი იყო. ფილადელფიაში ცხოვრობდა.

ბევრს ალბათ ახსოვს, სამოქალაქო ომის დროს რა საინტერესო მეტოქეობა წამოიშვა სამხედრო გემების ჯავშანსა და ყუმბარას შორის: ჭურვს უნდა გაენგრია ჯავშანი, ხოლო ჯავშანს წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. ამან ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატების სამხედრო ფლოტის ძირფესვიანი გარდაქმნა გამოიწია. ყუმბარა და ჯავშანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ, რაც უფრო დიდებოდა ყუმბარა, ჯავშნიც მით უფრო და უფრო სქელდებოდა. დაჯავშნრულ-შეიარაღებული სამხედრო გემები რიხიანად მიდიოდნენ ომში. "მერი-მაკი", "მონიტორი", "რამ-ტენესი", ვეკჰაუზენი" უშველებელ ყუმბარებს უშენდნენ მტრის გემებს. ისინი იმას უკეთებდნენ სხვას, რასაც თავის თავს არავითარ შემთხვევაში არ უსურვებდნენ, - ეგაა ძირითადი და ღრმად ამორალური წესი, რაზედაც ომის მთელი ხელოვნებაა აგებული.

ბარბიკენმა ომის დროს სახელი მოიხვეჭა ყუმბარების ჩამოსხმით, ხოლო ნიკოლმა - მსოფლიოში ყველაზე მაგარი ჯავშნის შექმნით. ერთი მათგანი დღედაღამ ყუმბარას ასხამდა ბალტიმორში, მეორე ჯავშანს ჭედდა ფილადელფიაში. ისინი ერთიმეორის საწინააღმდეგო მიზანს ისახავდნენ.

ძლივს ასწრებდა ბარბიკენი ახალი ყუმბარის შექმნას, რომ მეორე უკვე ამზადებდა ახალ ჯავშანს. ბარბიკენის ცხოვრების მიზანი იყო ჯავშნის შენგრევა, ნიკოლისათვის კი მთავარი იყო, ხელი შეეშალა ამისათვის. სწორედ ამიტომ გახდნენ ისინი მეტოქეები. ეს მეტოქეობა მალე პირად მტრობაში გადაიზარდა.

ბარბიკენს სიზმარშიც კი ნიკოლი ელანდებოდა შეუღწევი ჯავშნის სახით. ამ ჯავშანზე იგი ნაკუწ-ნაკუწად იმსხვრეოდა, ხოლო ნიკოლს კოშმარულ წარმოდგენაში ბარბიკენი - საშინელი ყუმბარა - შუაზე გლეჯდა.

თუმცა ორივე მეცნიერი სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. ისინი ოდესმე მაინც შეხვდებოდნენ ერთმანეთს გეომეტრიული აქსიომების მიუხედავად. და მაშინ ეს შეხვედრა უეჭველად დუელით დამთავრდებოდა. მაგრამ ქვეყნისათვის ამ ესოდენ საჭირო ორი მოქალაქის საბედნიეროდ, ისინი ერთმანეთისაგან 50-60 მილით იყვნენ დაშორებულნი, მეგობრები მათ შუა ღობესავით იყვნენ ჩამდგარნი, ასე რომ, ერთად არასოდეს შეყრილან.

ძნელია იმისი თქმა, თუ ამ ორი გამომგონებლიდან რომელმა აჯობა, ვინაიდან მათი მოღვაწეობის შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად შეფასებული, მაგრამ გამოდიოდა, ჯავშანმა დაჯაბნა ყუმბრა, თუმცა საქმეში ჩახედულ ადამიანებს ეჭვი ეპარებოდათ. უკანასკნელი გამოცდის დროს ბარბიკენის ცილიდნრულ-კონუსური ყუმბარები ისე ერჭობოდნენ ჯავშანს, ვით ქინძისთავები ცვილს. იმ დღეს ფილადელფიელი გამომგონებელი გამარჯვებას ზეიმობდა. აბუჩად იგდებდა თავის მეტოქეს, მაგრამ სულ მალე მიხვდა, რომ ერთობ იჩქარა:L ბარბიკენმა თავისი ცილინდრულ-კონუსური ყუმბარები შეცვალა უბრალო ექვსასგირვანქიანი ჭურვებით, რომლებმაც. მიუხედავად მცირე საწყისი სიჩქარისა, დაამტვრიეს, გაანგრიეს და ნაწილ-ნაწილ მიჰფანტ-მოჰფანტეს საუკეთესო ლითონისაგან გამოჭედილი ჯავშანი.

ასეთი იყო საქმის ვითარება, გამოდიოდა, რომ გამარჯვება ყუმბარას უნდა დარჩენოდა. უცებ ომიც დამთავრდა, - და სწორდ იმ დღეს, როცა ნიკოლს ნაჭედი ლითონის ახალი ჯავშანი უნდა მოეთავებინა. იგი თავისებური შედევრი იყო მსოფლიოში - ვერც ერთი ყუმბარა ვერ შეძლებდა მის განგრევას. კაპიტანმა ნიკოლმა თავისი ახალი ჯავშანი ვაშინგტონის პოლიგონზე ჩამოიტანა და ბარბიკენს შეუთვალა, გაენგრია იგი. ბარბიკენმა უარი თქვა სამხედრო მოქმედებების შეწყეტის მიზეზით.

ამ უარით გაცოფებულმა ნიკოლმა შესთავაზა, გამოეცადათ მისი ჯავშანი, რომელიც გნებავთ ყუმბარით: მრგვალით, კონუსურით, ღრუიანით, მთლიანით, - თუნდაც უსაშველო დიდით. "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა კვლავ უარი განაცახდა: როგორც ჩანს, თავისი დიდების სასწორზე შეგდება არ უნდოდა...

მოწინააღმდეგის სიჯიუტემ წონასწორობა დააკარგვინა ნიკოლს, მან გადაწყვიტა, ეცდუნებინა ბარბიკენი წარმოუდგენლად შეღავათიანი პირობებით: იგი თანახმა იყო, ესროლა თავისი ჯავშნისათვის ორასი იარდი მანძილიდან: ბარბიკენი კვლავ უარზე იყო. მაშ, ასი იარდიდან: არა, ბარბიკენი სამოცდათხუთმეტი იარდიდანაც არ იყო თანახმა.

"თუ ასეა, გთავაზობთ ორმოცდაათ იარდს, - გამოუცხადა კაპიტანმა გაზეთის მეშვეობით - თანახმა ვარ ოცდახუთ იარდზე, და მე თვითონ ამოვუდგები ჯავშანს უკან".

ბარბიკენმა უპასუხა, რომ არ გაისროდა იმ შემთხვევაშიც კი, ნიკოლი უკან კი არა, თავის ჯავშნის წინ რომ გამოჭიმულიყო.

ამისთან პასუხმა ნიკოლი საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან და ლანძღვა-გინება დაუწყო თავის მეტოქეს. იგი ამტკიცებდა, რომ ამ ამბავს ლაჩრობის სუნი უდისო. რომ კაცს, რომელიც უარს ამბობს, გაისროლოს ზარბაზნიდან, უეჭველად ეშინია შემოთავაზებული გამოცდისა და საერთოდ თანამედროე არტილერისტებმა, რომლებიც ექვსი მილის მანძილიდან ესვრიან ერთმანეთს, პირდი მამაცობა

მათემატიკური ფორმულით შეცვალეს, ხოლო კაცი, რომელიც აცხადებს, რომ მსვიდად დადგება თავისი ჯავშნის უკან, ყუმბარის ოსტატურად მსროლელზე არანაკლებ მამაციაო.

ბარბიკენი არ გამოხმაურებია. შესაძლოა, არც გაუგია. არ ეცალა. სწორედ იმ დროს წამოიწყო ახალი საქმე და დღედაღამ ფიქრობდა, ანგარიშობდა. კაპიტანმა ნიკოლმა მაშინ მთლად დაკარგა მოსვენება, როცა ბარბიკენმა "საზარბაზნე კლუბში" თავისი ცნობილი სიტყვა წარმოთქვა. აქ უკვე თავი იჩინა მეტოქის მიმართ შურმაც და უმწეობის გრძნობამაც. მართლა და მართლა, რით უნდა დაჩრდილო ცხრაასი ფუტის სიგრძის მქონე კოლუმბიადა? რა ჯავშანი უნდა გამოჭედო, რომ გაუძლოს ოცი ათსგირვანქიან ყუმბარას? კაპიტან ნიკოლს პირველ ხანებში თავზარი დაეცა, იგი მოსპო, მიწასთან გაასწორა ამ საშინელმა ყუმბარამ; მერე გამოფხიზლდა, გონი მოიკრიბა, და გადაწყვიტა, ბარბიკენის პროექტი გაეცამტვერებინა.

გააფთრებით დაესხა თავს "საზარბაზნე კლუბის" ამ წამოწყებას. დღე და ღამე წერდა, მერე რედაქციებში აგზავნიდა უამრავ წერილს და ისინიც სიამოვნებით ბეჭდავდნენ. იგი მეცნიერული გამოანგარიშების გზით ცდილობდა, მოესპო ბარბიკენის პროექტი, რაკიღა ბრძოლაში ჩაება, არ ერიდებოდა საძრახის და ყოვლად უპატიოსნო საშუალებებსაც კი.

უწინარეს ყოვლისა, ნიკოლი გააფთრებით დაესხა თავს "საზარბაზნე კლუბის" ციფრობრივ მონაცემებს; იგი ალგებრულად ამტკიცებდა, ბარბიკენის ფორმულები სწორი არ არისო და ბრალს დებდა ბალისტიკის ანაბანის უცოდინარობაში. სხვა შეცდომებს შორის აღნიშნავდა იმასაც, რომ არანაირ სხეულს არ შეიძლება მიენიჭოს თორმეტი ათასი იარდი სიჩქარე წამში. შემდეგ, ტვისი საკუთარი გამოანგარიშების საფუძველზე ასაბუთედა, ასეთი სიჩქარეც რომ ჰქონდეს კოლუმბიადის ყუმბარას, იგი ვერ გააღწევს დედამიწის ატმოსფეროს, თავისი მეტიმსეტად დიდი წონის გამო ვერ აფრინდება რვა ლიეს სიმაღლეზე კიო! მეტიც, მოცემულ სიჩქარეზე, თუნდაც იგი საკმარისად ჩავთვალოთ, ყუმბარა ვერ გაუძლებს გაზების დაწნევას. და ამს რომც გაუძლოს, ყოველ შემთხვევაში, მაღალ ტემპერატურას ვერ გაუძლებს, კოლუმბიადიდან გამოვარდნისას გადნება და ქარაფშუტა. მაყურებლებს მდუღარე ლიოონის წვიმა გადმოეღვრებაო.

მაგრამ ბარბიკენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ შემოტევებს და მშვიდად განაგრძობდა თავის საქმეს.

მაშინ ნიკოლმა სხვა მხრიდან შემოუტია: იგი ირწმუნებოდა, რომ ბარბიკენის წამოწყება არამარტო ფუჭია, მეტისმეტად სახიფათოა, როგორც იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაესწრებიან ამ საძრახ სანახაობას, ისევე ამ ბედნავსი ზარბაზნის ახლოს მდებარე ქალაქებისთისაცო. თანაც თუკი ყუმბარა ვერ მიაღწევს მთვარემდე, - და რომ ვერ მიაღწევს, ეგ ცხადზე უცხადესია, - იგი უსათუოდ დაეცემა დედამიწაზე; ასეთ შემთხვევაში კი ამხელა სხეულის დაცემის ენერგია, გამრავლებული მისი სიჩქარის კვადრატზე, გამოიწვევს საშინელ კატასტროფას დედამიწის იმ პუნქტში, სადაც იგი დაეცემა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში რომ არ შეილახოს მოქალაქეთა მოქმედების თავისუფლება, საჭიროა, დაისვას საკითხი, რომ მთავრობა ჩაერიოს ამ საქმეში, ვინაიდან არ შეიძლება ერთი ადამიანის ფანტაზიის გამო საფრთხეში ჩავარდეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე.

აქედან ჩანს, თუ როგორ გადააჭარბა კაპიტანმა ნიკოლმა. მაგრამ იგი სრულიად მარტო რჩებოდა არავის არ სწამდა მისი ავბედითი წინასწარმეტყველებისა. მას შეეძლო ეყვირა რამდენიც უნდოდა, ეყვირა ხმის ჩახლეჩამდე, - მაინც არაფერი გამოდიოდა, ნიკოლი იმ ვექილის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომლის საქმე

წინასწარ წაგებულია. მას უსმენდნენ, მაგრამ არ უჯერებდნენ: მან "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს ვერც ერთი მიმდევარი ვერ წაართვა. ხოლო თვით ბარბიკენმა საჭიროდ არ ჩათვალა, თავისი მოწინააღმდეგისათვის პასუხი გაეცა.

უკიდურსობამდე მისულმა ნიკოლმა, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა დუელში გამოეწვია ბარბიკენი, გადაწყვიტა, მასთან ნაძლევს ჩამოსულიყო.

და აი, რიჩმოდნის გაზეთ "ენკვაირერში" გამოჩნდა ნიკოლის გამოწვევა;

იგი ნაძლევს ჩამოდიოდა:

1. რომ "საზარბაზნე კლუბი" ვერ შეკრებს თანხას, რომელიც საჭიროა მისი წამოწყების განხორციელებისათვის... 1000 დოლარი.

2. რომ ცხრაასი ფუტი სიგრძის მქონე თუჯის ზრბაზნის ჩამოსხმა პრაქტიკულად შეუძლებელია და ამიტომ "საზარბაზნე კლუბი" ვერ ჩამოასხამს მას... 2000 დოლარი.

3. რომ შეუძლებელია კოლუმბიადის დატენა, იმიტომ რომ, წნევა პიროქსილინის აფეთქებას გამოიწვევს.... 3000 დოლარი.

4. რომ პიროქსილინის აფეთქების გამო კოლუმბიადა გასკდება.... 4000 დოლარი.

5. რომ ყუმბარა ექვს მილსაც ვერ გაივლის და გასროლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ დედამიწაზე ჩამოვარდება... 5000 დოლარი.

ნათლად ჩანს, სანამდე მიიყვანა კაპიტანი ნიკოლი მისმა უგვანო სიჯიუტემ. საქმე ხომ 15 ათას დოლარს ეხებოდა!

გამოწვევის პასუხად კაპიტანმა ნიკოლმა მიიღო დალუქული კონვერტი; შიგ იდო საოცრად ლაონური წერილი:

"ბალტიმორი, 18 ოქტომბერი
გენაძლავები.
ბარბიკენი".

მეთერთმეტე თავი

ფლორიდა და ტეხასი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რჩებოდა გადასაწყვეტი: საჭირო იყო ცდისთვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობის შერჩევა.

კემბრიჯის ობსერვატორიის მითითების თანახმად, ყუმბარა უნდა გაესროლათ ჰორიზონტის სიბრტყის პერპენდიკულარულად, ანუ უნდა დაემიზნებინათ ზენიტისათვის. მთვარე კი ზენიტში მხოლოდ ეკვატორსა და 28° განედს შუა მდებარე ადგილებშია. ამრიგად, საჭირო იყო, ზუსტად შეერჩიათ ადგილი, სადაც ჩამოასხამდნენ გიგანტურ კოლუმბიადას.

ოც ოქტომბერს მოიწვიეს "საზარბაზნე კლუბის" წევრთა საერთო კრება. ბარბიკენმა მოიტანა ზ. ბელტროპის მიერ შედგენილი ამერიკის შეერთებული შტატების შესანიშნავი რუკა. მაგრამ მან ვერც კი მოასწრო რუკის გაშლა, რომ ჩვეული სიფიცხით ჯონ ტ. მასტონმა სიტყვა ითოვა.

- პატივცემულო კოლეგებო! - საკითხს, რომელიც დღევანდელ სხდომაზე უნდა განვიხილოთ, უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ საშუალება გვეძლევა, ჭეშმარიტად პატრიოტული საქმე ჩავიდინოთ.

"საზარბაზნე კლუბის" წევრებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს გაუგებარი იყო, საითკენ უმიზნებდა ორატორი.

- არც ერთ თქვენგანს, - განაგრძობდა იგი, - რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვა შეელიოს სამშობლოს დიდებას. და თუკი არსებობს უფლება, რაზეც მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს პრეტენზია, ეს არის უფლება - "საზარბაზნე კლუბის" უშველებელი იარღი ჩამოისხას მის საზღვრებში!

- ძვირფასო მისტონ... - შეაწყვეტინა პრეზიდენტმა.

- ნება მიბოძეთ, განვავითარო ჩემი აზრი, - განაგრძობდა ორატორი, - უნდა შევარჩიოთ ადგილი, ეკვატორთან რომ საკმაოდ ახლოს იყოს.

- ხომ არ გნებავთ... - კვლავ შეაწყვეტინა ბარბიკენმა.

- მე მოვითხოვ სიტყვის თავისუფლებას, - შეეპასუხა დაუცხრომელი მასტონი, - და დაბეჯითებით მინდა განვაცხადო, რომ ტერიტორია, საიდანაც გაფრინდება ჩვენი ძლევამოსილი ყუმბარა, უნდა ეკუთვნოდეს შეერთებულ შტატებს!

- სწორია! - გაისმა აქეთ-იქიდან.

- დიახ, იმას ვამბობდი. რაკიღა ჩვენი საზღვრები საკმარისად ვერ იჭრება სამხრეთისაკენ, რაკიღა სამხრეთში ჩვენთვის გადაულახავი ჯებირია ოკეანე. რაკიღა აუცილებლად საჭიროა, 28-ე პარალელი ვეძიოთ შეერთებული შტატების მიღმა, მეზობელ ქვეყანაში - ესეც თქვენი კანონიერი casus belli - ამრიგად, მოვითხოვ, გამოეცხადოდ ომი მექსიკას!

- როგორ შეიძლება! არავითარ შემთხვევაში! - გაისმა ყოველი მხრიდან.

- როგორ თუ არა! - იღრიალა მასტონმა. - გაოცებული ვარ, რომ ამ კედლებში ასეთი სიტყვები მესმის!

- კი მაგრამ, მოისმინეთ...

- არავითარ შემთხვევაში! არავითარ შემთხვევაში! - დაიყვირა პასუხად გულფიცხმა ორატორმა. - ადრე თუ გვიან ეს ომი გრდაუვალია და მე მოვითხოვ, რომ იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდეს.

გაისმა პრეზიდენტის ზარის გასროლის ხმა.

- მასტონ, - განაცხადა ბარბიკენმა, - გართმევთ სიტყვას.

მასტონს უნდოდა კიდევ შეპსუხებოდა, მაგრამ მეზობლებმა მოახერხეს მისი შეკავება.

- მეც იმ აზრისა ვარ, - თქვა ბარბიკენმა, - რომ ჩვენი ცდა უნდა ჩატარდეს მხოლოდ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. მაგრამ ჩემს მოუთმენელ მეგობარს რომ დაეცალა, კეთილი ენება და რუკისათვის დაეხედა, თვითონ დარწმუნდებოდა, რომ არაფერი საჭიროა, მეზობლებს ომი გამოვუცხადოთ, ვინაიდან შეერთებული შტატების საზღვარი სამხრეთისაკენ ზოგან 28-ე პარალელს იქით გადის. აი დახედეთ, ტეხასის და ფლორიდის სამხრეთი ნაწილი ჩვენს განკარგულებაშია.

ინციდენტი ამით ამოიწურა. მასტონი იძულებული გახდა, დათანხმებოდა. ამრიგად, გადაწყდა კოლუმბიადა ჩამოესხათ ტეხასა ან ფლორიდაში. მაგრამ რა შუღლს გამოიწვევდა ეს დადგენილება ამ ორი შტატის ქალაქებს შორის!

ჰკვეთს ამერიკის ტერიტორიას 28-ე პარალელი, გადის ფლორიდის ნახევარკუნძულზე და ჰყოფს მას დაახლოებით ორ თანაბარ ნაწილად. შემდეგ იგი გადის მექსიკის ყურეში და ჰკრავს რკალს. რასაც ალაბამის, მისისიპისა და ლუიზიანას შტატების ნაპირები ქმნიან. შემდეგ იგი მიემართება ტეხასზე, ჩამოაჭრის მას კუთხეს, გადადის მექსიკის საზღვარზე, კალიფორნიასა და სონორს გაივლის, რის შემდეგ წყნარი ოკეანის ტალღებში იკარგება. ამრიგად, ტეხასისა და კალიფორნიის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც ამ პარალელის სამხრეთით მდებარეობენ, აკმაყოფილებენ კემბრიჯის ობსერვატორიის მიერ მითითებულ გეოგრაფიულ პირობებს.

ფლორიდის სამხრეთ ნაწილში არაა მნიშვნელოვანი ქალაქები, სამაგიეროდ იგი მოფენილია უამრავი ციხესიმაგრეებით, რომლებიც მოხეტიალე ინდიელებისაგან თავდასაცავად იყო აგებული. ერთადერთ ტამპას შეეძლო პრეტენზია გამოეცხადებინა თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო. ხოლო ტეხასში, პირიქიტ, უფრო ბევრი და დიდი ქალაქებია.

ამიტომ იყო "საზარბაზნე კლუბის" დადგენილების გაზეთებში გამოქვეყნებისთანავე, ფლორიდისა და ტეხასის დეპუტატები გაეშურნენ ბალტიმორს; ისინი დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ბარბიკენსა და კლუბის სხვა გავლენიან წევრებს თავიანთი პრეტენზიებით. თუ ძველად საბერძნეთის შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერტმანეთს ჰომეროსის გამო, ახლა ორმა შტატმა ლამის ომი გამოუცხადა ერთმანეთს სახელგანთქმული ზარბაზნის თაობაზე.

კბილებამდე შეიარაღებულ, ეს "მრისხანე ძმანი" დასეირნობდნენ ბალტიმორის ქუჩებში და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, შეტაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ, საბედნიეროდ, პრეზიდენტ ბარბიკენსი კეთილგონიერებამ და სიფრთხილემ თავისი ქნა. გაზეთებიც თავისებური მეხამრიდების როლში გამოვიდნენ. "ნიუ-იორკ ჰერალდმა" და "ტრიბუნმა" ტეხასის მხარე დაიჭირა, ფლორიდის ინტერესების დაცვა კი თავს იდვა "ტაიმსმა" და "ამერიკან რევიუმ".

"საზარბაზნე კლუბის" წევრებმა არ იცოდნენ, ვისთვის ეგდოთ ყური.

ტეხასი ამბობდა, ოცდაექვსი ოლქი მაქვსო, ფლორიდა ედავებოდა, მართალია, სულ თორმეტი ოლქი მაქვს და ტერიტორიულადაც ექვსჯერ ნაკლები ვარ ვიდრე ტეხასი, მაგრამ ჩემი ოლქები საკმაოდ მოზრდილებიაო.

ტეხასი იკვეხნიდა, 330 ათასი მოსახლე მყავსო, ფლორიდა ეუბნებოდა, ჩემს მცირე ტერიტორიაზე 56 ათასი მოსახლე ცხოვრობსო და თანაც გესლიანად ეკითხებოდა, რატომ ჭაობის ციებ-ცხელებას არ ახსენებ, სულ რომ გწყვეტს და გხოცავსო?

ტეხასი ბრაზობდა, ჩემი შენ გითხარიო, სხვისი ციებ-ცხელება და ხორშაკი ქარი აბა რა მოსატანია ფლორიდის ქრონიკულ ავდმყოფობა - "შავ რწყევასთანაო?" ტეხასიც მართალი იყო.

"თანაცო, - დასძენდნენ ტეხასელები თავისი ქომაგი გაზეთის "ნიუ-იორკ ჰერალდის" მეშვეობით, - უპირატესობა უნდა მიენიჭოს შტატს, სადაც მთელ ამერიკაში საუკეთესო ბამბა მოჰყავთ, შტატს, სადაც გემების ასაშენებლად საუკეთესო მწვანე მუხა იზრდება, შტატს, რომელსაც საუცხოო ქვანახშირი და უმდიდრესი რკინის მადნის საბადოები გააჩნია და ორმოცდაათ პროცენტს სუფთა ლითონს იძლევა".

ამაზე ფლორიდის დამცველი "ამერიკენ რევიუ" ამბობდა, თუმცა ფლორიდის ნიადაგი ესოდენ მდიდარი არ არის, სამაგიეროდ, კოლუმბიადის ჩამოსასხმელად და ყალიბში ჩასასხმელად უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან თიხა და ქვიშა ბლომადაა.

"კი მაგრამ, სანამ რამეს ჩამოასხამდე რომელიმე ქევყანაში, - უპასუხებდნენ ტეხასელები, - ჯერ ხომ უნდა მიხვიდე იქამდე? ფლორიდამდე ჩაღწევა არც ისე იოლია, ხოლო ტეხასამდე მისასვლელად ღიაა გალვესტონის უბე, რომელიც თორმეტ ლიეზეა გადაჭიმული და თუ საჭიროა, მსოფლიოს ყველა ქვეყანის ფლოტი დაეტევა".

"დიდი ამბავი! - წერდნენ პასუხად ფლორიდის მეგობარი გაზეთები, რა თვალს გვიხვევთ ამ თქვენი გალვესტონის უბით, რომელიც ოცდამერვე პარალელს ზევით მდებარეობს? ჩვენ რა, არა გვაქვს ესპირიტუს-სანტოს უბე თუ რა? იგი ზუსტად ოცდამერვე პარალელზე ძევს და ამ უბით გემები ხომ პირდაპირ ქალაქ ტამპამდე მიდიან?"

"კი, თქვენმა მზე, კარგი უბეა, ნახევრად ქვიშითაა დაფარული". - აბუჩად იგდებდნენ ტეხასელები.

"თქვენ თვითონ ხართ ქვიშით დაფარული, - თავს იცავდნენ ფლორიდელები, - იქნებ ისიც თქვათ, რომ ფლორიდა სავსებით ველური ქვეყანაა?

"განა არა? თქვენს ტრამალებში დღესაც არ დაწანწალებენ სემინოლები?!

"თქვენი კომანჩები და აპაჩები ცივილიზებული ტომებია თუ რა?"

რამდენიმე დღე გრძელდებოდა ამგვარი პოლემიკა, სანამ ფლორიდა არ შეეცადა სხვა მხრივ წარემართა კამათი. ერთ მშვენიერ დღეს, "ტაიმსმა" ასეთი განცხადება დაბეჭდა:

"ვინაიდან "საზარბაზნე კლუბის" წამოწყება - ჭეშმარიტად ამერიკული საქმეა, იგი უნდა განხორციელდეს ნამდვილად ამერიკულ ტრიტორიაზე".

ტეხასი გაცოფდა.

"როგორ! ჩვენ რა, ისეთივე ნამდვილი ამერიკელები არა ვართ, როგორც ფლორიდელები? განა ტეხასი და ფლორიდა ერთდროულად, 1845 წელს არ შევიდა შეერთებული შტატების შემადგენლობაში?"

"ეგ უდავოა, - უპასუხა ფლორიდამ. - მაგრამ ჩვენ ამერიკელებად ვითვლებით ათას რვაას ოცი წლიდან".

"არაფერი შეგეშალოთ! - ედავებოდა "ტრიბუნი". - თქვენ ჯერ ესპანელები იყავით, მერე ინგლისელები და მხოლოდ ორასი წლის შემდეგ ხუთ მილიონ დოლარად გიყიდეს ამერიკელებმა".

- "მერე რა, - ეკამათებოდნენ ფლორიდელები, - ჩვენ არ გვრცვენია ამისა. განა ათას რვაას სამ წელს ნაპოლეონისაგან თექვსმეტ მილონ დოლარად არ იყიდეს ლუიზიანა?"

"ეს პირდაპირ აღმაშფოთებელი ამბავია! - აკივლდნენ ტეხასის დეპუტატები. - ისეთი უბადრუკი მიწის ნაკვეთი, როგორიცაა ფლორიდა, ბედავს თავი გაუტოლოს ტეხასს! ტეხასი თავის დღეში არ გაყიდულა, მან თვითონ მოიპოვა თავისუფლება, როცა 1836 წლის ორ მარტს განდევნა მექსიკელები; მან ფედერაციულ რესპუბლიკად გამოიცხადა თავი მას შემდეგ, რაც სამუელ გურტონმა მდინარე სან-ჯასინტოს ნაპირზე დაამარცხა გენერალ სანტა ანას რაზმი. ტეხასი ნებაყოფლობით შეუერთდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს".

"იმიტომ, რომ შეეშინდა მექსიკელების", - უპასუხებდა ფლორიდა.

'"შეეშინდაო!" როგორც კი წამოცდათ ეს უკმეხი, დაუფიქრებელი სიტყვა, საბოლოოდ აირია საქმე. ბალტიმორში ყველას ეშინოდა. მოქიშპე პარტიები ქუჩებში დაეტაკებიან ერთმანეთს და ხოცვა-ჟლეტა დაიწყებაო. იძულებული გახდნენ, დეპუტატებზე მეთვალყურეობა დაეწესებინათ.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა არ იცოდა, რა ექნა, ყოველ დღეს მოხსენებით ბარათების, საბუთებსი და მუქარის წერილების მორევში იძირებოდა. ვისი მხარე დაეჭირა? ნიადაგის ვარგისიანობის, გზების და ტრანსპორტის მიმოსვლის საშუალებების მხრივ ორივე შტატი, საერთოდ, თანაბარი გახლდათ. პოლიტიკური სიმპათიები და ანგარიში კი საქმესთან მოსატანი არ იყო.

ბოლო უნდა მოღებოდა ამ ჭოჭმანს და დაბნეულობას. ბარბიკენმა "საზარბაზნე კლუბის" აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მოიწვია და შექმნილი მდგომარეობიდან ყველაზე ბრძნული გამოსავალი შესთავაზა კომიტეტის წევრებს.

'"ვხედავთ რა ფლორიდის და ტეხასის შუღსლ, უეჭველია ასეთივე შუღლი ჩამოვარდება უპირატესობამინიჭებული შტატის ქალაქებს შორისაც. შტატებს შორის მეტოქეობა ქალაქების მეტოქეობით შეიცვლება. ტეხასის თითქმის თერთმეტივე

ქალაქი მისადაგება წაყენებულ მოთხოვნილებებს. რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი დაიწყებს დავას ამ დიდ პატივზე და ბევრ ახალ უსიამოვნებას გადავეყრებით, ფლორიდას კი მხოლო ერთი ქალაქი აქვს. ამიტომ წინადადება შემომაქვს, ავირჩიოთ ფლორიდა, ესე იგი ქალაქი ტამპა".

ამ გადაწყვეტილებამ ლახვარი ჩასცა ტეხასელებს. ისინი კალმით აუწერელმა სიშმაგემ შეიპყრო. და სალანძღავი წერილების სეტყვა დაუშინეს "საზარბაზნე კლუბის" წევრებს. მაშინ ბალტიმორის ხელისუფლებამ უკიდურეს ზომებს მიმართა. საგანგებო ექსპრესში ძალით ჩასხეს გაჯიუტებული ტეხასელები, ექსპრესმა ისინი ბალტიმორიდან საათში ოცდაათი მილის სიჩქარით გააქანა.

ტეხასელებმა მაინც მოასწრეს, უკანასკნელად დამუქრებოდნენ ფლორიდელებს.

იწინასწარმეტყველეს, ორ ზღვას შუა ნახევარკუნძულად შეჭრილი ფლორიდის პატარ ტერიტორია ვერ გაუძლებს სროლიტ გამოწვეულ რყევას და აფეთქდებაო.

- აფეთქდეს მერე! - ძველი დორის გმირებისათვის დამახასიათებელი ლაკონურობით უპასუხეს ფლორიდელებმა.

მეთორმეტე თავი

Urbi et Orbi [1]

ახლა ყველა საკითხი - ასტრონომიული, ტოპოგრაფიული და ტექნიკური - ფულადის გარდა, გადაწყვეტილი იყო. "საზარბაზნე კლუბის" წამოწყების განხორციელებას უზარმაზარი თანხა სჭირდეოდა. არამც თუ კერძო პირს, ცალკეულ სახელმწიფოსაც კი არ შეეძლო დაეფინანსებინა ეს საქმე.

ამიტომ ბარბიკენმა გადაწყვიტა, ეს წამოწყება ვიწრო ამერიკულიდან საერთაშორისო ღონისძიებად გადაექცია. ეს კი იმას ნიშნავდა, ყველა სახელმწიფოსათვის ეთხოვათ ფინანსური დახმარება, და მართლაც, დედამიწის ყველა ქვეყანას უფლება ჰქონდა, თავისი თავი მთვარეზე ლაშქრობის მონაწილედ ჩაეთვალა. ამიტომ ბალტიმორში გახსნილი ხემოწერა მთელს მსოფლიოში გავრცელდა - urbi et orbi!

---

1 ქვეყანას და ქალაქს (ლათ.)

ამ ხელმოწერის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არადა ლაპარაკი იყო არა სესხზე, არამედ სრულიად უანგარო - ამ სიტყვის სრული მნშვნელობით - შეწირულობაზე, ვინაიდან რაიმე მოგებაზე ფიქრიც კი გამორიცხული იოყო.

გამოირკვა, რომ ბარბიკენის პროექტმა დააინტერესა არა მარტო ამერიკელები; ცნობამ გადალახა ატლანტისა და წყნარი ოკეანეები, ერთდროულად შეაღწია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ოკეანიაში. შეერთებული შტატების ობსერვატორიებმა განზრახულ ცდაზე ძველი ქვეყნების ობსერვატორიებს შეატყობინეს. ბევრმა მათგანმა, სახელდობრ: პარიზის, პულკოვის, კაპშტატის, ბერლინის, ალტონის, სტოკჰოლმის, ვარშავის, ჰამბურგის, ბუდაპეშტის, ბოლონიის, მალტიის, ლისაბონის, ბენარესის, მადრასის და პეკინის ობსერვატორიებმა "საზარბაზნე კლუბს" თავიანთი მისასალმებელი წერილები გამოუგზავნეს. სხვებმა გონივრულად არჩიეს, ცდის შედეგს დალოდებოდნენ.

რაც შეეხება გრინვიჩის ობსერვატორიას, მან მოკლე პასუხი გასცა: დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ ბარბიკენის წამოწყებას სრული მარცხი მოელისო. იგი

სავსებით იზიარებდა კაპიტან ნიკოლის მოსაზრებებს. გრინვიჩის ობსერვატორიის აზრს შეუერთდა ინგლისის დანარჩენი ოცდაორი ობსერვატორია. იმ დროს, როცა საზოგადოების სწავლულებმა დაადგინეს, გაეგზავნათ დელეგაცია ტამპაში - გრინვიჩის ობსერვატორიის ბიურომ დღის წესრიგიდან უცერემონიოდ მოხსნა ბარბიკენის წინადადება.

საერთოდ კი, ბარბიკენის წამოწყებამ მეცნიერთა სამყაროში მხარდაჭერა და თანაგრძნობა ჰპოვა და ფართო მასებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ მათ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ხელმოწერაში.

18 ოქტომბერს პრეზიდენტმა ბარბიკენმა გამოაქვეყნა ენაწყლიანი მოწოდება "დედამიწის ყველა გულისხმიერი ადამიანებისადმი". მრავალ ენაზე გადათარგმნილ ამ მანიფესტს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ხელმოწერა დაიწყო შეერთებული შტატების ყველა ქალაქში, ცენტრალური პუქნტი ბალტიმორის ბანაკი გახლდათ - ბალტიმორის ქუჩა, სახლიNB#9. ამის გარდა, ხელმოწერა მიიღებოდა ახალი და ძველი ქვეყნების ყველა სახელმწიფოში:

ვენაში - ს. მ. როტშილდთან.

პეტერბურგში - შტიგლიცი და კ.° სთან,

პარიზში - მოძრავი ქონების კრედიტის საზოგადოებაში,

სტოკჰოლმში - ტოტსა და არფურედსონთან.

ლონდონში - ნ. მ. როტშილდთან და შვილთან.

ტურინში - არდუინისა და კ.° სთან,

ბერლინში - მენდელსონთან,

ჟენევაში - ლომბარი, ოდიე და კ.° სთან,

კონსტანტინეპოლში - ოტომანის ბანაკში,

ბრიუსელში - ს. ლამბერთან,

მადრიდში - დანიელ ვეისველერთან.

ამსტერდამში - ნიდერლანდების საკრედიტო საზოგადოებაში,

რომში - ტორლონი და კ.° სთან,

ლისაბონში - ლესენთან,

კოპენჰაგენში - კერძო ბანკში,

მონტევიდეოში - იმავე ბანაკის განყოფილებასი,

ვალპარაისსი - მარტინ დარანი და კ.° სთან,

ლაიმაში - თომას ლაშამპრე და კ.° სთან.

ბარბიკენის მოწოდების გამოქვეყნებიდან სამი დღე-ღამი შემდეგ მარტო შეერთებული შტატების ქალაქებში ოთხი მილიონი დოლარი მოგროვდა. ასეთი ბე-თი "საზარბაზნე კლუბს" უკვე შეეძლო შესდგომოდა სამუშაოს.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ შეერთებულ შტატებს გარეთაც ფრიად წარმატებით მიდიოდა ხელმოწერა.

ზოგიერთმა სახელმწიფომ საკმაო გულუხვობა გამოიჩინა. ზოგმა კი არც ისე. ყველაფერი ეროვნულ ტემპერატურაზე იყო დამოკიდებული.

თუმცაღა ციფრები უფრო მჭერმეტყველურად ღაღადებს საქმეზე. ოფიციალური მონაცემებით, რომელიც "საზარბაზნე კლუბის" საბუღალტრო წიგნში იყო შეტანილი, ხელმოწერამ ასეთი შედეგი აჩვენა:

რუსეთჯმა უზრმაზარი თანხა - 368.733 მანეთი შეიტანა. ეს საკვირველი არც არის, თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის საზოგადოების ინტერესს მეცნიერბისადმი და წარმატებას, რასაც მიაღწია ამ ქვეყნის მრავალირცხოვანმა

ობსერვატორიამ, რომელთაგან მთავარი სახელმწიფოს ორი მილიონი მანეთი დაუჯდა.

საფრანგეთში პირველ ხანებში მასხრად აიგდეს ამერიკელთა ჩანაფიქრი. მთვარე მრავალი უკბილო ოხუნჯობის თემა და კაი ოცამდე ახალი ვოდევილის სიუჟეტი გახდა, რომელთა ცუდი ტონი მათი ავტორების უვიცობაზე მეტყველებდა. მაგრამ ისევე როგორც იმ ბედნიერ ძველ დროს, როცა ფრანგები ყვირილითა და სიმღერებით მოიჯერებდნენ გულს და მაინც მთლიანად სეჰქონდათ გადასახადი, ამჯერადაც დახარჯეს მთელი თავიანთი მახვილსიტყვაობის მარაგი, და ხელი მოაწერეს 1.253.930 ფრანკს, რაკიღა ამდენი თანხა გაიღეს, მათ სრული უფლება ჰქონდათ, ცოტა ეოხუნჯათ.

თავისი ქრონიკული ფინანსური სიძნელების მიუხედავად, ასტრიამ საკმაო გულუხვობა გამოიჩინა. მან 216 ათასი ფლორინი შეიტანა. ამ თანხას დიდი მადლიერებით შეხვდნენ.

შვეციამ და ნორვეგიამ 52 ათასი რიგსდალერი გაიღო. ამ ქვეყნებისათვის ეს თანხა ერთობ მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ უფრო მეტიც მოგროვდებოდა, ხელოწერა ერთდროულად რომ გაეხსენათ სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში. საქმე ისაა, რომ რაღაც მიზეზების გამო ნორვეგიელებს არ უყვართ თავიანთი ფულის შვეციაში გაგზავნა.

პრუსიამ 250 ათასი ტალერი გამოგზავნა და ამით "საზარბაზნე კლუბის" წამოწყებას თანაგრძნობა გამოუცხადა. ამ თანხის დიდ ნაწილს ხელი მოაწერეს მისმა ობსერვატორებმა და ამით ბარბიკენისადმი თავიანთი მხურვალე მხარდაჭერა გამოხატეს.

არც თურქეთს შეუტანია ნაკლები თანხა. ეს გასაგებიცაა. იგი ხომ პირადად არის დაინტერესებული ამ საქმით, ვინაიდან თავის კალენდარს მთვარის ფაზების მიხედვით ადგენს და მთვარის მიხედვით აქვს დაწესებული თავისი მარხვა რამაზანიც.

მან 1.372. 640 პიასტრზე მოაწერა ხელი. თუმცა ისე სასწრაფოდ შემოიტანა ფული, უეჭველია პორტას მთავრობამ რაღაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.

მეორეხარისხოვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის პირველ ადგილზე გამოიდა ბელგია, რომელმაც 513 ათას ფრანკზე მოაწერა ხელი. ეს კი ნიშნავდა, რომ მისი მოსახლეობა თითოეულ სულზე 12 სანტიმი მოდიოდა.

ჰოლანდიამ თავისი კოლონიებითურთ შეიტანა 110 ათასი ფლორინი და მოითხოვა 5 პროცენტი დაეკლოთ, რადგან ნაღდი ფული გადაიხადა.

თავისი ტერიტორიის შემცირების მიუხედავად, დანიამ 9 ათასი დუკადი შეიტანა და ამით გამოხატა თავისი თანაგრძნობა სამეციერო წამოწყებებისადმი.

გერმანიის კონფედერაციამ შეიტანა 34.285 ფლორინი; მეტი არც იყო მოსალოდნელი, სხვათაშორის, ამაზე მეტს გროშსაც არ გაიღებდ.

გასაჭირის მიუხედავად, იტალიამ გულმოდგინედ მოუჩხრიკა თავის შვილთ ჯიბეები და 200 ათასამდე ლირას მოუყარა თავი, ვენეციაც რომ ჰყოლოდა, მეტსაც მოაგროვებდა, მაგრამ ვენეცია ხომ უკვე აღარ ეკუთვნოდა.

პაპის ოლქსი შეგროვდა 7 ათასამდე რომაული ეკიუ, პორტუგალიამ კი მეცნიერებისადმი ლტოვლა გამოხატა 30 ათასი კრუზადით.

ქვრივის წვლილი გამოდგა მექსიკის შენატანი - სულ რაღაც 86 ორმაგი პიასტრი; მაგრამ ახლადგამომცხვარი იმპერიები ხომ ყოველთვის ფულზე ხელმომჭირნედ არიან.

257 ფრანგი - ასეთი იყო შვეიცარიის ერთობ მოკრძალებული წვლილი. სიმართლე რომ ვთქვათ, შვეიცარიელები უარყოფდნენ ამერიკელთა წამოწყების პრაქტიკულ მნიშვნელობას. მათ იმედი არ ჰქონდათ, რომ ყუმბარის მეშვეობით დამყარდებოდა საქმიანი ურთიერთობა ღამის მნათობთან და კეთოლგონირვრულად უარი თქვეს, დაებანდებინათ თავიანთი კაპიტალი ამ ერთობ სახიფატო წამოწყებასი.

ესპანეთში სულ 200 რიალი შეგროვდა. მან იმით გაიმართლა თავი, რომ რკინიგზის მშენებლობანი უნდა დაემთავრებინა. მაგრამ სინამდვილესი, როგორც ცობილია, ამ ქვეყანაში მეცნიერბას უნდობლად უყურებენ. ესპანეთი ცოტა ჩამორჩენილი ქევყანაა. აღმოჩნდნენ ისეთი ესპანელები, განათლებულნიც კი, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ მთვარისა და ყუმბარის შედარებით მასაზე; მათ ეშინოდათ, რომ ყუმბარა თავისი ორბიტიდან ამოაგდებს მთვარეს, მწყობრიდან გამოიყვანს დედამიწის თანამგზავრს და დასცემს მას მიწაზეო. ასეთ ვითარებაში უფრო გონივრული იყო შესატანისაგან თავის შეკავება. ასეც მოიქცნენ.

რჩებოდა ინგლისი. ცნობილია, თუ როგორ არად ჩააგდეს ინგლისელებმა ბარბიკენის მოწოდება. დიდი ბრიტანეთის 25 მილიონიანმა მცხოვრებმა საოცარი ერთსულოვნება გამოიჩინა. მათ გაზეთებით აგრძნობინეს ამერიკელებს, რომ "საზარბაზნე კლუბის" წამოწყება ეწინააღმდეგება ჩაურევლობის პრინციპს, და ინგლისელებმა არც ერთ ფარტინგზე ხელი არ მოაწერეს.

"საზარბაზნე კლუბის" წევრებმა ამაზე მხრებიღა აიჩეჩეს და განაგრძეს თავიანთი დიდი საქმე.

სხვანაირად მოიქცა სამხრეთ ამერიკა: პერუმ, ჩილემ, ბრაზილიამ, ლა-პლატმა და კოლუმბიამ შეიტანეს 300 ათასი დოლარი.

საბოლოოდ "საზარბაზნე კლუბის" განკარგულებაში აღმოჩნდა ვეებერთელა კაპიტალი. ხელმოწერამ ასეთი შედეგ აჩვენა:

სამამულო ხელმოწერა. . . . 4.000.000 დოლარი
საზღვარგარეთის ხელმოწერა . . . . . 1.446.675 დოლარი
სულ. . . . 5.446.675 დოლარი:

ამრიგად, "საზარბაზნე კლუბმა" დედამიწის ყოველი კუთხიდან 6.446.675. დოლარი მოაგროვა.

მაგრამ ნურავის გააკვირვებს ეს უზარმაზარი ციფრი. წინ კოლოსალური ხარჯები იყო მოსალოდნელი კოლუმბიადის ჩამოსასხმელად და მოსახარატებლად, ქვის ნაგებობათა ასაშენებლად, შენობათა და მეტალურგიული ღუმელების ასაგებად, სხალოსნოების მოასმარაგებლად, დენთის საყიდლად, ყუმბრის ასაწყობად და სხვადასხვა ქრთამისათვის. ყოველივე ეს თითქმის მთელ ამ თანხას მოილევდა. ზოგი გასროლა სამოქალაქო ომის დროს ათასი დოლარი უჯდებოდათ - გასაგებია, რომ პრეზიდენტი ბარბიკენის გასროლა, რომესაც მთელი ეპოქა უნდა შეექმნა არტილერიის ისტორიაში, ხუთი ათასჯერ ძვირი დაჯდებოდა.

20 ოქტომბერს ნიუ-იორკის ახლოს მდებარე გოლდსპრინგის ქარხანასთან ხელშეკრულება დაიდო; ეს ქარხანა ომის როს პაროტს აწვდიდა საუკეთესო თუჯის ზარბაზნებს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ქარხანას სამხრეთ ფლორიდასი, ტამპას მიდამოებში უნდა ჩაეზიდა კოლუმბიადან ჩამოსასხმელად საჭირო ყველა მასალა.

კოლუმბიადის მშენებლობის ყველა სამუშო უნდა დამთავრებულიყო მომავალი წლის 15 ოქტომბრამდე, თითოეული დღის განცდენისათვის ქარხანას პასუხი უნდა

ეგო. დღე-ღამეში საუპიროდ 100 დოლარი უნდა ეხადა იმ დრომდე, ვიდრე მთვარე კვლავ იქნებოდა დედამიწის მიმართ ასეთსავე მდგომარეობაში, ე.ი. თვრამეტი წლის და თერთმეტი დღის მანძილზე.

მუშების დაქირავეას, მათი სამუშაოს ანაზღაურებას და სამუშაოსათვის ყველა სხვა საჭირო მოწყობილობის შეძენას თავზე იღებდა გოლდსპრინგის ქარხნის სააქციონერო საზოგადოება.

ეს ხელშეკრულება მოიწონეს, ორ ცალად შეადგინეს და ხელი მოაწერეს ერთის მხრივ, "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა ბარბიკენმა და მეორეს მხირვ, გოლდსპრინგის ქარხნის დირექტორმა ჯონ მერჩისონმა.

მეცამეტე თავი

"ს ტ ო ნ ზ ჰ ი ლ ი"

მას შემდეგ, რაც "საზარბაზნე კლუბმა" ტეხასის პრეტენზიები უარყო, შეერთებული შტატების თითოეულმა მოქალაქემ, რომელთაგან წერა-კითხვა ყველამ იცის, თავისი თავი მოვალედ ჩათვალა შეესწავლა ფლორიდის გეოგრაფია. წიგნით მოვაჭრეებს ჯერ არასოდეს გაუყიდიათ ამდენი სპეციალური წიგნები: ბარტრამის "მგოზაურობა ფლორიდაში", რომენის "აღმოსავლეთ და დასავლეთ ფლორიდს ბუნება", უილიამის "ფლორიდის ტერიტორია" და კლივლენდის თხზულება "აღმოსავლეთ ფლორიდაში შაქრის ლერწმის კულტურაზე" სწრაფად გასაღდა, საჭირო გახდა მათი ხელახლა გამოცეამ. ეს იყო არნახული წარმატება.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს კითხვისათვის არა სცხელოდა: მან გადაწყვიტა, თვითონ დაეთვალიერებინა ფლორიდის ნაწილი, რათა კოლუმბიადის ასაგები ადგილი მოენიშნა. დროის დაუკარგავად კემბრიჯის ობსერვატორიას გადაუგზავნა საჭირო თანხა ტელესკპოის დასამზადებლად და ოლბანში სავაჭრო სახლს "ბრედვილ და კ°"-ს ალუმინის ყუმბარის შეკვეთა მისცა, ამის შემდეგ იგი მასტონის, მაიორ ელფისტონისა და გოლდსპრინგის ქარხნის დირექტორის თანხლებით ბალტიმორიდან გაემგზავრა.

მეორე დღეს მოგზაურები უკვე ახალ ორლეანში იყვნენ, იქ დაუყოვნებლივ ჩასხდნენ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ საზღვაო სამინისტოს საშიკრიკო გემ - "ტამპიკოში", რომელიც გამზადებული ელოდებოდა მათ.მალე ლუიზიანის ნაპირი თვალთაგან მიეფარა.

მგზავრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორ დღეღამეში "ტამპირომ" გაირა 480 მილი და ფლორიდის ნაპირს მიაღწია. მგზავრებმა დაინახეს ბრტყელი დაბლობი, რომელიც ერთი შეხედვით სრულიად უნაყოფო ჩანდა. ხამანწკებითადა ზღვის კიბოებით სავსე ყურეებისა და სრუტეების გავლის შემდეგ, "ტამპიკო" ესპირიტუ-სანტოს ყურეში შევიდა.

ტამპის და ხილსბოროს ორ რეიდად გაყოფილი ყურის შესართავი გემმა სწრაფად გადაიარა. მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა ბრუკის ციხესიმაგრე თავისი მომცრო ბატარეებით, იგი ძლივს ჩანდა ტალღებზე. შემდეგ გამოჩნდა ქალაქი ტამპა. იგი უწესრიგოდ გადაჭიმულიყო პატარა ბუნებრივი ნავსადგურის სიღრმესი, რასაც მდინარე ჰილსბოროს შესართავი ქმნიდა.

აი, აქ ჩაუშვა ღუზა "ტამპიკომ" 22 ოქტომბერს. საღამოს 7 საათზე, მგზავრები მაშინვე გადმოვიდნენ ნაპირზე.

ბარბიკენს, როგორც კი ფლორიდის მიწას ფეხი დაადგა, გული აუჩქროლდა. იგი თითქოს ფეხით სინჯავდა მიწას ისე, ვით არქიტექტორი ინსტინქტურად სინჯავს ხოლმე კედლის სიმაგრეს ჯონ ტ. მასტონი თავისი რკინის კაუჭით ხანგამოშვებით ნიადაგს ფხაჭნიდა.

- ბატონებო, ჩვენ ერთი დღეც არ უნდა დავკარგო. - თქვა ბარბიკენმა. - ხვალ დილითვე ავმხედრდებით ცხენებზე და ქვეყნის დასათვალიერებლად გავემზადებით.

ნაპირზე ბარბიკენს ტამპას მთელი მოსახლეობა, სულ სამი ათასი კაცი, ზეიმით შეეგება. ეს პატივი სავსებით დაიმსახურა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა. რაკი ფლორიდა შეარჩია. დიდხანს არ წყდებოდა მისალმების შემახილები მაგრამ ბარბიკენმა ოვაციების ასაცდენად სასტუმრო "ფრანკლინს" შეაფარა თავი და განაცხადა, არავის არ მივიღებო. ცნობილი პიროვნების როლი ბარბიკენს სულაც არ ეპრიანებოდა.

მეორე დღეს, 23 ოქტომბერს, სასტუმროს ეზოში პატარა, მაგრამ ჯანიანი ფიცხი ესპანური ცხენები მოუთმენლად აბაკუნებდნენ ფლოქვებს; ოღონდ ოთხის ნაცვლად ორმოცდაათი ცხენი და ამდენივე მხედარი აღმოჩნდა. ბარბიკენი და მისი თანმხლებნი განაცვიფრა ამ კავალკადამ. ამას გარდა, ბარბიკენმა შენიშნა, რომ თითოეულ მხედარს მხარზე კარაბინი ჰქონდა გადაკიდებული, ხოლო უნაგირის ბუდიდან პისტოლეტი მოუჩანდათ. ერთმა ახალგაზრდა ფლორიდელმა მაშინვე აუხსნა ბარბიკენს ასეთი შეიარაღების მიზეზი.

- შესაძლოა სემინოლები შეგვეფეთონ, სერ.

- ვინ სემინოლებია?

- ტრამალებში მოხეტიალე ინდიელები გახლავან, ბატონო. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით თან გხლებოდით.

- სისულელეა! - წარმოთქვა ჯ. ტ. მასტონმა და ცხენზე აფოფხდა.

- იცით, ყოელ შემთხვევისატვის... - დაუმატა ფლორიდელმა.

- დიდი მადლობელი, ბატონებო, ასეთი ყურადღებისათვის, - უპასუხა ბარბიკენმა, - ახლა კი - გავწიოთ!

კავლაკადა წამსვე მოწყდა ადგილს და სწრაფად გაუჩინარდა მტვრის კორიანტელში. დილის 5 საათი იყო. მზე უკვე კაშკაშებდა, თერმომეტრი ფრინგეიტიტ 84 გრადუსს აჩვენებდა ჩრდილში, მაგრამ გრილი ნიავი ანელებდა სიცხეს.

მოგზაურებმა სამხრეთისაკენ, სანაპიროს გასწვრივ გააჭენეს ცხენები, მდინარე ალიფიის მიმართულებით, რომელიც ნილსბოროს ყურეს ერთვის, ტამპასაგან 12 მილის დაშორებით.

შემდეგ ისინი მდინარის მარჯვენა ნაპირს აუყვნენ და აღმოსავლეთის მიმარტულებით გასწიეს. მალე ყურე ბორცვებს მიეფარა და მათ წინ ფლორიდის დაბლობი გადაიშალა.

ფლორიდა ორი ნაწილისაგან შედგება. ჩრდილოეტი ნაკლებ მწირია და უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, იქ მდებარეობს შტატის დედაქალაქი - ტალახასი და ნავსადგური პენსაკოლა, სადაც აშენებულია შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო არსენალი.

სამხრეთი ნაწილი, ერთი მხრიდან ატლანტის ოკეანე რომ ერტყმის, ხოლო მეორე მხრიდან - მექსიკის ყურე, წარმოადგენს ვიწრო ნახევარკუნძულს, რომელსაც განუწყვეტლივ ჩარეცხავს ხოლმე გოლფსტრიმის დინება. ეს არის მატერიკის ქვედა კიდური, ჩაკარგული მთელი არქიპელაგის კუნძულებს შორის, რომელთა შემოვლა

უხდებათ ხოლმე ბაგამის სრუტით მიმავალ მრავალრიცხოვან გემებს. იგი ყარაულივით დგას დიდი ქარიშხლების უბეში.

ფლორიდას 38. 033. 267 აკრი ფართობი უჭირავს, რომელთაგან ბარბიკენს მხოლოდ 28-ე პარალელის ფარგლებში მდებარე ერთი აკრი სჭირდებოდა. საჭირო პირობებს რომ მისცემდა მისი წამოწყების განსახორციელებლად. ამიტომ ბარბიკენი ყურადღებით ათვალიერებდა ნიადაგის ზედაპირს და მის წყობას. ხუან პონსე და ლეონის მიერ 1512 წ. ბზობის კვირაში აღმოჩენილ ამ მიწას თავდაპირველად აყვავებული აღდგომა დაარქვეს. მისი ქვიშიანი, მზისაგან გარუჯული ნაპირები სულაც არ იმსახურებდნენ ამ პოეტურ სახელს.

მაგრამ ნაპირებიდან უკვე რამდენიმე კილომეტრის შემდეგ არემარემ თანდათან იწყო ფერისცვალება და იგი უკვე ამართლებდა თავის სახელწოდებას: გამოჩნდა უამრავი წყარო, რუ, ღელე, ტბორი, შესავალი, ტბა. გეგონებოდა, ჰოლანდიაში ან გვინეაში ხარო. შემდეგ დაბლობმა თანდათან ამაღლება იწყო და ჩქარა, მოგზაურების თვალწინ გადაიშალა აბიბინებული ყანები, ბაღჩა- ბაღები, სადაც უხვად ხარობდნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სხვადასხვა კულტურები. ტროპიკული მზე აცხუნებდა ამ ფართო ველებს, ხოლო წვიმის წყალს თიხის ნიადაგი ინახავდა. ირგვლივ გადაჭიმულიყო ანანასების, იამარებს, შაქრის ლერწმის, თამბაქოს, ბრინჯის და ბამბის უსაზღვრო პლანტაციები. გასაოცარი იყო ამ ბუნების სიუხვე.

ბარბიკენი, ეტყობა კმაყოფილი იყო იმით, რომ მიდამო თანდათან მაღლდებოდა.

- ძვირფასო მეგობარო, - უპასუხა მან მასტონის კითხვას, - ჩვენთვის მთავარია, კოლუმბიადა მაღლობზე ავაგოთ.

- მთვარესთან რომ უფრო ახლოს ვიყოთ, არა? - წამოისროლა "საზარბაზნე კლუბის" მდივანმა.

- არა, - უპასუხა ბერბიკენმა ღიმილით, - მთვარესთან რამდენიმე მეტრით ახლოს ვიქნებით თუ შორს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ მაღლობ ადგილზე უფრო ადვილია სამუშაოთა ჩატარება: გრუნტის წყლებთან ბრძოლა მოგვიწევს, რაც მოითხოვს გრძელი და ძვირადღირებული მილების მთელ ქსელს; ამ გარემოებას კი დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ, ჩვენ ხომ დაგვჭირდება ისეთი ჭის გათხრა, რომლის სიღრმე 900 ფუტი იქნება.

- მართალი ბრძანდებით, - ჩაერია საუბარში ინჟინერი მერჩისონი, - მუშაობის დროს რამდენადაც შესაძლებელია, წყალს თავი უნდა ავარიდოთ. მაგრამ თუკი მიწისქვეშა წყაროებს წავაწყდებით, ჩვენ მას მანქანებით მთლიანად ამოვქაჩავთ და გადავღვრით ჩვენ ხომ წვრილი და ბნელი არტეზიული ჭების თხრა არა გვაქვს მიზნად დასახული. არც ბრმად ზონდირება, ბურღვა და აფეთქება. ჩვენ ვიმუშავებთ ღია ცის ქვეშ, მზის შუქზე, თხრა მოგვიწევს წერაქვით და ბარით, ხოლო თუ საჭირო იქნება, ავაფეთქებთ კიდეც. ასე რომ, საქმეს დავაშურებთ.

- მართლაც, - შენიშნა ბარბიკენმა, - თუ ჩვენ ვიპოვით მაღალ და ამასთან მშრალ ადგილს, მაშინ მიწისქვეშა წყლებთან ჯახირს ავცდებით, მუშაობაც უფრო ადვილი და ნაგებობაც მაგარი იქნება. ამიტომ შვეცადოთ, შახტი ისეთ ადგილას გავთხაროთ, ზღვის დონიდან რამდენიმე ათეული ტუაზით რომ მაღლა იყოს.

- მართალი ბრძანდებით, მისტერ ბარბიკენ, - უპასუხა ინჟინერმა, - და თუ არ ვცდები, მალე ვიპოვით კიდეც შესაფერის ადგილს.

- ოჰ, წამოიძახა ბარბიკენმა. - როგორ მინდა წერაქვის პირველ დარტყმას მოვესწრო.

- მე კიდევ მისი უკანასკნელი დარტყმის მოსმენა მინდოდა! - წამოიძახა მასტონმა.

- მალე მოესწრებით ამას. - უპასუხა ინჟინერმა. - და გარწმუნებთ გოსპრინგს ქარხანას არ მოუხდება საუპიროს გადახდა ვადის გადაცილების გამო.

- წმ. ბარბარეს ვფიცავ, კარგს იზამთ, თუ აჩქარდებით, - წამოიძახა მასტონმა. - თუ არა, ასი დოლარის გადახდა მოგიწევთ დღეღამესი მანამ, სანამ მთვარე კვლავ არ იქნება დედამიწის მიმართ იმ მდგომარეობასი, როგორც ახლაა. ანუ თვრამეტი წლისა და თერთმეტი დღის განმავლობაში უნდა იხადოს საუპირო. იცით თუ არა, რომ ეს ექვსას ორმოცდათვრამეტი ათას ას დოლარს შეადგენს.

- არა, სერ, ჩვენ ეს არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ.

ათი საათისათვის კავალკადა უკვე თორმეტიოდე მილით იყო დაშორებული ნაპირს.

დამუშავებულ ველ-მინდვრებს უკვე ტყეები სცვლიდა. ტყეებში ტროპიკული სიუხვით სულ სხვადასხვა ხეთა ჯისები ხვდებოდათ. ამ თითქმის გაუვალ, უღრან ტყეებში ბროწეულის, ფორთოხლის, ლიმონის, ჭადრის, ზეთისხილის, გარგარის, ბანანის ხეები, უზარმაზარი ვაზები, ფერადი ყვევილები და ჭრელყვავილება ნაყოფები თვალს იტაცებდნენ ფერითა და სურნელით.

ნაზ ბუმბულიან ფრინველთა ჭიკჭიკი და გალობა გაისმოდა ამ დიდებულ სურნელოვან და ხშირ ხეების ჩრდილში. წარმტაც კიბოჭამიებს მზეზე ძვირფასი ქვებით უბრწყინავდათ ფრთები, გეგონებოდა, ბუდეებში კი არა, ძვირფას კოლოფებში სხედანო.

მაიორი და მასტონი ამ თვალწარმტაცმა ბუნებამ აღიტაცა. ჯადოსნულრი სილამაზისადმი გულგრილი ბარბიკენი კი წინ მიიწევდა. აქაურობა სწორედ თავისი ნაყოფიერი მიწის გამო არ მოსწონდა. თუმცა ბარბიკენი ჰიდროსკოპიის მცოდნე არ გახლდათ, მაგრამ ალღოთი გრძნობდა, ეს მიწა გაჟღენთილი იყო წყლით, მას კი სწორედ სრულიად მშრალი ნიადაგი სჭირდებოდა.

კვალკადა განაგრძობდა გზას. ფონით უნდა გადაელახათ რამდენიმე პატარა. მაგრამ საკმაოდ ხიფათიანი მდინარე, ვინაიდან ზოგი მათგანი სავსე იყო დაახლოებით თვრამეტფუტიანი ალიგატორებით, მამაცი მასტონი თავისი რკინის კაუჭით დაემუქრა ამ ურჩხულთ. მაგრამ ამ მოძრაობამ შეაშინა მხოლოდ პელიკანები, იხვინჯები, ფაეტონები და წყლის სხვა ფრინველები, ხოლო დიდი წითელი ფლამინგოები არც კი შერხეულან და უაზრო თვალებით მიშტერებოდნენ ადამიანებს.

და ბოლოს, თვალს მიეფარნენ ჭაობის ფრინველები და წყლის ცხოველები; ტყე სულ დაბლდებოდა და მეჩხერდებოდა. მერე ისევ გამოჩნდა ტრამალი, სადაც აქა-იქ ჩანდნენ ხეთა ჯგუფები; ხანმგამოშვებით დამრთხალი ირმების ჯოგი გაიშლიგინებდა.

- როგორც იქნა! - წამოიძახა ბარბიკენმა და უნაგირზე წამოიმართა. - გამოჩნდნენ ფიჭვები.

- და ველურებიც, - დაუმატა მაიორმა.

მართლაც, ჰორიზონტზე დალანდეს სემიონელთა რაზმი; როგორც ჩანდა, აღელვებულნი იყვნენ, აქეთ-იქით დააჭენებდნენ თავიანთ ფეხმალ ცხენებს, შუბებს იქნევდნენ, ჰაერში თოფებს ისროდნენ, მაგრამ სროლის ხმა ძლივს აღწევდა მოგზაურებამდე. თუმცა, სემინოლები ამ მტრულ დემონსტრაციასღა დასჯერდნენ და ბარბიკენსა და მის ამალაზე თავდასხმა ვეღარ გაბედეს.

ბოლოს კავალკადა რამდენიმე აკრისხელა ქვიან შემაღლებაზე ავიდა. ფართო თვალსაწიერს მზე თავის მხურვალე სხივებს აფრქვევდა. ეს ადგილი ირგვლივ

გაშლილ სტეპზე საკმაოდ მომაღლო ჩანდა და თითქოს პასუხობდა ყველა იმ პირობას, რაც კოლუმბიადის დასადგმელად იყო საჭირო.

- შეჩერდით! - დაიყვირა ბარბიკენმა და ლაგამს მოსწია. - რა ჰქვია ამ ადგილს?

- ჩვენ მას სტონზჰილს (ქვიან ბორცვს) ვეძახით! - მიუგო ერთ-ერთმა ფლორიდელმა.

ბარბიკენი უსიტყვოდ ჩამოვიდა ცხენიდან, აიღო თავისი ხელსაწყოები და რაც შეიძლებოდა ზუსტად შეუდგა ადგილის გეოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრას. ბარბიკენის წინ გამწკრივდა ფლორიდელების რაზმი, ისინი დუმილით ადევნებდნენ თვალ-ყურს ის ყოველ მოძრაობას.

სწორედ ამ დროს მზე მერიდიანს ჰკვეთდა. მცირე ხნის შემდეგ ბარბიკენმა სულ გაზომა იქაურობა, რამდენიმე ციფრი ჩაიწერა, შემდეგ თავის თანამგზავრებს მიუბრუნდა და თქვა:

- ეს ბორცვი ზღვის დონიდან სამასი ტუაზით მაღლაა. განედი - ოცდაშვიდი გრადუსი, შვიდი მინუტი, გრძედი - ხუთი გრადუსი, შვიდი მინუტი. მე გონი, ამ ბორცვის მშრალი და ქვიანი გრუნტი ერთობ ხელსაყრელია ჩვენი კოლუმბიადის ასაგებად. ამიტომ სწორედ აქ ავაშენებთ ჩვენს ღუმელებს, საწყობებს, მუშათა საცხოვრებელ სახლებს და აქედან, სწორედ აქედან, - გაიმეორა ბარბიკენმა და მიწას ფეხი დაჰკრა, - გაფრინდება ჩვენი ყუმბარა სამყაროს სივრცეში!

მეთოთხმეტე თავი

წერაქვი და ბარი

იმავე საღამოს ბარბიკენი და მისი რაზმი ტომპაში დაბრუნდნენ. ინჟინერი მერჩისონი კვლავ ჩაჯდა გემ "ტამპიკოში", რომელიც ახალ ორლეანში ბრუნდებოდა. მას იქ უნდა დაექირავებინა მუშათა მთელი არმია და შეეეძინა საჭირო. მასალების დიდი ნაწილი "საზარბაზნე კლუბის" წევრები ტამპში დარჩნენ, რათა პირველი რიგის სამუშაოები ჩაეტარებინათ ადგილობრივ მუშათა ძალების დახმარებით.

რვა დღის შემდეგ "ტამპიკო" გემების მთელი ფლოტილიის თანხლებით ესპირიტუ-სანტოუს ყურეში დაბრუნდა. მერჩისონმა შეძლო, დაექირავებინა ათას ხუთასამდე მუშა.

რამდენიმე წლის წინ, მონობის შავბნელ დროს, იგი ამაოდ ეცდებოდა მუშახელის შოვნას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკა თავისუფალი ქვეყანა გახდა, ადვილი მოსაძებნი იყო ადამიანები, რომლებიც სადაც გნებავთ, იქ წავიდოდნენ, ოღონდ კი რიგიანად ანეზღაურებინათ მათი შრომა. "საზარბაზნე კლუბს" დიდი თანხა ჰქონდა და შეეძლო, მუშებისათვის მაღალი ხელფასი მიეცა, გარანტიას იძლეოდა, რომ ხელფასს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი დამატებები მოჰყვებოდა, მუშას, რომელიც ფლორიდაში მიდიოდა, იმედი ჰქნდა, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ დააგროვებდა ცოტაოდენ კაპიტალს,ბალტიმორის ბანკში მის სახელზე რომ იყო შეტანილი. ამიტომ იყო მერჩისონს უამრავი მსურველი მიაწყდა. მას შეეძლო, შეერჩია ყველაზე უნარიანი და გამოცდილი მუშები, ამგვარად, "საზარბაზნე კლუბის შრომით ლეგიონში ხვდებოდნენ საუკეთესო მექანიკოსები, ცეცხლფარეშები, მელითონეები, კირით ხურონი, მეშახტეები, ქვისმთლელები და შავი მუშები,

თეთრები და ზანგები, კანის ფერისა და რასის განურჩევლად. ბევრ მათგანს თან მიჰყავდა თავისი ოჯახი. ეს იყო ხალხთა ნამდვილი გადასახლება.

31 ოქტომბერს, დილის ათ საათზე მთელი ეს ზღვა ხალხი ქალაქ ტამპას სანაპიროზე გადმოვიდა. გასაგებია, თუ რა მღელვარებამ შეიპყრო ეს პატარა ქალაქი, რომლის მოსახლეობა ერთი დღის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა.

მართალია, მუშები მაშინვე გააგზავნეს სტონზპილში, მაგრამ ტამპას მოსახლეობამ მაინდ დღით დღე მატულობდა, ვინაიდან დედამიწის ყოველი კუთციდან აქ ჩამოდიოდა ცნობისმოყვარეთა მთელი არმაი.

რამდენიმე დღე დასჭირდა გემებიდან ჩამოტანილი მასალების, მანქანების, სურსათის პარტიებისა და აგრეთვე მუშებისათვის განკუთვნილი, დანომრილი და ასაწყობი სახლების ნაწილების გადმოტვირთვას. ამ დროსვე ბარბიკენმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი რკინიგზის მშენებლობას, რომლის სიგრძე პროექტის მიხედვით 15 მილი უნდა ყოფილიყო და რომელიც ტამპასთან შეაერთებდა სტონზჰილს.

ცნობილია, რა პირობებში აგებენ ამერიკელები თავიანთ რკინიგზებს: არ ერიდებიან არც მკვეთრ მოსახვევებს, არც აღმართებს, არად აგდებენ ზღუდეებს, და ყოველნაირ გამაფრთხილებელ ნიშნებს; ლიანდაგი ხან აღმა მიუყვება ბორცვს, ხან დაბლა ეშვება, თითქმის ალალბედზე მიემართება. ამიტომ გზები იქ იაფი ჯდება და მათი აშენებაც რთული საქმე არ არის. სამაგიეროდ, ხშირია ლიანდაგის აცდენისა და გადაბრუნების შემთხვევები.

ტამპასა და სტონზჰილს შორის გზის მშენებლობა სული იოლი აღმოჩნდა, იგი ძალიან ჩქარა გაიყვანეს და იაფიც დაჯდა.

ბარბიკენი იმ მშრომელი ხალხის სული და გული იყო, რომელიც ასე მხურვალედ გამოეხმაურა მოწოდებას, იგი ამხნევებდა ყველას, ძალას ჰმატებდა, და საქმის წარმატებით დამთავრებაში ღრმა რწმენას უნერგავდა. ყველაფერს ასწრებდა, ყველგან იყო. განუყრელად ახლდა თან მასტონიც, იგი მის ირგვლივ ტრიალებდა და ბზუოდა. ბარბიკენისთვის არ არსებობდა რაიმე წინააღმდეგობა, შეფერხება ან დაბნეულობა. ის ისეთივე პირველხარისხოვანი მექანიკოსი, მშენებელი და სამთოელი აღმოჩნდა, როგორი ოსტატიც იყო არტილერიაში. შეეძლო პასუხი გაეცა ყველა კითხვაზე, გადაეწყვიტა ყველა პრაქტიკული ამოცანა. ამავე დროს მას საქმიანი მიწერ-მოწერა ჰქონდა "საზარბაზნე კლუბთან" და გოლდსპრინგის ქარხანასთან; დღე და ღამე "ტამპიკო" გამზადებული იდგა ხილსბოროს რეიდზე და ელოდებოდა მის ბრძანებას.

1 ნოემბერს ბარბიკენმა მუშათა პირველ ჯგუფთან ერთად დატოვა ტამპა და უკვე მეორე დღესვე სტონზჰილს გარშემო გალავანივით გარს შემოერტყა ასაწყობი სახლებისაგან აგებული მთელი დასახლება. მუშათა პატარა ქალაქში, ისევე როგორც ყოველ დიდ ამერიკულ ცენტრში, გაჩაღდა გაცხარებული საქმიანობა. ქალაქის მთელი ცხოვრება მკაცრ დისციპლინას დაექვემდებარა და სამუშაო შესანიშნავად აეწყო.

სასინჯმა გაბურღვამ, რომელიც დიდი მონდომებით დასაგულდაგულოდ შესრულდა, შესაძლებელი გახადა ნიადაგის ხასიათის განსაზღვრა. და უკვე 4 ნოემბრისათვის დანიშნეს შახტის საძირკვლის ჩაყრა. ამ დღეს ბარიბკენმა ყველა ოსტატი შეკრიბა და შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

- ჩემო მეგობრებო! ყველამ იცით, რა მიზნით დაგიძახეთ ფლორიდის ამ უდაბნოში. ჩვენ მოგვიწევს ისეთი ზარბაზნის ჩამოსხმა, რომლის შიგა დიამეტრი ცხრა ფუტი იქნება, კედლების სისქე კი ექვსი ფუტი. მისი ქვის წყობის სისქე ცხრამეტ-ნახევარი ფუტი უნდა იყოს. ამისათვის საჭიროა გაითხაროს სამოცი ფუტი

დიამეტრის, ხოლო ცხრაასი ფუტი სიღრმის შახტი, ეს უზარმაზარი სამუშაო საჭიროა რვა თვის განმავლობაში დამთავრდეს. მაშასადამე, თქვენ უნდა ამოიღოთ ორი მილიონ ხუთას ორმოცდასამი ათას ოთხასი კუბიკური ფუტი მიწა, ანუ ციფრები რომ დავამრგვალოთ. ათი ათასი კუბიკური ფუტი დღე-ღამეში. ათასი კაცი ადვილად მოერეოდათ ამ სამუშაოს, გაშლილ მიდამოში რომ გიწევდეთ მუშაობა, მაგრამ თქვენ შრომობთ შედარებით განსაზღვრულ სივრცეში. ამისდა მიუხედავად, სამუშაო უნდა შესრულდეს და იგი შესრულდება კიდეც. მე თქვენი ვაჟკაცობისა და ოსტატობის იმედი მაქვს.

დღის 8 საათისათვის სტონზჰილის მწვერვალზე გაისმა წერაქვის პირველი დარტყმის ხმა და მას შემდეგ ამ სახელოვან იარაღს წამითაც არ შეუწყვეტია საქმიანობა: მუშები დღე-ღამეში ოთხჯერ იცვლებოდნენ.

მართალია გრანდიოზული იყო ეს სამუშაო, მაგრამ იგი ადამიანის ძალთა შესაძლებლობას როდი აღემატებოდა. სრულებითაც არა, ცნობილია, რომ თავის დროზე შესრულდა უფრო ძნელი სამუშაოებიც, როცა სტიქიებთან უშუალოდ უხდებოდათ ბრძოლა და მაინც საქმეს კეთილად აბოლოებდნენ. საკმარისია, გავიხსენოთ "ჩვენი წინაპარი იოსების ჭა". ქაიროს მახლობლად სულთან სალადინმა რომ გათხარა იმ ეპოქაში. როცა არ არსებობდა მანქანები, ასჯერ რომ ამსუბუქებენ ადამიანის შრომის ნაყოფიერებას; არადა, ეს ჭა გათხრილი იყო სამასი ფუტის სიღრმეზე, ნილოსის დონემდე. მერე ჭა გათხარეს კომბლენცში მარკ-გრაფ იოჰან ბადენელის დროს - ჭის სიღრმე ექვსასი ფუტი იყო. კაცმა რომ თქვას, ახლა რაზე იყო ლაპარაკი? მხოლოდ იმაზე, რომ ამ უკანასკნელი ჭის სიღრმე გადიდებულიყო სამჯერ, სიგანე კი ათჯერ. მაგრამ სწორედ შახტის ეს სიფართოვე აიოლებდა მუშაობის პროცესს. ამიტომაც არც ერთ მუშას ეჭვი არ ეპარებოდა საქმის წარმატებაში.

მერჩისონის მიერ ბარბიკენთან შეთანხმებით მიღებულმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილება დააჩქარა სამუშაოთა მიმდინარეობა. შეთანხმეის ერთი მუხლის თანახმად, ქარხანა კისრულობდა კოლუმბიადის ლულასთან ნაჭედი რკინის უზარმაზარი გახურებული სალტეები შემოეჭირა, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს სალტეები სრულიად ზედმეტია, რომ უამათოდაც კონსტრუქცია თავისუფლად გაძლებს. ამრიგად, სალტეები უარყვეს. ამან კი დროის უდიდესი ეკონომიკა გამოიწვია, ვინაიდან შესაძლებელი გახდა, გამოეყენებინათ შახტების უახლოესი კონსტრუქციის სისტემა. რომლის დროსაც ჭის ქვის გალავანი ბურღვის ერთდროულად იგება. ეს ერთობ მარტივი ხერხი საშუალებას იძლევა, მიწის კედლებს არ შეუყენონ ბიგები, ვინაიდან კედლებს აკავებს ქვის წყობა, რომელიც თავისი სიმძიმის გამო თვითონ ეფლობა მიწაში.

ამ ხერხისათვის შეიძლებოდა მიემართათ მხოლოდ მაშინ, როცა ნიადაგის ზედაპირს მოთხრიდნენ და მაგარ გრუნტამდე მიაღწევდნენ.

4 ნოემბერს ორმოცდაათმა კაცმა სტონზჰილის მწვერვალზე გალავნის ცენტრში ამოთხარა სამოცი ფუტი დიამეტრის მქონე მრგვალი ორმო. ნიადაგის სულ რამდენიმე დიუმის სისქის პირველი შავი მიწის ფენა სწრაფად გადათხარს. მის ქვეშ ორი ფუტი სისქის წვრილი ქვიშის ფენა მეტისმეტად ფრთხილად ამოიღეს, ვინაიდან ზარბაზნის ჩამოსასხმელი ყალიბების ასაგებად გამოდგებოდა.

ქვიშის ფენის ქვეშ ინგლისური მერკელის მსგავსი საკმაოდ სქელი თეთრი თიხა გამოჩნდა. იგი ერთ მეტრზე ცოტა მეტ სისქის ქანდარას ქმნიდა. შემდეგ ქვიშიან ქანებზე წერაქვებმა ნაპერწკლები აჰყარეს. ეს იყო გაქვავებული ნიჟარებისაგან შემდგარი ძალიან მაგარი და სრულიად მშრალი ფენა. მუშებმა უკვე ჩააღწიეს

ექვსნახევარ ფუტ სიღრმეს და ახლა უკვე მიწის მთხრელებმა ადგილი დაუთმეს ქვის მთლელებს.

ამ ჩაღრმავების ფსკერზე ააგეს დისკოს მსგავსი რკინის ჭანჭიკებით დამაგრებული და საგანგებო გამძლეობის მქონე მუხის რგოლი. მისი შიგა დიამეტრი ტოლი იყო კოლუმბიადის გარეთა დიამეტრისა. ამ რგოლზე დაიდო საშენი ქვების პირველი ფენა, ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებდნენ ცემენტის ხსნარით, რომელიც მაგრამ ჰკრავდა მათ. ამ წყობას იწყებდნენ რგოლის გარეთა წრეხაზიდან და ცენტრისაკენ მიემარტებოდნენ. როცა ეს სამუშაო დაამთავრეს, მუშები ოცდაერთი ფუტი დიამეტრის ჭაში აღმოჩდნენ.

ეს სამუშაოც რომ დაასრულეს, მიწის მთხრელებმა კვლავ აირეს ხელში წერაქვები, ძალაყინები და დაიწყეს ქანის გამომტვრევა ხის რგოლიდან; გაჩენილ სიცარიელეში მაგარ საყრდენებს არჭობდნენ, ერთიმეორის მიყოლებით იღებდნენ საყრდენებს; ნელ-ნელა რგოლი ძირს ეშვებოდა. მასთან ერთად ქვევით მიიწევდა მასზე დაშენებული ქვის კედელი. აქ მომუშავე ქვის მთლელები სხვადასხვა ადგილას აკეთებდნენ სასულეს, რათა გზა მისცემოდა გაზებს, რომელიც აუცილებლად გამოიყოფოდა ზარბაზნის ჩამოსხმის დროს.

ყველა ეს სამუშაო მუშებისაგან მოითხოვდა არა მარტო მოხერხებულობას, არამედ გამუდმებულ დაძაბულ ყურადღებასაც.

რგოლის ქვეშ გათხრის დროს ქვის ნამსხვრევებმა ზოგიერთი მუშა სერიოზულა დააშავა, ზოგი დაიღუპა კიდეც, მაგრამ მუშათა ენერგია არც დღისით და არც ღამით წამითაც არ ცხრებოდა: მუშაობდნენ ზაფხულის თაკარა მზის ქვეშ, როდესაც კირის ნიადაგი 99 გრადუსამდე ხურდებოდა, და ღამით ელექტრონის შუქზე. რახუნი, აფეთქების ხმა, მანქანათა გუგუნი, სტონზჰილის თავზე აღმართული კვამლის ღრუბლები მარტო ბიზონების ჯოგს კი არა, სემიონოლებსაც აშინებდა, რომლებიც ვერ ბედავდნენ, ახლოს გაკარებოდნენ ამ საშინელ ადგილს.

სამუშაოები სრულდებოდა სწრაფად და გეგმაზომიერად. მიწის ამოღებას ამსუბუქებდა ორთქლის ამწე მანქნები, მშენებლებს მოულოდნელი წინააღმდეგობანი არ შეხვედრიათ, წინასწარ გათვალისწინებულ სიძნელეებს კი წარმატებით სძლევდნენ.

ერთი თვის შემდეგ შახტი ას თორმეტ ფუტამდე გათხარს, რაც ამ თვეში იყო გათვალისწინებული. დეკემბერში ეს სიღრმე გაორკეცდა, ხოლო იანვარში გასამკეცდა. თებერვლის თვეში მუშებს ბრძოლა მოუხდათ ნიადაგისეულ წყალთან, რომელიც ქანებს შუა ჟონავდა. გამოიყენეს მძლავრი წყალსაქაჩები და გაუხშოებული ჰაერის მქონა აპარატები, შემდეგ წყაროების ხვრელებში ბეტონი ჩაასხეს ისევე, როგორ ამას აკეთებენ გემის წყალქვესა ნაწილში წყლის დენის შესაჩერებლად. ბოლოს და ბოლოს ამ წინააღმდეგობასაც სძლიეს, თუმცა წყალმა მოასწრო რგოლის ქვეშ გრუნტის წალეკვა, რის გამო იგი ნაწილობრივ ჩამოზვავდა. ნიადაგის ჩამოშლის დროს რგოლთან ერთად დაიბრიცა სამოცდათხუთმეტი ტუაზის სიმაღლის მქონე ქვის კედელი. ადვილი წარმოსადგენია, ამან რა სასინელი რყევა გამოიწვია. ეს უბედური შემთხვევა რამდენიმე მუშას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

სამი კვირა დასჭირდა ქვის კედლის საყრდენების გამაგრებას, რომ კვლავ მტკიცე საფუძველზე დაეყენებინათ რგოლი.

ინჟინრის ხელოვნების და აგრეთევ მანქანების წყალობით ქვის კედელმა, რომელსაც დანგრევის საფრთხე ემუქრბოდა, კვლავ მიიღო მყარი მდგომარეობა და ბურღვაც გაგრძელდა.

საბედნიეროდ, ამის შემდეგ არავითარი შეფერხება აღარ მომხდარა და 10 ივნისს - ბარბიკენის მიერ განსაზღვრულ ვადაზე ოცი დღით ადრე, - შახტმა მიაღწია გათვალისწინებულ ცხრაას ფუტს. დამთავრებული აღმოჩნდა ქვის წყობაც; იგი ოცდაათი ფუტის სისქის საძირკველზე იყო ნაგები და ზემოთ მიიმართებოდა ღრუ ცილინდრის სახით.

პრეზიდენტმა და "საზარბაზნე კლუბის" წევრებმა, ვინც ამ სამუშაოებს ესწრებოდნენ, მიულოცეს და მხურვალე მადლობა გადაუხადეს ინჟინერ მერჩისონს, რომელმაც უმაგალითო სიჩქარით შეასრულა ეს ტიტანური სამუშაო.

მთელი ამ რვა თვის განმავლობაში ბარბიკენს წუთითაც არ მიუტოვებია სტონზჰილი, იგი დაძაბული ადევნებდა თვალყურს ყველა სამუშაოს, განუწყვეტლივ ზრუნავდა მუშათა ჯანრთელობასა და კეთილდღეობაზე. მისი წყალობით ადგილი არ ჰქონია ეპიდემიებს, ასე სწრაფად რომ ჩნდება ხალხის შეჯგუფების დროს და მუსრს ავლებს ხოლმე ტროპიკებთან ახლოს მდებარე ქვეყნებს.

მართალია, რამდენიმე მუშა დაიღუპა, თავისი გაუფრთხილებლობის გამო, მაგრამ ასეთ გრანდიოზულ და სახიფათო სამუშაოებზე შეუძლებელია აიცდინო რაიმე უბედური შემთხვევა; ასეთ "წვრილმანებს" ამერიკელები ყურადღებას არ აქცევენ. ისინი ზრუნავენ უფრო საყოველთაო და არა ცალკეული ადამიანების კეთილდღეობაზე. თუმცა ბარიკენი სხვანაირად ფიქრობდა და არასოდეს ღალატობდა თავის პრიციპებს. მისი ზრუნვის, შორსმჭვრეტელობის, ბრძნული რჩევა-დარიგების, საოცარი დაკვირვებულობისა და ჰუმანურობის წყალობით შახტის მშენებლობის დროს უბედური შემთხვევების რიცხვი ისე ცოდა იყო, რომ არ გადაუჭარბებია ისეთ ტექნიკის უსაფრთხოებით ცნობილ ევროპულ ქვეყნებისათვის როგორიცაა საფრანგეთი, სადაც ისეთი დიდი მასშტაბის სამუშაოზე, რომელშიც იხარჯებოდა 200 ათასი ფრანკი, მხოლოდ ერთ უბედურ შემთხვევას აქვს ადგილი.

მეთხუთმეტე თავი

"ჩამოსხმის ზეიმი"

შახტის მშენებლობასთან ერთად ასეთივე სისწრაფით მიმდინარეობდა კოლუბმიადის ჩამოსახმელად მოსამზადებელი სამუშაოები. სტონზჰილში მყოფ უცხოელს განაცვიფრებდა მოულოდნელი სანახაობა.

შახტიდან ექვსასი იარდის დაშორებით წრიულად განლაგებული იყო ამრეკლავებით მომარაგებული 1.200 სადნობი ღუმელი, თითოეული მათგანი ექვსი ფუტი გახლდათ და მეზობელი ღუმელისაგან ნახევარი ტუაზით იყო დაშორებული; ამრიგად, ღუმელების წრიული ხაზის სიგრძე აღწევდა ორ მილს, ყველა ისინი ერთი ყაიდისა იყვნენ და მათ უზარმაზრ მილებს ერთი სიმაღლე ჰქონდატ მეტად თავისებური სანახაობა იყო.

ჯ. ტ. მასტონის აზრით, ეს ნაგებობანი არქიტექტურული თვალსაზრისით შესანიშნავი იყო. იგი ამტკიცებდა, მსოფლიოში ვერც ერთი ნაგებობა ვერ შეედრება მათ, საბერძნეთშიც კიო, და დაუმატებდა, '"სხვათაშორის იქ არასოდეს ვყოფილვარ".

გავიხსენოთ, რომ კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა; კოლუმბიადა ჩამოესხათ თუჯისაგან, სახელდობრ, რუხისაგან და მართლაც, თუჯის ეს სახეობა ყველაზე უფრო ბლანტი და ჭედადია; იგი რბილია და მისი გაბურღვა და ყვალანაირ ფორმაში ჩამოსხმა უფრო ადვილია: თუ მას ხის ნახარშზე გამოადნობთ, მიიღება საუკეთესო ხარისხის სახეობა ზარბაზნისათვის, ორთქლის მანქანების ცილინდრებისათვის, ჰიდრავლიკური წნეხებისათვის და საერთოდ ყველა მკვრივი ნაკეთობისათვის.

თუმცაღა, ასეთი თუჯიც, თუ იგი ერთხელ არის გამოდნობილი, მაინცდამაიც კარგი არ გახლავთ; ხელმეორედ გამოდნობის შემდეგ მას წმენდენ ან ხვეწავენ და ამით აშორებენ ყოველნაირ კაჟოვან მინარევებს.

კოლუმბიადისათვის განკუთნილი რკინის მადნის პირველი დნობა მიმდინარეობდა გოლდსპრინგის ქარხნის ბრძმენდებში. მეტისმეტად მაღალ ტემპერატურაზე ნახშირსა და კაჟმიწასთან შეხებისას მადანი გამოყოფს გამდნარ ლითონს. იგი ნახშირჟანგთან შეერთებისას თუჯად იქცევა. საჭირო რაოდენობის თუჯის გამოდნობა დამთავრებული იყო და იგი უნდა გაეგზავნათ სტონზჰილში. 36 მილიონი გირვანქა თუჯი რკინიგზით გაგზავნა მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა; იმდენივე, რამდენიც თვითონ თუჯი დაჯდა. ამიტომ გადაწყდა ნიუ-იორკში დაექირავებინათ საგანგებო გემები და დაეტვირთათ ისინი თუჯის მადნებიტ. დასჭირდათ თითქმის 68 გემი, თითოეული მათგანი ათასტონიანი იყო, 3 მაისს ნიუ-იორკიდან ეს ფლოტილია ატლანტის ოკეანეში და კურსი ამერიკის სანაპიროს გასწვრივ სამხრეთისაკენ აიღო, შევიდა მაგამის სრუტეში, შემოუარა ფლორიდას სამხრეთ კიდურს, გაიარა ესპირიტუსანტოს ყურე და უხიფათოდ 10 მაისს ტამპას ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა. იქ თუჯის მთელი ეს უზარმაზარი მასა გემებიდან მატარებლებში გადმოტვირთეს და ივნისის შუა რიცხვებში სტონზჰილში მშვიდობიანად ჩაიტანეს.

ამის შემდეგ თუჯი და ნახშირი 1.200 ღუმელში უნდა ჩაეტვირთათ. არცაა საკვირველი, რომ ასე ბევრი ღუმელი იყო - მათ ხომ 60 ათასი ტონა თუჯი უნდა გამოედნოთ. თითოეულ მათგანში ეტეოდა 114 ათასი გირვანქა თუჯი.

სტონზჰილის ღუმელთა ნიმუშად გამოიყენეს ის ღუმელები, როდმენის ზარბაზანი რომ ჩამოასხეს, ამ ღუმელებს განივ ჭრილში ტრაპეციის ფორმა ჰქონდათ, სადნობი საცეცხლურრები ორივე მხრიდან გააჩნდათ და კვამლსადენების წყალობით თანაბრად ცხელდებოდნენ. ღუმელთა კედლები ცეცხლგამძლე აგურისაგან იყო ნაგები, ხოლო მთელი მათი შინაგანი მოწყობილობა დაყვანილი იყო ნახშირის საწვავ ცხაურსა და ცეცხლგამძლე ფილამდე, რომელზეც აწყობდნენ თუჯის ძელებს; ფილის დახრილობა 250 გრადუსს შეადგენდა. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ გამდნარ ლითონს თავისუფლად ედინა რეზერვუარებში, რეზერვუარიდან კი ქვის ღარით გამოსულიყო. ყველა ეს 1. 200 ღარი რადიუსებივით თავს იყრიდა შახტის ხვრელთან.

მეორე დღესვე, როგორც კი ამოაშენეს კედელი და დამთავრდა ბურღვის სამუშაოები, ბარბიკენმა ბრძანა, შესდგომოდა შიდა არხის დაყალიბებას. საჭირო იყო, შახტის შუაგულში აეგოთ ცხრაასი ფუტი სიმარლისა და ცხრა ფუტი სიფართის ცილინდრი, რომლის ღერძი დაემთხვევოდა თვით შახტის ღერძს. მას უნდა დაეჭირა კოლუმბიდის არხისათვის განკუთვნილი სივრცე.

ეს ცილინდრი ააგეს თიხიანი მიწისა და ქვიშა ნარევისაგან, რომელსაც დაკეპილ თივასა და ნამჯას უმატებდნენ; ცილინდრულ ფორმასა და შახტი ქვის კედლებს შორის დარჩენილ არეში უნდა ჩაესხათ გამდნარი თუჯი, რომელი ფსკერსა და ზარბაზნის ექვსფუტიან კედლებს წარმოქმნიდა.

ცილინდრს რომ წონასწორობა არ დაეკარგა, აგების პროცესშივე რკინის სალტეებს უჭერდნენ. ამას გარდა მას ყოველ თანაბარ შუალედებში გაყრილი მსხვილი გარდი-გარდმო ძელებით ამაგრებდნენ, შახტის ქვის სისქეში ღრმად რომ იყო ჩაკირული. რასაკვირველია, იარაღის ჩამოსხმის დროს ყველა საყრდენი გადნეოდა და თუჯის თხელ მასაში გაითქვიფებოდა, მაგრამ ამას არ შეეძლო შეემცირებინა კოლუმბიადის სიმყარე.

8 ივლისს ყველა ეს სამუშაო კეთილად დაგვირგვინდა; გადაწყდა ზარბაზანი მეორე დღეს ჩამოესხათ.

- ძალიან დიდებული ცერემონია იქნება, - მიმართა მასტონმა ბარბიკენს.

- უეჭველად, - უპასუხა ბარბიკენმა, - მაგრამ გარეშე პირს აქ არ დავუშებ.

- როგორ? კარს არ გაუღებთ მაყურებლებს? - გაუკვირდა მასტონს.

- არავითარ შემთხვევაში. კოლუმბიადის ჩამოსხმა ფრიად რთული საქმეა, რომ არა ვთქვათ, სახიფათო-მეთქი. ამიტომ მირჩევნია, ეს ოპერაცია ჩატარდეს დახურულ კარებში. შეიძლება ზეიმი მოეწყოს კოლუმბიადის გასროლი შემდეგ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უფრო ადრე.

პრეზიდენტი სავსებით მართალი იყო. ზარბაზნის ჩამოსხმის დროს შეიძლებოდა გაუთვალისწინებელ დაბრკოლებებს ეჩინა თვი, ხოლო მაყურებელთა სიმრავლე ხელს შეუშლიდა ამ დაბრკოლებების გადალახვას. აუცილებელი იყო მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა. ამიტომ გალავანს შიგნით "საზარბაზნე კლუბის" დელეგაციის გარდა არავინ დაუშვეს, ტამპაში ჩამოსულ დელეგატთა შორის იყვნენ: ფიცხი ბილსბი, მაიორი ელფისტონი, გენერალი მორგანი, ჰანტერი, პოლკოვნიკი ბლემსბერდი და tutvi quanti[1]. ყველა ამათთვის კოლუმბიადის ჩამოსხმა პირადი ზეიმი გახლდათ.

ჯ. ტ. მასტონმა ჩამოსული ამხანაგების მეგზურობა იკისრა; გააცნო მათ ყველა წვრილმანი, დაატარებდა ყველგან: საწყობებსა და სახელოსნოებში, უჩვენებდა მანქანებს და აიძულებდა, დაეთვალიერებინათ ღუმელების მთელი წრეც. ათას მეორასე ღუმელის დათვალიერები შემდეგ დაღლილობისაგან ყვეალას ფეხი წაერთვა.

ჩამოსხმის დაწყება დანიშნული იყო დღის 12 საათისათვის, ამიტომ ჯერ კიდევ

---

1 და სხვები (იტალ.)

წინა დღეს თითოეუ ღუმელში შეაწყვეს 12 ათასი გირვანქა თუჯი ცხაურებივით დაწყობილი ძელების სახით, რათა ცეცხლი ყოველი მხრიდან წაჰკიდებოდა და 1.2000 მილიდან დილითვე ამოფრქვევულიყო კვამლის ბოლქვები და ცეცხლის ენები. ირგვლივ ნიადაგი იძროდა და ყრუდ გუგუნებდა. თუჯის გამოსადნობად საჭირო იყო ლითონისა და ნახშირის თანაბარი წონითი რაოდენობა, მაშასადამე, ღუმელებში უნდა გამომწვარიყო 68 ათასი ტონა ნახშირი: სტონზჰილის თავზე უზარმაზარმა შავმა ღრუბელმა სრულიად დაფარა მზის დისკო. მძლავრი ვენტილატორები გამაყრუებელი სტვენით ერეკებოდნენ სუფთა ჰაერს ამ ანთებულ ქურებში და ამარაგებდნენ მათ ჟანგბადით.

ჩამოსხმის წარმატებისათვის საჭირო იყო სისწრაფე, ამიტომ წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, ზარბაზნებიდან სასიგნალო გასროლის დროს რეზერვუარები მყისვე გახსნილიყვნენ და გამდნრი ლითონი გამოეშვათ.

თითოეული მუშა და ოსტატი თავის პოსტზე იდგა და გასროლას მოუთმენლად და, ცხადია, შიშითაც ელოდებოდა. გალავანს შიგნით მათ გარდა არავინ იყო. ოსტატი-მელითონეები პირდაპირ ჩასადენ ხვრელებთან იდგნენ.

ბარბიკენი და მისი კოლეგები მეზობელ გორაზე იმყოფებოდნენ. მათ წინ იდგა ზარბაზანი და მთავარი ინჟინრის სიგნალს ელოდა.

შუადღისას თხელი თუჯის პირველი წვეთები გამოჩნდა, მიმღებებმა ნელ-ნალა იწყეს ავსება, ბოლოს მთელი თუჯი გადნა, მაგრამ იგი ცოტა უნდა დაწმენდილიყო, რომ მინარევები ზედაპირზე ამოტივტიებულიყო.

საათმა თეთმეტჯერ დაჰკრა. უეცრად ყვითელი ალი აკაშკაშდა და გაისმა ზრბაზნის სროლის ხმა. იმწამსვე გაიხსნა ჩამდინარი ხვრელი და აქედან გამოსრიალდა 1.200 ცეცხლის გველი, ბრწყინავ რგოლებად რომ იკლაკნებოდა. ცეცხლის ალებმა შახტის ნაპირებს სწრაფად მიაღწიეს და საშინელი გრუხუნით შიგ 900 ფუტის სიღრმეზე ჩაეშვნენ, ეს იყო დიდებული, სულისშემძვრელი სანახაობა. მიწა ბარბაცებდა; შახტის თავზე დაიგრიხნენ კვამლის ბოლქვები, ვინაიდან გახურებულმა ლითონმა მყისვე ააორთქლა სინესტე, რომელიც შახტის და ზარბაზნის არხის შიგა კედლებზე იყო დაგროვილი და ორთქლი ქვის

წყობის სასულედან გამოვარდა სპირალივით დახვეული. იგი ზევით ხუთას ტუაზამდე სიმაღლეზე აიჭრა.

სტონზჰილის მახლობელ ველებში მოხეტიალე ინდიელები ალბათ იფიქრებდნენ, ფლორიდაში ახალი ვულკანი გაჩნდაო. არადა არც ვულკანი ამოფრქვეულა, არც ქარიშხალი ამოვარდნილა, არც ჭექა-ქუხილი ყოფილა, არ მომხდარა არც ერთი ის სტიქიური მოვლენა, რისაც ასე ეშინია ადამიანს. არა! წითელი გაზების ეს გროვა, ეს გიგანტური ალი, რომელიც თითქოს კრატერიდან ამოვარდა, ნიადაგის ძაგძაგი, მიწისძვრის ბიძგებს რომ ჰგავდა, გრიგალივით ხმაური, - ყველაფერი ეს ადამიანის ნამოქმედარი იყო; ადამიანმა ამოთხარა უფსკრული და შიგ გამდნარი ლითონის მთელი ნიაგარა ჩაუშვა!

მეთექვსმეტე თავი

კ ო ლ უ მ ბ ი ა დ ა

ჩამოისხა თუ არა კოლუმბიადა, ამაზე ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლებოდა. მართალია, თითქოს ყელაფერი წარმატების მაჩვენებელი იყო: კოლუმბიადის ყალიბმა ღუმელებში გამომდინარი მთელი თუჯი შთანთქა. მაგრამ ჩამოსხმის ხარისხის უშუალო შემოწმება მალე ვერ შეძლეს.

მართლა, მაიორ როდმენს, თავისი 160 ათასი გირვანქა ზარბაზნის ჩამოსხმის შემდეგ, 15 დღე-ღამის ცდამ მოუწია, სანამ იარაღი საბოლოდ გაცივდებოდა.

რამდენ ხანს იქნებოდა თავისი თაყვანისმცემლებისაგან დაფარული გიგანტური კოლუმბიადა, გაზების ღრუბელი რომ ეხვია თავზე? რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მისი გაცივების პროცესი? ამის გამოანგარიშება ყოვლად შეუძლებელი იყო.

"საზარბაზნე კლუბის" წევრების მოთმინების ფიალა ივსებოდა, მაგრამ უნდა ექნათ. თავგანწირული მასტონი კინაღამ ცოცხლად მოიხრაკა შახტის თავზე ისევ ისე ირეოდა კვამლის უზარმაზარი სვეტები და ნიადაგი სტონზჰილის მწვერვალიდან ორასი ნაბიჯის მოშორებითაც კი ფეხებს სწვავდა.

დღეს დღე მისდევდა, კვირას კვირა და ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო შახტთან ახლოს მისვლა. არავითარი საშუალება არ არსებობდა უზარმაზარი თუჯის ცილინდრის გაციების დასაჩქარებლად. საჭირო იყო ლოდინი. "საზარბაზნე კლუბის" წევრები მოუთმენლობისაგან ადგილს ვერ პოულობდნენ.

- დღეს უკვე ათი აგვისტოა, - თქვა ერთ დილით მასტონმა. - პირველ დეკემბრამდე ოთხ თვეზე ნაკლები რჩება! - არადა კიდევ რამდენი სამუშაო გვაქვს: კოლუმბიადიდან ყალიბის ამოღება, ზარბაზნის დაყალიბება და დატენვა. დროზე ვერ მოვასწრებთ ყველაფერს. ზარბაზანსაც რომ ვერ ვეკარებით? ნუთუ იგი არასოდეს გაცივდება? ეს საშინელებაა!

მეგობრები ამაოდ ცდილობდნენ, დაემშვიდებინათ თავიანთი მოუთმენელი მეგობარი. ბარბიკენი ჩუმად იყო და ცდილობდა, წუხილი არ გამოემჟღავნებინა. მუდამ საქმიანობას მიჩვეული ადამიანისათვის რა სამძიმო უნდა ყოფილიყო ისეთი დაბრკოლების გადაღობვა, მხოლოდ დრო რომ მოერევა! დრო კი ამ შემთხვევაში ყველაზე სახიფათო მტერი იყო, და მას ვერსად გაექცეოდნენ.

რეგულარულად დაკვირვებების შედეგად ნიადაგის მდგომარეობის ერთგვარი ცვილილება შენიშნეს. 15 აგვისტოს გაზები შესამჩნევად შეთხელდა. რამდენიმე დღის შემდეგ ნიადაგი მხოლოდ მსუბუქ ურჩხულს უკანაკსნელი ამონასუნთქი. თანდათანობით შეწყდა რყევა და გუგუნი; შახტის ირგვლივ გახურებული ნიადაგის რკალი განუწყვეტლივ ვიწროვდებოდა. თანდათანობით გულადი ადამიანები ახერხებდნენ კიდეც შახტთან მიახლოებას. პირველ დღე-ღამეში შეიძლებოდა ორი ტუაზით წინ წაწეულიყავი, ერთი დღე-ღამის შემდეგ თითქმის ოთხით და ბოლოს, 22 აგვისტოს ბარბიკენმა, მისმა კოლეგებმა და მერჩისონმა უკვე შეძლეს თუჯის რგოლის კიდემდე მისვლა, სტონზჰილეს მწვერვალის ზედაპირთან რომ იყო გათანაბრებული.

უეჭველია, ეს საოცრად ჯანსაღი ადგილი გახლდათ, აქ თავის დღეში ფეხი არ გაგიცვდებოდათ.

- როგორც იქნა! - წამოიძახა შვებით "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა.

იმავე დღეს მუშაობა განახლდა.

დაუყოვნებლივ შეუდგნენ კოლუმბიადის არხის გაწმენდას და იქიდან შიგა ყალიბის ამოღებას. შეუსვენებლად მუშაობდნენ ძალაყინით, წერაქვითა და მბურღავი მანქანებით. მაღალ ტემპერატურაზე შედუღებული თიხა და ქვიშა საოცრად გამაგრდა, მაგრამ მან ქანების მეშვეობით შეძლეს მთელი ამ გაქვავებული თუჯის კედლებთან ჯერაც ცხელი შედგენილობის მოფხეკა. ჩამოტეხილ ნაჭრებს მაშინვე ყრიდნენ დაკიდულ ბადეებში, ამ ბადეებს ზევით სწევდნენ ორთქლის ჯალამბარეით. მუშაობა დუღდა, ბარბიკენი კი დოლარიტის მეშვეობით ხალხს მუშაობის წყურვილს უღვივებდა. და აი, 3 სექტემბრისათვის შინაგანი ფორმისაგან კვალიც აღარ დარჩა. მას მოჰყვა ზარბაზნის დაყალიბება, დააყენეს მღარავი მანქანები, რომლებიც შეუდგნენ ხორკლიანი კანის გასუფთავებას, თუჯის ზედაპირს რომ ფარავდა. რამდენიმე კვირის შემდეგ გიგანტური მილის შიგა ზედაპირმა იდეალურად სწორი ცილინდრული ფორმა მიიღო, იარაღის შიგა არხიც შესანიშნავად იყო გაპრიალებული.

და ბოლოს, 22 სექტემბერს, ე.ი. ბარბიკენის მიერ თავისი ცნობილი მოხსენების წაკითხვიდან ერთ წელზე ნაკლები დროის შემდეგ საგულდაგულოდ დაყალიბებული და ყველაზე ზუსტი ხელსაწყოების მეშვეობით ვერტიკალურ მდგომარეობაში დაყენებული კოლოსალური ზარბაზანი მზად იყო. ახლა უნდა დალოდებოდნენ მთვარეს, მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იგი პაემანზე არ დაიგვიანებდა.

მასტონის სიხარული უსაზღვრო იყო. კინაღამ გადაჰყვა ამ სიხარულს. მან გაუფრთხილებლად ჩაიჭყიტა ზარბაზნის ხვრელში და მოინდომა თვალით გაეზომა ცრაასი ფუტი სიღრმე. ბლემსბერის მარჯვენა ხელი რომ არა, რომელიც,

საბედნიეროდ, შერჩენოდა ომის შემდეგ, "საზარბაზნე კლუბის" მდინვანი, ახალი ჰეროსტრატესავით, თავის აღსასრულს კოლუმბიადის უფსკრულებში ჰპოვებდა.

ასე და ამრიგად, ზარბაზანი მზად გახლდათ. არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იგი ჩინებულად იყო ჩამოსხმული. 6 ოქტომბერს ეს ამბავი იძულებული იყო კაპიტან ნიკოლსაც ეღიარებინა. ბარბიკენს კი ორი ათასი დოლარი მიემატებინა თავისი საჩეკო წიგნში. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა კაპიტანი ნიკოლი! ამბობდნენ, ბრაზისაგან და რისხვისაგან ავად გახდაო. თუმცა კიდევ რჩებოდა რამდენიმე სანაძლეო - სამი, ოთხი და ხუთი ათასი დოლარის რაოდენობით და თუკი იგი თუნდაც ორს მოიგებდა აქედან, კიდევ შეიძლებოდა ერთგვარი გამორჩენა ენახა. მაგრამ ფულის ამბავი როდი აწუხებდა კაპიტან ნიკოლს, მის თავმოყვარეობას საშინელი დარტყმა მიაყენა მეტოქის წარმატება: ასეთი ზარბაზნიდან ნასროლ ყუმბარას წინ ვერავითარი ჯავშანი დაუდგებოდა!

23 სექტემბრიდან სტონზჰილის გალავნის კარები ფართოდ გაიღო მნახველებისათვის. რასაკვირველია, ხალხი მაშინ მიაწყდა მას.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე შეერთებული შტატების ყოველი კუთხიდან მოაწყდა ფლორიდას ცნობისმოყვარე ტურისტთა უთვალავი არმია. ამ ხნის განმავლობაში ქალაქ ტამპას მოსახლეობა 150 ათასამდე გაიზარდა. ბრუკის ფორტი ახალი ქუჩების ქსელში აღმოჩნდა, შემდეგ გრძელი ქვიშიანი ისარა, ესპირიტუ-სანტოს ყურის რეიდებს რომ ჰყოფდა, დასახლებულ ადგილად იქცა; ახალი კვარტლები, ახალი მოედნები, სახლების მთელი ტყე აღიმარტა სულ ახლახან უდაბურ, ფლორიდის თაკარა მზით გადახრუკულ ქვიშიან ნაპირებზე. შეიქმნა სააქციო საზოგადოებანი, რომლებმაც იკისრეს ახალი სკოლების, ეკლესიების, ბანკებისა და კერძო სახლების მშენებლობა. ერთ წელზე ნაკლებ დროში ქალაქის საერთო ფართობი ათჯერ გაიზარდა.

ცნობილია, რომ იანკები კომერსანტები იბადებიან. საქმისადმი სიყვარულს ყველგან იჩენენ, სადაც არ უნდ მოახვედროს ისინი განგებამ - ტროპიკულ თუ პოლარულ ქვეყნებში. ამიტომ ტამპაში "საზარბაზნე კლუბის" სამუშაოთა სანახავად ჩამოსული ბევრი მათგანი სწრაფად მოისაზრებდა ხოლმე, რომ აქ შეიძლებოდა საკმაო თანხის დაგროვება. სტონზჰილში მუშების ჩამოსაყვანად და მასალების ჩამოსაზიდად დაქირავებული გემების რეისების წყალობით, ტამპას ნავსადგური საოცრად გამოცოცხლდა. მალე ნავსადგურსი და რეიდებზე გამოჩდნენ სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ტონაჟის გემები სურსათი, ათასნაირი საქონელი და ტვირთი რომ ჩამოჰქონდათ; ქალაქში გაიხსნა სამაკლერო და სახომალდო კანტორები, გამოსვლა იწყო "შიპინგ გაზეთმა", ყოველდღე რომ აღრიცხავდა ტამპას ნავსადგურსი ჩამომდგარ გემებს. ქალაქის მოსახლეობა ისევ გაიზარდა და ვაჭრობას ისეთი ფართო გასაქანი მიეცა, რომ საჭირო გახა სახმელეთო ტრანსპორტი და სულ მალე ტამპას რკინიგზის ხაზი შეუერთდა ამერიკის სარკინიგზო გზების ქსელს.

რკინიგზამ ქალაქი მობილი შეაერთა პენსაკოლასთან - სამხრეთის დიდ საზღვაო არსენალთან; ამ მნიშვნელოვანი პუნქტიდან იგი ტალახასამდე გაიყვანეს. მანამდე ტალახასსა და დაბა სენტ-მარქსს შორის ოცდაათი მილი სიგრძის მქონე პატარა სარკინიგზო ხაზი არსებობდა. ეს ხაზი თითქმის ტამპამდე გაგრძელდა და ამან სწრაფად გამოაცოცხლა ცენტრალური ფლორიდის აქამდე უდაბური მხარე. ამრიგად, თვის აყვავებას ტამპა უნდა უმადლოდეს იმ იდეას, რაც ერთ მშვენიერ დღეს ბარბიკენს თავში მოუვიდა; ტექნიკის ჯადოსნობი წყალობით ტამპა სულ მალე დიდ ქალაქად იქცა. მას მუნსიტი ანუ მთვარე-ქალაქი შეარქვეს და მან მალე ფლორიდის ოფიციალური დედაქალაქი სრულიად დაჩრდილა.

ახლა გასაგებია, რა ნიადაგზე წამოიშვა ესოდენ მწვავე შუღლი ტეხასსა და ფლორიდას შორის, გასაგებია ტეხასელების სიშმაგეც: მათ ხომ სასტიკად გაუცრუვდათ იმედი, როცა კლუბის წევრებმა არჩევანი ფლორიდაზე შეაჩერეს. საზრიანმა საქმოსნებმა შესანიშნავად უწყოდნენ, როგორ მოიგებდა მათი შტატი ბარბიკენის წამოწყებისაგა, რამდენ სიკეთეს მოუტანდა მათ კოლუმბიადის გასროლა. დაწუნებული და განაწყენებული ტეხასი აწი ვეღარ იოცნებებდა ვერც დიდ კომერციულ ცენტრზე, ვერც რკინიგზაზე, ვერც მოსახლეობის სწრაფ ზრდაზე.

და ყველა ეს სიკეთე წილად უნდა ხვდომოდა უბადრუკ ნახევარკუნძულ ფლორიდას, მექსიკის ყურესა და ატლანტის ოკეანეს შორის უდაბურ ბარიერად რომ გაწოლილა. ამიტომ გასაგებია, რომ ტეხასში ბარბიკენი ისევე შეიძულეს, როგორც გენერალი სანტა-ანა.

ერთი კი იყო, ამ გაცხოველებული ვაჭრობისა და სამრეწველო საქმიანობის მიუხედავად, ქალაქ ტამპის ახლომოსახლენი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ "საზარბაზნე კლუბის" სამუშაოთა მიმდინარეობის მიმართ. წერაქვის თითოეული დარტყმა, ნაგებობის ყოველი წვრილმანი აღელვებდა ტამპის მცხოვრებთ. სტონზჰილსა და ქალაქს უწყვეტი კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან.

უკვე ზაფხულში შეიძლებოდ გევარაუდნა, რომ გასროლის დღისათვის მაყურებელთა რიცხვი მილიონს მიაღწევდა. ევროპამ ამერიკაში იწყო გადასახლება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქამდე მოსულთა ცნობისმოყვარეობას საკმარისად ვერ აკმაყოფილებდნენ. ძალიან ბევრს ეგონა, რომ ჩამოსხმის ყურების საშუალება ექნებოდა, სინამდვილეში კი მხოლოდ შორიდან ჰკიდეს თვალი კვამლს. ეს კი ერთობ ცოტა იყო მათი ხარბი თვალებისათვის; ბარბიკენი გალავანს შიგნით მაინც არავის უშვებდა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხი დრტვინავდა: ბარბიკენს დესპოტიზმში დებდნენ ბრალს, მისი საქციელი "არაამერიკულად" მონათლეს.

სტონზჰილის გალავნის კარებთან კინაღამ ნამდვილი ამბოხება მოაწყვეს, მაგრამ ბარბიკენი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, უდრეკი იყო და ბოლოს და ბოლოს მისმა სიმტკიცემ გაიმარჯვა.

მაგრამ როცა კოლუმბიადა უკვე მზად გახლდათ, გალავნის კარების დაკეტვა წარმოუდგენელი ამბავი იქნებოდა - ამას ხალხის მიმართ უპატივცემულობაში ჩამოართმევდნენ, ეს კი სერიოზულ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომ ბარბიკენმა ფართოდ გააღო სტონზჰილის გალავნის კარები, მაგრამ, როგორც პრაქტიკული ჭკუის მქონე იანკიმ, გადწყვიტა, საყოველთაო ცნობისმოყვარეობიდან მოგება ენახა.

რასაკვირველია, გიგანტური კოლუმბიადის დათვალიერება თავისთავად უკვე სახარბიელო იყო მნახველისათვის, მაგრამ მის ფსკერზე ჩასვლა, nes plus ultra[1] იყო ყოველი ამერიკელის მიწიერი ბედნიერებისა.

ამან ნამდვილი ფურორი მოახდინა! ქალები, ბავშვები, მოხუცები ყველანი ესწრაფოდნენ, ეხილათ გიგანტური ზარბაზნის ძირი, შეეცნოთ მისი საიდუმლოებანი. ჩაშვებაზე პატარა საფასური როდი დააწესეს - თითოეულ მგზავრზე ხუთი დოლარი და, ამის მიუხედავად, მნახველთა ნაკადი ისე დიდი იყო, რომ ორი თვის განმავლობაში "საზარბაზნე კლუბის" სალარომ ნახევარი მილიონი დოლარი შეიძინა.

თქმა არ უნდა, რომ კოლუბიადას პირველნი "საზარბაზნე კლუბის" წევრები ესტუმრნენ. მათ სავსებით დაიმსახურეს ეს საპატიო უპირატესობა.

კოლუმბიადაში ჩაშვების ზეიმი 25 სექტემბერს იყო დანიშნული. საგანგებო კამერით ზარბაზნის ფსკერისაკენ დაეშვნენ: პრეზიდენტი ბარბიკენი, ჯ. ტ. მასტონი,

მაიორი ელფისტონი, გენერალი მორგანი, პოლკოვნიკი ბალემსბერი, ინჟინერი მერჩისონი და კლუბის სხვა საპატიო წევრები, სულ ათი კაცი. აუტანელი სიცხე იდგა ამ უზარმაზარ თუჯის მილში! ყველას სული ეხუთებოდა. მაგრამ სამაგიეროდ რაოდენი დიდი იყო სიხარული, აღტაცება! ზარბაზნის ქვის მასიურ ფსკერზე ათი კაცისათვის გაეწყოთ სუფრა. ამ თავისებურ სასადილოს ანათებდა giarno[2] მძლავრი ელექტრონის პროჟექტორი. მოქეიფეთა მაგიდაზე თითქოს ციდან ეშვებოდა მრავალფეროვანი, შერჩეული კერძები; საუკეთესო ფრანგული ღვინო მდინარსავით მოედინებოდა და ქეიფიც მიწისქვეშ, ცხრაასი ფუტის სიღრმეზე შედიოდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მონადირეთა მხიარულება! სადღეგრზელოს სადღეგრძელო მისდევდა. სვამდნენ დედამიწის, მისი თანამგზავრის, "საზარბაზნე კლუბის", შეერთებული შტატების სადღეგრძელოს. კვლავ და კვლავ სვამდნენ მთვარის სადღეგრძელოს. მას ეძახდნენ ფებოსს, დიანას, სელენეს, "ღამის მნათობს", "ზეცის მშვიდობის ფურცელს". მათი შეძახილები, რუპორივით გაძლიერებული ვაშა კოლოსალური ლითონის ცილინდრიდან დედამიწის ზედაპირზე ჭექა-ქუხილივით ისმოდა და სტონზჰილის გარშემო შეკრებილი ხალხი ყვირილით ეპასუხებოდა კოლუმბიადის ფსკერზე მოქეიფე ათ სახელგანთქმულ ადამიანს.

აღფრთოვანებისგან გაოგნებული მასტონი ყველაზე მეტს ყვიროდა და ყველაზე მეტს სვამდა. მისთვის მთელი სახელმწიფოც რომ შეეთავაზებინათ, ადგილს არ გაცვლიდა, თუნდაც ზარბაზანში რომ ჩაეტენათ და ესროლათ, და ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილი, საპლანეტათშორისო სივრცეში მიმოებნიათ.

მეჩვიდმეტე თავი

დ ე პ ე შ ა

"საზარბაზნე კლუბის" მიერ წამოწყებული გრანდიოზული სამუშაოები შეიძლებოდა დამთავრებულად ჩაეთვალათ, არადა კიდევ მთელი ორი თვე რჩებოდა

1 ზღვარი (ლათ.)

2 დღესავით (იტალ.).

მთვარეზე გასროლამდე. ეს ორი თვე ყველას წლებად ეჩვენებოდა! აქადე გაზეთები ყოველდღიურად აქვეყნებდნენ სტონზჰილში მიმდინარე სამუშაოთა დაწვრილებით ანგარიშს. ხალხი სწრაფად იტაცებდა გაზეთებსა და ხარბად ნთქავდა მათ.

ახლა უკვე ახალ სენსაციებს აღარ ელოდნენ და ყველანი გულდაწყვეტილები ფიქრობდნენ, რომ ყოველდღიურ ახალ, ცოცხალ ამბებს სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდნენ.

მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! ამბავმა, ყველაზე უფრო მოულოდნელმა, ყველაზე უფრო საოცარმა, ყველაზე უფრო წარმოუდგენელმა, ყველაზე უფრო შეუძლებელმა კვლავ ელექტროდენივით დაუარა ის-ის იყო ხელჩაქნეულ ხალხის მასებს.

ეს ამბავი იმდენად არაჩვეულებრივი ჩანდა, რომ განაცვიფრა მთელი მსოფლიო!

30 სექტემბერს, ნაშუადღევს 3 საათსა და 47 წუთზე ბარბიკენის სახელზე მოვიდა დეპეშა, იგი ვალნეტიას (ირლანდია), ნიუფაუნდლენდსა და ამერიკის სანაპიროებზე გაყვანილმა წყალქვეშა კაბელმა გადმოსცა.

პრეზიდენტმა ბარბიკენმა გახსნა კონვერტი და წაიკითხა დეპეშა. მიუხედავად იმისა, რომ მეტად თავშეკავებული კაცი გახლდათ, თვალთ დაუბნელდა და ტუჩები აუცახცახდა.

აი, ამ დეპეშის ტექსტი, იგი "საზარბაზნე კლუბის" არქივში ინახება.

"საფრანგეთი, პარიზი. 30 სექტემბერი, დილის 4 საათი
ბარბიკენს, ტამპა. ფლორიდა.
შეერთებული შტატები.

მრგვალი ბომბი შეცვალეთ ცილინდრულ-კონუსური ყუმბარით. შიგ ჩავჯდები და გავფრინდები. მოვიდარ გემ "ატლანტით"

მიშელ არდანი".

მეთვრამეტე თავი

"ატლანტის" მგზავრები

ეს განსაცვიფრებელი ცნობა ტელეგრაფის მავთულს კი არა, ფოსტას რომ მოეტანა დაბეჭდილ კონვერტში, ფრანგი, ირლანდიელ, ნიუ-ფაუნდლენდელ და ამერიკელ სატელეგრაფო მოხელეებს რომ არ სცოდნოდათ დეპეშის შინაარსი, ბარბიკენი ერთი წამითაც არ შეყოვნდებოდა: იგი უბრალოდ არ გამოაჩენდა ამ დეპეშას იმ კეთილგონივრული მოსაზრების გამო, რომ თავისი პროექტისატვის სახელი არ გაეტეხა. ხომ შესაძლებელია ეს დეპეშა მისტიფიკაცია ყოფილიყო, მით უმეტს, რომ მისი ავტორი ფრანგი გახლდათ. რომელ თავზეხელაღებულ პიროვნებას უნდა დაბადებოდა ყუმბარაში ჩაჯდომისა და მთვარეზე გამგზავრების აზრი? და თუ მართლა აღმოჩნდა ასეთი კაცი, ის ხომ გიჟი იქნება, რომლის ადგილი ყუმბარაში კი არა, ყვითელ სახლში უნდა იყოს?

მაგრამ დეპეშის დამალვა არ შეიძლებოდა, ვინაიდან ტელეგრაფის მოხელეებს არ სჩვევიათ სამსახურებრივი საიდუმლოებების შენახვა, მიშელ არდანის დეპეშის შინაარსი უკვე ვრცელდებოდა სხვადასხვა შტატებში. ამიტომ ბარბიკენის მიერ ამ დეპეშის გადამალვას აზრი არ ჰქონდა.

მან წამსვე მოიწვია ტამპაში მცხოვრები კლუბის წევრები და ისე, რომ არ გამოუმჟღავნებია თავისი დამოკიდებულება არდანის დეპეშის მიმართ, ერთი სიტყვითაც რომ არ უხსენებია, სანდობი იყო თუ არა დეპეშა, მშვიდად წაიკითხა მისი მოკლე ტექსტი.

- შეუძლებელია!
- წარმოუდგენელია!
- ეს უბრალოდ ხუმრობაა!
- ჩვენ დაგვცინიან!
- რა სისულელეა!
- წარმოუდგენელი სიბრიყვეა!

სეტყვასავით წამოვიდა გკვირვების, უნდობლობის, ეჭვის, სისულელის და სიგიჟის ბრალდების შეძახილები, რომელთაც თან ახლდა შესაფერისი ჟესტები. ერთნი იღიმებოდნენ, სხვები იცინოდნენ, ზოგი მხრებს იჩეჩდა, ზოგი ხარხარებდა - ვინ როგორ გამოხატავდა თავის გუნება-განწყობილებას.

და მხოლოდ ერთადერთ მასტონს აღმოხდა დიდებული სიტყვები:

- კი მაგრამ, ეს ხომ იდეაა!

- მართალი ხართ, - უპასუხა მაიორმა ელფისტონმა, - მაგრამ ასეთი იდეა რომ გაგიჩნდება თავში ხანდახან, ეს იმას როდი ნიშნავს, მისი განხორციელება შესაძლებელი იყოს...

- რატომ არა? - ცხარედ შეედავა კამათის გასაჩაღებლად მუდამ მზადმყოფი "საზარბაზნე კლუბის" მდივანი. მაგრამ ამხნაგებმა სიტყვა ბანზე აუგდეს.

ამ დროს კი მიშელ არდანის სახელი ტამპაში ყველას პირზე ეკერა. ჩამოსულებიც და ადგილობრივი მკვიდრნიც შეხვედრისას მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და იცინოდნენ. ისინი მასხარად იგდებნდნენ არა იმდენად იმ იდუმალ ევროპელს, რომლის არსებობა მათ არ სწამდათ, არამედ მასტონს, რომელმაც დაიჯერა ამ ლეგენდარული პიროვნების არსებობის მითი; როცა ბარბიკენმა წამოაყენა წინადადება, მთვარეზე ყუმბარა გაესროლათ, ყველამ ბუნებრივად ჩათვალა ეს აზრი და მის განხორციელებაში ეჭვიც არავის შეჰპარვია, იგი მიიჩნიეს ბალისტიკის ერთ-ერთ საინტერესო საკითხად. მაგრამ გონიერმა არსებამ ყუმბარის თანამგზავრობა რომ მოინდომა, ეს უკვე ფანტაზიაა, ამას ინგლისურად humbung ჰქვია, ჩვენებურად რომ იტყვიან ჩმახია.

შუაღამემდე არ შეწყვეტილა მხიარულება. შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ მთელი შეერთებული შტატები ამ დღეს სიცილით იჭაჭებოდა, რაც, სხვათაშორის, არ სჩვევია ქვეყანას, სადაც ყოვლად წარმოუდგენელ წამოწყებებას დამცველები, მიმდევრები და ამსრულებლები მაშინათვე გამოუჩდებიან ხოლმე.

და მანც მიშელ არდანის წინადადებამ, როგორც საერთოდ ყველა ახალმა იდეამ, ბევრი ააფორიაქა. იგი მეტისმეტად მკვეთრად განსხვავდებოდა საყოველთაოდ მიღებული და დადგენილი აზრისაგან. ბევრს უკვირდა როგორ არ მოუვიდა ვინმეს თავში ეს აზრი უფრო ადრე, მალე ახალი იდეა, თავის უცნაურობის გამოისობით, ყველას აეკვიატა. მასზე ბევრს ფიქრობდნენ; განა ცოტა იყო იმის მაგალითი, როცა რაიმე წამოწყებას დასცინოდნენ, ხოლო შემდეგ იგი ბრწყინვალედ ხორციელდებოდა? რატომ არ შეიძლებოდა ეს მოგზაურობაც ერთ მშვენიერ დღეს განხორციელებულიყო? მაგრამ, ყოველ შემთხევაში, კაცი, რომელიც სიცოცხლის რისკს ეწევა, თავის ჭკუაზე არ არის და რაკიღა არ შეიძლება სერიოზულად მიუდგე მის წინადადებას, უმჯობესი იქნებოდა გაჩუმებულიყო და მთელი ქვეყანა არ აეფორიაქებინა თავისი უცნაური სისულელეებით.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საკითხავი იყო, სინამდვილეში მართლა არსებობდა ეს ადამიანი? მართალია, მიშელ არდანის სახელი მთლად უცნობი არ იყო ამერიკისათვის! ეს სახელი ეკუთვნოდა ევროპელს, რომლის გაბედულ წამოწყებებს არა ერთხელ გამოხმაურებია პრესა. ამას გარდა ატლანტის ოკეანიდან გამოგზავნილი დეპეშა, გემის სახელწოდება, რომლითაც ფრანგი გამოემგზავრა, მისი ჩამოსვილის ზუსტი თარიღი - ყველა ეს გარემოება თითქოს სიმართლეს ჰგავდა.

ტამპის მცხოვრებთ მოთმინება ელეოდათ. ჯერ ცალკეულმა პირებმა იწყეს თავშეყრა, მერე გაჩნდა პატარა ჯგუფები, შემდეგ ცნობისმოყვარეობამ ერთმანეთისაკენ მიიზიდა ეს ჯგუფები ისე, ვით მოლელულური მიზიდულობის ძალა ერთა კარებს განცალკევებულ ატომებს.

ბოლოს და ბოლოს შეიკრიბა საკმაოდა ბევრი ხალხი და ისინი "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტის საცხოვრებელი სახლისკენ გაემართნენ.

აქამდე3 ბარბიკენი არანაირად არ ამჟღავნებდა თავის დამოკიდებულებას დეპეშის მიმართ; მასტონის აზრს, როგორც ჩანს, იგი სრულიად გულგრილად

მოეკისა, არც მოწონება გამოუხატავს, არც დაწუნება. მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა ის საყოველთაო მოუთმენლობა, რამაც ადამიანები შეიპყრო. ფანჯრის წინ თავმოყრილი ხალხის დანახვა მისთვის ანაზდეული გამოდგა. მათ უკმაყოფილოდ გადახედა, მაგრამ მალე ისეთი ყვრილი, ისეთი ხმაური ატეხა, რომ იძულებული გახდა ფანჯარა გამოეღო. ბარბიკენს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა ხვედრს სახელგანთქმული ადამიანისას ესოდენ მოსაწყენსა და უსიამოვნოს, მაგრამ მოვალეობებთან დაკავშირებულს.

მის გამოჩენამე სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ერთი მოქალაქე წინ წამოვიდა და ჯიქურ იკითხა.

- მართალია, დეპეშაში ნახსენები პიროვნება მიშელ არდანი ამერიკაში ჩამოდისო? ჰო თუ არა?

- ბატონებო! მე იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ. - უპასუხა ბარბიკენმა.

- მაგრამ აუციელბეია ამის დაზუსტება! - გაისმა აქეთ-იქიდან მოუთმენელი ხმები.

- მოვიცადოთ ვნახოთ! - ცივად მიუგო ბარბიკენმა:

- როგორ შეიძლება მთელი ქვეყანა ასე დაძაბული იცდიდეს! - შეეპასუხა ორატორი. - უკვე შეცვალეთ ყუმბარის ნახაზი, როგორც ის გთხოვთ დეპეშაში, თუ არა?

- ჯერ არ შემიცვლია, ბატოებო, მაგრამ თქვენ მართალი ბრძანდებით, უნდა გავარკვიოთ რა ხდება, ტელეგრაფმა ყველანი აგვაფორიაქა, დაე, ტელეგრაფმა გაგვცეს პასუხი.

- ტელეგრაფისკენ! ტელეგრაფისკენ! - წამოიძახეს ყოველი მხრიდან.

ბარბიკენი ქუჩაში გამოვიდა და ხალხის თანხლებით სატელეგრაფო სადგურისაკენ გაემართა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლივერპულში, ხომალდების მაკლერთა საზოგადოების თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა დეპეშა. თავმჯდომარეს სთხოვდნენ. შემდეგ კითხვებზე გაეცა პასუხი:

"რა გემია ეს "ატლანტა"?

როდის დატოვა ევროპა ამ გემმა?

გემზე მართლა იმყოფება თუ არა ფრანგი მიშელ არდანი?"

ორი საათის შემდეგ ბარბიკენმა მიიღო ოფიციალური ცნობა, რომელი არავითარ ეჭვს არ იწვევდა:

- "გემი "ატლანტა" ლივერპულიდან ორ ოქტომბერს გამოვიდა. მიდის ტამპაში. გემზე იმყოფება ფრანგი, რომელიც მგზავრთა წიგნში ჩაწერილაი მიშელ არდანის სახელით".

ამრიგად, პირველი დეპეშა დადასტურდა. ბარბიკენს თვალები აენთო, ხელები მომუჭა, თავი ვერ შეიკავა და ბრაზიანად აჩურჩულდა:

- მაშ ეს მართალია? მაშასადამე, ეს შეიძლება მოხდეს! ... მაშასადამე, ეს ფრანგი მართლა არსებობს! ორ კვირში აქ გაჩნდება. მაგრამ იგი ხომ გიჟია! გადარეული! არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები ასეთ სისულელეს!

და მაინც, იმავე საღამოს ფირმა "ბრედვილ და კ°-ს" გაუგზავნა თხოვნა, შეეჩერებინათ განსაკუთრებულ განკარგულებამდე შეკვეთილი ყუმბარის ჩამოსხმა.

ძნელია იმ მღელვარების აღწერა, მთელ ამერიკას რომ მოედო, სენსაციამ დაჩრდილა ის ეფექტიც კი, რაც თავის დროზე ბარბიკენის ცნობამ მოახდინა. წარმოუდგენელია ყველაფრის გადმოცემა, თუ რა დაიწერა ამერიკულ გაზეთებში, როგორ მიიღეს მათ ეს ახალი ცნობა, როგორ ასხამდნენ ხოტბა-დიდებას ძველი

ქვეყნის ამ ახალ გმირს. როგორ გადმოვცე ის ციებ-ცხელება, მიშელ არდანის ჩამოსვლამდე დარჩენილ საათებს, წუთებს, რომ ითვლიდა მოუთმენლობით შეპყრობილი ხალხი. ძნელია ყველა იქ მომხდარი ცვლილებების დახატვა - ფაბრიკის მუშაობის შეწყვეტა, ბირჟის ალიაქოთი, გემების ნავსადგურში დაკავება, რაც "ატლანტის" მოლოდინით იყო გამოწვეული, ესპირიტუ-სანტოს ყურეში ყოველდღე მოსვლა სულ ახალი და ახალი ორთქლისა და იალქნიანი გემებისა, ფოსტის ხომალდებისა, ყველანაირი სახისა და ზომის გასართობი იახტებისა და კატერებისა. შეუძლებელია დათვლა ათასობით ჩამოსული ცნობისმოყვარე ადამიანების, მათი ჩამოსვლით ნახევარ თვეში ოთხჯერ გაიზარდა ქალაქი მოასხლეობის რაოდენობა და ამიტომ იძულებულნი იყვნენ, ქალაქგარეთ, ველზე, კარვებში ეცხოვრათ. ამის აღწერა აღემატება ადამიანურ შესაძლებლობას და სიგიჟე იქნებოდა დაძლევის ცდა.

და ბოლოს, დადგა 20 ოქტომბერი. დილის 9 საათზე ბაგამის სრუტის შუქნიშნებმა სიგნალი მისცეს, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდა სქელი კვამლი. ორი საათის შემდეგ ეს სიგნალები გადეცა გემებს. იქიდან კი ტამპას აცნობეს "ატლანტა" მოდისო. დღის 4 საათზე ესპირიტუ-სანტოს ყურეში შედიოდა ინგლისური ხომალდი. ხუთზე მან დიდი სისწრაფით გაიარა ჰილსბორის რეიდი. ექვსზე ტამპას ნავსადგურსი ჩაუშვა ღუზა.

ის-ის იყო ღუზა ქვიშიან ფსკერს შეეხო, რომ გემს ასობით ნავი და ორჩხომელა გარს შემოერტყა და "ატლანტა" აბორდაჟზე აიყვანეს. ბარბიკენი პირველი შეხტა გემბანზე და მღელვარებაშეკიდებული ხმით დაიძახა:

- მიშელ არდან?

- აქ გახლავართ! - გაეპასუხა კიჩოზე მდგარი მამაკაცი.

ბარბიკენა გულზე ხელები დაიკრიფა და კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო "ატლანტის" მგზავრს.

იგი ორმოცი-ორმოცდაორი წლის, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი გახლდათ. გეგონებოდათ აივნებს შეყენებული კარიატიდაოო. ლომივით იდგა თავზე ცეცხლივით ჟღალი გრუზა თმა აჰქოჩროდა დ ხანგამოშვებით ფაფარივით არხევდა. მრგვალი სახე, ფართო ღაწვისთავები, გაბურძნგნილი ულვაში, წითური წვერი, მრგვალი, ახლომხედველი და რამდენადმე მოუსვენარი თვალები ცოტათი კატას ამსგავსებდა, მაგრამ სწორი ცხვირი ჰქონდა და ტუჩებზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა, მაღალი, ჭკვიანი შუბლი, ბრგე ტანი ძლიერ გრძელ ფეხებზე მაგრად იდგა, კუნთოვანი, მოქნილი ხელები და მტკიცე სიარული ჰქონდა, ყოველივე ეს ადასტურებდა, რომ ევროპელი გახლდათ ჯან-ღონით სავსე კაცი, რომელიც მეტალურგების ენით რომ ვთქვათ, ბუნებამ "უფრო გამოჭედა, ვიდრე ჩამოასხა".

ლაფატერისა და გრასიოლეს მიმდევრები ამ კაცის თავის ქალის მოყვანილობითა და სახით ადვილად დაადგენდნენ მეომფრის ნიშნებს, ანუ ვაჟკაცობას ხიფათის ჟამს და სიჯიუტეს წინააღმდეობის დაძლევისას; ისინი აღმოაჩენდნენ სიკეთეს, ცოდნისმოყვარეობას, არაჩვეულებრივისადმი თანდაყოლილ სწრაფვასც; სამაგიეროდ, ნატამალსაც ვერ იპოვნიდნენ ანგარებისა, მომხეჭველობისა და მატერიალური სიკეთისადმი მიდრეკილებისა.

"ატლანტის" მგზავრების გარეგნობის აღწერა რომ მოვამთავრო, საჭიროა აღვნიშნო, რომ ეცვა ფართო, მაგრამ კოხტად შეკერილი ტანსაცმელი (პალტოსა და შარვალზე იმდენი მატერია დაეხარჯა, რომ მიშელ არდანმა თავის თავს "მაუდის მკვლელი უწოდა"). ეკეთა დაუდევრად გასკვნილი ჰალსტუხი, საყელო გადაეკეცა, რაც მის ღონიერ კისერს უფრო აჩენდა, მანჟეტებიც გაეხსნა და დაკუნთული ხელები

მოუჩანდა. თითებს ამოძრავედა. იგრძნობოდა, რომ ეს კაცი არ გაიყინებოდა ყველაზე საშინელ ყინვაშიც კი და შიშისაგან გული არ აუკანკალდებოდა განსცდელის ჟამს.

"ატლანტის" გემბანზე კი წამითაც არ ისვენებდა, როგორც მეზღვაურები იტყვიან, - აფრებაშლილი ხალხში აქეთ-იქით მიმოდიოდა, ხელებს იქნევდა, დროგამოშვებით ფრჩხილებს იკვნეტდა, თითქმის ყველას "შენობით" ელაპარაკებოდა. ის იყო ერთი იმ იშვიათი ორიგინალური ადამიანთაგანი, რომელთაც შთაგონების ჟამს ქმნის ხოლმე შემოქმედი, მოდელებს კი მაშინვე ამსხვრევს.

მართლაც, მიშელ არდანის პიროვნება ფსიქოლოგიური დაკვიღვებისა და ანალიზის უშრეტი წყარო გახლდათ. ამ საოცარი ადამიანს მიდრეკილება ჰქონდა ჰიპერბოლისადმი, შემორჩენოდა ყმაწვილური აღტყინება, მის თვალებში ყველა საგანი არადამიანურ ზომას იძენდა. ამიტომ იყო, რომ მას განუწყვეტლივ ებადებოდა დიდი და გაბედული იდეები. ყველაფერი, გარდა ადამიანური ღისებებისა და დაბრკოლებებისა, გაზვიადებული სახით ეხატებოდა.

მოკლედ იგი იყო დიდბუნებოვანი პიროვნება; თვით ფეხებამდე მხატვარი, მახვილგონიერი კაცი. მართალია მახვილსიტყვაობის ფეიერვერკს გაურბოდა, სამაგიეროდ, მოფარიკავის სიმარჯვით იცოდა ხოლმე სიტყვიერი დარტყმა. დისპუტების დროს ნაკლებ ზრუნავდა ლოგიკასა და ფორმალურად სწორ სილოგიზმებზე, რაშიც ყოველთვის მოიკოჭლებდა, სამაგი ეროდ გააჩნდა თავისი საყვარელი ფანდები. თავგამოდებული მოკამათე, იგი მოწინააღმდეგეს პირდაპირ კაკალ გულში ურტყამდა თავის ad hominem[1] არგუმენტებს, რომელთა წინაშე უსიტყვოდ იხევდნენ უკან. იგი ყველაზე უიედო ამბავსაც კი დორბლმორევით იცავდა ხოლმე.

უცნაურუ იყო: შექსპირივით საკუთარ თავს "ბრწყინვალე უვიცს" უწოდებდა და ამაყობდა იმით, რომ ეზიზღებოდა სწავლულნი. "როცა ჩვენ ვთამაშობთ, ისინი მხოლოდ დარტყმებს ითვლიან", - ამბობდა იგი. მიშელ არდანი ჯადოსნურ ქვეყნებში მოხეტიალე წმინდა წყლის ბოშა იყო, თავგადასავალთა მოყვარული, მაგრამ არა მაძიებელი, ჰგავდა ფაეტონს, მთელი სისწრაფით რომ მიჰქრის მზის ორთვალაზე, იკაროსს, ოღონდ სათადარიგო ფრთების მქონეს.

მიშელ არდანი სიტყვას სამქით ადასტურებდა, დაუფიქრებლად იგდებდა თავს

1 პირადი ხასიათი (ლათ.)

საფრთხეში, უკანმოუხედავად გადაეშვებოდა ხოლმე ყველაზე სახიფათო, უიმედო წამოწყებაში, ყოველთვის მზად იყო უკან დასახევი ხიდი აეფეთქებინა აგათოკლესავით, ყოველ წამს შეიძლებოდა კისერი მოეტეხა და ამისდა მიუხედავა, მაშინაც ყოველთვის დგებოდა ფეხზე სათამაშო "დადგაბიჭივით".

ერთი სიტყვით, დევიზდ ჰქონდა: "რადაც არ უნდა დამიჯდეს". შეუძლებელისადმი, წარმოუდგენელისადმი სიყვარული მისი "ruling passion"[2] იყო.

მაგრამ მიშელ არდანის ღირსებებს მედალის მეორე მხრეც ჰქონდა. ერთი ანდაზისა არ იყოს, ცდა ბედის მონახევრეაო და არაერთხელ უცდია ბედი, მაგრამ თავის დღეში არაფერი შეუძწენია. იგი ფულეს უდარდელად ფლანგავდა, დანაიდების უძირო კასრი გახლდათ. ღრმად უანგარო კაცი იყო და მისი გულის ბობოქარი აღტყინება ტოლს არ უდებდა ფიცხი თავის გაბედულ იდეებს. გულსხმიერი, რაინდულად დიდსულოვანი, მზად იყო, შეეწყალებინა თავისი დაუძინებელი მტერი და მონად ქცეულიყო, ოღონდ ზანგი დაეხსნა.

საფრანგეთისა და, საერთოდ, მთელს ევროპაში ბევრი იცნობდა ამ დიდებულ და მოუსვენარ კაცს. დღე და ღამე მასზე ლაპარაკით ხმა ჰქონდათ ჩამწყდარი. მას დაფარული არაფერი ჰქონდა, ყველამ იცოდა მისი ცხოვრების ინტიმური წვრილმანები, თითქოს მისი ბინის კედლები გამჭირვალე ყოფილიყო.

მიშელ არდანს მტრებიც საკმაოდ ჰყავდა. მტრები მაშინ გაიჩინა, როცა იდაყვებიტ უცერემონიოდ იკავავდა გზას ხალხის ბრბოში.

მაგრამ, საერთოდ, იგი საზოგადოებისათვის საყვარელი ადამიანი იყო და განებივრებული ბავშვივით ექცეოდნენ. ურიგდებოდნენ მის ახირებებს; უყვარდათ ისეთი, როგორიც იყო; ყველას აინტერესებდა მისი გაბედული წამოწყებანი და თანაგრძნობით, შეშფოთებით ადევნებდნენ ხოლმე თვალჰყურს მის ბედ-იღბალს, ზოგჯერ როდესაც ახლობელი ცდილობდა, შეეკავებინა იგი სხიფათო ნაბიჯისაგან და უწინასწარმეტყველებდა დაღუპვას, მიშელ არდანი უდარდელი ღიმილით უპასუხებდა, რომ "ტყე მხოლოდ საკუთრი ხეებისაგან იწვის", და თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ერთ-ერთ ყველაზე ლამაზი არაბული ანდაზა რომ მოჰყავდა ციტატად.

ასეთი იყო ვერცხლისწყალივით მოძრავი, შინაგანი ცეცხლით ყოველთვის ანთებული, ყოველთვის აღელვებული "ატლანტის" მგზავრი. იქნება მას აღშფოთებდა ის საქმე , რისთვისაც ამერიკაში მიდიოდა? სრულიადაც არა. იგი ყოველთვის აღგზნებული იყო თვისი ნერვიული სისტემის წყალობით.

ძნელი წარმოსადგენია ესოდენ მკვეთრი კონტრასტი ორ პიროვნებას შორის, როგორიც ფრანგი მიშელ არდანი და იანკი ბარბიკენი გახლდათ; და ამავე დროს მათ ბევრი საერთოც ჰქონდათ: ორივე ფხიანი, გაბედული, მამაცი ადამიანი იყო, ოღონდ თავ-თავიანთ ყაიდაზე.

ბარბიკენს დიდხანს არ დასცალდა დალაპარაკებოდა ჩამოსულს, რომელმაც თავისი წრეგადასული გაბედულებით იგი მეორე პლანზე დასწია. იგრიალა "ვაშამ" და "ვივატმა" - ხალხი არდანს ესალმებოდა. ყველას უნდოდა პირადად ჩამოერთმია მისთვის ხელი; აღფრთოვანებამ ისეთი სახე მიიღო, რომ ფრანგმა კინაღამ დაკარგა თავისი თითი და არჩია, კაიუტისათვის შეეფარებინა თავი.

ბარბიკენი ხმისამოუღებლად მიჰყვა უკან. მარტონი რომ აღმოჩნდნე, არდანი ბარბიკენს მიუბრუნა:

- ბარბიკენი ხართ, არა? - ისეთი კილოთი ჰკითხა, ოცი წლის კეთილი მეგობრები

---

1 გაბატონებული ვნება (ინგ.)

გეგონებოდათ.

- დიახ, - მშრალად უპასუხა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა.

- მაშ, გამარჯობათ, ბარბიკენ! როგორ არის საქმე! კარგად არა? მით უკეთესი, მით უკეთესი!

- ამრიგად, - ყოლვეგვარი შესავლის გარშე ჰკითხა ბარბიკენმა, - თქვენ გადაწყვიტეთ ფრენა?

- უსათუოდ.

- და ვერაფერი შეგაკავებთ?

- ვერაფერი, თქვენ კი შეცვალეთ თუ არა თქვენი ყუმბარის ფორმა ისე, როგორც დეპეშაში გთხოვდით?

- თქვენს ჩამოსვლას ველოდებოდი. მაგრამ მითხარით, - ჰკითხა ბარბიკენმა, - ყველაფერი მოიფიქრეთ ისე, როგორც საჭიროა?

- მოიფიქრეო? კი მაგრამ, სადა მაქვს დრო მოსაფიქრებლად? საშუალება მომეცა, მოვინახულო მთვარე და გადავწყვიტე, ვისარგებლო, მორჩა და გათავდა! მე მგონი, აქ საფიქრებელი მაინცდამაინც დიდი არაფერია.

ბარბიკენი თვალებით ჭამდა ამ კაცს, რომელიც თავის მოგზაურობაზე ასე უდარდელად, ყოველგვარი შეშფოთების გარეშე ლაპარაკობდა.

- რაიმე გეგმა თუ გაქვთ? - იკითხა ბოლოს ბარბიკენმა. - ხომ არ მოგიფიქრებიათ, როგორ შეიძლება ამის განხორციელება?

- მერედა, როგორ მოვიფიქრე, ძვირფასო ბარბიკენ! მაგრამ იცით, რას გეტყვით? უმჯობესია, საჯაროდ ახლავე ყველას წინაშე გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, მერე რომ არ მომიხდეს ამაზე განმეორბით ლაპარაკი, ამიტომ თუკი თქვენ უკეთესს ვერაფერს შემომთავაზებთ, დაუძახეთ თქვენს მეგობრებს, თქვენს თანმხლებლებს, მთელ ქალაქს, მთელ ფლორიდას, თუ გნებავთ, მთელ ამერიკას და მე ხვალვე მოვხაზავ ჩემს გეგმას და პასუხს გავცემ ყველა იმ შენიშვნას, რასაც მომცემენ. მშვიდად ბრძანდებოდეთ, შენიშვნების არ მეშინია. თანახმა ხართ?

- თანახმა ვარ! - უპასუხა ბარბიკენმა.

ამ სიტყვების შემდეგ "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი კაიუტიდან გამოვიდა და გემბანზე თავმოყრილ ხალხს ხმამაღლა გადასცა მიშელ არდანის წინადაება. ბარბიკენის სიტყვას მხიარული შეძახილებით შეხვდნენ. არდანის სიტყვამ გადაწყვიტა ყველა ძნელი საკითხი.

ხვალ ყველას ექნებოდა საშუალება, დამტკბარიყო ევროპული გმირის ყურებით. მაგრამ ზოგმა უფრო ჯიუტმა მაყურებელმა, გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა "ატლანტა" და გემბაზნე გაეთია ღამე. მათ შორის აღმოჩნდა ჯ. ტ. მასტონიც. მასტონმა ჯერ კიდევ მანამდე ისე მიახრახნა თავისი რკინის კაუჭი ოკაჩხის სახელურებს, ძრავა თუ მოგლეჯდა მას იქიდან.

- გმირი ამისთანა უნდა, აი, ეს მესმის! - იმეორებდა იგი აღტაცებით.

- ჩვენ ამ ევროპელთან შედარებით, უბრალოდ, დიაცები ვართ.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა მნახველებს სთხოვა, დაშლილიყვნენ. შემდეგ არდანთან კაიუტაში დაბრუნდა და მანამდე დარჩა იქ, სანამ გემის ზარმა შუაღამის არ ჩამოჰკრა.

ამ დროს ორი მეტოქე მხურვალედ დაემშვიდობა ერთმანეთს, მიშელ არდანი "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს უკვე შენობით ელაპარაკებოდა.

მეცხრამეტე თავი

მ ი ტ ი ნ გ ი

მეორე დილით, სულწასული ადამიანების აზრით, მზე მეტისმეტად გვიან ამოვიდა. იმასაც ამბობდნენ, ასეთი სიზანტე არ ეპატიება მნათობს, რომელსაც პატივი ხვდა წილად ესოდენ ღირსსახსოვარი დღესასწაული გაესხივოსნებინაო.

ბარბიკენს ეშინოდა, მიშელ არდანისათვის საჩოთირო კითხვები არ მიეცათ, ამიტომ უნდოდა შეძლებისდაგვარად შეეზღუდა აუდიტორია, მიმდევართა მცირე ჯგუფისათვის, მაგალითად, "საზარბაზნე კლუბის" წევრებისათვის მოეყარა თავი, მაგრამ უფრო ადვილი იყო ნიაგარას შეგუბება. ბარბიკენი იძულებული გახდა, თავის

განზრახვაზე უარი ეთქვა და თავისი ახალი მეგობარი ბედის ამარა მიეტოვებინა ზღვა ხალხის წინაშე პირისპირ დარჩენილი.

ბირჟის ახალი შენობა, თავისი უზარმაზარი დარბაზის მიუხედავად, მიტინტგზე დასწრბის ყველა მსურველს ვერ დაიტევდა. ამიტომ ქალაქის მახლობლად მდებარე ვრცელი მდელო შეარჩიეს, საჭირო იყო, მზის მცხუნვარე სხივებისაგან თავდასცავი ჩარდახები მოეწყოთ. უშველებელი ტენტისთვის საჭირო მასალები - იალქნები, ბაგირები, სათადარიგო ანძები სიამოვნებით ათხოვეს ნავსადგურში მდგარმა გემებმა და რამდენიმე საათის შემდეგ ხრიოკ დაბლობზე უკვე გადაჭიმული იყო ტილოს ზეცა, რომლის ქვეშაც მიტინგის მონაწილეებს შეეძლოთ თავი შეეფარებინათ მცხუნვარე მზისაგან.

ამ გიგანტური ჩარდახის ქვეშ მოთავსდა 300 ათასი ადამიანი, მათ ფრანგის მოლოდინში რამდენიმე საათი საშინელ სიცხეში მოუწიათ ლოდინი. ამ ზღვა ხალხიდან მხოლოდ პირველ მესამედ ნაწილს შეეძლო კარგად ენახა ორატორი და მოესმინა მისი სიტყვა. მეორე მესამედი უკვე ცუდად დაინახავდა და ვერც ვერაფერს გაიგებდა. და ბოლოს, მაყურებელთ უკანასკნელი მესამედი ვერც ვერავის ნახავდა და ვერც ვერაფერს გაიგონებდა. მაგრამ ეს ამბავი სულაც არ უშლიდა მათ ხელს, მხურვალე ოვაცია გაემართათ ორატორისათვის.

ზუსტად დღის სამ საათზე "საზარბაზნე კლუბის" ყველაზე უფრო თვალსაჩინო წევრების თანხლებით გამოცნდა მიშელ არდანი, მას მარჯვნივ ხელმკლავით მოჰყვებოდა ბარბიკენი, მარცხნივ- პატივცემული მდივანი ჯ. ტ. მასტონი, რომელსაც მზესავით უბრწყინავდა სახე.

არდანი ფიცარნაგზე ავიდა. მაღალი ესტრადიდან მის თვალწინ გადაიშალა შავი ცილინდრების ოკეანე. მაგრამ ამით იგი სულაც არ დაბნეულა და არაბუნებრივი პოზა არ მიუღია. ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ხალისიანმა, უბრალომ და თავაზიანმა გამაყრუებელი "ვაშას" საპასუხოდ მოხდენილად დახარა თავი, შემდეგ ხელის მოძრაობით სიჩუმე დაამყარა და ერთობ გამართული ინგლისურით დაიწყო:

- ბატონებო! საშინელის სიცხის მიუხედავად, მომიწევს დაგაყოვნოთ აქ, რათა, ასე თუ ისე, განვმარტო ჩემი გეგმა, რამაც, როგორც ჩანს, თქვენ დაგაინტერესათ. მე არც ორატორი გახლავართ და არც მეცნიერი, საჯარო ლაპარაკსაც არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ბარბიკენმა მითხრა, რომ თქვენ ეს სიამოვნებას მოგანიჭებდათ და მეც გავბედე გამოვსულიყავი. მაშ, კარგად დამიგდეთ ყური. გთხოვთ, მომიტევოთ, თუკი ცუდი ორატორი გამოვდგები.

ეს ბუნებრივი შესავალი ხალხს ფრიად მოეწონა, რაც გამამხნევებელი გუგუნით გამოხატეს.

- ბატონებო! - განაგრძობდა მიშელ არდენი, - თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად გამოხატოთ თქვენი თანაგრძნობაც და არმოწონებაც. ახლა კი ნება მომეცით, დავიწყო, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საქმე გაქვთ უმეცარ, სრულიად უვიც ადამიანთან, რომელსაც წინ არფერი დაუდგება. სწორედ ამიტომ მომეჩვენა, რომ ყუმბარაში ჩაჯდომა და მთვარეზე გაფრენა უბრალო, ბუნებრივი და ადვილი ამბავია. ადრე თუ გვიან, ასეთი მოგზაურობა განხორციელდება. ხოლო რაც შეეხება მგზავრობის საშუალებებს - ის პროგრესს მიჰყვება. კაცობრიობამ მოგზაურობა ჯერ ოთხზე დაიყწო, ერთ მშვენიერ დღეს ორ ფეხზე გადავიდა, შემდეგ ურმით, კარეტით, ფაეტონით, ფურგუნით, დილიჟანსით და ბოლოს რკინიგზით. რაო მერე? ის რომ, მომავალი ვაგონი აუცილებლად ზარბაზნის ყუმბარა იქნება. საერთოდ, რანი არიან ეს პლანეტები? კაცმარომ თქვას, ისინი ყუმბარები გახლავან, უზარმაზარი ყუმბარები შემოქმედის იერ სივრცეში მიმობნეული. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ჭურვს.

შეიძლება ზოგი თქვენგანი ფიქრობს, რომ კოლუმბიადის ყუმბარას არნახული, გაუგონარი სიჩქარე ექნება. ეს მართალი არ არის. ცის მნათობნი უფრო ჩქარა მოძრაობენ, ჩვენი მიწაც კი, მზის ირგვლივ რომ მოძრაობს, მე და თქვენ სამჯერ უფრო ჩქარა გვატრიალებს: მოვიტან რამდენიმე მაგალითს, ოღონდ ნება მიბოძეთ, ფრანგული ლიეთი ვიანგარიშო, თორემ ვშიშობ, თქვენი ამერიკული საზომები ერთმანეთში ამერევა.

ეს თხოვნა ხალხს ფრიად ბუნებრივი მოეჩვენა და არც არავინ შედავებია.

ორატორი განაგრძობდა:

- მოწყალენო ხელმწიფენო, მე ზოგ-ზოგ მონაცემებს მოვიტან სხვადასხვა პლანეტების მოძრაობის სიჩქარეზე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი უვიცობის მიუხედავად, ეს ასტრონომიული წვრილმანები კარგად ვიცი, ორი წუთის შედეგ თქვენც ჩემნაირი მეცნიერი გახდებით. მაში იცოდეთ, რომ ნეპტუნი ხუთ ათას ლიეს გადის საათში, ურანი - შვიდ ათასს, სატურნი - რვა ათასს ორმოცდათვრამეტს. იუპიტერი - თერთმეტ ათას ექვსას სამოცდათხუთმეტს, მარსი - ოცდაორი ათას თერთმეტს, დედამიწა - ოცდაშვიდ ათას ხუთასს, ვენერა - ოცდათორმეტ ათას ას ოთხმოცდაათს, მერკური - ორმოცდაერთ მილიონ ოთხასი ათას ლიეს საათში. მათთან შედარებით ჩვენ კუს ნაბიჯებით მოსიარულე უსაქმური პიროვნებანი გახალვართ. ჩვენი ყუმბარის სიჩქარე ხომ მხოლოდ პირველ ერთ საათს მიარწევს ცხრა ათას ცხრაას ლიეს, მერე კი თანდათან დაიკლებს. მითხარით, გეთაყვა, რა არის აქ ისეთი, რომ ჭკუა დავკარგოთ? განა ნათლი არაა, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, სინათლის ან ელექტროდენის დახმარებით ადამიანები უფრო დიდ სიჩქარეს განავითარებენ?

როგორც ჩანდა, არავის ეჭვი არ ეპარებოდა მიშელ არდანის ამ სიტყვებში.

- ძვირფასო მსმენელებო, - განაგრძობდა იგი, - ზოგ გონებაშეზღუდულ ადამიანს რომ ყური უგდო (სხვა სიტყვა ვერ მიპოვია მათ დასახასიათებლად), კაცობრიობა მოქცეულია მოჯადოებულ წრეში, რომლის გადალახვა მას არ ძალუძს. მას მისჯილი აქვს სამუდამოდ ამ თავისი მიწის ბურთზე იბოგინოს და ვერასოდეს გაინავარდოს საპლანეტათაშორისო სივრცეში. არ არის ეს მართალი! ადამიანი იმოგზაურებს მთვარეზე, პლანეტებზე და ვარსკვლავებსზე ისე, როგორც ახლა მგზავრობს თავისუფლად, ჩქარა და მშვიდად ლივერპულიდან ნიუ-იორკამდე. საპლანეტათაშორისო ოკეანეს ისევე კარგად გამოიკვლევს, როგორც მთვარის ზღვებს. მანძილი - შეფარდებითი ცნებაა. ყოველი მანძილი შეიძლება თითქმის ნულამდე დაიყვანო!

გმირი ფრანგისადმი საყოველთაო ნდომის მიუხედავად, ამ თამამმა თეორიამ ცოტა არ იყოს შეაცბუნა შეკრებილნი. არდანმა ეს შენიშნა.

- ჩემო ძვირფასო მასპინძლებო, მგონი, ვერ დაგარწმუნეთ ამაში, - განაგრძობდა ის თავაზიანი ღიმილით, - მაშ კარგი. მოდით, გავერკვეთ ამ საკითხში. იცით, საკურიერო მატარებელი რა ხანში მიაღწევდა მთვარემდე? სულ რაღაც სამას დღე-ღამეში. ოთხმოცდა ექვსი ათას ოთხას ათი ლიე ნეტა რა მანძილია ამისთანა?! ეს ხომ ნაკლებია ცხრაჯერ აღებული დედამიწის წრეწირისა? მაგრამ განა არ არიან ისეთი მოგზაურები ან მეზღვაურები, თავის ცხორების მანძილზე უფრო მეტი რომ გაუვლიათ? ნუ დაივიწყებთ, რომ გზაში მხოლოდ ოთხმოცდაჩვიდმეტი საათი ვიქნები! ნუთუ თქვენ გგონიათ, მთვარე ისე შორსაა დედამიწიდან, რომ სანამ მასზე ექსკურსიას გავბედავ, ჯერ კარგად უნდა მოიფიქრო ყველაფერი? მაშინ რაღას იტყოდით, პლანეტა ნეპტუნზე რომ მივემგზავრებოდე? ნეპტუნი ხონ მზისაგან ერთი მილიარდ ას ორმოცდაშვიდი მილიონი ლიეთი არის დაშორებული! აი, ეს

მოგზაურობა მესმის, მის საფასურს ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაიხდიდა, ერთ კილომეტრზე ხუთი სუც რომ იყოს ნიხრი დაწესებული. ბარონ როტშილდსაც არ ეყოფოდა ბილეთზე თავისი მილიარდი - კიდევ ასორმოცდაშვიდი მილიონი დასჭირდებოდა სართად.

მსჯელობის ეს ძალდაუტანებელი კილო, როგორც ჩანდა, მოსწონდა შეკრებილთ; ამასთან, სუბრის თემით გატაცებული მიშელ არდანი მგზნებარედ, დიდი აღტყინებით ლაპარაკობდა. იგი გრძნობდა, მაყურებელი ხარბად რომ იჭერდა თითოეულ მის სიტყვას და მომხიბლავი დამაჯერებლობით განაგრძობდა.

- ჩემო მეგობრებო, მაშ იცოდეთ, რომ ნეპტუნსა და მზეს შორის არსებული მაძილი სულ უმნიშვნელოა, თუკი მას შევადარებთ ვარსკვლავთა სიშორეს. აქ უკვე არანაკლებ ცხრა ნულიანი ციფრის აღება დაგვჭირდებოდა, ხოლო ერთეულად მილიარდი უნდა ჩაგვეთვალა. მომიტევეთ, ასეთ წვრილმანებზე რომ გელაპარაკებით, მაგრამ იგი ჩვენ ცხოველად გვაინტერესებს, ჯერ მოისმინეთ და მერე განსაჯეთ. ვარსკვლავი ალფა კენტავრის თანავარსკვლავედში ჩვენგან ბილიონი ლიეთია დაშორებული: ვეგა და სირუსი - ორმოცდაათი ბილიონით; არქტური - ორმოცდათორმეტით, პოლარული ვარსკვლავი - ას ჩვიდმეტი ბილიონით, ამის შემდეგ რა სახსენებელია მზესა და პლანეტებს შორის არსებული მანძილი? თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ასეთი მანძილები არ არსებობენ, შეცდომაა! ტყუილია! მოჩვენებაა! იცით, მე რას ვფიქრობ ამ სამყაროზე, ჩვენი სხივნათლი მნათობით რომ იწყება და ნეპტუნით მთავრდება? გინდათ გაგიმხილოთ ჩემი თეორია? იგი სულ უბრალო რამაა! ჩემთვის მზის სამყარო მტკიცე და ერთგვაროვანი სხეულია; მის შემადგენლობაში შემავალი პლანეტები ავიწროებენ, ეხებიან ერთმანეთს, ლამის მიეწებონ კიდეც ერთმანეთს; მათ შორის მდებარე სივრცეც კი - შუალედებშია, რომლითაც დაშორებული არიან ერთმანეთისაგან ყველაზე მკვრივი ლითონების - ვერცხლის ანდა რკინის, ოქროს ანდა პლატინის მოლეკულები! ამიტომ უფლება მაქვს, ვამტკიცო, და სრული რწმენით ვიმეორებს, რაც მჯერა, თქვენც გაიზიარებთ, რომ: "მანძილი" - ფუყე სიტყვაა, მანძილები, კაცმა რომ თქვას არც არსებობს!

- კარგად არის ნათქვამი! ბრავო! ვაშა! - ერთხმად დაიძაა ორატორის დამაჯერებელი კილოთი, მისი ჟესტებით და იდეის სითამამით დამუხტულმა მთელმა აუდიტორიამ.

- სწორია! - ყველაზე ხმამაღლა მასტონი ღრიალებდა. - მანძილები არ არსებობს!

მკვეთრი მოძრაობის დროს მან წონასწორობა დაკარგა და კინაღამ ესტრადიდან ძირს გადმოეშვა, მაგრამ როგორღაც შეიმაგრა თავი, თორემ დარწმუნდებოდა, რომ "მანძილები" - არც ისე ხელწამოსაკრავი სიტყვაა.

ამასობაში მიშელ არდენი კვლავ გატაცებით განაგრძობდა:

- ჩემო მეგობრებო, მე მიმაჩნია, რომ ეს საკითხი უკვე ამოწურულია. თუკი ყველა ვერ დავარწმუნე, მაშასადამე, მეტისმეტად მორიდებული ვყოფილვარ მტკიცებისას, არ მომიყვანია ყველაზე ძლიერი საბუთები, ეს კი ჩემი არასაკმარისი თეორიული ცოდნის ბრალია. როგორც არ უნდა იყოს, ვიმეორებ, რომ მანძილი მთვარესა და დედამიწას შორის უმნიშვნელოა და სერიოზული ადამიანის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არცაა. შემიძლია განვაცხადო, გადაჭარბების სულაც არ მეშინია, რომ ახლო ხანებში განჩდება ყუმბარა-ვაგონებისაგან შემდგარი მთელი მატარებლები, რომლებშიც ძალიან მოხერხეულად, ხმაურის, ბიძგებისა და შეჯახებების გარეშე იმგზავრებს ადამიანი დედამიწიდან მთვარემდე. მატარებლები თავიანთი მიზნისაკენ ისარივით გაფრინდებიან, ანუ "ფუტკრების სიჩქარით", თქვენ

მონადირეების სიტყვებით რომ ვთქვათ, ოცი წელიც რა გაივლის, რომ დედამიწის მცხოვრებთა ნახევარი მოინახულებს მთვარეს!

- ვაშა! გაუმარჯოს მიშელ არდენს! - წამოიძახა ყველა,მ ნაკლებ მორწმუნემაც კი.

- გაუმარჯოს ბარბიკენს! - დაიძახა საპასუხოდ თავმდაბალმა ორატორმა.

ბარბიკენის ამსხურების ამ ხმამაღალმა აღიარებამ ხანგრძლივი და ერთსულოვანი ტაში გამოიწვია.

- ახლა კი, ჩემო მეგობრებო, განაგრძობდა არდანი, - იქნება რაიმე შეკითხვა გაქვთ? - სიამოვნებით გაგცემთ პასუხს. როგორც უმეცარს, შეიძლება ცოტა გამიჭირდეს, მაგრამ მაინც მზად გახლავართ.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი აქამდე ეტყობა, კმაყოფილი იყო საუბრის საერთო მიმართულებით. არდანი ასე თუ ისე განყენებულ საკითხებზე მსჯელობდა და თვისი ნათელი წარმოსახვის წყალობით დიდებულად ართმევდა მათ თავს, მაგრამ საჭირო იყო არდანის და აგრთვე აუდიტორიის გადაცდენა წმინდა წყლის პრაქტიკული საკითხებიდან, ვინაიდან არდანს, რასაკვირველია, გაუჭირდებოდა მათი გარკვევა. ამიტომ ბარბიკენმა სასწრაფოდ იხოვა სიტყვა და ტავის ახალ მეგობარს ჰკითხა, როგორ ფიქრობთ, მთვარისა და საერთოდ მზის სისტემის პლანეტებზე არის თუ არა სიცოცხლეო.

- ძნელ კითხვას მაძლევ, ჩემო ძვირფასო პრეზიდენტო! - უპასუხა ორატორმა ღიმილით. - თუმცა მე რამდენადაც მახსოვს, ამ საკითხს დადებითად წყვეტდნენ ისეთი დიდი ჭკუის ადამიანები, როგორც პლუტარქე, სვედენბორგი, ბერნარდენ დე სენ-პიერი და სხვებია. ბუნების ფილოსოფიის თვალსაზრისზე თუ დავდგები, იძულებული ვიქნები, გავიზიარო მათი შეხედულება და ვაღიარო, რომ ამ სამყაროში არ შეიძლება უსარგებლო რაიმე არსებობდეს. შენს კითხვაზე, მეგობარო ბარბიკენ, მე ასე ვუპასუხებ: თუ სამყაროები დასახლებულია, მაშასადამე, თითოეულ მათგანზე არის სიცოცხლე, ან ადრე იყო, ან მომავალში იქნება.

- შესანიშნავია! - წამოიძახა პირველ რიგში მდგარმა მაყურებელმა, მთელ შეკრებას ტონს რომ აძლევდნენ. მათი აზრი სხვებისათვის კანონი იყო.

- ამაზე უფრო ლოგიკურად და დამაჯერებლად ძნელია პასუხი გასცე, - დაადასტურა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა, - მაშასადამე, კითხვის მთელი დედააზრი შემდეგი გახლავთ: "დასახლებულია თუ არა სამყარო"? მე მაგალითად, მჯერა, რომ დასახლებულია.

- მეც დარწმუნებული გახლავართ ამაში, - მიუგო არდანმა.

- კი მაგრამ, - შენიშნა შეკრების ერთ-ერთმა მონაწილემ, - სამყაროთა დასახლებულობაზე მეტად სერიოზული საწინააღმდეგო აზრები არსებობს. ყოველ შემთხვევაში, პლანეტების უმრავლესობაზე დედამიწისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ცხოვრების პირობებია. ასე რომ, მზისგან დაშორებულ პლანეტებზე ცოცხალი არსება გაიყინებოდა, ხოლო მზესთან ახლოს მყოფ პლანეტებზე პირიქით, დაიწვებოდა.

- სამწუხაროდ, არა მაქვს პატივი პირადად ვიცნობოდე ჩემს ღირსეულ ოპონენტს, - უპაუხა მიშელ არდანმა, - მაგრამ მაინც შევეცდები, პასუხი გავცე. მისი შენიშვნები, რასაკვირველია, საფუძველს არაა მოკლებული, მაგრამ, მე მგონია, მათი გაბათილება მაინც შეიძლება. მე რომ ფიზიკოსი ვიყო, ვეტყოდი: თუკი მზესთან ახლოს მყოფ პლანეტებზე მაღალი ტემპერატურა ნელდება, რადგან პლანეტა შინაგან სითბოს უფრო მეტად გამოყოფს, პირიქით, შორს მყოფ პლანეტებზე ეს სითბო გამოიყოფა უფრო ძლიერად, - და ამრიგად, მათ ზედაპირზე შეიძლება შეიქმნას ისეთი ტემპერატურა, სავსებით მოხერხებული რომ იყოს დედამიწის მცხოვრებთა მსგავს

არსებებისათვის. ნატურალისტი რომ ვიყო, მე მას ვეტყოდი, რომ მთელი რიგი დიდი მეცნიერების მიერ დამკიცებულია მიწიერი ორგანიზმების შემგუებლობა ცხოვრების სხვადასხვა პირობებისადმი. თევზები, მაგალითად, ისეთ გარემოში ცხოვრობენ, რაც სხვა ცხოველებისათვის მომაკვდინებელია. ამფიბიები კი ორმაგ ცხოვრებას ეწევიან, რაც ძნელად ასახსნელი მოვლენაა! - ზოგიერთი ზღვის ცხოველი ღრმა წყალში ცხოვრობს და ორმოცდაათ-სამოც ატმოსფერულ წნევას უძლებს. ზოგი უმდაბლესი ორგანიზმი ყოვლად უგრძნობია ტემპერატურის მიმართ და როგორც ცხელ წყაროებში, ასევე პოლარული ოკეანეების ყინულოვან უდაბნოებში გვხვდებიან! მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ბუნება ცხოვრების ისეთ მრავალფეროვან, ხანდახან წამოუდგენელ პირობებს ქმნის, რომ იგი ყოვლისშემძლედ გვევლინება... ქიმიკოსი რომ ვიყო, ვეტყოდი, აეროლიტებში ანუ მიწის სფეროს მიღმა წარმოშობილ სხეულებში, ანალიზის შედეგად აღმოჩენილია ნახშირბადის ნიშნები; ეს ნივთიერება კი ორგანული წარმოშობისაა და როგორც რეიჰენბახის გამოკვლევები ადასტურებენ, ოდესღაც უეჭველად შედიოდა ცოცხალი სხეულების შემადგენლობაში. ბოლოს, თეოლოგი რომ ვიყო, მე მას ვეტყოდი, რომ პავლე მოციქულის თანახმად, ზეციური განწმენდა მარტო დედამიწაზე კი არა, სხვა ციურ სამყაროზე ვრცელდებოდა. მაგრამ მე ქიმიკოსი არ გახლავართ, არც ბუნებისმეტყველი, არც ფიზიკოსი და თეოლოგი, მე სრულიად უმეცარი პიროვნება ვარ. წარმოდგენა არა მაქვს იმ დიდ კანონებზე, სამყროს რომ მართავენ და ამიტომ ჩემი პასუხი ასეთია: არ ვიცი, დასახლებულია თუ არა სხვა პლანეტები და მთვარზე სწორედ ამიტომ მინდა გავფრინდე, რომ ჩემი საკუთარი თვალებით ვიხილო ყველაფერი.

მიშელ არდანის მოწინააღმდეგეს ჰქონდა თუ არა სხვა შენიშვნები, ეს არავინ იცის, რადგან ხალხის აღფრთოვანებულმა შეძახილებმა ჩაახშო მისი ხმა. ბოლოს, როცა აუდიტორიის სულ უკანასკნელ რიგებშიც სიჩუმე დამკვიდრდა, გამარჯვებულმა ორატორმა შეძლო, გაეგრძელებინა თავისი სიტყვა.

- ჩემო ღირსეულო იანკებო, თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ეს საკითხი ღრმად არ განვიხილე, მე აქ ამ მრვალფეროვან თემაზე საჯარო ლექციების საკითხავად კი არ ჩამოვსულვარ! სამყაროთა დასახლებულობის სასარგებლოდ კიდევ შეიძლება მოიყვანო მთლი რიგი საბუთები, მაგრამ ამჯერად არ შევეხები მათ და ნება მიბოძეთ, მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდე. იმ ადამიანებს, პლანეტების დაუსახლებლობას რომ ამტკიცებენ, მინდა ვუთხრა: თქვენ შეიძლება მართალიც ყოფილიყავით, იმის დამტკიცება რომ შეძლოთ დედამიწა საუკეთესოა სხვა პლანეტებს შორისო. მაგრამ რაც არ უნდა ილაპარაკოს ვოლტერმა, ეს ამბავი დამტკიცებული როდი გახლავთ. დედამიწას მხოლოდ ერთი თანამგზავრი ჰყავს; იუპიტერს, ურანს, სატურნსა და ნეპტუნს კი - რამდენიმე; ეს ამბავი კი ერტგვარ უპირატესობას აძლევს მათ, რისი გულუებელყოფაც არ შეიძლება. განსაკუთრებული უხერხულობა კი ის გახლავთ, რომ დედამიწის ღერძი დახრილია ორბიტისაკენ. აქედან წარმოსდგება დღეებისა და ღამაეებსი არათანაბრობა, ამის გამო წელიწადის დროთა გულსატკენი სხვადასხვაობა. ჩვენს ბედდამწვარ ბურთზე ყოველთვის ან ძალიან ცხელა, ან ძალიან ცივა; ზამთარში ვიყინებით, ზაფხულში კი ვიხრუკებით. დედამიწა სურდოს, ფილტვების ანთებისა და ყოველნაირი გაცივების პლანეტაა! ახლა ვიკითხოთ უპიტერის ამბავი, რომლის ღერძი თითქმის პერპენდიკულარია მისი ორბიტისა სიბრტყისადმი. იქ ერტსა და იმავე ადგილზე ტემპერატურა არ იცვლება. იუპიტერზე მუდმივი გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის ზონები არსებობს. თითოეულ იუპიტერელს შეუძლია კლიმატი თავისი გემოვნების მიხედვით შეარჩიოს, და არასოდეს არ შეეშინდეს ამინდის ცვალებადობისა. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს დედამიწასთან

შედარებით, იუპიტერის დიდი უპირატესობაა, რომ არაფერი ვთქვათ მის გრძელ წელიწადებზე, თითოეული მიწიერ 12 წელიწადს რომ უტოლდება! ამას გარდა, მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების ამისთანა დიდებული პირობების წყალობით ამ ბედნიერი "სამყაროს" ბინადარნი უმაღლესი რანგის არსებანია: მეცნიერი იქ უფრო განსწავლულია, მსახიობი უფრო ნიჭიერი, ავი ადამიანი ნაკლებად ბოროტია, ხოლო კეთილები ჩვენსაზე უფრო კეთილები არიან: და ვაგლახ, წარმოგიდგენიათ, რა აკლია ჩვენს დედამიწას, რომ ასეთ სრულყოფას მიაღწიოს: სულ უბრალო რამ! მხოლოდ მოძრაობა ღერძისა და ორბიტის სიბრტყისადმი რომ ნაკლებ დახრილი იყოს.

- რა გვიშლის მერე ხელს? - გაისმა უეცრად მძვინვარე ხმა. - შევაერთოთ ჩვენი მონდომება, გამოვიგონოთ მანქანები და გავასწოროთ მიწის ღერძი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ სიტყვებს, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ ჯ. ტ. მასტონს წარმოეთქვა. მას ყოველთვის ჰქონდა მიდრეკილება ინჟინრობისადმი, და ფიცხელი წარმოსახვის წყალობით მუდამ წარმოუდგენელ რამეებს წაეპოტინებოდა ხოლმე. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრმა აღფრთოვანებული ყვირილით დაუჭირა მას მხარი. და ცხადია, ამერიკელებს რომ ჰქონოდათ საყრდენი წერტილი, რასაც ძველად არქიმედე მოითხოვდა, ისინი უეჭველად შექმნიდნენ სახელურს, რომ მოებრუნებინათ დედამიწა და გაესწორებინათ მისი ღერძი. მაგრამ ვაი, რომ სწორედ საყრდენი წერტილი აკლდათ ამ მამაც მექანიკოსებს.

ასე იყო თუ ისე, მასტონის "პრაქტიკულმა წინადადებამ" დიდი მოწონება დაიმსახურა. მან თითქმის 15 წუთით შეწყვიტა კამათი და ამ მიტინგის მერე კიდევ დიდხანს მსჯელობდნენ შეერთებულ შტატებში "საზარბაზნე კლუბის" მუდმივი მდივნის თამამ პროექტზე.

მეოცე თავი

შეტევა და თავდაცვა

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო მიტინგი, და ამაზე უკეთეს დაბოლოებას არავინ ელოდა.

მაგრამ როცა ხმაური ბოლოს და ბოლოს მიწყდა, უცებ გაისმა მტკიცე, მკაცრი ხმით წარმოთქმული შემდეგი სიტყვები:

- ახლა, როცა ორატორმა ამდენი დრო დაუთმო ფანტაზიას, ხომ არ ინებებს იგი, დაუბრუნდეს ძირითად თემას? იქნებ სჯობია, ცოტა ნაკლები ყურადღება მიაქციოს თეორიულ საკითხებზე მსჯელობას და პირდაპირ მოგზაურობის ტექნიკური მხარის განხილვას შეუდგეს?

ყველამ მოლაპარაკეს მიაჩერდა, ეს იყო კაფანდარა, ხმელ-ხმელი, ენერგიული სახის მამაკაცი, მას წვერი ამერიკულად ჰქონდ გვერდებზე აჭრილი.

მან ისარგებლა ხალხის მოძრაობით და ნელ-ნელა პირველი რიგის მსმენელთა შორის მოექცა. გულზე ხელი დაიკრიფა და ანთებული მზერა მიაპყრო გმირს.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე უცნობი გაჩუმდა. როგორც ჩანს, სულაც არ აშფოთებდა მისკენ მიმართული ათასი მზერა, არც გამკიცხავი რეპლიკები, დამსწრე საზოგადოება რომ ესროდა.

რაკი პასუხი ვერ მიიღო, მან გაიმეორა თავისი კითხვა იმავე მკაცრი ხმით და დაუმატა:

- ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ მთვარეზე ვილაპარაკოთ და არა დედამიწაზე.

- ცამდე მართალი ბრძანდებით, ბატონო ჩემო! - უპასუხა არდანმა. - კამათმა ცოტა სხვა მიმართულება მიიღო. დავუბრუნდეთ მთვარეს.

- მოწყალებო ხელმწიფევ, - განაგრძობდა უცნობი, - თქვენ ამტკიცებთ, რომ დედამიწის თანამგზავრი დასახლებულია. დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუკი მთვარის ბინადარნი არსებობენ, ისინი არ სუნთქავენ, ვინაიდან, - გთხოვთ, ეს მხედველობაში მიიღოთ თქვენსავე სასარგებლოდ, - მთვარის ზედაპირზე არ არის ჰაერის თუნდაც ერთი მოლეკულა.

მიშელ არდანმა თავისი ლომისებური ფაფარი შეარხია. მან მყისვე იგრძნო, რომ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე. თავით ფეხამდე გაზომა უცნობი თვალებით და თქვა:

- აი, თურმე რა! თქვენის აზრით, მთვარეზე ჰაერი არ არის, არა? ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ: ვინ ამტკიცებს ამას?

- მეცნიერები.

- ნუთუ მართლა?

- თქვენ წარმოიდგინეთ!

- მოწყალეო ხელმწიფევ, - შეედავა არდანი, - გვეყოფა ხუმრობა. მე ძლიერ პატივს ვცემ იმ მეცნიერებს, თავიანთი საქმე რომ გაეგებათ. და საშნლად მეზიზღებიან ისინი, რომელთაც არა იციან რა.

- თქვენ იცნობთ ამგვარ მეცნიერებს?

- ვინცობ საფრანგეთში, მაგალითად, არის ერთი "მეცნიერი", რომელიც "მათემატიკურ გამოანგარიშებითა" საფუძველზე ამტკიცებს, რომ ფრინველებს ფრენა არ შეუძლიათ; არის ისეთიც, თევზები წყალში ვერ ცხოვრობენო, რომ ამტკიცებს.

- თქვენო ბრწყინვალებავ, მე ასეთ მეცნიერებს არ ვგულისხმობ. ჩემი სიტყვის დასტურად ისეთ მეცნიერებს დავასახელებ, რომელთა სახელებს თქვენ არ შეიძლება არ იცნობდეთ.

- ასეთ შემთხვაში, ბატონო ჩემო, თქვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებთ ისეთ უმეცარს, როგორიც მე ვარ. თუმცა, ყოველთვის მოხარული ვარ რიმე ახალი გავიგო!

- თუკი არ გისწავლიათ, რატომღა ერევიტ მეცნიერული საკითხების განხილვაში ? - საკმაოდ უხეშად ჰკითხა უცნობმა.

- რატომ ვერევი? - მიუგო არდანმა, - მამაცი ისაა, ვისაც წარმოდგენა არა აქვს სიძნელეებზე. მე, მართალია, არაფერი გამეგება, სამაგიეროდ ეს სისუსტე ჩემი ძლიერების წყაროა!

- თქვენი სისუსტე ახლოსაა სიგიჟესთან- ბრაზნარევი ხმით შესძახა უცნობა.

- მით უკეთესი, - შეეპასუხა ფრანგი, - თუკი ჩემი სიგიჟე მთვარემდე მიმიყვანს!

ბარბიკენი და მისი ამხანაგები თვალებიტ ჭამდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს, ასე რიხიანად რომ ედავებოდა მიშელ არდანს. არავინ იცნობდა მას და "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი ასეთი კამათის გამო ცოტა არ იყოს დარცხვენილი, შეშფოთებით გადახედავდა ხოლმე თავის ახალ მეგობარს. ყველანი გაფაციცებით უსმენდნენ ამ დავას და გრძნობდნენ, რომ ახლა გამჟღავნდებოდა განზრახული მოგზაურობის ყველა ხიფათი ან სულაც მისი განუხორციელებლობა.

- მოწყალეო ხელმწიფევ, - კვლავ დაიწყო არდანის მოწინააღმდეგემ, - მრავალი საბუთი არსებობს იმისა, რომ მთვარეზე სრული უაჰაერობაა და ეს საბუთები აქამდე არავის გაუბათილებია. შემიძლია ვთქვა, მთვარეზე ოდესმე მაინც რომ ყოფილიყო

ჰაერი, დედამიწა კაი ხნის წინ მიიზიდავდა მას თავისაკენ. მაგრამ უმჯობესია რამდენიმე უცილო ფაქტი მოგიყვანოთ.

- მოიყვანეთ, - უპასუხა არდანმა ერთობ თავაზიანი ღიმილით, - რამდენიც გნებავთ, მოიყვანეთ!

- თქვენ მოგეხსენებათ, - განაგრძობდა უცნობი, - რომ, როცა სინათლის სხივები გადაკვეთავენ ისეთ არეს, როგორიც ჰაერია, ისინი სწორხაზოვან მიმართულებიდან გადაუხვევენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გადატყდებიან ხოლმე. მაშასადამე, როცა მთვარე თავისი დისკოთი ჩრდილავს ხოლმე ზოგ ვარსკვლავს, ამ ვარსკვლავთა სხივები არასოდეს არ უხვევენ თავიანთი მიმართულებიდან. ანუ წამითაც არ გადატყდებიან. აქედან გარდაუვლათ ვასკვნით: მთვარეზე არ არსებობს ატმოსფერო.

ყველანი ფრანგს მიაჩერდნენ: როგორ შეძლებს იგი უარყოს საბუთი, საიდანაც ესოდენ მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს?

- მართლაც, - უპასუხა არდანმა, - ეს თქვენი ყველაზ ძლიერი და ერთადერთი არგუმენტია. მეცნიერს იქნება გასჭირვებოდა კიდეც ამაზე პირდაპირი პასუხის გაცემა, მაგრამ ჩემთვის ამ საბუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გადამწყვეტი იქნებოდა, ზუსტად რომ იყოს გაზომილი მთვარის კუთხის დიამეტრი, მაგრამ იგი ზუსტად ჯერაც არ არის დადგენილი. თუმცა ამას თავი დავანებოთი; მითხარით, ბატონო, მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ მთვარის ზედაპირზე არსებობს ვულკანები?

- ჩამქრალი ვულკანები არსებობს, მოქმედი კი არა.

- მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ლოგიკის დაურღვევლად, ხომ შესაძლებელია დავუშვათ, რომ ოდესღაც ეს ვულკანები მოქმედებდნენ?

- რასაკვირველია. მაგრამ მათ თვითონ შეეძლოთ წვისათვის აუციელებლად საჭირო ჟანგბადი გამოეყოთ. და მაშასადამე, მთვარეზე მიმდინარე ვულკანურ ამოფრქვევას არ ძალუძს დაამტკიცოს მასზე ატმოსფეროს არსებობა.

- კეთილი და პატიოსანი, - უპასუხა არდანმა, - და საერთოდ მოდით, თავი გავანებოთ ირიბ მტკიცებებს. გადავიდეთ ფაქტებზე, უშუალო დაკვირვებებზე. მაგრამ გაფრთხილებთ: მომიწევს სწავლული ავტორიტეტების დამოწმება.

- დაიმოწმე მერე.

- დავიმოწმებ კიდეც: 1715 წლის 3 მაისს ასტრონომებმა ლუვილმა და გალეიმ დაბნელებას რომ აკვირდებოდნენ, მთვარეზე შენიშნეს უცნაური სინათლის მოვლენა. ეს წამიერი და ხშირად გამეორებული ნათება მიაწერეს ჭექა-ქუხლის მოქმედებას, რაც მთვარის ატმოსფეროში მოხდა.

1715 წელს, - შეეპასუხა უცნობი, - ასტრონომებმა ლუვილმა და გალიემ მთვარის მოვლენად მიიჩნიეს ფენომენები, დედამიწის ატმოსფეროს ფენებში რომ მიმდინარეობდა, რაც ბოლიდებით და მეტეორებით იყო გამოწვეული. აი, რა პასუხი გასცეს მეცნიერებმა ამ ფაქტს, ხოლო დღეს ამას თქვენ გიმეორებთ!

- დე, ასე იყოს! - უპასუხა არდანმა ისე, რომ სულ არ დაბნეულა, ახლა - ჰერშელს მოვიშველიებ, რომელმაც 1787 წელს შეამჩნია მთვარის ზედაპირზე უამრავი მანათობელი წერტილი.

- არ უარვყოფ, მაგრამ მეცნიერმა ეს ფაქტი ვერ ახსნა. იგი ვერ ბედავდა ამ საფუძველზე ემტკიცებინა ატმოსფეროს არსებობა.

- დიდებული პასუხია! - წამოიძახა მიშელ არდანმა გატაცებით, - თქვენ გეტყობათ, ძალიან ძლიერი ხართ სელენოგრაფიაში.

- ფრიად ძლიერი გახლავართ, მოწყალეო ხელმწიფევ, და დავუმატებ, რომ პირველხარისხოვანი ასტრონომები ბერი და მედლერი, რომლებმაც ღამის მნათობი

სხვებზე დაწვრილებით გამოიკვლიეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მთვარეზე არავითარი ატმოსფერო არ არსებობს.

მაყურებელთა რიგებს ჟრუანტელმა დაუარა. უცნაური უცნობის საბუთემბა, ჩანს გავლენა მოახდინა საერთო აზრზე.

- განვაგრძოთ, - მშვიდად თქვა მიშელ არდენმა. - რას მიპაუხებთ შემდეგ მნიშვნელოვან საბუთზე? ცნობილმა ფრანგმა ასტრონომმა ლორედამ, რომელიც 1860 წლის 18 ივლისს აკვირდებოდა დაბნელებას, დაადასტურა, რომ მთვარის მიერ დაფარული მზის დისკოს კუთხეები მომრგვალებული და დაცხრილული ჩანდა, ასეთ მოვლენას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ მზის სხივების მთვარის ატმოსფეროში გადატყდომის შედეგად. სხვანაირად ამ ფაქტს ვერ ახსნი!

- მაგრამ უტყუარია ეს ფაქტი? - ცოცხლად გაიმეორა უცნობმა.

- აბსოლუტურად უტყუარია!

აუდიტორია შეჩოჩქოლდა, ხალხი გაახარა თავისი საყვარელი გმირის წარმატება. უცნობი დადუმდა. არდანმა კი მიამიტი კილოთი, ისე, სულაც არ გაყოყოჩებულა, იმით, რომ მოწინააღმდეგეს აჯობა, განაგრძო თავისი სიტყვა:

- ხედავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, არ შეიძლება ასე გადაჭრით უარყოთ მთვარეზე ატმოსფეროს არსებობა. ალბათ ეს ატმოსფერო ძალზე გაუხეშებულია. მეტისმეტად არამკვრივია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ვაღიაროთ მისი არსებობა...

- ოღონდ არა მთვარის გორაკებზე, ჩემო ბატონო! - შეეპასუხა უცნობი, რომელიც კიდევ არ ფიქრობდა, უკან დახევას.

- შეიძლება. მაგრამ დაბლობებში იგი არის, თუნდაც მისი სიმაღლე რამდენიმე ათეულ ფუტს არ აღემატებოდეს.

- ყოველ შემთხვევაში გირჩევთ, გაფრთხილდეთ, იმიტომ რომ, თქვენი მთავარი ჰაერი წარმოუდგენლად გაუხეშებული იქნება.

- ო, ჩემო ძვირფასო, ერთ ადამიანს ეყოფა! თანაც, იქ რომ ჩავაღწევ, შევეცდები, ჰაერის ეკონომია გავწიო და მხოლოდ იშვიათ, განსაკუთრებულ შემთხვევაში ვისუნთქო.

გამაყრუებელი ხარხარი ატყდა. უცნობმა ამაყად, გამომწვევად მოავლო თვალი შეკრებილთ.

- მაშასადამე, - მიმნდობი კილოთი განაგრძობდა მიშელ არდანი, - თქვენ დამეთანხმებით, რომ მთვარეზე არის გარკვეული რაოდენობა ატმოსფერო. თუკი ეს ასეა, მაშინ უნდა იყოს "გარკვეული" რაოდენობა წყალიც. ეს გარემოება პირადად მე ძალიან მახარებს. ამას გარდა, ჩემო ძვირფასო ოპონენტო, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი მოსაზრება გაგაცნოთ. ჩვენ ხომ მთვარის მხოლოდ ერთი მხარე ვიცით, ის, რომელიც დედამიწისკენ არის მიქცეული; ჰოდა, თუ ამ მხარეზე ძალიან ცოტა ჰაერია, იქნებ მის მეორე მხარეზე იყოს სავსებით საკმარისი რაოდენობა.

- ვითომ რატომაო?

- იმიტომ, რომ დედამიწის მიზიდულობის გამო მთვარემ კვერცხის ფორმა მიიღო და ვენკენ თავისი ყველაზე უფრო მახვილი ბოლოთია შემობრუნებული. ამ ვარაუდს ეთანხმება გაგზენის გამოთვლებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ მთვარის სიმძიმის ცენტრი მის უკანა ნახევარსფეროში მდებარეობს. აქედან კი თავის მხრივ ის გამოდის, რომ მთვარის ჰაერისა და წყლის მთავარი მასა დედამიწის თანამგზავრის საწინააღმდეგო მხარისკენ უნდა იყოს მოქცეული შექმნის პირველი დღიდან.

- წმინდა წყლის ფანტაზიაა! - წამოიძახა უცნობმა.

- პირიქით, მექანიკის ძირითად კანონებზე დაყრდნობილი წმინდა წყლის თეორიაა და არ მესმის, რითი შეიძლება მისი უარყოფა. ამიტომ მივმართავ ყველა მსნენელს და გთხოვთ, კენჭი უყაროთ კითხვას: შესაძლებელია თუ არა მთვარეზე ისეთი სიცოცხლის არსებობა, როგორიც დედამიწაზეა?

სამასი ათასი ადამიან ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ამ სიტყვებს: მიშელ არდენის მოწინააღმდეგეს კიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ მას არავინ უსმენდა. სეტყვასავით დააყარეს მუქარადა ყვირილი.

- გეყოფა! გეყოფა! - ყვიროდნენ ერთნი.

- პანღურით გააგდეთ აქედან! - კიოდნენ მეორენი.

- გაეთრიე! გაეთრიე! - ღრიალებდა გაცოფებული ხალხი.

მაგრამ უცნობი შეურყევლად იდგა, ესტრადის მოაჯირისთვის ჩაევლო ხელი და გამომწვევი იერით ელოდებოდა, როდის ჩაწყნარდებოდა ქარიშხალი. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი, მიშელ არდენს ჟესტით რომ არ დაეწყნარებინა ხალხის ეს წრეგადასული მღელვარება. იგი იმდენად კეთილშობილი გახლდათ, რომ თავის უმწეო მოწინააღდეგეს არ შეატოვებდა ბრბოს.

- იქნება კიდევ გსურთ რაიმეს თქმა? - მიუბრუნდა იგი უცნობს თავაზიანი კილოთი.

- დიახ, მსურს! მსურს ასი, ათასი სიტყვის თქმა! - უპასუხა უცნობმა გაცხარებით. - თუმცა არა, მხოლოდ ერთ სიტყვას ვიტყვი! ასეთ საქმეში სიჯიუტე შეუძლებელია მხოლოდ...

- გაუფრთხილებელ ადამიანს, არა? ნუთუ თქვენ წინდაუხედავ პიროვნებად მთვლით? მე ხომ ჩემი მეგობარი ბარბიკენისგან მოვითხოვე მრგვალი ბომბის ცილინდრულ-კონუსური ყუმბარით შეცვლა, რათა გზაში ციყვივით არ მეტრიალა?

- მაგრამ, უბედურო, გავიწყდებათ, ჭურვის გამოვარდნის ბიძგი ნაფლეთებად რომ გაქცევთ!

- ჩემო ძვირფასო ოპონენტო, აი, ახლა პირდაპირ მიზანში მოარტყით. ეს ყველაზე ნაღდი და ერთდერთი საშიშროებაა. მაგრამ მე მეწამს ამერიკელ გამომგონებელთა გენიის და დარწმუნებული ვარ, რაიმეს მოიფიქრებენ.

- კი მაგრამ, სად გაექცევით სიცხეს, რომელიც ატმოსფეროს წინააღმდეგობის გამო ყუმბარის საშინელი სიჩქარის დროს წარმოიქმნება?

- ო, ყუმბარის კედლების საკმაოდ სქელია. ამას გარდა, ერთ წამში გადავლახავ ატმოსფეროს!

- სურსათი? წყალი?

- გამოვიანგარიშე, რომ მთელი წლის სამყოფი სურსათის წაღება შემიძლია, გზაში კი მხოლოდ ოთხი დღე-ღამე ვიქნები.

- გზაში სუნთქვა ხომ გინდათ?

- შეიძლება ჰაერის ქიმიური გაწმენდა.

- სად გაექცევით მთვარეზე დაცემის დროს დარტყმას, თუკი ჭურვმა საერთოდ მიაღწია მთვარემდე?

- ო, ეს დარტყმა ექვსჯერ ნაკლები ძალის იქნება, ვიდრე დედამიწაზე დაცემა, ვინაიდან მთვარის მიზიდულობა ექვსჯერ სუსტია დედამიწისაზე.

- მაგრამ ეს დარტყმაც საკმარისია, რომ შუშასავით ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრეთ.

- რა შემიშლის ხელს, დაცემის ძალა შევასუსტო რაკეტების მეშვეობით, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვუშვებ?

- მაგრამ, დავუშვათ, რომ თქვენ ყველა ხიფათი დასძლიეთ და ყველაფერი ასე წამოუდგენლად იღბლიანად დამთავრდა, თქვენ საღ-სალამათი ჩაფრინდით მთვარეზე, - რანაირად ფიქრობთ უკან, დედამიწაზე დაბრუნებას?

- სულაც არ დავბრუნდები!

ამ პასუხმა, რომლის უბრალოება უფრო ხაზს უსვამდა მიშელ არდანის გმირობას, შეკრებილთ ენა ჩაუგდო. ეს დუმილი აღფრთოვანების ყვირილზე უფრო მჭევრმეტყველებდა. უცნობმა ისარგებლა სიჩუმით, უნაკასკნელი პროტესტი რომ გამოეთქვა.

- კი მაგრამ, ეს უეჭველ სიკვდილს ნიშნავს თქვენთვის, - მთელი ხმით დაიყვირა მან. - და ეს სიკვდილი გიჟის სიკვდილი იქნება. იგი არაფერს მისცემს მეცნიერებას!

- განაგრძეთ, ჩემო დიდსულოვანო უცნობო მეგობარო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ წინასწარმეტყველების საკმაოდ სასიამოვნო მანერა გაქვთ.

- ო, ეს უკვე მეტისმეტია! - წამოიძახა მიშელ არდანის მოწინააღმდეგემ. - არ ვიცი, რატომ ვაგრძელებ ამ არასერიოზულ დავას. გაფრინდით, საცა გნებავთ. თქვენ უბრალოდ გადარეული ხართ...

- განაგრძეთ. ნუ გერიდებათ.

- ამ გიჟური საქმის პასუხისმგებლობა თქვენ არ დაგეკისრებათ, არა!

- აბა ვის? განაგრძეთ! - არდანის ხმა წამსვე მბრძანებლური გახდა.

- იმ უმეცარ კაცს, ვინც მოიფიქრა ეს ველური, უაზრო წამოწყება.

ნათელი იყო, ვის უმიზნებდა უცნობი. ბარბიკენი კაი ხანი იყო, თავს საშინელ ძალას ატანდა, - "იწვოდა და არ ანთებდა" - მემანქანეების სიტყვით რომ ვთქვათ, რომ წონასწორობიდან არ გამოსულიყო. ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ კი წამოხტა და გაექანა უცნობისაკენ, რომელიც პირდპირ ბრძოლაში იწვევდა მას. მაგრამ უეცრად მათ შორის დაბრკოლება აღიმართა.

ხალხი ესტრადას მიაწყდა. ასობით ძლიერმა ხელმა აიტაცა იგი, მხრებზე შეიდგა და ბარბიკენი და მიშელ არდანი ასე საზიემოდ წაიყვანა. ტვირთი ძალიან მძიმე იყო, მაგრამ მტვირთავები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დაობდნენ კიდეც, პატივი რგებოდათ, ეს უცნაური ეტლი ეტარებინათ.

უცნობმა არ მოისურვა, ესარგებლა ამ არევ-დარევით და მიმალულიყო. ესეც არ იყოს, შეძლებდა კი ხალხის ამ მჭიდრო ტალღის გარღვევას? ცხადია, ვერ შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, იგი ისევე ისე იდგა პირველ რიგში, გულზე ხელებდაკრეფილი და თვალებით ბურღავდა პრეზიდენტ ბარბიკენს.

ბარბიკენსაც მზერა არ მოუშორებია მისთვის. მათი თვალები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩამბული ორი მოწინააღმდეგის ხმლის პირებივით ელავდნენ.

ამ საზეიმო მსვლელობის ჟამს არ შეწყვეტილა აღფრთოვანებული ხალხის ყვირილი. მიშელ არდანს, როგორც ჩანდა, სიამოვნებდა ხალხის ეს აღფრთოვანება. სახე სიხარულისაგან გაბადრული ჰქონდა, ხანგამოშვებით ესტრადა აქეთ-იქიტ ირწეოდა ზღვის ტალღებზე მოქანავე გემივით. მაგრამ მიტინგის გმირებს ზღვის რწევის არ ეშინოდათ: მტკიცედ იდგნენ ფეხზე და მათმა გემმა უხიფათოდ მიაღწია ტამპას ნავსადგურამდე.

აქ უკვე მიშელ არდანმა შეძლო, თავი დაეღწია თავისი თაყვანისმცემლების მძლავრი ხვევნა-კოცნისგან; სასტუმრომდე სირბილიტ მივიდა, თავის ნომერში ჩაიკეტა და მაშინვე ლოგინში შეწვა; მრავალათასიანი ხალხის ნაკადი და კიდევ დიდხანს ბობოქრობდა მის ფანჯრებთან.

იმავე დროს მოკლე, მაგრამ სერიოზული დ გადამწყვეტი ლაპარაკი გაიმართა უცნაურ უცნობსა და "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს შორის.

როგორც კი ბარბიკენმა თავი დაიძვრინა ხალხის ჯგროსაგან, პირდაპირ თავის მოწინააღმდეგეს მიაშურა.

- მომყევით! - მოწყვეტით უთხრა მან.

უცნობი უკან მიჰყვა სანაპიროს მიმართულებით მიმავალ ბარბიკენს. მალე ისინი მარტონი აღმოჩდნენ ნავმისადგომთან, ნავსაშენის პირდაპირ, ჯონს ფოლის ქუჩაზე.

მტრებმა აქ თვალითვალში გაუყარეს ერთმანეთს.

- ვინ ბრძანდებით? - ჰკითხა ბარბიკენმა

- კაპიტანი ნიკოლი გახლავართ.

- ასეც ვფიქრობდი. აქამდე შემთხვევა არ გვქონია, პირისპირ შევყროდით ერთმანეთს.

- ამიტომ გადავწყვიტე, შეგხვედროდით.

- თქვენ მე შეურაცხმყავით.

- დიახ, საჯაროდ მოგაყენეთ შეურაცხყოფა.

- ამაზე პასუხი უნდა აგოთ.

- მზად გახლავართ. თუნდაც ახლავე, ამ წუთს.

- არა. მე მინდა ეს ამბავი ჩვენს შორის დარჩეს. ქალაქიდან სამი მილის დაშორებით მდებარეობს ტყე სკერსნო. იცით?

- ვიცი.

- ხომ არ ინებებთ, ხვალ დილით, 5 საათისათვის შეხვიდეთ ამ ტყეში, რომელიც გნებავთ იმ მხრიდან?

- დიახ, თუკი თქვენ იმავე საათს შეხვალთ საპირისპირო მხრიდან.

- თოფის წამოღება არ დაგავიწყდეთ, არა? დაუმატა ბარბიკენმა.

- იმედი მაქვს, თქვენც არ დაივიწყებთ. - უპასუხა ნიკოლმა.

ყინულივით ცივი კილოთი წარმოთქმული ამ სიტყვების შემდეგ "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი და ნიკოლი დაცილდნენ ერთმანეთს. ბარბიკენი დაბრუნდა სახლში, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დაესვენა, რამდენიმე საათი მაინც, მთელი ღამე მიტინგზე მიშელ არდანის მიერ დაყენებულ რთულ საკითხზე ფიქრში გაატარა, - რა საშუალებით შეიძლება შესუსტდეს გასროლის დროს ყუმბარის უკუცემა?

ოცდამეერთე თავი

როგორ მოაგვარა ფრანგმა საქმე

სანამ "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი და კაპიტანი ნიკოლი შეიმუშავებდნენ თავიანთი ამერიკული დუელის პირობებს (ეს არის დუელის საშინელი სახე, როცა ერთი მოწინააღმდეგე ნადირობს მეორეზე), მიშელ არდანი ტკბილად ისვენებდა თავის საწოლში, ტრიუმფის შემდეგ ძილისთვის მიეცა თავი. თუმცა სიტყვა "ისვენებდა" მთლად ზუსტი გამოთქმა არ არის, იმიტომ, რომ ამერიკული საწოლი მარმარილოს ან გრანიტის ფილებზე ბევრად რბილი არ გახლავთ და არდანს მთლად მოსვენებლად როდი ეძინა. ბავშვის სახვევისხელა ზეწარებში გამოხვეული, იგი წარამარა იცვლიდა გვერდს და ოცნებობდა იმაზე,

თუ როგორ დადგამდა თვის ყუმბარაში კომფორტაბელურ ტახტს. უეცრად ძილ-ბურანში მას საშინელი ხმაური შემოესმა. ვიღაცა რაღაც ხელსაწყოთი გამწარებით ამტვრევდა კარს, დილაუთენია ამ არაჩვეულებრივ ბრახუნს თან ახლდა ხმამაღალი მუდარა.

- გააღეთ! - ისმოდა დერეფნიდან ყვირილი. - თუ ღმერთი გწამთ, გააღეთ! - არდანს შეეძლო წაეყრუებინა, მაგრამ მაინც ადგა და კარი სწორედ იმ მომენტში გააღო, როცა ის რახუნისაგან კინაღამ ჩამოვარდა ანჯამებიდან. ოთახში "საზარბაზნე კლუბის" მდივანი შემოიჭრა. მგონია ყუმბარაც არ შემოვარდებოდა ასე მოურიდებლად.

- გუშინ საღამოს მიტინგზე, - წამოიძახა მან ex obrupto[1]; - ჩვენი პრეზიდენტი საჯაროდ შეურაცხყვეს! შეურაცხმყოფელი მან დუელში გამოიწვია და იგი ვიღაცა კაცი კი არაა, კაპიტანი ნიკოლი გახლავთ. ისინი ამ დილით ებრძვიან ერთმანეთს სკერსონის ტყეში. ყველაფერი ეს ბარბიკენისაგან გავიგე. თუ იგი მოკლეს, გათავდა ჩვენი წამოწყების ამბავი! როგორმე ხელი უნდა შევუშალოთ ამ დუელს. მსოფლიოში ერთადერთ ადამიანს შეუძლია ბარბიკენის შეჩერება და ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით. მიშელ არდან!

არდანს არ შეუწყვეტინებია, არც არაფერი უკითხავს მასტონისათვის. სწრფად სტაცა ხელი თავის ფართო შარვალს და არ გასულა ორი წუთიც, რომ ბარიბკენის მეგობრები თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ ტამპას ქუჩებში ქალაქის კარიბჭის მიმართულებით.

ამ სირბილის დროს მასტონმა მოასწრო გაეცნო არდანისათვის საქმის ვითარება. მან მოუთხრო ბარბიკენს და ნიკოლის ძველ მტრობაზე, რა მიზეზით წარმოიშვა იგი და ორივეს სურვილის მიუხედავად, აქამდე რატომ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. მასტონმა დასძინა, რომ საქმე მხოლოდ და მხოლოდ ყუმბარისა და ჯავშნის მეტოქეობას ეხება, მიტინგზე შეხლა-შემოხლა ნიკოლისათვის მხოლოდ საბაბი იყო, რათა ძველი ანგარიშები გაესწორებინა ბარბიკენისთვისო.

ძნელია, მოიფიქრო ამერიკულ დუელზე უფრო საშინელი რამ; ამ დუელის დროს მოწინაარმდეგენი ერთმანეთის კვალს ეძებენ ბარდებში, უდარაჯებენ ერთიმეორეს ბუჩქებს ამოფარებულნი და ცდილობენ, ტყის ტევრში გარეული

---

1 შესავლის გარეშე (ლათ.)

ნადირივით მოკლან მოწინააღმდეგე. ამერიკულ დუელს სჭირდება პრერიის მობინადრე წითელკანიანთა არაჩვეულებრივი თვისებები: საზრიანობა, ეშმაკობა, მოხერხება, გამომგონებლობა და მტრის ადგილსამყოფელის კვალის მიგნების ალღო. სულ უმნიშვნელო შეცდომა, ჭოჭმანი, არასწორი ნაბიჯი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს. ამ ორთაბრძოლაში იანკებს ხშირად მეძებარი ძაღლებიც მიყავთ ხოლმე. თითოეული მოწინააღმდეგე ერთდროულად მოანდირეც არის და ნადირიც. საათობით ეძებენ ხოლმე მტრის კვალს.

- თქვენ ხალხი კი არა, ეშმაკები ყოფილხართ. - წამოიძახა მიშელმა, როცა მისტონმა მკაფიოდ დაუხატა მას ეს ველური ადათჩვეულება.

- რაცა ვართ, ესა ვართ... - თავმდაბლურად უპასუხა მასტონმა. - ავჩქარდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ჩქარობდნენ - გადაირბინეს ჯერ კიდევ დაცვარული ველი. გადათელეს ბრინჯის პლანტაციები, გადაახტნენ წყაროებს - ტყეს მაინც მხოლოდ ექვსის ნახევარზე მიაღწიეს. მაშასადამე, ბარბიკენი უკვე მთელი ნახევარი საათით იყო ტყეში.

ტყის განაპირას ერთი მოხუცი შეშის მჭრელი დაინახეს, მასტონმა მიირბინა და შესძახა.

- არ დაგინახავთ, ტყეში შესული თოფიანი კაცი? პრეზიდენტი ბარბიკენი. ჩვენი საუკეთესო მეგობარი...

"საზარბაზნე კლუბის" ღისრეულ მდივანს გულუბრყვილოდ ეგონა, ამერიკაში ყველა იცნობდა მის პრეზიდენტს. მაგრამ შეშისმჭრელს სხეზე ეტყობოდა, რომ ვერაფერი გაიგო.

- მონადირე! - აუხსნა მაშინ არდანმა.

- მონადირე? კი, მონადირე ვნახე, - მიუგო შეშისმჭრელმა.

- დიდი ხანია;

- ერთი საათი იქნება.

- დავიგვიანეთ! - წამოიძახა მასტონმა.

- სროლის ხმა ხომ არ გაგიგონიათ? - ჰკითხა არდანმა.

- არა, არ გამიგონია.

- არც ერთი გასროლა?

- არც ერთი. დიდი ვერაფერი შვილი მონადირე უნდა იყოს.

- რა ვნქნათ? - აღმოხდა მასტონს.

- ტყეში უნდა შევიდეთ და ვეძებოთ და თანაც ყოველ წუთს სხვისთვის გამიზნული ტყვიის მოხვედრის მოლოდინში უნდა ვიყოთ.

- ოხ, სჯობია, ათი ტყვია მე მომხვდეს თავში, ვიდრე ერთი ბარბიკენს! - წამოიძახა მასტონმა ისეთი კილოთი, რომ მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელი იყო.

- მაშ, გავწიოთ! - უთხრა არდანმა და მაგრად ჩამოართვა ამხანაგს ხელი.

რამდენიმე წამში ისინი ხშირ ბარდებს შეეფარნენ. კედლებივით აღმართულიყვნენ გოლიათი კვიპაროსები, სიკომორები, ტიტები, ზეთისხილები, თამარინები, მუხები და მაგნოლიები. ხეებს ტოტები ერთმანეთში გადაეხლართათ და მათ მიღმა, რამდენიმე ნაბიჯზეც კი არაფერი ჩანდა. მიშელ არდანი და მასტონი გვერდიგვერდ მიდიოდნენ, მაღალ ბალახებში მიიწევდნენ, მსხვილ ლიანებში მიიკაფავდნენ გზს, მახვილი თვალებით აკვირდებოდნენ ბუჩქებს და ტოტების ხლართულებს, ტყის ბნელ ტევრს და ყოველ ნაბიჯზე ელოდებოდნენ, საცაა თოფის გასროლის საშინელ ხმას გავიგონებთო.

ინდიელი ალბათ შეძლებდა ბარბიკენის კვალის მოძებნას, მაგრამ არდანი და მასტონი ალალბედზე, ბრმად, გაჭირებით მიარღვევდენენ ტევრებს.

უშედეგო ძებნაში ერთი საათი გავიდა. მეგობრები შედგნენ. შეშფოთება სულ უფრო და უფრო მატულობდა.

- ალბათ ყველაფერი გათავებულია! - წარმოთქვა თავგზააბნეულმა მასტონმა. - ბარბიკენისნაირი კაცი ეშმაკურ ხერხს არ მიმართავს ხოლმე, იგი არც ჩასაფრდება და არც ხაფანგს დააგებს. მეტისმეტად გაბედული, მეტისმეტად პატიოსანი კაცია! იგი პირდაპირ გაემართა ხიფათის შესახვედრად და ალბათ ისე დაშორდა შეშიმჭრელს, რომ მან გასროლის ხმა ვერ გაიგონა.

- კი მაგრამ, ჩვენ? მე და თქვენ? - შეეპასუხა არდანი. - ჩვენ რატომ ვერ გავიგონეთ: აგერ მთელი ერთი საათია დავბორიალობთ ტყეში.

- ვაი თუ დავიგვიანეთ? - სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა მასტონმა.

მიშელ არდანმა არ იცოდა, რა ეპასუხა. გზა განაგრძეს. დროდადრო ისინი ხმამაღლა ეძახდნენ ბარბიკენსა და ნიკოლს, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა.

მხოლოდ ფრინველებს და ფურ-ირმებს აფრთხობდა ეს ხმა. ისინი შეშინებულები ტევრს აფარებდნენ თავს.

კიდევ მთელი საათი იწანწალეს ტევრში. თითქოს მთელი ტყე მოიარეს, მაგრამ ორთაბრძოლის რაიმე კვალი არსად ჩანდა. და ბოლოს იმედდგადაწყვეტილები დაბრუნებას რომ აპირებდნენ, უეცრად მასტონი ადგილზე გაქვავდა.

- სუუ! - წარმოთქვა მან. - იქ ვიღაცაა!

- ვინ?

- მამაკაცი! იგი გაუნძრევლად დგას. მგონი უთოფოდაა, ნეტავ, რას შვრება?

- იცნობ? - ჰკითხა არდანმა, რომელმაც თავისი ახლომხედველობის გამო ვერ გაარჩია ვინ იყო მამაკაცი.

- კი, კი! აი, მოტრიალდეს! - უპასუხა მასტონმა.

- ვინ არის?

- ნიკოლი! - წამოიძახა მასტონმა და გული მტკივნეულად მოწურა.

- უთოფო ნიკოლი! ესე იგი, აღარ ეშინია თავისი მტრისა!

- მივიდეთ! - მტკიცედ თქვა მიშელ არდანმა. - ყოველ შემთხვევაში სიმართლეს მაინც გავიგებთ!

რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს თუ არა, შედგნენ, რათა უკეთ დაენახათ კაპიტანი. ორივე მოელოდა, რომ სისხლით გამძღარ კაცს იხილავდნენ, თავის გამარჯვებას რომ ზეიმობს! მაგრამ ისინი დაარეტიანა იმ სურათმა, რაც მათ თვალწინ გადაიშალა.

ორ უზარმაზარ ტიტას ხეებს შორის გაჭიმულ სქელ ბადეში ფრთებგადახლართული პაწაწინა ჩიტუნა საწყალობლად წრიპინებდა და ფართხალებდა. ვინ ფრინველთმჭერმა მოქსოვა ეს საშინელი ბადე? ეს იყო მტრედის კვერცხისხელა, შხამიანი გრძლეთათებიანი ფლორიდული ობობას ნახელავი. საზიზღარ მწერს ვერ მოესწრო, ხელთ ეგდო თვისი მსხვერპლი; ადამიანის დანახვაზე იგი მოულოდნელად გაუჩინარებულა ტიტას ხშირ ტოტებში.

კაპიტან ნიკოლს მიწაზე დაედო თოფი, დავიწყებოდა საშიშროება და ცდილობდა, რაც შეიძლება ფრთხილად გაეთავისუფლებინა ჩიტი საზარელი ობობას ბადიდან.

ბოლოს განთავისუფლებულმა ჩიტმა მხიარულად შეიფრთხიალა და ცაში აიჭრა.

ნიკოლმა სიყვარულით გააყოლა თვალები ჩიტს და ამ დროს ყურში ნაზად ჩაესმა:

- თქვენ თურმე შესანიშნავი ადამიანი ხართ!

ნიკოლი შემოტრიალდა. მის წინ იდგა მიშელ არდანი და აქებ-ადიდებდა.

- სულგრძელი, საუცხოო ადამიანი!

- მიშელ არდან! - წამოიძახა ნიკოლმა. - თქვენ აქ რა გინდოდათ, მოწყალეო ხელმწიფევ!

- მოვედი იმისათვის, რომ ხელი ჩამოგართვათ და, რაც მთავარია, ხელი შეგიშალოთ ბარბიკენის მკვლელობაში, ხოლო ბარბიკენს თქვენი მოკვლის საშუალება არ მივცე.

- ბარბიკენი! - წამოიძახა კაპიტანმა. - მე აგერ მთელი ორი საათია დავეძებ. სად იმალება?

- ნიკოლ! - შეაწყვეტინა არდანმა. - ეს უკვე მეტისმეტია თქვენი მხირვ. პატივი უნდა სცეთ თქვენს მოწინააღმდეგეს. მშვიდად იყავით თუ ბერბიკენი ცოცხალია, ჩვენ მას ხელად მოვძებნით. იგიც ხომ თქვენ გეძებთ... თუ ხიფათში ჩავარდნილ ჩიტებს არ ათავისუფლებს თქვენსავით. მაგრამ როცა ბარბიკენს მოვძებნით - დაიხსომეთ მიშელ არდანის სიტყვა! - დუელზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

- პრეზიდენტ ბარბიკენსა და მე ძველი მტრობა გვაქვს, - მრავალმნიშვნელოვანად თქვა კაპიტანმა, - მხოლოდ ერთი ჩვენგანის სიკვდილი...

- ერთი ამას უყურეთ! გეყოფათ! - შეაწყვეტინა არდანმა. - ისეთ დიდებულ ადამიანებს, როგორც თქვენ და ბარბიკენი ხართ, შესაძლოა სძულდეთ ერთიმეორე მაგრამ მოვალე ხართ, ერთმანეთს პატივის სცეთ. თქვენ არ იბრძოლებთ!

- არა! მე ვიბრძოლებ, მოწყალეო ხელმწიფევ!

- არა-მეთქი.

- კაპიტანო, - მხურვალედ წამოიძახა მასტონმა, - მე ჩვენი პრეზიდენტის უახლოესი მეგობარი ვარ, მისი alter ego[1] გახლავართ. თუ თქვენთვის მაინცდამაინც აუცილებელია ვინმეს მოკვლა, მე მესროლეთ: სულ ერთი არ არის, ვის მოკლავთ?

- მოწყალეო ხელმწიფევ! - წამოიძახა ნიკოლმა და აკანკალებული ხელი თოფს მოუჭირა, - ეს უადგილო ხუმრობაა.

- ჩემს მეგობარს მასტონს ხუმრობისათვის სულაც არ სცხელა, - შეაწყვეტინა მას მიშელ არდანმა, - მე მესმის მისი, მას სურს, მოკვდეს საყვარელი ადამიანისათვის. მაგრამ არც ის და არც ბარბიკენი ნიკოლის ხელით არ დაიხოცებიან, იმიტომ რომ თქვენ და ბარბიკენს ისეთი მომხიბვლელი წინადადებას შემოგთავაზებთ, რომ სასწრაფოდ მიიღებთ მას.

- რა წინადადებაა ამისთანა? - იკითხა ნიკოლმა უნდობლად.

- მოთმინება იქონიეთ! - უპასუხა არდანმა. - მხოლო ბარბიკენის თანდასწრებით გაგაცნობთ მას.

- თუ ასეა, მოდით, მოვძებნოთ იგი! - წამოიძახა კაპიტანმა.

სამივემ გზა განაგრძო და წინ გაეშურა სწრაფი ნაბიჯებით.

უშედეგო ძებნაში ნახევარმა საათმა გაიარა. მასტონს შავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. იგი პირქუშად შეათვალიერებდა ხოლმე ნიკოლს და თავის თავს ეკითხებოდა: იქნებ კაპიტანმა უკვე შური იძია და ბედუკუღმართი ბარბიკენი მისი ტყვიით გულგანგმირული სადმე გდია სახლში მოთხვრილიო. მიშე არდანსაც, მგონი, ასეთივე ფიქრები აწუხებდა. ორივენი გამჭვალავი მზერით სეხედავდნენ ხოლმე კაპიტანს, თითქოს მისგან მოითხოვდნენ პასუხს. მასტონი შეჩერდა.

ოც ნაბიჯზე გიგანტურ კატალპას მიყრდნობილი, წელამდე ბალახში ჩამჯდარი კაცი შენიშეს.

---

1 მეორე "მე" (ლათ.)

- ის არის! - წამოიძახა მასტონმა.

ბარბიკენი უძრავად იჯდა. მიშელ არდანი კაპიტნის სახეს დააკვირდა, მაგრამ მას თვალიც არ დაუხამხამებია. არადანმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა და დაიძახა:

- ბარბიკენ! ბარბიკენ!

არავითარი პასუხი. არდანი მივარდა თავის მეგობარს და მზად იყო, ხელში ჩაფრენოდა, მაგრამ უეცრად განცვიფრების შეძახილი აღმოხდა და შემდგა. ბარბიკენს უბის წიგნაკი გადაეშალა და იწერდა რაღაც ფორმულებს, ხაზავდა გემოეტრიული ფიგურებს. მის გვერდით, მიწაზე დაუტენავი თოფი ეგდო.

მუშაობით გართულს სრულიად გადავიწყებოდა დუელი და შურისძიება; მეცნიერი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, ვერაფერს ხედავდა.

მაგრამ, როცა მიშელ არდანმა მხარზე ხელი დაადო, გამოერკვა და გაოცებით ახედა.

- ოჰ! - წამოიძხა მან ბოლოს, - შენ ხარ; აქ რა გინდა? მე მივაგენი იცი, ჩემო მეგობარო, მივაგენი!

- რა მიაგენი?

- საშუალებას.

- რის საშუალებას?

- ყუმბარის გამოვარდნის დროს ბიძგის შესუსტების საშუალებას.

- ნუთუ მართლა? - ჰკითხა არდანმა და ამავე დროს ნიკოლს მოხედა.

- დიახ, წყალი! წყალი ზამბარის როლს ითამაშებს... ოჰ, მასტონ! წამოიძახა ბარბიკენმა. - თქვენც აქა ხართ!

- სწორედ ის გახლავართ. - მიუგო მიშელ არდანმა. - ჰო, მართლა, ნება მიბოძე, წარმოგიდგინო პატივცემული კაპიტანო ნიკოლი.

- ნიკოლი! - წამოიძახა ბარბიკენმა და ფეხზე წამოიჭრა. - მაპატიეთ კაპიტანო, - დაუმატა მან. - მე სრულიად გადამავიწყდა... ახლა მზად გახლავართ!

არდანი წამსვე მათ შორის ჩადგა, რომ მოწინააღმდეგეებს საშუალება არ მისცემოდათ, ერთმანეთს სცემოდნენ.

- ეშმაკმა დალახვროს?! რა ბედნიერებაა, რომ თქვენ, ჩემო მეგობრებო, ადრა არ შეხვდით ერთმანეთს, თორემ ახლა ერთ-ერთი თქვენგანი უნდა გვეგლოვა... მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგადაა. აბა მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა მედუელეები თქვენა მყავხართ: ერთი მექანიკის პრობლემების გადაჭრაში ჩაფლულა და ამქვეყნად ყველაფერი დავიწყებია, მეორეს კი, ობობასთან ბრძოლაში გართულს, მტერი აღარ ახსოვს.

და მიშელ არდანი პრეზიდენტს მოუყვა, რა შეემთხვა ნიკოლს.

- აბა, ერთხელ კიდევ გეკითხებით ორივეს, - განაგრძობდა არდანი, - ნუთუ ასეთი მშვენიერი ადამიანები იმისთვის გაჩდნენ, რომ ერთიმეორე დახოცონ?

ყველაფერი ისე მოულოდნელი იყო, რომ ბარბიკენი და ნიკოლი დაიბნენ და არ იცოდნენ, როგორ გამოსულიყვნენ ამ მდგომარეობიდან.

მიშელ არდანმა სცადა მათი ამ სიტუაციიდან გამოყვანა.

- მეგობრებო, - თქვა მან მომხიბლავი ღიმილით, - თქვენ შორის უბრალო გაუგებობას აქვს ადგილი, მეტს არაფერს. ორივემ დაამტკიცეთ, რომ სიკვდილის არ გეშინაით. მოდით, ახლა ის დაამტკიცეთ, რომ ყველა ძველი ანგარიშის დავიწყება შეგიძლიათ. მიიღეთ ჩემს მიერ შემოთავაზებული წინადადება.

- ბრძანეთ, - უთხრა ნიკოლმა.

- ჩემი მეგობარი ბარბიკენი დარწმუნებულია, რომ ყუმბარა მიაღწევს მთვარემდე, ხომ ასეა?

- რასაკვირველია, მიაღწევს! - წამოიძახა ბარბიკენმა.

- ჩემს მეგობარ ნიკოლს კი მიჩნია, რომ ყუმბარა უკანვე, დედამიწაზე დაეცემა.

- მე ეს მტკიცედ მჯერა, - წამოიძახა კაპიტანმა.

- კეთილი, - განაგრძობდა მიშელ არდანი, - არ შევეცდები, შეგარიგოთ. უბრალოდ აზრს აზრს გამოვთქვამ: მოდით, ყველანი ერთად გავფრინდეთ და. ვინც მართალია, იქ ვნახოთ.

- ა? რაო? - წამოიძახა გაცხარებით მასტპონმა.

ამის გაგონებაზე მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს შეხედეს. ბარბიკენი პასუხის მოლოდინში დაჟინებით მიაჩერდა თვალებში კაპიტანს, ხოლო ნიკოლი გაიტრუნა, აბა, რას იტყვის ბარბიკენიო.

- აბა, რას იტყვით? - განაგრძობდა მიშელ არდანი სასიამოვნო ხმით, - ბიძგი ხომ საშიშროებას აღარ წარმოადგენს...

- თანახმა ვარ! - წამოიძახა ბარბიკენმა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარბიკენის ბაგეს სწრაფად მოწყდა ეს სიტყვები, კაპიტან ნიკოლასაც მაშინვე აღმოხდა იგივე სიტყვა.

- ვაშა! ბრავო! ვივატ ჰიპ-ჰიპ! - წამოიძახა მიშველ არდანმა და ხელები გუწოდა ამასწინანდელ მტრებს. - ახლა, რაკი საქმე მოგვარებულია, ნება მიბოძეთ, ჩემო მეგობრებო. ფრანგული წესის თანახმად, გაგიმასპინძლდეთ! წამობრძანდით სასაუზმოდ!

ოცდამეორე თავი

შეერთებული შტატების ახალი მოქალაქე

ტელეგრაფმა იმავე დღეს მთელ შეერთებულ შტატებს მოსდო პრზიდენტ ბარბიკენის და კაპიტან ნიკოლის ორთაბრძოლის და მისი არაჩვეულებრივი დასასრულის ამბვი, რაშიც დიდი როლი ითამაშა კეთილშობილმა ევროპელმა. მისმა მოულოდნელმა წინადადებამ, მოწინააღმდეგეთა თანხმობამ ამ წინადადებაზე - ყველა სიძნელე გააქარწყლა და კიდევ უფრო გაზარდა მიშელ არდანის პოპულარობა. ყველასათვის ცნობილია, როგორ იციან ამერიკელებმა იმ ადამიანის შეყვარება, ვინც მათი პატივისცემა დაიმსახურა. ადვილი წარმოსადგენია, აღტაცების რა ქარიშხალი დაატრიალა ამ ფრანგმა ქვეყანაში, სადაც ყველაზე წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწეებიც კი, გატაცების ეშხში შესულნი, ხანდახან ბალერინას კარეტას შეებმებიან ხოლმე და ტრიუმფით დაჰყავთ იგი ხალხმრავალ ქუჩებში. არდანის ცხენებს თუ არ უსვებდნენ, მიზეზის გამო, რომ მას საერთოდ არ ჰყავდა ისინი, სამაგიეროდ, აღტაცებისა და თაყვანისცემის რა და რანაირი დამამტკიცებელ საბუთს არ იღებდა იგი. არც ერთი ამერიკელი არ იყო მის მიმართ გულგრილი. "Ex pluribus unum"[1]. ასეთია შეერთებული შტატების დევიზი.

იმ დღიდან მოყოლებული მიშელ არდანს წამითაც არ მოუსევნია. ამერიკის ყოველი კუთხიდან დილიდან საღამომდე მოიდოდა დეპუტაციები და იგი იძულებული იყო, უნდოდა თუ არა, მიეღო ყველა ვინ იცის, რამდენს ჩამოართვა ხელი და რამდენი მეგობრული ბრუდერშაფტი დაილია. მალე არაქათი გამოეცალა. სმისაგან ყელი ისე ჩაეხრინწა, რომ რაღაც დაუნაწევრებელ ბგერებს გამოსცემდა.

---

1 მრავალთა შორის ერთადერთი (ლათ.)

ღვინომ, რომელი შეერთებული შტატების ყველა ოლქის საპატივცემულოდ დალია, კინაღამ კუჭის მწვავე კატარი გაუჩინა.

პირველი დღიდანვე ასეთი არნახული წარმატება ყველას თავბრუს დაახვევდა, მაგრამ მიშელ არდენმა შეძლო, ზღვარისთვის არ გადაებიჯებინა და შეინარჩუნა თავისი ჭკუამახვილობა და მომაჯადოებელი ხალისიანობა.

იმ დეპუტაციის რიცხვვში, მიშელ არდანრ რომ გარს ეხვია, იყნენ მთვარეულებიც. მათ მოვალედ ჩათვალეს თავი, მთვარის მომავალ დამპყრობს გასცნობოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ამ უბედურებმა, რომლებიც საკმაოდ ბევრი არიან ამერიკაში, სთხოვეს არდანს წაეყვანა ისინიც მათ მთვარეულ სამშობლოში. ზოგი მათგანი ირწმუნებოდა, "მთვარის ენა" ვიციო და სთავაზობდა არდანს, თქვენც გასწავლით "სელენიტურად" ლაპარაკსო. მიშელ არდანმა თანაუგრძნო მათ და პირობა მისცა, ყველა თქვენს პატარა დავალაბას მთვარეზე შევასრულებო.

- უცნაური მანიაა! - უთხრა მან ბარბიკენს, როცა გააცილა მთვარეულების დეპუტაცია. - აკი ძალიან ჭკვიანი ადამიანებიც ავადდებიან ხოლმე ამით. ერთი ჩვენი ცნობილი მეცნიერი არაგო მეუბნებოდა, რომ მას ხშირად შეხვედრია ფრიად სერიოზული და ფრთხილი ადამიანები, რომლებიც წამსვე კარგავდნენ წონასწორობას და იწყებდნენ სულელურ ლაპარაკს, როგორც კი მთვარეს ახსენებდნენ. მითხარი, შენ გჯერა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე მთვარეს შეუძლია გავლენის მოხდენა?

- არა, - მიუგო "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა.

- მეც არა მწამს, მაგრამ ამ დარგში საოცარი ფაქტებია ცნობილი. ასე მაგალითად, 1993 წელს, ძლიერი ეპიდემიის დროს ყველაზე ბევრი ხალხი დაიხოცა 21 იანვარს, ამ დღეს კი მთვარის დაბნელება იყო. სახელგანთქმული ბეკონი როგორც კი მთვარის დაბნელება იწყებოდა, ყოველთვის გრძნობას კარგავდა და მხოლოდ დაბნელების შემდეგ მოდიოდა გონს. მეფე კარლოს VI 1399 წელს ექვსჯერ შეიშალა და თითოეული შეტევა ემთხვეოდა ახალი მთვარის დადგომის ან მისი გავსების ჟამს. ზოგმა მედიკოსმა ეპილეფსიასა და მთვარის ფაზებს შორის კავშირი აღმოაჩინა. ასეთი კავშირი თითქოსდა შეიმჩნევა ზოგიერთი ნერვული დაავადების დროს. მაგალითად, მედს მოჰყავს ისეთი შემთხვევა, როცა ბავშვს მთვარის გავსებისას ყოველთვის მოუვლიდა ხოლმე კრუნჩხვები. გალი ამტკიცებდა, რომ უხალისო ადამიანები თვეში მხოლოდ ორჯერ გამოცოცხლდებიან ხოლმე, ახალი მთვარის და სავსე მთვარის დროს. მრავალი ამგვარი დაკვირვება ხდება ავთვისებიანია ციებ-ცხელების, თავბრუსხვევის, სომნაბულიზმის დროს და ბევრი აზრით, მთვარე იდუმალ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზეო.

- კი მაგრამ, რანაირად? რატომ? - გაუკვირდა ბარბიკენს.

- რატომ? - გაიმეორა არდანმა. - არ ვიცი. შემიძლია მხოლოდ გავიმეორო ის, რაც პირველად პლუტარქემ, ხოლო ცხრამტი საუკუნის შემდეგ არაგომ თქვა: "იქნებ იმიტომ, რომ ეს მართალი არ არის"!

ცნობილი ადამიანის მდგომარეობამ მიშელ არდანს ბევრი უსიამოვნებაც შეახვედრა, რაც ესოდენ გარდაუვალია ამ როლისათვის. მას გასაქანს არ აძლევდნენ ანტრეპრენიორები. ბარნუმმა მილიონი შესთააზა შეერთებულ შტატებში ტურნეზე. მას განზრახული ჰქონდა, ქალაქიდან ქალაქში ეთრია მიშელ არდანი და ხალხისთვის საკვირველი ცხოველივით ეჩვენებინა. მაგრამ არდენმა იგი "სპილოების წინამძღოლად" მონათლა და გარეთ გააგდო.

საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა მიშელ არდენის პორტრეტებს უნდა დაეკმაყოფილებინა: ისინი სწრაფად გავრცელდა მთელ ქვეყანაში და ყველა ოჯახის ალბომი დაამშვენა. სურათები სხვადასხვა ზომისა იყო: ნატურალური სიდიდით დაწყებული და საფოსტო მარკის მინიატურებით დამთავრებული. ყველას შეეძლო დაენახა თავისი გმირი სხვადასხვა პოზაში გადაღებული: მარტო თავით, წელამდე, მთელი ტანით, პროფილში, სამი მეოთხედით, ანფასში და ზურგიდანაც კი. მიშელ არდანის სურათების რიცხვმა მილიონ ხუთას ათას ეგზემპლარს მიაღწია. არდანს შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა, ევაჭრა რელიქვიებით: მის თმის თითო ღერზე ალბათ თითო დოლარს და მეტსაც მისცემდნენ, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მის ლომის ფაფარს, უამრავ ქონებას დააგროვებდა. მაგრამ მან არ მოისურვა ამ შემთხვევით ესარგებლა.

ვერ ვიტყვიტ, რომ ეს პოპულარობა არ სიამოვნებდა. იგი ხალისიანად ამყარებდა ურთიერთობას ადამიანებთა და მზად იყო, მიწერ-მოწერა დაეწყო მთელ ქვეყანათანაც კი. ყველგან იმეორებდნენ მის ნაკვესებს, ამავე დროს ხშირად

ისეთებსაც მიაწერდნენ, რაც მას არასოდეს წარმოეთქვა. ხალხს ყველაფერი მისი ნათქვამი ეგონა, ვინაიდან მიშელ არდანის ენამახვილობა უშრეტი გახლდათ.

იმის თქმა ზედმეტია, რომ ქალები მამაკაცებზე არანაკლებად იყვნენ არდანით გატაცებული. მან ურიცხვი, მეტად ხელსაყრელი წინადადება მიიღო მშვენიერი სქესისაგან; ახლა არჩევანი მასზე იყო. განსაკუთრებით ხნიერი, გადახჩუებული ქალბატონები, ორმოც წელს კაი ხნით გადაცილებულნი, დღე და ღამ ოხრავდნენ მის პორტრეტებზე. უეჭველია, არდანი რამდენიც უნდოდა, იმდენ ცხოვრების მეგობარს იპოვიდა, თუნდაც მთვარეზე ერთად გაფრენის მოთხოვნა რომ წაეყენებინა მათთვის. ქალები საერთოდ უშიშრები არიან, იმათი გამოკლებით, ვისაც ყველაფრის ეშინია ამქვეყნად; მაგრამ მიშელ არდანი სულაც არ აპირებდა დაოჯახებას და მთვარეზე ფრანგი და ამერიკელი შთამომავლების გამრავლებას. ამრიგად, იგი გადაჭრით უარს ამბობდა ყველა წინადადებაზე.

- წარმოგიდგენიათ, - ამბობდა იგი, - მთვარეზე, ადამის როლის გათამაშება ევას რომელიმე ასულთან... დიდად მალობელი ვარ! ეგებ გველსაც კი გადაეყარო იქ...

ბოლოს და ბოლოს, როგორც კი თავიდან მოიცილა ყველა თაყვანისმცემელი, არდანი მეგობრებთან ერთად გაემართა კოლუმბიადის დასათვალიერებლად. ეს იყო სამალობელო ვიზიტი, ვინაიდან სწორედ კოლუბიადის წყალობით მოიპოვა ესოდენ დიდება, ბარბიკენთან, მასტონთან და tutti guanti-სთან ყოველდღიური საუბრების შედეგად მიშელ არდანი უკვე კარგად ერკვეოდა ბალისტიკაში. მას სიამოვნებდა თავისი მეგობარი არტილერისტების გაბრაზება, როცა უმტკიცებდა მათ, რომ ისინი მკვლელები არიან, ნასწავლი და თავიაზიანი მკვლელები.

- კოლუმბიადა, - თქვა მან, - უკვე კარგია იმითაც, რომ არავის მიაყენებს ზიანს. თქვენს ზარბაზნებს კი არა ჰგავს, უბედურება, განადგურება და სიკვდილი რომ მოაქვთ მხოლოდ!

აქ აუცილებელია მოვიხსენიოთ შეთმხვევა, "საზარბაზნე კლუბის" მდივანს რომ შეემთხვა. როგორც კი ბარბიკენმა და ნიკოლმა მიიღეს არდანის წინადადება და დათნხმდნენ, მთვარეზე გაფრენილიყვნენ, მასტონმა მაშინვე გადაწყვიტა, რომ ისიც შეუერთდებოდა სამეულს და გაემგზავრებოდა მთვარეზე. მან იქვე სთხოვა ბარბიკენს, ისიც თან წაეყვანათ. ბარბიკენი იძულებული გახდა, უარი ეთქვა, ყუმბარა სამზე მეტ მგზავრს ვერ დაიტევსო, განმარტა მან.

გულის სიღრმემდე შეწუხებულმა მასტონმა მიშველ არდენს მიაშურა. მიშელ არდენი შეეცადა, დაემშვიდებინა იგი სხვადასხვა საბუთებით.

- იცით რა, ძმობილო... არ გეწყინოს და ჩემი სიტყვა ცუდად არ გაიგო, მაგრამ ჩვენს შორის რომ ვთქვათ, მთვარეზე შენი გამოჩენა შეუძლებელია, რადგან მეტისმეტად ნაკლოვანი ხარ.

- ნაკლოვანი? - წამოიძახა ფიცხმა ინვალიდმა.

- ჰო, ძმობილო! წარმოიდგინე, რომ იქ, მთვარეზე შეხვდით ადგილობრივ მცხოვრებლებს. შენ თვითონ განა გესიამოვნება, რომ იმის სამწუხარო ილუსტრაცია იყო, რაც აქ, დედამიწაზე ხდება. სელენიტები ხომ შენი წყალობით გაიგებენ, რომ დედამიწაზე ძვირფას დროს თურმე იმისთვის კარგავენ, რომ ერთმანეთი დაჭამონ. ხელ-ფეხი მოაგლიჯონ, ამოხოცონ მოყვასი; მიხვდებიან ჩვენს პლანეტაზე რატომ არ ცხოვრობს მილიარდნახევარი ადამიანი, თუმცა მას თავისუფლად შეუძლია ასი მილიარდის გამოკვება, იცი რა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენს გამო მათ შეუძლიათ კინწისკვრით გამოგვყარონ იქიდან!

- თქვენ რომ მთვარემდე ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილმა ჩააღწიოთ? - შეედავა მასტონი. - მაშინ ხომ ჩემზე უფრო "ნაკლოვანი" იქნებით.

- შეიძლება ეს ასეც იყოს. - უპასუხა მიშელ არდანმა, - მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, საღ-სალამათი ჩავაღწევთ მთვარემდე.

არდანს მართლა სჯეროდა, ეს. სინამდვილეშიც, მისი სიტყვები დადასტურდა. 18 ოქტომბერს წინასწარ მოსამზადებელმა ცდამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო და წარატების დიდი იმედი მიეცა ყველას. ყუმბარის გამოვარდნის დროს ბიძგის ძალა რომ გამოეცადა. ბარბიკენმა პენსაკოლის არსენალიდან გამოიწერა ოცდათორმეტდიუმიანი მორტირი. იგი ჰილსბოროს ყურის ნაპირზე დადგეს ისე, რომ ბომბი პირდაპირ ზღვაში ჩავარდნილიყო, რაც ალბათ შეასუსტებდა დარტყმის ძალას. საჭირო იყო, გამოეცადათ ბიძგის ძალა. ამ საინტერესო ცდისათვის საგანგებოდ დამზადდა ღრუ ყუმბარა, მას ორმაგი კედელი ჰქონდა, კედლებს შორის საუკეთესო ლითონისაგან დამზადებული ზამბარის ბადე მოეთავსებინათ. იგი ბამბით მოფენილი ნამდვილი ბუდე იყო.

- რა სამწუხაროა, რომ მე ვერ ჩავეტევი! - თქვა მასტონმა, გულნატკენმა იმით, რომ ყუმბარის ზომა საშუალებას არ იძლეოდა თავის თავზე გამოეცადა იგი.

ამ მშვენიერ პაწია ყუმბარაში, რომელსაც ჰერმეტულად დასახური ხვრელი ჰქონდა, ჩასვეს დიდი კატა, შემდეგ კი პატარა მოშინაურებული ციყვი, რომელიც "საზარბაზნე კლუბის" უცვლელი მდივნის საკუთრება გახლდათ. მასტონის საყვარელ ცხოველს, რომელიც მიჩვეული იყო ბორბალში ტრიალს, თავბრუ არ უნდა დასხმოდა ყუმბარაში.

მორტირი ას სამოცი გირვანქა დენთით დატენეს და შემდეგ მასში ყუმბარა ჩაუშვეს. გაისმა სროლის ხმა.

ყუმბარამ დიდებულად შემოხაზა პარაბოლა, დაახლოებით ათას ფუტ სიმაღლეს მიაღწია, შემდეგ კოხტა ირიბი ხაზი გაავლო ცაში და ყურის ტალღებში ჩაიკარგა.

ყუმბარა ჩავარდა თუ არა წყალში, იმწუთშივე მისკენ მსუბუქი ნავი გასრიალდა. გამოუცდელმა მყვინთავებმა ყურის ფსკერზე სწრაფად იპოვეს ყუმბარა, მის პაწია ყურებს თოკი გამოაბეს, ზედაპირზე ასწიეს და ნავზე მოათავსეს. ყოველივე ამას - ყუმბარაში ცხოველების ჩასმას და შედეგ მისი სახურავის გახსნას - სულ ხუთიოდე წუთი დასჭირდა.

ნავში ისხდნენ არდანი, ბარბიკენი, ნიკოლი და მასტონი. მღელვარებით ადევნებდნენ ისინი თვალს სახურავის ამოხრახნას. ძლივს მოასწრეს სახურავის ახდა, რომ ყუმბარიდან ამოხტა გაბურძგნული, მაგრამ ძალღონით სავსე კატა. მის დანახვაზე ვერც კი იფიქრებდი, რომ მან ეს-ესაა ჰაერში იმოგზაურა.

მაგრამ ციყვი ყუმბარაში არ აღმოჩნდა. გადაჩხრიკეს ყოველი კუნჭული. არავითარი ნიშანი! იძულებულნი იყვნენ, ეღიარებინათ სამწუხარო ჭეშმარიტება, რომ კატამ შეჭამა თავისი თანამგზავრი.

მასტონი ძალიან დაამწუხრა საყვარელი ციყვის დაღუპვამ და გადაწყვიტა მოეხსენებინა იგი მეცნიერების მსხვერპლთა მარტიროლოგიაში.

ასე იყო თუ ისე, ამ ცდის შემდეგ გაქრა ყოველგვარი შიში და ყოყმანი. თანაც ბარბიკენი აპირებდა, კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა ყუმბარის ნახაზები და თითქმის სულ მოესპო ბიძგის ძალა ახლა შეიძლებოდა მშვიდად გამგზავრებულიყვნენ მთვარეზე.

ორი დღის შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან მიშელ არდანმა მიიღო პაკეტი, რამაც ყველაზე უფრო გაახარა იგი.

მთავრობამ მას შეერთებული შტატების საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

მიშელ არდანამდე მხოლოდ ერთ ფრანგს - ცნობილ მარკიზ დე ლაფიეტს ხვდა ეს პატივი წილად.

ოცდამესამე თავი

ყუმბარა-ვაგონი

საყოველთაოდ ცნობილი კოლუმბიადის აგების შემდეგ საზოგადოების ყურადღება მიიქცია ყუმბარამ, რომელიც სამი მამაცი მოგზაურის ვაგონად უნდა ქცეულიყო. ყვალას ახსოვდა, რომ ჯერ კიდევ 30 სექტემბერს გამოგზავნილ დეპეშაში მიშელ არდანი მოითხოვდა, ყუმბარის პროექტში ცვლილებები შეეტანათ, რომ ყუმბარის ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან იგი რამდენიმე წამში გივლიდა მიწის ატმოსფეროს და მერე სიცარიელეში იფრენდა. ამიტომ კომიტეტმა გადაწყვიტა, გაეშვათ მრგვალი ბომბი, რომელიც თავისუფლად იტრიალებდა და როგორც მოეპრიანებოდა, ისე მოიქცეოდა.

მაგრამ მიშელ არდანის წინადადებამ სრულიად შეცვალა საკითხი. მან განაცხადა, რომ არ სურდა, ებრუნა, ვიტ ციყვს ბორბალზე. მას უნდოდა, ნორმალურ პირობებში ისეთივე "ღირსებით" ემგზავრა, როგორც, მაგალითად, საჰაერო ბურთის გონდოლაში და არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მოტრიალე ჭურვში ყირაზე გადასულიყო.

ამიტომ "ბრედვილ და კ°" ქარხანამ ოლბანში დროულად მიიღო ნახაზები და ახალი ფორმის ყუმბარის შეკვეთა. ქარხანას სთხოვდნენ, საჩქაროდ შეესრულებინა შეკვეთა.

2 ნოემბერს ყუმბარა წარმატებით ჩამოასხეს და აღმოსავლეთის რკინიგზით დაუყოვნებლივ გაიგზავნა სტონზჰილში.

10 ნოემბერს მშვიდობიანად მიაღწია დანიშნულ ადგილს. მიშელ არდანი, ბარბიკენი, ნიკოლი მოუთმენლად ელოდებოდნენ ყუმბარა-ვაგონს, რომლითც უნდა გაფრენილიყვნენ ახალი სამყაროს დასაპყრობად.

ყუმბარა მეტალურგიის საოცრება აღმოჩნდა, ჯერ არასოდეს მოეპოვებინათ ამოდენა ალუმინი და უკვე მარტო ეს ამბავი ამერიკელთა ინდუსტრიული გენიის უტყუარი ნიშანი და ტექნიკის არაჩვეულებრივი მიღწევა გახდლათ. ძვირფასი ყუმბარა მზეზე კაშკაშებდა. მისი კონუსური წვერი სადარაჯო მასიურ კოშკურს ჰგავდა, რითა ძველ დროში შუა საუკუნეების არქიტექტორები ამკობდნენ ციხესიმაგრეების კედელთა კუთხეებს; სახურავს წვრილი სათოფურები და ფლიუგერებიღა აკლდა.

- ასე მგონია, - წამოიძახა არდანმა, - აქედან აგერ-აგერ გამოვა თოფიანი და რკინისლატებიანი მაიორი! ჩვენ კი ბარონებივით ვიცხოვრებთ შიგ. თან რომ წავიღებთ ორიოდე ზარბაზანს, სელენიტების მთელ არმიას მოვერევით, თუკი ისინი მართლა არსებობენ.

- ესე იგი, მოგწონს ჩვენი ეკიპაჟი? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- ო, მომწონს რომელია. - მიუგო არდანმა და თან ხელოვანის თვალით ათვალიერებდა ყუმბარას. - სამწუხაროდ მხოლოდ, რომ კონტური ცოტა უბრალოა, კონუსიც უფრო ლამაზი შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი უნდა მოეჩუქურთმებინათ ლითონის ორნამენტის გირლიანდით. შეიძლებოდა, მაგალითად, გამოესახათ ქიმერა ან სალამანდრა, ცეცხლიდან გაშლილ ფრთებითდა დაღებული ხახით, რომ გამორბის!

- რისთვისაა ეს საჭირო? - ჰკითხა ბარბიკენმა, როემლიც თავისი ჭკუის პრაქტიკული წყობის გამო მშვენიერებისადმი გულგრილი გახლდათ.

- მეგობარო, შენ მეკითხები "რისთვისო", რაკი ამას მეკითხები, პასუხსაც თავის დღეში ვერ გაიგებ.

- შენ მაინც სცადე, გამაგებინე, ძმობილო.

- იცი რა, ჩემის აზრით, ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, უნდა შევიტანოთ რაც შეიძლება მეტი სილამაზე, მოხდენილობა. წაგიკითხავთ ინდური პიესა "ბავშვის ურემი?"

- სახელწოდებაც არ გამიგია. - გამოტყდა ბარბიკენი.

- მე ეს სულ არ მაკვირვებს, - განგრძობდა მიშელ არდანი, - მაშ იცოდე, რომ ამ პიესაში გამოყვანილია ქურდი, რომელიც აპირებს კედელში გამოჭრას ნახვრეტი და თავის თავს ეკითხება, რა ფორმა მისცეს ხვრელს; ლირის, ყვავილის, ჩიტის თუ ლარნაკის? ჩემო მეგობარო, მითხარი, შენ რომ იმ დროში ნაფიცი მსაჯული ყოფილიყავი, გაასამართლებდი ამ ქურდს თუ არა?

- ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გავასამართლებდი! - უპასუხა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა. - დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებასაც აღვნიშნავდი: გატეხვას წინასწარ მოფიქრბული განზრახვით.

- მე კიდევ გავამართლებდი, მეგობარო ბარბიკენ! აი, ხომ ხედავ შენ მე ვერასოდეს გამიგებ.

- და არც ვეცდები, ჩემო მამაცო ხელოვანო!

- დიახ, - თქვა არდანმა, - მაგრამ იმედი მაქვს, ჩემს გემოზე მისი მოწყობის უფლებას მომცემენ. - მე მინდა იგი მოავწყო კომფორტაბელურად, მდიდრულად; ისე, როგორც შეეფერება დედამიწის წარგზავნილებს.

- ამ მხრივ, ძვირფასო მიშელ, - უპასუხა ბარბიკენმა, - შენ შეგიძლია მის მოწყობაში მთელი შენი არტისტული ფანტაზია ჩააქსოვო. ჩვენ ხელს არ შეგიშლით.

მაგრამ სანამ სასიამოვნო საქმეზე გადავიდოდნენ, "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა საჭიროდ სცნო, ჯერ სასარგებლოზე ეფიქრა და გონივრულად გამოეყენებინა მის მიერ გამოგონებული საშუალება თავდაპირველი ბიძგის ძალის შესასუსტებლად.

ბარბიკენმა მაშინვე მოისაზრა, რომ ვერანაირი ზამბარა ვერ შეძლებდა დარტყმის შესუსტებას და ტყე სკერნსნოში თავისი ცნობილი გასეირნების დროს მახვილგონივრულად მოახერხა ამ პრობლემის გადაჭრა. მან დახმარებისათვის წყალს მიმართა და აი, როგორ.

ყუმბარის ფსკერზე ჩაასხამენ სამი ფუტი სისქის წყალს, დადებენ ხის რგოლს, წყალი რომ არ შევიდეს და ყუმბარის კედლების გასწვრივ რომ ისრიალოს. მოგზაურები მოთავსდებიან ნამდვილ ბორანზე. მთელ სიგანეზე წყალს ფენებად გაყოფს ჰორიზონტალური თეჯირები, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით დაიტკეპნება და გაიყვანება მილები. ბიძგის დროს ქვედა განყოფილებაში წყალი დაანგრევს რა თეჯირს, მილების საშუალებით ზევით აიწევს და გარეთ გამოვარდება. იგივე განმეორდება დანარჩენ მილებშიც, თითქმის ზედა განყოფილებამდე. ამგვარად, წყალი ზამბარის როლს შეასრულებს და ხის რგოლიც თავის მხრივ მძლავრი ზამბარეით შეიარაღებული აღმოჩნდება. რასაკვირველია, მოგზაურები მძლავრ ბიძგს იგრძნობენ მას შემდეგ, როცა მთელი წყალი ყუმბარიდან გამოიდევნება, მაგრამ ეს ბიძგი მნიშვნელოვნად შემცირებული იქნება "წყლის ზამბარების" სისტემის წყალობით.

მართალია, სამი გირვანქა წყლის ფენა 54 კვადრატული ფუტის ზედაპირზე აიწონის 11.500 გირვანქას, მაგრამ პიროქსილინის გაზების დაწოლა კოლუბიადაში, ბარბიკენის გამოანგარიშებით, ადვილად გადასძლევს ამ დამატებით ბალასტს. გარდა

ამისა, წამზე ადრე მთელი წყალი გარეთ გამოვარდება და ყუმბარაც აღიდგენს თავის ნორმალურ წონას.

აი, რა მოიფიქრა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა, რომელიც შეეცადა, ამგვარად გადაეჭრა ბიძგის მნიშვნელოვანი პრობლემა. უნდა ითქვას, რომ "ბრედვილ და კ°" ფირმის ინჟინრება შესანიშნავად გაიგეს პროექტი და ეს მოწყობილობა უზადოდ დაამზადეს. მას შემდეგ, როცა წყალი გარეთ გამოვარდება, მოგზაურებმა უნდ გამოიღონ დაჭყლეტილი თეჯირები და მოძრავი რგოლიც, გაფრენის მომენტში რომ იჭერდა მატ, და ნაწილ-ნაწილ დაშალონ.

ყუმბარა-ვაგონის კონუსური ჭერი სქელი ტყავით იყო გადაკრული, რის ქვეშაც მოთავსებული იყო რიგ-რიგად დაწყობილი, საუკეთესო ფოლადისაგან დამზადებული საათის ზამბარის სიმკვრივის სპირალური ზამბარები. გამყვანი მილები ამ ტყავის ბალიშებს ქვეშ იყო დაფარული.

ამგვარად, მოგზაურებმა წინასწარ სიფრთხილის ყოველგვარი ზომა მიიღეს, რათა თავდაპირველი ბიძგი შეერბილებინათ. მიშელ არდანი სიცილით ამბობდა, ყოველივე ამის შემდეგ თუ მაინც დავილეწები, მაშასადამე, ჩემი "მასალა" არაფრად ვარგებულაო.

ყუმბარას ცხრა ფუტი სიგანე და თორმეტი ფუტი სიმაღლე ჰქონდა. ჭურვს რომ ნორმალური წონა შეენარჩუნებინა, გადაწყდა, გვერდითი კედლები გაეთხელებინათ, ხოლო ფსკერი გაესქელებინათ, ვინაიდან სწორედ ფსკერს მოუწევდა გაშმაგებული გაზების მოწოლის გაძლება, რაც პიროქსილინის აფეთქებისას წარმოიქმნებოდა. ასეთია ცილინდრულ-კონუსური ყუმბარების ჩვეულებრივი მოწყობილობაც.

ამ ლითონის კოშკში შესვლა შეიძლებოდა კონუსურ წვერზე განლაგებული სათოფურების მეოხებით, ორთქლის ქვაბის ნახვრეტს რომ წააგავდა. იგი ჰერმენტულად იცობოდა ალუმინის სახურავით, რომელიც შიდა მხრიდან მძლავრი ურდულებით იყო მიმაგრებული.

ამრიგად, მთვარეს რომ მიაღწევდნენ, მოგზაურებს ყოველ წუთში შეეძლოთ გამოსულიყვნენ თავიანთი მფრინავი ციხიდან.

მაგრამ მათ მარტო ფრენა კი არ უწევდათ, დაკვირვებებიც უნდა მოეხდინათ გზაში. ამიტომ ტყავის საბურავის ქვეშ მოათასეს სქელი ოსპისმაგვარი შუშისაგან გაკეთებული ოთხი ფანჯარა-ილუმინატორი: ორი ყუმბარის გვერდებზე, მესამე მის ფსკერზე. მეოთხე კონუსურ წვერზე. ამრიგად, მოგზაურბს შეეძლოთ ფრენის დროს დაკვირვებოდნენ მთვარეს და ცის ვარსკვლავთ სივრცეებს. მჭიდროდ მორგებული დარაბები ილუმინატორებს საწყისი ბიძგისაკენ იცავდნენ, რომელთა ჩამოხსნა გაიოლებოდა თუ ქანჩს მოუშვებდნენ ამგვარად, ჰაერი ყუმბარიდან გარეთ არ გადიოდა, ხოლო ფანჯრიდან შესაძლებელი იყო დაკვირვება და თვალყურის დევნება.

შესანიშნავად დაყენებული ყველა ეს მექანიზმი უზადო სიზუსტითა და სიმსუბუქით მოქმედებდა; ფირმის ინჟინერმა დიდებულად მოაწყვეს ყუმბარა-ვაგონი.

კედლებზე მიმაგრებული რეზერვუარბი და ყუთები სამი მოგზაურისთვის საჭირო წყლისა და სურსათის შესანახად იყო განკუთვნილი. განათებისა და ღუმელისათვის საჭირო გაზი შეკუმშული სახით ინახებოდა განსაკუთრებულ ბალონში. ატმოსფერული წნევის ქვეშ ონკანს მოაბრუნებდი თუ რა, ყუმბარა ნათდებოდა და მუშაობას იწყებდა გათბობის სისტემა.

გაზის მარაგი ექვს დღე-ღამეს ეყოფოდათ. როგორც ვხედავთ, ამ ყუმბარა-ვაგონში ცხოვრებისა და კომფორტისათვის აუცილებელი პირობები იყო შექმნილი.

გარდა ამისა, მიშელ არდანის მხატვრული გემოვნებისა და მზურვენლობის წყალობით, მალე სასარგებლოს სასიამოვნოც მიემატა მოხდენილი საგნების სახით. ვაგონის ზომას რომ ხელი არ შეეშალა, მიშელ არდანი მას გადააქცევდა მხატვრულ ატელიედ. ამ ლითონის კოშკში საკმაო თავისუფლება იყო სამი კაცისათვის. მის შიგა ზედაპირს 54 კვადრატული ფუტი, სიმღლე კი ათი ფუტი ჰქონდა. ეს კი მოგზაურებს საკმაოდ სიხალვათეს აძლევდა; უფრო მეტს, ვიდრე ყველაზე უფრო კომფორტაბელური ამერიკული მატარებლის კუპე.

ამრიგად, სურსათისა და განათების საკითხი მოგვარებული იყო. რჩებოდა ჰაერის საკითხი. აშკარა იყო, რომ ვაგონის ჰაერი მგზავრებს ოთხი დღე-ღამე არ ეყოფოდათ. როგორც ცნობილია, მოზრდილი კაცი ერთი საათის განმავლობაში ხმარობს მთელ იმ ჟანგბადს, რაც ას ლიტრა ჰაერშია მოთავსებული. ბარბიკენი, მისი ორი თანამგზავრი და კიდევ ორი ძაღლი, რომელთა წაყვანაც გადაწყვიტეს, შეისუნთქავდნენ 2 400 ლიტრ ჟანგბადს დღე-ღამეში, ანუ წონებში რომ გადავიყვანოთ, შვიდ გირვანქას. მაშასადამე, საჭირო იყო განუწყვეტლივ შევსებულიყო დახარჯული ჟანგბადი. მაგრამ რანაირად? რანაირად და რეიზესა და რენოს საშუალების მიხედვით, რაც მიშელ არდანმა მიტინგზე თავის სიტყვაში მოიხსენია.

როგორც ცნობილია, ჰაერი რამდენიმე გაზის, უმთავრესად ჟანგბადისა და აზოტის ნარევია: დაახლოებით ჟანგბადის ოცდაერთი ნაწილი მოდის აზოტის სამოცდაცხრამეტ ნაწილზე. რა ხდება სუნთქვის დროს? ადამიანი ფილტვესა და სისხლში შეისუნთქავს თავისი არსებობისათვის საჭირო რაოდენობის ჟანგბადს და ამოისუნთქავს დაუხარჯავ აზოტს. ამონასუთქი ჰაერი დაახლოებით ხუთი პროცენტით ღარიბია ჟანგბადით, ჟანგბადის ნაცვლად იგი შეიცავს თითქმის ამავე რაოდენობის ნახშირჟანგს, რაც ორგანიზმში ჟანგბადის სისხლთან შეერთებით წარმოიქმნება. მჭიდროდ დახურულ სადგომში სუნთქვისას ჰაერი ნელ-ნელა კარგავს ჟანგბადს და მის მაგივრად იძენს ნახშიროჟანგს - სუნთქვისათვის უვარგის გაზს.

ამრიგად, მთელი საზრუნავი ის იყო, ერთი, როგორ შეეცვალათ ნახმარი ჟანგბადი ამავე რაოდენობის ახალი ჟანგბადით, და მეორეც, როგორ მოეცილებინათ ამონასუნთქი ნახშიროჟანგი. ორივე საკითხი ადვილად გადაიჭრებოდა ქვექლორმჟავა კალიუმისა და მწვავე ნატრიუმის შემწეობით.

ქვექლორმჟავა კალიუმი ორი თეთრი მარცვლისაგან შემდგარი ნივთიერბაა. ოთხას გრადუსზე გახურებისას იგი გამოჰყოფს ჟანგბადს და გადაიქცევა ქლორის კალიუმად. დღე-ღამეში მოგზაურთათვის სამყოფი შვიდი გირვანქა ჟანგბადის მისაღებად საკმარისი იყო, აეღოთ თვრამეტი გირვანქა ქვექლორმჟავა კალიუმი. აი, რა გზით ხდებოდა ჟანგბადის მარაგის აღდგენა.

მწვავე ნატრიუმი ისეთი ნივთიერბაა, ენერგიულად რომ ყლაპავს ნახშიროჟანგს, რომელიც ყოველთვისაა ატმოსფეროში. საკმარისია, მწვავე ნატრიუმის ხსნარი შეანჯღრიოთ და იგი მაშინვე იწყებს ნახშიროჟანგის შთანთქმას, რომელიც ნატრიუმთან ერთად ქმნის ნახშირნატრიუმის მარილს. აი, რა საშუალებით აიცილებდნენ თავიდან ნახშირორჟანგს.

ამრიგად, ერთდროულად ჟანგბადის მოპოვებითა და ნახშიროჟანგის მოცილებით შეიძლება აღვადიგნოთ ჰერის მაცოცხლებელი თვისება. ქიმიკოსებმა რენიომ და რეიზმა მრავალი ცდის მაგალითზე დაამტკიცეს ეს. მაგრამ ამ ცდებს აქამდე მხოლოდ ცხოველებზე ატარებდნენ. ამიტომ, ამ მეცნიერების დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, სარისკო იყო ამგვარი ცდა ჩაეტარებინათ ადამიანზე, მით უმეტეს, რომ შეუძლებელი იქნებოდა, დროულად შეეცვალათ გარემო.

ასეთი იყო დასკვნა, ერთხმად რომ გამოიტანეს კომიტეტის სხდომაზე, სადაც იხილებოდა ეს მნიშვნელოვანი საკითხი. მიშელ არდანმა, რეიზე და რენიოს საშუალებათა ვარგისობაში რომ დარწმუნებულიყო, წინადადება შეიტანა, ყუმბარის გაფრენამდე მასზე ჩაეტარებინათ ცდა. მაგრამ ჯ. ტ. მასტონმა მტკიცედ მოითხოვა, რომ სწორედ მას რგებოდა ეს პატივი.

- ხომ არ მიგყევართ! - განაცხადა სახლოვანმა არტილერისტმა. - მაშ, მომეცით იმის საშუალება, ერთი კვირა მაინც რომ ვიცხოვრო ყუმბარაში!

მეტისმეტი სისასტიკე იქნებოდა ამ მოკრძალებულ თხოვნაზე უარის თქმა და მასტონის წინადადება მიიღეს.

მის განკარგულებაში აღმოჩნდა ქვექლორმჟავა კალიუმისა და მწვანე ნატრიუმის საკმაო რაოდენობა. აგრეთვე ერთი კვირის სამყოფი სურსათი წყლის მარაგი. ცდის დაწყება დანიშნული იყო 12 ნოემბერს, დღის ექვს საათზე. მასტონმა მაგრად ჩამოართვა ხელი მეგობრებს და მკაცრად აუკრძალა მათ ყუმბარის კარის გაღება 20 ნოემბრის საღამოს ექვს საათზე უფრო ადრე. ამის შემდეგ თავისი ნებით ციხეში ჩაბრძანდა. კარი წამსვე ჰერმეტულად ჩახრახნეს.

რა ხდებოდა ყუმბარის შიგნით ერთი კვირის განმავლობაში? ამის გაგება შეუძლებელი იყო: ყუმბარის სქელი კედლები არავითარ ხმას არ ატარებდნენ.

20 ნოემბერს საღამოს ზუსტად ექვს საათზე დაიწყეს კარის გაღება. მასტონის მეგობრებს ცოტა ეშინოდათ კიდეც. მაგრამ მყისვე დამშვიდნენ, როცა ყუმბარის სიღრმიდან გაისმა მხიარული შეძახილი: "ვაშა"!

რამდენიმე წამიც და კონუსის წვერზე სათოფურიდან საზეიმო იერით ამოვიდა "საზარბაზნე კლუბის" მდივანი.

"ცდის პირი" უფრო ჩასუქებულიყო.

ოცდამეოთხე თავი

ტელესკოპი კლდოვან გორაკზე

ერთი წლით ადრე, 20 ოქტომბერს, როცა გამოირკვა ხელმოწერის შედეგები, ბარბიკენმა კემბრიჯის ობსერვატორიას გაუგზავნა საჭირო როდენობის თანხა უზარმაზარი გიგანტური ხელსაწყოს ასაგებად. ტელესკოპი ანუ მილ-რფრაქტორი უმძლავრესი უნდა ყოფილიყო, რათა მთვარის ზედაპირზე განივში მყოფი ცხრა ფუტზე უფრო დიდი საგანი შეეემჩნიათ.

ამრეკლავ ტელესკოპსა და მილ-რეფრაქტორს შორის დიდი განსხვავებაა, რაზეც ზედმეტი არ იქნება თუ ვილაპარაკებთ. რეფრაქტორი შედგება მილისაგან, რომლის ზედა ბოლოში მოთავსებულია გამობურცული ოსპის მაგვარი მინა, ობიექტივს რომ უწოდებენ. მილის ქვედა ბოლოში მოთავსებულია მეორე ოსპი, ოკულარი, რომელშიც იცქირება სწორედ მეთვალყურე. მანათობელი სხეულიდან გამოსული სხივები გაივლის პირველ ოსპს და გადამტყდარი, ფოკუსში გადაბრუნებული სახის

გამოსახულებას იძლევა. ობიექტივის მიერ მოცემულ გამოსახულებას ოკულარი ადიდებს ლუპის მანერით. ამრიგად, ასტრონომიული მილი მოპირდაპირე ბოლოებში ორი შუშით - უკულარითა და ობიექტივით არის დახურული.

ხოლო ამრეკლავი ტელესკოპი, პირიქით -მილია, რომლის ზედა ბოლო ღიაა. მილში უშუალოდ აღწევენ სათვალთვალო მანათობელი ციური სხეულის სხივები და დიდი ლითონის ჩაზნექილი სარკეზე ეცემიან. ჩაზნექილი სარკიდან არკლილი სხივები ერთმანეთს უახლოვდებიან. შემდეგ ეს არეკლილი სხივები გროვდებიან მეორე, უფრო პატარა სარკეში, რომელიც მიმართავს მათ ოკულარეში ოკულარი კი ისეა დაყენებული, რომ ადიდებს მიღებულ გამოსახულებას.

ამგვარად, ასტრონომიულ მილში მთავარ როლს თამაშობს სხივების რეფრაქცია (გადატყდომა), ტელესკოპში კი - რეფლაქსია (არეკვლა). გასაგებია, რატომ უწოდებენ მილს რეფლაქტორს, ხოლო ტელესკოპს რეფლექტორს. ამ ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების მთავარი სიძნელე ობიექტივების, ესე იგი მსხვილი ოსპების და ლითონის სარკეების გაკეთებაა.

მაგრამ ეპოქაში, როცა "საზარბაზნე კლუბი" ის-ის იყო თავის გრანდიოზულ ცდებს იწყებდა, ასტრონომიული მილების დამზადების საქმემ უმაღლეს სრულყოფას მიაღწია და დიდებულ შედეგებს იძლეოდა. შორს იყო ის დრო, გალილეი ციურ სხეულებს თავის უბადრუკ მილში რომ აკვირდებოდა, იგი მხოლოდ ოცდაათჯერ თუ ადიდებდა სხეულს! მე-16 საუკუნიდან მოყოლებული საჭვრეტი მილები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და გრძელდებოდა, და მე-19 საუკუნის შუა წლებისათვის უკვე აღწევდა ვარსკვლავიან ცის აქამდე უცნობ სიღრმეებს. ამ ეპოქის ყველაზე შესანიშნავ რეფრაქტორად ითვლებოდა პულკოვის რეფრაქტორი რუსეთში, იგი 80 ათასი მანეთი ღირდა: მას 15 დუიმიანი (38 სანტიმეტრი) დიამეტრის ობიექტივი ჰქონდა. შემდეგ მოდიოდა ფრანგი ოპტიკოსის ლერებურას მილი ამავე სიდიდის მქონე ობიექტივით და ბოლოს, კემბრიჯის ობსერვატორიის რეფრაქტორი. 19 დიუმიანი (48 სანტიმეტრი) ობიექტივით.

ამრეკლავი ტელესკოპებიდან თავისი უზარმაზარი სიდიდითა და გამადიდებელი ძალით ოდითგანვე ცნობილია ორი - პირველს, ჰერშელის მიერ აგებულს, 36 ფუტი სიგრძე ჰქონდა; სარკე 4,5 ფუტს აღწევდა დიამეტრში; იგი ექვსიათასჯერ ადიდებდა გამოსახულებს. მეორე აგებული იყო ირლანდიაში, პარკ პარსონსტონში, ბირკასტალსი, ლორდი როსის მიერ. ტელესკოპის სიგრძე შეადგენდა 48 ფუტს, წონა 28 ათას გირვანქას. საჭირო გახდა უშველებელი ქვის შენობის აგება, რომ დაეტიათ მილი. და მოწყობილობა, რომლის მეხეობით მას მართავდნენ. სარკე ექვს ფუტიანი დიამეტრისა იყო; რეფლექტორი 5.400-ჯერ გაედიდებინათ.

აი, ასეთი ამოცანა დააყენეს კემბრიჯის ობსერვატორიის წინაშე. ობსერვატორიას უადვილდებოდა მისი შესრულება იმით, რომ შეეძლო რამდენიც უნდოდა იმდენი ფული დაეხარჯა. მაგრამ მაინც არსებობდა ტექნიკური სიძნელეები.

უწინარეს ყოვლისა, ობსერვატორიას უნდა შეერჩია მილის სახე: რეფრაქტორი ან რეფლექტორი. საერთოდ, რეფლექტორთან შედარებით რეფრატორს დიდი უპირატესობა აქვს. ერთი სიდიდის ობიექტივის დროს იგი გამოსაუხლების უფრო გადიდების საშუალებას იძლევა, ვინაიდან სინათლის სხივები გადიან რა ოსპის სარკეს, კარგავენ თავიანთი სიკაშკაშის უფრო მცირე პროცენტს. ვიდრე ტელესკოპის ლითონს სარკეში არკვლისას. მაგრამ მეორე მხრივ, არ შეიძლება ძალიან დიდი ზომის ოსპების გაკეთება, ვინაიდან ოსპის სქელი შუშა ნთქავს მეტისმეტად ბევრ სინათლის სხივებს. ამასთან მსხვილი ოსპების დამზადება უფრო ძნელია და ბევრ დროსაც, რამდენიმე წელიწადს მოითხოვს.

ამიტომ, თუმცა რეფრაქტორი იძლევა უფრო ნათელ გამოსახულებას, რაც მთვარეზე დაკვირვების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მთვარე მზის არეკლილი სხივებითღა ნათდება, - კემბრიჯის ობსრვატორიამ მაინც ამრეკლავი ტელესკოპი არჩია, რადგან იგი უფრო ჩქარა მზადდებადა რამდენადმე უფრო მეტი გამადიდებელი ძალა გააჩნია. იმის გამო, რომ სინათლის სხივები ატმოსფეროს, განსაკუთრებით მის ქვედა, მკვრივ ფენებში გავლის დროს კრგავენ თავიანთ ძალას, "საზარბაზნე კლუბმა" გადაწყვიტა ხელსაწყო დაედგა შეერთებული შტატების ყველაზე მაღალ მთაზე, სადაც ჰაერი უფრო მეტად გაუხეშებულია. როგორც დავინახეთ, ტელესკოპში გადიდებას ახდენს ოკულარი ანუ ლუპა, და რაც უფრო გრძელია დიამეტრი და ობიექტივის მანძილი, მით უფრო ადიდებს იგი გამოსახულებას.

ოკულარი ადიდებს ტელესკოპში მიღებულ გამოსხულებას, ხოლო ამ გამოსახულებათა სიდიდე დამოკიდებულია სარკეების სიდიდეზე, ობიექტივის დანიშნულებას რომ ასრულებენ. მაშასადამე 48 ათასჯერ რომ გაზრდილიყო გამოსახულება, საჭირო იყო, ტელესკოპის სარკისთვის მიეცათ ბევრად უფრო გრძელი დიამეტრი, ვიდრე გერშელისა და ლორდ როსის ტელესკოპებს ჰქონდათ. სწორედ ეს იყო უდიდესი ტექნიკური სიძნელე, ვინაიდან მსხვილი ლითონის სარკეების ჩამოსხმა მეტად რთული ოპერაციაა.

საბედნიეროდ, რამდენიმე წლის წინ საფრანგეთიდან ინსტიტუტის წევრმა, ცნობილმა მეცნიერმა ლეონ ფუკომ მნიშვნელოვნად დახვეწა ობიექტივი. ლითონის სარკე მოვერცხლილი შუშით შეცვალა. საწირო ზომის შუშის ჩამოსხმა და მისი მოვერცხვლა ძნელი საქმე არ არის. გასაგებია, რომ კემბრიჯის ობსერვატორიამ ფუკოს ხერხს მიმართა".

ობიექტივის დადგმა გერშელის მიერ მისი ტელესკოპის კონსტრუქციის დროს გამოყენებული მეთოდით გადაწყვიტეს.

ასტრონომ სლაუს დიდ აპარატში, საგნის გამოსახულეება, არეკლილი დახრილი სარკის მიერ, რომელიც მილის ქვევითაა დაყენებული, მიიმართება ოკულარში, მილის ზედა ბოლოში რომ არის მოთავსებული. ამრიგად, მეთვალყურე იმის ნაცვლად რომ ქვევიდ იდგეს, ადის, უზარმაზარი ცილინდრის ზედა ნაწილში და იცქირება ლუპაში. უკვე საჭირო აღარ არის მეორე, პატარა სარკე, გამოსახულებას ოკულარსი რომ მიმართავს. ამით გამოსახულება უფრო ნათელი ხდება. ეს კი მომვალი საგანგებო დაკვირებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

როცა კომიტეტმა ყველა საჭირო გადაწყვეტილება მიიღო, შეუდგნენ ტელესკოპის დამზადებას. კემბრიჯის ობსერვატორიის ბიუროს გამოანგარიშების თანახმად, ახალი რეფლექტორის მილი 280 ფუტი სიგრძისა უნდა ყოფილიყო, სარკე კი - 16 ფუტი დიამეტრის. მართალია, რამდენიმე წლის წინ ასტრონომი გუკი წინადადებას აყენებდა, აეგოთ ათი ათასი ფუტი სიგრძის მქონე ტელესკოპი, მასთან შედარებით "საზარბაზნე კლუბის" ტელესკოპი ბავშვის სათამაშოს ჰგავდა. ამისა მიუხედავად, ახალი ხელსაწყოს დაყენება მაინც ერთობ საძნელო საქმე გახლდათ.

ტელესკოპის დასაყენებელი ადგილის არცევის საკითხი სწრაფად გადაწყდა. საჭირო იყო მისი მაღალ მთაზე დადგმა, ხოლო მაღალი მთა შეერთებულ შტატებში არც თუ ისე ბევრია.

მართლაც, ამ უზარმაზარი ქვეყნის ოროგრაფიული სისტმა სულ შეიცავს საშუალო სიმაღლის ორი მთის გრეხილს, რომელთა შუა მოედინება დიდებული მისისპი; ამერიკელები მას "მდინარეების დედოფლად" მონათლავდნენ, მეფის ხელისუფლება რომ ეცნოთ საერთოდ.

აღმოსავლეთით - აპალაჩის მთაგრეხილია, რომლის უმაღლესი წერტილი - ნიუ-ჰემფშირში ძლის აღწევს 5.600 ფუტ სიმაღლეს.

დასავლეთით აღმართული კლდოვანი მთები ნაწილს შეადგენს იმ უზარმაზარი მთის გრეხილებისა, მაგელანის სრუტესთან რომ იწყება, შემდეგ ანდისა და კორდილიერის სახელწოდებით სამხრეთ ამერიკის დასავლეთით სანაპიროს გასწვრივ მიიმართება და ქმნის პანამის ყელს, შემდეგ გადის მთელ ჩრდილოეთ ამერიკის ოკეანემდე.

არც კლდოვანი მთებია მაინცდამაინც მაღალი. ალპებსა და ჰიმალაებს შეუძლიათ მას ზემოდან გადახედონ და, მართლაც, კლდოვანი მთების უმაღლესი წრტილი აღწევს მხოლოდ 10. 701 ფუტს ზღვის დონიდან, მაშინ როა მონბლანის სიმაღლე 14.439-ია,ხოლო კანჩენჯანღასი - 26.776 ფუტი.

მაგრამ რადგანაც "საზარბაზნე კლუბმა" დაადგინა, რომ მისი ობსერვატორია შეერთებული შტატების ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, უნდა აერჩიათ კლდოვანი მთების ერთ-ერთი მწვერვალი. აირჩიეს ლონგსპიკის მწვერვალი მისიურის შტატში; მთელი საჭირო საშენი მასალა ამ მთის ძირში გაიგზავნა.

ამასთან, ძნელია სიტყვით აღწერო, რამდენი სიძნელეების გადალახვა მოუწიათ ამერიკელ ინჟინრებს. მათ ვაჟკაცობისა და მოხერხებულობის სასწაულები მოახდინეს. ეს ნამდვილი გმირობა იყო.

იძულებულნი იყვნენ, მთაზე აეზიდათ ვეებერთელა ქვები, მასიური რკინის კოჭები, მძიმე სადინარები, ცილინდრული მილის მსხვილი ნაწილები და თითქმის 30 ათქს გირვანქიანი ობიექტივი - ყოველივე ეს უნდა აეტანთ მუდმივი თოვლის ხაზს ზემოთ, 10 ათას ფუტ სიმაღლეზე. ადვილი როდი იყო ამ მასალების გადატანა უდაბურ ტრამალებში, უღრან ტყეებში, გუვალ, ველურ ადგილებში... გადალახვა შმაგი მთის ნაკადულისა.

ამერიკელ მუშებს მთელი თავიანთი ენერგიისა, ხოლო ინჟინრებს მთელი თავიანთი გამომგონებლობის გამოყენება დაჭირდათ, რათა კეთილად დაებოლოვებინათ ეს საქმე. ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებსი ანუ სამუშაოთა დაწყებიდან ერთ წელზე უფრო ნაკლებ ხანს ლონგსპიკის მწვერვალზე თავისი 280 ფუტიანი მილი ცისკენ მიეშვირა კოლოსალურ რეფლექტორს. მილი უზარმაზარ რკინის ფიცარნაგზე იყო შედგმული, ამასთან მახვილგონივრული მექანიმზების წყალობით ადვილი იყო მისი მართვა: ყოველ მხარეს ტრიალი, ცის ყოველ წერტილზე მიშვერა და თითოეული მნათობის მოძრაობის თვალყურის დევნება - ჰორიზონტის ერთ მხარეზე მისი ამოსავალიდან, მეორე მხარეში ჩასვლამდე.

ტელესკოპი 400 ათასი დოლარი დაუჯდათ. როცა იგი პირველად მიუშვირეს მთვარეს, მეთვალყურეეებო შიშმა და ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. რას აღმოაჩენენ ამ ტელესკოპის არეში, რომელიც სამეთვალყურეო საგენებს 48 ათასჯერ ადიდებს? იქნებ ეხილათ მთვარის მცხოვრებნი, მთვარის ცხოველთა ჯოგები, ტბები, ზღვები ან ქალაქები?

მაგრამ არა, ტელესკოპს არაფერი ისეთი არ აღმოუჩენია, რაც მანამდე ცნობილი არ იყო. მთვარის ზედაპირის გულმოდგინე დაზვერვამ მხოლოდ ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ დაადასტურა დედამიწის თანამგზავრის ვულკანური აგებულება.

კლდოვანი მთების ტელესკოპმა, სანამ საგანგებო დაკვირვებებზე გადავიდოდა, მოასწრო დიდი სამსახური გაეწია ასტრონომიისათვის. მისი სიმძლავრის წყალობით შესაძლებელი გახდა ცის სფეროს უშორესი ნაწილების გამოკვლევა და მრავალი ვარსკვლავის დიამეტრის ერთობ ზუსტი დადგენა. სხვათაშორის, კემბრიჯის ობსერვატორიის ასტრონომმა კლარკმა შეძლო, დაედგინა ე.წ.."crab nebule"[1]-ს

აგებულება კუროს თანავარსკვლავედში, რაც ლორდ როსის ტელესკოპის დახმარებით ვერ შეძლეს მანამდე.

ოცდამეხუთე თავი

უკანასკნელი სამზადისი

დადგა 22 ნოემბერი. საზეიმო გასროლამდე რჩებოდა სულ ათი დღე. ყველაფერი მზად ჰქონდათ, გარდა ერთი მეტად რთული და სახიფათო ოპერაციისა, რაც უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვდა, ეს იყო ოპერაცია, რომლის წინააღმდეგ კაპიტანი ნიკოლი თავის მესამე სანაძლეოს ჩამოდიოდა. საჭირო იყო კოლუმბიადის დატენა- ანუ მასში უნდა ჩაეშვათ ოთხასი ათასი გირვანქა პიროქსილინი. კაპიტანი ნიკოლი წინასწარმეტყველებდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ასეთი უზარმაზარი რაოდენობის პიროქსილინის ჩაშვება კარგადაც რომ დამთავრდეს, ეს უზარმაზარი მასა თავისით აფეთქდება, როგორც კი მას მძიმე ყუმბარა დააწვებაო.

საფრთხეს აძლიერბდა ამერიკული ქარაფშუტული უდარდელობაც. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის დროს ამერიკელს ჩვეულებად ჰქონდა, ყუმბარა პირში სიგარეტგარჭობილს დაეტენა.

საწყენი იქნებოდა საქმის ჩაფუშვა მაშინ, როცა მიზნის განხორციელებას ცოტაღა უკლდა! ამიტომ ბარბიკენმა შეარჩია ყველაზე საიმედო მუშები და ერთი წუთითაც თვალს არ აშორებდა მათ, მისი წყალობით ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ ეს სახიფათო ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

უწინარეს ყოვლისა, მან განკარგულება გასცა პიროქსილინი სტონზჰილის გალავანში თანდათანობით, საგულდაგულოდ დახურული დიდი ყუთებით მოეზიდათ. პიროქსილინის მთელი რაოდენობა ფუთებში იყო დანაწილებული, თითოეული ფუთა 500 გირვანქას იწონიდა, რამაც რვაასი პიროქსილინის პატრონა

---

1 კიბორჩხალას ნისლეული (ინგ.)

შეადგინა. იგი საგანგებოდ დაამზადეს პენსაკოლის არსენალის დახელოვნებულმა მეშუშხუნეებმა.

ათ ფუთას დიდ ყუთში აწყობდნენ და მატარებელს თითო ასეთი ყუთი მიჰქონდა. ამრიგად, სტონზჰილის გალავანში ერთდროულად არასოდეს არ იყო ხუთი ათას გირვანქაზე მეტი პიროქსილინი.

ყუთებს მოტანისთანავე ფეხშიშველა მუშები ცლიდნენ. თითოეული ფუთა ფრთხილად გადაჰქონდათ კოლუმბიადის ხვრელთან. შემდეგ უშვებდნენ ფსკერში ჯალამბრებსი მეშვეობით. ჩამქრალი იყო არა მარტო ყველა ორთქლის მანქანა, ორი მილის მანძილზე არსად ცეცხლი არ ენთო. საჭირო იყო აგრეთვე პიროქსილინის დაცვა ნოემბრის თუნდაც სუსტი მზის სხივებისაგან. ამიტომ სამუშაოები მიმდინარეობდა მეტწილად ღამღამობით ელექტრონის შუქზე. კოლუმბიადის ფსკერს ანათებდა და დღის შუქს ტოლს არ უდებდა უმკორფის ხელსაწყოებით გამომუშავებული დენი. ფსკერზე მკაცრი წერგითი ერთიმეორეზე აწყობდნე პიროქსილინის პატრონებს, ისინი ერთმანეთზე შეერთებული იყვნენ საგულდაგულოდ იზოლირებული ლითონის მავთულით, რომელთაც დენი წამსვე უნდა გადასცემოდა თითოეულ მათგანს.

კოლუმბიადიდან გასროლა უნდა მოეხდინათ ელექტრონული ფალიის დახმარებით. ამისათვის პატრონების ყველა მავთული უერთდებოდა საერთო მავთულს, იგი ზარბაზნის თუჯის კედელზე გაბურღულ ნახვრეტში იყო გატარებული სწორედ იმ დონეზე, სადაც უნდა მოეთავსებინათ ყუმარა, იქიდან მავთული აღწევდა ერთ-ერთ სასულეში, რაც კოლუბიადის ჩამოსხმის დროს ქვის წყობაში გაზების გამოსასვლელად იყო დატოვებული.

სტონზჰილის მწვერვალზე ასული ეს მავთული ორი მილის მანძილზე იყო გაჭიმული და როდესაც გამომრთველს გაივლიდა, ბუნზენი გალვანური ელემენტების უძლიერეს ბატარეას შეუერთდებოდა. საკმარისი იყო ღილაკზე თითის დაჭერა, რომ დენი ჩაირთვებოდა და წამსვე ააფეთქებდა ოთხასი ათას გირვანქა პიროქსილინს.

28 ნოემბერს პიროქსილინის რვაასამდე პატრონა ჩააწყვეს კოლუმბიადის ფსკერზე. ამ მხრივ ყველაფერი ბრწყინვალედ მოგვარდა. მაგრამ რამდენი მღელვარება, ფაცი-ფუცი და დავიდარაბა დაატყდა თავს ბარბიკენს! სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, მრავალი ცნობმისმოყვარე ახერხებდა სტონზჰილის გალავანში შეეღწია, ხოლო ზოგიერთი დაუპატიჟებელი სტუმარი სიგიჟეს სჩადიოდა, ფეთქებადი მასალით დატენილ ფუთებს შორის იდგა და სიგარეტს უკიდებდა. ბარბიკენი თავს ვერ იკავებდა, ჯ. ტ. მასტონი ცდილობდა, მიხმარებოდა მას, გაშმაგებული დასდევდა მოხეტიალე, უსაქმურ ადამიანებს და აგროვებდა ძირს დაგდებულ, აბოლებულ ნამწვავებს. ეს არც თუ ისე იოლი იყო, რადგან გალავნის ირგვლივ უამრავი უსაქმური იყრიდა თავს.

მიშელ არდანმა მოისურვა, თვითონ გაჰყოლოდა ყუთის მტვირთავებს კოლუბიადის ხვრელამდე, მაგრამ ერთხელ ბარბიკენი ასეთი საშინელი სურათის მოწმე გახდა: არდანი უგუნურ მწეველებს დასდევდა... პირში სიგარეტგაჩრილი კი თვითონ იძლეოდა მაგალითს. იძულებული გახდნენ, მიშელ არდანი მოეცინებინათ იქაურობისათვის, როგორც გამოუსწორებელი მწეველი და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ჰყოლოდათ. მაგრამ არტილერისტებს ბედი სწყალობდათ, არავინ აფეთქებულა და კოლუმბიადაც მშვიდობიანად დატენეს პიროქსილინით.

კაპიტან ნიკოლის მესამე სანაძლეოს პირველი ორის ხვედრი ელოდა. მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო - უზარმაზარი ყუმბარა უნდა ჩაეშვათ კოლუმბიადაში ბამბის დენთის სქელ ფენებზე.

სანამ ამ ოპერციას შეასრულებდნენ, საჭირო იყო ყუმბარა-ვაგონში მოეთავსებინათ მგზავრობისათვის საჭირო ნივთები. ბევრი ნივთი მოგროვდა, ხოლო არდანისთვის რომ ნება მიეცათ, ალბათ, თვით მოგზაურებიათვის ადგილი არ აღმოჩნდებოდა. ვინ იცის, რის წაღებას არ აპირებდა მთვარეზე აღფრთოვანებული ფრანგი. ათასგვარი უსარგებლო ნივთების მთელი კოლექცია მოაგროვა. მაგრამ ბარბიკენი ჩაერია საქმეში და არდანიც იძულებული გახდა, მხოლოდ აუცილებელად საჭირო საგნები დაეტოვებინა.

რამდენიმე ცალი თერმომეტრი, ბარომეტრი და საზვერავი მილი საგანგებოდ დამზადებულ ყუთში ჩაალაგეს.

ფრენის დროს მთვარისათვის რომ ეთვალთვალათ და აგრეთვე მის ზედაპირზე ემოგზაურათ, თან წამოიღეს შესანიშნავი რუკა-ბერის და მედლერის ცნობილი Mappa selenographia[1]. ოთხ ფურცელზე დაბეჭდილი, თავისებურ შედევრად რომ ითვლებოდა. ეს რუკა შესანისნავი სიზუსტით ასახავდა დედამიწისკენ მოქცეული მთვარის ზედაპირის უწვრილეს დეტალებს: მთებს, მინდვრებს, კრატერებს, მწვერვალებს, ხნულებს, მათ შედარებით ზომებს,სახელებს - დაწყებული დერფელის

და ლეიბნიცის მთებით მთვარის აღმოსავლეთი კუთხით რომ აღმართულა, დამთავრებული mare frigoris[2]-ით, დედამიწის თანამგზავრის ჩრდილოეთ პოლუსზე რომ მდებარეობს.

ასეთი რუკა, ცხადია, განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩვენი მოგზაურებისათვის: მათ შეეძლოთ მთვარეზე ფეხის დაუდგმელად, მისი დაწვრილებით შესწავლა.

მათ აგრეთვე თან წაიღებს სამი თოფი, სამი სანადირო კარაბინი ფეთქებადი ტყვიებით და საკმაო რაოდენობის დენთი და საფანტი.

- ვინ იცის, ვისთან მოგვიწევს იქ, მთვარეზე, შეტაკება, - ამბობდა მიშელ არდანი, - შესაძლოა ადამიანები და ცხოველები ერთობ მტრულად შეგვხვდნენ. სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

საჭირო იყო, თან წაეღოთ სხვადასხვა კლიმატის შესაფერისი ნაირ-ნაირი ტანსაცმელი.

იარაღების გარდა მიჰქონდატ: წერაქვები, ბარები, პატარა ხერხები და სხვა აუცილებელი ხელსაწყოები.

მიშელ რდანი თუმცა არ აპირებდა მთვარეზე წაეყვანა "ყოველნაირი სახის წყვილი ქმნილება", ვინაიდან საჭიროდ არ მიაჩნდა მთვარეზე გაემრავლებინა გველები, ალიგატორები, ვეფხვები და სხვა მტაცებელი ცხოველი, მაგრამ მაინც უნდოდა ვაგონში მოეთავსებინა რამდენიმე სახის ცხოველი.

- კარგი იქნბოდა წაგვეყვანა - ეუბნებოდა იგი ბარბიკენს - ხარი და ძროხა, ცხენი ან ვირი. ისინი გამოგვადგებოდნენ იქ, გარდა ამისა, მთვარის პეიზაჟსაც დაამშვენებდნენ.

- ყველაფერი ეს შესანიშნავია, ძვირფასო მიშელ, - შეეპასუხა ბარბიკენი, - მაგრამ ჩვენი ვანგონი სულაც არ არის ნოეს კიდობანი. არც იმნაირი ზომისა გახლავთ და ჩვენი მიზანიც სულ სხვაა. ამიტომ შეუძლებელს ნუ წავეპოტინებით.

დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა, წაეყვანათ ორი ძარლი: ნიკოლის ერთი

---

1 მთვარის რუკა (ლათ.)

2 სიცივის ზღვა (ლათ.)

ჯიშიანი სანადირო ძუკნა და მეორე, დიდებული ღონიერი ნიუ-ფაუნდლენდი. გადაწყდა აგრეთვე წაეღოთ რამდენიმე ყუთი ყველაზე სასარგებლო მცენარეთა თესლი, მაგრამ უარი თქვეს ბაღის მიწის წაღებაზე, რაც არდანს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა ნათესებისათვის. მას ნება დართეს, წამოეღო ნერგები, თივაში საგულდაგულოდ შეფუთული, ისინი ვაგონის ერთ-ერთ კუთხეში მოათავსეს.

რჩებოდა არსებითი - სურსათს საკითხი, ვინაიდან მოსალოდნელი იყო მთვარეზე არ აღმოჩენილიყო არც მცენარეულობა და არც ცხოველები. ბარბიკენმა მოახერხა მთელი წლის სამყოფი პროდუქტის წამოღება. რასაკვირველია, ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვები თუ გამოდგებოდა საჭმელ სურსათად. ჰიდრავლიკური წნეხისაგან ისინი მინიმალურად იყვნენ დაპატარავებული და ამასთან დიდი რაოდენობით შეიცავდნენ ნოყიერ ნივთიერებებს.

ცხადია, ეს არ იყო მრავალფეროვანი და გემრიელი საკვები, მაგრამ ამისთანა მოგზაურობის დროს უცნაურად იქნებოდა საწმლისათვის დიდი მოთხოვნილება წაეყენებინათ. გადაწყდა, წყალი მხოლოდ ორი თვის სამყოფი წაეღოთ, ვინაიდან მთვარზე, ასტრონომების ახალი დაკვირვებების მიხედვით გარკვეული რაოდენობის წყალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, არდანი დარწმუნებული იყო,

რომ იქ აუცილებლად მოიძებნებოდა რაიმე ცოცხალი არსება, სხვანაირად არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა გაფრენაზე.

- თუმცა რა, - თქვა მან, - დედამიწაზე განა არ გვრჩება მეგობრები, ჩვენზე რომ იზრუნებენ?

- ო, როგორ არა! - ცხარედ წამოიძახა მასტონმა.

- მაპატიეთ! რა გინდათ ამით თქვათ? - იკითხა ნიკოლმა.

- ის, რომ განა კოლუმბიადა თვის ადგილზე არ დარჩება? მაშასადამე, ყოველთვის, როცა მთვარე აღმოჩნდება დასამიზნებლად ხელსაყრელ პირობებში, თუ პერიგეაში არა, უკიდურეს შემთხვევაში, ზენიტსი მაინც, რაც წელიწადში დაახლოებით ერთხელ ხდება. ნუთუ არ შეიძლება წინასწარ დათქმულ დღეს სურსათ-სანოვაგით გატენილი ყუმბარები იქ გამოგიგზავნონ?

- ვაშა! ვაშა! - წამოიძახა აღტაცებისაგან გონდაკარგულმა მასტონმა - ეს მაგარია! რასაკვირველია, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ არ დაგივიწყებთ!

- მე ეს მჯერა! - განაგრძობდა არდანი. - მაშასადამე, დედამიწიდან ჩვენ რეგულარულად მივიღებთ ცნობებს. რა ფასი გვექნება, თუკი ვერ მოვიფიქრებთ, როგორ დავამყაროთ მიწერ-მოწერა ჩვენს ძვირფას მიწიერ მეგობრებთან!

იმ რწმენამ, რითაც გამსჭვალული იყო მიშელ არდანის სიტყვა, მისმა მედგარმა, მტკიცე იერმა, მომხიბვლელმა თვითდაჯერებულობამ, აღაფრთოვანა "საზარბაზნე კლუბის" მთელი შემადგენლობა. ყველაფერი, რასაც ის ლაპარაკობდა, ისე გასაგები, ისე ანბანური ჭეშმარიტი და მარტივი, ისე თვალნათელი და ადვილად მისაღწევი ჩანდა, რომ ღმერთმანი რაღაც განსაკუთრებული და ამასთან არაგონივრული სიყვარული უნდა გქონოდა ჩვენი საცოდავი მიწის ბურთისადმი, რომ არ გაქანებულიყავი მთვარეზე ამ სამი მამაცი ადამიანის კვალდაკვალ.

როცა ბარგი და ავეჯი კაბინასი მოათავსეს, დროებით ხის იატაკს და ყუმბარის ფსკერს შორის დარჩენილ სივრცეში წყალი შუშვეს, რასაც სიმკვრივით უნდა შეესუსტეინა ბიძგი; შედმეგ გამნათებელი გაზი ჩატუმბეს ბალონებში. ქველქლორმჟავა კალიუმი და მწვევე ნატრიუმი ისეთი რაოდენობით წაიღეს, რომ გზაში შესაძლო შეყოვნების შემთხვევაში ჰყოფნოდათ ჟანგბადის მისაღებად და ნახშირჟანგის ჩასანთქავად მთელი ორი თვის განმავლობაში. ჰარის გასაწმენდად და ჟანგბადით მის მოსამარაგებლად მეტად მახვილგონივრული ავტომატური ხელსაწყო ააგეს. ამრიგად, ყუმბარა-ვაგონი საბოლოოდ მოაწყვეს. ახლა მისი კოლუმბიადაში ჩაშვებაღა რჩებოდა. ეს კი მეტისმეტად რთული და სახიფათო საქმე იყო.

უზარმაზარი ყუმბარა-ვაგონი ლიანდაგზე მიიტანეს სტონზჰილამდე. აქ იგი მძლავრმა ამწეებმა აიტაცეს და კოლუმბიადის ყელზე დაჰკიდეს.

ეს მართლაც რომ წარმტაცი სანახაობა იყო!

ჯაჭვებმა რომ ვერ გაუძლონ ამ უზარმაზარ სიმძიმეს? მაშინ ჩამოვარდნილი ყუმბრა დაეცემა ზარბაზნის ფსკერს და ააფეთქებს პიროქსილინს.

მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ყუმბარა ზარბაზნის არხში ნარნარად, ნელა, თანაბრად ეშვებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი უკვე ბამბის დენთის ფენებზე ისე განისვენებდა, ვით ბუმბულის ბალიშზე. ყუმბარის წნევამ უფრო კარგად დაწნეხა პიროქსილინის ფენები.

- მე წავაგე! - განაცხადა კაპიტანმა ნიკოლმა და "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს სამი ათასი დოლარის საკრედიტო ბილეთები გადასცა.

ბარბიკენს არ უნდოდა ამ ფულის აღება. მე უკვე ნიკოლის მეტოქე კი არა, მისი ამხანაგი და თანამგზავრი ვარო, თქვა მან, მაგრამ იძულებული გახდა, დაეთმო

ჯიუტი კაპიტნისთვის, რომელსაც სურდა დედამიწასთან დამშვიდობების ჟამს ყველა თავისი მიწიერი ვალი მოეხადა.

- თუკი ასეა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, მინდა კიდევ ერთი რამ გისურვოთ! - წამოიძახა მიშელ არდანმა.

- სახელდობრ რა?

- რომ წააგოთ დანარჩენი ორი სანაძლეოც! ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენი მიზნის მიღწვას!

ოცდამეექვსე თავი

გ ა ს რ ო ლ ა

დადგა საბედისწრო დღე, პირველი დეკემბერი, როცა კოლუმბიადიდან უნდა გაესრლათ. თუკი ამ საღამოს ზუსტად 10 სათისა, 45 წუთისა და 40 წამზე არ გაისროდნენ, მაშინ "საზარბაზნე კულბს" მოუწევდა 18 წლის ლოდინი, რათა კვლავ დამდგარიყო გასროლისათვის ხელსაყრელი პირობები, ესე იგი მთვარის ზენიტი დამთხვეოდა პერიგეას.

დიდებული ამინდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი ახლოვდებოდა, მზე კაშკაშებდა და თავის სხივებში ახვევდა იმ მიწას, ვის სამ ღირსეულ შვილსაც უნდა დაეტოვებინა იგი ახალი სამყაროს დაპყრობის მიზნით.

ძალიან ბევრს ცუდად ეძინა ამ ნანატრი დღს წინ. მძიმე ლოდად აწვებოდა გულზე ლოდინის ეს უკანასკნელი საათები. გული უნებურად ეწურებოდათ.

მხოლოდ მიშელ არდანი გახლდათ გამონაკლისი. ეს საოცარი ადამიანი ახლაც ისეთივე ცოცხალი და მოძრავი, ისეთივე ხალისიანი და უდარდელი იყო, როგორც ადრე.

მას მშვიდად და ღრმად ეძინა იმ ღამეს. ასეთი გოლიათური ძილით ეძინა ზარბაზნის ლაფეტზე ტიურენს ბრძოლის წინა ღამეს.

დილაუთენია ზღვა ხალხს დაეფარა სტონზჰილის გარშემო უზარმაზარი მინდვრები. ყოველ 15 წუთში მატარებლებს მოჰყავდა ცნობისმოყვრეთა სულ ახალი და ახალი ნაკადი. სტონზჰილზე შემოსევა ზღაპრულ მასშტაბებს იღებდა. "ტამპა-ტაუნ-ობზერვერს" რომ დავუჯეროთთ, ამ დღეს ფლორიდაში თავი მოიყარა ხუთმა მილიონმა ადამიანმა, რათა საკუთარი თვალით ეხილა კოლუმბიადის გასროლა...

თვეზე მეტი იყო, რაც ქალაქში ბინბი არ ყოფინდათ და ჩამოსულთა დიდი ნაწილი იძულებული იყო, ეცხოვრა სამგზავრო კარვებსა და სტონზჰილის ირგვლივ სახელდახელოდ აგებულ პაწია სახლებში. ამ ნაგებობებმა შემდგომში დასაბამი მისცა ახალი ქალაქის დაარსებას, რასაც არდანს-ტუნი ეწოდა. ტრამალი ქოხებით, ჩარდახებით, ჯარგვლებით და ათასგვარი კარვებით მოიფინა. ამ დროებით საცხოვრებელი სადგომისათვის თავი შეეფარებინა იმოდენა ხალხს, რომ ევროპის მსხვილ ქალაქებსაც კი შეშურდებოდა მათი რაოდენობა.

დედამიწის ყველა ხალხს თითქოს თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა. ლაპარაკს ყველა ენაზე გაიგონებდით. ეს იყო ჭეშმარიტად ენების აღრევა, ისე ვით ბიბლიურ ხანაში ბაბილონის გოდოლის აშენებისას მოხდა. ამერიკული საზოგადოების ყველა კალასი ერთმანეთში არეულიყო. ბანკირები, მიწისმფლობელები, მეზღვაურები, მაკლერები, კომისიონერები, ბამბის პლანტატორები, ვაჭრები, გემთმფლობელები, მოხელეები უბოდიშოდ ეხლებოდნენ

და იქვე ეცნობოდნენ ერთმანეთს. ლუიზიანელი კრელოელნი უძმობილდებოდნენ ინდიანელ ფერმერებს; ტენესელი და კეტუკელი დარბაისელი ადამიანები, დახვეწილი და ამაყი ვირჯინიელები მეგობრულად ებაასებოდნენ ნახევრად ველურ მონადირეებს დიდი ტბების ოლქიდან და ცინცინატელ ნადირთმრეწველებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კრეოლები და ესპანური წარმოშობის სამხრეთელები. ამ კოხტაპრუწა ადამიანებს თვზე ფართოფარფლებიანი თეთრი კასტროლის შლაპები ეხურათ, ტანთ ოპილუსის ფაბრიკებში ნაქსოვი ლურჯი მატერიის შარვლები და ბატისტის ჟაბოიანი, საზეიმო ღიაყვითელი ფერის ტილოს ბლუზები ემოსათ. ხოლო ყელსახვევებზე, მანჟეტებზე, ათივე თითზე და ყურებშიც გაერჭოთ მთლი კოლექცია საოცარი ძვირფასი და საოცრად უგემოვნო ბეჭდების, ძეწკვების, საყურეების, საკინძების და მედალიონებისა. მათი ცოლები, ბავშვები და მოსამსახურეები არანაკლებ მდიდრულად და არანაკლებ უგემოვნოდ მორთულ-მოკაზმულიყვნენ, ყველგან კუდში დასდევდნენ თავიანთ მამებს, ქმრებსა და პატრონებს, უამრავი ნათესაებით გარშემორტყმულ, პირველყოფილი ტომების ბელადებს რომ ჰგავდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მათი ყურება სადილობის დროს, როა თავიანთ საყვარელ სამხრთულ კერძებს მივარდებოდნენ ხოლმე და ისე მადიანად გადასანსლავდნენ, რომ საფრთხე ემუქრებოდა ფლორიდის სურსათ-სანოვაგის მარაგს. ევროპელებს ალბათ გულს აურევდა ეს საჭმელები: ბაყაყებისგან დამზადებული ფრიკასი, მოშუშული მაიმუნის ხორცი, ოპოსუმის სისხლიანი ბიშტექსი და ენოტის გუფთა.

სამაგიეროდ, რა სასმელები მოჰქონდათ ამ ძნელად მოსანელებელ კერძებზე! რესტორნების, ბარებისა და ტავერნების თაროებსა და მაგიდებზე ლამაზად ჩამწკრივებულიყვნენ სულ სხვადასხვა ზომის დაღლვარჭნილი ფორმის ჭიქები, ტოლჩები, გრაფინები, დოქები შაქრის დასანაყ ქვიჯებსა და ჩალის ღეროებს შუა. სადილობის ჟამს წარმოუდგენელი ხმაური და რიარია იდგა. გამყიდველები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ათასგვარ სასმელებს სთავაზობდნენ ყველას.

- პიტნის გამაგრილებელი წყალი! ვის უნდა პიტნის სიგრილე? - გამყინავად გაჰკიოდა ერთი.

- ბორდოს ღვინოზე დაყენებული სანგარი! - გულისგამაწვრლებლად წრიპინებდა მეორე.

- ჯინ-გრიგალი, ჯინ-გრიგალი! - ღრიალებდა მესამე.

- კოკტეილი! ბრენდი! - ხმას უწყობდა მეოთხე.

- ვის ნებავს უკანასკნელი მოდის ნამდვილი პიტნის გამაგრილებელი წყალი? - და გაქნილი მოვაჭრეებ იქვე, ყველას თვალწინ, ოინბაზის სიმარდით ჭიქებში აგდებდა შაქრის ნატეხს, ლიმონს, ახალ ანანასს, დანაყილ ყინულს, შიგ ასხამდა მწვანე პიტნის ნაყენს, კონიაკს, წყალს. და ამზადებდა გამაგრილებელ სასმელს.

ჩვეულებრივ დღეებში ეს მრავალხმიანი, გამყივანი ყვირილი საერთო ღრიანცელს ერთვოდა. მაგრამ 1 დეკემბერს მათი ხმა თითქმის სულ არ ისმოდა. გამყიდველებს ტყუილუბრალოდ ხმ ეხლიჩებოდათ, საჭმელ-სასმელისთვის ახლა არავის სცხელოდა; მაყურებელთა უმრავლესობას დილიდანვე არაფერი ეჭამა, სადღა ახსოვდათ თავიანთი ჩვეულებრივი "ლენჩი". მღელვარებამ და ცნობისმოყვარეობამ სძლია ბანქოსა და სხვა აზარტული თამაშისადმი ამერიკელთა თანდაყოლილ სიყვარულსაც კი. კეგლი მიწაზე ეგდო, სათამაშო კამათლები ჭიქებში ეყარა; ბანქოს დასტები რომლებზეც დიდი მოთხოვნილება იყო კრაბიჯის სათამაშოდ, ვისტი,

"ოცდართი", "წითლი და შავი", "მონტე" და "ფარო", არც გაუხსნიათ. მომავალ მნიშვნელოვანი ამბავი ყოველდღიურ საქმეებსა და გართობას ავიწყებდა ადამიანებს.

მთელ დღე თითქოს კატასტროფის მოლოდინში ხალხში მატულობდა ყრუ მღელვარება. მათ გაურკვეველი, აუხსნელი შეშფოთება იპყრობდა. ყველას აწვალებდა ცუდი წინათგრძნობა და მტკივნეულად ეკუმშებოდა გული. ყოველი მათგანი მთელი გულით და სულით ნატრობდა, მალე დამთავრებულიყო "ყოველივე ეს"...

მაგრამ შვიდი საათისათვის მდუმარება დაირღვა. ჰორიზონტზე სავსე მთვარე ამოვიდა. უამრავი ადამიანი "ვაშას" ძახილით შეეგება მის გამოჩენას. მთვარე ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა პაემანზე. დიდხანს არ შეწყვეტილა აღფრთოვანებული ყვირილი და ტაშისცემა. ხოლო ქერატმიანი ფებოსი მშვიდად ანათებდა სამხრეთის საუცხოო ცაზე და თავისი ნაზი, ნათელი სხივებით უალერსებდა აღგზნებულ ხალხს. იმავე წუთს სტონზჰილის გალავანთან გამოჩდნენ მომავალი მოგზაურობის უშიშარი გმირები. ხალხი აღფრთოვანებული ყვირილით ესალმებოდა მათ. ანაზდად გაისმა ამერიკის ეროვნული ჰიმნის ხმა. ათასობით ადამიანმა აიტცა ეს მოტივი და "იანკი დუდლი" ჰაერში ქარიშხალივით აიჭრა.

ამ თავშეუკავებელი აღტყინების შემდეგ, როცა მიწყდა ჰიმნის უკანასკნელი ბგერა, ხალხი მიყუჩდა და მხოლოდ ყრუ გუგუნი თუ ამჟღავნებდა მათ მღელვარებას.

ამასობაში ფრანგი და ორი ამერიკელი ხალხით გარსშემოჯარულ გალავანში შევიდნენ. მათ უკან მისდევდა "საზარბაზნე კულბის" წევრები და ევროპული ობსერვატორიების წარმომანდგენელთა დეპუტაცია. როგორც ყოველთვის მშვიდი და გულგრილი ბარბიკენი უკანასკნელ განკარგულებებს იძლეოდა. მას მტკიცე და მოზომილი ნაბიჯებით მიყვებოდა ტუჩმოკუმული, ზურგზე ხელედაწყობილი ნიკოლი. მიშელ არდანს სიგარეტი გაეჩარა პირში და წამდაუწუმ მხურვალედ ართმევდა ხელს გარსშემორტყმულ თაყვანისმცემლებს. იგი ყავისფერი ხავერდის, უზომოდ განიერ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილიყო, მონადირის ჩანთა ზურგზე გადაეკიდა, ფეხებზე კი კარაგები ჩაეცვა. არდანი გაუთავებლად ოხუნჯობდა, იცინოდა, მახვილსიტყვაობდა, პატარა ბიჭივით აჯავრებდა დიდად პატივცემულ ჯ. ტ. მასტონს. უკანასკნელ წუთებამდე იგი ნამდვილი ფრანგა, უფრო სწორად, ნამდვილ პარიზელად რჩებოდა.

საათმა ათჯერ ჩამოჰკრ. მოგზაურთათვის დადგა ჟამი ყუმბარა-ვაგონში ჩამსხდარიყვნენ, ვინაიდან კოლუმბიადაში ჩაშვება, ყუმბარის სათოფურეის მიხრახვნა და ამწე მანქანების დაშლა გარკვეულ დროს მოითხოვდა.

ბარბიკენმა თავისის ქრონომეტრი წამით წამზე დააყენა მერჩისონი ქრონომეტრთან, მერჩისონს დაევალა ელექტრონული ფალიის მეოხებით მოეხდინა გასროლა. ამრიგად, მოგზაურებს ყუმბარის შიგნით შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ მშვიდი ისრისათვის, რომელიც მათი გაფრენის წამს უჩვენებდა.

დადგა გამომშვიდობების ჟამი. ამაღელვებელი სანახაობა იყო. მხიარულების მიუხედავად, არდანი ღრმა მღელვარებამ შეიპყრო. მასტონის მშრალ ქუთუთოქეს მრავალი წლების მანძილზე თითქოს ამ ჟამისათვის შემონახული კურცხალი მოსწყდა.

- მოდი, მეც ჩავჯდები თქვენთან ერთად... - უჩურჩულა მან ბარბიკენს, ჯერ კიდევ დრო არის...

- შეუძლებელია, ძმობილო! - უპასუხა ბარბიკენმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამი მოგზაური უკვე ყუმბარაში იყო და კარს შიგნიდან ხრახნიდნენ. ამავე დროს ზემოდან სწრაფად ააცალეს ამწე მანქანა. განთავისუფლებული კოლუმბიადის ყელი ახლა პირდაპირ ცისკენ იყო მიშვერილი.

ნიკოლი, ბარბიკენი და მიშელ არდანი უკვე ჩაკეტილები იყვნენ ლითონის ვაგონში.

ვის შეეზლო აღწერრა მაყურბელთა მღელვარება, უკანასკნელ მიჯნას რომ მიაღწია?

გამჭვირვალე კაშკაშა ცაზე კი მთვარე მიცურავდა და თავისი შუქმფინარობით ჩრდილავდა ვარსკვლავთა ციმციმს. იგი ამ მომენტში ტყუპების თანავარსკვლავედში იმყოფებოდა, ჰორიზონტსა და ზენიტს შორის თითქმის თანაბარ მანძილზე. ყველას ესმოდა რომ იქითკენ კი არ დაუმიზნებდნენ კოლუმბიადას, არამედ უფრო ზევით ისე, ვით გაქცეულ ნადირს პირდაპირ კი არა, უფრო წინ, გარკვეულ წრტილეში ესვრიან ხოლმე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ნიავმაც კი სუნთქვა შეიკრა. ხმა არსაიდან ისმოდა. თითოეულმა სუნთქავ შეწყვიტა, ყველას მზერა მიჯაჭვული იყო კოლუმბიადის ყელისაკენ...

ამასობაში მერჩისონი დაძაბული ადევნებდა თვალყურს თავისი ქრონომეტრის ისარს. გასროლამდე ჯერ კიდევ ორმოცი წამი რჩებოდა. ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდათ.

მეოცე წამზე ხალხი შეტოკდა. ბევრმ იფიქრა, რომ ამ საშინელ წამებს იქ, ყუმბარაში მამაცი მოგზაურებიც ითვლიანო და აი, უეცრად აქეთ-იქიდან გაისმა ყვირილი.:

- ოცდათხუთმეტი! ოცდათექვსმეტი! ოცდაჩვიდმეტი! ოცდათვრამეტი! ოცდაცხრამეტი! ორმოცი! მიდი!

მერჩისონმა თითი დააჭირა გამომრთველს, დენი ჩაკეტა და ელექტრონული ნაპერწკალი დაუმიზნა კოლუმბიადის ფსკერს.

გაისმა საშინელი, გაუგონარი, წარმოუდგენელი აფეთქების ხმა! შეუძლებელია გამოსცე ამ ხმის სიძლიერე - იგი გადააჭარბებდა ყვლაზე ძლიერი მეხის გრგვინვა-ქუხილის და ვულკანური ამოფრქვევის ხმასაც კი. მიწის წიაღიდან ცეცხლის გიგანტური ენების კონამ ამოხეთქა; მიწა შეტოკდა და რამდენიმემ თუ მოჰკრა თვალი ყუმბარას, კვამლისა და ცეცხლის გრიგალში საზეიმოდ რომ აიჭრა ჰაერში.

ოცდამეშვიდე თავი

ღრუბლიანი ამინდი

კოლუმბიადიდან ყუმბარასთან ერთად ამოვარდნილმა საშინელმა ალმა მთელი ფლორიდა გაანათა, სტონზჰილის ტრამალებზე კი უზარმაზარ მანძილზე ღამე წამით დღემ შეცვალა. გიგანტური ცეცხლის სვეტი შენიშნეს ატლანტის ოკეანესა და მექსიკის ყურეში ასი მილის მანძილზე. მრავალმა გემის კაპიტანმა თვის სამგზავრო ჟურნალში შეიტანა არაჩვეულებრივი სიდიდის მეტეორის გამოჩენა.

კოლუმბიადიდან გასროლილმა ნამდილი მიწისძვრა გამოიწვია. ფლორიდა შეიძრა. გიგანტური ზარბაზნის ყელიდან ამოვარდნილმა პიროქსილინსი გაზებმა წარმოუდგენელი ძალით შეაზანზარა ატმოსფეროს ქვედა ფენები და ამ ხელოვნურმა ქარიშხალმა დედამიწას ყევლაზე შმაგი ციკლონის სიჩქარეზე უსწრაფესად გადაუქროლა.

ვერც ერთმა მაყურებელმა თავი ვერ შეიმაგრა და მამაკაცები, ქალები, ბავშვები - ყველანი მოცელილი თავთავებივით ძირს დაემხნენ. მასტონი კი მაყურებლებისათვის დაწყესებულ მიჯნას ოცი ტუზით გადასცდა და ტალღამ ისე მოისროლა, რომ ყუმბარასავით გადაუქროლა თავის თანამემამულეებს და მიწას დაენარცხა. სამასი ათასი კაცი წამით დაყრუვდა და დამუნჯდა...

გასროლით გამოწვეულმა ჰაერის ტალღამ ქოხები და სტონზჰილის ირგვლივ აშენებული პატარა ნაგებობანი წამსვე წააქცია, ძირიანად მოთხარა ხეები ოცი მილის ფარგლებში, მატარებლების შემადგენლობა ტამპამდე მიერეკა, ქალაქს ზვავით დაატყდა თავს და დაანგრია ასამდე სახლი; სხვათაშორის დაზიანდა მარიამ ღვთისმშობლის ტაძარი; ბირჟის ახალი შენობა თავიდან ბოლომდე გაიბზარ ნავსადგურში ერთმანეთს შეეჯახა რამდენიმე გემი და ჩაიძირა; რეიდზე მდგარი მრვალი გემის ღუზის ჯაჭვი ქაღალდის ძაფებივით დაწყდა და გემები ნაპირზე გამორიყა.

მოოხრდა არა მარტო შეერთებული შტატების ფარგლებში მდებარე ტერიტორიები, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ხელოვნურმა ქარიშხალმა, რომლეიც დასავლეთის ქარმაც გააძლიერა, გადაუქროლა ატლანტის ოკეანეს ამერიკის სანაპიროდან სამასი მილის მანძილზე. ამოვარდა საშინელი, მოულოდნელი გრიგალი, რომლის გათვალისწინება თვით ადმირალ ფიც-როისაც არ შეეძლო. საზარელი გრიგალი ანაზდეულად დაატყდა თავს იალქნიან გემებს, რომლებიც ისე დაიღუპნენ, რომ აფრების დაშვებაც ვერ მოასწრეს. სხვათაშორის, ამ ქარიშხლის მსხვერპლი გახდა ლივერპულის დიდი ხომალდი "ჩაილდ-ჰაროლდი". ამ სამწუხარო კატასტროფის გამო ინგლისმა დიდი საყვედური გამოთქვა.

და ბოლოს, ამ ქარიშხლის არც ერთი მოწმე მხედველობიდან რომ არ გამოგვრჩეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლუმბიადიდან გასროლის ნახევარი საათის შემდეგ სიერა-ლიონისა და გორეის ადგილობრივმა მკვიდრებმა იგრძნეს ძლიერი ბიძგი და ყრუ ხმაური: ეს იყო ხმის ტალღების გრუხუნი, რაც ფლორიდიდან დასავლეთ აფრიკამდე გაისმა. თუმცა, ეს ცნობა მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრის ნათქვამზეა დაფუძნებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფლორიდას. პირველი წუთის არეულობის შემდეგ უამრავი დამტვრეული, დაყრუბული და მიწაზე ძირს დაგდებული ადამიანი გონს მოვიდა, გამოფხიზლდა და ჰარი შეარყია ყურისწამღებმა ყვირილმა.

- ვაშა არდანს! ვაშა ბარბიკენს! ვაშა ნიკოლს!

ცას ათიათასობით ჭოგრიტი, ლორნეტი და საზვერავი მილები მიუშვირეს. ყველას დაავიწყდა თავის წინანდელი მღელვარება, დავიწყდა ტკივილები, ჭრილობები და მთელის გულმოდგინებით მაიჩერდნენ ცის სივრცეს, ცდილობდნენ, როგორმე ეპოვათ შავი წერტილი, რადაც გადაიქცა ცისკენ აჭრილი ყუმბარა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. სურდათ თუ არა, უნდა დალოდებოდნენ დეპეშას ლონგსპიკიდან. კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორი ჯ. ბელფასტი, კლდოვან მთებში უკვე თავის პოსტზე იყო. როგორც გამოცდილ, ჩინებულ ასტრონომს, მას დაავალეს თვალყური ედევნებინა ყუმბარისათვის.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი, თუმცა კაცმა რომ თქვას შეიძლებოდა ამის წინასწარ გათვალისწინებაც. გადაულახავი, ყველასათვის მტანჯველი დაბრკოლება აღიმართა მათ წინ.

საქმე ის იყო, რომ უკანასკნელ დღეებში ამინდი უეცრად შეიცვალა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ატმოსფერული ფენების ასეთმა საშინელმა არევამ და უზარმაზარი რაოდენობის ორთქლისა და გაზების მიმოფანტვამ, რაც ოთხასი ათასი

გირვანქა პიროქსილინის აფეთქებამ მოახდინა, ბუნების ძალთა წონასწორობა შეარყია. ეს საკვირველი არცაა. ხომ ცნობილია, რომ ზღვაზე ომის დროს არტილერიის ზალპებს შეუცვლია ამინდი.

მეორე დღე გათენდა. ცა კი ერთიანად დაფარული იყო ღრუბლებით. თითქოს სქელი, მძიმე ფარდა გადაფარებოდა. ეს ბედის დაცინვა იყო! შეერთებული შტატების ყოველი კუთხიდან წამოვიდა საჩივრების ნიაღვრები, მაგრამ დედაბუნებას ამან გული როდი აუჩვილა: დედამიწის მცხოვრებთ თვითონ შეაშფოთეს ატმოსფერო. კოლუმბიადის გასროლით და ახლა ნაყოფს იმკიდნენ.

მთელი დღე ამაოდ შესცქეროდნენ ცას, ღრუბლები არა და არ იფანტებოდა. თუმცა ნათელ ამინდშიც ფლორიდის მცხოვრებნი ვერ დაინახავდნენ ყუმბარას, ვინაიდან იგი მიფრინავდა იმ მიმართულებით, საითაც ღამით გაისროლეს. ხოლო დედამიწა ამასობაში უკვე ცის საპირისპირო მხარეზე იყო მოქცეული.

დაღამდა. მთვარე კი არა და არ ჩანდა, ცხადია იგი თავის დროზე ამოვიდა ჰორიზონტზე, მაგრამ სქელი ღრუბლებით დაფარული უხილავი, თითქოს განგებ ემალებოდა თავხედი ადამიანების თვალებს. დაკვირვება ყოვლად შეუძლებელი გახლდათ და დეპეშამ ლონგსპიკიდან მხოლოდ დაადასტურა ეს სამწუხარო ამბავი.

თუკი ცდამ წარმატებით ჩაიარა, მამაცი მოგზაურები, რომლებმაც 1 დეკემბერს, საღამოს 10 საათსა, 46 წუთსა და 40 წამს დატოვეს დედამიწა, მთვარეს მიაღწევდნენ 4 დდეკემბერს, შუაღამისს. ძალაუნებურად ხალხი შეურიგდა იმ აზრს, რომ ამ ვადამდე არანაირი დაკვირვება არ მოხერხდებოდა. ყველა მიხვდა იმასაც, რომ, სულ ერთია, ფრენის დროს ყუმბარას ვერ იხილავდნენ.

უკვე 4 დეკემბერს ნათელ ამინდში ბადრი მთვარის დისკოს ფონზე 8 საათიდან შუაღამემდე შესაძლებელი იყო ყუმბარის დანახვა შავი წერტილის სახით; მაგრამ ცა მაინც არ ჩანდა და ამერიკელები პირდაპირ გაცოფდნენ. ზოგიერთი წყევლიდა და ლანძღავდა კიდეც მთვარეს. აი ადამიანური ორგულობის სამწუხარო მაგალითი!

ჯ. ტ. მასტონი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ბოლოს, მან ვერ მოითმინა დ ლონგსპიკზე გაემგზავრა. გადაწყვიტა, თვითონ მოეხდინა დაკვირვება. მას ეჭვი რ ეპარებოდა, რომ მისმა მეგობრებმა უკვე გაიარეს მთელი გზა. ასე რომ არ ყოფილიყო, ყუმბარა უკანვე დაეცემოდა დედამიწას რომელიმე მატერიკაზე ან კუნძულზე და ამბავს ტელეგრაფი მსოფლიოს მოჰფენდა. თუმცა ყუმბარა შესაძლოა ოკეანეში ჩავარდნილიყო, რომელსაც დედამიწის ზედაპირის სამი მეოთხედი უჭირავს. მაგრამ მასტონს ამაზე გაფიქრებაც კი არ უნდოდა.

დადგა 5 დეკემბერი. ტელეგრაფმა აცნობა, რომ ევროპაში უღრუბლო ცაა და რომ ძველი ქვეყნის ყველა მსხვილი ტელესკოპი - გერშელის, როსის, ფუკოს და სხვათა მილები მიშვერილია დედამიწის თანამგზავრისადმი. მაგრამ ეს ხელსაწყოები იმდენად სუსტები იყვნენ, რომ ვერ მისწვდნენ კოლუმბიადის ყუმბარას.

ამინდი არც 6 დეკემბერს შეიცვალა. დედამიწის ბურთზე მცხოვრებთა სამი მესამედი საშინელმა მოუთმენლობამ შეიპყრო. ატმოსფეროში ჩამოწოლილი გაზების გასაფანტავად ათასნაირი უგუნური საშუალებების ძებნა დაიწყეს.

7 დეკემბერს ცაზე თითქოს შეთხელდა ღრუბლები. ამერიკელები გამხნევდნენ, მაგრამ ნაადრევი გამოდგა სიხარული. საღამოზე ღრუბლებმა ისევე დაგრაგნეს ცა და მთვარეც და ვარსკვლავებიც შთანთქეს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო და მართლაც, 11 დეკემბერს 9 საათსა და 11 წუთზე მთვარე უნდა შესულიყო უკანასკნელ მეოთხედში - ამის შემდეგ კარგი ამინდიც რომ დამდგარიყო, დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პირობები აღარ იქნებოდა. ყოველ

დღე ახალი მთვარის დადგომამდე იგი სულ დაიკლებდა და მხოლოდ 3 იანვარს, დღის 12 საათსა და 44 წუთზე კვლავ გაივსებოდა.

გაზეთები ბეჭდავდნენ ამ მონაცემებს, თან ათასგვარ მოსაზრებებს ურთავდნენ და არ უმალავდნენ მკითხველებს, რომ მოუწევდათ დიდ ხნის მოთმინებითი ლოდინი.

8 დეკემბერს არავითარი ცვლილება არ მოუტანია. 9-ში გამოჩნდა მზე, მაგრამ მას ყვირილითა და ლანძღვა-გინებით შეხვდნენ და ისიც თითქოს ამერიკელებზე გაჯავრებული, კვლავ მიიმალა სქელ ღრუბლებში.

10 დეკემბერი - კვლავ არავითარი ცვლილება ჯ. ტ. მასტონი ლამის ჭკუიდან შეიშალა მწუხარებისაგან. მეგობრებს ძალიან ადარდებდათ მისი ტვინის მდგომარეობა, რომელიც აქამდე მშვენივრად გრძნობდა თავს მის ხელოვნურ, გუტაფისის ქალაში.

მაგრამ 11 დეკემბერს ამოვარდა ტროპიკული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საშინელი ქარიშხალი; გაშმაგებულმა აღმოსავლეთის ქარმა მიმოფანტა ღრუბლები. შეერთებული შტატების ცის დიდი ნაწილზე რომ მოგროვილიყო და საღმოსათვის ვარსკვლავების ფონზე დიდებულად ამობრწყინდა ღამის მნათობი, თუმცა ნახევრად უკვე გალეული.

ოცდამერვე თავი

ახალი მნათობი

იმავე ღამეს მთელ შეერთებულ შტატებში გადაიფრინა დიდი ხნის ნანატრმა ცნობამ ლონგსპიკიდან, შემდეგ ატლანტური კაბელის მეშვეობით გავიდა ტელეგრაფის მავთულებში და იქიდან მთელი დედამიწის კულტურულ ცენტრებს მოეფინა.

აი, კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორის დაწვრილებითი ცნობის ტექსტი. მასში მოცემულია "საზარბაზნე კულბის" საოცარი ცდის შედეგების მეცნიერული დასკვნა.

"ლონგსპიკი; 12 დეკემბერი.
კემბრიჯის ობსერვატორიის ბიუროს წევრებს.

სტონზჰილში კოლუმბიადიდან გაშვებული ყუმბარ ბელფასტის და მასტონის მიერ შერჩეული იქნა 12 დეკემბერს. საღამოს 8 საათსა და 47 წუთზე იმ მომენტში, როცა მთვარე შედიოდა თავის მეოთხედ ფაზაში. ყუმბარამ ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილს, მაგრამ ისე ახლოს ჩაუფრინა მთვარეს, რომ მოხვდა მიზიდულობის სფეროში.

მისი სწორხაზოვანი მოძრაობა იქცა საოცარი სიჩქარის მქონე ირიბხაზოვან მოძრაობად. ამჟამად ყუმბარა მთვარის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე მოძრაობს; ამრიგად იგი მთვარის თანამგზავრად იქცქ.

ახალი ციური სხეულის თვისება ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის. გაურკვეველია მთვარის გარშემო მისი მოძრაობის დრო და აგრეთვე თავისი ღერძის გარშემო შემოტრიალების ხანგრძლივობა. ახლანდელი მისი მანძილი მთვარის ზედაპირიდან შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს 2.833 მილით (4.500 ლიე).

ამის გამო წარმოიშვება ორი ჰიპოთეზა კოლუმბიადის ჭურვის მოძრაობაზე. ან მთვარის მიზიდულობის ძალა იმძლავრებს და მაშინ მოგზაურები მიაღწევენ მოგზაურობის მიზანს, ან შეინარჩუნებს რა იმავე ორბიტას, ყუმბარა სამუდამოდ იტრიალებს მთვარის ირგვლივ.

რა საბოლოო მიმართულებას მიიღებს ყუმბარის მოძრაობა, ამას მომავალი გვიჩვენებს, ამჟამად კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ "საზარბაზნე კულბის" ცდამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მზის სისტემას მიუმატა კიდევ ერთი ციური სხეული".

ჯონ ბელფასტი".

ამ მოულოდნელმა ბოლომ რამდენი კითხვა დაბადა! რამდენი იდუმალი მოვლენა იქცა მეცნიერული კვლევის საგანად. სამი ადამიანის თავგანწირული სიმამაცისა და მეცნიერებისადმი მათი უანგარო თავდადების წყალობით ერთი შეხედვით ისეთმა ქარაფშუტულმა წამოწყებამ, როგორიცაა მთვარეზე გასროლა, უზარმაზარი შედეგი გამოიღო და მას ალბათ უამრავი გაუთვალისწინებელი რამე მოჰყვებოდა. მამაც მოგზაურებს რომ არც მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის, მთვარის სამყაროში ხომ მაინც მოხვდნენ. ისინი, როგორც ახალი მნათობი, ტრიალებდნენ ახლა დედამიწის თანამგზავრის გარშემო და ადამიანებმა პირველებმა შესძლეს ასე ახლო მანძილიდან დაეთვალიერებინათ მთვარის ზედაპირი. არდანის, ბარბიკენისა და ნიკოლის სახელები სამუდამოდ დარჩებოდა ასტრონომიის მატიანეში, ვინაიდან ეს უშიშარი მკვლევარები, ადამიანის ცოდნის არეს გაფართოების მიზნით, თამამად გაემართნენ ციურ სივრცეში და სიცოცხლე გასწირეს ახალი დროის არნახული, ყველაზე ფანტასტიკური წარმოწყების წარმატებისათვის.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო, ლონგსპიკიდან მიღებულმა ცნობამ მთელი დედამიწის მცხოვრებთა განცვიფრება და შიში გამოიწვია.

შესაძლებელია თუ არა, რაიმე დახმარება აღმოუჩინონ სამ გმირს? ალბათ არა, იმიტომ რომ მათ გააღწიეს იმ ზღვარს, რაც ბუნებამ დააწესა დედამიწის მცხოვრებთათვის.

ცოცხლები არიან თუ არა? ჰაერი ორი თვე ეყოფოდთ, სურსათი - ერთი წელიწადი. ამის შემდეგ კი რა მოხდება? ეს საშინელი კითხვა ყველაზე გულცივ ადამიანებსაც კი თავზარს სცემდა.

მხოლოდ ერთ ადამიანს არ შეეძლო ერწმუნა, რომ გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა მხოლოდ ამ ერთს სწამდა მოგზაურების გადარჩენისა. ეს იყო ერთგული მეგობარი, ისეთივე მამაცი და შეუპოვარი, როგორიც ისინი, ღირსეული ადამიანი ჯ. ტ. მასტონი.

იგი მხედველობიდან არ უშვებდა ყუმბარას. ლონგსპიკში საზვერავი ადგილი მის საცხოვრებლად იქცა. მისი ჰორიზონტი შემოფარგლული იყო კოლოსალური მილის სარკით. როგორც კი მთვარე გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე, იგი მყისვე ტელესკოპის ხედვის არეში აქცევდა მას და წამითაც არ უშვებდა მხედველობიდან, დაძაბული თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას ციურ თანავარსკვლავედებს შორის. განსაცვიფრებელი მოთმინებით ელოდა იგი ყუმბარის "გავლას" მთარის დისკოში და ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ მასტონს გამუდმებით ჰქონდა ურთიერთობა დამყარბული თავის მეგობრებთან. იგი წამითაც არ კარგავდა იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კვლავ იხილავდა მათ.

- ჩვენ მოვასწრებთ მათთან სიგნალიზაციას - ეუბნებოდ იგი ყველას, ვისაც მისი მოსმენა სურდა. - მაშინვე, როგორც კი გარემოება ამის საშუალებას მოგვცემს, მათგან

მივიღებთ ცნობებს და ჩვენც ჩვენსას გავუგზავნით. მე ვიცნობ მათ, ისინი რაიმეს მოისაზრებენ. მათ თან წაიღეს ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი სიმდიდრე. ხოლო ასეთი საუნჯის მფლობელნი ყველაფერს მიაღწევენ ამქვეყნად! დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ისინი იპოვნიან საშუალებას, თუ როგორ დააღწიონ თავი მძიმე მდგომარეობას და დაბრუნდებიან დედამიწაზე!

მთვარის გარშემო

ფრანგულიდან თარგმნა

ნიმა ანთელავამ და
ცირა ზაზაშვილმა

შესავალი თავი

აჯამებს პირველ ნაწილს და მეორე ნაწილის შესავალია

186 .. წელს მსოფლიო განცვიფრა სამეცნიერო გამოკვლევათა ისტორიაში ჩატარებულმა ერთმა გაბედულმა ცდამ. ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ ბალტიმორის არტილერისტების მიერ დაარსებული "საზარბაზნე კლუბის" წევრებმა მთვარესთან კავშირის დამყარება განიზრახა. დიახ, დიახ, სწორედ მთვარესთან. მასზე ყუმბარა უნდა გაეგზავნათ. კლუბის პრზიდენტმა და პროექტის ავტორმა ბარბიკენმა, რომელსაც კემბრიჯის ობსერვატორიის ასტრონომებისგან რჩევა-დარიგება ჰქონდა მირებული, ამ არნახული ცდის ჩასატარებლად ყველაფერი მოამზადა. მით უმეტეს, საქმეში ჩახედულებს ამგვარი ცდის განხორციელება სრულიად შესაძლებლად მიაჩნდათ. ბარბიკენმა საყოველთაო ხელმოწერა ჩაატარა ფულის შესაგროვებლად და როცა ოცდაათი მილიონი ფრანკი უკვე ხელთ ჰქონდა, გრანდიოზული სამუშაოების შესრულებას შეუდგა.

ობსერვატორიის ასტრონომების მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ქვემეხი, რომლიდანაც ყუმბარას გაისვრიდნენ, ჩრდილოეთის ან სამხრეთის განედების 0° და 28° შორის დაიდგმებოდ დ მთვარის ზენიტში იქნებოდა მიმართული. ყუმბარის თავდაპირველი სიჩქარე წამში 12 ათასი იარდი უნდა ყოფილიყო. პირველი დეკემბრის საღამოს ათ საათსა, 46 წუთსა და 40 წამზე გაშვებულ ყუმბარას მთვარისათვის ოთხი დღის შემდეგ, ანუ ხუთი დეკემბერს შუაღამისას უნდა მიეღწია, მაშინ, როცა მთვარე პერიგეაში, დედამიწიდან ყველაზე უახლოეს წერტილში იქნებოდა, ე.ი. 86 ათას 410 ლიე დააშორებდა დედამიწას.

"საზარბაზნე კლუბის" გავლენიანმა წევრებმა, პრეზიდენტმა ბარბიკენმა, მაიორმა ელფისტონმა, მდივანმა ჯ. ტ. მასტონმა და სხვა მეცნიერებმა თათბირი გამართეს და განიხილეს საკითხები: როგორი უნდა ყოფილიყო ყუმბარის ფორმა და შემადგენლობა, რა სახის ქვემეხიდან რა მდგომარეობაში უნდა გაესროლათ, რა რაოდენობისა და ხარისხის დენთი იქნებოდა საჭირო, დაადგინეს: ჯერ ერთი, 19250 ფუტიან ბურტისებურ ყუმბარას 108 დიუმი დიამეტრი და 12 დიუმის სისქის გარსი ექნებოდა. მეორე, 900 ფუტის სიგრძის კოლუმბიადის ტიპის თუჯის ქვემეხი პირდაპირ მიწაში უნდა ჩამოსხმულიყო შვეულად. ისიც დააზუსტეს, რომ ყუმბარის გასასროლად საჭირო იქნებოდა 400 ათსი ფუტი ჰიდროქსილინი, რომელიც აფეთქების დროს ექვს მილიარდ ლიტრ აირს გამოყოფდა, ეს კი სრულიად საკმარისია ყუმბარის ღამის მნათობის მიმართულებით გასატყორცნად.

როგორც კი ეს საკითხები გადაწყვიტეს, თავმჯდომარე ბარბიკენმა ინჟინერ მერჩისონის დახმარებით ფლორიდაში ამაღლებული ადგილი შეარჩია ჩრდილოეთის განედის 27°7´ და დასავლეთის გრძედის 5°7´-ზე. აქვე დიდი მუშაობის შედეგად წარმატებით ჩამოასხეს კოლუმბიადა.

ამგვარი იყო ვითარება, როცა მოულოდნელმა ამბავმა კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ამ დიდებული წამოწყების მიმართ.

ერთმა გამჭრიახმა და მამაცმა პარიზელმა ფრანგმა, რომელიც სულით ხელოვანი იყო და არც მოხერხებულობა აკლდა, სურვილი გამოთქვა, ამ ყუმბარით გაფრენილიყო მთვარეზე და გამოეკვლია დედამიწის თანამგზავრი. ამ უშიშარ ხიფათის მაძიებელს მიშელ არდანი ერქვა. ამერიკაში მას დიდი ენთუზიაზმიტ შეხვდნენ. მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდა, საიდანაც ხელში აყვანილი ტრიუმფით გამოიყვანეს. მან აიძულა პრეზიდენტი ბარბიკენი, თავის დაუძინებელ მტერს ნიკოლს შერიგებოდა. ის კი არა, დაითანხმა კიდეც, მასთან ერთად ისინიც გაფრენილიყვნენ.

რაკი დაითანხმა, ყუმბარის მრგვალი ფორმაც, ცილინდრული კონუსისებრით უნდა შეცვლილიყო. ეს თავისებური საჰაერო ვაგონი ზამბარიანი ბურთებითა და გამყოფი ტიხრებით აღჭურვეს, რათა გასროლის დროს ბიძგის სიძლიერე შეესუსტებინათ.

მთელი წლის სამყოფ საჭმელთან ერთად რამდენიმე თვის სამყოფი წყალი და რამდენიმე დღის საკმაყრისი აირი მოიმარაგეს. განსაკუთრებული აპარატი ავტომატურად გამოიმუშავებდა და მიაწოდებდა იმდენ ჟანგბადს, რამდენიც ამ სამ მოგზაურს დასჭირდებოდა. ამავე დროს, "საზარბაზნე კლუბის" დავალებით, კლდოვანი მთის ყველაზე მაღალ მწვერვალზე აიგო გიგანტური ტელესკოპი, ციურ სივრცეში ყუმბარის ფრენაზე თვალყურის სადევნებლად. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად იყო.

და აი, 1 დეკემბერს, დანიშნულ დროს, ზღვა ხალხის თვალწინ, სამმა ადამიანმა პირველად დატოვა დედამიწა და საპლანეტათშორისო სივრცეში გაფრინდნენ, ღრმად დარწმუნებულნი, რომ მიზანს მიაღწევდნენ. მამაც მკვლევარებს მიშელ არდანს, პრეზიდენგ ბარბიკენს და კაპიტან ნიკოლს ფრენა 97 საათსა, 13 წუტსა და 20 წამში უნდა დაემთავრებინათ, ე.ი. მთვარის ზედაპირზე ყუმბარა 5 დეკემბერს, შუაღამისას, სავსე მთვარის დროს უნდა დამჯდარიყო და არა 4 დეკემბერს, როგორც ზოგიერთი ცუდად ინფორმირებული გაზეთი იუწყებოდა.

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი. კოლუმბიადის გასროლამ დეტონაცია - დედამიწის ატმოსფეროს რხევა და წყლის ორთქლის დიდი რაოდენობითდაგროვება - გამოიწვია საზოგადოება აღშფოთდა - მთვარე დიდი ხნით დაფარა ღრუბლებმა და თვალთახედვას დაეკარგა.

მოგზაურთა ყევლაზე ერთგულმა მეგობარმა, სახელოვანმა ჯ. ტ. მასტონმა კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორთან, პატივცემულ ჯ. ბელფასტთან ერთად კლდოვანი მთებისაკენ გასწია და ავიდა ლონგსპიკზე, სადაც მძლავრი ტელესკოპი იდგა - იგი მთვარეს ორი ლიეს მანძილზე აახლოებდა. "საზარბაზნე კლუბის" ღირსეულ მდივანს სურდა პირადად ედევნებინა თვალყური მოგზაურებისათვის.

დეკემბრის 5, 6, 7, 8, 9 და 10 რიცხვებში ატმოსფეროში ღრუბლების სიხშირის გამო შეუძლებელი გახდა დაკვირვება. იმასაც კი შიშობდნენ, ვაითუ მომავალი წლის სამ იანვრამდე ასე გაგრძელდესო, რადგან 11 დეკემბრიდან მთვარე თავის უკანასკნელ, მეოთხედ ფაზაში შევიდოდა და დაბნელდებოდა.

მაგრამ მოხდა სასიხარულო ამბავი, 11 დეკემბერს, ღამით, ძლიერიმა ქარიშხალმა ღრუბელი გაფანტა და ცის შავ ფონზე მთვარე აკაშკაშდა.

იმ ღამესვე ლონგსპიკის სათვალთვალო პუნქტიდან მასტონმა და ბელფასტმა დეპეშა აფრინეს კემბრიჯის ობსერვატორიაში.

რას იუწყებოდნენ დეპეშით?

იტყობინებოდნენ, რომ 11 დეკემბერს, საღამოს 8 საათსა და 47 წუთზე დაინახეს სტონზჰილში კოლუმბიადიდან გასროლილი ყუმბარა, რომელიც გაურკვეველი მიზეზის გამო მთვარეს ასცდა, მაგრამ ისე ახლოს ჩაუარა, რომ მთვარის მიზიდულობის სფეროში მოხვდა. სწორხაზოვანი მოძრაობის ნაცვლად ყუმბრა უკვე მრუდედ მოძრაობდა. ელიპტიკურ ორბიტაზე გავიდა და ღამის მნათობის ირგვლივ მოძრაობა დაიწყო. იგი მთვარის თანამგზავრი გახდა.

დეპეშა იმასაც იუწყებოდა, რომ ახალი ციური სხეულის თვისებები ჯერ კიდევ შეუცნობელია და საბოლოო გამოსარკვევად მისი სხვადასხვა მდგომარეობაში შესწავლაა საჭირო. მანძილი კი, - ნათქვამი იყო დეპეშაში, - ყუმბარსა და მთვარის ზედაპირს შორის დაახლოებით 2.833 მილი, ე.ი. 4.500 ლიეაო.

დასასრულ, გამოთქმული იყო ორი ჰიპოთეზა: ან მთვარის მიზიდულობის ძალა იმოქმედებს ყუმბარაზე და მოგზაურები მიზანს მიაწევენ, ანდა ყუმბარა მთვარის სფეროს ირგვლივ იტრიალებს ჩვენი საუკუნის დასასრულამდეო.

რა ბედი მოელის მოგზაურებს? სურსათი მათ ჯერ ეყოფათ, მაგრამ ეს თამამი წამოწყება კეთილადაც რომ დაგვირგვინდეს, უკან როგორღა დაბრუნდებიან? ან, საერთოდ, შეძლებენ კი დაბრუნებას? ოდესმე მაინც თუ გაიგებს კაცობრიობა, რა დაემართათ მათ? ყველა ეს საკითხი ძალიან აღელვებდა საზოგადოებას. ცნობილი პირები პრესის საშუალებით გატაცებით განიხილავდნენ საქმის ვითარებას.

აქ საჭიროდ მიმაჩნია, ერთი შენიშვნა მივცე იმ მეცნიერებს, რომელთაც ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება სჩვევიათ. მეცნიერმა ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოს, თუ მას თავისი წმინდა თეორიული დასკვნების გამოქვეყნება აქვს გადაწყვეტილი. არვინ არ გაიძულებს ახალი პლანეტა, კომეტა, ან თუნდაც ახალი თანამგზავრი აღმოაჩინო, მაგრამ თუ შეცდი და მოტყუვდი, უთუოდ ბრბოს დაცინვის საგანი გახდები. მაშასადამე, საჭიროა მოთმინება. ჯ. ტ. მასტონიც ასევე უნდა მოქცეულიყო, ვიდრე დეპეშით ქვეყნიერებას მოჰფენდა მისი აზრით ამ უდიდესი ცდის უახლოეს შედეგებს.

დეპეშაში ორნაირი შეცდომა იყო დაშვებული, რაც შემდგომ დადასტურდა კიდეც. ჯერ ერთი, არასწორად იყო აღნიშნული მაძილი მთვარის ზედაპირსა და ყუმბარას შორის, რადგანაც 11 დეკემბერს ჯ. ტ. მასტონი ცის თაღზე ყუმბარას ვერ დაინახავდა. ის, რაც მან დაინხა თუ მოელანდა, არავითარ შემთხვევაში კოლუმბიადიდან გასროლილი ყუმბარა არ იქნებოდა.

მეორე თეორიული შეცდომა იყო: ყუმბარის მთვარის თანამგზავრად გახდომა მექანიკის ძირითადი კანონების დარღვევას ნიშნავდა.

ლონგსპიკელ მეთვალყურეთა მხოლოდ ერთადერთი ჰიპოთეზა შეიძლება გამართლებულიყო. კერძოდ, ის, რომ მოგზაურები, - თუკი ისინი ცოცხლები არიან, - ყველანაირად ეცდებიან მთვარის მიზიდულობის ძალის საშუალებით მნათობის ზედაპირს მიაღწიონ.

ასე იყო თუ ისე, საზრიანმა და მამაცმა მოგზაურებმა აფრენის საშინელ ბიძგს გაუძლეს და ახლა სწორედ ამ ვაგონ-ყუმბარით მოგზაურობის განსაცვიფრებელ და დრამატულ შემთხვევებს გიამბობთ დაწვრილებით.

ეს მოთხრობა ბევრ ილუზიასაც გააქარწყლებს და ბევრ მოსაზრებასაც უარყოფს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა იმ სიძნელის და მოულოდნელობის ნათელ სურათს წარმოადგენს, რომლებიც მსგავს ცდებთან არის დაკავშირებული. დაგვანახებს ბარბიკენის ბრწყინალე მეცნიერულ ნიჭს, საზრიანი ნიკოლის პრაქტიკულობას და მხიარულ მიშელ არდანის სიმამცეს.

გარდა ამისა, იმაშიც დავრწმუნდებით, რომ მათი ღირსეული მეგობარი ჯ. ტ. მასტონი სულ ტყუილად კარგავდა დროს, როცა გიგანტურ ტელესკოპზე აკრული ვარსკვლავთა შორის მთვარის მოძრაობას აკვირდებოდა.

პირველი თავი

დილის 10 საათსა და 20 წუთიდან საღამოს 10 საათსა და 47 წუთს შორის

ზუსტად დილის ათ საათზე მიშელ არდანი, ბარბიკენი და ნიკოლი თავიანთ მიწიერ მეგობრებს გამოეთხოვნენ. ორი ძაღლი, რომლებიც თან მიჰყავდათ, მთვარეზე ძაღლთა მოდგმის გასამრავლებლად, უკვე ყუმბარაში ისხდნენ. მოგზაურები კოლუმბიადის ხვრელს მიუახლოვდნენ და ამწემ ისინი მაშინვე ყუმბარის კონუსისებრ ლულაში ჩაიყვნა ძირამდე. იქიდან კი სპეციალური საძვრენით თავიანთი ალუმინის ვაგონში შეაღწიეს. ბაგირები და ბლოკები უკან გამოიტანეს და კოლუმბიადის ზედა ხვრელსაც ყოველგვარი ხარაჩო თუ ფიცარნაგი მოაშორეს.

როგორც კი ყუმბარაში მარტონი დარჩნენ, ნიკოლმა სქელი მეტალის სარქველით შესასვლელის ჩაკეტვა დაიწყო. სარქველი შიგნიდან ზამარიანი ქანჩებით იყო დამაგრებული. ასეთივე მჭიდრო ხუფები ფარავდა ილუმინატორების სქელ, ამობურცულ მინებს, ჰერმენტულად დახურულ ლითონის საკანში მოგზაურები სრულ წყვდიადში აღმოჩნდნენ.

- ძვირფასო თანამგზავრებო, - თქვა არდანმა, - მე ოჯახური სიმყუდროვე მიყვარს და ამასთან კარგი მეოჯახეც გახლავართ. თავი შინაურულად იგრძენით. უპირველეს ყოვლისა, შევეგუოთ ახალ საცხოვრებელს, ჯერ განათებდის ამბავი მოვაწესრიგოთ. ცოტა არ იყოს, ბნელა ეშმაკმა დალახვროს, თხუნელებისთვის ხომ არ გამოუგონიათ გაზი?

ესა თქვა და უდარდელმა ფრანგმა ასანთი ჩექმის ლანჩს გამოჰკრა. მერე ანთებული წკირი გაზის ბალონის მილთან მიიტანა, სადაც დიდი წნევის ქვეშ მანათობელი გაზის მარაგი ინახებოდა. გაზის ეს მარაგი ას ორმოცდაოთხ საათს ანუ ექვს დღე-ღამეს უნდა ჰყოფნოდათ გასანათებლად და გასათბობად. გაზის სინათლეზე მოგზაურებმა დაინახეს კომფორტაბელური დალიანდაგებულკედლებიანი ოთახი, რომელსც თაღისებური ჭერი ჰქონდა. ოთახში მრგვალი დივანი იდგა. ყუმარაში მოთავსებული ყოველა საგანი - იარაღი, ჭუჭელი, ხელსაწყოები - ყველაფერი მკვიდრად იყო კედელზე მიმაგრებული, რათა ძლიერი ბიძგისათვის გაეძლო. ამ გაბედული ცდის წარმატებით განსახორციელებლად ყველაფერი გაკეთდა, რაც კი ადამიანის ძალას შესწევდა. მიშელ არდანმა გულდასმით დაათვალიერა იქაურობა და განაცხადა, საცხოვრებლით კმაყოფილი ვარო.

- რასაკვირველია, ციხეში ვართ, - თქვა მან, - მაგრამ მფრინავ ციხეში. ხოლო სარკმლიდან ცხვირის გარეთ გაყოფაც რომ შეგვეძლოს, ასეთ ბინაზე ასი წლითაც კი სიამოვნებით დავდებდი ხელშეკრულებას. რა გაცინებს, ბარბიკენ? იმაზე ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ყუმბარა ჩვენს კუბოდ იქცევა? ასეც რომ მოხდეს, ერთ ადგილას მოქანავე მუჰამედის კუბოზე მაინც არ გავცვლი.

სანამ ქრონომეტრი საღამოს ათ საათს და ოც წუთს უჩვენებდა, როდესაც სამივენი საბოლოოდ ჩაიკეტნენ ყუმბარაში. ეს ქრონომეტრი ინჟინერ მერჩისონის საათს მეათედ წამებშიც კი ემთხვევოდა. ბარბიკენმა ქრონომეტრს დახედა და თქვა:

- მეგობრებო, ახლა ზუსტად თერთმეტის ოცი წუთია. ათ საათსა, ოცდაშვიდ წუთსა და ოც წამზე მერჩისონი ელექტროდენს გაუშვებს სადენში, რომელიც კოლუმბიადის მუხტთან იქნება შეერთებული. იმავე წუთს დედამიწას მოვწყდებით. მაშასადამე, ჩვენ მხოლოდ ოცდაშვიდი წუთი დაგვრჩა.

- ოცდაექვსი წუთი და ორმოცი წამი, - შეუსწორა პედანტმა ნიკოლმა.

- მერა რა, - წამოიძახა უდარდელმა არდანმა, - ოცდაექვს წუთში შეიძლება უამრავი საქმე მოაგვაროს კაცმა. შეიძლება განიხილო მთელი რიგი მორალური თუ პოლიტიკური პრობლემები და ახსნა კიდეც ისინი, საქმიანად გამოყენებული

ოცდაექვსი წუთი უქმად გატარებულ ოცდაექვს წელს უდრის! პასკალის ან ნიუტონის ცხოვრების რამდენიმე წამი რომელიმე უსაქმურს ან ჩერჩეტის მთლ ცხოვებას უდრის!

- მერე რა გინდა მაგით თქვა, ყბედო? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- რა და ის, რომ ჩვენ მთელი ოცდაექვსი წუთი კიდევ გვაქვს.

- ახლა უკე ოცდაოთხი წუთი, - ისევ გაუსწორა ნიკოლმა.

- კეთილი, ოცდაოთხი იყოს, ძვირფასო კაპიტანო. ოცდაოთხი წუთის განმავლობაში თამამად შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ და განვიხილოთ...

- მიშელ - გააწყვეტინა ბარბიკენმა, - ფრენისას ჩვენ საკმაო დრო გვექნება ღრმააზროვანი განსჯებისატვის, ახლა კი სჯობს გასაფრენად მოვემზადოთ.

- განა ყველფერი მზად არ არის?

- რასაკვირველია, ყველაფერი მზადაა. მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა გვაკეთოთ, რომ პირველი ძლიერი ბიძგი რაც შეიძლება სუსტი იქნება.

- ხომ არ დაგავიწყდა, გამყოფ ტიხრებში რომ წყალია ჩასხმული? მისი დრეკადობა ყოველგვარი ბიძგისაგან დაგვიცავს.

- მეც მაგის იმედი მაქვს, მიშელ, - რბილად მიუგო ბარბიკენმა, - მაგრამ მაინც მეეჭვება...

- ხედავთ, რა ხუმარაა! "იმედი" აქვს და თან "ეეჭვება". ჩვენს ჩამწყვდევას ელოდი, რომ ასეთი სამწუხარო ამბავი გეთქვა? მოვითხოვ, სასწრაფოდ გამიშვან აქედან!

- გაგიშვან? მერე როგორ? - იკითხა ბარბიკენმა.

- გვიანღაა. ჩვენ უკვე ვაგონში ვსხედვართ და ოცდაოთხი წუთის შემდეგ კონდუქტორის სასტვენის ხმას გავიგონებთ.

- ოცი წუთის შემდეგ, - შეუსწორა ნიკოლმა.

მოგზაურები ერთხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ ნივთების დათვალიერებას შეუდგნენ.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა ბარბიკენმა, - ოღონდ ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორი მდგომარეობის მიღება იქნება უკეთესი პირველი ბიძგის დროს, რომ თავში სისხლის მიწოლა ავიცდინოთ.

- მართალი ხართ, - ჩაურთო ნიკოლმა.

- მოდით, ცირკის ჯამბაზებივით ყირაზე დავდგეთ! ამას რა ჯობია! - წამოიძახა არდანმა და ყირაზე დასადგომად გაემზადა.

- არა, არა, - იუარა ბარბიკენმა, - ჯობია, წამოვწვეთ, ჩემის აზრით, პირველ დარტყმას ას უფრო გავუძლებთ. მერწმუნეთ, ყუმბარის გასროლისას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, რა მდგომარეობაში ვიქნებით.

- თუკი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ დამშვიდებული ვიქნები, - თქვა მიშელ არდანმა.

- მეთანხმებით თუ არა, ნიკოლ? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- სავსებით, - უპასუხა ნიკოლმა. - ცამეტ-ნახევარი წუთი დაგვრჩა.

- ჩვენი ნიკოლი ადამიანი კი არა, მოსიარულე ქრონომეტრია, რვაქვიანი წამმზომით. - შესძახა არდანმა.

მაგრამ ამხანაგები არდანს უკვე აღარ უსმენდნენ. მათ წარმოუდგენელი უდარდელობით დაამთავრეს უკანასკნელი სამზადისი. შორიდან ისინი აკურტულ მგზავრებს ჰგავდნენ, რომლებიც თავიანთი მატარებლის კუპეში ეწყობიან. ნეტა რისგანაა გაკეთებული ამ ამერიკელების გულები. ყველაზე საშიშ მომენტში კი ოდნავ არ აუჩარდებათ მაჯისცემა. ყუმბარაში წინასწარ სამი სქელი მაგრად გატენილი

ლეიბი მოემარაგებინათ და ახლა ნიკოლმა და ბარბიკენმა ისინი შუაში გამოაჩოჩეს, სადაც მოძრავი იატაკი იყო. ამ ლეიბებზე აპირებდნენ ისინი დაწოლას გასროლამდე რმდენიმე წუთით ადრე.

მოუსვენარი არდანი გალიაში გამომწყვდეული მხეცივით დაწრიალებდა თავის ვიწრო საკანში, (ასე დაარქვა ყუმბარას). გაუთავებლად ელაყბებოდა ხან მეგობარს და ხან ძაღლებს - დიანასა დ სატელიტს, რომელთაც როგორც ვიცით, გაფრენამდე უწოდა ეს სიმბოლური სახელები.

- ჰეი, დიანა, სატელიტ! მოდით აქ! - გამამხნევებლად უყვიროდა ძაღლებს. - ჩვენ ვაჩვენებთ მთვარეზე მცხოვრებ ძაღლებს, როგორც იქცევიან მიწიერი ძაღლები. სახელს კი გაუთქვამთ თქვენს ძაღლურ მოდგმას, მაშ! დალახვროს ეშმაკმა! თუ დაბრუნება გვეღირსა, ახლა ნაჯვარს "მთვარე-დოგს" ჩამოვიყვანთ, რომელიც არაჩვეულებრივ სენსაციას გამოიწვევს!

- თუკი მთვარეზე ძაღლები არიან, - შენიშნა ბარბიკენმა.

- რა თქმა უნდა, არიან, - დამაჯერებლად განაცხადა მიშელ არდანმა. - ძაღლების გარდა ცხენები, ძროხები, სახედრები და ქათმები კი ბინადრობენ. დაგენიძლავებით, რომ იქ ქათმებს ვნახავთ,

- ას დოლარზე გენაძლავები, რომ იქ ქათამი არ იქნება, - განაცხადა ნიკოლმა.

- გენიძლავები, კაპიტანო! - წამოიძახა არდანმა და ნიკოლს ხელი გაუწოდა.

- სხვათა შორის, შენ უკვე სამჯერ წააგე ჩვენს პრეზიდენტთან. ფული არ შეგროვდებაო და შეგროვდა, ყუმბარაც, უკეთესს ვერ ინატრებ, ისეთი ჩამოასხეს, და ბოლოს, კოლუმბიადა ყოველგვარი ავარიის გარეშე დატენეს, ასე რომ, ექვსი ათასი დოლარი უკვ წაგებული გაქვს.

- მერე რა, რომ წავაგე, - დაეთანხმა ნიკოლი, - ათი საათი, ოცდაჩვიდმეტი წუთი და ექვსი წამია!

- შესანიშნავია, კაპიტანო. თხუთმეტ წუთში პრეზიდენტს ცხრა ათას დოლარს ჩაუთვლი: ოთხი ათასს იმიტომ, რომ კოლუმბიადა გასროლისას არ აფეთდება და ხუთი ათასსაც იმისათვის, რომ ყუმბარა ექვს მილს გასცდება.

- მერე რა, დოლარები თანა მაქვს და სიამოვნებით გადავიხდი, - თქვა ნიკოლმა და მშვდად მოისვა ჯიბეზე ხელი.

- ნიკოლ, მე ვხედავ, რომ შენ წესიერი ადამიანი ხარ, საკუთარ თავზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ, მართალი გითხრა, ყველა შენი ნიძლავი შენთვის მაინც ზარალია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თუ მოიგებ, ეს ნიშნავს, რომ კოლუმბიადა ყუმბარასთან ერთად აფეთქდება... მაშინ ბარბიკენი წაგებულს ვრ გადაგიხდის.

- ჩემი საზღაური ბალტიმორის ბანკში ინახება, - ჩაერია ბარბიკენი, - და თუკი ნიკოლი დაიღუპება, ფული მის მემკვიდრეს გადაეცემა.

- ფუ, ეს რა პრაქტიკული ხალხია! - შესძახა მიშელ არდანმა. რაც უფრო ნაკლებად მესმის თქვენი, მით უფრო მეტად მაკვირვებთ.

- ათი საათი და ორმოცდაორი წუთია, - თქვა ნიკოლმა.

- ხუთი წუთიღა დარჩა, - შენიშნა ბარბიკენმა.

- დიახ, მხოლოდ ხუთი წუთი, - შესძახა მიშელ არდანმა. - ჩვენ კი ცხრაას გირვანქიანი ზრბაზნის ლულაში მოთავსებულ ყუმბრაში ვართ ჩაკეტილები. ყუმბარას ოთხი ათასი გირვანქა პიროქსილინი უდევს ქვეშ, რომელიც თექვსმეტი ათას გირვანქა ჩვეულებრივი დენთს უდრის. ჩვენი მეგობარი მერჩისონი ახლა დაჟინებით დასცქერის ქრონომეტრს და წამებს ითვლის. თითი კი ელექტრულ ღილაკზე უდევს დ მზადაა, საპლანეტაშორისო სივრცეში გვისროლოს.

- გეყოფა ხუმრობა, მიშელ! - სერიოზულად თქვა ბარბიკენმა. - მოვემზადოთ! რამდენიმე წამი და საზეიმო წუთიც დადგება, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი, მეგობრებო!

- დიახ, დიახ, სულ რამდენიმე წამში, - აჰყვა არდანიც, იგი ძლივს იკავებდა მღელვარებას. სამი მამაცი მოგზაური უკანასკნელად გადაეხვია ერთმანეთს.

- ღმერთო, დაგვიფარე! - წარმოთქვა ღვთისმოსავმე ბარბიკენმა.

არდანი და ნიკოლი დისკოს ცენტრში დადებულ ლეიბებზე წამოწვნენ.

- ათი საათი და ორმოცდაშვიდი წუთია, - ჩაიჩურჩულა კაპიტანმა.

- ოცი წამიღა დარჩა! - თქვა ბარბიკენმა. გაზი სასწრაფოდ ჩააქრო და ამხანაგებს მოუწვა.

მყუდროებას მხოლოდ ქრონომეტრის წამმზომის წიკწიკი არღვევდა.

უეცრად მეგობრებმა საშინელი ბიძგი იგრძნეს და პიროქსილინის აფეთქებით წარმოქმნილი ექვსი მილიარდი ლიტრის გაზის წნევის ქვეშ მოქცეული ყუმბარა სივრცეში გაფრინდა.

მეორე თავი

პირველი ოცდაათი წუთი

რა მოხდა? რა შედეგი მოჰყვა ამ საშინელ ბიძგს? მიაღწიეს თუ არა ყუმბარის გონებამახვილმა კონსტრუქტორებმა სასურველ შედეგს? ზამბარების, დალიანდაგებული საფენების, წყლიტ სავსე ბუფერების და გამყოფი ტიხრების საშუალებით შეძლეს თუ არა დარტყმის შესუსტება? გაუძლეს კია იმ წარმოუდგენელ სიჩქარეს, - თერტმეტ ათას მეტრს, რაც საკმარისი იყო ერთ წამში პარიზიდან ნიუ-იორკში გადასაფრენად? აი, რა აღელვებდა ამ საოცარი მოვლენის მოწმე მილიონობით ადამიანს. ამჯერად მოგზაურობის მიზანზე აღარავინ ფიქრობდა, ყველას მხოლოდ თვით მოგზაურები ადარდებდა. ნეტა რას დაინახავდა ჯ. ტ. მასტონისნაირი გამცილებელი, ცალი თვალით მაინც რომ შეეჭვრიტა ყუმბარაში?

ვერაფერსაც ვერ დაინახავდა.

ყუმბარში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ცილინდრულ-კონუსისებურმა კედლებმა გასროლას კარგად გაუძლეს: არც გაბზარულან და არც გამრუდებულან. ამ შესანიშნავმა ყუმბარამ, აფეთქების მიუხედავად, გამოცდას ჩინებულად გაუძლო - არ გამდნარა და ალუმინის წვეთებად არ წამოსულა ციდან, როგორც ზოგიერთი სკეპტიკოსები შიშობდნენ.

ყუმბარის შიგნითაც ყველაფერი წესრიგში იყო. მართალია, ზოგი საგანი გასროლისს მაღლა ავარდა, მაგრამ ყველაზე საჭირო ნივთები უვნებლად გადარჩა, რადგან საიმედოდ აღმოჩდნენ დამაგრბულნი.

საგანგებოდ მოწყობილი ტიხრები დაიმსხვრა და წყალიც გადმოიღვარა, მოძრავი დისკო ყუმბარის ძირამდე დაეშვა. დისკოზე სამი უმოძრაო სხეული იწვა. ნეტა ცოცხლები თუ არიან ბარბიკენი, ნიკოლი და არდანი, იქნებ ყუმბარა ლითონის კუბოდ იქცა და მათი გვამები სივრცეში გაიტაცა?

ცოტა ხნის შემდეგ ერთი სხეული შეინძრა: ხელები ამოძრავდა, თავმაც წამოიწია. ადამიანმა წმოიჩოქა, ეს იყო მიშელ არდანი. როდესაც საკუთარი სხეული შეიგრძნო, ღრმად ამოისუნთქა და განაცხადა:

- მიშელ არდანი უვნებლად გადარჩა! მოდი, ახლა სხვებსაც დავხედო.

ყოჩაღ ფრანგს წამოდგომა უნდოდა, მაგრამ ფეხზე დადგომა ვერ შეძლო. სისხლის ძლიერი მიმოქცევისაგან თავბრუ ეხვეოდა, თითქოს დაბრმავებულიყო, მთვრალივით ბარბაცებდა.

- ბრრ! - თქვა მან. - ისე ვარ, თითქოს ორი ბოთლი "კორტონი" დამელიოს. თუმცაღა ვერაფერი სასიამოვნო გრძნობაა.

არდანმა შუბლზე რამდენჯერმე მოისვა ხელი და საფეთქლები მოისრისა.

- ნიკოლ! ბარბიკენ! - დაიყვირა არდანმა და შეშინებულმა მიაყურადა ხმა არავის არავის გაუცია.

სიცოცხლის ნიშანწყალი არც ერთს არ ემჩნეოდა. ხელახლა დაუძახა. ისევ სიჩუმე.

- ეშმაკმა დალახვროს! - ჩაილაპარაკა არდანმა. - თითქოს ყველანი მეხუთე სართულიდან გადმოცვენილან, - დაუმატა მან ჩვეული სიმშვიდით, - რაკი ფრანგმა მუხლებზე წამოწევა შეძლო, ამერიკელები მით უმეტეს, უკვე ფეხზე უნდა იყვნენ, თუმცა, ჯერ ვნახო, რა ხდება.

არდანი თანდათან გამოცოცხლდა. სისხლის მიმოქცევა ნორმალური გაუხდა, პულსი თანაბრად მუშაობდა, წონასწორობაც აღუდგა. მალე ფეხზე დადგომაც შეეძლო და ჯიბიდან ფოსფორიანი ასანთი ამოიღო.

ასანთი ანთო და გაზის გალონის მილთან მიიტანა. ბალონი მთელი გამოდგა. გაზი რომ გაპარულიყო, სუნით შეიგრძნობდ და ასანთს ვერ აანთებდა, რადგან ჟანგბადთან ერთად გაზიც აფეთქდებოდა. გასროლისთვის რომ გაეძლოთ, სულერთია, ამას ვეღარ გაექცეოდნენ.

როგორც კი იქაურობა განათდა, არდანი მეგობრებისკენ დაიხარა. ნიკოლი ბარბიკენს ზემოდან დასცემოდა და ორივენი უსულოებს ჰგავდნენ.

არდანმა კაპიტანი წამოაყენა, დივანს მიაყრდნო და გულმოდგინედ ზელა დაუწყო. ნელ-ნელა ნიკოლი გრძნობაზე მოვიდა. მაგრამ გაახილა თუ არა თვალი, ისეთივე გულცივი გახდა, როგორიც იყო. არდანს ხელი სტაცა, მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

- ბარბიკენი სადღაა?

- მისი ჯერიც მოვა, - მშვდიდად უპასუხა არდანმა. - ამჯერად შენგან დავიწყე, რადგანაც ბარბიკენს ზემოდან აწექი.

მათ ერთად წამოაყენეს "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი და დივანზე დააწვინეს. ჩანდა, ბრბიკენი ყველაზე მეტად დაშავებულიყო. ერთიანად სისხლით იყო მოთხვრილი. მაგრამ ნიკოლი მალე დარწმუნდა, რომ სისხლი განაკაწრი მხრიდან მოჟონავდა მან მაშინვე გულდასმით შეუხვია ჭრილობა.

ბარბიკენი გრძნობაზე გვიან მოვიდა, დაფეთებული მეგობრბი ძალ-ღონის დაუზოგავად ზელდნენ მას.

- ჯერ სუნთქვას, - თქვა ნიკოლმა, რომელსაც დაჭრილისათვის მკერდზე ყური მიედო.

- დიახ, - უპასუხებდა არდანი, - ისე სუნთქავს, გეგონება შეჩვეულია. დაზილე, მაგრად დაზილე!

ორი მასაჟისტის გულმოდგინე მუშაობამ ბარბიკენი გრძნობაზე მოიყვანა. თვალები გაახილა, წამოიწია, მეგობრებს ხელი მოჰკიდა და იკითხა:

- როგორაა საქმე, ნიკოლ, მივფრინავთ?

ნიკოლმა და არდანმა ერთმანეთს გადახედეს. ყუმბარა ჯერ არც გახსენებიათ, რადგან ერთმანეთზე ზრუნვით იყვნენ გართულნი.

- მართლაც და, სადა ვართ? - იკითხა არდანმა. - მივფრინავთ თუ არა?

- ვინ იცის იქნებ ისევ ფლორიდის მიწაზე ვართ? - თქვა ნიკოლმა.

- ანდა მექსიკის ყურის ფსკერზე! - დაუმატა არდანმა.

- როგორ, რას ამბობთ! - წამოიძახა ბარბიკენმა. მეგობრების ასეთმა ვარაუდმა იგი გამოაცოცხლა.

ასე იყო თუ ისე, ყუმბარი ადგილმდებარეობის შესახებ ჯერ არაფრის თქმა შეიძლებოდა. ყუმბარის მოჩვენებითი უძრაობა და გარე სამყაროსაგან მოწყვეტა ამ კითხაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლეოდა. შესაძლოა, ყუმბარა საპლანეტათაშორისო სივრცეში მიფრინავს ტრაექტორიით ან იქნებ ცოტაზე ასცდა მას და მერე მიწაზე დაეცა ანდა მექსიკის ყურეში ჩავარდა... თუ მხედველობაში მივიღებთ ფლორიდის ნახევარკუნძულის სივიწროვეს, მაშინ ადვილი შესაძლოა, ყუმბარა მართლაც მექსიკის ყურესი ჩავარდნილიყო. მდგომარეობა სერიოზული იყო, დავალება - ძალზე საინტერესო. რაც შეიძლება მალე უნდა გარკვეულიყვნენ ვითარებაში. აღელვებულმა ბარბიკენმა თავს ძალა დაატანა, ფიზიკური სისუსტე დაძლია, ფეხზე წამოდგა და სმენად იქცა. გარედან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. სქელი კედლები არავითარ ხმას არ ატარებდა. მაგრამ ერთ-ერთმა გარემოებამ ბარბიკენი გააკვირვა: ყუმბარაში ტემპერატურა ძალზე აწეულიყო. ბარბიკენმა თერმომეტრი ბუდიდან ამოიღო: იგი 45° უჩვენებდა ცელსიუსით!

- მივფრინავთ! - შესძახა ბარბიკენმა, - მივფრინავთ! სულისშემხუთევლი სიცხე მაინც აღწევს კედლებში. ეს კი ატმოსფეროზე ყუმბარის ხახუნით აიხსნება. მალე უჰაერო სივრცეში გავალთ და ტემპერატურაც დაეცემა. ასეთი პაპანაქება სიცის შემდეგ მკაცრი სიცივის გადატანა მოგვიწევს.

- რატომ გგონია? - იკითხა არდანმა. - შენი აზრით, ბარბიკენ, ჩვენ უკვე გავცდით დედამიწის ატმოსფეროს?

- რასაკვირველია, მიშელ, რასაკვირველია. მისმინე! თერთმეტს ხუთი წუთი აკლია. რვა წუთია, მივფრინავთ. ფრენის სიჩქარე ატმოსფეროსთან ყუმბარის ხახუნს რომ არ შეემცირებინა, ექვსი წამი გვეყოფოდა თექვსმეტი ლიე სისქის დედამიწის ატმოსფეროს გადასალახავად.

- მართალია, - დაუდასტურა ნიკოლმა. - მაგრამ როგორ ფიქრობთ, რამდენად შეამცირა ხახუნმა საწყისი სიჩქარე?

- ერთი მესამედით, ნიკოლ, - უპასუხა ბარბიკენმა. - ეს ძალზე ბევრია, მაგრამ შეესაბამება ჩემს გამოანგარიშებებს. ასე და ამგვარად, თუ ყუმბარის საწყსი სიჩქარე თერთმეტი ათასი მეტრი იყო, მაშინ ატმოსფეროდან გასვლისას ის 7332 მეტრამდე უნდა შემცირებულიყო. ყოველ შემთხვვაში, ეს მანძილი ჩვენ უკვე გადავლახეთ და...

- ჩვენმა მეგობარმა ნიკოლმა ორივე ნიძლავი წააგო, - შეაწყვეტინა არდანმა. - ოთხი ათასი დოლრი იმიტომ წააგო, რომ კოლუმბიადა არ აფეთქდა და ხუთი ათასიც იმიტომ, რომ ყუმბარა ექვს მილზე მაღლა ავიდა. აბა, ნიკოლ, ჩამოკაკლე ფულები.

- მოდით, შევამოწმოთ, - თქვა კაპიტანმა. - გადახდა კი ნუ გედარებათ. შესაძლოა, ბარბიკენის ვარაუდები და გამოთვლები სწორია და მე მართლა წავაგე ცხრა ათასი დოლარი. მე სხვა რამ მაფიქრბს, რის გამოც ამ სანაძლეოს აზრი ეკარგება.

- რა? - გამოცოცხლდა ბარბიკენი.

- რა და, შესაძლოა ნაპერწკალი სულაც არ მოხვდა დენთში და ჩვენ ისევ იმავე ადგილზე ვართ.

- ეშმაკმა დალახვროს, კაპიტანო, - შესძახა მიშელ არდენმა. - ასეთ ჰიპოთეზას ჩემისთანა უვიციც კი მიხვდება. სისულელეს ლაპარაკობ მაშ, ეს ბიძგი რაღა იყო, კინაღამ სიცოცხლეს რომ გამოგვასალმა? მე არ მოგიყვანე გრძნობაზე? პრეზიდენტის ჭრილობიდან რომ სისხლი მოჟონავს, ეს რაღაა?

- გეთანხმები, მიშელ, - უპასუხა ნიკოლმა, - მაგრამ ნება მიბოძე, შეგეკითხო.

- გისმენთ, კაპიტანო.

- სროლის ხმა თუ გაიგონე, რომელიც უეჭველია, დამაყრუებელი იქნებოდა?

- არა, - უპასუხა შეცბუნებულმა არდანმა, - სროლის ხმა ნამდვილად არ გამიგონია.

- თქვენ, ბარბიკენ?

- არც მე.

- მაშ, რა გამოდის? - იკითხა ნიკოლმა.

- მართლაც, საოცარია, - ჩაიბურტყუნა პრეზიდენტმა. - რატომ ვერც ერთმა ვერ გაიგონეთ გასროლის ხმა.

გაოცებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს.

ისინი გუარკვეველ მდგომარეობაში აღმოჩდნენ. რაკი ყუმბარა გავარდა, მაშასადამე ხმაც უნდა ყოფილიყო.

- მოითმინეთ, - თქვა ბარბიკენმა, - ჯერ ვნახოთ, სად ვიმყოფებით. დარაბები გავაღოთ.

ეს იოლი საქმე სწრაფად მოაგვარეს. ქანჩები, რომელზედაც ჭანჭიკებით იყო დამაგრებული გარეთა დარაბები, ინგლისური გასაღებით გახსნეს. ჭანჭიკები ამოსწიეს და კაუჩუკიანი ლითონის საცობები ჩაარჭვეს. დარაბა ჩამოეშვა და ილუმინატორის ამობურცული შუშა გამოჩნდა. ყუმბარას მოპირდაპირე მხარესაც ასეთივე ფანჯარა ჰქონდა. მესამე ფანჯარა გუმბათზე იყო, მეოთხე - იატაკზე, ყუმბარს ფსკერზე. ამგვარად გვერდითი ფანჯრებიდან ცის სივრცის დანახვა შეიძლებოდა, ხოლო ზემო და ქვემო ილუმინატორებიდან - მთვარისა და დედამიწის. ბარბიკენი მეგობრებთან ერთად ფანჯარას ეცა.

ოდნავი სინათლეც კი არსაიდან შემოდიოდა. ყუმბარა წყვდიადმა მოიცვა.

- არა, მეგობრებო, ჩვენ არც მიწაზე დავცემულვართ და არც მექსიკის ყურეში ჩავვარდნილვართ. - შესძახა ბარბიკენმა. - მივფრინავთ! აბა, შეხედეთ მოციმციმე ვარსკვლავებს და წყვდიადს, ჩვენსა და დედამიწას შორის რომ ჩაწოლილა.

- ვაშა! ვაშა! - ერთხმად შესძახეს ნიკოლმა და არდანმა.

წყვდიადი მართლაც ადასტურებდა იმას, რომ ყუმბარამ დატოვა დედამიწა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მოგზაურები მთვარით განათებულ დედამიწას დაინახავდნენ. წყვდიადი იმასაც იუწყებოდა, რომ ყუმბარამ გაიარა დედამიწის ატმოსფერო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაერის ფენაში გაბნეული სინათლე ლითონის კედელზე აირეკლებოდა და ფანჯრებშიც შემოაღწევდა. ისინი კი კვლავაც ბნელს მოეცვა. ეჭვიც არ იყო, მოგზაურები მიფრინავდნენ.

-წავაგე, - გამოტყდა ნიკოლი.

- მომილოცავს! - უთხრა არდანმა.

- მიიღეთ ცხრა ათასი დოლარი; - თქვა კაპიტანმა და ჯიბიდან საბანკო ბილეთების შეკვრა ამოიღო.

- ფულის მიღების ხელწერილს ხომ არ ინებებთ? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, - უპასუხა ნიკოლმა, - წესრიგი ყოველთვის საჭიროა.

ბარბიკენმა სერიოზულად და ფლეგმატურად, თითქოს თავის კანტორასი იმყოფებაო, უბის წიგნაკიდან სუფთა ქაღალდი ამოხია და ფანქრით ხელწერილი დაწერა. ყველაფერი ბუღალტრული წესების დაცვით შეასრულა: ხელიც მოაწერა, რიცხვის დაუსვა, ბეჭედიც დაარტყა და ნიკოლს გადასცა. იმანაც გულმოდგინედ შეინახა თავის პორთფელში.

მიშელ არდანმა ქუდი მოიხადა და ამხანაგებს უსიტყვოდ დაუკრა თავი. უჩვეულო პიროებში დაცულმა ამგვარმა ფორმალიზმმა, იგი დაამუნჯა. ცხოვრებაში არდანს ამაზე უფრო "ამერიკული" არაფერი ენახა...

საქმიანი ცერემონიალის შემდეგ ბარბიკენი და ნიკოლი ისევ ფანჯარასთან მივიდნენ და თანავარსკვლავედებზე დაკვირვებას შეუდგნენ. ცის შავ ფონზე ვარსკვლავები მკაფიო წერტილებად ჩანდნენ. ცის შავ ფონზე ვარსკვლავები მკაფიო წერტილებად ჩანდნენ. მაგრამ მთვარის დანახვა ამ მხრიდან შეუძლებელი იყო, რადგან, აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართებოდა და თანდათან ზენიტს უახლოვდებოდა. არდანი კი გაკვირვებული იყო, მთვარე რომ ვერ დაიახა.

- სად არის მთვარე? - თქვა მან. - ნუთუ ჩვენ მას ვერ შევხვდებით?

- დამშვიდდი, - უპასუხა ბარბიკენმა. - ჩვენი მომავალი "მიწა" თავის ადგილზეა, მაგრამ აქედან არ ჩანს. მოდით, მეორე გვერდით, ფანჯარა გავაღოთ.

ის იყო ბარბიკენი მოპირდაპირე ფანჯრის გასაღებად უნდა წასულიყო, რომ უცებ მისი ყურადღება რაღაც მოახლოვებულმა კაშკაშა საგანმა მიიპყრო. ეს იყო უზარმაზარი სფერო, რომლის მოცულობას ვერ განსაზღვრავდი. დედამიწისკენ მიმართული სფერო ზედაპირი ძლიერ იყო განათებული. იგი პატარა მთვარედ შეიძლება ჩაგეთვალათ, რომელიც დიდი მთვარის სხივებს ირეკლავდა. სფერო არაჩვეულებრივი სისწრაფით მოძრაობდა. იგი, როგორც ჩანდა, დედამიწის გარშემო ბრუნავდა და ყუმბარის ტრაექტორიას გადაჰკვეთავდა. სხეული ამავე დროს თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალებდა. ისე რომ დანარჩენი ციური სხეულების მოძრაობისაგან არაფრით განსხვავდებოდა.

- ეს რაღაა? - შეჰყვირა მიშელ არდანმა. - კიდევ ერთი ყუმბარა გამოჩნდა?

ბარბიკენმა არაფერი უპასუხა. ამ უშველებელი ციური სხეულის გამოჩენამ იგი გააკვირვა და შაშფოთა. იცოდა, რომ ყუმბარა ადვილად შეიძლებოდა უცნობ ბოლიდს დასჯახებოდა, რაც მოგზაურებს კარგს არაფერს უქადდა. იგი ან მიმართულებას შეუცვლიდა ყუმბარას, ანდა დედამიწაზე ჩამოაგდებდა. შესაძლებელი იყო მიზიდულობის ძლიერი ზალით ამ ასტეროიდს ყუმბარაც თან გაეტაცა.

ბარბიკენმა სწრაფად აწონ-დაწონა სამივე შემთხვევა, რომლებსაც საბედისწერო დასასრული შეიძლებოდა მოჰყოლოდა. არდანი და ნიკოლი კი უსიტყვოდ გაჰყურებდნენ სივრცეს. სფერო ახლოვდებოდა, დიდებოდდა და ოპტიკური ილუზიის წყალობით მოგზურებს ეჩვენებოდათ, მათი ყუმბარაც სფეროსკენ მიჰქროდა.

- ეშმაკმა წაიღოს! - შეჰყვირა მიშელ არდანმა. - მატარებლები საცაა, ერთმანეთს შეასკდებიან.

მგზავრებმა ინსტინქტურად უკან დაიხიეს. ისინი ენით უთქმელ შიშს შეეპყრო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ასტეროიდმა ყუმბარას რამდენიმე ასეულ მეტრზე ჩაუქროლა და ისევე უცაბედად გაქრა, როგორც გამოჩნდა. თუმცა ეს გაუჩინარება მისი ფრენის სიჩქარით კი არ აიხსნებოდა, არამედ მთვარისკენ მიმარტული მისი ზედაპირი სრულ წყვდიადში ჩაინთქა.

- კეთილი მგზვრობა! - ჩაილაპარაკა მიშელ არდენმა და შვებით ამოისუნთქა. - წარმოგიდგენიათ! ნუთუ ამხელა სივრცეში ერთ ციცქნა ყუმბარას თავისუფლად განავარდება არ შეუძლია? რომელიმემ ხომ არ იცით, რა პლანეტა იყო ასეთი, კინაღამ რომ გვიმსხვერპლა.

- მე ვიცი, - თქვა ბარბიკენმა.

- დასწყევლოს ეშმაკმა, შენ ყოველთვის ყველფერი იცი.

- ჩვეულებრივი ბოლიდი იყო, მაგრამ საკმაოდ დიდი და მიზიდულობის წყალობით უკვე დედამიწის თანამგზავრი გახდა.

- ნუთუ მართლა? მაშ, ახლა დედამიწის ნეპტუნივით ორი მთვარე ჰყავს!

- დიახ, მიშელ, ორი მთვარე, თუმცა დადგენილია, რომ მთვარე დედამიწის ერთადერთი თანამგზავრია. მეორე კი იმდენად პატრაა და ისე სწრაფად მოძრაობს, ადამიანის თვალს მის დანახვას ვერ ასრებს. ფრანგმა ასტრონომმა პტიმ პლანეტათა ცნობილი გადახრის საფუზველზე დაადგინა დედამიწის მეორე თანამგზავრის არსებობა და დახასიათებაც მოგვცა. მისი დაკვირვებით, ეს ბოლიდი წარმოუდგენელი სიჩქარით - სამ საათსა და ოც წუთში უვლის დედამიწას.

- ყველა ასტრონომი იზიარებს ამ აზრს? - იკითხა ნიკოლმა.

- არა, ყელა არა, - უპასუხა ბარბიკენმა, - მაგრამ მათაც ისევე რომ შეხვედროდათ, როგორც ჩვენ შეგვხვდა, მის არსებობაში ეჭვიც არ შეეპარებოდათ. იცით, რა მოვიფიქრე? რომ ეს ბოლიდი, რომელმაც კინაღამ დაგვღუპა, დაგვეხმარა ჩვენი ადგილმდებარეობის გარკვევაში.

- როგორ? - გაიკვირვა არდანმა.

- მანძილი ბოლიდსა და დედამიწას შორის ცნობილია. მაშასადამე, იმ წერტილში, სადაც ბოლის შევხვდით, რვაათას ას ორმოცი კილომეტრით ვიყავით დედამიწიდან დაშორებული.

- ორი ათას მილზე მეტი! - წამოიძახა არდანმა. - ჩვენი საცოდავი დედამიწის ექსპრესები აქ რას გამოდგებოდნენ.

- აბა, რა! - თქვა ნიკოლმა და ქრონომეტრს შეხედა. - ახლა თერთმეტი საათია. 13 წუთია, რაც ამერიკის კონტინენტი დავტოვეთ.

- ნუთუ მხოლოდ ცამეტი წუთი? - გაუკვირდა ბარბიკენს.

- ზუსტად ცამეტი, - დაუდასტურა ნიკოლმა. - ჩვენი საწყისი სიჩქარე - თერთმეტი კილომეტრი - რომ მუდმივი ყოფილიყო, საათში ორი ათას ლიესაც გავივლიდით.

- ჩინებულია, მეგობრებო, - ჩაილაპარაკა ბარბიკენმა, - მაგრამ ჩვენს წინაშე ისევ ის გადაუწყვეტელი საკითხი დგას - რატომ ვერ გავიგონეთ კოლუმბიადის გასროლის ხმა?

პასუხი ვერავინ გასცა. ბარბიკენმა მეორე გვერდით ილუმინატორის დარაბას დაუწყო დაშვება. ეს ოპერაცია მან მშვენივრად ჩაატარა და ფანჯრიდან შემოჭრილმა მთვარის სინათლემ იქაურობა გაანათა. მომჭირნე ნიკოლმა სასწრაფოდ გამოთიშა გაზი, ვინაიდან იგი ხელსაც კი უშლიდათ საპლანეტათშორისო სივრცეზე დაკვირვებაში.

მთვარის დისკო საოცრად ელვარებდა. დედამიწის ნისლიანი ატმოსფერო სხვებს აღარ აკავებდა და ვერცხლისფერი ანარეკლები ყუმბარის შიგთავსს საოცრად ანათებდა ცის შავი ფარდა მთვარის სიკაშკაშეს ამუქებდა. ამ სიცარიელსი მთვარე ახლო-მახლო ვარსკვლავებს აღარ ჩრდილავდა, და სულ სხვანაირი იყო. ისეთი რომელსაც დედამიწის მცხოვრები ვერც კი წარმოიდგენს.

ადვილი მისახვედრია, როგორი ინტერესით უყურებდნენ ჩვენი მამაცი მოგზაურები ღამის მნათობს - თავიანთი მოგზასურობის მიზანს. დედამიწის თანამგზავრი შეუმჩნევლად უახლოევდებოდა ზენიტს - მათემატიკურ წერტილს, რომელსაც იგი, დაახლოებით, ოთხმოცდათექვსმეტი საათის შემდეგ მიაღწევდა. მთები, დაბლობები, მთვარის მთელი რელიეფი იმავე ზომისა ჩანდა, როგორც დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ჩანს. მაგრამ ცარიელ სივერცეშიუ მთვარე დამაბრმავებლად ანათებდა. დისკო პლატინის სარკესავით ელავდა.

მოგზაურებს დედამიწა, რომელსაც სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ უკვე აღარც ახსოვდათ. პირველად იგი კაპიტან ნიკოლს გაახსენდა.

- უმადურები ნუ ვიქნებიტ. განშორების ჟამს დედამიწას მივაპყაროთ ჩვენი უკანასკნელი მზერა. ვიდრე იგი თვალს სრულიად არ მიფარებოდა, ერთხელ კიდევ მინდა დავინახო იგი, - თქვა ნიკოლმა.

ბარბიკენი სიამოვნებით დაეთანხმა ნიკოლს და ყუმბარის იატაკზე დატანებული ფანჯრის გამოღებას შეუდგა, საიდანაც მზის დანახვა შეიძლებოდა. მოძრავი დისკო, რომელიც აფრენის დროს ფსკერს მიეკრა, არც ისეთი ავილი ასახდელი შეიქნა. ნაწილები ფრთხილად დააწყვეს კედლის გასწვრივ - ისინი კიდევ გამოადგებოდათ.

ყუმბარის ქვემოთ ნაწილში ორმოცდათექვსმეტი სანტიმეტრის სიგანის მრგვალი გამონაშუქი გამოჩნდა, რომელსაც 15 სანტიმეტრი სისქის მინა ფარავდა და სპილენძის არმატურიტ მაგრდებოდა. ფანჯარაზე გარედან ალუმინის დარაბა შურუპებით იყო მიკრული. შურუპები ამოხრახნეს, ჭანჭიკები მოუშვეს, ალუმინის დარაბა მოხსნეს და ცაც გამოჩნდა.

მიშელ არდანმა ჩაიმუხლა და ფანჯრიდან გაიხედა, ფანჯარა მუქი, მქრქალი იყო.

- რაშია საქმე! - შესძახა მან. - სად არის დედამიწა?

- დედამიწა? - აი, დედამიწაც, - თქვა ბარბიკენმა.

- ეს ვიწრო რკალი? ეს ვერცხლისფერი ნამგალი დედამიწა?

- ეს არის, მიშელ, ოთხი დღის შემდეგ, სავსე მთვარის დროს, როდესაც ჩვენ მთვარეს მივაღწევთ, დედამიწა ახალ ფაზაში იქნება. ახლა კი ვიწრო ნამგალს წააგავს, იგი მალე გაქრება და რამდენიმე დღე წყვდიადში ჩაიძირება.

- ესეც შენი დედამიწა! - გაიმეორა არდანმა, - რომელიც ფართოდ გახელილი თვალებით დაჰყურებდა მშობლიურ პლანეტას.

ბარბიკენის განმარტება სწორი იყო. დედამიწა ყუმბარის მიმართ თავის უკანასკნელ ფაზაში გადადიოდა. შავი ცის ფონზე ნათლად ჩანდა ნამგალი, მას ატმოსფეროს სქელი ფენის გამო სილურჯე გადაჰკროდა და მთვარესავით ანათებდა. თვითონ ნამგალი შეიძლებოდა ცაზე გაჭიმული უზარმაზარი მშვილდისათვის შეგედარებინათ. ზოგი წერტილი, განსაკუთრებით მოღუნულ ნაწილში, მეტად იყო განათებული და მაღალი მთების არსებობას გვამცნობდა. მაგრამ ეს წერტილები დროდადრო მუქი, მღვრიე ლაქებით იფარებოდა, რაც მთვარის ზედაპირზე არასოდეს შეგვიმჩნევია. ის ლაქები ღრუბლები იყო, რომლებიც გარს ეხვია დედამიწას.

ერთი სიტყვით, იმავე კანონის გამო, რომელიც მთვარეზეც მოქმედებს ახალი მთვარის ფაზაში ყოფნის დროს, დედამიწის დისკოც ცის ფონზე კარგად ჩანდა დისკო ფერფლისფრად ანათებდა, უფრო მუქ ნაცრისფრად, ვიდრე მთვარის შუქი. მიზეზი ადვილი გასარკვევია. მთვარის ფერფლისფერი შუქი განპირობებულია დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივებით. შემდეგ კი ეს სხივები მთვარიდან დედამიწაზე ეცემიან, ამგვარად, დედამიწიდან არეკლილი სინათლე ცამეტჯერ აღემატება მთვარისას, რაც ამ ორი ციური სხეულის მოცულობათა შორის სხვაობითაა გამოწვეული. ამიტომ განსხვავდება ეს ორი ფერფლისფერი შუქი ერთმანეთისაგან: დედამიწის მუქი ნაწილი. ვინაიდან განათების სიძლიერე ორივე მნათობის სინათლის ძალის პროპორციულია. ისიც უნდა ითქვას, რომ დედამიწის ვიწრო ზოლი - ნამგალი - ირადიაციის წყალობით უფრო გაგრძელებული იყო.

იმ დროს, როდესაც მოგზაურები საპლანეტათშორისო სივრცის ღრმა წყვდიადს გაჰყურებდნენ, მათ წინაშე ვარსკვლავთა თაიგული გადმოიშალა. ატმოსფეროს წინააღმდეგობით აელვარებულმა ასობით ბოლიდმა და ღამის წყვდიადი მოკაშკაშე ცეცხლოვანი წვიმით გაარღვია და დედამიწის ბნელი ნაწილი გამოკვეთეს. ამ დროს დედამიწა პერიგეაში იყო, დეკემბერი კი ცნობილია ვარსკვლავების ცვენით - ასტრონომები საათში ოცდახუთ ათასს ითვლიან. მაგრამ მიშელ არდენი არაფრად აგდებდა ამ მეცნიერულ განმარტებებს და ამჯობინებდა ეფიქრა, დედამიწა თავის სამ შვილს სახიფათო გზაზე შუშხუნებით აცილებსო.

აი, ყოველივე ის, რაც მეგობრებმა დაინახეს სიბნელეში ჩაძირულ მზის სისტემის ყველაზე პატარა პლანეტებზე, რომელიც ყველა დიდი პლანეტის მსგავსად, ყოველდღიურად ამოდის და ჩადის. დედამიწა ახლა სივრცეში მკვრთალადღა მოჩანდა, მერე ნამგლის გამოსახულებაც გაქრა. სულ ეს იყო, რაც მეგობრებმა დაინახეს იმ პლანეტისაგან, სადაც მათი სული და გული დარჩენილიყო.

დიდხანს გასცქეროდნენ მეგობრები სივრცეს ჩუმად, გარინდებულნი, სამივეს ერთი და იგივე გრძნობა აღელვებდა. ამასობაში კი ყუმბარა შენელებული სიჩქარიტ თანდათან სცილდებოდა დედამიწას. მოგზაურებს ძილი მოერიათ. ფიზიკური დაღლის ბრალი იყო თუ სულიერი დაცემულობისა? ბუნებრივია, დედამიწაზე ბოლო ერთი საათის ნერვიულობამ თავისი კვალი დატოვა.

- რას ვიზამთ, რაკი გვეძინება, დავიძინოთ, - თქვა მიშელმა.

მეგობრები ლეიბებზე დაწვნენ და მალე სამივენი ღრმა ძილს მიეცნენ.

45წუთის დაძინებულებიც არ იქნებოდნენ, რომ ბარბიკენი წამოხტა და ამხანაგების გაღვიძებას შეუდგა.

- მივხვდი! მივხვდი! - ყვიროდა ის.

- რას მიხვდი, რას? - წამოხტა არდანი.

- მივხვდი, რატომაც ვერ გავიგონეთ კოლუმბიადის გასროლის ხმა.

- რატომ? - იკითხა ნიკოლმა.

- იმიტომ, რომ ჩვენი ყუმბარა ზებგერითი სიჩქარით მიდის და გასროლის ხმას გაასწრო.

მესამე თავი

ახალმოსახლეობა

ასეთი გასაოცარი, მაგრამ სრულიად მართებული ახსნა-განმარტების შემდეგ მეგობრებმა ისევ ძილს მისცეს თავი. უკეთეს დასასვენებელ ადგილს სად ნახავდნენ. ქვემოთ, დედამიწაზე, ქალაქში იქნება თუ სოფელში, ხმაურს ვერ ასცდები. გემი გამუდმებით ირწევა ტალღებზე, ჰაერის ფენების სხვადასხვა სიმკვრივის გამო აეროსტატი ირხევა. მხოლოდ სიჩუმესა და სიცარიელეში მოძრავ ყუმბარაში სიმყუდროვეა.

მათშეიძლება უსასრულოდ ეძინათ, რომ ორი დეკემბერს, გაფრენიდან რვა საათის შემდეგ, უცაბედად ხმაურს არ გაეღვიძებინათ.

ძაღლი ყეფდა.

- ძაღლის ხმა! - წამოიძახა მიშელ არდენმა და წამოხტა - ო, ო, ესენი ხომ ჩვენი ძაღლები არიან!

- საწყლებს, ალბათ მოშივდათ, - თქვა ნიკოლმა.

- დალახვროს ეშმაკმა! მათი არსებობა სულ დაგვავიწყდა.

სამივე ძებნას შეუდგა და მალე ერთი ძაღლი იპოვეს კიდეც. საცოდავი დივანქვეშ მოკრუნჩხულიყო. გაფრენის ბიძგს ისე შეეშინებინა, რომ უხმოდ იწვა კუთხეში, სანამ შიმშილმა არ აიძულა, დაეყეფა.

ეს იყო საწყალი დიანა, რომელიც ჯერ მთლად გონზე ვერ მოსულიყო, მაგრამ პატრონის დაძახებაზე მაინც გამოვიდა. არდანი მიეფერა.

- დიახ, საყვარელო, მოდი ჩემტან, ჩემო გოგონა! - ეუბნებოდა ის. - მონადირეთა ჟამთააღმწერელი ხოტბას შეგასხამს შენ. კერპთაყვანისმცემლები ანუბისის მეგობრად გამოგაცხადებენ. ქრისტიანები კი - წმინდა როხას თანამგზაგვრად. შენ ღირსი ხარ, ღმერთმა აიდამ ტყვიის ქანდაკება დაგიდგას, როგორც იმ ძაღლს, იუპიეტერმა მხოლოდ ერთი კოცნისთვის მშვენიერ ევროპას რომ დაუთმო; შენი დიდება მონტარგისა და სენბერნარის მთის გმირების დიდებასაც გადააჭარბებს. შენ უკვე საპლანეტათაშორისო სამყაროში შეიჭერ და, ვინ იცის, იქნებ მთვარის ძაღლთა მოდგმის ევაც გახდე. შენ იქ, მთვარეზე, გაამართლებ ტუსნელის გამოთქმას: "პირველად ღრმერთმა ადამიანი შექმნა და რა დაინახა, რომ იგი სუსტი იყო, მისცა მას ძაღლი!"

ვინ იცის, დიანა მართლა მოხიბლა თუ არა ამგვარმა ხოტბამ, ის კი ვიცით, რომ იგი შესაბრალისი წკმუტუნიტ გამოხოხდა საწოლის ქვემოდან.

- მაშ ასე. ევა ვიპოვეთ. სადღაა ადამი? - იკითხა ბარბიკენმა.

- ადამი? - გაიმეორა არდანმა. - ადამიც სადმე აქვე იქნება.

მაგრამ სატელიტი არსად ჩანდა. დიანა ისევ ისე წკმუტუნებდა. არისო, შემდეგ კი მადისმომგვრელი ნამცხვრით გაუმასპინძლდნენ. დიანამაც მაშინვე შეწყვიტა გულისამაჩუყებელი წკმუტუნი. რაც შეეხება სატელიტს, იგი გაქრა. მხოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს ყუმბარის ზედა ნაწილში. თურმე პირველმა ბიძგმა შეაგდო იქ. საწყალი ძაღლი საცოდავად გამოიყურებოდა.

- ეჰ, ესეც შენი აკლიმატიზაცია, - თქვა მიშელმა.

უბედური ძაღლი ფრთხილად ჩამოიყვანეს დაბლა და ბალიშზე დააწვინეს. მას თაღისთვის მიერტყა თავი და გახეთქოდა. საეჭვო იყო, გადარჩებოდა თუ არა.

- ნუ გეშინია, შე საწყალო, მოგივლით, - უთხრა ძაღლს მიშელ არდანმა. - ჩვენ პასუხისმგებლები ვართ შენს სიცოცხლეზე. შენ დაკოჭლებას საკუთარი ხელის დაკარგვა მირჩევნია.

მიშელმა დაჭრილს წყალი მიაწოდა. ძაღლი წყალს ხარბად დაეწაფა. შემდეგ მოგზაურებმა ისევ მთვარეზე დაკვირვება განაგრძეს.

ამჯერად დედამიწა ფერფლისფერ დისკოს ჰგავდა, რომელსაც ცალ მხარეზე ადრინდელზე უფრო წვრილი ნამგალი შემოუყვებოდა. თუმცა მთვარესთან შედარებით, რომელიც თანდათანობიტ გამოიკვეთა, დედამიწის ნამგალი უშველებელი ჩანდა.

- რა დასანანია, რომ "სავსე დედამიწის" დროს არ გავფრინდით, ე.ი. მაშინ, როცა დედამიწა მზის პირისპირ იყო, - ამოიოხრა არდანმა.

- რატომ? - გაიკვირვა ნიკოლმა.

- იმიტომ, რომ მაშინ მატერიკებსა და ზღვებს სულ სხვაგვარად დავინახავდით. მზის სხვადასხვა ხმელეთი ცისარტყელას ყველა ფერად იქნებოდა გასხივოსნებული, ზღვები კი მუქ ლურჯად გამოჩნდებოდა, როგორც გეოგრაფიულ რუკებზეა. სურვილი მქონდა, დედამიწის პოლუსი დამენახა, რომელსაც ჯერ ადამიანის მზერა არ მოხვედრია.

- სრული სიმართლეა! - თქვა ბარბიკენმა. მაგრამ დედამიწა რომ "სავსე" ყოფილიყო, მაშინ მთვარე ახალ ფაზაში იქნებოდა და მზის სხივებში არ

გამოჩნდებოდა. ჩვენთვის უმჯობესია, მთვარეს ვუცქიროთ, ვიდრე ჩვენი გამგზავრების ადგილს.

- მართალი ბრძანდებით, ბარბიკენ, - დაეთანხმა ნიკოლი, როდესაც მთვარეს მივაღწევთ, გრძელი Mთვარიანი ღამეები იქნება და შეგვეძლება, რამდენ ხანსაც გვინდა, იმდენ ხანს ვუცქიროთ დედამიწას, სადაც ჩვენნაირები დაფუთფუთებენ.

- ჩვენნაირები? - ჩაეკითხა მიშელ არდანი. - ამჯერად ისინი ისე გვგვანან ჩვენ, როგორც მთვარის მკვიდრნი - სელენიტები. ჩვენი ყუმბარა ხომ მხოლოდ ჩვენით დასახლებული ახალი სამყაროა. მე ბარბიკენი მგავს, ბარბიკენი - ნიკოლს; ჩვენს მიღმა კაცობრიობა მთავრდება; მხოლოდ ჩვენ სამნი ვართ ახალი სამყაროს მცხოვრებლები მანამ, სანამ ჩეულებრივ სელენიტებად არ გარდავიქმნებით.

- ეს ოთხმოცდარვა საათის შემდეგ მოხდება, - თქვა ნიკოლმა.

- ამით რისი თქმა გინდა? - იკითხა მიშელ არდენმა.

- იმის, რომ ახლა მხოლოდ ცხრის ნახევარია, - უპასუხა ნიკოლმა.

- ჩემი აზრით, - დაასკვნა მიშელმა, - არც ერთი თქვენგანი საუზმის წინააღმდეგი არ იქნებით. ახლა სწორედ დროა.

მართლაც, ახალი სამყაროს ბინადართ უჭმელად გაძლება არ შეეძლოთ. კუჭი თავისას მოითხოვდა.

მიშელ არდანმა როგორ ფრანგმა, თავი შეფ-მზარეულად და განმკარგულებლად გამოაცხადა. ამ საქმესი მას არავინ შესცილებია. გაზი საკმარისად ათბობდა და ყუთშიაც საპლანეტათშორისო სივრცეში პირველი საუზმისათვის განკუთვნილი სურსათი მოეპოვებოდათ.

ჯერ არდანის მომზადებული შესანიშნავი ბულიონი მიირთვეს; მან ცხელ წყალში საუკეთესო ხარისხის ძროხის აბი - ლიბიგა გახსნა. ამას ჰიდრავლიკური წნეხის ქვეშ გატარებული ბივშტექსი მოჰყვა. ბივშტექსი ისე ნაზი და წვნიანი იყო, თითქოს ეს-ესაა ინგლისური კაფეს სამზარეულოში მოამზადესო. ფანტაზიის მქონე მიშელი მასაც კი ირწმუნებოდა, ბივშტექსი "სისხლიანიაო".

ხორცს დაკონსერვებული ბოსტნეული დააყოლეს, არდანის თქმით, მთლად "ახალი მოკრეფილი". ბოლოს ჩაიც მიაყოლეს, რომელსაც ამერიკული ნამცხვარი შეატანეს. ეს სასმელი პირველი ხარისხის ჩაის ფოთლებისაგან იყო დამზადებული. იგი რუსეთის იმპერატორმა უბოძა მოგზაურებს.

დიდებული საუზმე ჩინებული ბურგუნდიული ღვინით დააგვირგვინეს, რომელიც მიშელმა "შემთხვევით" აღმოაჩინა ყუთში. მეგობრებმა დედამიწისა და მისი თანამგზავრის სადღეგრძელო შესვეს.

მზემაც, თითქოს თავის დროზე სხივები დაეკლო ბურგუნდიის ფერდობებზე გაშენებულ ამ მადლიანი ვაზისათვის და ახლა მეგობრებთან შეერთება უნდაო, ყუმბარის ქვედა ნაწილი გაანათა, რომელიც დედამიწის კონუსისებური ჩრდილიდან გამოვიდა.

- მზე! - შესძახა არდანმა.

- დიახ, მზეა! - უპასუხა ბარბიკენმა. - სულ მის გამოჩენას ველოდი.

- დედამიწის კონუსისებური ჩრდილი ახლა მთვარის იქითა მხარეს გადაიჭიმა.

- თანაც დიდ მანძილზე, - დაემოწმა ბარბიკენი, - თუ მხედველობაში არ მივიღებთ ატმოსფეროში სხივების გარდატეხას. ხოლო როდესაც მთვარე ამ ჩრდილის გარემოცვაშია. ეს ნიშნავს, რომ მზის, დედამიწის და მთვარის ცენტრი ერთ ხაზზე იმყოფება. ამ დროს მათი ორბიტების გადაკვეთის წერტილები სავსე მთვარის ფაზას ემთხვევა და ხდება დაბნელება, მთვარის დაბნელების დროს რომ წამოვსულიყავით. მგზავრობა უსიამოვნო იქნებოდა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თუმცა ჩვენი ყუმბარა უჰაერო სივრცეში მიფრინავს, მაგრამ მზითაა განათებული და ამიტომ სინათლე და სითბო არ გვაკლია. ეს კი გაზის ეკონომიის საშუალებას გვაძლევს. გაზი სხვა დროს უფრო გამოგვადგება.

მართლაც, მზის სხივები ისე აცხუნებდა და ათბობდა ყუმბარას, თითქოს იგი ზამთრიდან უცებ ზაფხულში აღმოჩენილიყოს. ყუმბარის ზემოთა ნაწილს მთვარე ათბობდა, ქვემოთას - მზე.

- ჩვენ აქ არც ისე ცუდად ვართ მოწყობილი! - თქვა ნიკოლმა.

- აბა როგორ! - წამოიყვირა არდანმა, - ამ ჩვენს ალუმინისი ბინაში ერთი მუჭა მიწაც რომ მქონდეს, ერთი დღე-ღამის განმავლობაში შაქრის ცერცველას გავზრდიდი, ოღონდ მეშინია, ჩვენი ალუმინის კედლები არ დაადნოს.

- დამშვიდდი, ძვირფასო მეგობარო, - თქვა ბარბიკენმა, - როდესაც ყუმბარამ ატმოსფერო გაარღვია, ამაზე მაღალ ტემპერატურას გაუძლო. ფრლორიდის მცხოვრებლებს რომ ჩვენი ყუმბარა გავარვარბული ბოლიდი ჰგონებოდათ, არც გამიკვირდებოდა.

- მაშასადამე, მასტონს ჩვენ უკვე დარუკულები ვგონივართ.

- მე თვითონაც მიკვირს, რომ არ დავიწვით, - თქვა ბარბიკენმა. - ეს საფრტხე არცერთ ჩვენგანს არ გაუთვალისწინებია.

- ცდებით, ძალიანაც მეშინოდა, - მშვიდად თქვა ნიკოლმა.

- შენ კი ამის შესახებ სიტყვაც არ დაგცდენია, სახელოავნო კაპიტანო. - შეჰყვირა არდანმა და ნიკოლს ხელზე ხელი მოუჭირა.

ამასობაში ბარბიკენი ყუმბარაში ისე ეწყობოდა, თითქოს მთელი სიცოცხლე იქ აპირებდა ცხოვრებას. ჩვენ ვიცით, რომ საჰაერო ვაგონის ფართობი 54 კვ. ფუტი იყო, სიმაღლე - 12 ფუტამდე. ყუმბარა შიგნიდან ძალიან მარჯვედ იყო მოწყობილი: ყოველ საგანს, ტვირთს თუ ხელსაწყოს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ამიტომ მოგზაურებისთვისაც საკმაო ადგილი იყო დარჩენილი. ყუმბარის ფსკერზე ჩამოსული სქელი მინა დიდ სიმძიმეს გაუძლებდა. ამიტომ მეგობრები ისე თავისუფლად დადიოდნენ მასზე, როგორც ჩვეულებრივ იატაკზე. ყუმბარის ქვედა ნაწილიდან შემოჭრილი მზის სხივები კი იქაურობას ანათებდა და სინათლის ფანტასტიკურ ეფექტს იძლეოდა.

მოგზაურებმა წყლის ბაკი და სურსათი შეამოწმა. ბიძგის შესანელებლად დროზე მიღებულმა ზომებმა საკუჭნაო დაუზიანებლად გადაარჩინა სურსათი უხვად ჰქონდათ. სამივეს მთელ წელიწადს ეყოფოდათ. ბარბიკენს წინასწარ განესაზღვრათ, რომ შეიძლებოდა ყუმბარა მთვარის სრულიად უნაყოფო ადგილზე დამჯდარიყო. 50 გალონი წყალი და არაყი კი მხოლოდ ორ თვეს ეყოფოდათ.ასტრონომების ბოლოდროინდელი დაკვირვებით მთვარეზე ატმოსფერული წნევა ძალიან დაბალი იყო, თვით ატმოსფერო მკვრივი და ორთლით გაჟღენთილი, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ღრმადაბლობეში, სადაც უეჭველად უამრავი ნაკადული იყო. ასე რომ, მოგზაურებისა და მთვარეზე ყოფნის ერთი წლის განმავლობაში სამ მეგობარს არც შიმშილი და არც წყურვილი არ შეაწუხებდათ.

რჩებოდა მხოლოდ ჰაერის პრობლემა. აქაც ყველაფერი წინასწარ გაეთვალისწინებინათ. რეიზესა და რენიოს ჟანგბადის მწარმოებელ აპარატში ორი თვის სამყოფი კალიუმის ქლომრჟავა იყო ჩასხმული. ის, რა თქმა უნდა, გაზის გარკვეულ რაოდენობას ხარჯავდა, რადგანაც კალიუმის გაცხელებას 400 გრადუსზე მეტი ტემპერატურა სჭირდებოდა. ამ მხირვაც ყველაფერი გათვალისწინებული იყო. თანაც აპარატს არავითარი ხელისშეწყობა არ სჭირდებოდა, ავტომატურად

მუშაობდა. აღნიშნულ მაღალ ტემპერატურაზე კალიუმის ქლორად გარდაიქმნებოდა და ჟანგბადს გამოყოფდა. რა რაოდენობის ჟანგბადი მიიღება 18 გირვანქა კალიუმის ქლორმჟავასგან? 7 გირვანქა, რომელიც მოგზაურთათვის სრულიად საკმარისია.

მაგრამ ამოცანა მხოლოდ ჟანგბადის მარაგის შევსებით არ განისაზღვრებოდა. საჭირო იყო, ამოსუნთქული ნახშიროჟანგის მოცილებაც. თორმეტი საათის ფრენის შემდეგ ატმოსფერო ყუმბარაში ამ გაზით გაივსო, რომელიც სისხლის ელემენტების ჟანგბადთან შეერთების პროდუქტს წარმოადგენს. კაპიტანმა ნიკოლმა დიანას სუნთქვაზე შეატყო, რომ ყუმბარაში მზიმე ჰაერი იდგა. ძაღლების ცნობილი გამოქვაბულივით, ნახშიროჟანგი თავისი სიმძიმის გამო აქაც ფსკერზე დაგროვდა. ამიტომ საწყალ დიანას თავის პატრონებზე უფრო ადრე უნდა ეგრძნო მავნე გაზის მოქმედება. კაპიტანი ნიკოლი მაშინვე საქმეს შეუდგა. მწვავე ნატრიუმით სავსე ქილა წინასწარ შეანჯღრია და იატაკზე დადგა. ეს ნივთიერება ხარბად შთანთქაავს ნახშიროჟანგს და ჰაერი მალე გაიწმინდა.

შემდეგ მეგობრებმა ინსტრუმენტები და ხელსაწყოები დაათვალიერეს. ერთი მინიმალური თერმომეტრის გარდა, რომელსაც მინა ჩამსხვრეოდა, ყველა თერმომეტრი და ბარომეტრი გადარჩენილიყო. ბამბებში გახვეული ლითონის ჩინებული თერმომეტრი ყუთიდან ამოიღეს და კედელზე დაკიდეს. იგი მხოლოდ ჰაერის შიდა წნევას უჩვენებდა ყუმბარაში. მაგრამ ჰაერის ტენიანობის განმსაზღვრელი ჰიგრომეტრიც ჰქონდათ. იმჟამად ისარი 765 და 760 მილიმეტრის შუა მერყეობდა, რაც კარგი, მზიანი ამინდის მაუწყებელი იყო.

ბარბიკენის მიერ წარმოყენებული კომპასების ისრები უსწრაფესად მოძრაობდნენ და არავითარ მიმართულებას არ უჩვენებდნენ. ბუნებრივი იყო, რომ ასეთ შორ მანძილზე დედამიწის მაგნიტურ პოლუსს არ შეეძლებოდა ხელსაწყოზე ემოქმედა. მაგრამ მთვარეზე კომპასებს ძალზე საინტერესო მოვლენები შეეძლოთ აღმოეჩინათ.

ყოველ შემთხვევაში, საინტერესო იყო იმის დადგენა, ისევე ემორჩილებოდა თუ არა დედამიწის თანამგზავრი მაგნეტიზმის კანონებს. როგორც დედამიწა. შეამოწმეს გიპსომეტრიც, მთვარის მთების სიმაღლის გასაზომი ხელსწყო, სექსტანტი - მზის სიმაღლის განმსაზღვრელი ხელსაწყო, თეოდოლიტი - გეოდეზიური ხელსაწყო, რომელსაც კუთხმზომად იყენებენ. ბოლოს ჭოგრიტები გასინჯეს, მათ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთვარესთან მიახლოების დროს. ძლიერი ბიძგის მიუხედავად, ყველა ხელსაწყო თუ ინსტრუმენტი წესრიგში იყო.

სამუშაო იარაღები - წერაქვები, ძალაყინები თუ სხვა დანარჩენი, რომლებზეც ადრევე იზრუნა ნიკოლმა, აგრეთევ თესლები და ნერგები არდანს რომ მთვარეზე უნდა დაერგო, ყველაფერი ყუმბარის ზედა ნაწილში თავ-თავის ადგილზე იდო. ეს თავისებური სხვენი გამჭრიახმა ფრანგმა სხვადასხვა ნივთებით გაავსო. კაცმა არ იცოდა, რა ეწყო იქ. მიშელი საჭიროდ არ თვლიდა, სხვებსაც სცოდნოდათ, თუ რა ჰქონდა იქ. მისმა მეგობრებმა მხოლოდ ის შეამჩნიეს, რომ დროდადრო მიშელი კედელზე მიკრული კიბით სხვენზე ადიოდა და იქაურობას ალაგებდა, როღაცას არჩევდა, საიდუმლოდ ყუთებში ხელებს აფათურებდა და თან არასწორად ღიღინებდა ძველ ფრანგულ სიმღერას, რაც მის ამხანაგებს ძალიან ამხიარულებდა.

ბარბიკენი განსაკუთრებით უფრთხილდებოდა რაკეტებსა და შუშხუნებს ეს საჭირო მძიმედენთიანი მოწყობილობა ყუმბარის სიჩქარის შესანელებლად იყო გათვალისწინებული, როდესაც იგი ნეიტრალურ ზონას გაივლიდა და მთვარის მიზიდულობის ზონაში შევიდოდა, შემდეგ კი მთვარის ზედაპირზე დაეცემოდა.

დედამიწისა და მთვარის მასების სხვადასხვაობის გამო, მთვარეზე დაცემის ძალა ექვსჯერ ნაკლები იქნებოდა დედამიწაზე დაცემასთან შედარებით.

ამრიგად, შემოწმებით ყველა კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ისევ გვერდითა ილუმინატორებს მიუბრუნდნენ და საპლანეტათაშორისო სივრცის დაკვირვება განაგრძეს.

სანახაობა იგივე დახვდათ. ცა ისეთი არაჩვეულებრივი სიკაშკაშის ვარსკვლავებით და თანავარსკვლავებით იყო მოჭედილი, ყველა ასტრონომს რომ გააოგნებდა. ერთ მხარეს ცის შავ ფონზე მზე ბრწყინავდა, უზარმაზარ, გავარვარებულ ღუმელის ხახას თუ თვალისმომჭრელ უსხივო დისკოს ჰგავდა. მეორე მხრიდან მთვარე ირეკლავდა მზის სხივებს და ვარსკვლავებით გარშემორტყმული მხილველს უძრავი ეჩვენებოდა.

ქვემოთ, ცაზე ღრმა ჭასავით მოჩანდა შავი ლაქა, რომელსაც გარს ვერცხლისფერი არშია შემოჰყვებოდა: ეს დედამიწა იყო. აქა-იქ ნისლები ჩანდა, როგორც ვარსკვლავური თოვლის უზარმაზარი გუნდი. ხოლო ზენიტიდან ნადირამდე უთვალავი ვარსკვლავებისაგან უზარმაზარი წრე - ირმის ნახტომი იკვრებოდა, რომელშიაც მზეს თავისი სიდიდით მეოთხე ადგილი უჭირავს. მეგობრებმა დიდხანს თვალი ვერ მოწყვიტეს ამ ენითაუწერელ სიმშვენიერეს. რამდენი ახალი აზრი, ახალი გრძნობები აღუძრა სამყარომ მათ სულს. ცინცხალი შთაბეჭდილებით აღსავსე ბარბიკენმა შენიშვნების ჩაწერა გადაწყვიტა. ყველა შემთხვევას თანმიმდევრობით აღწერდა. დიდი, ლამის ოთხკუთხა ასოებით შესრულებული ეს მშრალი ჩანაწერები კომერციულ ანგარიშს წააგავდა.

მათემატიკოსი ნიკოლი ამ დროს ტრაექტორიის გაანგარიშებებს ამოწმედა და მარჯვედ იყენებდა ასტრონომიულ ციფრებს. არდანი ხან ბარბიკენს გამოელაპარაკებოდა, მაგრამ ის არ პასუხობდა, ხან ნიკოლს, თუმცა არც ის უსმენდა, ბოლოს დიანას გაეხმიანებოდა, მაგრამ არც მას გაეგებოდა რამე მისი განსჯისა. ბოლოს თავის თავთან იწყებდა საუბარს, თავისსავე კითხვებს თვითონვე უპასუხებდა, დაწრიალებდა, ხან აქეთ, ხან იქით აწყდებოდა. ჩაცუცქული იმზირებოდა ქვედა ილუმინატორიდან, მერე ზევით მიძვრებოდა ყუმბარის გუმბათისაკენ და თან გამუდმებით რაღაცას ღიღინებდა. ამ მიკროკოსმოსში იგი ფრანგებისათვის ესოდენ დამახასიათებელი მოძრავი და ყოველგვარ პირობებთან შემგუებელი ადამიანის განსახიერება იყო. უნდა ითქვას, რომ ფრანგებს მისი სახით ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდათ გაგზავნილი.

დღე, ანუ, უფრო ზუსტად, თორმეტსაათიანი შუალედი, რაც დედამიწაზე დღეს უდრიდა, გემრიელად მომზადებული ვახშმით დამთავრდა, აქამდე სამი მეგობრის უზრუნველი ცხოვრება არაფერს დაურღვევია, არც რწმენა შერყევიათ.

იმედებით აღვსილებმა და წარმატებაში დარწმუნებულებმა ტკბილად დაიძინეს, ყუმბარა კი წარმოუდგენელი სიჩქარით მიქროდა შეუცნობელ სამყაროში.

მეოთხე თავი

ცოტაოდენი რამ ალგებრის შესახებ

ღამემ მშვიდად ჩაიარა, თუმცა, მართალი გითხრათ, სიტყვა "ღამე" ამჯერად შეუფერებელი სიტყვაა.

ყუმბარას ოდნავაც არ შეუცვლია თავისი მდგომარეობა მზესთან შეფარდებით. ასტრონომიული დროის მიხედვით, ყუმბარის ქვედა ნაწილში დღე იყო, ზედა

ნაწილში - ღამე. ამიტომ როცა ვიხმართ სიტყვებს: "დღე" და "ღამე", დედამიწაზე მზის ამოსვლის და ჩასვლის დრო იგულისხმება.

ჩვენს მგზავრებს ტკბილად ეძინათ. დიდი სისწრაფის მიუხედავად, ყუმბარა არც კი ინძრეოდა. არავითარი რყევა. როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მოძრაობა, თუ იგი სიცარიელეში ხვდება, ადამიანის ორგანიზმზე ზეგავლენას არ ახდენს, მით უმეტეს, თუ სხეულის შემომსაზღვრელი ჰაერის მასაც ამ სხეულთან ერთად მოქმედებს. მიწა ხომ ადამიანთან ერთად მოძრაობს საათში 90 ათასი კილომეტრი სიჩქარით, მაგრამ აკი ვერ ვგრძნობთ ამას. ასეთ შემთხვევაში ვერც მოძრაობას ვგებულობთ და ვერც უძრაობას. ვერც ერთი სხეული ამას ვერ შეიგრძნობს. თუ სხეული უძრავადაა, იგი ასევე დარჩება. სანამ იმ მდგომაროებიდან რაიმე სხვა ძალა არ გამოიყვანს. ხოლო თუ სხეული მოძრაობს, იგი მანამ იმოძრავებს, სანამ რაიმე დაბრკოლებას არ წააწყდება. მოძრაობისა და უძრაობის მიმართ ასეთ გულგრილობას ინერცია ეწოდება.

ბარბიკენი და ყუმბარაში გამოკეტილი მისი თანამგზავრები სრულ უძრაობას გრძნობდნენ. სხვათა შორის, სიმშვიდის შეგრძნება მათ ყუმბარის ზედაპირზეც ექნებოდათ. მთვარე რომ არ ყოფილიყო, რომელიც თანდათან დიდდებოდა, ისინი დაგიმტკიცებდნენ, რომ რაღაც უძრავ გარემოში დაფუთფუთებდნენ.

3 დეკემბერს, დილით მეგობრები მხიარულმა, მაგრამ მოულოდნელმა ხმამ გააღვიძა. ეს მამლის ყივილი იყო.

მიშელი პირველი წამოხტა, თავის "სხვენზე" ამვრა და რაღაც ყუთი სასწრაფოდ დახურა.

- გაჩუმდები თუ არა, - თქვა მან ჩურჩულით. - ეს ოხერი მთელ გეგმებს ჩამიფუშავს!

ნიკოლმა და ბარბიკენმა გამოიღვიძეს.

- მამალი! - გაოცდა ნიკოლი.

- დამშვიდდით, მეგობრებო! - მაშინვე მიუგო მიშელმა. - სოფლური მუსიკით მინდოდა გამეღვიძებინეთ.

და მან ისეთი "ყიყლიყო" შემოსძახა, რომ თვით ყველაზე ამაყ მამალსაც კი შეშურდებოდა.

ამერიკელები სიცილით დაიხოცნენ.

- ძალიან ნიჭიერია, - თქვა ნიკოლმა და მეგობარს ეშმაკურად გადახედა.

- ასეთი ხუმრობა ჩვენთან, საფრანგეთში ძალიან მიღებულია, - მიუგო მიშელმა, - ნამდვილი გალური იუმორია, ყველაზე საუკეთესო საზოგადოებაშიც კი გაიგოებთ "ყიყლიყოს!"

შემდეგ, საუბრის თემის შეცვლის მიზნით, დაუმატა:

- იცი, ბარბიკენ, რაზე ვფიქრობდი მთელი ღამე?

- რაზე? - ჰკითხა თავმჯდომარემ.

- ჩვენს კემბრიჯელ მეგობარებზე. შენ, რასაკვირველია, შეამჩნევდი, რომ მათემატიკის არაფერი გამეგბა. ვერაფრით მივმხვდარვრ, როგორ მოახერხეს ჩვენმა ობსერვატორელმა მეცნიერებმა ყუმბარის სიჩქარის გამოთვლა, რათა მას მთვარემდე მიეღწია.

- შენ გინდა თქვა, - შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - მთვარისა და დედამიწის იმ ნეიტრალურ წერტილიდან, სადაც მათი მიზიდულობის ძალა ერთნაირია და რომელი წერტილიც ორივე პლანეტას შორის ცხრა მეათედ მანძილზე მდებარეობს, აქედან ყუმბარა თავისი სიმძიმის წყალობით მთვარემდე მიაღწევს!

- ჰო, მეც ასე ვფიქრობდი, - თქვა მიშელმა, - მაგრამ მაინც როგორ გამოთვალეს სიჩქარე?

- ეს ძალიან ადვილია.

- შენ შესძლებდი გამოანგარიშებას?

- რა თქმა უნდა. ობსერვატორია რომ არა, მე და ნიკოლი გამოვიანგარიშებდით.

- წარმოგიდგენია? - ამოიოხრა მიშელმა, - რომ მოგეკლათ, ამ ამოცანას მაინც ვერ ამოვხსნიდი.

- იმიტომ, რომ ალგებრა არ იცი, - მშვიდად უთხრა ბარბიკენმა.

- ოჰ, თქვე "იქსიჭამიებო!" თქვენის აზრით, რადგანაც ალგებრა ახსენეთ, ყველაფერი გასაგებია?

- მიშელ, - თქვა ბარბიკენმა. - მგონი დამეთანხმები, რომ უჩქაუჩოდ ლურმანს ვერ დააჭედებ და ვერც გუთნის გარეშე მოხვნავ მიწას? - ჰოდა, ალგებრაც ისეთივე იარაღია, როგორც კავი და გუთანი ხოლო იარაღი მაშინაა სასარგებლო, თუ მისი მოხმარა შეგიძლია.

- რას მეუბნები!

- სრული სიმართლეა.

- შეგიძლია ეს იარაღი ახლავე ჩემ თვალწინ გამოიყენო, თუ არ გეზარება.

- რა თქმა უნდა.

- იმასა მაჩვენებ, როგორ უნდა ყუმბარის საწყისი სიჩქარის გამოთვლა?

- დიახ, ძვირფასო მეგობარო, თუ მხედველობაში მივიღებთ ამოცანის ყველა პირობას: დედამიწის ცენტრსა და მთვარის ცენტრს შორის მანძილს, დედამიწის რადიუსსა და მასას, მთვარის მასას, შემიძლია ზუსტად დავადგინო ჩვენი ყუმბარის საწყისი სიჩქარე ყველაზე მარტივი ფორმულის საშუალებით.

- რა ფორმულაა?

- აი, ნახავ. მხოლოდ იმ მრუდე ხაზს, რომელიც ყუმბარამ დედამიწასა და მთვარეს შორის მოხაზა, ვერ გავავლებ. მხედველობაში მაქვს მზის გარშემო მათი შეფარდებითი მოძრაობა. დავუშვათ, რომ ორივე პლანეტა უძრავია. ეს უკვე სავსებით საკმარისია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ე.წ. "სამი სხეულის ამოცანის" ამოხსნა. ასეთი ამოცანების ამოსახსნელი ინტეგრალები ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული.

- ერთი ამათ დამიხედეთ, - დამცინავად წამოიძახა არდანმა, - მათემატიკოსებს თურმე ჯერ არ უთქვამთ თავიანთი ბოლო სიტყვა!

- როგორც ხედავ, არა, - მიუგო ბარბიკენმა.

- მაგრამ ვაითუ მთვარის მცხოვრებლებმა თქვენზე ადრე გამოთვალეს ეს ინტეგრალები. სიტყვამ მოიტანა და რა არის ინტეგრალური გამოთვლა?

- ეს ხერხი დიფერენციალური გამოთვლის საწინააღმდეგოა.

- დიდად გმადლობთ!

- სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ გამოთვლის საშუალებით ცნობილი დიფერენციალების საბოლოო სიდიდეებს ვიძიებთ.

- ახლა ცოტა გასაგებია! - თქვა კმაყოფილმა მიშელმა.

- ახლა კი, - თქვა ბარბიკენმა, - ქაღალდის ნაგლეჯი და ფანქრის ნატეხი მომეცი და ნახევარ საათში საჭირო ფორმულასაც გიჩვენებ.

ბარბიკენმა გამოთვლა დაიწყო. ნიკილი საპლანეტათაშორისო სივრცის შესწავლას განაგრძობდა. მიშელს კი საუზმის მოგვარება მიანდეს. ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ ბარბიკენმა თავი ასწია და არდანს ალგებრული ციფრებით სავსე ქაღალდი აჩვენა. მათ შორის ერთი ფორმულა გამოირჩეოდა:

$$\frac{1}{2}(\upsilon_0^2 - \upsilon^2) = gr\left\{\frac{r}{x} - 1 + \frac{m^2}{m}\left(\frac{r}{d-x} - \frac{r}{d-r}\right)\right\}$$

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა მიშელმა.

- ეს ნიშნავს, - უპასუხა ნიკოლმა, - რომ ერთი მეორედი υ კვადრატში მინუს υ ნულოვანი კვადრატში ტოლია gr გამრავლებულ r-ზე, შეფარდებული x-თან, მინუს ერთი პლუს m პრიმი შეფარდებული m-თან, გამრავლებული r-ზე, შეფარდებული d მინუს x, მინუს რ შეფარდებული d მინუს -r-ზე...

- ზეტის კისერზე მომჯდარ და პე-ზე ამხედრებულ იქს პლუს იგრეკი, - გადაიხარხარა მიშელმა. - და ეს ყველაფერი შენთვის გასაგებია, კაპიტანო?

- გაუგებარი არაფერია.

- როგორ არა! - თქვა მიშელმა, - ერთი შეხედვაც კი კმარა, რომ ყველაფერი მაშინვე გაიგო.

- შენ სულ აბუჩად გვიგდებ! - ჩაერია ბარბიკენი - ალგებრა გინდოდა და ესეც ალგებრა.

- ამაში გარკვეას მირჩევნია, ჩამომახრჩონ!

- მართალი გითხრათ, ეს ფორმულა სავსებით სწორი უნდა იყოს, - მცოდნე კაცის სახით თქვა ნიკოლმა, - მოქმედ ძალთა ტოლობის ეს ინტეგრალი, ეჭვს გარეშეა, სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

- მეც გამაგებინეთ რამე! - იყვირა მიშელმა. - ათი წლის სიცოცხლეს დავთმობ... ოღონდ ნიკოლისას.

- რაკი ასეა, მისმინე, - დაიწყო ბარბიკენმა, - კვადრატის ნახევარი მინუს ნულის კვადრატი - ეს არის ფორმულა, რომელიც მოქმედი ძალის ნახევრად სახეცვლილებას გვაძლევს.

- კარგი, დავუშვათ, მე გავიგე, ნიკოლმაც იცის, რას ნიშნავს ეს?

- რა თქმა უნდა, მიშელ, - უპასუხა კაპიტანმა, ყველა ის ნიშანი, რაც შენ კაბალისტიკურად გეჩვენება, საოცრად უბრალო, ყველაზე ზუსტი და ლოგიკურია იმათთვის, ვისაც ესმის.

- და შენ ფიქრობ, ნიკოლ, - თქვა მიშელმა, - რომ ეგვიპტურ "იბისებზე" უფრო გაუგებარი ამ იეროგლიფებისთ მიაგნებ ყუმბარის საწყის სიჩქარეს?

- უეჭველად, - უპასუხა ნიკოლმა, - ამ ფორმულის საშუალებით ისიც კი შემიძლია გითხრა, სივრცის რომელ წერტილში რა სიჩქარით მოძრაობს ჩვენი ყუმბარა.

- მართალს ამბობ?

- სრულ სიმართლეს.

- მაშ, შენ ბარბიკენზე ნაკლები მეცნიერი როდი ყოფილხრ.

- არა, მიშელ, ბარბიკენმა ყველაზე რთული საქმე გააკეთა. მან ამოცანის ყველა პირობის განმსაზღვრელ განტოლებას მიაგნო. სხვა დანარჩენი არითმეტიკის საქმეა და მხოლოდ ოთხი წესის ცოდნას საჭიროებს.

- ეს კი მართლა ადვილია! - უპასუხა მიშელ არდანმა, თუმცა თვის სიცოცხლეში მას ერთი ამოცანაც არ ამოუხსნია. ამ ამოცანებს იგი "ჩინურ თავსატეხებს უწოდებდა, რომელთა ამოხსნისას უსასროლოდ სხვადასხვა პასუხის მიღება შეიშლებაო".

ბარბიკენი მიშელს არწმუნებდა, რომ თუკი ნიკოლი დაფიქრებოდა, ისიც იპოვიდა ამ ფორმულას.

- არ ვიცი, - შეედავა ნიკოლი. - რაც უფრო მეტად ვუფიქრდები მას, მით უფრო მხიბლავს.

- ახლა კი შენ მომისმინე, - თქვა ბარბიკენმა და თავის უვიც მეგობარს მიუბრუნდა. - თვითონვე დარწმუნდები, რომ ყოველი იმ ასოს განსზღვრული მნიშვნელობა აქვს.

- გისმენთ, - მორჩილად თქვა მიშელმა.

- d ნიშნავს მანძილს დედამიწასა და მთარის ცენტრს შორის, - თქვა ბარბიკენმა. - ეს წერტილები ჩვენ მიზიდულობის ძალების გამოთვლისათვის გვჭირდება.

- გასაგებია.

- r დედამიწის რადიუსია.

- რადიუსი... კარგი.

- m დედამიწის მასაა, ხოლო m პრიმი მთვარის მასა. ორიე სიდიდე ფორმულაში იმიტომ შევიტანეთ, რომ სხეულთა მიზიდულობა მათი მასების პროპორციულია.

- გასაგბია.

- g სიმძიმის ძალაა, სიჩქარე, რომელსაც სხეული ერთი წამის განმავლობაში იძენს დედამიწაზე დაცემის დროს. გასაგებია?

- ყველაფერი დღესავით ნათელია.

- ასო x- ით. აღვნიშნეთ ის მოძრავი მანძილი, რომელიც ჩვენ დედამიწის ცენტრიდან გვაშორებს, ხოლო υ - ყუმბარის სიჩქარეა მოცემულ მანძილზე.

- შესანიშნავია!

- და ბოლოს, ატმოსფეროდან გასვლისას ყუმბარის სიჩქარე ნულით აღინიშნება.

- სწორია, - თქვა ნიკოლმა, - სიჩქარის გამოთვლა ამ წერტილამდე იყო საჭირო, ვინაიდან ცნობილია, რომ საწყისი სიჩქარე ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ყუმბარის ატმოსფეროდან გამოსვლის დროს.

- ვერაფერიც ვერ გავიგე! - წამოიძახა მიშელმა.

- ეს ხომ მთლად ადვილი გასაგებია? - მიუგო მიშელმა.

- როგორც ჩანს, ჩემთვისაა რთული! - მიუგო მიშელმა.

- ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ყუმბარამ დედამიწის ატმოსფეროს საზღვარს მიაღწია, სიჩქარის ერთი მესამედი უკვე დაკარგული ჰქონდა.

- ასე ბევრი?

- დიახ, ძვირფასო და თანაც ჰაერის წინააღმდეგობის გამო, ჰაერის ხახუნის გამო, გაიგე? რაც უფრო ჩქარა მიდის ყუმბარა, მით მეტ წინააღმდეგობას ხვდება ატმოსფეროსაგან.

- ეს მეც მესმის, - დაეთნმა მიშელი. - მაგრამ ყოველგვარი υ ნული და υ ნული კვადრატში ისეთივეა ჩემთვის, როგორც კედელს ცერცვი შეაყარო.

- სურლიად ბუნებრივია შენი რეაქცია ალგებრაზე. ახლა ამ ფორმულაში შესაფერ რიცხვებსაც ჩავსვამ და ბოლოც მოგეღება, - თქვა ბარბიკენმა.

- საქმე არა გაქვთ? მომკალით და ეგ არის! - სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა მიშელმა.

- ამ ფორმულაში, - განაგრძობდა ბარბიკენი, - არის ცნობილი სიდიდეები, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთაც გამოთვლა სჭირდებათ.

- ამ საქმეს მე შევუდგები, - თქვა ნიკოლმა.

- ამგვარად, ჯერ ერთი r არის დედამიწის რადიუსი, რომლის სიდიდე ჩვენი გამომგზავრების პუნქტის - ფლორიდის - განედზე ექვსი მილიონ სამას სამოცდაათი ათას მეტრს უდრის. d არის მანძილი დედამიწისა და მთვარის ცენტრებს შორის, რომელიც დედამიწის ორმოცდათექვსმეტი რადიუსის ტოლია, მაშასადამე...

- მაშასადამე, - გააწყვეტინა ნიკოლმა, რომელსაც უკვე გამოეანგარიშებინა, - ეს მანძილი 356 მილიონ 720 ათას მეტრს უდრის, როდესაც მთვარე პერიგეაში, ანუ დედამიწასთან ყველაზე ახლოსაა.

- სწორია, - დაუმოწმა ბარბიკენმა. - შემდეგ m პრიმი გაყოფილი m -ზე არის მთვარისა და დედამიწის მასების შეფარდება, რომელიც ერთ ოთხმოცდამეერთედს უდრის.

- ჩინებულია, - თქვა მიშელმა.

- g სიმძიმის ძალაა, რომელიც ფლორიდასი ცხრა მეტრსა და ოთხმოცდაერთ სანტიმეტრს უდრის. აქედან გამომდინარე gr ტოლია...

- 62 მილიონ ოთხასი ათასი კვადრატული მეტრისა, - გააგრძელა ნიკოლმა.

- შემდეგ ამას რა მოყვება? - იკითხა მიშელ არდანმა.

- შემდეგ, - მიუგო ბარბიკენმა, - როდესაც ასოები რიცხვთა სიდიდეებით შეიცვლება, შემიძლია განვსაზღვრო υ ნულოვანი, ე. ი. ატმოსფეროდან ყუმბარის გამოსვლის სიჩქარე, რათა ნულოპვანი სიჩარით ტოლი მიზუდულობის წრტილს მიაღწიოს. ამგვარად, თუ ამ დროს სიჩქარე ნულის ტოლი უნდა იყოს, მაშინ x იქნება მანძილი, რომელზეც ეს ნეიტრალური წერტილი იმყოფება და შეიძლება d-ს ცხრა მეათედი გამოვახოთ. ე.ი. მივიღებთ მანძილს ორ ცენტრს შორის.

- სრულიად გაუგებარია, - ამოიოხრა მიშელმა.

- მივიღებთ x ტოლია d-ს ცხრა მეათედის, ხოლო υ - ნულისა, მაშინ ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს....

ბარბიკენმა სწრაფად დაწერა ფორმულა:

$$V_0^2 = 2\ gr \left\{1 - \frac{10r}{9d} - \frac{1}{81}\left(\frac{10r}{d} - \frac{r}{d-r}\right)\right\}$$

- ასეა! სწორედ ასეა! - იყვირა ნიკოლმა და ხარბად დააშტერდა ფორმულას.

- ყველაფერი გასაგებია? - შეეკითხა ბარბიკენი.

- სავსებით! - შესძახა ნიკოლმა.

- ჭკუის კოლოფები! - ჩაიბურდღუნა მიშელმა.

- ბოლოს და ბოლოს რაიმე თუ გაიგე? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- მერედა რომ გავიგე! - წამოიძახა მიშელმა. - ლამისაა თავი გამისკდეს...

- ამრიგად, - განაგრძო ბარბიკენმა, - V ნულოავნი კვადრატში ტოლია ორი gr -ისა, გამრავლებული 1 მინუს ათი r, შეფარდბული ცხრა d -ზე, მინუს ერთი ოთხმოცდამეერთედი გამრავლებული ათი r, შეფარდებული d-სთან მინუს r, შეფარდებული d მინუს r -თან.

- იმისტვის, რომ გავიგოთ ატმოსფეროდან გასვლისას ყუმბარის საძიებელი სიჩქარე, - დაუმატა ნიკოლმა, - მხოლოდ გაანგარიშებაა საჭირო.

უშიშარი კაპიტანი ელვის სისწრაფით შეუდგა გამოანგარიშებას. ქაღალდზე სვეტებად აღიმართა ციფრები და მალე გამრავლებებმა და გაყოფებმა მთელი გვერდი ააჭერელა. ბარბიკენი ყურადღებით ადევნებდა თვალს კაპიტანს, მიშელს კი ორივე ხელი თავზე წაევლო, თითქოს ეს უშველიდა მის შაკიკს.

- როგორაა საქმე? - იკითხა ბოლოს ბარბიკენმა.

- ყველაფერი ზმადაა! - უპასუხა ნიკოლმა. - იმისათვის, რომ ყუმბარა ნეიტრალურ წერტილამდე მივიდეს, სადაც დედამიწის და მთვარის მიზიდულობის ძალები თანაბრდება, ატმოსფეროდან გამოსვლის სიჩქარე ტოლი უნდა იყოს...

- რისი? - მოუთმენლად იკითხა ბარბიკენმა.

- პირველ წამში 11051 მეტრის.

- როგორ? - წამოიყვირა ბარბიკენმა. - რამდენის?

- 11051 მეტრისა, - გაიმეორა კაპიტანმა.

- დასწყევლოს ეშმაკმა! - შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ბარბიკენმა.

- რა მოგივიდა, ძვირფასო? - იკითხა მიშელ არდანმა, რომელიც პრეზიდენტის აღელვების მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

- რა მომივიდა? თუ ამჟამად სიჩქარე ხახუნისაგან ერთი მესამედითაა შემცირებული, მაშინ საწყისი სიჩქარე ტოლი უნდა იყოს...

- 16576 მეტრის! - მიუგო ნიკოლმა.

- კემბრიჯის ობსერვატორიის გამოანგარიშებების მიხედვით კი 11000 მეტრი სიჩქარე საკმარისი იქნებოდა. სწორედ ამ სიჩქარით გამოვფრინდით კოლუმბიადიდან.

- მერე? - იკითხა ნიკოლმა.

- მერე ის, რომ თურმე ეს სიჩქარე საკმარისი არ ყოფილა.

- შემდეგ?

- ჩვენ ნეიტრალურ წერტილამდე ვერ მივაღწიეთ.

- დალახვროს ეშმაკმა.

- მანძილის ნახევარსაც ვერ გავივლით!

- წყეული ყუმბარა! - ამოიღმუვლა მიშელ არდანმა და ისე მარდად წამოხტა, თითქოს რამდენიმე წუთიც და ყუმბარა მიწას დაასკდებოდა.

- მაშასადამე, ჩვენ ისევ მიწაზე დავეცემით!

მეხუთე თავი

სიცივე საპლანეტათშორისო სივრცეში

გამოთვლის შედეგმა თავზარი დასცა ჩვენს მოგზაურებს. ვინ დაუშვა ასეთი შეცდომა? ბარბიკენს მაინც არ სჯეროდა ამ გამოთვლისა. ნიკოლმა ისევ შეამოწმა მთელი თავისი გაანგარიშება და დარწმუნდა, სწორი იყო. მეორედ შემოწმებისას გამოირკვა, რომ სასურველ წერტილამდე მიღწევისათვის მართლაც 16576 მეტრი სიჩქარე იყო საჭირო პირველ წამებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყუმბარა დანიშნულ ადგილამდე ვერ მიაღწევდა.

მეგობრებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს. საუზმე აღარავის ახსოვდა. ბარბიკენმა კბილი კბილს ააჭირა, მუშტი მოკუმშა და მოღუშულმა ფანჯარაში გაიხედა. გულხელდაკრეფილი ნიკოლი კი რიცხვებს მიაჩერდა.

- ესეც შენი მეცნიერები! მოდი და ენდე ამათ! - ბურტყუნებდა მიშელ არდანი. - ოც ოქროს არ დავიშურებდი, ჩვენი ყუმბარა, კემბრიჯის ობსერვატორიას რომ დაეცემოდეს და გასრესდეს იმ თაღლითებს.

უცებ ნიკოლს სახე გაუნათდა.

- მოიცათ! - თქვა მან. ახლა დილის შვიდი საათია. ჩვენ ოცდათორმეტი საათის წინ გამოვფრინდით, ე.ი. ნახევარი გზა უკვე გავიარეთ, მაგრამ როგორც ხედავთ, არ ჩამოვარდნილვართ!

ბარბიკენს არაფერი უპასუხია. ნიკოლს სწრაფად შეხედა და ხელი სტაცა ინსტურმენტს, რომელსაც დედამიწაზე კუთხის საზომად იყენებენ. მერე ქვედა სარკმელთან მივიდა და ზუსტად გამოთვალა ყველაფერი, რის საშუალებასაც ყუმბარის მოჩვენებითი უძრაობა იძლეოდა. მან შუბლზე ოფლი შეიწმინდა და ისევ შეუდგა შემოწმებას. ნიკოლი შეშფოთებული ადევნებდა თვალს. იგი მიხვდა, რომ პრეზიდენტს დედამიწის დიამეტრის სიდიდის მიხედვით უნდოდა განესაზღვრა მანძილი ყუმბარასა და დედამიწას შორის.

- არა! - კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ შესძახა ბარბიკენმა. - არ ვვარდებით! 50.000 ლიეთი ვართ დაშორებული დედამიწიდან. უკვე გავიარეთ ის წერტილი, სადაც ყუმბარა შეიძლებოდა შეჩერბულიყო, მისი საწყისი სიჩქარე მართლა 11.000 მეტრი რომ ყოფილიყო!

- ცხადია, დაუდასტურა ნიკოლმა, - მაშასადამე, 400 ათასი გირვანქა დენთის აფეთქებით გამოწვეული საწყისი სიჩქარე ბევრად აღემატებოდა თერთმეტი ათას მეტრს! ახლა კი გასაგებია, რატომაც შეხვდით დედამიწის თანამგზავრს ცამეტი წუთის შემდეგ. იგი დედამიწიდან 8140 კილომეტრითაა დაშორბული.

- სწორი განმარტებაა, - დაურთო ბარბიკენმა. - მას შემდეგ, რაც ტიხარებიდან წყალი გადმოიღვარა, ყუმბარა შესამჩნევად განიტვირთა.

- მართალია, - დაემოწმა ნიკოლი.

- ჰოდა, ძვირფასო ნიკოლ, - შესძახა ბარბიკენმა, - გადავრჩით!

- მაშ, რაკი გადავრჩით, ვისაუზმოთ, - თქვა მშვიდად არდანმა.

ნიკოლი არ შემცდარა, ყუმბარის საწყისი სიჩქარე, საბედნიეროდ, კემბრიჯელი ასტრონომების მიერ გამოანგარიშებულზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ეს მათ მიერ დაშვებულ შეცდომას არ ამართლებდა.

ფუჭი შეშფოთების შემდეგ მოგზაურები დამშვიდდნენ და მხიარულად მიუსხდნენ სუფრას სასაუზმოდ. ბევრი მიირთვეს, დიდხანს ისაუბრეს. ამ ამბის შემდეგ რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდათ.

- კაცმა რომ თქვას, მიზანს რატომ არ უნდა მივაღწიოთ? - იმეორებდა მიშელ არდანი. - ჩვენ ხომ მივფრინავთ. დაბრკოლება არსაიდან არ შეგვხვედრია, გზა თავისუფალია, ერთი კენჭიც კი არსად გდია. გემს ხომ უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. მან ოკეანის ტალღები უნდა გაარღვიოს. ჩვენი გზა ქართან მებრძოლი აეროსტატის გზაზეც თავისუფალია. თუკი გემიც და აეროსტატიც დანიშნულ ადგილზე მიდის, ჩვენ რატომღა არ უნდა მივაღწიოთ დანიშნულ ადგილს.

- მივაღწევთ კიდეც! - თქვა ბარბიკენმა.

- მივაღწევთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკელთა პრესტიჟი განვამტკიცოთ! - დაუმატა არდანმა. - ამერიკელები ერთადერთი ერია, რომელმაც ამ საქმის წამოწყება შეძლო და რომელმაც შვა ჩვენი პრეზიდენტი ბარბიკენი! ახლა კი, როდესაც სადარდებელი აღარა გვაქვს, მეშინია, არ მოგვეწყინოს... ხომ მართალია?

ბარბიკენი და ნიკოლი არ დაეთანხმნენ.

- ძვირფასო მეგობრებო, მე ყველაფერი წინასწარ გავითვალისწინე, - განაგრძო მიშელმა. - თქვენ მხოლოდ ისურვეთ და მაშინვე გაჩნდება ჭადრაკი, შაში, ბანქო თუ დომინო! მხოლოდ ბილიარდი არა გვაქვს!

- როგორ? - გაიკვირვა ბარბიკენმა, - ნუთუ ყველაფერი ეს წამოიღე?

- მაშ როგორ! - მიუგო მიშელმა, - თანაც მარტო ჩვენი სიამოვნებისათვის კი არა, მთვარელებიც მინდა მოვამარაგო.

- ჩემო კარგო, - თქვა ბარბიკენმა. - თუკი მთვარეზე მართლაც არიან მაცხოვრებლები, ისინი ჩვენზე ასეული ათასობით წლით ადრე იქნებიან გაჩენილნი, რადგანაც მთვარე უეჭველად დედამიწაზე უფრო ძველია. ხოლო თუ ისინი მართლა ასეული ათასი წელია რაც არსებობენ და გონებაც ჩვენსავით აქვთ მოწყობილი, მაშინ რაც ახლა ჩვენ ახალი გვგონია, მათ ასეული ათასი წლის წინ ექნებოდათ გამოგონილი. ჩვენ მათ ვერაფერს ვერ ვასწავლით, ისინი აქეთ გვასწავლიან.

- როგორ? - გაოცდა მიშელი. - შენ გგონია, რომ მათ ეყოლებოდათ ფიდიასის, მიქელ ანჯელოს და რაფაელის მსგავსი მხატვრები?

- რასაკვირველია.

- და ისეთი პოეტები, როგორიცაა ჰომეროსი, ვირგილიუსი, მილტონი, ლამარტინი და ჰიუგო?

- სრულიად დარწმუნებული ვარ.

- ან კიდევ ისეთი ფილოსოფოსები, როგორიცაა პლატონი, არისტოტელე, დეკარტე და კანტი?

- უდავოდ.

- ისეთი მეცნიერები, როგორიც არქიმედე, ევკლიდე, პასკალი, ნიუტონია?

- ეჭვიც არ მეპარება.

- ისეთი კომიკოსი, როგორიც არნალია, და ისეთი ფოტოგრაფი, როგორიც... ნადარი!

- რა თქმა უნდა.

- კი მაგრამ, მეგობარო, თუ ისინი ჩვენსავით ჭკვიანები არიან, ან იქნებ მეტიც, მაშინ რატომ არ მოისურვეს, დედამიწასთან კავშირი ჰქონოდათ, რატომ არ გამოუშვეს ყუმბარა დედამიწისკენ?

- ვინ გითხრა, რომ არ მოისურვეს?

- მართლაც, - შენიშნა - ნიკოლმა, - ორი მიზეზის გამო მათთვის ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ჩვენთვის. ჯერ ერთი, მთვარის მიზიდულობის ძალა ექვსჯერ სუსტია დედამიწის მიზიდულობაზე. ეს კი ყუმბარის მოძრაობას ძალზე გაადვილებდა. მეორეც, ყუმბარის გასროლა რვა ათას ლიეზე მოუხდებოდათ და არა 80 000 ლიეზე, რაც ათჯერ ნაკლებ სასროლ ძალას მოითხოვს.

- მე მაინც მაინტერესებს, - თქვა მიშელმა, - რატომ არ გააკეთეს მათ ეს?

- მეც ვიმეორებ, - უპასუხა ბარბიკენმა, - ვინ გითხრა, რომ არ გააკეთეს?

- მერე როდის?

- შეიძლება ათასი წლის წინ ჩვენს გაჩენამდე.

- ყუმბრა? მერე სად არის მთი ყუმბარა? მაჩვენე!

- საყვარელო მეგობარო, - უპასუხა ბარბიკენმა. - დედამიწის ზედაპირის ხუთი მეექვსედი წყლითაა დაფარული. ამიტომ, საგულისხმოა, რომ მთვარიდან წამოსული ყუმბარა ან ატლანტის, ან წყნარ ოკეანეშია ჩამარხული, ანდა შეიძლება რომელიმე ხრამში ჩაიჩეხა იმ დროს, როდესაც დედამიწის ქერქი ჯერ კიდევ გამაგრებული არ იყო.

- ძმაო ბარბიკენ, - შესძახა მიშელმა, - შენ ყველაფერზე მზადა გაქვს პასუხი. თაყვანს ვცემ შენს დიდ სიბრძნეს. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი ჰიპოთეზა მაქვს. თუმცა მთვარეზე მაცხოვრებელები ჩვენზე ადრე გაჩდნენ და ჩვენზე ჭკვიანები არიან, მაგრამ დენთი ჯერ არ გამოუგონიათ.

ამ დროს დიანამ ხმამაღალი ყეფა ატეხა. ძაღლი, როგორც ჩანს, თავის ულუფა საუზმეს ითხოვდა.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მიშელმა. - კამათით გავერთეთ და ძაღლები სულ დაგვავიწყდა.

დიანას მაშინვე ნამცხვრის დიდი ნაჭერი მიართვეს. ძაღლმა მაშინვე გადასანსლა.

- იცი, ბარბიკენ, ჩვენი ყუმბარისაგან მეორე ნოეს კიდობანი უნდა გაგვეკეთებინა და დედამიწის ყოველგვარი სულიერი წყვილ-წყვილად წამოგვეყვანა.

- ამდენი რამისათვის ადგილი არ გვეყოფოდა, - მიუგო ბარბიკენმა.

- როგორ არ გვეყოფოდა, ცოტას შევვიწროვდებოდით, - იწყინა მიშელმა.

- ძალიან არ გამოგვადგებოდა მთვარზე ძროხა, ხარი თუ ცხენი, - შენიშნა ნიკოლმა, - დასანანია, რომ ვაგონში საჯინიბოსი და ფარეხის მოწყობა არ ხერხდება.

- უკიდურეს შემთხვევაში, - თქვა მიშელმა, - შეიძლებოდა სახედარი მაინც წამოგვეყვანა, თუნდაც ჩოჩორი, ეს ამტანი და მომთმენი ცხოველი. მერე როგორ უყვარდა მოხუც სილენს სახედრით სეირნობა! ისინი ბუნების მიერ შექმნილ არსებათა შორის ყველზე საცოდავები და ცხოვრების გერბი არიან. მათ არა მარტო სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც სცემდნენ...

- ამით რისი თქმა გინდა? -შეეკითხა ბარბიკენი.

- დოლს ხომ სახედრის ტყავისაგან აკეთებენ!

მიშელის ამ ღრმააზროვანმა შენიშვნამ ისინი გაამხიარულა, მაგრამ არდანის მოულოდნელმა ყვირილმა, ეს განწყობილება შეწყვიტა.

- ძვირფასო მეგობრებო, - თქვა მიშელ არდანმა, სატელიტის ბუნაგში რომ შეიხედა, - სატელი მორჩა.

- მით უკეთესი, - თქვა ნიკოლმა.

- არა, თქვენ ვერ გამიგეთ. სატელიტი მოკვდა. როგორ მწყინს,- განაგრძო შეწუხებულმა, - დიანა, შე საბრალო, უკვე ვეღარ იქნება მთვარეზე ძაღლთა მოდგმის წინაპარი!

რაკი საწყალ სატელიტს ჭრილობა არ მოუშუშდა, უეჭველი იყო, მოკვდებოდა. მიშელი დაბნეული უყურებდა თავის მეგობარს.

- როგორ მოვიქცეთ! - თქვა ბარბიკენმა, - ძაღლის გვამს ყუმბარაში ხომ ვერ დავტოვებთ.

- ცხადია, ვერ დავტოვებთ, - უპასუხა ნიკოლმა, - ჩვენი ფანჯრები ხომ ანჯამებზეა დამაგრებული. რომელიმე გამოვაღოთ და ვისროლოთ სივრცეში.

- ასეც მოვიქცევით, - ცოტა დაფიქრების შემდეგ თქვა ბარბიკენმა, - მაგრამ ეს ძალიან ფრთხილად უნდა გავაკეთოთ.

- რატომ? - დაინტერესდა მიშელი.

- ორი, შენთვისაც იოლად გასაგები მიზეზის გამო, - უპასუხა ბარბიკენმა. - პირველი მიზეზი ყუმბარაში მოთავსებული ჰაერია. ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები ჰაერი გავუშვათ.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ თან აღვადგენთ კიდეც ჰაერის მარაგს!

- აღვადგენთ, მხოლოდ ნაწილობრივ, - უთხრა ბარბიკენმა. - ჩვენი აპარატი მხოლოდ ჟანგბადს აწარმოებს. სხვათა შორის ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ გამომუშავებული ჟანგბადის რაოდენობამ განსაზღვრულს არ გადააჭარბოს. ჟანგბადის სიჭარბემ შეიძლება არასასურველი ფიზიოლოგიური მოვლენები გამოიწვიოს ჩვენს ორგანიზმში. ასე რომ, ჩვენ აღვადგენთ ჟანგბადს, მაგრამ აზოგის ანაზღაურება არ შეგვიძლია. ჩვენი ფილტვები, მართალია, მას არ ითვისებენ, მაგრამ

აუცილებელია და ჰაერში მისი რაოდენობა უცვლელი უნდა დარჩეს. აი, სწორედ აზოტი გაგვიფრინდება უცებ ღია ფანჯრიდან.

- ბევრი? - იკითხა მიშელმა.

- ცოტა მაგრამ მაინც ვეცადოთ, ვიჩქაროთ.

- მეორე მიზეზი რაღაა? - იკითხა მიშელმა.

- მეორე მიზეზი ისაა, სიცივე არ შემოიჭრას ჩვენს ვაგონში. გარეთა ტემპერატურა შიგ რომ შემოვიდეს, გავიყინებით.

- ამ დროს მზე რას აკეთებს?

- მზე ათბობს ჩვენს ყუმბარას, იგი ხომ მის სხივებს შთანთქავს, ცარიელ სივრცეს კი, რომელშიც ჩვენ მივფრინავთ, არ ათბობს. სადაც ჰერი არ არის, არც სითბოა, ისე როგორც არ შეიძლება იყოს თანაბარი სინათლე. აქედან გამომდინარე, იქ, სადაც მზის სხივები ვერ აღწევს, სიბნელე და სიცივეა, უჰაერო სივრცის ტემპერატურა მხოლოდ ვარსკვლავთა გამოსხივებით განისაზღვრება. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მზე რომ ჩაქრეს, ასეთივე ტემპერატურა იქნებოდა დედამიწაზეც.

- ამის საშიშროებაც კი ნამდვილად არ გვემუქრება, - უპასუხა ნიკოლმა

- ვინ იცის, - შეედავა მიშელ არდანი. - შეიძლება მზე არ ჩაქრეს, მაგრამ ხომ შეიძლება დედამიწა დაშორდეს მზეს?

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ბარბინეკმა, - ჩვენს მიშელს ისევ ახალი იდეები გაუჩნდა!

- რატომაც არა. ნუთუ არ იცი, 1861 წელს დედამიწამ კომეტის კუდი რომ გადაკვეთა? დავუშვათ, რომ რომელიმე კომეტის მიზიდულობის ძალა მზის მიზიდულობასთან შედარებით ძლიერი აღმოჩნდა. მაშინ დედამიწის ორბიტა მოხეტიალე მნათობისაკენ გადაიხრება, დედამიწა მისი თანამგზავრი გახდება და ისეთი მანძილით დაშორდება მზეს, რომ მის სხივები ვერ გათბობენ.

- ეს ნამდვილად შეიძლება მოხდეს, - დაეთანხმა ბარბიკენი, - მაგრამ ისიც სარწმუნოა, რომ ასეთ შემთხვევაში შედეგი ნაკლებად საშიშია, ვიდრე შენ ფიქრობ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ სიცივეც და სითბოც ჩვენს პლანეტაზე მაინც გაწონასწორდება. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ თუ დედამიწას 1861 წელს კომეტა მიიზიდავდა, იგი მზისაგან ყველაზე დიდი მანძილით დაშორდებოდა, მაგრამ მაშინაც კი თექვსმეტჯერ მეტ სითბოს მიიღებდა მისგან, ვიდრე დედამიწა მთვარისაგან ღებულობს. ამგვარი სითბო, ყველაზე ძლიერი ლინზებით თავმოყრილიც კი, თითქოს არავითარ ეფექტს არ იძლევა.

- ნუთუ მართლა! - ჰკითხა მიშელმა.

- დამაცა, -შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - ისიც გამოანგარიშებულია, როდესაც დედამიწა პერიგეაში, ესე იგი მზესთან ყველაზე ახლოს იმყოფება, მაშინ მან ოცდარვაათასჯერ მეტი ტემპერატურა უნდა დააფრქვიოს დედამიწას, ვიდრე ჩვენი ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა. ასეთი სიცხე დედამიწაზე ყველა მყარ ნივთიერბას გაადნობდა, მთელ წყალს ააორთქლებდა, მაგრამ თან დდამიწის გარშემო ღრუბელს წარმოქმნიდა და ასეთ პაპანაქებას გაანელებდა. ასევე, როდესაც სიცივე დედამიწასთან აფელიოსშია, ხოლო პაპანაქება - პერიგეაში, მაშინ წარმოიქმნება რაღაც საშუალო, ყოველ შემთხვევისათვის გასაძლები ტემპერატურა.

- როგორი ტემპერატურაა მოსალოდნელი საპლანეტთაშორისო სივრცეში? - იკითხა ნიკოლმა.

- ადრე თვლიდნენ, რომ იქ ტემპერატურა უსაზღვროდ დაბალია, - უპასუხა ბარბიკენმა, - როდესაც გამოთვალეს საპლანეტათშორისო სივრცის დაწეული

ტემპერატურა თერმომეტრის მეშვეობით, ასტრონომებმა ნულის ქვემოთ მილიონი გრადუსები მიიღეს. მიშელის თანამემამულემ, ცნობილმა მეცნიერმა ფურიემ, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა უფრო ზუსტი გამოთვლა ჩაატარა. ფურიეს მიხედვით, სამყროს ტემპერატურა სამოც გრადუსზე დაბლა არ იწევს.

მიშელმა დაცინვით დაუსტვინა.

- ეს ტემპერატურა დაახლოებით, ჩვენი პოლუსების ტემპერატურას შეესაბამება, -განაგრძო ბარბიკენმა. - მელვილის კუნძულზე ან კიდევ ფორტ რელინსთან ტემპერატურა ცელსიუსით დაახლოებით 56 გრადუსს აღწევს ნულს ქვემოთ.

- ახლა იმის დამტკიცება გვჭირდება, - თქვა ნიკოლმა, - რომ ფურიე გამოთვლაში არ შემცდარა. თუ არ ვცდები, მეორე მეცნიერი, პუიე საპლანეტათშორისო სივრცის ტემპერატურას ას სამოც გრადუსს უტოლებს ნულს ქვემოთ. შევამოწმოთ, რომელი მათგანია მართალი.

- ოღონდ ახლა არა, - თქვა ბარბიკენმა. - ხედავთ, მზის სხივები პირდაპირ თერმომეტრს ხვდება, ამიტომაც მისი ჩვენება ზუსტი არ იქნება. აი, როცა მთვარეს მივაღწევთ, იქაური ერთი ღამის განმავლობაში, ჩვენს თხუთმეტ დღე-ღამეს რომ უდრის, საკმაო დრო გვექნება ამ ცდის ჩასატარებლად - დედამიწის თანამგზავრი ხომ სიცარიელეში ბრუნავს.

- როგორ გესმის შენ სიცარიელე? - ჰკითხა მიშელმა, - აბსოლუტური სიცარიელე გაქვს მხედველობაში?

- დიახ, სრულიად უჰაერო სიცარიელე.

- და ამ სიცარიელეში ჰაერს არაფერი სცვლის?

- როგორ არა, ეთერი, - უპასუხა ბარბიკენმა.

- ეთერი რაღაა?

- ეთერი ჩემო ძვირფასო, უწონადო ატომების ნარევია, რომელიც მოლეკულრული ფიზიკის სწავლების მიხედვით, თავიანთი ზომის შესაბამისად, ისევე არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი, როგორც ციური სხეულები სამყაროში. თანაც ეს მანძილი მილიმეტრის სამ მემილიონედიც არ არის. ბრუნვისა და მოძრაობის გამო ატომები სითბოსა და სინათლის წყაროდ იქცევა. ისინი წამში ოთხას ოცდაათ ტრილიონ რხევას იძლევიან მილიმეტრის ოთხიდან ექვს ათმემილიონედამდე ამპლიტუდით.

- მილიარდების მილიარდები! - შესძახა მიშელ არდანმა. - თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორ არ დაეზრათ ადამიანებს, გაეზომათ და გამოეანგარიშებინათ ეს რხევა. იცით რა, ძვირფასო მეგობრებო, მთელი ეს რიცხვები და გამოთვლები მხოლოდ ყურს ტკენს ადამიანს, გონებას კი არაფერს აძლევს.

- მაგრამ ციფრებს გვერდს მაინც ვერ ავუვლით. . .

- არა, ჩემთვის შედარების მეთოდი ბევრად უფრო მეტის მთქმელია. მაგალითად, როცა შენ ამტკიცებ, ურანის მოცულობა დედამიწის მოცულობაზე სამოცდამეთექვსმეტჯერ მეტია, სატურნის მოცულობა ცხრაასჯერ, იუპიტერისა - ათას სამასჯერ, მზისა - მილიონ სამასი ათასჯერ, არავითარ თვალსაჩინოებას ეს რიცხვები არ მაძლევს. მე უპირატესობას ვანიჭებ ლიეჟის ობსერვატორიის სისტემას, რომელიც უბრალოდ და ყოველგვარი სისულელების გარეშე ამბობს: მზე ორი ფუტი დიამეტრის გოგრაა, იუპიტერი - ფორთოხალი, სატურნი - ვაშლი, ნეპტუნი - ბალი, ურანი - მსხვილი ალუბალი, დედამიწა - ბარდის მარცვალი, ვენერა - მუხუდო, მარსი - ქინძისთავი, მერკური - მდოგვის მარცვალი, - იუნონა, - ცერერა, პალასი კი - ქვიშა, ასე უფრო მექმნება წარმოდგენა პლანეტების სიდიდეზე.

მეცნიერებისა და ასტრონომიული ციფრების მიმართ მიშელის ამგვარი გამოხდომის შედეგ, მოგზაურები სატელიტის დამარხვას შეუდგნენ. როგორც მეზღვაურები აგდებენ ზღვაში მიცვალებულებს, სატელიტის გვამიც ასე უნდა ესროლათ სივრცეში.

ბარბიკენის მითითებით, დაკრძალვის პროცედურა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო, რათა ისედაც სწრაფად მოძრავი ჰაერი სამყაროს სივრცეში არ გაპარულიყო. მარჯვენა სარკმლის ოცდაათი სანტიმეტრის სიგანის ჭინჭიკები ფრთხილად მოხსნეს, მიშელს უკვე ხელში ეჭირა სატელიტის გვამი და გადასაგდებად მზად იყო. ყუმბარის შიდა წნევის დასაძლევად გამართული მძლავრი ბერკეტის საშუალებით, მინა სწრაფად შემოტრიალდა და სატელიტიც გაისროლეს. ყუმბარიდან ჰაერის მხოლოდ რამდენიმე მოლეკულა გაქრა. ეს ყველფერი ისე სწრაფად ჩაატარეს, რომ ბარბიკენს უკვე აღარ ეშინოდა, ვაგონი მომავალშიც გაეწმინდა ათასგვარი ნაგვისაგან.

მეექვსე თავი

კითხვები და პასუხები

ოთხ დეკემბერს, როცა ორმოცდათოთხმეტი საათის მგზავრობის შემდეგ მოგზაურებს გამოეღვიძათ, ქრონომეტრი დილის ხუთ საათს უჩვენებდა. მათ ყუმბარაში სავარაუდო დროის ნახევარზე ხუთი საათითდა ორმოცი წუთით მეტი გაატარეს. ამ ხნის განმავლობაში ყუმბარამ მთელი გზის შვიდი მეათედი გაიარა; ეს შეუსაბამობა გამოწვეული იყო სიჩქარის განუწყვეტელი შემცირებით.

როდესაც მეგობრებმა ქვედა სარკმლიდან დედამიწას დახედეს, იგი მათ მზის ნათებაში ჩამქრალ, მუქ ლაქად მოეჩვენათ. არც ნამგალი და აღარც ფერფლისფერი სინათლე არ ჩანდა. მეორე დღეს, შუადღისას, როცა მთვარე სავსე მთვარის ფაზაში შევიდოდა, მოსალოდნელი იყო, დედამიწა ახალ ფაზაში ეხილათ. ზემოთ კი ღამის მნათობი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ყუმბარის ტრაექტორიას. ასე რომ, ისინი დანიშნულ დროს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ჩამუქებული ცის თაღი უამრავი მანათობელი წერტილით იყო მოჭედილი, რომლებიც ნელ-ნელა იცვლიდნენ ადგილს. მაგრამ ყუმბარისაგან ისე იყვნენ დაშორებული, რომ პირობითი სიდიდე უცვლელი რჩებოდა. მზე და ვარსკვლავები ისევე ჩანდნენ, თითქოს დედამიწიდან უყურებდნენ. მართალია, მთვარე ძალზე დიდი ჩანდა, მაგრამ მოგზაურთა სუსტი ჭოგრიტებით მის ზედაპირზე არც დეტალების და არც ტოპოგრაფიული და გეოლოგიური აგებულების დანხავა არ შეიძლებოდა.

განუწყეტელ საუბარში დრო სწრაფად გადიოდა. ძირითადად მთვარეზე ლაპარაკობდნენ. თითოეული თავის ცოდნას ამჟღავნებდა: ბარბიკენი და ნიკოლი, როგორც ყოველთვის, მეცნიერულად ბჭობდნენ, მიშელი კი თავისი დაუშრეტელი ფანტაზიით უმასპინძლდებოდა მათ. ლაპარაკობდნენ ყუმბარაზე და სივრცეში მის მგომარეობა-მიმართულებაზე. იმაზე, რა შეიძლებოდა შემოთხვევოდათ, წინასწარ რა ზომები უნდა მიეღოთ, თუ მთვარეზე დაეცემოდნენ.

ერთხელ, საუმზის დროს, მიშელმა ყუმბარის შესახებ ისეთი შეკითხვა დასვა, რომ ბარბიკენის ძალზე საინტერესო პასუხი გამოიწვია. მისი მოსმენა მართლაც რომ ღირს.

მიშელს აინტერესებდა, რა დაემართებოდა ყუმბარას, გაფრენის საწყისი სიჩქარის დროს რაიმეს რომ გაეჩერებინა იგი.

- წარმოდგენა არა მაქვს, - თქვა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა, - რას შეეძლო ყუმბარის შეჩერება.

- დავუშვათ, რომ მომხდარიყო.

- ასეთი რამ დაუჯერებელია, - უპასუხა ბარბიკენმა, - მხოლოდ მაშინ, თუ ბიძგის ძალა არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, ყუმბარის სიჩქარე თანდათან მოიკლებდა, მაგრამ გაჩერებით მთლიანად არ გაჩერდებოდა.

- რაიმე სხეული რომ დაჯახებოდა?

- მაინც რომელი?

- აი, თუნდაც ის ბოლდი, ჩვენ რომ შევხვდით.

- მაშინ, - თქვა ნიკოლმა, - ყუმბარასთან ერთად ნამსხვრევებად ვიქცეოდით.

- უფრო მეტიც, - დაუმატა ბარბიკენმა, - ცოცხლად დავიწვებოდით.

- დავიწვებოდით! - გაიკვირვა მიშელმა. - საწყენია, რომ არაფერი არ მოხდა. საინტერესო სანახავი კი იქნებოდა.

- ბევრ რამესც ნახავდი! - თქვა ბარბიკენმა. - ცნობილია, რომ სითბო არის თავისებური მოძრაობა. როდესაც წყალს ათბობ, ანუ სითბოს გადასცემ, ეს ნიშნავს, რომ შენ მოძრაობაში მოგყავს ნაწილაკები.

- წარმოგიდგენიათ! - შესძახა მიშელმა. - აი, მახვილგონივრული თეორია.

- თანაც სწორი, ძვირფასო მეგობარო. სითბო მოლეკულების მოძრაობაა. სახელდობრ, სხეულის უმცირესი ნაწილაკების მარტივი მოძრაობა. მატარებელს თუ დავამუხრუჭებთ, იგი გაჩერება. სად ქრება ამ დროს მოძრაობა? იგი სითბოდ გადაიქცევა და მუხრუჭი გათბება. რატომ უსვამენ საცხს ბორბლების შემაერთებელ ღერძს? იმიტომ, რომ გახურება ავიცილოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავთ მოძრაობას, რომელიც სითბოდაა გადაქცეული. გაიგე?

- როგორ არა! - შესძახა მიშელმა, - მშვენივრად გავიგე! მაშასადამე, თუ ბევრს ვირბენ, ან ვიცურავებ და მერ ოფლში გაღვრილი შევჩერდები, თურმე ასე იმიტომ ხდება, რომ ჩემი მოძრაობა სითბოდ გადაიქცევა!

მიშელის ხუმრობამ ბარბიკენი გაამხიარულა.

შემდეგ ის თავის თეორიას დაუბრუნდა.

- ასე და ამგვარად, ჩვენს ყუმბარას რომელიმე სხეულთან დაჯახების შემთხვევაში იგივე მოუვიდოდა, რაც გახურებულ ტყვიას ემართება, როცა ლიტონის ფირფიტიდან აიტყორცნება. მისი მოძრაობა სითბოდ გარდაიქმნება. მე ვამტკიცებ, ყუმბარა რომ ბოლდს დაჯახეოდა, მისი სიჩქარის მკვეთრი შემცირება ტემპერატურის ისეთ გაზრდას გამოიწვევდა, რომ ყუმბარა არათუ გადნებოდა, თვალის დახამხამებაში აორთქლდებოდა.

- დედამიწას რაღა მოუვა, უეცრად რომ შეწყვიტოს მოძრაობა? - იკითხა მიშელმა.

- მისი ტემპერატურა ისე გაიზრდება, რომ ჩვენი პლანეტა აორთქლდება.

- კარგია, - თქვა მიშელმა, - აი, სამყაროს დასრულებისა და ადამიანების უბედურებისაგან განთავისუფლების შესანიშნავი საშუალება.

- დედამიწა რომ მზეს დაეცეს? - იკითხა ნიკოლმა.

- გამოანგარიშების მიხედვით, - უპასუხა ბარბიკენმა, - ასეთი დაცემისას ისეთი სითბო გამოიყოფა, რამდენიც ათას ექვსასი დედამიწის ტოლ ქვანახშირის სფეროს დაწვისას.

- ამდენ სითბოს ნეპტუნისა და ურანის მცხოვრებლებიც არ დაიწუნებდენ, - თქვა მიშელმა. - ისინი ხომ სიცივისაგან იყინებიან თავიანთ პლანეტაზე.

- ამგვარად, მეგობრებო, - განაგრძო ბარბიკენმა, - ყოველგვარი უცაბედად შეწყვეტილი მოძრაობა სითბოს წარმოშობს. ამ თეორიის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მზის სითბოს ხელს უწყობს ბოლიდები, რომლებიც სეტყვასვით ცვივიან მზის ზედაპირზე. ისიც კი გამოითვალეს...

- ფრთხილად, - ჩაურთო სიტყვა მიშელმა, - ისევ რიცხვებზე გადავდივართ.

- უკვე გამოთვლილია, - განაგრძო მშვიდად ბარბიკენმა. - მზის ზედაპირზე თითოეული ბოლიდის დაცემა იმავე მოცულობის ქვანახშირის ოთხი ათასი ერთეულის წვის დროს გამოყოფილი სითბოს ტოლია.

- მზის სითბო როგორიღაა? - იკითხა მიშელმა.

- მზეს რომ ოცდაშვიდი კილომეტრი სისქის ქვანახშირის ფენა შემოვაკრათ და დავწვათ, მივიღებთ მზის სითბოს ტოლ სითბოს.

- სითბოა მერე ეს?

- ასეთი სითბოს საშუალებით შეიძლება საათში ავადუღოთ ორი მილიარდ ცხრაასი მილიონი კუბიკური მირიამეტრი წყალი.

- აქამდე როგორ არ დავიხუთეთ! - წამოიძახა მიშელმა.

- იმიტომ, რომ დედამიწის ატმოსფერო ამ სითბოს ოთხ მეათედს შთანთქავს. ამავე დროს თვით დედამიწის სითბო მზის სითბოს ერთ ორმემილიონედ ნაწილს შეადგენს.

- ახლა კი ვხედავ, - თქვა მიშელმა, - რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი უკეთესობისაკენაა მიმართული. კარგი რამ ყოფილა ეს თქვენი ატმოსფერო. იგი არა მარტო სუთნქვის საშუალებას გვაძლევს, შეხრუკვისაგანაც გვიცავს.

- დიახ, - თქვა ნიკოლმა, - მაგრამ მთვარეზე, საუბედუროდ, საქმე სხვანაირადაა.

- დიდი ამბავი! - შესძახა უდარდელად მიშელმა. - იქ თუ ბინადარნი არიან, ალბათ რაღაცით სუნთქავენ კიდეც, ხოლო თუ აღარ არიან, დარწმუნებული ვარ, სამი კაცის სამყოფი ჟანგბადი მაინც ექნებათ დატოვებული სადმე ხეობაში, სადაც ჟანგბადი თვისი სიმძიმის წყალობით დაგროვდებოდა. რა მოხდა, ჩვენც მთებზე ნუ ავალთ. მორჩა და გათავდა!

ესა თქვა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მთვარის თვალის მომჭრელ დისკოს შეხედა.

- ეშმაკმა დალახვროს! - შეჰყვირა მან, - კარგა მაგრა ეცხელება იქ!

- ეგეც არ იყოს, - დაამატა ნიკოლმა, - მთვარეზე ხომ სამას სამოცდღიანი დღეა.

- სამაგიეროდ, - ახსნა ბარბიკენმა, - ღამეებიც ასევე გრძელია იქ და რაკი სივრცეში გამოსხივების გამო სითბო იკარგება, მთვარის ღამის ტემპერატურა საპლანეტათშორისო სივრცის ტემპერატურისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

- ერთი სიტყვით, ძალიან თბილ ადგილას კი მივდივართ, - დაცინვით თქვა მიშელმა. - მაგრამ არაფერია! მე მინდა, უკვე იქ ვიყო! ეჰ, ძვირფასო მეგობრებო, მთვარესთან შედარებით დედამიწა სასაცილოა. როცა ხედავ, როგორ ამოდის ის ჰორიზონტიდან, აკვირდები მისი მატერიკის მოხაზულობას, ამბობ: "აი, იქ ამერიკაა, იქ კი ევროპა", შემდეგ აკვირდები, როგორ ქრება მზის სხივებში. ჰო, მართლა, ბარბიკენ, მთვარეზე მცხოვრებლებს თუ შეუძლიათ, დაბნელებას დააკვირდნენ.

- როგორ არა, მზის დაბნელების ნახვა შეუძლიათ, როდესაც მზის მთვარის და დედამიწის ცენტრები ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული და ამავე დროს, როდესაც დედამიწა ამ ორ პლანეტას შუაა მოქცეული. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრული დაბნელება არ ხდება. იმიტომ, რომ მზის დისკოზე ეკრანივით აფარებული დედამიწა პატარაა და მზის დიდ ნაწილს ხილულს ტოვებს.

- სრული დაბნელება რატომ არ შეიძლება მოხდეს? - იკითხა ნიკოლმა. - დედამიწის ჩრდილოვანი კონუსი ხომ მთვარის მიღმაც გრძელდება.

- შეიძლება, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ დედამიწის ატმოსფეროში სხივების გარდატეხას; და არ შეიძლება, თუკი მხედველობაში მივიღებთ გარდატეხას. ჰორიზონტალური პარალაქსი დელტა პრიმით აღვნიშნოთ, ხოლო P პრიმით ხილული დიამეტრი...

- ოხ! - ამოიოხრა მიშელმა, - ისევ υ-ის ნახევარს პლიუს ნული კვადრატში. შე მართლა მოსიარულე ალგებრავ, ერთხელ მაინც ილაპარაკე ისე, რომ ჩვეულებრივმა მოკვდავმა გაიგოს.

- კეთილი! - დაეთანხმა ბარბიკენი. - უხეშად რომ ვთქვათ, რაკი მთვარესა და დედამიწას შორის საშუალო მანძილი დედამიწის სამოცი რადიუსის ტოლია, მაშინ ჩრდილოვანი კონუსის სიგრძე, გარდატეხის გამო, უკიდურეს შემთხვევაში, ორმოცდაორი რადიუსით მაინც შემცირდება. ამიტომაც დაბნელების დროს მთვარე ჩრდილოვანი კონუსის მიღმა აღმოჩნდება და განათდება არა მარტო პერიფერიული, არამედ მზის ცენტრალური სხივებითაც.

- მას რატომღა ხდება დაბნეელბა, თუ თქვენი აზრით, ეს შეუძლებელია, - ხუმრობით ჩაეძია მიშელი.

- მხოლოდ იმიტომ, რომ გარდატეხისაგან მზის სხივები სუსტდება და მისი დიდი ნაწილი ინთქმება ატმოსფეროში, სადაც მათ უნდა გაიარონ.

- ასეთი ახსნა-განმარტება მე სავსებით მაკმაყოფილებს, - განაცხადა მიშელმა, - მთვარეზე როცა ვიქნებით, ყველაფერს მაშინ შევამოწმებტ. ახლა კი, ბარბიკენ, მითხარი, გჯერა, რომ მთვარე ძველი პლანეტაა?

- ეს რაღა იდეაა?

- თქვენ წარმოიდგინეთ, მეც მომდის ხოლმე თავში სხვადასხვა იდეები,- გაიპრანჭა მიშელი.

- ეს იდეა მიშელს არ ეკუთვნის,- თქვა ნიკოლმა.

- მით უკეთესი! მაშასადამე, პლაგიატი ვარ.

- რასაკვირველია, - უპასუხა ნიკოლმა. - თუ ძველ არკადიელებს დავუჯერებთ, მათი წინაპრები იმ დროს ცხოვრობდნენ, როცა მთვარე ჯერ კიდევ დედამიწის თანაგზავრი არ იყო. ამ თეორიის საფუძველზე ზოგ მეცნიერს მთვარე კომეტად მიაჩნდა, რომლის ორბიტა დედამიწას ერთხელ იმდენად მიუახლოვდა, რომ მისი მიზიდულობის სფეროში აღმოჩნდა.

- მერე რა არის ამ ჰიოთეზაში ჭეშმარიტი? - იკითხა მიშელმა.

- არაფერი, - უპასუხა ბარბიკენმა, - ამის საბუთად ის ფაქტი გამოდგება, რომ მთვარეზე გაზისებური გარსის კვალიც კი არ არის, რომელიც კომეტას მუდამ გარს ახვევია.

- ნუთუ მთქვარეს, სანამ ის დედამიწის თანაგზავრი გახდებოდა, არ შეეძლო პერიგეაში ყოფნისას, მზეს იმდენად მიახლოვებოდა, რომ მთელი მისი გარსისებური ნივთიერება აორთქლებულიყო? - იკითხა ნიკოლმა.

- შეიძლებოდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ.... მოკლედ, არ ვიცი, რატომ.

- ო.... ო! - გაიხრა მიშელმა, - რაც არ ვიცი, იმაზე ასობით ტომები დაიწერება.

- ერთი მითხარით, რომელი საათია? - იკითხა ბარბიკენმა.

- სამი საათია, - მიუგო ნიკოლმა.

- რა შეუმჩნევლად გადის დრო საუბარში ისეთ მეცნიერბთან, როგორიც ჩვენა ვართ, - თქვა მიშელმა. - აშკარად ვგრძნობ, როგორ მემატება საათობით ჭკუა და განათლება.

შემდეგ იგი ყუმბარის თაღში აძვრა, "რათა უკეთ დაკვირვებოდა მთვარეს", როგორც მან თქვა. დანარჩენი ორი ამ დროს ქვედა სარკმლიდან იყურბოდა, მაგრამ რაიმე ახალი არ შეუმჩნევიათ.

რამდენიმე წუთში არდანი ისევ ქვემოთ ჩამოვიდა, გვერდითა ილუმინტორთან მივიდა და გაკვირვებისაგან შეჰყვირა.

- რა მოხდა? - იკითხა ბარბიკენმა.

"საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტი სასწრაფოდ მივიდა ფანჯარასთან და დაინახა, რომ რამდენიმე მეტრზე ბრტყელი, ტომრის მსგავსი რაღაც მიფრინავდა. იგი თითქოს უძრავად ეკიდა რაღაცაზე, ეტყობოდა, ყუმბარის სიჩქარით მიფრინავდა.

- ეს რარა ეშმაკია, - იკითხა არდანმა, - შეიძლება რაიმე საპლანეტათშორისო ნაწილაკია, რომელიც ჩვენმა ყუმბარამ თავისი მიზიდულობის სფეროში მოაქცია. ალბათ ეს "თანამგზავრი" მთვარემდე მიგვაცილებს.

- მე ის მიკვირს, - თქვა ნიკოლმა, - როგორ მოძრაობს ეს სხეული ჩვენს პარლელურად. მისი ხვედრითი წონა ხომ გაცილებით ნაკლებია ჩვენი ყუმბარის ხვედრით წონაზე.

- ნიკოლ, - ცოტა დაფიქრების შემდეგ თქვა ბარბიკენმა, - მე არ ვიცი, ეს რა სხეულია, მაგრამ რატომ მოდის ჩვენ გვერდი-გვერდ, ამას კი აგიხსნით.

- რატომ?

- იმიტომ, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, რომ ჩვენ ამჟამად სიცარიელეში მივფრინავთ, სიცარიელეში კი ყველა სხეული, როგორი ფორმისა დ წონისაც არ უნდა იყოს, ერთი და იმავე სიჩქარით ან ვარდება, ან მოძრაობს (რაც ერტი და იგივეა). წონაში განსხვევებას ჰაერის წინააღმდეგობა განსაზღვრავს. თუ გრძელი მილიდან მთელ ჰაერს ამოვქაჩავთ, მასინ შიგ მყოფი ყველა საგანი - მტვრის უმცირესი ნაწილაკი იქნება თუ ტყვია, ერთ და იმავე სიჩქარით იმოძრავებს. აქაც, საპლანეტათშორისო სივრცეში იგივე მიზეზს და შედეგს ვხედავთ.

- სრული სიმართლეა, - დაემოწმა ნიკოლი. - მაშასადამე, რაც არ უნდა გადავაგდოთ ყუმბარიდან, იგი ჩვენთან ერთად იმოძრავებს მთვარემდე.

- რა სულელები ვართ! - შესძახა მიშელმა.

- რითი დავიმსახურეთ ასეთი ქება? - იკითხა ბარბიკენმა.

- იმით, რომ უნდა მივმხვდარიყავით, ინსტრუმენტები, იარაღი და მისთანანი წამოგვეღო, შემდეგ კი გადაგვეგდო და დანიშნულ ადგილზე ყველაფერი ჩვენთან ერთად მოვიდოდა. რა ჭკვიანური იქნებოდა! ანდა ჩვენ თვითონ ბოლიდივით რატომ არ უნდა გავიბავარდოთ სივრცეში? რატომ არ უნდა გადავხტეთ რომელიმე სარკმლიდან. რა სასიამოვნო იქნებოდა ეთერში ლივლივი! ჩიტსაც კი შეშურდებოდა ჩვენი პირობები. მან ხომ ფრთები უნდა აქნიოს, რომ არ ჩამოვარდეს.

- მშვენიერია, - თქვა ბარბიკენმა. - საინტერესოა, რითი ისუნთქებდი?

- წყეული ჰაერი! ყოველთვის იქ არა კმარა, სადაც საჭიროა.

- სამაგიეროდ, ჰაერი რომ საკმარისი ყოფილიყო, შენ მალე ჩამოგვრჩებოდი, რადგან შენი ხვედრითი წონა ნაკლებია ყუმბარისაზე.

- ეს რა მოჯადოებული წრეა!

- დიახ, თუკი ასეთი რამ არსებობს.

- ესე იგი ისევ გამოკეტილში გვიხდება ჯდომა.

- დიახ.

- ეშმაკმა დალახვროს! - შესძახა გაშმაგებულმა მიშელმა.

- რა დაგემართა! - გაუკვირდა ნიკოლს.

- მივხვდი, რა მოჩვენებაცაა. იგი არც ასტეროიდია დ არც პლანეტის ნამსხვრევია.

- მაშ, შენის აზრით, რა არის? - ჰკითხა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა.

- ჩვენი საწყალი ძაღლია! დიანას მეუღლე.

მართლაც, ეს ბრტყელი, შეუცნობელ საგანი სატელიტის გვამი იყო, რომელი ყუმბარის კვალდაკვალ მიფრინავდა.

მეშვიდე თავი

დამათრობელი წუთი

ეს თავისებური და უცნაური, მაგრამ სრულიად ლოგიკური მოვლენა მხოლოდ ასეთ უჩვეულო გარემოსი შეიძლებოდა მომხდარიყო. ვაგონიდან გადასროლილ ყოველ საგანს ყუმბარის ტრაექტორიით უნდა ემოძრავა და მხოლოდ მასთანერთად შეჩერებულიყო. ამ თემაზე საუბარმა დაღამებამდე გასტანა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ დანიშნულ ადგილს, მით უფრო ემატებოდათ მღელვარება. ისინი მოულოდნელობებისა და ახალ "სასწაულების" მოლოდინში იყვნენ. მათი გაკვირვება უკვე აღარაფერს შეეძლო. მათმა წარმოდგენებმა ყუმბარას გაუსწრეს. მას კი მოგზაურების შეუმჩნევლად საგრძნობლად აკლდებოდა სიჩქარე, მთვარე კი წუთწუთობით სულ უფრო დიდდებოდა მათ თვალწინ. თითქოს საცაა, ხელითაც მიწვდებიანო.

მეორე დღეს, 5 დეკემბერს, დილის ხუთ საათზე, სამივე უკვე ფეხზე იყო. გამოთვლის მიხედვით, ეს დღე მათი მოგზაურობის ბოლო დღე უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ დღეს, შუაღამისას, სავსე მთვარის დროს მოკაშკაშე დისკოსათვის უნდა მიეღწიათ. უახლოეს შუაღამეს კი უნდა დაგვრგვინებულიყო ეს ყველაზე უჩვეულო მოგზაურობა, რაც კი ოდესმე, ძველსა თუ ახალ დროებაში მომხდარა. ამიტომაც დილაადრიან მთვარის სხივებით შევერცხლილი ფანჯრიდან ისინი ვაშას ძახილით მიესალმნენ ღამის მნათობს.

მთვარე დიდებულად მიცურავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. კიდევ რამდენიმე გრადუსიც და მთვარე სივრცის იმ წერტილში აღმოჩნდებოდა, სადაც ყუმბარას უნდა შეხვედროდა. ბარბიკენმა საკუთარი გამოთვლებით დაადგინა, რომ ყუმბარა ჩრდილო ნახევარსფეროში უნდა დაცემულიყო; სადაც ვრცელი დაბლობებია გადაჭიმული და მხოლოდ აქა-იქაა აღმართული მთები. თუ მთვარის ატმოსფერო, როგორც ფიქრობდნენ, მართლაც მთვარის დაბლობებში იყო შემორჩენილი, ეს ვარაუდი ამ მხრივაც კარგი იყო.

- თანაც ვაკე ადგილი დასაჯდომად უფრო მოხერხებულია, ვიდრე მთები,- თქვა არდანმა. - მთვარის მაცხოვრებლები ევროპაში რომ მონბლანზე დასვა ან კიდევ აზიაში, ჰიმალაებზე, მათ მაინც არ ექნებათ უფლება, თქვან, რომ მიწაზე იმყოფებიან.

- ვაკე ადგილი სხვა რამითაცაა კარგი, - დაუმატა კაპიტანმა ნიკოლმა. - ყუმბარა რომ სწორ ადგილზე დაჯდეს, იგი მაშინვე გაჩერდება, მთებში კი, პირიქით, ბორბალივით ჩაგორდება. ხოლო, რაკი ჩვენ ციყვები კი არა, ადამიანები ვართ, ყუმბარიდან ცოცხლები ვერ გამოვალთ. ასე რომ, საქმე კარგადაა.

წარმატებაში უკვე ეჭვი აღარც ერთს ეპარებოდა. მაგრამ ბარბიკენს მაინც რაღაც აწუხებდა, დაფიქრებული ჩუმად იყო და სხვებს არ ანერვიულებდა.

საქმე იმაში იყო, რომ მთვარის ჩრდილო ნახევარსფეროსაკენ ყუმბარის მოძრაობის ტრაექტორია ცოტათი შეცვლილიყო. მათემატიკური გამოთვლებით, ყუმბარა ზუსტად მთვარის დისკოს ცენტრისკენ უნდა გაესროლათ. გადახრა აშკარა იყო, მაგრამ რას უნდა გამოეწვია ეს?

ბარბიკენისათვის უცნობი იყო საწყისი მონაცემები და ამიტომ გადახრის მიზეზებს ვერ განსაზღვრავდა. მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ გადახრას ცუდი დასასრული არ ექნებოდა და ყუმბარა მთვარის ჩრდილო მხარეზე დაჯდებოდა.

ამიტომაც არ ამხელდა ბარბიკენი თავის აზრებს, მთვარეს თვალს არ აშორებდა და ცდილობდა ამოეცნო, რამდენად იყო ყუმბარა გადახრილი.

ამაზე საშინელი რა უნდა ყოფილიყო - ხომ შეიძლებოდა, ყუმბარას მიზნისათვის ვერ მიეღწია, მთვარეს თანდათანობით დაშორებოდა და საპლანეტათშორისო სივრცეში გადაკარგულიყო.

მთვარე ახლა ბრტყელ დისკოდ როდი მოჩანდა. სულ უფრო გარკვევით გამოისახა მისი რელიეფი. მზის სხივები რომ მთვარისკენ ირიბად ყოფილიყო მიმრთული, და არ პირდაპირ, მაშინ ჩრდილების წყალობით შესაძლებელი იქნებოდა, ნათლად გაგვერჩია მთვარის მაღალი, რგოლის მაგვარი მთები, ხახადაღებული კრატერები, და უჩვეულო ნაპრალები, რომლებსაც მთვარის ველები დაეღარათ. მაგრამმთელი ეს რელიეფი ისე იყო მზის სხივებით გაჩახჩახებული, რომ გარკვევით არაფერი ჩანდა. ძნელად თუ შეამჩნევდით მუქ ლაქებს, რომლითაც მთვარე ადამიანის სახეს ემსგავსებოდა.

- მხოლოდ სახეს, - თქვა არდანმა, - მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ აპოლონის მშვენიერი დაიკო ისეთი ჩოფურა იქნებოდა.

მოგზაურები, რომლებიც უკვე ასე ახლოს იყვნენ მიზანთან, თვალს ვერ აშორებდნენ შეუცნობელ სამყაროს. თავიანთ წარმოდგენაში ისინი უკვე დააბიჯებდნენ ამ ახალ ქვეყანაში, ადიოდნენ მაღალ პიკებზე, ეშვებოდნენ ფართე კრატერების ფსკერზე, ხან აქ, ხან იქ თვალუწვდენელი ზღვები ელანდებოდათ, რომლებსაც სანპირებში ძლივს იკავებდა გაუხშოებული ატმოსფერო, ზღვებში ცამავალი მთის ნიაღვრები. ისინი იმდოვნებდნენ, რაიმე ხმას გაიგონებდნენ ამ მარად მდუმარე მნათობიდან.

ის დღე ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ მათ. ყოველი წვრილმანი სამუდამოდ ჩაებეჭდათ მეხსიერებაში, მაგრამ რაღაც შეუცნობელი შიშის გრძნობა დაუფლებოდათ. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ გაიზრდებოდა ეს შიში, მათ რომ გაეგოთ, ყუმბარის სიჩქარემ იკლოო, არსებული სიჩქარე უკვე არასაკმარისად მოეჩვენებოდათ მიზნის მისაღწევად.

ამ დროისათვის ყუმბარას აღარც წონა გააჩნდა. იგი თანდათან მსუბუქად და მალე ალბათ უწონადო გახდებოდა. ასეთი საოცარი მოვლენა შეიძლებოდა მხოლოდ იმ წერტილში, სადაც მთვარისა და დედამიწის მიზიდულობის ძალები თანაბრდება.

მიუხედავად ასეთი მღელვარებისა, წესრიგის მოყვარულ არდანს საუზმის მომზადება არ დავიწყებოდა და მადიანადაც შეექცნენ. რა სჯობს გაზზე მომზადებულ ბულიონს? რა შეედრება დაკონსერვებულ ხორცს? საუზმის დასასრულს რამდენიმე ჭიქა ფრანგული ღვინოც გადაკრეს. არდანმა ისიც კი თქვა, რომ მთვარეზე მცხუნვარე მზის სხივებქვეშ დამწიფებული ყურძნისაგან, თუკი იქ ვენახები საერთოდ არის, ალბათ საუკეთესო ღვინოს ამზადებენო. წინდახედულ ფრანგს, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც წამოეღო მედოკისა და კოთ დ,ორას ვაზის ლერწები და მათზე დიდ იმედებს ამყარებდა.

რეიზესა და რენიოს ჟანგბადის აპარატი უზუსტესად მუშაობდა. ყუმბარაში ჰაერი სუფთა იყო. ნახშიროჟანგის ვერც ერთი მოლეკულა მწვავე ნატრიუმს ვერ უძლებდა. ჟანგბადი კი, ნიკოლის თქმით, "უმაღლესი ხარისხისა" ჰქონდათ. ჰაერში არეული წყლის ოთქლის მცირე რაოდენობა სიმშრალეს ანეიტრალებდა ყუმბარაში. პარიზის, ლონდონის, ნიუ-იორკის რამდენ თეატრალურ დარბაზში ინატრებდნენ ასეთ სუფთა ჰაერს.

აპარატს რომ ზუსტად ემუშავა, საჭირო იყო გულისხმიერი მოვლა. ამიტომც მიშელი ყოველ დილით რეგულატორებს ათვალიერბდა, ონკანებს სინჯავდა და გაზის ტემპერატურას თვალყურს ადევნებდა. აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. მგზავრები პატივცემულ ჯ. ტ. მასტონივით ჩასუქდნენ. საკმარისი იყო, რამდენიმე თვე კიდე გაეტარბინათ თავიანთ "საპყრობილეში", რომ იქიდან მთლად შეცვლილნი გამოვიდნენ. ერთი სიტყვით, გალიაში გამომწყვდეული წიწილებივით დღითი-დღე სუქდებოდნენ.

ბარბიკენმა ფანჯარაში ძაღლის მძორთან ერთად სხვა საგნებიც დაინახა, რომლებიც კვალდაკვალ მოსდევდათ. დიანა ნაღვლიანად აწკმუვლდებოდა ხოლმე სატელიტის ნეშტის დანახვისას. სივრცეში გაფანტული მთელი ეს ხარახურა ისე უძრავი ჩანდა, თითქოს მიწაზე ალაგიაო.

- იცით, მეგობრებო, -თქვა არდანმა, - ერთ-ერთ ჩვენთაგანს მაინც რომ არ განეცადა აფრენის პირველი ბიძგი, ძნელი იქნებოდა მისი ნეშტის "მიწისათვის მიბარება", ე.ი. "ეთერში მიბარება", რომელიც აქ მიწის მაგივრობას გვიწევს. შეხედეთ სატელიტს, როგორ სინდისის ქენჯნასავით გვსდევს თან.

- დიახ, სასიამოვნო არ იქნებოდა, - უპასხუა ნიკოლმა.

- ჰო, - შესძახა მიშელმა, - ვწუხვარ, რომ აქ გასეირნება არ შემიძლია! როგორი განცხრომით ვილივლივებდი ამ შუქმფინარ ეთერში, შევცურავდი მზის მაცოცხლებელ სხივებში. ბარბიკენი რომ მიმხდვდარიყო და სკაფანდრები და ჰაერის ტუმბო წამოეღო, აქედან გასვლას გავბედავდი და "ქიმერასავით", ანდა "ჰიპოგრაფივით" მოვაჯდებოდი ყუმბარას.

- გამოუსწორებელო მეოცნებევ, - გაიცინა ბარბიკენმა. - დამიჯერეთ, რომ დიდხანს ვერ იკოხტავებდი იქ ჰიპოგარფივით, ვინაიდან, სკაფანდრის მიუხედავად, შენივე ორგნიზმის ჰაერი ისე გაგბერავდა, ან ყუმბარასავით გასკდებოდი, ან იმ საჰაერო ბუშტივით, ძალიან მაღლა რომ ავიდა ცაში. დაანებე სინანულს თავი და დამიმახსოვრე: სანამ ამ ჩახუთულ სიცარიელეში ვართ, ყუმბარის მიღმა ყოველგვარი სენტიმენტალური გასეირნებები აკრძალულია.

მიშელი უგულოდ დაეთანხმა ამხანაგის რჩევას. დაეთანხმა, რომ მისი ოცნებები ძნელი შესასრულებელიად, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ასე რომ სიტყვა "შეუძლებელი" მის ლექსიკონში არ არსებობდა.

ხან ამაზე ილაპარაკეს, ხან იმაზე, საუბარი წუთით არ შეწყვეტილა. მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ სამივეს თავში ნაირ-ნაირი იდეები მოსდიოდათ, თანაც ისე ჩქარ-ჩქარა, როგორც ნორჩი ყლორტი იშლება გაზაფხულის პირველ სხივებქვეშ. ისინი აღსავსენი იყვნენ "იდეებით".

იმ დილით ბევრი ითათბირეს, მაგრამ ნიკოლის მიერ წამოჭრილმა ერთმა საკითხა ყველა დააფიქრა.

- იცით, რაშია საქმე, - თქვა კაპიტანმა, - რა თქმა უნდა, მთვარეზე დაფრენა საინტერესოა, მაგრამ იქიდან როგორღა დავბრუნდებით?

- გაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს. გეგონებოდათ, პირველად გაიგონეს ეს ამბავიო.

- მაგით რა გინდა თქვა? - სერიოზულად ჰკითხა ბარბიკენმა.

- ჩემი აზრით, საჩქარო არ არის იმ ქვეყნიდან დაბრუნებაზე ლაპარაკი, რომეზლედაც ჯერ ფეხი არ დაგვიდგამს, - დაუმატა მიშელმა.

- უკან დავიხიოთ-მეთქი, ხომ არ ვამბობ, - შეედავა ნიკოლი, - მაინტერესებს, რა საშუალებით დავბრუნდებით.

- მე ეს არ ვიცი, - უპასუხა ბარბიკენმა.

- რომ მცოდნოდა, მაინც არ დავბრუნდებოდი, - თქვა მიშელმა.

- აი, პასუხი! - შესძახა ნიკოლმა.

- მე მომწონს მისი პასუხი, - თქვა ბარბიკენმა. - იმასაც გეტყვი, რომ თქვენს შეკითხვას ამჯერად არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. როცა დედამიწაზე დაბრუნებას საჭიროდ ჩავთვლით, მაშინ ვიფიქროთ ამაზე, თუ მთვარეზე კოლუმბიადა არ იქნება, ყუმბარა ხომ სამუდამოდ ჩვენთან დარჩება.

- კარგი ნუგეშია! ეს იგივეა, რაც ტყვია იარარის გარეშე!

- იარღის გაკეთება ყოველთვის შეიძლება, - შეეკამათა ბარბიკენი. - ასევე დენთისაც. შეუძლებელია მთვარის წიაღში არ იყოს ლითონი, გვარჯილა თუ ნახშირი, ამასთან დედამიწაზე დასაბრუნებლად მხოლოდ მთვარის მიზიდულობის არის გადალახვაა საჭირო. საკმარისია, ათასი ლიეთი ავიწიოთმთვარის ზედაპირიდან, რომ მიზიდულობის კანონის თანახმად, ყუმბარა თავისთავად დაეცემა დედამიწაზე.

- კმარა, - შეაწყვეტინა გამხნევებულმა მიშელმა, - დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი არ მინდა! რაც შეეხება ძველ თანამემამულეებთან კავშირს, ეს საქმე, მგონი, ძნელი არ უნდა იყოს.

- რა საშუალებით?

- მთვარის ვულკანებიდან ამოხეთქილი ბოლიდების საშუალებით.

- ძალზე გონებამახვილური იდეაა, მიშელ! -სერიოზულად თქვა ბარბიკენმა. - ლაპლასმა გამოთვალა, რომ ბოლიდის მთვარიდან დედამიწაზე გამოსაგზავნად საჭიროა ხუთჯერ მეტი სატყორცნი ძალა, ვიდრე ჩვენს ზრბაზნებს გააჩნია, ხოლო ვულკანებს გაცილებით მეტი ამოხეთქვის ძალა აქვთ.

- ვაშა! - შესძახა მიშელმა. - ბოლიდი შესანიშნავი ფოსტალიონია და თანაც მუქთი. რას ვიცინებთ ჩვენს საფოსტო უწყებებზე. მაგრამ ვფიქრობ, რომ...

- რას ფიქრობ?

- შესანიშნვი იდეაა, როგორ ვერ მოვიფიქრეთ, რომ ყუმბარაზე მავთული გამოგვება. მაშინ ხომ დედამიწას ტელეგრამებსაც გადავცემდით!

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა ნიკოლმა. - ოთხმოცდაექვის ათასი ლიე მავთული შენთვის არაფერს ნიშნავს?

- რასაკვირველია, არაფერს, მხოლოდ ორჯერ მეტი დენთი იქნებოდა საჭირო ან სამჯერ, ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტიც კი! - ყვიროდა გაფიცხებული მიშელი.

- ამ პროექტის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ერთ მოსაზრებას გამოვთქვამ, - დაიწყო ბარბიკენმა, - დედამიწის ბრუნვის დროს მავთული ისე შემოხვეოდა ყუმბარას, როგორც ჯაჭვი ეხვევა ლილვს და შეიძლებოდა ისევ დედამიწას მივეზიდეთ.

- დასწყევლოს ეშმაკმა! - იყვირა მიშელმა. - მაშასადამე, მთელი ჩემი იდეები აუხდენელია! მერე რა იდეები, მასტონიც რომ უარს არ იტყოდა მათზე! ჰო, მართლა,

სიტყვამ მოიტანა და ჩვენ თუ დედამიწაზე არ დავრბუნდებით, მასტონი უეჭველად გვინახულებს მთვარეზე.

- ეჭვიც არ მეპარება, - დაემოწმა აღგზნებული ბარბიკენი. - ის ერთგული მეგობარია და თანაც თამამი. შეიძლება ითქვას, ჩვენი მონახულება არც ისეთი რთული საქმეა. კოლუმბიადა მყარარდაა ჩამოსხმული მიწაში, ბამბა და აზოტიც იკმარებს პიროქსილინისათვის! მთვრეც ხელახლა გადაკვეთს ფლორიდის ზენიტს. თვრამეტი წლის შემდეგ ის ზუსტად ამავე წერტილში იქნება.

- აბა, როგორ! - კვერი დაუკრა მიშელმა, - მასტონი უეჭველად გვესტუმრება. მასთან ერთად ელფისტონი, ბლომსბერი და "საზარბაზნე კლუბის" სხვა წევრებიც... ჰო, ჰო! რა შეხვედრას მოვუწყობთ! დედამიწასა და მთვარეს შორის მერე რეგულარულად ივლის მატარებელი და ყუმბარები! ვაშა მასტონს!

მართალია, პატივცემული მასტონი მას "ვაშას" ვერ გაიგონებდა, მაგრამ ყური კი მაინც აუწითლდებოდა. რას აკეთებდა ის ამ დროს? ალბათ საწყალი, ლოგსპიკის ასტრონომიული სადგურის საგუშაგოზე იდგა კლდოვან მთებში და უკიდეგანო სივრცეში ყუმბარას დაეძებდა. და თუ ამ წუთს იგი თავის ძვირფას მეგობრებზე ფიქრობდა, არც ისინი რჩებოდნენ ვალში და მთელი თავიანთი კეთილ სურვილებით და ფიქრებით მასთან იყვნენ.

რაც დრო გადიოდა, ჩვენი მოგზაურების აღელვება უფრო და უფრო იზრდებოდა. სახე შეუფაკლდათ, თითქოს გავარვარებული ღუმლის წინ სხედანო, სუნთქვა გაუხშირდათ, ფილტვები საბერველივით დაებერათ, თვალები უელავდათ, გამაყრუებელი ხმით ლაპარაკობდნენ. თითოეული სიტყვა შამპანური ღვინის ბოთლიდან ატყორცნილი საცობი გეგონებოდათ. ერთ ადგილას ვეღარ ისვენედნენ, და რაც მთავარია, თვითონ სრულებით ვერ ამჩნევდნენ ასეთ უჩვეულო ნევრულ აღგზნებას. ეჭვგარეშეა, სამივენი ფხიზლები იყვნენ. რამ აღაგზნო ასე? ალბათ უჩვეულო გარემომ, ღამის მნათობისაგან სულ რამდენიმე საათის გზა რომ აშორებდათ, თუ მათ ნერვულ სისტემაზე მთვარის იდუმალი ძალა მოქმედებდა?

- ახლა კი, - მკვახედ თქვა ნიკოლმა, - რადგანაც არ ვიცით, მთვარიდან დავბრუნდებით თუ არა, ის მაინც ვთქვათ, იქ რას გავაკეთებთ.

- რას გავაკეთებთ? - შესძახა ბარბიკენმა, რომელიც სიარულისას ისე მაგრად ურტყამდა ფეხს იატაკს, თითქოს საფარიკაო დარბაზში იმყოფებაო. - მე ეს სულაც არ მაინტერესებს.

- ა.. შენ არ გაინტერისებს? - იფეთქა მიშელმა და მისი ხმა ექოსავით გავარდა ყუმბარაში.

- ამაზე სულაც არ ვწუხვარ, - ხმას აძლევდა ბარბიკენი.

- მე კი ვიცი! - იყვირა მიშელმა.

- თქვი, თუ იცი! - იღრიალა ნიკოლმაც, რომელსაც თავისი ხმა თვითონვე არ ესიამოვნა.

- როცა მომესურვება, მაშინ ვიტყვი! - უპასუხა მიშელმა და ამხანაგს უხეშად წაავლო ხელი ხელზე.

- ახლავე თქვი, - დაიქუხა ბარბიკენმა, რომელიც თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა და თან მუშტებით იმუქრბოდა, - მთელ ამ გიჟურ მოგზაურობაში შენ ჩაგვითრიე და ბოლოს და ბოლოს მინდ გავიგო, რისი გულისთის?

- დიახ, - დაიყვირა ნიკოლმა, - თუ არ ვიცი, საით მივდივარ, ის მაინც ვიცოდე, რატომ მივდივარ!

- რატომ! - იყვირა მიშელმა და თითქმის ერთ მეტრზე შეხტა ჰაერში. - გინდა, რომ გაიგო, რატომ? იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელით

მთვარეს დაპატრონებოდით! რათა შტატებისათვის კიდევ ერთი, მეორმოცე შტატი მიგეერთებინათ! მოგეხდინათ მთვარის კოლონიზაცია, რათა მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის საოცრებები მოათავსოთ იქ! ცივილიზაციაშეგეტანათ სელენიტებში, თუ ისინი ჩვენამდე უკვე ცივილიზებულები არ არიან. და ბოლოს რესპუბლიკად გამოგეცხადებინათ მთვარე, თუ იქ უკვე არ არსებობს რესპუბლიკა.

- კი მაგრამ, არიან მთვარეზე სელენიტები? - ჩაიბუბუნა ნიკოლმა, რომლსაც გაურკვეველი მდგომარობის გამო წინაღმდეგობის გაწევის სურვილი გასჩენოდა.

- ვინ თქვა, სელენიტები არ არიანო? - მუქარით იყვირა მიშელმა.

- მე! - პასუხად იღრიალა ნიკოლმა.

- კაპიტანო! არ გაბედო ამის გამორება, თორემ ნახავ, რაც მოგივა!

მოწინააღმდეგენი მზად იყვნენ, ერთმანეთისათვის მუშტები დაეშინათ. უაზრო კამათი ცემა-ტყეპაში გადაიზრდებოდა, რომ ბარბიკენი არ ჩარეულიყო.

- შეჩერდით, სულელებო! - დაიყვირა მან და ნიკოლი და მიშელი გააშველა. არ იქნებიან სელენიტები და ნუ იქნებიან. უიმათოდაც გავძლებთ.

- რა თქმა უნდა, - ღრიალებდა მიშელი, მას უკვე დავიწყებოდა, რასაც ეს წუთია ამტკიცებდა, - მათ გარეშეც იოლად გავალთ! რა ეშმაკად გვინდა სელენიტები!... ძირს სელენიტები!

- მთვარეს ჩვენ დავიპყრობთ! - ყვიროდა ნიკოლი.

- ჩვენ სამნი გამოვაცხადებთ მთვარეზე რესპუბლიკას!

- მე კონგრესი ვიქნები! - ღრიალებდა მიშელი.

- მე სენატი! - ყვიროდა ნიკოლი.

- ბარბიკენი კი პრეზიდენტი იქნება! - ღმუოდა მიშელი.

- პრეზიდენტს ხალხი ირჩევს! - წამოიძახა ბარბიკენმა.

- პრეზიდენტს კონგრესი აირჩევს, - დაიყვირა მიშელმა. - ხოლო ვინაიდან კონგრესი მე ვარ, ერთხმად გირჩევ შენ პრეზიდენტად!

- ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს პრეზიდენტ ბარბიკენს! - ყვიროდა ნიკოლი.

- ვაშა! ვაშა! ... - იყვირა მიშელ არდანმა.

ამის შემდეგ "პრეზიდენტმა" "სენატთან" ერთად მქუხარე ხმით პოპულარული სიმღერა "იანკი დუდლი" წამოიწყო, ხოლო "კონგრესმა" თავისი ბასით "მარსელიოზა" შემოსძახა.

ისეთი თავშეუკავებელი ცეკვა გაიმართა, რომ მათი ჟესტები და ველური კონვულსიები ტაკიმასხარას შეშურდებოდა. ამ ვაკხანალიის მონაწილე გახელებულმა დიანამ ღმულილი ატეხა და ყუმბარის თაღზე შეხტა. იქიდან მამლის ფრთების ფათქუნი და უჩველოდ წკრიალა "ყიყლიყო" მოისმა.

ხუთი თუ ექვსი დედალი ღამურებივით ჭერში შეფრთხიალდნენ და ყუმბარის კედლებს ხან აქ, ხან იქ ეხეთქებოდნენ.

მოგზაურები თანდათან მართლა მთვრალებს დაემსგავსნენ, საოცარი იყო, რომ ჰაერი ფილტვებსა და სასუნთქ ორგანოებს უწვავდათ. ბოლოს უგრძნობლად დაეცნენ ყუმბარის ფსკერზე.

მერვე თავი

დედამიწიდან 78-114 ლიეს დაშორებით

რა მოდა? რა იყო მიზეზი ასეთი აღტკინებისა, რომელიც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ?

მიზეზი გულმავიწყი მიშელის შეცდომა იყო, რომელიც ნიკოლმა დროზე შეამჩნია და გამოასწორა.

ასეთი მდგომარეობა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. პირველად კაპიტანი გამოერკვა და შეეცადა, გონს მოსულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ მან რაღაც ორი საათის წინ ისაუზმა, საშინელი შიმშილი იგრძნო, თითქოს რამდენიმე დღის უჭმელი ყოფილიყო. მთელი ორგანიზმი, კუჭიდან დაწყებული ტვინით დამთავრებული, აღეგზნო. ნიკოლი ფეხზე წამოდგა და მიშელს დამატებითი საუზმე მოსთხოვა, მაგრამ მიშელი ისე იყო ღონეგამოცლილი, პასუხის თავიც არ ჰქონდა. ნიკოლმა გადაწყვიტა, თვითონ აედუღებინა ჩაი და სანდვიჩთნ ერთად მიერთვა. მაგრამ ასანთს რომ გაჰკრა, ცეცხლი ისე აბრიალდა, თვალები ეტკინა. გაზის მილიდან თვალისმომჭრელი, ელექტრონული სინათლის ნაკადივით კაშკაშა ალი გამოვარდა.

მაშინ კი მიხვდა ნიკოლი, რისგანაც იყო გამოწვეული ეს თვალისმომჭრელი ალი, მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოვლენები, ფიზიკური და სულიერი აღგზნება.

- ჟანგბადი! - წამოიყვირა მან.

ნიკოლი ჟანგბადუს აპარატთან დაიხარა და ნახა,რომ ონკანიდან უფერო და უსუნო გაზის ნაკადი მოედინებოდა. უჟანგბადოდ სიცოცხლე შეუძლებელია, მაგრამ ჭარბი რაოდენობით მიღებამ შეიძლება ადამიანის ორგანიზმი მოშალოს. დაუდევარ და დაბნეულ მიშელს აპარტის ონკანი ღია დარჩენოდა.

ნიკოლმა სასწრაფოდ გადაკეტა ონკანი. ყუმბარა ისე იყო გავსებული ჟანგბადით, რომ ყველანი ბოლოს და ბოლოს, ან დაიხოცებოდნენ, ან დაიწვებოდნენ.

ერთ საათში ჰაერი გაიწმინდა და ფილტვებსაც ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცა. ნელ-ნელა მეგობრები გონს მოეგნენ, მაგრამ ნამთვრალევით კიდევ დიდხანს ვერ გამოვიდნენ მდგომარეობიდან.

მიშელი ოდნავადაც არ შეწუხებულა, როცა გაიგო, რომ ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე. მერე რა მოხდა? ამ უცაბედმა ორგიამ ცოტათი გამოაცოცხლა ჩვენი ერთფეროვანი მოგზაურობაო. ამაზე აყვნენ, და რა სისულელე აღარ უთხრეს ერთმანეთს. მაგრამ ყველაფერი მალევე დაივიწყეს.

- მერე რა, - მხიარულად თქვა არდანმა, - სრულებითაც არ ვნანობ, რომ ეს მათრობელი გაზი გამოვუშვი. ჩემი აზრით, მეგობრებო, საინტერესო იქნებოდა ჟანგბადის კაბინების დაარსება, სადაც მოდუნებული ორგანიზმის მქონე ადამიანები რამდენიმე საათი მაინც იცხოვრებდნენ უფრო აქტიური ცხოვრებიტ. წარმოიდგინეთ, რომელიმე თავშეყრის ადგილზე ან თეატრში ადმინისტრაციამ დიდი რაოდენობით გაუშვას ეს გაზი. როგორი ტემპერამენტით ითამაშებდნენ მსახიობები, ან მაყურებლის აღფრთოვანება როგორი იქნებოდა. ანდა ასეთი გაზით შეზარხოშებულ რომელიმე ერს როგორი მჩქეფარე ცხოვრება ექნებოდა. დაუძლურებული ერი შეიძლება დიდ და ყოვლისშემძლე ერად იქცეს. ვფიქრობ, მობერებული ევროპის ბევრ სახელმწიფოს ჯანმრთელობის აღსადგენად სჭირდება ჟანგბადით მკურნალობა!

მიშელი ისეთი გატაცებით მსჯელობდა, თითქოს ჟანგბადის ონკანი ისევ მიშვებული იყო, მაგრამ ბარბიკენის მოულოდნელმა შენიშვნამ მიშელს აღფრთოვანება გაუნელა.

- ყველაფერი ეს კარგია, ძვირფასო მიშელ, -უთხრა მან, - მაგრამ ვერ მეტყვით, საიდან გაჩნდნენ ჩვენი კონცერტის აქტიური მონაწილე ქათმები?

- ქათმები?!

- დიახ, ქათმები.

მართლაც, რამდენიმე დედალი ლამაზი მამლის მეთაურობით კრიახით მიდი-მოდიოდა ყუმბარაში.

- ეჰ, თქვე არამზადებო! - შესძახა მიშელმა. - ამ ჟანგბადმა სულ აურ-დაურია ყველაფერი.

- რა გინდა ამათ უყო? - იკითხა ბარბიკენმა.

- მთვარეზე უნდა გავამრავლო ეს ვერანები!

- მერედა რატომ გვიმალავდი?

- სიურპრიზი მინდოდა გამეკეთებინა, პატივცემულო პრეზიდენტო, მაგრამ არ მოხერხდა. მინდოდა ქათმები ჩუმად გამეშვა მთვარეზე. წამომიდგენია, როგორ გაოცდებოდით, როდესაც მთვარის მინდვრებზე არხეინად მოსიარულე ამ მიწიერ ფრთოსნებს ნახავდით.

- ოხ, შე ონავარო! - შესძახა ბარბიკენმა. - შენს გასაბრუებლად ჟანგბადი რა საჭიროა? ისედაც ყოველთვის თავბრუდახვეული ხარ.

- ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ვიყავით ყველაზე ჭკვიანები, - თქვა მიშელმა.

ამგვარი ფილოსოფიური საუბრის შემდეგ მეგობრებმა ყუმბარაში წესრიგი დაამყარეს. ქათმები გალიაში გამოკეტეს. მაგრამ სწორედ ამ დროს ბარბიკენმა და მისმა მეგობრებმა ახალი საოცრება შეამჩნიეს.

გაფრენის წუთიდან მათი საკუთარი წონა, აგრეთვე ყუმბარისა და იქ მოთავსებულ საგანთა წონა თანდათან მცირდებოდა. თუ ისინი აქამდე ამას ვერ ამჩნევდნენ, დადგებოდა წუთი, როცა ან თავიანთი სხეულის, ანდა საჭირო ნივთების წონის შემცირებას იგრძნობდნენ.

ჩვეულებრივი აწონვით ამას ვერ შეამჩნევდნენ, რადგანაც გირებსაც იგივე შეფარდებით აკლდებოდა წონა. ზუსტი წონის გაგება მხოლოდ ზამბარიანი სასწორით შეიძლებოდა, ვინაიდან ზამბარაზე დედამიწის მიზიდულობა არ მოქმედებს.

როგორც ცნობილია, მიზიდულობის ძალა ანუ სიმძიმე, პირდაპირ პროპორციულია მასისა და უკუპროპორციულია მანძილის კვადრატისა. ყველა ციური სხეული რომ გაქრეს და მხოლოდ ერთადერთი სხეული - დედამიწა - დარჩეს მთელ სამყაროში, მაშინ ნიუტონის კანონის თანახმად, ყუმბარა, რაც უფრო დაშორდება დედამიწას, მით უფრო დაკარგავს თავის წონას. მაგრამ აღსანიშნვია ისიც, რომ მთლიანად არ დაკარგავს, რადგანაც მანძილის მიუხედავად, დედამიწის მიზიდულობის ძალა მაინც იმოქმედებდა.

ამ შემთხვევაში უნდა დამდგარიყო ის წუთი, როცა ყუმბარა სამყაროს მიზიდულობის კანონების მოქმედების სფეროდან გაიდოდა, ე.ი. დანარჩენ ციურ სხეულთა მიზიდულობა ნულის ტოლი გახდებოდა.

მაშასადამე, ყუმბარა დედამიწას და მთვარეს შორის იმყოფებოდა. იმის და მიხედვით, რაც იგი დედამიწას მოსცილდა, დედამიწის მიზიდულობა იცვლებოდა მანძილის კვადრატის უკუპროპორციულად, მთვარის მიზიდულობა კი პირდაპირ პროპორციულად. იმ წერტილში, სადაც მთვარისა და დედამიწის მიზიდულობის ძალა გათანაბრდებოდა, ყუმბარა წონას დაკარგავდა. მთვარისა და დედამიწის მასები რომ ტოლი ყოფილიყო, მაშინ ეს წერტილი ზუსტად შუა გზაზე იქნებოდა. მაგრამ რამდენადაც მათი მასები სხვადასხვაა, ეს წერტილი მთელი გზის 47/52 ნაწილში იქნება, ესე იგი დედამიწიდან 78 114 ლიეზე.

მიზიდულობის გაწონასწორების ამ წერტილში, ყოველი სხეული, რომელსაც არც სიჩქარე და არც ძრავა არ ექნებოდა, სამუდამოდ გაიყინებოდა. ორივე მნათობი

თანაბარი ძალით მიიზიდავდა და ვერაფერი ვერ შეძლებდა გამოეყვანა სხეული ამ მდგომარეობიდან.

ბიძგის ძალა რომ ზუსტად ყოფილიყო გამოთვლილი, ყუმბარა ამ წერტილამდე ნული სიჩქარით მივიდოდა, ამასთან შიგ მოთავსებულ საგნებიდან წონადაკრგული.

რა მოხდებოდა შემდეგ? სამი რამ: ერთი, ყუმბარა, რომელსაც რაღაც სიჩქარე მაინც ექნებოდა შენარჩუნებული, მიზიდულობათა გატოლების წერტილს გასცილდებოდა თუ არა, მთვარის მიზიდულობის ძალა იმოქმედებდა და მთვარეზე დაეცემოდა.

მეორე, შეიძლებოდა ყუმბარას სიჩქარე არ ჰყოფნოდა ნეიტრალურ წერტილამდე მისაღწევად, მაშინ მას დედამიწა მიიზიდავდა და უკანვე დაეცემოდა.

და ბოლოს, რაღაც სიჩქარით მოძრავი ყუმბარა ნეიტრალურ წერტილს კი მიაღწევდა, მაგრამ მას ვეღარ გადალახავდა სიჩქარის უკმარისობის გამო და სამუდამოდ იმ წერტილზე გაჩერდებოდა ლეგენდარული მუჰამედი კუბოსავით, ზენიტსა და ნადირს შორის გამოკიდებული.

აი, ამგვარი ამბები იყო მოსალოდნელი და ბარბიკენმაც დაწვრილებით აუხსნა თავის თანამგზავრებს და უზომოდ დააინტერესა ისინი. მაგრამ როგორ გაიგონ, მიაღწია თუ არა ყუმბარამ ნეიტრალურ წერტილს, რომელიც დედამიწიდან 78 114 ლიეზე მდებარეობს? რა ქნან, როდესაც არც ადამიანი და არც საგანი არავითარ მიზიდულობას არ ემორჩილება. მოგზაურები ამჩნევდნენ, რომ დედამიწის მიზიდულობის ძალა თანდათანობით მცირდებოდა, მაგრამ სრული გაქრობის შემჩნევა არ შეეძლოთ. სწორედ ამ დილით კი ნიკოლს ჭიქა გაუვარდა ხელიდან, მაგრამ ძირს როდი დავარდა, ჰაერში გაჩერდა.

- რა ოინია! - შესძახა არდანმა, - ესეც შენი ფიზიკის კანონები!

მართლაც, ყოველი საგანი, იარაღი თუ ბოთლი, თავის ნებაზე მიშვებული, ჰაერში ეკიდა. მიშელმა ხელში აიყვანა დიანა და ძაღლმაც სრულიად თავისუფლად აჩვენა შესანიშნავი საცირკო ნომერი, კასტონისა და ძმები რობერ- გუდენის მსგავსად ჰაერში ჩამოეკიდა. ძაღლი ვერც კი ამჩნევდა, რომ იგი ჰაერში ლივლივებდა.

ამ საოცარ სამყაროში მოხვედრილი მოგზაურები, გაოცებულნი და შეძრწუნებულნი თავიანთი მეცნიერული განსჯის მიუხედავად, სხეულის წონის შემსუბუქებას გრძნობდნენ. გაწვდილი ხელი გაწვდილადვე რჩებოდათ, თავი კისერზე უყანყალებდათ, ფეხებს იატაკზე ვერ ადგამდნენ. წონსწორობა და სიმყუდროვედაკარგულ მთვრალებს ჰგავდნენ. ადამიანის ფანტაზიამ უჩრდილო ადამიანები წარმოშვა, აქ კი ორი პლანეტის მიზიდულობის ძალთა გათანაბრებამ უწონო ადამიანები შექმნა.

მიშელი უცებ შეხტა და ჰაერში დაეკიდა, როგორც მურილიოს კეთილი ბერი "ანგელოსურ სამზარეულოში". მას ბერბიკენი და ნიკოლიც შეუერთდდა. ყუმბარის ცენტრში "სასწაულებრივი ამაღლება" წარმოიქმნა.

- წარმოგიდგენიათ, რა ხდება! დაუჯერებელია! - ყვიროდა გაოცებული მიშელი. - საოცარია, მაგრამ ასეა! რაფაელს რომ დავენახეთ, შესანიშნავი ნატურა ვიქნებოდით მისი "ამაღლებისათვის!"

- შეუძლებელია, ასეთი მდგომრეობა დიდხანს გაგრძელდეს, - თქვა ბარბიკენმა. - როგორც კი ყუმბარა ნეიტრალურ ხაზს გადასცილდება, იმ წუთში მთვარის მიზიდულობა ამოქმედდება და მთვარეზე დაცემას დავიწყებთ.

- რას ვიზამთ, ყუმბარი ზედა ნაწილში თავდაყირა დგომა მოგვიწევს? - იკითა მიშელმა.

- არა, ეს არ მოხდება, - დაამშვიდა ბარბიკენმა, - რადგანაც სიმძიმის ცენტრი ყუმბარის ფსკერზეა და იგი ნელ-ნელა მთვარისკენ შებრუნდება ფსკერით.

- მაშასადამე, რაც გვაბადია, ყველაფერი აყირავდება?

- დამშვიდდი, მიშელ, - თქვა ნიკოლმა. - საშიში არაფერია, ყველაფერი თავის ადგილზე იქნება. ჩვენ ვერც კი გავიგებთ ყუმბარის შემობრუნებას.

- სრული სიმართლეა, - დაამტკიცა ბარბიკენმა, - როგორცკი ნეიტრალურ წერტილს მივუახლოვდებით, ქვედა, ყუმბარის შედარებით ყველაზე მძიმე ნაწილი მთვარის ზედაპირის პერპენდიკულარულად მოექცევა. ამისათვის აუცილებელია ნეიტრალური წერტილის გავლა.

- აი, თურმე რაშია საქმე, ტოლი მიზიდულობის ხაზი უნდა გადავკვეთოთ! - ჩაურთო მიშელმა. - ჰოდა, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც მეზღვაურები იქცევიან ეკვატორის გადაკვეთისას: საველოდოთ!

მიშელმა სასწრაფოდ გამოიღო კედლიდან სასმელი, მერე ჭიქები და "სივრცეში" თითოეულს წინ დაუწყო. ჭიქები მიუჭახუნეს და "ვაშას" შემახილებით მიესალმნენ დედამიწის მიზიდულობის ზღვარის გადალახვას.

დედამიწისა და მთვარის მიზიდულობათა წონაწორობა ერთი საათი გაგრძელდა. მოგზაურები გრძნობდნენ, რომ თანდათან ეშვებოდნენ ფსკერზე. ბარბიკენმა ისიც შეამჩნია, რომ ყუმბარის კონუსისებური თაღი გადაიხრას იწყებდა, ხოლო ფსკერი მნათობს უახლოვდებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთვარის მიზიდულობის ძალა დედამიწისას სძლევდა. მთვარეზე დაშვება, ჯერჯერობით ძალზე შეუმჩნეველი იყო. დაცემის სიჩქარე პირველ წამში მილიმეტრის მესამედს უდრიდა, ანუ ხაზის 590 მეათასედს.

მაგრამ მთვარის მიზიდულობის ძალა თანდათან მოიმატებს. და დედამიწისაკენ მიმართული ყუმბარის კონუსისებური ნაწილი უკვე გაძლიერებული სიჩქარით მთვარისაკენ იქროლებს, ვიდრე მის ზედაპირზე არ დაეცემა. მიზანს უეჭველად მიაღწევენ. საქმეს ხელს უკვე ვერაფერი შეუშლის. ნიკოლი და არდანიც შეუერთდნენ ბარბიკენის სიხარულს.

ისინი მსჯელობდნენ იმ ახალ-ახალ მოვლენებზე, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე აოგნებდა მათ. აღტაცებული არდანი ყველაფერზე ფანტასტიკურ დასკვნებს აკეთებდა.

- მეგობრებო! - შესძახა მან. - როგორ პროგრესს მიაღწევდა დედამიწა, მიზიდულობის კანონისაგან რომ თავი დაგვეღწია. ეს იგივეა, ტყვე რომ ბორკილებისაგან გაათავისუფლო. არც ხელები და არც ფეხები არ დამღლია. თუ ახლა დედამიწაზე ჰაერში გაჩერებისათვის ადამიანის ძალაზე 110-ჯერ მეტი ძალაა საჭირო, მაშინ მხოლოდ ნებისყოფა იქნებოდა საკმარისი სივრცეში გასაფრენად.

- დიახ, - შენიშნა ნიკოლმა ღიმილით, - სიმძიმის ძალის მოსპობა რომ შეიძლებოდეს, როგორც ნარკოზით ტკივილის გაყუჩება, ბევრი რამ შეიცვლებოდა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში.

- გადაწყდა, - შესძახა საკუთარი ფანტასტიკური გეგმით გახნევებულმა მიშელმა, - სიმძიმის ძალა უნდა მოვსპოთ! აღარც ჯალამბარი იქნება მერე საჭირო და აღარც ამწეები, ტროსები და არც ბერკეტები, - ეს ყველაფერი თავის დანიშნულებას დაკარგავს.

- კარგი ნათქვამია, - ჩაურთო ბარბიკენმა, - მაგრამ თუკი ყველაფერი წონას დაკარგავს, მაშინ ადგილზე ვეღარაფერს გავაჩერებთ. ქუდს ვერ დაიხურავ, ძვირფასო მიშელ, ვერც სახლს ააშენებ, სახლის აშენებისათვის ხომ საძირკვლის ჩაყრაა საჭირო, ქვები კი წონას დაკარგავდნენ. ნავს მიზიდულობის ძალა აჩერებს ზღვაზე, ოკეანეც

თვისი კალაპოტიდან გადმოვიდოდა და ბოლოს ატმოსფეროც შემოგვცლებოდა და სივრცესი გაიფანტებოდა. მის ნაწილაკებსაც ასევე მიზიდულობა აჩერებს...

- სამწუხაროა, - განაწყენდა მიშელი, - თქვენ სულ ცდილობთ, ზეციდან მიწაზე ჩამომაგდოთ.

- დაწყნარდი, მიშელ, - განაგრძობდა ბარბიკენი, - თუ საერთოდ არ არსებობს პლანეტა მიზუდულობის ძალის გარეშე, ყოველ შემთხვევასი, შენ ამ პლანეტას მაინც მოინახულებ, სადაც ეს ძალა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე.

- მთვარეზე ამბობ?

- ჰო, მთვარეზე. დედამიწასთან შედარებით, იქ ყველაფერს ექვსჯერ ნაკლები წონა აქვს. ამის დადგენა ადვილია.

- ჩვენც შევამჩნევთ ამას?

- ცხადია, ჩვენი ასი კილოგრამი იქ ოცდაათს აიწონის.

- და თან კუნთის ძალაც არ შემცირდება?

- ოდნავადაც არა. თუ შენ მთელი ძალ-ღონით მიწაზე მხოლოდ ერთ მეტრზე ახტები, მთვარეზე იმავე ძალით თვრამეტ ფუტზე ახვალ.

- როგორც ჩანს, მთვარეზე ყველანი ჰერკულესებად ვიქცევით! - შესძახა მიშელმა.

- დიახ, მით უმეტეს, - თქვა ნიკოლმა, - თუ სელენიტების სიმაღლე პროპორციულია მთვარის მასისა, ისინი ერთი ფუტის სიმაღლის ჯუჯები იქნებიან.

- ქონდრის კაცები! - გამხიარულდა მიშელი. - მე კი გულივერი ვიქნები. ჩვენ ხორცს შევასხამთ ლეგენდებს გოლიათებზე... წარმოგიდგენიათ, თურმე რა სასარგებლო ყოფილა შენი პლანეტის დატოვება და მზის სისტემაში განავარდება?

- მოიცა, მიშელ, - შეაჩერა ბარბიკენმა, - თუ შენ უეჭველად გულივერობა გინდა, მაშინ გირჩევ, უფრო პატარა პლანეტებს - მერკურის, ვენერას ან მარსს ესტუმრო, რომელთა მასა გაცილებით ნაკლებია დედამიწსაზე. მაგრამ თუ იუპიტერზე, სატურნზე და ნეპტუნზე მოისურვე წასვლა, მაშინ შენ თვითონ იქნები ქონდრის კაცი.

- მზეზე?

- მზის სიმკვრივე ოთხჯერ ნაკლებია დედამიწისაზე. მისი მოცულობა კი მილიონ სამას ოცდაოთხჯერ მეტი, მიზიდულობა - ოცდაშვიდჯერ მეტი; ასეთ პირობებში იქაური მცხოვრები სიმაღლით ას ფუტამდე იქნებოდა.

- დალახვროს ეშმაკმა! - შეჰყვირა მიშელმა. - მაშ, მე თვითონ მზეზე პიგმეი, მუმლი ვიქნებოდი!

- არა, გულივერი გოლიათთა შორის! - შეესიტყვა ნიკოლი.

- სრული სიმართლეა! - დაეთანხმა ბარბიკენი.

- მაშინ ზედმეტი არ იქნებოდა მზეზე რამდენიმე ქვემეხის წაღება.

- არა, რა საჭიროა! - თქვა ბარბიკენმა. - ყუმბარები იქ არავითარ ეფექტს არ მოახდენენ, ერთ მეტრზეც არ გავარდებოდნენ.

- კარგი რამ იქნებოდა!

- სრული სიმართლეა. ამ უშველებელი მნათობის მიზიდულობა იმდენად დიდია, რომ დედამიწაზე სამოცდაათი კილოგრამი იქ, მზეზე, ათას ცხრაას ოცდაათ კილოგრამს აიწონის. შენი ქუდი ათეულობით კილოგრამი იქნებოდა, სიგარა კი - ნახევარი გირვანქა. ხოლო შენ თვითონ იქ, მზის "მიწაზე" ორი ათას ხუთას კილოგრამამდე გახდები, ასე რომ, ფეხზე დადგომას ვერ შეძლებ.

- რა ჯანდაბაა! - წამოიყვირა მიშელმა. - როგორც ჩანს, იქ მუდამ ჯიბის ჯალამბარი უნდა ატარო თან! ძვირფასო მეგობრებო, ჯერჯერობით მთვარით დავკმაყოფილდეთ. აქ, ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენ საპატიო არსებები ვიქნებით.

მერე კი ვნახოთ, ღირს თუ არა გამგზავრება მზეზე, სადაც ერთი ჭიქა ღვინის დასალევად თურმე ამწეა საჭირო.

მეცხრე თავი

გადახრის შედეგი

ბარბიკენი მეტს აღარ შფოთავდა. მართალია, მოგზაურობის დასასრული ჯერ კიდევ ბურუსითიყო მოცული, მაგრამ ყუბარის გასროლის სიძლიერე უკვე ნათელი გახლდათ. ყუმბარამ ნეიტრალური ხაზი გადაკვეთა. მაშ ასე, დედამიწაზე უკანვე დავარდნა უკვე შეუძლებელი იყო. ვერც ნეიტრალურ წერტილზე შეჩერდებოდა. მაშასადამე, მთვარის მიზიდულობის ძალით ყუმბარა მიზანს მიაღწევდა.

რვა ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი ლიეს სიმაღლიდან უნდა დაწყებულიყო პლანეტაზე ყუმბარის დაშვება. მართალია, მთვარის მიზიდულობის ძალა დედამიწასთან შედარებით ექვსჯერ ნაკლები იყო, მაგრამ მაინც სიფრთხილე მართებდათ. ჯერ ერთი, მთვარესთან ყუმბარის შეხების დარტყმა უნდა შეესუსტებინათდა მეორეც, საჭირო იყო სიჩქარის შენელება, რათა დაფრენა რაც შეიძლება ნაკლებ ეგრძნოთ.

ბარბიკენი ძალიან ნანობდა, რომ დედამიწიდან აფრენის დროს ბიძგის შესასუსტებლად გამოყენებულ საშუალებებით, როგორიც იყო წყალი, ბუფერის მაგივრობას რომ უწევდათ, და გამყოფი ტიხრებით აქ ვერ ისარგებლებდნენ. ტიხრები უვნებლად შერჩათ, მაგრამ წყალი აღარ იყო. მარაგის ასე გამოცლა არ შეიძლებოდა. მთვარეზე რომ უცებ ვერ ნახონ სასმელი წყალი, რა უნდა იღონონ?

წყალი ყუმბარის აფრენისას წყალგაუმტარ დისკოზე დამაგრებულ ხის ტიხრებში ესხა. ტიხრების სიმაღლე სამ ფუტამდე იყო და 54 კვადრატული ფუტი ფართობი ეჭირა. წყლის მოცულობა ექვს კუბიკურ მეტრს აღწევდა, ხოლო წონა - 5 750 კილოგრამს. ახლა ყუმბარაში არსებულ ყველა ამ წყლის მეხუთედიც აღარ იქნბოდა და ამგვარად, მისი საშუალებით ბიძგის შესუსტებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

საბედნიეროდ, ბარბიკენი მარტო წყლის იმედად არ ყოფილა. მან მოძრავი იატაკი მაგარი ზამბარებით აღჭურვა, რომელთაც ჰორიზონტალური ტიხრების დამსხვრევის შემდეგ ბიძგი უნდა შეენელებინათ. ეს ბუფერები მთელი იყო, მხოლოდ წესრიგში უნდა მოეყვანათ, მოძრავი იატაკი პირვანდელ ადგილას უნდა დაემაგრებინათ. ყველაფერი სწრაფად და ადვილად გაკეთდა, მით უმეტეს, ყოველი ნივთი თითქმის უწონო იყო.

ყველაფერი მზად იყო, ყოველი ნაწილი თავ-თავის ადგილზე დაამაგრეს ქანჩებითა და ჭანჭიკებით. ყოველგვარი ხელსაწყო აღმოაჩნდათ და მალე ფეხზე შემდგარი მრგვალი მაგიდის მსგავსად იატაკი ფოლადის ზამბარებზე მიამაგრეს. ეს დანადგარი მხოლოდ ერთ რამეში უშლიდათ ხელს. ქვედა სარკმელი დაიფარა და მოგზაურები მთვარეზე ყუმბარის დაშვებას ვეღარ დაინახავდნენ. მაგრამ რას იზამდნენ. სამაგიეროდ, გვერდითა სარკმელებიდან ისე მოჩანდა მთვარის ვეებერთელა სივრცეები, როგორც დედამიწა მოჩანს საჰაერო ბურთის გონდოლიდან.

დისკოს დამაგრებას ისინი ერთ საათს მოუნდნენ და ნაშუადღევისთვის უკვე ყველაფერი მზად იყო. ბარბიკენმა თავიდან დაათვალიერა ყველაფერი და დაადგინა, რომ სამწუხაროდ ყუმბარა მთვარის პერპენდიკულარულად ჯერ კიდევ არ შებრუნებულიყო, მთვარის დისკოსაკენ ირიბი ტრაექტორიით მიდიოდა.

ღამის მნათობი ცაზე ელვარებდა, ამ დროს კი მეორე მხირდან ყუმბარას უხვად აფრქვევდა თავის სხივებს დღის მნათობი.

ყუბარა არ იყო შესაშურ მდგომარობაში.

- მივაღწევთ კი მთვარემდე? - ჩასძია ნიკოლმა.

- ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მივაღწიოთ, - უპასუხა ბარბიკენმა.

- მშიშრებო! - შესძახა მიშელმა. - რასაკვირველია, მივარწევთ. თანაც უფრო მალე, ვიდრე ჩვენ გვინდა.

ასეთმა მტკიცე პასუხმა ბარბიკენს მუშაობის სურვილი აღუძრა. ის შეუდგა ყუმბარის ნელა დაფრენისათვის ზრუნვას.

აქ უნდა გავიხსენოთ ფლორიდის ქალაქ ტამპაში შემდგარი მიტინგი, სადაც ნიკოლი ბარბიკენის პოზიციის სრულიად საწინააღმდეგოდ გამოვიდა, მიშელ არდენს კი უკმეხად შეეპასუხა. ნიკოლი მაშინ ამტკიცებდა, რომ ყუმბარა მთვარის ზედაპირს შეეხება თუ არა, მაშინათვე შუშასავით დაიმსხვრვაო. არდანი შეედავა, რომ იგი წინასწარ გაშვებული რაკეტებით ვარდნას შეაჩერებდა. მართლაც, ძლიერ რაკეტებს, რომელთაც საყრდენი წერტილი ყუმბარის ფსკერზე ჰქონდათ, გასროლისას ყუმბარის უკუმოძრაობა უნდა გამოეწვია და რამდენადმე შეემცირებინა დაცემის სიჩქარე. მართალია, ამ რაკეტებს უჰაერო სივრცესი მოუწევდათ წვა, მაგრამ საამისო ჟანგბადი თვით რაკეტებში საკმარისად იყო. ვულკანების ამოფრქვევა ხომ არასოდეს შეფერხებულა მთვარის ატმოსფეროს უქონლობით.

ბარბიკენმა გამომგზავრებამდე წინასწარ მოიმარაგა ოცი ცალი რაკეტა პატარა ღარებიანი ფოლიდის ცილინდრებში, რომლებიც ყუმბარის ფსკერზე იყო მიხრახნილი. შიგნიდან ისინი ფსკერთან იყვნენ გათანაბრებული, ხოლო გარეთ ნახევარი ფუტს სიგრძეზე გაშვერილიყვნენ. რაკეტის შიგნით მოთავსებული იყო ფითილები, მათ ასანთებად დიკსოს სპეციალური ნახვრეტები ჰქონდა დატანებული. თვით რაკეტა ყუმბარისაგან შორს უნდა აფეთქებულიყო. ფეთქებადი ნივთიერება თითოეულ ცილინდრში წინასწარვე ჩაედოთ. საჭირო იყო მხოლოდ დროზე ამოეძროთ ყუმბარის ფსკერზე მოთავსებული მეტალის საცობები და მათ მაგიერ ჭუჭრუტანებში რაკეტებიანი ცილიდრები ჩაეხრახნათ, კარგად მოერგოთ. სამი საათისათვის სამუშაო დაამთავრეს. ახლა ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდატ.

ამასობაში ყუმბარა საგრძნობლად მიუახლოვდა მთვარეს. რამდენადმე ის უკვე განიცდიდა მთვარის მიზიდულობის ძალას.

მაგრამ ყუმბარა მთვარის ზედაპირისადმი ირიბად მოძრაობდა. ამ ორი ფაქტორის - მთვარის მიზიდულობისა და საკუთრივ ყუმბარის სიჩქარის გამო შეიძლებოდა ერთგვარი ტანგენციალური ხაზი მიეღოთ. ყოველ შემთხვევისათვის, ცხადი იყო, რომ ყუმბარა მთვარეზე შვეულად არ დაეცემოდა. სხვაგვარად, ყუმბარის ქვედა ნაწილი თავისი სიმძიმის წყალობით, უკვე მთვარისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

ბარბიკენს მეტი მოუსვენრობა დაეტყო, როცა იგრძნო, რომ ყუმბარა მარტო მთვარის მიზიდულობას არ ემორჩილებოდა. ვარსკვლავთშორისი სივრცის შეუცნობლობა აშინებდა მას. დაკვირვებულმა მეცნიერმა თითქოს წინასწარ გაითვალისწინა სამივე შესაძლებლობა: დედამიწაზე დაბრუნებაც, მთვარეზე დაჯდომაც, და ნეიტრალურ წერტილში სამუდამო დარჩენაც. და აი, ახლა რაღაც მეოთხე შეასძლებლობა გამოჩნდა, რომელსაც დაუსრულებელი საშინელებანი შეიძლება მოჰყოლოდა. ბარბიკენივიტ მამაცი მეცნიერი, ნიკოლივით ფლეგმატური და არდანივით თავზეხელაღებული ავანტიურისტი უნდა იყო, რომ ასეთმა აღმოჩენამ სულით არ დაგცეს.

სხვაგვარი ყაიდის ადამიანები ეცდებოდნენ, საკითხი პრაქტიკულად გადაეჭრათ: გამოენაგარისებინათ, თუ საით მიჰყავდა ისინი ბედუკუღმართ ყუმბარას? მაგრამ ჩვენი მოგზაურები ამაზე არ ფიქრობდნენ. მათ მხოლოდ ყუმბარის გადახრის მიზეზი აწუხებდათ. ახლაც ამ საკითხზე დაიწყეს საუბარი.

- ამგვარად, ლიანდაგს გადავცდით, - თქვა არდანმა, - მაგრამ რატომ?

- ვშიშობ, წინასწარ მიღებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, კოლუმბიადა ზუსტად მაინც არ იყოს დამიზნებული, - თქვა ნიკოლმა. - როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს შეცდომა, ჩვენ მაინც მთვარის მიზიდულობის მიღმა მოვხვდებით.

- მაშასადამე, ცუდად დაუმიზნეს? - იკითხა მიშელმა.

- არა მგონია, - შეედავა ბარბიკენი. - ქვემეხი ზუსტად პერპენდიკულარულად იყო დადგმული და ზენიტში დამიზნებული და რაკი მთვარე ახლა ზენიტს უახლოვდება, ჩვენ მის ცენტრში უნდა მოვხვდეთ. არა, რაღაც სხვა მიზეზია, რომელსც ვერ მივმხვდარვარ.

- ხომ არ ვიგვიანებთ? - ივარაუდოდა ნიკოლმა.

- ვიგვიანებთ? - ჩაჰკითხა ბარბიკენმა.

- დიახ, - გააგრძელა ნიკოლმა. - კემბრიჯის ობსერვატორიის წერილში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი მოგზაურობა ოთხმოცდაჩვიდმეტ საათს, ცამეტ წუთსა და ოც წამში უნდა დამთავრდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ დროზე ადრე მთვარე დანიშნულ ადგილას არ მოვა, ცოტა გვიან კი გასცილდება იმ ადგილს.

- სრული სიმართლეა, - დაუმოწმა ბარბიკენმა. - მაგრამ ჩვენ ხომ პირველი დეკემბრის საღამოს ათ საათს, ორმოცდა ექვს წუთსა და ოცდახუთმეტ წამზე გამოვფრინდი, დანიშნულ ადგილას ხუთ დეკემბერს, შუაღამისას, სავსე მთვარის დროს უნდა ვიყოთ. დღეს სწორედ ხუთი დეკემბერია, ნაშუადღევის ოთხის ნახევარი. რვანახევარი საათი სრულიად საკმარისია მიზნამდე მისაღწევად. მაშ, რატომ გადავიხარეთ მისგან?

- შეიძლება ზედმეტი სიჩქარის გამო? - ისევ ჰკითხა ნიკოლმა. - ჩვენთვის ხომ უკვე ვიცით, რომ საწყისი სიჩქარე წინასწარ განზრახულზე მეტი აღმოჩნდა.

- არა, არა! არავითარ შემთხვევაში, - წამოიძახა ბარბიკენმა. - არავითარი სიჩქარის სიჭარბე არ შეგვიშლიდა ხელს, ყუმბარას რომ სწორი მიმართულება არ შეეცვალა. არა! ყუმბარა გადაიხარა საწყისი ტრაექტორიიდან, რაღაცამ გადახარა იგი.

- მაინც რამ? რანაირად?

- ეგ მეც არ ვიცი...

- მისმინე, ბარბიკენ, - მოუთმენლად შეაწყვეტინა მიშელმა, - გინდა ჩემი აზრი გითხრა?

- თქვი.

- ნახევარ დოლარსაც არ მივცემდი ასეთი აღმოჩენისათვის! გზას რომ გადავუხვიეთ, ფაქტია. ხოლო, საით მივდივართ, რა მნიშვნელობა აქვს! დღეს იქნება თუ ხვალ, ყველფერს გავიგებთ. რადგანაც უკიდეგანო სივრცესი ვმოძრაობთ. ბოლოს და ბოლოს, რომელიღაც მიზიდულობის სივრცეში მაინც მოვხვდებით!

მიშელ არდანის უდარდელმა ლაპარაკმა ბარბიკენი ვერ დაამშვიდა. მას გაურკვეველი მომავალი კი არ აწუხებდა, არამედ ის, რომ გადახრის მიზეზი ვერ გაეგო.

ყუმბრა თავისი ამალით, გადაყრილი ნივთებით. მთვარისაკენ გვერდულად განაგრძობდა ფრენას. მთვარის მწვერვალების მიხედვით, ბარბიკენს შეეძლო განესაზღვრა, რომ მთვარე მათ ორი ათას ლიეზე ნაკლებ აშორებდათდა რომ ყუმბრის

სიჩქარე თითქმის უცვლელი იყო. ესეც იმას ამტკიცებდა, რომ ყუმბარა შვეულად არ ჯდებოდა მთვარეზე.

ყუმბარის საწყისი სიჩქარე ჯერ კიდევ სძლევდა მთვარის მიზიდულობის ძალას, თუმცა ყუმბარის ტრაექტორია უფრო უახლოვდებოდა მთვარის დისკოს და შეიძლებოდა იმედი ჰქონოდათ, რომ უფრო ახლო მანძილზე მთვარის მიზიდულობა გადასძლევდა და ყუმბარა მთვარეზე დაეცემოდა.

რაკი უფრო მნიშვნელოვანი საქმე არაფერი ჰქონდათ, მეგობრებმა კვლავ დაკვირვება განაგრძეს. თუმცა მათ ჯერ კიდევ ნათლად ვერ გაერჩიათ დედამიწის თანამგზავრის ტოპოგრაფია. ყოველი კონტური მზის სხივებში ირეოდა.

მეგობრები მთვარეს საღამოს რვა საათამდე აკვირდებოდნენ გერდითა ილუმინატორებიდან. მთვარე თანდათან ისე გადადიოდა, რომ ცის თაღი ნახევრად დაფარა. ყუმბარა ცალი მხრიდან მზის სხივებით იყო გაჩახჩახებული, მეორდან კი - მთვარის სინათლით.

ამ დროს ბარბიკენმა გამოიანგარიშა, რომ მთვარემდე მხოლოდ 700 ლიე იყო დარჩენილი, რომ ყუმბარა წამში 200 მეტრს გადიოდა, ე.ი. 170 ლიეს საათში. ყუმბარის ქვედა ნაწილი ცენტრისკენული ძალის მეშვეობით მთვარისაკენ ბრუნდებოდა, მაგრამ ცენტრიდანული ძალა ზემოთ სწევდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყუმბარის ტრაექტორიაც ამოღუნული იყო, მაგრამ ამის ზუსტად გარკვევა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა.

ბარბიკენი ამ ამოუხსნელი ამოცანის გაგებას ცდილობდა. საათები გადიოდა. აშკარა იყო, რომ ყუმბარა მთვარეს უახლოვდებოდა, მაგრამ უკვე ისიც ნათელი იყო, რომ იგი მთვარეს არ შეეხებოდა. თუ რა მანძილზე აუვლიდა გვერდს, ეს მიზიდულობისა და განზიდულობის ძალთა ურთიერთქმედებაზე იყო დამოკიდებული, რომელმაც ყუმბარის მოძრაობა განსაზღვრა.

- მხოლოდ ერთი რამ მინდა, - იმეორებდა მიშელი, - რაც შეიძლება ახლოს მივიდეთ მთვარესთან, რათა მთელ მის საიდუმლოს ჩავწვდე!

- დასწყევლოს ღმერთმა ის მიზეზი, რამაც ჩვენ გზიდან აგვაცდინა! - ბრაზობდა ნიკოლი.

- დაწყევლილი იყოს... - შესძახა მიზეზის მიხედვით თავზარდაცემულმა ბარბიკენმა. - დაწყევლილი იყოს ის ბოლიდი, რომელიც ჩვენ შეგვხვდა!

- რა! - ჩაეძია არდენი.

- ამით რა გინდათ, რომ თქვათ? - შესძახა ნიკოლმა.

- ის, რომ - განაგრძო ბარბიკენმა, - ამ გადახრას მხოლოდ ამ მოხეტიალე ბოლიდს უნდა ვუმადლოდეტ.

- მაგრამ ის ხომ არც კი შეგვხებია? - შენიშნა მიშელმა.

- ეს არფერს არ ნიშნავს. ბოლიდის მასა გაცილებით დიდია ყუმბარის მასაზე და მისი მიზიდულობის ძალაც საკმარისი იყო, რომ ყუმბარის მიმართულებაზე ემოქმედა.

- როგორ, ასეთ უმნიშვნელო რამეს? - შეჰყვირა ნიკოლმა.

- დედამიწიდან ორხმოცდაოთხი ათასი ლიეს დაშორებით საკმარისი იყო ასეთ უბრალო რამ, რომ მთვარეს ავცდენოდით, - უპასუხა ბარბიკენმა.

მეათე თავი

მთვარეზე დაკვირვება

ბარბიკენმა გადახრის ნამდვილ მიზეზს მიაგნო. როგორი უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო ეს მიზეზი, მხოლოდ მას შეეძლო ყუმბარისათვის მიმართულება შეეცვალა. უაზრო შემთხვევითობამ გაბედული ცდა უშედეგოდ აქცია. თუ რაღაც ახალი, მოულოდნელი რამ არ შეცვლიდა ამ მდგომარეობას, მათ მთვარეზე დაჯდომა არ ეწერათ.

იმდენად მაინც თუ მიუახლოვდებიან დედამიწის თანამგზავრს, რომ ფიზიკისადა გეოლოგიის დღემდე უცნობი ზოგიერთი პრობლემა ამოხსნან? ამჯერად მათ მხოლოდ ესღა აფიქრებდათ. საკუთარ ბედზე ფიქრიც კი არ უნდოდათ. ჟანგბადი მალე გამოელევათ. უმისოდ კი რა უნდა ქნან უკიდეგანო სივრცეში? კიდევ რამდენიმე დღე და ისინი შეუცნობელი ძალების მოქმედებით მოხეტიალე ყუმბარაში გამოიგუდებიან. მაგრამ ეს რამდენიმე დღე საუკუნედ ეჩვენებოდათ. და ცდილობდნენ, ყოველი წუთი მხოლოდ მთვარეზე შორიდან დაკვირვებისათვის გამოეყენებინათ, პლანეტაზე მოხვედრის იმედი მათ უკვე აღარ ჰქონდათ.

მანძილი ყუმბარასა და მთვარესშორის ამ დროს ორასი ლიე იყო. მთვარის დისკოს რელიეფს ისინი უფრო შორიდან ხედავდნენ, ვიდრე ძლიერი ტელესკოპით შეიარაღებული დედამიწის მცხოვრებლები.

მართლაც, პარსონსტოუნში ჯერ როსის მიერ დადგმული ტელესკოპით, რომელიც 6500-ჯერ ადიდებს, მთვარე დედამიწას თექვსმეტი ლიეს მანძილზე უახლოვდება, ხოლო ლონგსპიკის მძლავრი ოკულარიდან, რომელიც 48000-ჯერ ადიდებს, თითქმის ორი ლიეს მანძილზე მოჩანს მთვარე. ამ მანძილზე კი ყოველგვარი ათმეტრიანი დიამეტრის მქონე საგნის დაწვრილებით შესწავლაც კი შეიძლება.

ამგვარად, ტელესკოპის გარეშე მთვარის ტოპოგრაფიის ასე თუ ისე ზუსტი შესწავლა ამ მანძილზე არ ხერხდბოდა. შეიძლებოდა მხოლოდ თვალი მოეკრათ უზარმაზარი დაბლობების ბუნდოვანი კონტურებისათვის, რომლებიც "ზღვებს" უწოდებენ, მაგრამ რა სახის დაბოლოებები იყო, ვერ გაარჩევდნენ. ქედების რელიეფი კასკაშა მზის არეკლილ სინათლეში მიმქრალებულიყო. გამდნარი ვერცხლივით მოელვარე ამ თვალისმომჭრელ სხივებს ადამიანი უნებლიეთ თვალს ვერ გაუსწორებდა.

ამასობაში მთვარის ფორმა უკვე მკვეთრად გამოისახა, გაწელილ ბურთს დაემსგავსა. იგი გიგანტურ კვერცხს ჰგავდა, რომელსაც წაწვეტებული ბოლო დედამიწისაკენ ჰქონდა მიმართული. შორეულ წარსულში, როდესაც მთვარე ის იყო ყალიბდებოდა, თხევად თუ გაზისებრ მდგომარეობაში მყოფს ბურთისმაგვარი სწორი ფორმა ჰქონდა. მაგრამ შემდეგ დედამიწის მიზიდულობის ძალამ იგი გაანელა. მას შემდეგ, რაც დედამიწის თანამგზავრი გახდა, თავისი თვისებები და სწორი ფორმა დაკარგა: სიმძიმის ცენტრმა გეომეტრიულ ცენტრთან მიმართებაში გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე ზოგი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ მთვარის საპირისპირო ნახევარსფეროზე, რომელიც დედამიწიდან არასოდეს არ ჩანს, შეიძლებოდა წყალი და ჰაერი ყოფილიყო.

მთვარის საერთო კონტრურზე დაკვირვება ჩვენს თანამგზავრებს მხოლოდ რამდენიმე წუთს შეეძლოთ. მანძილი ყუმბარასა და მთვარეს შორის თანდათან მცირდებოდა, იგი ჩვენი რკინიგზის ექსპრესებზე 8-9- ჯერ ჩქარა მიდიოდა. ყუმბარის დახრილი მდგომარეობა მიშელ არდანს იმედის ნაპერწკალს უღვივებდა, რომ შეიძლებოდა რაღაც წერტილში ყუმბარა მთვარეს შეხებოდა. იგი ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ მთვარეზე ვერ მოხვდებოდნენ. გამუდმებით ამაზე ლაპარაკობდა. მაგრამ

ყველაზე ავტორიტეტული მეცნიერი ბარბიკენი თავისი ულმობელი ლოგიკის წყალობით არდანს აზრს უცვლიდა.

- არა, მიშელ, არა, - ამბობდა ის. - მთვარეზე მაშინ მოვხვდებით, ყუმბარა რომ მასზე დაცემულიყო. ჩვენ კი ვერ ვეცემით. ორ ძალას შუა ვართ მოქცეული - ცენტრისკენული მთვარისკენ გვიზიდავს, ცენტრიდანული კი გვაშორებს.

ეს ისე დამაჯერებლად იყო ნათქვამი, რომ მიშელმა საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი იმედი.

ყუმბარა მთვარის ჩრდილო ნახევარსფეროსკენ მიემართებოდა. ეს ნახევარსფერო მთვარის რუკაზე ქვემოთ იყო მოთავსებული, ვინაიდან რუკები ტელესკოპითაა გადაღებული და ტელესკოპი კი, ცნობილია, გადაყირავებული გამოსახულებას იძლევა. ამ რუკებიდან ერთ-ერთი - Mappa selenographica[1] ბერის და მედლერის ბარბიკენს წინ ედო. ჩრდილო ნახევარსფერო ვერცელი დაბლობებით იყო წარმოდგენილი, რომელზედაც აქა-იქ მთის პიკი იყო აღმართული.

შუაღამისას სავსე მთვარე გამოჩნდა. ამ დროს ისინი უკვე მთვარეზე უნდა ყოფილიყვნენ, იმ ბედკრულ ბოლიდს რომ ხელი არ შეეშალა. მთვარე ზუსტად

---

1 მთვარის რუკა (ლათ.)

იმ წერტილთან მივიდა, რომელიც კემბრიჯის ობსერვატორიის თანამშრომლებმა გამოთვალეს. ეს იყო ოცდამერვე პარალელის მთვარის პერიგეას ზენიტის მათემატიკური წერტილი. ამ მომენტში ჰორიზონტის პერპენდიკულარულად ამართული უზარმაზარი კოლუმბიადის ფსკერზე მყოფი ადამიანი მთვარეს ზუსტად თავს ზემოთ დაინახავდა. ხოლო თუ კოლუმბიადის ღერძს გავაგრძელებდით, იგი ზუსტად მთვარის ცენტრში გაივლიდა. თქმა არ უნდა, ექვსი დეკემბერი ისე გათენდა, ჩვენს მოგზაურებს თვალიც არ მოუხუჭავთ. რა დააძინებდათ, როცა შეუცნობელ სამყაროსთან ასე ახლოს იყვნენ? მეგობრების ერთადერთი სურვილი იყო ენახათ, რაც შეიძლება მეტი, ისინი დედამიწის წარმომადგენლები იყვნენ, ყველა ეპოქის კაცობრიობის წარმომადგენლები და ახლა ადამიანთა მოდგმას მათი თვალებით უნდა დაენახა და შეეცნო თავისი თანამგზავრის საიდუმლო. აღელვებულები ხან ერთ ილუმინატორს მიადგებოდნენ, და ხან მეორეს. ისინი ჭოგრიტების საშუალებით ზუსტ დაკვირვებებს აწარმოებდნენ და თან რუკას ადარებდნენ. ბარბიკენი ყოველ წვრილმანსაც კი იწერდა.

მთვარეზე პირველი დაკვირვება გალილეიმ მოახდინა. მას ძალზე სუსტი ბინოკლი ჰოქნდა, რომელიც დაახლოებით ოცდაათჯერ ადიდებდა. მიუხედავად ამისა, მან დაადგინა, რომ მთვარის ლაქები, რომლითაც მთვარის ზედაპირია მოფენილი, "ფარშევანგის კუდის თვლებივით", მთებია და სხვა არაფერი. მან ამ მთებისსიმაღლეებიც კი გაზომა, რომელიც თავისი გადიდებული ანგარიშით, მთვარის დისკოს ერთ მეოცედ დიამეტრს გაუტოლდა, ე.ი. 8.800 მეტრს. მაგრამ გალილეის თავისი დაკვირებების რუკა არ დაუტოვებია.

რამდენიმე წლის შემდეგ დანციგელმა ასტრონომმა ჰეველიმ, რომლის გაზომვები თვეში მხოლოდ ორჯერ იყო სწორი, - მთვარის პირველ და მეორე მეოთხედში - გამოიანგარიშა, რომ მთვარის მთების სიმაღლე სინამდვილეში არც ისე დიდია და მთვარის დიამეტრის ერთი ოცდამეექვსედს უდრისო. ეს რიცხვები, გალილეისთან შედარებით, შემცირდებული ჩანდა. ამ მეცნიერს უნდა ვუმადლოდეთ მთვარის პირველ რუკას. მრგვალი, ნათელი ლაქები მთვარის დისკოზე რგოლისმაგვარი მთებია, ე.წ. ცირკები, ხოლო მუქი - ვრცელი ზღვები, რომლებიც სინამდვილეში ვაკეებია და სხვა არაფერი. ჰეველიმ მთვარის მთებსა და ზღვებს

მიწიერი სახელები შეარქვა. ასე გაჩნდა მთვარეზე არაბეთი სინაის ნახევარკუნძულით, სიცილია, ცენტრში ეტნათი, ალპები, აპენინები, კარპატები, ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვები, შავი და კასპიის ზღვები. ეს სახელები მთვარის ზღვებსა და მთებს სრულებითაც არ შეეფერებოდა, ვინაიდან მათ სულ სხვაგვარი მოხაზულობა აქვთ, ვიდრე მიწიერ თანამოსახლეებს. არა მგონია ამ თეთრ, დიდ ლაქაზე, წამახული კონცხი რომ აქვს და სამხრეთით მთვარის მატერიკებით არის შემოსაზღვრული, გაარკვიო, სად არის ინდოეთის ნახევარკუნძული, ბენგალიის ყურე ან კიდევ კოხინხინა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს სახელები მათ არ შეერქვათ. ადამიანის სუსტი მხარეების მცოდნე სხვა კარტოგრაფმა კი ახალი სახელები შემოგვთავაზა. ეს სახელები აკმაყოფილებდა ადამიანის პატივმოყვარეობას და ამიტომ სწრაფადაც მიიღეს და სიამოვნებითაც დანერგეს მეცნიერებაში.

ეს კარტოგრაფი იყო მამა რიჩიოლი, ჰეველიეს თანამედროვე, მისი რუკა სავსე იყო უხეში შეცდომებით, მაგრამ სამაგიეროდ მთვარის მთები ძველ და ახალ მეცნიერთა და დიდ ადამიანთა სახელებით მონათლა.

XVII საუკუნეში ასტრონომმა დომინიკე კასინმა მთვარის მესამე რუკა შეადგინა. მართალია, ეს რუკა რიჩიოლისეულ რუკაზე უკეთ იყო შესრულებული, მაგრამ ზუსტ ზომებს არც ის იძლეოდა. იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა და გავრცელდა კიდეც, მაგრამ ბოლოს ბრინჯაოს დაფა, რომელიც დიდხანს ინახებოდა სამეფო ტიპოგრაფიაში, წონით გაიყიდა, როგორც უვარგისი ნივთი.

ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა და გრავიორმა ლაგრიმაც დახაზა ოთხი კვადრატული მეტრი სიდიდის რუკა, მაგრამ იგი არასოდეს დაუბეჭდავთ.

XVIII საუკუნის შუა რიცხვებში გერმანელი ასტრონომი ტოვია მაიერი სეუდგა რუკის გამოცემას, რომლის სიდიდეები პირადად ჰქონდა დაზუსტებული. მაგრამ არ დასცალდა, 1762 წელს გარდაიცვალა.

შემდეგ უნდა დავასახელოთ ლილეინტალელი შრეტერი, რომელმაც მთვარის რუკის რამდენიმე მონახაზი გააკეთა. შემდეგ ვინმე დრეზდენელმა ლორანმა ოცდახუთგვერდიანი ცხრილი შეადგინა, ოთხი ფურცელი გრავიურებული იყო. და ბოლოს, 1830 წელს ბერმა და მედლერმა შეადგინეს თავიანთი ცნობილი Mappa selenographica მთვარის რუკა. ამ რუკაზე მთვარის დისკო ისეა გამოსახული, როგორც მიწიდან დამკვირვებელს წარმოუდგენია იგი. მაგრამ მთებისა და ველების განლაგება მხოლოდ ცენტრალურ ნაწილშია ზუსტი. სამხრეთით, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთი მხარეები შემცირებულია. ამიტომაც ცენტრალურ ნაწილს ვერ შეედრება. ოთხმოცდათხუთმეტი კვადრატული სანტიმეტრის სიდიდის, ოთხნაწილიანი - ეს ტოპოგრაფიული რუკა შედევრადაა მიჩნეული მთვარის კარტოგრაფიაში.

ჩამოთვლილთა გარდა შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე გერმანელი ასტრონომის იულიუს შმიდტის მთვარის რუკა, მამა სეკის ტოპოგრაფიული შრომები, ინგლისელი მოყვარული უორენ დე ლა რიუს შესანიშნავი ცდები და ბოლოს,ლეკუტურიესა და შაპიუის რუკები, რომლებიც 1860 წელს შესრულდა ორთოგონალური პროექციით, გასაოცარი სიზუსტითა და მკაფიოდ.

ასეთია მთვარის რუკების სია. ბარბიკენი მათ შორის მხოლოდ ორ რუკას ეყრდნობოდა. ერთი იყო ბერისა და მედლიერის რუკა და მეორე - შამპიუისა და ლეკუტურიესი. ეს რუკები ძალზე შველოდა მთვარეზე დაკვირვებისას.

რაც შეეხება ოპტიკურ ხელსაწყოებს, ბარბიკენს შესანიშნავი ზღვის ჭოგრიტი ჰქონდა. ამ მოგზაურობისთვის საგანგებოდ მოსახერხებელი. ისინი დასაკვირვებელ ობიექტს ასჯერ ადიდებდნენ და მაშასადამე მთვარის დედამიწასთან 100 ლიეზე

მოახლოება შეეძლოთ. აქ კი, ყუმბარაში მთვარიდან 120 კილომეტრის მოშორებით, სადაც ატმოსფერო ხედვაში ხელს არ უშლიდათ, ჭოგრიტით 1500 მეტრზე მიუახლოვდნენ მთვარეს.

მეთერთმეტე თავი

ფანტაზია და სინამდვილე

- თუ გინახავთ ოდესმე მთვარე? - დამცინავად ჰკითხა ერთ-ერთ სტუდენტს ვინმე პროფესორმა.

- არა, - ისევ დამცინავად უპასუხა სტუდენტმა, - მაგრამ გამოგიტყდებით, რომ მის შესახებ ცოტა რამ გამიგია.

ასე იოხუნჯებდა ალბათ დედამიწის მცხოვრებთა დიდი ნაწილი. რამდენ ადამიანს სცოდნია მთვარის შესახებ ბევრი რამ, მაგრამ არავის უნახავს ის არც სათვალთვალო მილებიდან და არც ტელესკოპიდან. ვინ იცის, რამდენ ადამიანს თვალიც კი არ შეუვლია ჩვენი თანამგზავრის რუკისათვის.

მთვარის რუკაზე ყველაზე მეტად ერტი რამ გვაოცდებს. მთვარის მატერიკები დედამიწის და მარსის მატერიკებისაგან განსხვაებით, უფრო მეტად სამხრეთ ნახევარსფეროზეა თავმოყრილი. მათი მოხაზულობანი ისე გარკვევითა და მკვეთრად როდი ჩანს, როგორც, მაგალითად, სამხრეთ ამერიკისა, აფრიკისა ან ინდოეთის ნახევარკუნძულებისა. მათი კუთხოვანი, უცნაურად შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირები უთვალავი ყურითა და ნახევარკუნძულითაა დასერილი. მთვარის მატერიკები წააგავს ურიცხვ ნაწილებად დაქუცმაცებულ ზონდის არქიპელაგს. და თუ ოდესმე მთვარეზე ნაოსნობა არსებობდა, იგი საშიშიც იქნებოდა და ძალიან ძნელიც. თანდაგრძნობის ღირსია მთვარის მეზღვაურები და ჰიდროგრაფები. პირველნი იმიტონ, რომ შემოუარეს ამ დაკლაკნილ ნაპირებს და მეორე იმიტომ, რომ გაზომეს ისინი. რუკაზე ისიც შეიმჩნევა, რომ მთვარის სამხრეთ პოლუსზე ხმელეთი უფრო მეტია, ვიდრე ჩრდილოეთით.

მთვრის ჩდილო პოლუსზე არის აგრეთვე კუნძულების პატარა ჯგუფი, რომლებიც სხვა დანარჩენი მატერიკებისაგან ფართე ზღვებით გამოიყოფა. "ზღვას" ჩვენ, რასაკვირველია, იმ უზარმარ სივრცეებს ვუწოდებთ, რომლებიც, ალბათ ოდესღაც წყლით იყო დაფარული. ახლა კი მხოლოდ ვრცელი დაბლობებია. სამხრეთ ნახევარსფერო თითქმის მთლიანად ხმელეთია. ადვილი შესაძლებელია, სელენიტებმა ერთ-ერთ პოლუსზე უკვე გაშალეს კარავი. მაშინ, როდესაც ვეც ფრანკლინმა, ვერც როსმა, კანმა, დიუმონ-დ´ურვილმა, ლამბერმა დედამიწის პოლუსებს ჯერ ვერ მიაღწიეს.

რაც შეეხება კუნძულებს, ისინი მთვარეზე უამრავია და ყველას ოვალური ან მრგვალი ფორმა აქვს, ფარგლით მოხაზულებს ჰგვანან და დიდ არქიპელაგს ქმნიან. ეს არქიპელაგი საბერძნეთსა და მცირე აზიას შუა გაფანტულ თვალწარმტაც კუნძულებს წააგავ, რომლებიც ოდესღაც მითოლოგიამ პოეტური ლეგენდების ცენტრად აირჩია. მთვარის კუნძულების დანახვისას უნებურად გაგონდება ნაკსოსი, ტენედოსი, მილოსი, კარპატოსი და ასევე თვლი უნებურად ოდისევსის გემს ან კიდევ არგონავტების იალქნიან გემს დაეძებს. ყოველ შემთხვევაში, მიშელ არდანს ასეთი შთაბეჭდილება შეემქნა: მთვარის რუკაზე ის საბერძნეთის არქიპელაგს ხედავდა. უფრო ნაკლები ფანტაზიის მქონე მისი თანამგზავრებს კი მთვარის სანაპიროების

ხილვა ნიუ-ბრანსუიკისა და ახალი შოტლანდიის დასერილ ნაპირებს აგონებდათ. და თუ ფრანგი მთვარეზე მითოლოგიური გმირების ნაკვალევს ეძებდა, ამერიკელები სავაჭრო კოლონიისათვის ხელსაყრელ ადგილს ეძებდნენ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის.

ახლა რამდენიმე სიტყვა მთვარის მატერიკის ოროგრაფიის შესახებ და ამით დავამთავროთ მთვარის მატერიკული ნაწილის აღწერა. მთვარეზე ნათლად ჩანს ქედები, რგოლისმაგვარი მთები, ცირკები, კრატერბი და ნაპრალები. მთვარის მთელი რელიეფი იმდენად არასწორია და ისეა დასერილი, რომ პირველ დანახვაზე უზარმაზარი შვეიცარია ან უსაზღვრო ნორვეგია გეგონებათ. ესოდენ არათანაბარი ზედაპირი მთვარის ჩამოყალიბების პროცესშიამისი ქერქის თანმიმდევრობითი შეკუმშვის შედეგია. მთვარის დისკო ფართო შესაზლებლობებს იძლევა საინტერესო გეოლოგიურ მოვლენათა შესწავლისათვის. მართალია, ზოგიერთი ასტრონომის აზრით მთვარის ზედაპირი საწყისი აგებულება შეეცვალა, ან მისი რელიეფი მოესწორებინა. არც ჰაერია, რომლის დამანგრეველი მოქმედება ადგილმდებარეობას პროფილს უცვლის. მთვარეზე ყველგან ნათლად ჩანს პლუტონური ძალების ნამოქმედარი, ნეპტუნის სტიქიის ჩარევის გარეშე. ასეთი იყო ჩვენი დედამიწაც, ვიდრე ზღვებმა და მდინარეებმა არ შეუცვალეს სახე დანალექებით.

მთვარის მატერიკების მიმოხილვის შემდეგ თვალს იზიდავს კიდევ უფრო ვრცელი ზღვები. ეს ზღვები თავისი მდებარეობით, მოხაზულობებითა და გარეგნული შესახედაობითარა მარტო გვაგონებს დედამიწის ოკეანეებს, არამედ ისე, როგორც დედამიწაზე, მთვარეზეც დიდი ნაწილი უკავიათ. ოღონდ ეს "ზღვები" და "ოკეანეები" წყლით სავსე როდი არიან, უბრალოდ, დაბლობებია, როლის თვისებებისადა ბუნების ამოხსნის იმედი ჰქონდათ ჩვენს თანამგზავრებს უახლოეს მომავალში.

ძველმა ასტრონომებმა ამ წარმოსახვით ზღვებს საკმაოდ საზრანი სახელები შეარქვეს, რომელიც მეცნიერებაში დღემდეა დამკვიდრებული. მიშელ არდანი სავსებით მართალი იყო, როდესაც მთვარის რუკას მადმუაზელ სკიუდერისა თუ სირანო დე ბერჟერაკის მიერ მოხაზულ "სინაზის ქვეყნის" რუკას ადარებდა.

- ამავე დროს, - ამბობდა ის, - ეს რუკა მეჩვიდმეტე საუკუნის რომელიღაც სენტიმენტალური რუკა კი არ არის, ეს თვით ცხოვრების რიკაა, რომელიც გარკვევითაა გაყოფილი ორ ნაწილად; ქალებისა და მამაკაცების ნახევარსფეროებად. მარჯვენა ნახევარსფერო ქალებს ეკუთვნის, მარცხენა - მამაკაცებს.

მიშელი ასეთ მსჯელობებზე მისი პროზაული მეგობრები მხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ. ბარბიკენი და ნიკოლი ამ რუკას სრულიად სხვაგვარად უყურებდნენ, ვიდრე მათი აღტაცებული მეგობარი. სხვათაშორის, ეს ფანტაზიორი რამდენადმე მართალი იყო. მოდით, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

მთვარის მარცხენა ნახევარსფეროზე გადაჭიმულია ღრუღლების ზღვა, რომელშიც ხშირად დაცურავს ადამიანის აზროვნება. ცოტა მოშორებით წვიმების ზღვაა, რომელიც ცხოვრების ყოველგვარი მღელვარებებით იკვებება. მის გვერდით ქარიშხალთა ოკეანეა, სადაც მამაკაცი განუწყვეტლივ ებრძვის თავის ვნებებს, ასე ხშირად რომ იმარჯვებენ მასზე. დაბოლოს, ძალაგამოცლილი, იმედების გაცრუებით, ღალატითა და ყოველგვარი მიწიერი წყვალებებით გატანჯული რას ნახულობს თვისი ცხოვრების დასასრულს? - ნისლის ზღვასა და ნამის ყურეს მაცოცხლებელ წვეთებს! ღრუბლები, ნისლი, წვიმები, ქარიშხალი - განა ეს არ არის მამაკაცის ცხოვრება?

"ქალებისადმი მიძღვნილ" მარჯვენა ნახევარსფეროზე ნაკლებადაა ვრცელი ზღვები, რომელთა სიმბოლური დასახლებები ქალის ბედის ყველა პერიპეტიას ასახავს: სიცხადის ზღვა, რომელზეც ახალგაზრდა გოგონაა დახრილი: სიზმრები ტბა სარკეა, ბედნიერი მომავლის სურათებით რომ აჯადოებს ადამიანს. მოშორებით ნექარის ზღვაა, თავისი სინაზითა, ნაკადებითა და ნიავის ალერსიანი ქროლით. აი, ნაყოფილერების ზღვა, კრიზისების ზღვა, ოხვრის ზღვა, რომლებიც მოცულობით ძალიან პატარებია. და ბოლოს, სიმშვიდის თვალუწვდენელი ზღვა, რომელიც ყოველგვარ სიცრუეს, ვნებების გაცრუებებს, აუსრულებელ ოცნებებს, დაუკმაყოფილებელ სურვილებს შთანთქავს და რომელიც მშვიდად ერთვის სიკვდილის ტბას.

როგორ საოცრად ენაცვლებიან აქ ერთმანეთს სხელები. რა საოცრად არის გაყოფილი მთვარე ორ ნახევარსფეროდ, რომლებიც ერთმანეთთან ისე განუყრელად არიან დაკავშირებულები, როგორც ქალი და მამაკაცი. ხომ მართალი იყო მეოცნებე მიშელი, ძველი ასტრონომების მიერ შერქმეულ ფანტასტიკურ სახელებზე ასე რომ მსჯელობდა.

იმ დროს, როდესაც მიშელი თავის წარმოსახვაში "მთვარის ზღვებს კვალავდა", მისი მეცნიერი მეგობრები გეოგრაფიულად სწავლობდნენ მთვარეს, ისინი ამ ახალ სამყაროს იზეპირებდნენ, ზომავდნენ მის კუთხეებს და დიამეტრს.

ბარბიკენსა და ნიკოლს ღრუბლების ზღვა უზარმაზარი დაბოლოებების სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელიც აქა-იქ რგოლისებური მთების ცირკებით იყო აჭრელებული. სამრეთ ნახევარსფეროს დასავლეთ ნაწილში ის 84 800 კვადრატულ ლიეზე იყო გადაჭიმული. ცენტრი კი სამხრეთის განედის 15 გრადუსსა და დასავლეთის გრძედის 20 გრადუსზე მდებარეობდა. ქარიშხლების ოკეანე (Oceanus Procellarum) - მთვარის ყველაზე დიდი დაბლობია, რომელსაც 328 300 კვადრატული ლიეს ფართობი უჭირავს. მისი ცენტრი ჩრდილოეთის განედის 10 გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის 45 გრადუსზეა. აქ აღმართულან კეპლერისა და არისტრაქოსის დიდებული მოელვარე მწვერვალები.

ცოტა ჩრდილოეთით ღრუბლების ზღვისაგან მაღალი ქედებით გამოიყოფა წვიმების ზღვა (Mare Imbrium), რომლის ცენტრი ჩრდილოეთის განედის 35 გრადუსსა და აღმოსავლეთის გრძედის 20 გრადუსზე მდებარეობს. იგი თითქმის მრგვალია და 193 ათასი კვადრატული ლიე უჭირავს. იქვე, ახლოს არის ტენიანობის ზღვა (Mare Humorum) 44 200 კვადრატული ლიეს სიდიდის აუზით, მდებარეობს სამხრეთ განედის 25 გრადუსსა და დასავლეთის გრძედის 40 გრადუსზე. და ბოლოს, ამ ნახევარსფეროს საზღვარზე მოჩანს სამი ყურე - პაპანაქების ყურე, ნამის ყურე და ცისარტყელას ყურე - მარალი მთებით გარშემორტყმული მცირე ტაფობები.

"ქალების ნახევარსფერო" მოხაზულობის მიხედვით, ბუნებრივია, უფრო უცნაურია. გამოირჩევა უამრავი პატარ-პატარა ზღვებით. ჩრდილოეთით სიცივის ზღვაა (Mare Frigoris), ჩრდილოეთის განედის 55 გრადუსსა და გრძედის 0 გრადუსზე. მას 7000 კვადრატული ლიე უჭირავს და სიკვდილისა და სიზმრების ტბებს ესაზღვრება. სიცხადის ზღვა (Mare Serenitatis) ჩრდილოეთის განედის 25 გრადუსსა და დასავლეთის გრძედის 20 გრადუსზე მდებარეობს, უჭირავს 86 ათასი კვადრატული ლიე. კრიზისების ზღვა (Mare Crisium) მკვეთრადაა გამოკვეთილი, თითქმის მრგვალია, მოიცავს 40 ათასი კვადრატული ლიეს ფართობს, ჩრდილოეთის განედის 17 გრადუსიდან დასავლეთის გრძედის 55 გრადუსამდე. იგი ძალიან წააგავს კასპიის ზღვას, რომელიც მთებითაა გარშემორტყმული. ამის შემდეგ ეკვატორზე, ჩრდილოეთის განედის 3 გრადუსსა და დასავლეთის გრძედის 25 გრადუსზე არის

სიმშვიდის ზღვა (Mare Tranqillitatis), რომელსაც 121 509 კვადრატული ლიე უჭირავს. ეს ზღვა სამხრეთით უერთდება ნექტარის ზღვას (Mare Nectaris), რომელიც 28 800 კვადრატულ ლიეზეა გადაჭიმული, სამხრეთ განედის 15 გრადუსსა და დასავლეთის გრძედის 35 გრადუსზე. იგი აღმოსავლეთით მდებარე, ამ ნახევარსფეროს ყველაზე განიერ ნაყოფიერების ზღვას (Mare Fecunditatis) უერთდება. ეს ზღვა 219 300 კვადრატულ ლიეს მოიცავს სამხრეთ განედის 3 გრადუსსა და დასავლეთ გრძედის 50 გრადუსზე. და ბოლოს, უკიდურეს ჩრდილოეთში და უკიდურეს სამხრეთში არის კიდევ ორი ზღვა - ჰუმბოლდტის (Mare Humboldtianum) - 6500 კვადრატული ლიეს სიდიდისა და სამხრეთის ზღვა (Mare Australe), რომლის ფართობი 26 ათასი კვარდრატული ლიე.

მთვარის დისკოს ცენტრში, ზედ ეკვატორზე და ნულ მერიდიანზე ცენტრალური ყურეა (Sinus Medii), თავისებური რგოლი ორ ნახევარსფეროს შორის.

აი, როგორ წარმოედგინათ ნიკოლსა და ბარბიკენს დედამიწიდან დანახული მთვარის ზედაპირი. როდესაც თავიანთი გაზომვების შედეგები გაიანგარიშეს, გამოირკვა, რომ მთვარის ზედაპირს 4 738 160 კვადრატული ლიე ეჭირა, აქედან 3 317 600 კვადრატული ლიე ვულკანეს, ქედებს, ცირკებს, კუნძულებს, ერთი სიტყვით, - მთელი მთვარის ზედაპირის ხმელეთს ეკავა. დარჩენილი 1 410 400 კვადრატული ლიე კი ზღვებს, ტბებს, ჭაობებს, ყურეეებს ეჭირა. ე.ი. რაც კი მოჩანდა, ყველაფერი წყლით უნდა ყოფილიყო სავსე. მთელი ეს გამოანგარიშებანი ჩვენს საყვარელ მიშელს ნაკლებად აღელვებდა. როგორც ცნობილია, მთვარის ნახევარსფერო 13 ნახევარჯერ ნაკლებია დედამიწისაზე, მაგრამ ჩვენმა სელენოგრაფებმა იქ უკვე დაითვალეს 50 000 კრატერი. ამ ფოროვან გადათხრილ, ამობერილ ქაფქირივით ზედაპირს სრულიად დამსახურებულად შეარქვეს ინგლისელებმა პოეტური სახელი "green cheese" - "მწვანე ყველი".

არდანი წამოხტა, როცა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტისაგან ასეთი არასაქებარი სახელი გაიგონა.

- აი, თურმე რა შეურქმევიათ მე-19 საუკუნის ანგლოსაქსებს ულამაზესი დიანასათვის, ქერაკულულებიანი ფებოსისათვის, მომხიბვლელ იზიდასათვის, ღამის დიდებული დედოფლის ასტარტასათვის, ლატონასა და იუპიტერის ქალიშვილისათვის და სხივმოსილი აპოლონის ახალგაზრდა დისათვის....

მეთორმეტე თავი

მთვარის ზედაპირი

ყუმბარა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მთვარის ჩრდილოეთ ნახევარსფეროსკენ მიემართებოდა. მოგზაურებს უკვე დიდი ხნის წინ უნდა გადაეფრინათ ყუმბარის დაცემის წერტილისათვის, მისი ფრენის ტრაექტორია რომ არ შეცვლილიყო.

ღამის პირველის ნახევარი იყო. ბარბიკენის გამოანგარიშებით ყუმბარა იმყოფებოდა მთვარიდან 1 400 კილომეტრზე, რაც ოდნავ აღემატებოდა მთვარის რადიუსს; მთვარის პოლუსთან ყუმბარის მიახლოების შემთხვევაში, ეს მანძილი უნდა შემცირებულიყო. ამ დროს ყუმბარა ეკვატორის სიმაღლეს ვერ აღწევდა, მის მეათე პარალელს კვეთდა. ბარბიკენს და მის ორივე მეგობარს ამ განედიდან,

რომელიც ზუსტად იყო რუკაზე თვით პოლუსამდე მოხაზული, შეეძლოთ ყევლა ხელსაყრელ მომენტში, მთვარისათვის თვალყური ედევნებინათ.

მართლაც, ჭოგრიტით დაკვირვებისას მთვარე 1 400 კილომეტრიდან 14 კილომეტრზე, ე.ი. სამ-ნახევარ ლიეზე მიუახლოვდათ. კლდოვანი მთები ტელესკოპში უფრო ახლოს მოჩანდა, მაგრამ დედამიწის ატმოსფერო მნიშვნელოვნად ამცირებდა ტელესკოპის ოპტიკურ ძალას. ამიტომ ბარბიკენმა, რომელიც ფანჯარასთან მიმჯდარიყო ჭოგრიტით ხელში, უკვე შენიშნა ისეთი წვრილმანები, რაც თითქმის მიუწვდომელი იყო დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისათვის.

- ჩემო მეგობრებო, - თქვა ამაჩუყებლად "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა, - მე არ ვიცი, სად მივფრინავთ, არც ის ვიცი, კიდევ ვნახავთ თუ არა როდისმე დედამიწას. მაგრამ მაინც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი ნაშრომიტ ოდესმე ისერგებლონ ჩვენმა ახლობლებმა. დაე, ნუ შეგაშფოთებთ ნურაფერი. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ასტრონომები ვართ. ჩვენი ყუმბარა იგივე კემბრიჯის ობსერვატორიის კაბინეტია, ოღონდ საპლანეტათშორისო სივრცეში გადატანილი. მაშ, შევუდგეთ დაკვირვებებს.

ბარბიკენი გაორკეცებული ენერგიით ჩაუჯდა სამუშაოს, ზუსტად მოხაზა მთვარის ზედაპირის რელიეფი იმ სხვადასხვა მანძილიდან, რომლებზეც ყუმბრამ თანმიმდევრულად გადაუფრინა მთვარეს.

ჩრდილოეთ განედის მეათე პარალელის სიმარლეზე მყოფი ყუმბარა, როგორც ჩანს, გადაუხრელად მიფრინავდა აღმოსავლეთ გრძედის 20 გრადუსის მერიდიანით.

აქ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ უნდა ითქვას, იმ რუკაზე, რომლითაც მოგზაურები დაკვირვებების დროს სარგებლობდნენ.

ვინაიდან ჭოგრიტში ყველა საგანის გამოსახულება თავდაყირა მოჩანს მთვარის რუკებზე სამხრეთი ზემოთ ექცევა. ხოლო ჩრდილოეთი - ქვემოთ. ამავე მიზეზით არმოსავლეთი თითქოს მარცხნივ უნდა აღმოჩნდეს, დასავლეთი მარჯვნივ. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. თუ მთვარის რუკას ისე შემოვაბრუნებთ, რომ მთვარემ მიიღოს იგივე მდგომარეობა, როგორშიც დედამიწიდან შეუიარაღებელი თვალით დაკვირვების დროს ჩანს, მაშინ არმოსავლეთი მარცხნივ იქნება, დასავლეთი კი მარჯვნივ, დედამიწის რუკის საწინააღმდეგოდ. ეს იმით აიხსნება, რომ დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ვთქვათ, ევროპაში მყოფი დამკვირვებლები სავსე მთვარეს ცის სამხრეთ ნაწილში ხედავენ. მთვარის დაკვირვებისას ისინი ჩრდილოეთისაკენ ზურგშექცევულნი არიან. ეს იმის საწინააღმდეგო მდგომარეობაა, რომელიც მათ დედამიწის რუკის განხილვისას უკავიათ. ვინიდან ისინი ჩრდილოეთისაკენ ზურგშექცევით დგანან. აღმოსავლეთი მათ მარცხნივ მოექცევა, დასავლეთი კი - მარჯვნივ. ხოლო ვინც სამხრეთ ნახევარსფეროდან, მაგალითად, პატაგონიიდან, აკვირდება მთვარეს, დასავლეთი მარცხნივ მოექცევა, აღმოსავლეთი კი - მარჯვნივ, რადგან ისინი პირით ჩრდილოეთისაკენ დგანან, ზურგით კი - სამხრეთისაკენ.

ასეთია ორი კოორდინატის - დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოჩვენებითი გადანაცვლების მიზეზი, რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რათა თვალყური ვადევნოთ ბარბიკენის დაკვირვებებს.

ბერისა და მედლერის 'Mappa selenographica"-ს საშუალებით მოგზაურებს შეეძლოთ, შეუცდომლად გამოეცნოთ მთვარის ის ნაწილი, რომელიც მათი ჭოგრიტის მხედველობის არეში მოექცეოდა.

- რას ვხედავთ ახლა ჩვენ? - იკითხა მიშელმა.

- ღრუბლების ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს, -განუმარტა ბარბიკენმა. - ის ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ჩვენგან და ამიტომ ძნელია დაადგინო, წარმოადგენენ თუ არა ეს დაბოლოებები უნაყოფო ქვიშას. როგორც ამას ძველი ასტრონომები ამტკიცებდნენ, თუ იქ ვრცელი ტყეებია, როგორც ფიქრობდა უორენ დე ლა რიუ, რომელიც მთვარეს ძალიან დაბალ და მკვრივ ატმოსფეროს მიაწერდა, - ამას ჩვენ მოგვიანებით შევიტყობთ. ნურაფრის დამტკიცებას ნუ შევეცდებით, სანამ ამის უფლებას არ მოვიპოვებთ.

ღრუბლების ზღვის საზღვრები რუკებზე საკმაოდ გაურკვევლად არის აღნიშნული. ფიქრობენ, რომ ეს ვრცელი დაბლობი მოფენილია ამ ზღვის მარჯვნივ მდებარე ვულკანებიდან ამოფრქვევული გაციებული ლავის ბელტებით.

ყუმბარა საგრძნობლად უახლოვდებოდა მთვარეს და უკვე შესაძლებელი იყო მთაგრეხილეის გარჩევა, რომლებიც ღრუბლების ზღვას გარს ერტყა ჩრდილოეთით.

- ეს რა არის? - იკითხა მიშელმა.

- კოპერნიკია, - უპასუხა ბარბიკენმა.

- ერთი ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს კოპერნიკი!

ეს მთა მდებარეობს ჩრდილოეთ განედის ცხრა გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის ოც გრადუსზე და აღმართულია მთვარის ზედაპირიდან 3 438 მეტრის სიმაღლეზე. იგი კარგად მოჩანს დედამიწიდან და ასტრონომთათვის მისი შესწავლა იოლია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მთვარეს უკანასკნელ მეოთხედს და ახალ მთვარეს შორის აკვირდებიან, ვინაიდან ამ პერიოდში მთის ჩრდილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დიდ მანძილზე ეცემა და შესაძლებელი ხდება მისი სიმაღლის განსაზღვრა.

ტიხოს მთის შემდეგ, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს. კოპერნიკი ყველაზე მაღალი მწვერვალია მთვარის დისკოზე. ის დგას განცალკევებით, ღრუბლების ზღვისა და ქარიშხლების ოკეანის საზღვარზე და თავის კაშკაშა სხივებით ვეებერთელა შუქურასავით ერთდროულად ორივე ზღვას ანათებს. საუცხოო სანახავია სინათლის ეს გრძელი ზოლები, განსაკუთრებით თვალისმომჭრელია სავსე მთვარის დროს, როდესაც მიიწევენ მთაგრეხილების გადაღმა, ჩრდილოეთით და ბოლოს წვიმების ზღვაში ქრებიან. როცა დედამიწაზე თენდებოდა, ყუმბარა ამ დიდებულ მთის თავზე ზევით ატაცებული ჰერის ბურთივით ქანაობდა.

ბარბიკენს შეეძლო გულდასმით დაეთვალიერებინა მისი მოხაზულობა. კოპერნიკი მიეკუთვნება მაღალი, რგოლისმაგვარი მთების რიგს, ანუ უდიდეს ცირკებს. მსგავსად კეპლერისა და არისტარქესი, რომლეიც ქარისხლების ოკეანეზე მბრძანებლობენ, ხანდახან იგი ისე მოჩანს, როგორც მოკაშკაშე წერტილი მონაცრისფრო დისკოს ფონზე, რის გამოც ერთხანს ის მოქმედი ვულკანი ეგონათ. სინამდვილეში კოპერნიკი ჩამქრალი ვულკანია ისევე, როგორც მთვარის ამ ნაწილში მდებარე სხვა ვულკანები. მისი ცირკის გარშემოწერილობა დიამეტრში დაახლოებით ოცდაორ ლიეს ტოლია.

ჭოგრიტში მოჩანდა კოპერნიკის ფერდობებზე არსებული ვულკანური შრეები - ნაკვალევი თანმიმდევრული ვულკანური ამოფრქვევებისა; ირგვლივ ყველაფერი დაფარული იყო გაციებული ლავის ბელტებით, ასევე იყო კრატერის ფსკერზეც.

- მთვარეზე ბევრი სხვადასხვანაირი ცირკია, - თქვა ბარბიკენმა, - და კოპენიკის ცირკიც, ეტყობა, სხივურ სისტემათა ტიპს მიეკუთვნება. რომ მივუახლოვდებოდით, შევამჩნევდით მის ფსკერზე აღმართულ კონუსებს, რომლებიც ოდესღაც ცეცხლისმფრქვეველ კრატერებს წარმოადგენდნენ. მთვარის ყველა ცირკისატვის

დამახასიათებელი, განსაცვიფრებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დედამიწის ვულკანების საპირისპიროდ, მათი ფსკერის დონე გაცილებით დაბალია მათ გარემომცველ დაბლობებზე. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ასეთი ცირკების ფსკერის საერთო მრუდი თვით მთვარის დიამეტრზე მცირე იქნება.

- რა არის ამ თავისებურების მიზეზი? - იკითხა ნიკოლმა.

- არვინ იცის, - უპასუხა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა.

- რა თვლისმომჭრელი ბრწყინვალეებაა! - იმეორებდა მიშელი. - იშვიათად თუ შეხვდები სადმე უფრო დიდებულ სანახაობას.

- მოიცა, მაშინ რას იტყვი, შემთხვევით სამხრეთ ნახევარსფეროში რომ მოვხვდეთ?

- კიდევ უკეთესი! - უყოყმანოდ უპასუხა მიშელ არდენმა.

ამ დროს ყუმბარამ თვით კოპერნიკის კრატერს გადაუფრინა. ცირკს თითქმის სწორი წრის ფორმ ჰქონდა და გარკვევით მოჩანდა მისი ციცაბო ფერდობები. ასევე ჩანდა კრატერის გარემომცველი ორმაგი რგოლისმაგვარი მთების გრეხილი. ირგვლივ გადაშლილიყო უდაბური ნაცრისფერი დაბლობი, რომლის ფონდზეც მოყვითალო ბორცვები გამოირჩეოდა. ცირკის ფსკერზე თითქოს ბუდეში ჩასმული ვეებერთელა ბრილიანტებიაო, წამით გაიელვა ორმა-სამმა კონუსმა. ცირკის ნაპირები ჩრდილოეთისაკენ თანდათან დაბლდებოდა დ კრატერის ფსკერამდე ეშვებოდა.

დაბლობზე გადაფრენისას ბარბიკენმა უამრავი პატარა მთა აღნიშნა. მათ შორის იყო გეი-ლუსაკის სახელით ცნობილი დაბალი, რგოლისმაგვარი, ოცდასამი კილომეტრი დიამეტრის მთა. სამხრეთთისაკენ დაბლობი სრულიად ბრტყელი იყო. ჩრდილოეთისაკენ კი პირიქით, იმ ადგილამდე, სადაც იგი ქარიშხლების ოკეანეს უერთდებოდა, წააგავდა გრიგალით აზვირთებულ წყლის ზედაპირს; მთებისა და ბორცვების მწვერვალები ყალყზე შემდგარ და გაქვავებულ ტალღებს ჰგავდნენ. დაბლობებს ყველა მიმართულებით კვეთდნენ სხივური ზოლები, რომლებიც თავს იყრიდნენ კოპერნიკის მწვერვალის ერთ წერტილში. ზოგიერთის სიგანე ოცდაათ კილომეტრს აღწევდა და უსასრულობაში იკარგებოდა.

მოგზაურები მსჯელობდნენ სინათლის ამ ზოლების ბუნებაზე, მაგრამ დედამიწის დამკვირვებლების მსგავსად, ვერც მატ დაადგინეს ამ უცნაური მოვლენის მიზეზი.

- ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სხივები მთების განშტოებებია, რომლებიც განსაკუთრებით მკვეთრად ირეკლავენ მზის სინათლეს?

- არა მგონია, - უპასუხა ბარბიკენმა. - ეს რომ ასე იყოს, მაშინ მთვარის ზოგიერთი მდგომარეობის დროს მზესთან მიმართებაში, ეს განშტოებები ჩრდილს უკუაგდებდნენ, რაც სინამდვილეში არ ხდება.

მართლაც სინათლის ზოლები მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, როდესაც მზე ზუსტად მთვარის პირდაპირ იდგა; ირიბი სხივების დროს კი ზოლები ქრებოდნენ.

- ნეტავ რით აიხსნება ეს თეთრი სხივები? - იკითხა მიშელმა. - ვერ დავიჯერებ, რომ მეცნიერებმა თავიანთი უძულრება აღიარეს!

- ჰერშელმა ერთი მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ დაჟინებით არ მდგარა მასზე, - უპასუხა ბარბიკენმა.

- მაინც როგორია ეს მოსაზრება?

- ის ფიქრობდა, რომ ეს ზოლები სხვა არაფერია, თუ არა გაციებული ლავის ნაკადები, რომლებიც მაშინ კაშკაშებენ, როდესაც მზის სხივები შვეულად ეცემათ. შესაძლებელია, ასეც იყოს, მაგრამ ამგვარ განმარტებას ვერ დავეყრდნობით. თუმცა,

ტიხოს მთას თუ მივუახლოვდებით, იქნებ მართლაც ავხსნთ, რა წარმოშობს ამ მოკაშკაშე ზოლებს.

- მეგობრებო, იცით, რას წააგავს ეს დაბლობი ამ სიმაღლიდან? - იკითხა მიშელმა.

- არა, -უპასუხა ნიკოლმა.

- თითისტარივით ამოშვერილ ლავის ეს ნამსხვრევები უწესრიგოდ მიმოფანტული ჩხირების ვეებერთელა კონასავით მოჩანს. ანკესი გვინდა მხოლოდ, რომ ერთიმეორის მიყოლებით ამოვათრიოთ.

- გეყოფა ხუმრობა! - შეაწყვეტინა ბარბიკენმა.

- კარგი, დავსერიოზულდები! - დაეთანხმა მიშელი. - ჩხირების მაგივრად წარმოვიდგინოთ ძვლები. მაშინ ჩვენი დაბლობი გადაიქცევა ათასობით გარდაცვლილ თაობათა გვამებით მოფენილ უზარმაზარ სასაფლაოდ. ეს ნაღვლიანი შედარება უფრო მოგწონთ?

- რა განსხვავებაა! - უპასუხა ბარბიკენმა.

- შენ გულს ვერ მოიგებს კაცი! - თქვა აღელვებულმა მიშელმა.

- ჩემო ძვირფასო, - უთხრა კეთილმა ბარბიკენმა, - რა აზრი აქვს ამ მსჯელობას, თუ ჩვენ ისიც კი არ ვითი, რას წარმოადგენს იგი.

- საფუძვლიანი პასუხია1 - წამოიძახა მიშელმა, - აი რას ნიშნავს მეცნიერთან საუბარი.

ამასობაში ყუმბარა მთვარის დიკსოს გასწვრივ თითქმის უცვლელი სიჩქარით მიფრინავდა. ყველა მიხვდება, რომ იმ დროს მოგზაურები დასვენებაზე არ ფიქრობდნენ. ყოველ წუთს იცვლებოდა მათ თვალწინ გადაშლილი ლანდშაფტი. დაახლოებით დილის ორის ნახევრისათვის სხვა მთის მწვერვალი შენიშნეს. ბარბიკენმა რუკაზე ერატროსთენი შეიცნო.

ეს 4 500 მეტრი სიმაღლის რგოლისმაგვარი მთა, მთვარის ზედაპირზე მდებარე ერთ-ერთ განსაკუთრებულა მრავალრიცხოვანი ცირკთაგანი იყო: ამასთან დაკავსირებით ბარბიკენმა მეგობრებს გააცნო კეპლერის საინტერესო შეხედულება მთვარის ცირკების წარმოშობაზე. ცნობილი მათემატიკოსის აზრით, კრატერისებრი ღრმულები ადამიანის ხელით იყო გათხრილი.

- რა მიზნით თხრიდნენ? - იკითხა ნიკოლმა.

- მიზანი გასაგებია! - უპასუხა ბარბიკენმა. - თითქოს სელინიტებს ეს გრანდიოზული სამუშაოები იმისათვის წამოუწყვიათ და გაუთხრიათ ვეება ორმოები, რომ თავი შეეფარებინათ ორკვირიანი განუწყვეტელი მცხუნვარე და მწველი პაპანაქებისათვის.

- სელინიტები სულელები არ ყოფილან, - აღნიშნა მიშელმა.

- ჩემი აზრით, უცნაური იდეაა, - თქვა ნიკოლმა. - როგორც ჩანს, კეპლერისათვის უცნობი იყო ცირკების ნამდვილი ზომები, რადგან ამგვარი ღრმულების გათხრას მხოლოდ მითოლოგიური გიგანტები თუ შეძლებდნენ.

- კი, მაგრამ მთვარეზე წონა ხომ ექვსჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე, - შეეკამათა მიშელი.

- ხომ არ დაგავიწყდა, რომ სელენიტებიც ექვსჯერ უფრო პატარები არიან, - უთხრა ნიკოლმა.

- ნეტა საერთოდ არსებობენ კი ეს სელენიტები! - შენიშნა ბარბიკენმა.

კამათი ამით დამთავრდა.

მაგრამ ერატოსთენი მანამდე გაუჩინარდა, სანამ ყუმბარა ისე მიუახლოვდებოდა, რომ მისი გარკვევით დანახვა ყოფილიყო შესაძლებელი. ეს მთა ჰყოფდა აპენინების მთაგრეხილს კარპატებისაგან.

მთვარის ოროგრაფიაში აღინიშნა რამდენიმე მთაგრეხილი, რომლებიც ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდბარეობენ. მაგრამ არის კიდევ რამდენიმე ქედი სამხრეთ ნახევარსფეროშიც.

მოვიყვანთ ამ მთების ცხრილს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მათი განლაგების მიხედვით, განედების, გრძედებისა და უმაღლესი მწვერვალების სიმაღლის ჩვენებით.

დერფელის მთები	84 გრადუსი	_ სამხრ. განს.	_ 7603 მ.	
ლეიბნიცის	" 65	" _	"	_ 7600 "
როოკის	" 20	" _ 30 გრ.	"	_ 1600 "
ალტას	" 17	" _ 28 გრ.	"	_ 4047 "
კოდილიერები	10	" _ 20 გრ.	"	_ 3898 "
პირენიეს მთები	8	" _ 18 გრ.	"	_ 631 "
ურალის	" 5	" _ 13 გრ.	"	_ 838 "
ალამბერის	" 4	" _ 10 გრ.	"	_ 5847 "
ჰემუსის	" 8	" _ 21 გრ. ჩრდ. განს		_ 2021 "
კარპატები	15	" _ 19 გრ.	"	_ 1939 "
აპენინები	14	" _ 27 გრ.	"	_ 5501 "
ტავრიის მთები	21	" _ 28 გრ.	"	_ 2746 "
რიფეის	" 25	" _ 33 გრ.	"	_ 4171 "
გვრცინის	" 17	" _ 29 გრ.	"	_ 1170 "
კავკასიონის	" 32	" _ 41 გრ.	"	_ 5567 "
ალპები	42	" _ 49 გრ.	"	_ 5617 "

ამ მთაგრეხილებიდან ყველაზე დიდია აპენინები. აპენინები. აპენინები გადაჭიმულია 150 ლიეზე და პირველობას უთმობს მხოლოდ დედამიწის მთათა სისტემის ჯაჭვს. ეს მთები წვიმების ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ეკვრიან და თითქმის ასი ლიეს სიგრძეზე გადაჭიმულ კარპატებში გადადიან.

მოგზაურებმა თვალი მოჰკრეს მხოლოდ აპენინის მწვერვალს, რომელიც დასავლეთ გრძედის ათ გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის თექვსმეტ გრადუსს შორის მდებარეობს. კარპატების მთაგრეხილი მათ ქვემოთ, აღმოსავლეთ გრძედის თვრამეტიდან ოცდაათ გრადუსამდეა გადაჭიმული და მოგზაურებს საშუალება ჰქონდათ, გულდასმით შეესწავლათ მისი განლაგება.

ერთ-ერთი სამეცნიერო ჰიპოთეზა ჩვენს მოგზაურებს განსაკუთრების სარწმუნოდ მოეჩვენათ. თუ კარპატების მთაგრეხილის რგოლისმაგვარი მწვერვალებისა და პიკების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ წინათ ისინი დიდი ზომის ცირკებს წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ეს რგოლისმაგვარი მთები რაღაც კატაკლიზმებმა ნაწილობრივ დაშალა, რამაც წვიმების ზღვა წარმოქმნა. თავდაპირველად კარპატები ცალკეულ ცირკებს წარმოადგენდნენ მსგავსად პურბახის, არზახელისა და პტოლემაიოსის ცირკებისა, რომელთა მრცხენა ფერდობები დაშლილან მთვარის ქერქის მნიშვნელოვანი გადანაცვლების შედეგად და მთაგრეხილი შეუქმნიათ. მისი სიმაღლე საშუალოდ 3 200 მეტრი, რაც დაახლოებით პირენეის მთების ზოგიერთი მწვერვალის, მაგალითად, პორტ დე პინედის ტოლია. ამ მთების სამხრეთ ფერდობები დამრეცად ეშვება წვიმების ზღვაში.

დილის ორი საათისათვის ბარბიკენი დაკვირვებას აწარმოებდა მთვარის მეოცე პარალელის სიმაღლეზე, 1559 მეტრზე აღმართული პითიის მთის მახლობლად.

ყუმბარიდან მთვარემდე 1 200 კილომეტრი იყო, რაც ჭოგრიტს თითქმის სამ ლიემდე შეემცირებინა.

მოგზაურების თვალწინ ვეებერთელა დაბლობის სახით გადაიშალა წვიმების ზღვა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ძნელი გასარჩევი იყო. მათ მარცხნივ აღმართულიყო 1831 მეტრი სიმაღლის ლამბერის მთა, ცოტა მოშორებით კი ქარიშხლების ოკეანის საზღვარზე ჩრდილოეთ განედის 23 გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის 29 გრადუსზე ბრწყინავდა მოელვარე მთა - ეილერი. მთვარის ზედაპირიდან 1 815 მეტრზე აზიდული ეს მთა გერმანელი ასტრონომის შრეტერის მეტად საინტერესო ნაშრომის კვლევის საგნად იქცა. მთვარეზე მთების წარმოქმნის მიზეზის კვლევისას მეცნიერი დაინტერესდა საკითხით - კრატერის მოცულობა ტოლია თუ არა მისი გარემომცველი მთების რკალის მოცულობისა. აღმოჩნდა, რომ ასეთი თანაფარდობა ნამდვილად არსებობს, საიდანაც შრეტერმა დაასკვნა, რომ ერთი ამოფრქვევა ზედაპირზე ამოტყორცნიდა ციკის წარმომშობ აუცილებელ მასალას, ხოლო მრავალი ამოფრქვევა დაარღვევდა ამ თანაფარდობას. ამ საერთო წესს მხოლოდ ეილერის მთა არ ექვემდბარებოდა - მის წარმოსაქმნელად, როგორც ჩანს საჭირო იყო რამდენიმე განმოერებითი ამოფრქვევა, რადგან ამ მთის კარტერის მოცულობა ორცჯერ მეტი იყო მისი გარემომცველი რკალის მოცულობაზე.

ყველა ეს ჰიპოთეზა მისატევებელი იყო დედამიწის მეცნიერთთვის, რადგან მათ არ გააჩნდათ საკამოდ ზუსტი და სრულყოფილი ხელსაწყოები. მაგრამ ბარბიკენს არ სურდა დაკმაყოფილებულიყო ამგვარი ვარაუდებით. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა ყუმბარა მთვარის დისკოს, ბარბიკენს მით უფრო მტკიცედ სწამდა, რომ ჩაწვდებოდა მთვარის ზედაპირის წარმოშობის საიდუმლოს, მაშინაც კი თუ იგი ფეხს ვერდ დაადგამდა მთვარეზე.

მეცამეტე თავი

მთვარის ლანდშაფტები

დილის სამის ნახევარზე ყუმბარა უკვე ჩრდილოეთ განედის ოცდამეათე პარალელზე, მთვარიდან ათას კილომეტრზე იმყოფებოდა, ოპტიკური ხელსაწყოები კი ამ მანძილს ათ კილომეტრამდე ამცირებდნენ. წინანდებურად ცხადი იყო, რომ ყუმბარა მთვარეს დისკოს ვერც ერთ წერტილს ვერ შეეხებოდა. ბარბიკენი ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ მიფრინავდა ყუმბარა ასეთი პატარა სიჩქარით. მთვარიდან არცთუ ისე დაშორებულ ყუმბარას გაცილებით მეტი სიჩქარით უნდა ეფრინა, მისი მიზიდულოებისათვის წიანაღმდეგობა რომ გაეწია. რა იყო ამის მიზეზი, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩებოდა. ბარბიკენს კი არც რაიმე გამოკვლევის დრო ჰქონდა. მოგზაურების თვალწინ გადაიშალა მთვარის ლანშაფტების პანორამა და ცდილობდნენ, მხედველობიდან სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამორჩენოდათ.

ამრიგად, ჭოგრიტში მთვარე სულ რაღაც ორნახევარ ლიეზე მოჩანდა. საინტერესოა, ამ სიმაღლეზე ასულ ჰაერნაოსანი რას დაინახავდ დედამიწის ზედპირზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო ადვილი, რადგან აქამდე აეროსტატები რვა ათას მეტრზე მაღლ არ ასულან.

აი, იმის ზუსტი აღწერა, რაც ბარბიკენმა და მისმა მეგობრებმა ზემოთ აღნიშნული სიმაღლიდან დაინახეს.

თითქოს მთვარის დისკო სხვადასხვა ფერის დიდი ლაქებით იყო მოფენილი. მთვარის მკვლევრები და ასტრონომები სხვადასხვანაირად ხსნიან ამ ლაქების შეფერილობას. იულიუს შმიდტი ამტკიცებდა, რომ თუ დედამიწის ყველა ოკეანე დაშრებოდა, მაშინ მთვარის დამკვირვებელი ზღვებისა და ოკეანეების შეფერილობაში ვეღარ გაარჩევდა იმ მკვეთრად გამოხატულ ფერებს, რაც დედამიწის დამკვირვებელს წარმოუდგება მთვარეზე. შმიდტის აზრით, საერთო შეფერილობა ვრცელი დაბლობებისა, რომელთაც "ზღვებს" უწოდებენ, ყავისფერი და მწვანე ფერებთან შერწმყმული მუქი ნაცრისფერია. ასეთივე შეფერილობისაა ზოგიერთი დიდი ვულკანის კრატერიც.

გერმანელი სელენოგრაფის ეს შეხედულება, რომელსაც იზიარებდნენბერი და მედლერი, ბარბიკენისათვის ცნობილი იყო. მისი საკუთარი დაკვირვებიბი ამ შეხედულებას ამტკიცებდნენ, რაც ეწინააღმდეგებოდა სხვა ასტრონომთა აზრს. მათ მიაჩნდათ, რომ მთვარის ზედაპირს აქვს მხოლოდ ერთი შეფერილობა - ნაცრისფერი. მთვარის ზოგიერთ დაბლობს ღია მწვანე ფერი დაჰკრავს. იმავე იულიუსს შმიდტის გამოკვლევით, ასეთივე ფერი აქვს ტენიანობისა და მოწმენდილობის ზღვებსაც. ბარბიკენმა გაარჩია განიერი კრატერები, რომელთაც არ გააჩნდათ შიდა კონუსები; ამ კრატერებს ახლად გაპრიალებული ფოლადის ფირფიტის მსგავსად მოლურჯო ფერი დაჰკრავდა. მსგავსი შეფერილობა მართლაც დამახასიათებელია მთვარის დისკოსათვის და სრულებით არ არის დამოკიდებული ტელესკოპების ობიექტივების ნაკლზე ან დედამიწის ატმოსფეროს ზემოქმედებაზე, როგორც ამას ზოგიერთი ასტრონომი ამტკიცებდა. ბარბიკენს ეჭვიც არ შეჰპარვია ამაში. იგი აკვირდებოდა უჰაერო სივრცეს, სადაც რაიმე ოპტიკური შეცდომა შეუძლებელი იყო. ფერთა სხვაობა მას ახლა მეცნიერულად დასაბუთებულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. მაგრამ იმის მტკიცებას, მწვანე ფერი განპირობებული იყო თუ არა მცენარეულით, რასაც ხელს შეუწყობდა დაბალი და მკვრივი ატმოსფერო, ბარბიკენი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა.

მოგვიანებით მან შენიშნა მკვეთრად გამოკვეთილი მოწითალო ფერი. ეს შეფერილობა ადრე, ლიხტენბერგის სახელით ცნობილი და განცალკევებით მდგარი ცირკის სიღრმეში შეამჩნია, რომელიც მთვარის ნახევარსფეროს განაპირას, გერცინის მთებთან მდებარეობს. ბარბიკენმა ვერც ამ შეფერილობის დადგენა შეძლო.

ასევე გაუგებარი იყო მისთვის მთვარის ზედაპირის სხვა თავისებურებაც, რაც შემდეგში მდგომარეობდა.

მისელ არდანმა, რომელიც დაკვირვებების დროს ბარბიკენის გვერდით იდგა, შვეული მიზის სხივებით მკვეთრად განათებული გრძელი თეთრი ზოლები შენიშნა. ეს იყო სინათლის ხნულები, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდნენ კოპერნიკის ახლახან მოკაშკაშე ზოლებისგან. ეს ხნულები ერთმანეთის პარალელურად მიემართებოდნენ.

მიშელმა ჩვეული რიხით, დაუყოვნებლივ გამოთქვა თავისი აზრი:

- შეხედეთ! ეს ხომ დამუშავებული მინდვრებია!

- დამუშავებული მინდვრები? - უნდობლად გაიმეორა ნიკოლმა.

- ყოველ შემთხვევაში, მოხნულია, - გააგრძელა მიშელმა. - რა შესანიშნავი მხვნელები არიან ეს სელენიტები! ალბათ გუთნებში გიგანტურ ხარებს აბამენ - თორემ ამ ვეებერთელა ხნულებს რა გაავლებდა!

- ცდები, მიშელ, - შეეპასუხა ბარბიკენი, - ეს ხნულები კი არა, ნაპრალებია.

- კარგი, ვთქვათ ნაპრალებია, - დაეთანხმ მიშელი, - მაგრამ მაინც რა ჰგონიათ მეცნიერებს ეს ნაპრალები?

ბარბიკენმა მაშინვე მოუთხრო მეგობარს ყველაფერი, რაც კი მთვარის ნაპრალების შესახებ გაეგონა. მან იცოდა, რომ ნაპრალები შემჩნეული იყო მთვარის დისკოს ყველა დაბლობ რაიონში, რომ მათი სიგრძე ოთხიდან ორმოცდაათ ლიემდე, ხოლო სიგანე ათასიდან ხუთას მეტრამდე აღწევდა, და რომ მათი ნაპირები ყოველთვის პარალელური იყო. მაგრამ მათ წარმოშობასა და ბუნებაზე მას თითქმის არაფერი გაეგებოდა.

ჭოგრიტით აღჭურვილი ბარბიკენი დაჟინებით აკვირდებოდა უცნაურ ნაპრალებს. მან შეამჩნია, რომ ნაპრალებს ძალიან დაქანებული ნაპირები ჰქონდათ. ეს იყო პარალელური მიწაყრილების მსგავსი რამ, რაც ფანტაზიით შეიძლებოდა მთვარის ინჟინრების მიერ აგებულ სიმაგრეთა გრძელ მწკრივად წარმოედგინა კაცს.

ზოგიერთი ნაპრალი ლარივით სწორი იყო, ზოგი კი მოხრილი, მაგრამ მათი ნაპირები ყოველთვის პარალელური რჩებოდა. ზოგი ერთმანეთში იყო გადაჯვარედინებული, ზოგი კი კრატერებს კვეთდა, სადაც ისინი პეტაიის ან პოსეიდონის რგოლისმაგვარ ღრმულებს და აჭრელებულ მოწმენდილობის ზღვის ნაპირებს სერავდნენ.

არ შეიძლებოდა, რომ მთვარის ამ უცნაურ ბუნებრივ მოვლენას დედამიწის ასტონომთა ინტერესი არ გამოეწვია. მთვრეზე პირველი დაკვირვებებისას ეს ხნულები შეუმჩნეველი დარჩა ვერც ჰეველიუსმა, ვერც კასინიმ, ვერც ლაგირიმ და ვერც ჰერშელმა, როგორც ჩანს, ვერ შეამჩნიეს ისინი. სამეცნიერო სამყაროს ეს მოვლენა პირველად შრეტერმა გააცნო 1789 წლეს. ხოლო შემდეგ მათ შესწავლას შეუდგნენ პასტორფი, გრუიტჰეიზენი, ბერი და მედლერი. ამჟამად სამოცდაათამდე ნაპრალს ითვლიან. მათი დათვლა კი მოხერხდა, მაგრამ წარმოშობის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ცხადია, ეს არც სიმაგრეებია და არ დამშრალი მდინარეთა კალაპოტები, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მთვარეზე წყალს უმნიშვნელო ხვედრითი წონა აქვს და ვერ შეძლებდა ასეთი ღრმა კალაპოტის გათხრას, მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ ეს ნაპრალები ხშირად მნიშვნელოვან სიმაღლეზე გადაკვეთავენ კრატერებსა და ცირკებს.

მიშელ არდანმა გამოთქვა ვარაუდი, რომელიც შემთხვევით იულიუს შმიდტის აზრს დაემთხვა.

- იქნებ, ეს გაურკვეველი ხაზები რაიმე ნარგვების მწკრივებია?

- ამით რის თქმა გსურს? - მოუთმენლად შეაწყვეტინა ბარბიკენმა.

- ნუ ცხარობ, პატივცემულო პრეზიდენტო, - უპასუხა მიშელმა. - მე ვკითხულობ, ეს მუქი ხზები ჩარიგებული ხეები ხომ არ არის-მეთქი?

- ესე იგი, შენი აზრით, მცენარეულია?

- დიახ, - დაჟინებით მიუგო მიშელმა, - მე მსურს ნათელი მოვფინო იმას, რაც აქამდე თქვენ, მეცნიერებმა ვერ გამოიცანით! ყოველ შემთხვევაში ჩემი ჰიპოთეზა იმას მაინც ცხადყოფდა, თუ ეს ხაზები გარკვეულ პერიოდში რატომ ქრებიან, ან რატომ გვეჩვენება, თითქოს გაქრნენო.

- შენი აზრით, რატომ ხდება ასე?

- იმიტომ, რომ ფოთოლცვენის დროს, ხეები უხილავნი არიან, ხოლო როდესაც იფოთლებიან, მათი დანახვა შესაძლებელია.

- ჩემო ძვირფასო, შენი განმარტება მართლაც ძალიან გონებამახვილურია, - შეესიტყვა ბარბიკენი, - მაგრამ ყოვლად უვარგისი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მთვარეზე არ არის წელიწადის დროები, რის გამოც მცენარეულთა სამყაროში არ არსებობს არც ის სეზონური ცვალებადობა, რაზედაც შენ ლაპარაკობ.

ბარბიკენი არ ტყუოდა. მთვარის ღერძის უმნიშვნელო გადახრისას, მზე თითქმის ერთსა და იმავე სიმაღლეზე უცვლელად დგას ყველა განედზე. ეკვატორიდან ყოველთვის ზენიტშია, პოლარულ რაიონებში კი - ჰორიზონტის ხაზს არ ცილდება. ამრიგად, მთვარის ყოველ რაიონში მზესთან მიმართებაში მისი მდგომარეობის მიხედვით, მუმდივად ბატონობს წელიწადის რომელიმე დრო; ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული ან შემოდგომა. ასევე იუპიტერზეც,რომლის ღერძიც აგრეთვე უმნიშვნელოდ იხრება ორბიტისაკენ.

მაინც რით აიხსნება ამ ნაპრალთა წარმოშობა? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ცხადია, მათი წარმოქმნა გაცილებით გვიან პერიოდს მიეკუთნება, ვიდრე ცირკებისა და კრატერებისა, რადგან რგოლისმაგვარი მიწაყრილები ამ ხნულებით არის დასერილი. შესაძლებელია, ისინი უახლოეს გეოლოგიურ ეპოქაში, სტიქიონის დამანგრეველმა ზემოქმედებამ წარმოშვა.

ამასობაში ყუმბარამ მთვარის მეოცე პარალელს მიაღწია და მისგან 800 კილომეტრზე აღმოჩნდა. ჭოგრიტში კი ყველა საგანი ორ ლიეზე მოჩანდა. ამ დროს მათ ქვემოთ, ხუთას ხუთი მეტრის სიმაღლეზე აღიმართა ჰელიკონი, მარცხნივ კი გადაჭიმული დაბალი მთები გარს ერტყა წვიმების ზღვის ერთ ნაწილს, რომელსაც ცისრტყელების ყურეს ეძახიან.

დედამიწის ატმოსფერო ას სამოცდაათჯერ უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ ასტრონომებმა მთვარის ზედაპირის ზუსტი დაკვირვება აწარმოონ. მაგრამ უჰაერო სივრცეში, სადაც ყუმბარა მიფრინავდა, ორთქლის ნიშანწყალიც კი არსად იყო, რომ დაკვირვებისათვის შეეშალა ხელი. გარდა ამისა, ბარბიკენი ისეახლოს იყო მთვარესთან, რომ ამ მანძილს ვერ უჩვენებდა ვერც ჯონ როსისა და ვერც კლდოვანი მთების ობსერვატორიების ყველზე ზუსტი ტელესკოპები. ამრიგად, მას ყველაზე ხელსაყრელი პირობები ჰქონდა შექმნილი, რომ გადაეწყვიტა საკითხი - არის სიცოცხლე მთვარეზე თუ არა. და მაინც მას არ შეეძლო ამ კითხვაზე პასუხი გაეცა. ბარბიკენის თვალწინ გადაშლილიყო უდაბური ველები, ჩრდილოეთითკი გასიშვლებული მთაგრეხილები. ადამიანის ხელი არაფერს შეხებოდა. არც ნანგრევები იყო, რომ ოდესმე ადამიანის არსებობა დაედასტურებინა, არც კვალი ცხოველისა და არც რაიმე მინიშნება თუნდაც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ორგანიზმის სიცოცხლისა. სრული უმოძრაობა სუფევდა. არც მცენარეულის ნიშანწყალი შეიმჩნეოდა. დედამიწის სფეროს დასახლებული სამი სამყაროდან მთვარეზე მხოლოდ ერთი - მინერალური სამყარო შეინიშნებოდა.

- ესეც შენ! - გააგრძელა იმედგაცრუებულმა მიშელ არდენმა. - ნუთუ მართლა არავინ ცხოვრობს იქ?

- როგორც ჩანს, არავინ, - უპასუხა ნიკოლმა. - არც ადამიანი, არც პირუტყვი, არც მცენარე. თუმცა, თუ ატმოსფერო ნამდვილად ხეობებში, ცირკების სიღრმეში იყრის თავს, ანდა ჩვენს საპირისპირო ნახევარსფეროში, მაშინ დადებითად ვერაფრის მტკიცდბას ვერ შევძლებთ.

- ცნობილია, - აღნიშნა ბარბიკენმა, - რომ ყველაზე მახვილ თვალსაც კი არ შეუძლია ადამიანის გარჩევა შვიდ კილომეტრზე უფრო შორი მანძილიდან. ესე იგი, სელენიტების არსებობა რომ დაგვეშვა კიდეც, ისინი ჩვენს ყუმბარას დაინახავდნენ, ჩვენ კი მათ ვერა.

დილის ოთხი საათისათვის ჩვენი გმირები ოროცდამეათე პარალელზე იმყოფებოდნენ და მთვარეს მხოლოდ ექვსასი კილომეტრი აშორებდათ. მათგან მარცხნივ მიზს მოკაშკაშე სხივებით გაშუქებული უცნაური მოხაზულობის მთაგრეხილი აღმართულიყო. მარჯვნივ კი - პირიქით - პირქუში, უძირო ჭის მსგასად პირი დაეღო შავ ღრმულს.

ეს იყო პლატონის ცირკი, შავი ტბა, რომელიც დედამიწის ზედაპირიდანაც შეიმჩნევა მთვარის უკანასკნელ მეოთხედსა და ახალი მთვარის შუალედში, როდესაც ჩრდილები მთვარეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ეცემიან.

პლატონი წარმოადგენს რგოლისმაგვარ მთას, რომელიც ჩრდილო განედის 51 გრადუსსა და აღმოსავლეთის გრძედის 9 გრადუსს შორის მდებარეობს. მისი კრატერის სიგრძე 92 კილომეტრია, სიგანე კი 61 კილომეტრი. ბარბიკენს გული წყდებოდა, რომ ყუმბარამ არ გადაუფრინა ცირკის ყველზე ჩაღრმავებულ ადგილს; შესაძლებელია ამ უფსკრულსი ისინი საიდუმლოებით მოცულ რაიმე მოვლენას წაწყდომოდნენ. ყუმბარის მიმართულებას ვერ შეიცვლიდნენ, ეს მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. ასე რომ, უნდოდათ თუ არა, ძალაუნებურად ბედს უნდა დამორჩილებოდნენ. შეულებელია საჰაერო ბურთის მარტვა, კიდევ უფრო ძნელია მართა ყუმბარისა, რომელშიც ისე ხარ გამოკეტილი, როგორც ციხის საკანში.

დაახლოეით დილის ხუთი საათისათვის მოგზაურები, როგორც იქნა, გასცდნენ წვიმის ზღვის საზღვრს. მათგან ხელმარცხნივ დარჩა - კონდამინის, ხელმარჯვნივ კი ფონტენელის მთა. მთვარის დისკოს ეს ნაწილი დაწყებული 60 გრადუსიდან, სულ მთებით იყო დაფარული. ჭოგრიტში ისინი ერთი ლიეს სიშორეზე მოჩანდნენ, რაც დაახლოებით ზღვის დონიდან მონბლანის სიმაღლის ტოლია. ყველგან პიკები და ცირკები აღმართულიყო. 70 გრადუსზე აზიდული 3 700 მეტრის სიმაღლის მთა-ფილოლაის კრატერს ელიფსის ფორმა, 16 ლიე სიგრძე და 4 ლიე სიგანე ჰქონდა.

ამ მანძილიდან მთვარე საოცარ სანახაობად ჩანდა. სხვაობა დიდი იყო დაკვირვების პირობებისა, სად იქიდან დაკვირვება და სად დედამიწიდან!

მთვარეზე ჰაერი არ არის და გაზისებრი გარსის უქონლობას მეტად საინტერესო შემდეგები მოჰყვება.

მთვარეზე არ არის ბინდი; თვალის დახამხამებასი იცვლება ღამე - დღით, და დღე - ღამით. მსგავსად ლამპისა, რომელიც უცბად ქრება და ინთება სიბნელეში. სითბო და სიცივე აქ თანდათანობით არ ენაცვლება ერთმანეთს. მთვარეზე ტემპერატურა უცებ ეცემა დუღილის წერტილიდან საპლანეტათშორისო სივრცის ტემპერატურამდე.

მთვარეზე უჰაერობას კიდევ ის მოჰყვა, რომ მისი მზით გაუნათებელ ნაწილებში ასოლუტური სიბნელეა გამეფებული. მთვარეზე არ არსებობს ის მოვლენა, რომელსაც დედამიწაზე გაფანტულ სინათლეს ეძახიან. ეს არის ჰაერში გაბნეული მანათობელი ნივთიერება, რომელიც წარმოქმნის საღამოსა და განთიადისწინა ბინდს, დღის ღამეში თანდათანობით გადასვლის მომხიბვლელ სილამაზეს. აქედან გამომდინარეობს ის არაჩვეულებრივი სიმკვეთრე კონტრასტებისა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ორი ფერია დასაშვები - თეთრი და შავი. თუ მთვარის ბინაარი მზეზე თვალებს მოიჩრდილავს, ცა სრულიად შავი მოეჩვენება, ვარსკვლავები კი ისეთივე კაშკაშა, როგორც შუაღამისას.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორი შთაეჭდილება მოახდინა ბარბიკენსა და მის მეგობრებზე სანახაობამ! ისინი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და ვეღარ ამჩნევდნენ სხადასხვა რაიონების ფარდობითსიდიდეს. დედამიწის პეიზაჟისტის მთვარის ვერც ერთ ლანდშაფტს ვერ დახატავდ, რადგან მათ შუქჩრდილების

მონაცვლეობა არ არბილებს; პეიზაჟისტი ყველგან მხოლოდ მელნის ლაქებს დაინახავდა თეთრ ფონზე.

ეს სანახაობა მაშინაც კი არ შეცვლილა, როცა ყუმბარა მთვარიდან ას კილომეტრზე, ოთხმოც გრადუსზე დაეშვა; იგივე სურათი იყო დილის ხუთი საათისთვისაც, როდესაც ყუმბარამ ორმოცდაათ კილომეტრზე უფრო ნაკლებ სიმაღლეზე გადაუფრინა ჯიას მთას. - ჭოგრიტმა კი ეს მანძილი ერთ მერვედ ლიემდე შეამცირა. კაცი თითქოს ხელით მიწვდებოდა მთვარეს. დაუჯერებელი იყო, რომ ყუმბარა არ შეეხებოდა მთვარის ზედაპირს ჩრდილოეთ პოლუსთან მაინც, რომლის მოელვარე თხები მკვეთრად გამოისახა მუქ ცაზე. მოუსვენარი მიშელი მზად იყო ფანჯარა გაეღო და მთვარეზე გადამხტარიყო. გადამხტარიყო თორმეტი ლიეს სიმაღლიდან! ეს მისთვის სულაც არ იყო ძნელი. თუმცა ასეთი ცდა რას მოუტანდა. თუკი ყუმბარას არ ეწერა რომელიმე წერტილში მაინც შეეებოდა მთვარეს, და ვერც ყუმბარის მოძრაობით გატაცებული მიშელი ვერ მიაღწევდა მიზანს.

ზუსტად ექვს საათზე მათ მთვარის პოლუსს გადაუფრინეს. ახლა მოგზურები მთვარის დისკოს მკვეთრად განათებულ ნახევარს ხედავდნენ; მეორ ნახევარი კი სიბნელეში ჩაძირულიყო. ყუმბარამ გადაუფრინა იმ საზღვარს, რომელიც განათებულ ნაწილს სრულიად ჩაბნელებული ნაწილისაგან გამოჰყოფდა და მაშინვე წყვდიადში გაუჩინარდა.

მეთოთხმეტე თავი

ღამე, რომელიც სამას ორმოცდამეთოთხმეტ-ნახევარ საათს გრძელდებოდა

სწორედ იმ წუთში, როცა ყუმბარა წყვდიადმა შთანთქა, მან ორმოცდაათ კილომეტრზე გადაუფრინა მთვარის ჩრდილოეთ პოლუსს. რამდენიმე წამი საკმარისი აღმოჩნდა თვალისმომჭრელი სინათლიდან უკუნში გადასასლელად. ეს ცვლილება ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, თითქოს მთვარე რაღაც ძლიერი დაბერვის შედეგად ჩაქრაო.

- მთვარე გაუჩინარდა, აორთქლდა! - წამოიყვირა თავზარდაცემულმა არდანმა.

მართლაც, - არც ანარეკლი, არც ჩრდილი არ დარჩენილა სულ ახლახან ასე თვალისმომჭრელად მოელვარე დისკოსაგან. ვარსკვლავების კაშკაში კიდევ უფრო ამძაფრებდა ღამის სიბნელეს.

ასეთივე წყვდიადი ბატონობდა სამას ორმოცდაათოთხმეტ-ნახევარი საათს განმავლობაში მთვარის ამ ნახევარსფეროს ყოველ წერტილში. ეს გრძელი გამე აიხსნება საკუთარი ღერძისა და დედამიწის გარშემო მთვარის წინსვლით და ბრუნვითი მოძრაობით. მთვარისაგან არეკლილი ჩრდილეის კონუსში მოხვედრილი ყუმბარაზე, ისევე, როგორც მთვარის მთელ უხილავ ნაწილზ, ვეღარ მოქმედებდა მზის სხივები.

ყუმბარაში სრული წყვდიადი სუფევდა. მოგზაურები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. ბარბიკენი ცდილობდა, რაც შეილებოდა ნაკლები რაოდენობით ეხმარათ გაზის განსაზღვრული მარაგი, მაგრამ სურვილი, გაეფანტათ ეს უკუნი სიბნელე,

იმდენად დიდი იყო, რომ იძულებული გახდა, ხელოვნური განათებისათვის მიემართა.

- წყეული მზე! - ყვიროდა არდანი. - იმის მაგივრად, რომ ჩვენს უფასო განათებაზე იზრუნოს, პირიქით, გაზს გვახარჯინებს.

- მზეს ნუ შემოსწყრები, - შეაწყვეტინა ნიკოლმა. - მთვარის ბრალია, ეკრანივით ჩამოეფარა მზეს.

- ტყუილია, მზეა დამნაშავე! - არ ცხრებოდა მიშელი.

- არა, მთვარე! - ჯიუტობდა ნილო.

უსარგებლო კამათი ბარბიკენმა შეაწყვეტინა.

- ჩემო მეგობრებო, - თქვა მან, - არც მზის ბრალია და არც მთვარისა. ჩვენმა ყუმბარამ, ნაცვლად იმისა, რომ მიცემული მიმართულებით ზუსტად ეფრინა, გვერდზე გადაუხვია. კიდევ უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ ბრალს დავდებდით ბოლიდს, მან აიძულა ჩვენი ხელსაწყო თავდაპირველი მიმართულებისათვის გვერდი ექცია.

- კარგი! - შემრიგებულურად თქვა მიშელმა. - საკითხი გადაჭრილია, ჩემი აზრით, ახლა ისღა დაგვრჩენია, ვისაუზმოთ. მთელი ღამის შრომის შემდეგ დანაყრება არ გვაწყენდა.

მიშელის წინადადება ერთხმად მიიღეს და რამდენიმე წუთში საუზმეც მზად იყო. მაგრამ უგემურად ჭამდნენ და სასმელიც ისე დალიეს, რომ ერთმანეთის დალოცვაც კი გადაავიწყდათ. უჰაერო სივრცის წყვდიადით შეშფოთებულები, ვერ ისვენებდნენ. ყოველი მხრიდან, ვიქტორ ჰიუგოს საყვარელი სიტყვებით რომ ვთქვათ, "ავის მომასწავებელი" სიბნელე ერტყათ გარს.

საუზმის დროს ისინი მხოლოდ და მხოლოდ იმ გრძელ ღამეზე საუბრობდნენ, რომელიც 354 საათს, ან 15 დღე-ღამეს გრძელდებოდა და ფიზიკის კანონებს დამორჩილებულ, მთვარის საბრალო მცხოვრებთ უნდა მოეთმინათ. ბარბიკენი მეგობრებს ამ საინტერესო მოვლენას უხსნიდა.

- აბა, დაუფიქრდით, - თქვა მან, - თუ მთვარის თითოეულ ნახევარსფეროს მთელი თხუთმეტი დღე-ღამის განმავლობაში მოაკლდა მზის სხივები, მაშინ ერთ-ერთი მათგანი, რომლის თავზეც ამჟამად მივფრინავთ, დედამიწის სინათლითაც კი ვერ ისარგებლებს, თუმცა ახლა იგი მკვეთრად არის განათებული. ამრიგად, დედამიწამ შეიძლება თანამგზავრობა გაუწიოს მთვარის მხოლოდ ერთ ნახევარს. იგივე პირობები დედამიწაზე რომ გადაგვეტანა, მაგალითად, ევროპას რომ არასოდეს ენახა მთვარე, ძნელი წარმოსადგენი არ არის. ვთქვათ, ავსტრალიაში ჩასული ევროპელის გაკვირვება!

- ხალხი ავსტრალიაში მხოლოდ იმიტომ ჩადიოდა, რომ მთვარე დაენახა, არა? - ჰკითხა მიშელმა.

- დიახ, სწორედ ამიტომ, - თქვა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა. ასევე გაოცდებოდა ის სელენიტი, რომელიც მთვარის იმ ნაწილიდან მოვიდოდა, დედამიწიდან სულ რომ არ ჩანს და მის საპირისპიროდ იმყოფება.

- იგივეს დავინახავდით ჩვენც, აქ რომ ახალი თვარის დროს, თხუთმეტი დღით გვიან მოვსულიყავით, - დაუმატა ნიკოლმა.

- სამაგიეროდ, - გააგრძელა ბარბიკენმა, - მთვარის ხილული ნაწილის ბინადართ მათი ანტიპოდებისაგან განსხვავებით ბუნება ანებივრებს. როგორც ხედავთ, უხილავი ნაწილის სელენიტებს წილად ხვდათ სამას ორმოცდათოთხმეტსაათიანი ღამეები, რომელთა წყვდიადში ვერც ერთი სხივი ვერ აღწევს. ხოლო მთვარის ხილული

ნაწილის სელენიტები, როგორც კი მზე ზედიზედ თხუთმეტი დღე-ღამის ნათების შემდეგ ჰორიზონტს მიეფარება, ცის მოპირდაპირე მხარეზე ხედავენ მოელვარე მნათობს - დედამიწას, რომლის დისკოც ცამეტჯერ უფრო მეტადაც ანათებს. ატმოსფერო დედამიწის შუქს ვერ შთანთქავს. დედამიწა მთვარის ჰორიზონტს მხოლოდ მაშინ ეფარება, როცა მოპირდაპირე მხრიდან მზე ამოდის.

- კარგი ნათქვამია! - შეაწყვეტინა მიშელმა, - მართალია, აკადემიურია, მაგრამ ოსტატურად კია წარმოთქმული.

- აქედან გამომდინარეობს, - გააგრძელა ბარბიკენმა, ისე, რომ მიშელის ხუმრობისათვის ყურადღება არ მიუქცევია, - რომ მთვარის დისკოს ხილულ ნაწილზე ცხოვრება ძალიან სასიამოვნოა - სავსე მთვარის დროს მზეს ხედავ, ახალი მთვარის დროს კი - დედამიწას.

- მე კი მგონია, - თქვა ნიკოლმა, - რომ ეს უპირატესობა ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს მზის სხივებით გამოწვეული აუტანელი სიცხის გამო.

- ამ უხერხულობას ორივე ნახევარსფერო თანაბრად განიცდის, ვინაიდან დედამიწის არეკლილ შუქს სითბო არა აქვს. პირიქით, მთვარის უხილავ ნაწილში უფრო მეტად ცხელა, ვიდრე ხილულში. ნიკოლ, მე თქვენს გასაგონად ვამბობ, რადგან მიშელი ალბათ ამას ვერც კი მიხვდება.

- გმადლობთ, - ფეხი ფეხს შემოჰკრა მიშელმა.

- იმას ვამბობდი, - გააგრძელა ბარბიკენმა, - რომ მთვარის უხილავი ნაწილი ახალი მთვარის დროს, მაშინ, როცა მთვარე მზესა და დედამიწას შორის იმყოფება, სარგებლობს მზის შუქითდა სითბოთი. ამ დროს მთვარე ორჯერ უფრო ახლოსაა მზესთან, ვიდრე დედამიწასთან. ეს მანძილი დაახლოებით ორასი ათასი ლიეა, ესე იგი, როდესაც მთვარის უხილავ ნაწილს მზის სხივები ანათებს, მთვარე დედამიწისაგან ორასი ათასი ლიეთია დაშორებული.

- სწორია, - შენიშნა ნიკოლმა.

- და პირიქით.... - გააგრძელა ბარბიკენმა.

- ერთი წუთით, - შეაწყვეტინა მიშელმა მეგობარ მეცნიერს.

- რა მოხდა?

- გთხოვ, ნება დამრთო და ეგ განმარტება ახლა მე გამაგრძელებინო.

- რატომ?

- მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ზოგ რამეს მეც მივხვდი.

- კარგი, თქვი, თქვი, - ღიმილით დაეთანხმა ბარბიკენი.

- მაშ ასე, პირიქით, - დაიწყო მიშელმა, თან მოძრაობითა და ინტონაციით "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტს ბაძავდა. - როდესაც მზე ანათებს მთვარის ხილულ ნაწილს, ესე იგი სავსე მთვარის დროს, დედამიწა იმყოფება მზესა და მთვარეს სორის. მაშასადამე, მთვარესა და მზეს შორის მანძილი ორასი ათას ლიემდე იზრდება და მთვარის სითბო უკვე უმნიშვნელოა.

- დიდებულია! - წამოიძახა ბარბიკენმა. - იცი, მიშელ, მსახიობის კვალობაზე, ძალიან ჭკვიანი ხარ...

- დიდი ამბავი! - აიჩეჩა მხრები მიშელმა. - ჩვენთან, იტალიურ ბულვარზე, ყველა ასეთია.

ბარბიკენმა ღირსეულად ჩამოართვა ხელი მხიარულ თანამგზავრებს და მთვარის ხილული ნახევარსფეროს მობინადრეთა უპირატესობების ჩამოთვლა განაგრძო.

სხვათა შორის, მან ახსენა მზის დაბნელებებიც, რაც მხოლოდ მთვარის ხილულ ნაწილსი ხდება, რადგან ამ დროს მთვარე აუცილებლად მზის საპირისპირო მხარეს

უნდა იყოს. ეს დაბნელებები, რასაც დედამიწის, მზისა და მთვარის დაპირისპირება იწვევს, გრძელდება ორ საათს, ამ ხნის განმავლობაში დედამიწის ატმოსფეროთი მზის სხივების გარდატეხის შედეგად მთვარიდან დედამიწა ისე მოჩანს, როგორც პატარა შავი ლაქა მზეზე.

- მაშასადამე, ბუნებამ სიძუნწე გამოიჩინა და დაჩაგრა მთვარის ერთ-ერთი ნახევარსფერო, - თქვა ნიკოლმა.

- დიახ, ასეა. - უპასუხა ბარბიკენმა. - თუმცა ცნობილი ლიბრაციის, ზოგიერთი მერყეობის, თავისი ცენტრის გარშემო მთვარის რხევის გამო, მზის დისკოს ნახევარზე მეტი დედამიწისაკენაა მოქცეული. ის ცოტათი წააგავს ქანქარას, რომლის სიმძიმის ცენტრი დახრილია დედამიწის სფეროსაკენ და განუწყვეტლივ ლიბრციას განიცდის. რა არის ამ ლიბრაციის მიზეზი? ის, რომ თვისი ღერძის გარშემო მთვარე ერთნაირი სიჩქარით ბრუნავს, მაშინ, როდესაც მისი წინსვლითი მოძრაობა დედამიწის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე - არათანაბარია. პერიგეაში, სადაც წინსვლითი სიჩქარე ჭარბობს, მთვარე დედამიწისაკენ ბრუნავს დასავლეთ ნაპირის მცირე ნაწილით. აპოგეაში, პირიქით, ჭარბობს მთვარის უკუსვლითი სიჩქარე, რის გამოც ის დედამიწისაკენ ტრიალებბდა აღმოსავლეთ ნაპირის დიდი ნაწილით. ამგვარად, ორივე შემთხვევაში, ხან დასავლეთიდან, ხან აღმოსავლეთიდან გამოჩნდება რვა გრადუსის გალუელი, ნამგალა მთვარე. აქედან გამომდინარეობს, რომ მთვარის ათასი ნაწილიდან ხილვადია მხოლოდ ხუთას სამოცდაცხრა.

- სულ ერთია, - შენიშნა მიშელმა, - თუ ჩვენ ოდესმე სელენიტებად ვიქცევით, მთვარის ხილულ ნაწილში დავსახლდებით. მე უსინათლოდ ვერ ვიცხოვრებ!

- კარგი, დავსახლდით, - უპასუხა ნიკოლმა, - მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ ატმოსფერო სწორედ უხილავ ნაწილში არ არის თავმოყრილი, როგორც ამას ზოგიერთი ასტრონომი ამტკიცებს.

- სწორი შენიშვნაა, - დაეთანხმა მიშელი.

საუზმის შემდეგ მოგზაურები კვლავ დაკვირვებას შეუდგნენ. შუქი ჩააქრეს და ცდილობდნენ, ვაგონის ჩაბნელებული ფანჯრებიდან რაიმე გაერჩიათ. მაგრამ გარემომცველ სიბნელეში რომელიმე ნათელი ატომის დანხვაც კი შეუძლებელი იყო.

ბარბიკენი განუწყვეტლივ იმაზე ფიქრობდა, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ყუმბრა, რომელმაც ასე ახლოს, ორმოცდაათ კილომეტრზე ჩაუარა, მაინც არ დაეცა მთვარეზე? ყუმბრას რომ უფრო მეტი სიჩქარით ეფრინია, მაშინ გასაგები იქნებოდა, მაგრამ მისი შედარებით მცირე სიჩქარის დროს წიანააღმდეგობა მთვარის მიზიდულობის მიმართ, ამოუხსნელი რჩებოდა. ხომ არ მოქმედებდა ყუმბარაზე რაიმე იდუმალი ძალა? ხომ არ იზიდავს მას ეთერში რომელიმე ციური სხეული? ასეა თუ ისე, ცხადი იყო, რომ ის მთვარის ზედაპირის არც ერთ წერტილს არ შეეხებოდა.

საით მიფრინავდა ყუმბარა? შორდებოდა თუ უახლოვდებოდა მთვარის დისკოს? თუ ამ წყვდიადში რაღაც ძალა საიდუმლოებით მოცული უკიდეგანო სივრცეში მიაქროლებდა?

ეს კითხვები აღლვებდა ბარბიკენს, მაგრამ პასუხი ვერ გაეცა. იქნებ უხილავი მნათობი რამდენიმე ლიეს, ან რამდენიმე მილის დაშორებით იყო, მაგრამ ვერც თვითონ და ვერც მისი მეგობრები ვერ ხედავდნენ. იქნებ მთვარის ზედაპირზე რაიმე ხმაურიც ისმოდა, მაგრამ ვერც ეს ხ,აირო აღწევდა. ხმის გამტარი ჰაერიც კი არ იყო, რომ მათთან მიეტანა მთვარის "კვნესა", არაბულ ლეგენდებში "ნახევრად გაქვევებულ, მაგრამ ტკივილით აკანკალებულ და აკვნესებულ ადამიანს" რომ ემახიან.

ცხადია, ამას შეეძლო ყველაზე მომთმენი დამკვირვებელიც კი მოთმინებიდან გამოეყვანა. ყველაზე უფრო საინტერესო, იდუმალებით მოცული, უხილავი ნახევარსფერო ახლა მათთვის ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც დედამიწიდან! ნახევარსფერო, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტი დღე-ღამის წინ იყო თუ თხუთმეტი დღე-ღამის შემდეგ იქნებოდა მზის სხივებით უხვად განათებული, ახლა წყვდიადში ჩაკარგულიყო. რა ბედი ეწევა ყუმბარას თხუთმეტი დღე-ღამის შემდეგ? საით გაიტაცებენ მიზიდულობის იდუმალი ძალები? ამას ვინ ახსნიდა!

ასტრონომების ვარაუდით, მთვარის უხილავი და ხილული ნახევარსფეროები აგებულებით ერთმანეთს ჰგვანან. მართლაც, მთვარის მცირე ლიბრაციის შედეგად, რაზედაც ბარბიკენი ლაპარაკობდა, ჩვენ უხილავი ნახევარსფეროს მეშვიდედი ნაწილი და ამ მიდამოებში შეინიშნება ისეთივე მთები და დაბოლოებები, ცირკები და კრატერები, რაც ხილული ნახევარსფეროს რუკაზეა აღნიშნული. მაშასადამე, ნამდვილად შეიძლება ვიფიქროტ, რომ იქაც იგივე უნაყოფო და უსიცოცხლო ბუნება და სამყაროა. მაგრამ იქნებ ატმოსფეროს სწორედ იმ მხარესაა? იქნებ ჰაერმა და წყალმა სიცოცხლე წარმოშვა ამ მატერიკებზე? იქნებ იქ კიდევ არსებობს მცენარეულობა? იქნებ ამ პირობებში კიდეც ცხოვრობს ადამიანი? რამდენი საინტერესო საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა უხილავ ნახევარსფეროზე თუნდაც თვალის ერთი გადავლებით! რამდენი საიდუმლო ამოიხსნეობოდა მსგავსი დაკვირვებების შედეგად! და რა სიამოვნებას იგრძნობდა ადამიანი, აქამდე მისი თვალისათვის დაფარული სამყაროს მზერით რომ დამტკბარიყო!

ამდენად გასაგებია, თუ რა გულდაწყვეტილები იყვნენ ჩვენი მოგზაურები, როცა ირგვლივ ბინდი ჩამოწვა: მთვარის დისკოს დაკვირვება მათთვის სრულიად ხელმიუწვდომი გხდა. თვალს მხოლოდ თანავარსკვლავედების ხილვა ახრებდა. და უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს ასტრონომებს, ფეი იქნებოდა ეს თუ შაკორნაკი ან სეკი, არ ჰქონიათ ვარსკვლავებზე დაკვირვების ასეთი ხელსაყრელი პირობები.

მართლაც ვერაფერი შეედრებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მშვენიერბას. თითქოს ცის თაღში ჩასმული ალმასებიაო, ვარსკვლავები ცისარტყელას ფერებივით ბრწყინავდნენ. თვალს იტცებდა მთელი ცისკიდურის სამხრეთის ჯვრიდან პოლარულ ვარსკვლავამდე. თორმეტი ათასი წლის შემდეგ, დედამიწის ღერძის რყევის შედეგად, ამ თანავრსკვლავადებმა თავიანთი როლი უნდა დაუთმონ პოლარულ ვარსკვლავებს: პირველმა - კანოპუსს - სამხრეთ ნახევარსფეროში, და მეორემ - ვეგას - ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მზერა სამყაროს უსასრულობასი იკარგებოდა და ყუმბარა ადამიანის ხელით შექმნილი ახალი მნათობივით მიფრინავდა. სრულიად გასაგები მიზეზების გამო ყველა თანავარსკვლავედი თანაბრად და მშვიდად კაშკაშებდა: ისინი არ ციმციმებდნენ იმიტომ, რომ აქ არ იყო ის ატმოსფერო, რომელიც ჰაერის სხვადასხვაგვრი ტენიანობისა და შრეების სიხშირის გამო ვარსკვლავებს აციმციმებს. აქ ისინი ისე კაშკაშებდნენ, როგორც სამყაროს დაურღვეველ მდუმარებაში უძილო, გაუვალი წყვდიადისაკენ. მიპყრობილი ნათელი და მორჩილი თვალები.

მოგზაურები დიდხანს ვერ აშორებდნენ თვალს ვარსკვლავებიან ცას, რომელზედაც ვეებერთელა ორმოსავით შავად დააღო პირი მთვარის უზარმაზარ დისკოს. მაგრამ მათ აღტაცებული მზერა თანდათან უსიამოვნო ჟრჟოლამ შეცვალა. გარედან შემოჭრილი სიცივის გამო ფანჯრები შიგნიდან სწრაფად დაიფარა ყინულის სქელი ფენით. მზის შვეული სხივები უკვე ვეღარ ათბობდნენ ყუმბარას. იგი თანდათანობით კარგავდა კედლებში დაგროვილ სითბოს. ეს სითბო გამოსხივების წყალობით სწრაფად იფანტებოდა სივრცეში. მოგზაურების ვგონში ტემპერატურა

მკვეთრად დაეცა. ფანჯრებზე ტენი ყინულად იქცა, რაც ყოველგვარ დაკვირვებას აფერხებდა.

ნიკოლმა თერმომეტრს დახედა და აღმოაჩინა, რომ ტემპერატურა ნულს ქვემოთ ჩვიდმეტ გრადუსამდე დაცემულიყო. მიუხედავად იმისა, რომ გაზს მომჭირნედ ხმარობდნენ, ბარბიკენი იძულებული გახდა, ახლა უკვე არა მარტო გასანათებლად, ჭურვის გასათბობადაც გამოეყენებინა. სიცივის ატანა თანდათან ჭირდა. მოგზაურებს გაყინვის საშიშროება ემუქრებოდათ.

- ჩვენს მოგზაურებს ერთფოერვნებას ვერ ვუსაყვედურებთ! - თქვა მიშელ არდანმა. - რა მრავალფეროვანი შეგრძნებები გვაქვს - თუნდაც ტემპერატურის მხრივ! ხან კაშკაშა სინათლე გვჭრის თვალს და აუტანელი სიცხით ამოგვდის სული, როგორც ინდიელებს პაპასებში, ხან იდუმალებით მოცულ წყვდიადში ვიძირებითდა ესკიმოსებივით სიცივით ვკანკალებთ! ასე, რომ არაფერი გვაქვს სამდურავი. შეიძლება ითქვას, რომ ბუნება კეთილსინდისიერად ზრუნავს ჩვენზე და გვართობს.

- გარეთ რა ტემპერატურაა? - ჰკითხა ნიკოლმა ბარბიკენს.

- ისეთივე, რაც საპლანეტათშორისო სივრცეში ყოველთვის, - უპასუხა ბრბიკენმა.

- მაშასადამე, ახლა სწორედ იმ ცდის ჩატარების დროა, მაშინ რომ ვერ შევძელით, როცა მზე ანათებდა, - თქვა არდანმა.

- მართალი ხარ, ან ახლა ან არასოდეს, - უპასუხა ბარბიკენმა, - სწორედ ახლა ისეთ მდგომრეობაში ვიმყოვებით, რომ შეგვიძლია დიდი სიზუსტით გავზომოთ საპლანეტთაშორისო სივრცის ტემპერატურა და შევამოწმოთ ფურიეს ან პუიეს გამოანგრიშებები.

- ყოველ შემთხვევაში, ისე ცივა, ძაღლი არ გაიგდება გარეთ, - თქვა მიშელმა. - ნახეთ, როგორ ილექება ტენი ფანჯრის მინებზე, თუ ტემპერატურა კიდევ დაიწევს, მელე თოვლად ქცეული ჩვენი ამონასუნთქი დაგვიტანს.

- მოამზადეთ თერმომეტრი! - თქვა ბარბიკენმა.

ცხადია, ჩვეულებრივი თერმომეტრი ასეთ განსაკუთრებულ პირობებში ვერაფერს გვიჩვენებდა. ვერცხლისწყლი თერმომეტრის მილში გაიყინებოდა, რადგან ნულს ქვემოთ მხოლოდ 42 გრადუსამდე ინარჩუნებს თხევად მდგომარეობას. მაგრამ ბარბიკენს გამზადებული ჰქონდა უოლფერდინის სისტემის ხელსაწყო, რომელიც განსაკუთრებით დაბალ ტემპრატურას აჩვენებდა.

მაგრამ ხმარებამდე, ეს ხელსაწყო ჩვეულებრივი თერმომეტრის საშუალებით უნდა შეემოწმებინათ და ტემპერატურა გარეთ ამის შემდეგ გაეზომათ.

- როგორ უნდა მოვიქცეთ? - იკითხა ნიკოლმა.

- ამაზე ადვილი არაფერია, - უპასუხა არდანმა, ვერავითარი დაბრკოლება რომ ვერ აშინებდა. - ფანჯარას სწრაფად გავაღებთ, გარეთ გადავაგდებთ ხელსაწყოს და თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ შიგნით შემოვიტანთ...

- რით? ხელით? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- ხელით, - უპასუხა მიშელმა.

- არ გირჩევ, მეგობარო, ამ საშინელ ყინვაში, ხელი მაშინვე ყინულის უფორმო ნატეხად გადაგექცევა.

- რას ლაპარაკობ!

- ხელი ისე დაგეწვება, როგორც სითეთრემდე გავარვარებულ რკინაზე შეხებისას. - ჩვენი სხეული ხომ ერთნაირად განიცდის ძლიერ სიცივესა და სიცხეს. გარდა ამისა, მე არა ვარ დარწმნებული, რომ ჩვენს მიერ გადაგდებული საგნები უკან დაგვიბრუნდეს.

- რატომ? - ჰკითხა ნიკოლმა.

- იმიტომ, რომ თუ მთვარის ატმოსფეროში მივფრინავთ, როგორი გაიშვიათებულიც არ უნდა იყოს იგი, საგნები ნელ-ნელა უნდა ჩამოგვრჩენ. სიბნელეში ვერ ვხედავთ, რომ ეს ასეა; თერმომეტრის გარეშე რომ არ დავრჩეთ, რამეზე დავამაგროთ დაყუმბარაში უფრო ადვილად შემოვიტანთ.

ბრბიკენის რჩევა მიიღეს.

ფანჯარა სწრაფად გამოაღეს და ნიკოლმა პატარა თოკზე მიმაგრებული თერმომეტრი გარეთ გადაისრულა

სულ რაღაც ათი წამით გამოაღეს ილუმინატორი, მაგრამ ესეც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყუმბარაში საშინელი ყინვა შემოჭრილიყო.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიყვირა მიშელ არდანმა. - ასეთ ყინვაში თეთრი დათვებიც კი გაიყინებოდნენ!

ბარბიკენმა თერმომეტრი ნახევარი საათით დატოვა გარეთ; ეს დრო კმაროდა, რომ ხელსაწყოს ყუმბარის გარემომცველი სივრცის ტემპერატურა ეჩვენებინა. შემდეგ თერმომეტრი სწრაფად შემოიტანეს კაბინაში.

ბარბიკენმა გამოიანგარიშა ხელსაწყოს შიდა ნაწილზე მიმაგრებული პატარა ამპულასი გადასხმული ვერცხლისწყლის რაოდენობა და თქვა:

- მართალი ყოფილა პუიე ფურიესთან დავაში. ცელსიუსით ხელსაწყო ნულს ქვემოთ ას ორმოც გრადუსს უჩვენებს.

ასეთია ციური სივრცის შემაძრწუნებელი ტემპერატურა! შესძლებელია მთვარის მატერიკების ტემპერატურაც ასეთივე იყოს, როცა გამოსხივების შედეგად ღამის მნათობი კარგავს თხუთმეტ დღე-ღამიანი მთვარის "დღის" განმავლობაში დაგროვილ მთელ სითბოს.

მეთხუთმეტე თავი

ჰიპერბოლაა თუ პარაბოლა?

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, ბარბიკენი და მისი მეგობრები ასე ცოტას რომ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა ბედი ელოდათ მეტალის საპყრობილეში, უსასრულო ეთერულ სივრცეში რომ მიაქროლებდათ. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი ხვედრით დაინტერესებულიყვნენ, დროს კარგავდნენ სხვადასხვა ცდებზე, თითქოს რომელიმე ობსერვატორიის სამუშაო კაბინეტებში ისხდნენ.

ამის საპასუხოდ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბარბიკენისა და მისი მეგობრებისათანა გამობრძმედილი ხალხი ყოველდღიურ საზრუნავზე უფრო მაღლა დგანან და საკუთარ სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები და მიზნები აქვთ.

მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მათ არც ყუმბარის მართვა შეეძლოთ, ვერც ფრენას შეაჩერებდნენ და ვერც მიმართულებას შეცვლიდნენ.

მეზღვაური თავისი ხომალდის საჭეს მართავს, ჰაერნაოსანს შეუძლია ზევით-ქვევით ატაროს ჰაერბურთი. ისინი კი თავიანთ ეკიპაჟზე ვერაფრით ვერ იმოქმედბდნენ, მართვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ტყუილუბრალოდ არ ღელავდნენ და არც წუხილს ამჟღავნებდნენ, როგორც მეზღვაურები ამბობენ, მთლიანად "სტიქიის ნება-სურვილს" მიენდნენ.

სად იმყოფებოდნენ ისინი იმ დღეს, როცა დედამიწაზე 6 დეკემბრრის დილის რვა საათი იყო? ამაზე შეიძლებოდა გვეპასუხა, რომ ისინი იმდენად ახლოს

იმყოფებოდნენ მთვარესთან, რომ მას ცაზე ვეებერთელა შავ წრესავით ხედავდნენ. მაგრამ მთვარემდე მანძილის გამოთვლა მაინც წარმოუდგელენი იყო.

ყუმბარამ რომელსაც უხილავი ძალა ამოძრავებდა, მთვარის ჩრდილოეთ პოლუსს ორმოცდაათ კილომეტრზე გადაუფრინა. მაგრამ უკვე ორი საათი იყო, რაც მოგზაურები ჩრდილების კონუსში შევიდნენ და ვერაფრით ვერ დაადგენდნენ, გაიზარდა ეს მანძილი თუ შემცირდა. არავითარი საწყისი წერტილი არ ჰქონდათ, რომ ყუმბარის სიჩქარე და მიმართულება განესაზღვრათ. იქნებ, კიდეც დაშორდნენ მთვარეს და მალე წყვდიადიდანაც უნდა გამოსულიყო, ან პირიქით, იქნებ ისე მიუახლოვდნენ მთვარეს, რომ მისი უხილავი ნახევარსფეროს რომელიმე პიკს უნდა დაჯახებოდნენ, რაც სამწუხაროდ, წერტილს დაუსვამდა მათ შემდგომ მოგზაურობას.

ამის გამო ატყდა კამთი, მიშელ არდანმაც კი ახსნა-განმარტებებისთვის მუდამზად რომ იყო, გამოთქვა აზრი: მთვარის მიზიდულობის გამო ყუმბარა ბოლოს და ბოლოს მთვარეზე დაეცემა ისევე, როგორც აეროლითი ეცემა დედამიწის ზედაპირზეო.

- ჯერ ერთი, აეროლითის უმცირესობა ეცემა დედამიწაზე, - შეეკამათა ბარბიკენი, - ასე რომ, ეროლითის მდგომრეობაშიც რომ აღმოვჩნდეთ, ეს გარემოება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მთვარეზე დავეცემით.

- მაგრამ თუკი ასე ახლოს ვართ მთვარესთან?

- მცდარი აზრია, - შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - ნუთუ "მოწყვეტილი ვრსკვლავები" არ გინახავს, ხანდახან ცას ათასობით რომ აჭრებელენ?

- რასაკვირველია, მინახავს!

- ეს ვარსკვლავები, უფრო სწორად პატარა ციური სხეულები მხოლოდ იმიტომ ანათებენ, რომ ატმოსფერულ შრეებში გავლისას ძლიერ ხურდებიან. რახან ატმოსფეროს გადაკვეთენ, მაშასადამე, დედამიწიდან დაახლოებით თექვსმეტ ლიეზე იმყოფებიან, მაგრამ მის ზედაპირზე ძალიან ისვიათად ეცემიან. მოსალოდნელია, რომ ჩვენს ჭურვსაც ასევე დაემართოს, მიუხედავად იმისა, რომ ასე ახლოს ვიმყოფებით, შეიძლება მთვარეზე მაინც არ დავეცეთ.

- ძალიან მაინტერესებს, როგორ მოიქცევა სივრცეში ჩვენი მოხეტიალე ვაგონი? - იკითხა მიშელმა.

- ჩემი აზრით, ამ კითხვაზე ორგვარად შეიძლება უპასუხოს კაცმა, - თქვა ბარბიკენმა მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ.

- მაინც როგორ?

- ყუმბარამ ორ მათემატიკურ მრუდს შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და გაჰყვეს თავისი მოძრაობის სიჩქარის შესაბამისად, მხოლოდ რომელს აირჩევს, ამის განსაზღვრა მე ჯერ არ შემიძლია.

- რა თქმა უნდა, - თქვა ნიკოლმა. - მას შეუძლია ან ჰიპერბოლა გაჰყვეს, ან პარაბოლას.

- ასეა, - უპასუხა ბარბიკენმა. - თუ ერთ სიჩქარეს აირჩევს, ყუმბარა პარაბოლით წავა, უფრო დიდი სიჩქარის დროს კი - ჰიპერბოლით.

- მიყვარს კაცი მაღალფარდოვანი სიტყვებით რომ ლაპარაკობს! - წამოიძახა მიშელ არდანმა. - ყურს დაუგდებ და ყველფერი ნათელია. ნება მომეცით, გკითხოთ, რა არის ეს პარაბოლა?

- ჩემო მეგობარო, - უპასუხა ნიკოლმა, - პარაბოლა მეორე რიგის ჩაუკეტავი მრუდია და წარმოიქმნება, თუ კონუსს ერთ-ერთი მსახველის პარალელური სიბრტყე გადაკვეთს.

- აი, თურმე რა ყოფილა! - წარმოთქვა მიშელმა მოჩვენებითი კმაყოფილებით.

- დაახლოებით ქვემეხიდან გასროლილი ყუმბარის ტრაექტორიასავით უნდა იყოს, - განმარტა ნიკოლმა.

- ჩინებულია. ჰიპერბოლა რაღაა? - იკითხა მიშელმა.

- ჰიპერბოლაც მეორე რიგის ჩუკეტავი მრუდია, რომელიც წარმოიქმნება, თუ კონუსი მისი ღერძის პარალელური სიბრტყით გადიკვეთება. იგი უსასრულობაში მიმავალი ორი ტოტისაგან შედგება.

- მართლა ასეა? - წამოიძახა არდანდმა მეტად სერიოზულად, თითქოს მისთვის რაიმე არაჩვეულებრივი ამბავი ეუწყებინოთ. - ახლა კი, კაპიტანო ნიკოლ, თუ შეიძლება, დაიხსომე შემდეგი:შენს ჰიპერ... ბოლაში, კინაღამ ვთქვი, სენს ჰიპერ---ბო... დვაში, ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ იგი ისევე ბუნდოვანია, როგორც შენი განარტება.

ნიკოლი და ბარბიკენი არდანის ხუმრობს ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი მეცნიერული კამათით იყვნენ გართულნი. ყველაზე მეტად ის კითხვა აღელვებდათ, თუ ყუმბარა რომელი მრუდით გაფრინდებოდა. ერთი ჰიპერბოლას ასახელებდა, მეორე კი პარაბოლას. ისინი უამრავი იქსებისაგან შედგენილი წმინდა ფორმულებით ლაპარაკობდნენ და ისეთი ენით ასაბუთებდნენ ყოველივეს, რომ მიშელი მოთმინებიდან გამოდიოდა. ისინი მართლაც ცხარედ კამათობდნენ და არც ერთ მოდავეს არ სურდა დაეთმო მოწინააღმდეგისათვის თავისი ამორჩეული მრუდი.

მეცნიერული კამათი იმდენად გამწვავდა, რომ ბოლოს მიშელმა მოთმინება დაკარგა.

- გეყოფათ, ბატონო კოსინუსებო! - თქვა მან. - მოეშვებით თუ არა პარაბოლებით და ჰიპერბოლებით დუელს? - ამ საქმეში მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: ჩვენი ყუმბარა ამ ორიდან ერთ-ერთი მრუდით რომ გაფრინდეს, სად აღმოვჩნდებიტ?

- არსად, - უპასუხა ნიკოლმა.

- როგორ თუ არსად?

- რასაკვირველია, არსად, - თქვა ბარბიკენმა. - ორივე ხომ ჩაუკეტავი მრუდია; მათი ტოტები უსასრულობაში მიემართებიან.

- რა ხართ ეს მეცნიერები! - შესძახა მიშელმა, - მუხლს ვიდრეკ თქვენს წინაშე! რა ჩვენი საქმეა ყუმბარა პარაბოლით გაფრინდება თუ ჰიპერბოლით, როცა ერთსაც და მეორესაც უსასრულო სივრცეში მივყავართ?

ბარბიკენმა და ნიკოლმა ღიმილი ვერ შეიკავეს. ისინი მართლა გაიტაცა "ხელოვნებამ ხელოვნებისათვის". ამაზე უფრო უშედეგო კამათი ასეთ არახელსაყრელ პირობებში არასოდეს გამართულა. სამწუხარო ჭეშმარიტებას ის წარმოადგენდა, რომ იმისდა მიუხედავად, ყუმბარა პარაბოლით გაფრინდებოდა თუ ჰიპერბოლით, მოგზაურები ვეღარასოდეს მოხვდებოდნენ ვერც მთვარეზე და ვერც დედამიწაზე.

რა მოელოდათ მამაც მეგობრებს ახლო მომავალში? თუკი შიმშილით ან წყურვილით არ დაიხოცებოდნენ. თუ აუტანელი სიცივე არ გაყინავდათ, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გაზი მთლიანად გამოილეოდა, ჰაერის უკმარისობა მაინც მოუღებდათ ბოლოს.

როგორ არ ეცადნენ მეგობრები, გაზი მომჭირნეობით ეხმარათ, მაინც ვერ მოახერხეს. ტემპერატურის არაჩვეულებრივმა დაცემამ აიძულათ, დაეხარჯათ გაზის მარაგი. უსინათლობას როგორმე გაუძლებდნენ, მაგრამ საარსბოდ სითბო აუცილებელი იყო. საბენდიოეროდ რეიზესა და რენიოს აპარატი ძალიან ეკონომიური იყო და ამიტომ ყუმბარაში აუციელბელი ტემპერატურის შესანარჩუნებლად ზედმეტი გაზის დახრჯვა არ უხდებოდათ.

ფანჯრიდან დაკვირვება გაძნელდა, ტენი ფანჯრებზე ილექებოდა და მაშინვე იყინებოდა. წამდაუწუმ წმენდდნენ მინებს. ამის მიუხედავად, მეგობრებმა რამდენიმე ძალზე საინტერესო დაკვირვება მაინც ჩაატარეს.

თუ მთვარის უხილავ ნაწილში ატმოსფერო ნამდვილად არის, მოწყვეტილი ვარსკვლავები იქ გავლისას უნდა აკიაფდნენ. ყუმბარა ჰერის ფენებში რომ მიფრინავდეს, შესაძლებელი იქნბოდა მთვარის ექოთი მიღწეული ჭექა-ქუხილის, ჩამოვარდნილი ზვავის გრუხუნის, ან მოქმედი ვულკანის აფეთქების ხმის გაგონება. რომელიმე კრატერს რომ ცეცხლი ამოეფრქვია, სინათლე გამოჩნდებოდა. დამკვირვებლების მიერ გულმოდგინედ შემოწმებული მსგავსი მოვლენები მთვარის ბუნების პრობლემების გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა. ფანჯარასთან მყოფი ბარბიკენი და ნიკოლი სივრცეს ასტრონომთათვის ჩვეული დაუღალავი ენერგიით აკვირდებოდნენ.

მაგრამმთვარის დიკსო ძველებურად მუნჯი იყო, ბნელით მოცული და მგზნებარე მკვლევარების არც ერთ კითხვას არ ჰფენდა ნათელს. ამან მიშელის სამართლიანი შენიშვნა გამოიწვია.

- თუ ასეთ მოგზაურობაზე ოდესმე კიდევ ვიფიქრებთ, ახლა მთვარის დროს გამოვფრინდეთ.

- მართალი ხარ, - უთხრა ნიკოლმა, - ახალი მთვარის დროს რაღაც უპირატესობა გვექნებოდა. მართალია, მზის კაშკაშით დაბნელებული მთვარე მთელი მოგზაურობის მანძილზე უხილავი იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ "სრულ" დედამიწას დავინახავდით. გარდა ამის, თუ მთვარეს ორივე მხრიდან შემოვუფრენდით, როგორც ახლა, მისი უხილავი ნახევარსფერო მთლიანად განათებული იქნებოდა.

- კარგად თქვი, ნიკოლ. შენ რაღას ფიქრობ ამაზე, ბარბიკენ? - ჰკითხა პრეზიდენტს მიშელ არდანმა.

- აი, რას ვფიქრობ, - სერიოზულად უპასუხა "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდეტნმა. - თუ მსგავსი მოგზაურობა ოდესმე კვლავ მოგვიწევს, ზუსტად იმავე დროს და იმავე პირობებში უნდა გამოვფრინდეთ, როგორც ამჯერად. თუ მიზანს მივაღწევდით, - მაშინ რა თქმა უნდა, აჯობებდა გადავსულიყავით მკვეთრად განათებულ მატერიკზე, ვიდრე თავი წყვდიადში ცაფლულ ნახევარსფეროზე ამოგვეყო. ცხადია, მაშინ მთვარეზე პირველად უფრო ხელსაყრელ პირობებში დავბანაკდებოდით. ხოლო მთვარის უხილავ ნაწილს მთვარის ნახევარსფეროზე ჩვენი კვლევით ექსკურსიების დროს ვეწვევოდით. მაშასადამე, სავსე მთვარის პერიოდი სწრედ შევარჩიეთ, მაგრამ უპიერველეს ყოვლისა, მიზნისთვის უნდა მიგვეღწია და გადახრა თავიდან აგვეცილებინა.

- ამაზე ვრვინ შეგედავება, - უთხრა მიშელ არდანმა, - რაც არ უნდა თქვა, მთვარის მეორე მხარეზე დაკვირვების ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გავუშვით. იქნებ სხვა პლანეტების ბინადრებმა თავიანთ თანამგზვრებზე გაცილებით მეტი იციან, ვიდრე ჩვენმა მეცნიერებმა - დედამიწის თანამგზავრზე.

მიშელ არდანის ამ შენიშვნას ასე შეიძლება ვუპასუხოთ: ზოგიერთი თანამგზავრის შესწავლა მართლაც უფრო ადვილია თვიანთ პლანეტასთან სიახლოვის გამო. სატურნის, იუპიტერისა და ურანის ბინადართ, თუკი ისინი ნამდვილად არსებობენ, ადვილად შეუძლიათ, დაამყარონ კავშირი თავიანთ მთვარეებთან. იუპიტერის ოთხი თანამგზავრი მის გარშემო 108260, 172 200, 274 700 და 480 130 ლიეს დაშორებით ბრუნავს. ეს მანძილი გამოთვლილია იუპიტერის ცენტრიდან, ხოლო თუ გამოვაკლებთ მისი რადიუსის სიგრძეს, რომელიც 17-დან

18ათას ლიემდე, დავინახავთ, რომ იუპიტერის პირველი თანამგზავრი უფრო ახლოსაა მის ზედაპირთან, ვიდრე მთვარე - დედამიწასთან. სატურნის რვა თანამგზავრიდან თავის პლანეტასთან ასევე ახლოსაა ოთხი: დიონა მდებარეობს სატურნიდან 84 600 დლიეზე, ტეფია - 62 966 ლიეზე, ენცელადი - 48 191 ლიეზე და ბოლოს მიმასი, რომელიც მხოლოდ 34 500 ლიეზე იმყოფება.

ურანის რვა თანამგზავრიდან, პირველი - არიელი თავის პლანეტასთან სულ რაღაც 51 520 ლიეთია დაშორებული.

ამრიგად, ამ სამი პლანეტის ზედაპირზე დაკვირვება, რაც ბარბიკენს მთვარეზე მოუვიდა აზრად, გაცილებიტ ადვილი იყო. და თუ ამ პლანეტების ბინადარნი ჩვენი მეგობრების მსგავს მოგზაურობას გაბედავდნენ, ალბათ თავიანთი თანამგზავრების უხილავი ნახევარსფეროების გამოკვლევას მოახერხებდნენ.

მადგრამ თუ თავიანთი პლანეტა არსოდეს დაუტოვებიათ, მათ ამ თანამგზავრების შესახებ დედამიწის ასტრონომებზე უფრო ნაკლები ეცოდინებათ.

ამასობაში ყუმბარა წყვდიადში ხაზავდა ტრაექტორიას, რომლის განსაზღვრისათვის არავითარი მონაცემები არა ჰქონდათ. ბარბიკენმა ვერაფრით დაადგინა, შეიცვალა თუ არა ყუმბარის მიმართულება მთვარის მიზიდულობის გავლენით ან რომელიმე უცნობი ციური სხეულის ზემოქმედებით. მაგრამ ყუმბარის მდგომარეობაში მკვეთრი ცვლილება მოხდა. რაშიც ბარბიკენი დილის ოთხი საათისათვის დარწმუნდა.

ყუმბარა მთვარის ზედაპირისკენ შებრუნდა და მისი ღერძის პერპენდიკულარულად დადგა. ეს ცვლილება მიზიდულობით - სიმძიმის ძალით იყო გამოწვეული. ყუმბარის ყველაზე მძიმე ნაწილმა - ფსკერმა უხილავი დისკოსაკენ დაიწყო გადახრა, თითქოს ზედ უნდა დასცემოდა.

იქნებ, ყუმბარა მაინც დაეშვას მთვარეზე? იქნებ, მოგზაურებმა სასურველ მიზანს მიაღწიონ? სამწუხაროდ, არა. ერთ-ერთი არცთუ მთლად გარკვეული ფაქტის საფუძველზე ბარბიკენი მიხვდა, რომ ყუმბარა კი არ უახლოვდებოდა მთვარეს, მის გარშემო მოძრაობდა მეტ-ნაკლებად კონცენტრული მრუდით.

ჩაბნელებული დისკოს ჰორიზონტზე ნიკოლმა შეამჩნია რაღაც უცნაური კაშკაში, ეს ციალი რომელიმე ამომავალი ვარსკვლავის სინათლედ ვერ მოეჩვენებოდათ. მოწითალო შუქი თანთანდან ძლიერდებოდა და იზრდებოდა; ეს კი იმის დასტური იყო, რომ ყუმბარა მთვარეზე კი არ ეცემოდა, არამედ მოციმციმე ლაქას უახლოვდებოდა.

- ვულკანია! - იყვირა ნიკოლმა. - მოქმედი ვულკანი! მთვარის ვულკანის ამოფრქვევაა! მაშასადამე, მთვარე ჯერ მთლიანად არ გაციებულა!...

- დიახ, ამოფრქვეაა, - დაეთანხმა ბარბიკენი, რომელიც ჭოგრიტით გულმოდგინედ აკვირდებოდა ციალს.

- მხოლოდ ვულკანი შეიძლება იყოს!

- კი, მაგრამ ასეთი ცეცხლის შესანარჩუნებლად ხომ ჰაერია საჭირო! - შენიშნა არდანმა. - ესე იგი, მთვარის ეს ნაწილი ატმოსფეროთია გარემოცული.

- ადვილი შესაძლებელია, - უპასუხ ბარბიკენმა. - მაგრამ არ არის აუცილებელი. ზოგიერთი ნივთიერების დაშლის შედეგად წარმოიქმნება ჟანგბადი, რითაც იკვებება უჰაერო სივრცეში ამოფრქვეული ალი. ის კი არა, მე მგონია, რომ ალი, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, სწორედ იმ სიკაშკაშითა და სიძლიერით გამოირჩევა, რაც სუფთა ჟანგბადში წვისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ ჯერ მთვარის ატმოსფეროს არსებობას ვერ დავამტკიცებთ.

ცეცხლისმფრქვეველი მთა მთვარის უხილავი დისკოს დაახლოებით სამხრეთ განედის 45 გრადუსზე აღმართულიყო. მაგრამ, ბარბიკენის სამწუხაროდ, მრუდმა, რომლითაც ყუმბარა მიფრინავდა, ისინი ამოფრქვევის ადგილიდან საკმაოდ შორს გაიტცა. ამიტომ მოგზაურებმა ვერ შეძლეს, ალის მიზეზი ზუსტად დაედგინათ. ნახევარ საათში კი ყველფერი ბნელ ჰორიზონტს იქით გაუჩინარდა. ამ ვულკანის შესწავლას სელენოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა! დამტკიცდებოდა, რომ მთვარის სფეროს წიაღი ჯერ კიდევ არ იყო გაციებული. ხოლო იქ, სადაც სითბო შენარჩუნებულია, სტიქიის გამანადგურებელი ზემოქმედების მიუხედავად, მცენარეული და ცხოველთა სამყარო არსებობს. თუ დედამიწის მეცნიერები მოქმედი ვულკანების არსებობას ზუსტად დაადგენენ, ხელს შეუწყობდნენ მთვარეზე ადამიანის არსებობის მრავალი თეორიის წარმოშობას.

ბარბიკენი ჩაფიქრდა. დედამიწის თანამგზავრის საიდუმლოება არ ასევენებდა. იგი თავისი ცალკეული დაკვირვებების ერთმანეთისათვის დაპირისპირებას ცდილობდა, რომ ახალმა, მოულოდნელმა შეხვედრამ უცებ გამოაფხიზლა.

ეს ახალი კოსმოსური მოვლენა არა მარტო მეცნიერულად იყო საინტერესო, გაბედულ მოგზაურებს სიკვდილის საფრთხითაც ემუქრებოდა.

უეცრად მათ გარემომცველ წყვდიადში გამოჩნდა მთვარის მსგავსი უზარმაზარი მასა, რაც ისე მკვეთრად და თვალისმომჭრელად ანათებდა, რომ მისი შუქი მძაფრად იჭრებოდა ცის უსასრულო სიბნელეში. ეს ბურთისმაგვარი მასა ისე მძლავრად ასხივებდა, რომ ყუმბარა გახურდა. ბარბიკენს, ნიკოლსა და მიშელ არდენს თვალისმომჭრელი თეთრი სინათლის ნაკადით განათებულ სახეები უსიცოცხლო, ფერმკრთალ მოჩვენებებს მიუგავდათ. მსგავსი ეფექტი აქვს ზოგიერთ მარილთან შერეული სპირტის წვის შედეგად მიღებულ ხელოვნურ ალს.

- ეშმაკმა დალახვროს! - იყვირა მიშელმა, - საზარელი შესახდავები ვართ! ეს ახალი მთვარე რაღაა!

- ბოლიდია, - უპასუხა ბარბიკენმა.

- სიცარიელეში მოკაშკაშე ბოლიდი?

- დიახ.

ცაზე გამოჩენილი ცეცხლოვანი ბურთი ნამდვილად ბოლიდი იყო. ბარბიკენი არ ცდებოდა. ამ კოსმოსური მეტეორების შუქი, დედამიწიდან დაკვირვებისას, ჩვეულებრივ, მთვარის შუქზე უფრო სუსტია. მაგრამ აქ, წყვდიადში მეტეორი თვალს ჭრიდა. ცდომილი ციური სხეულების წვის წყარო თვით ამ სხეულებსია. ისინი ჰაერის გარემოცვას არ საჭიროებენ. ზოგიერთი ბოლიდი ატმოსფეროს ფენებში დედამიწიდან ორი-სამი ლიეს მანძილზე გაივლის, ზოგი კი პირიქით, თავისი ტრაექტორიას შემოხაზავს ისეთ სიმაღლზე, სადაც ატმოსფერო აღარ არის. ასეთია ბოლიდები, რომელთაგან ერთი გამოჩნდა 1844 წლის 27 ოქტომბერს 128 ლიეს სიმაღლეზე, ხოლო მეორემ გაიელვა 1841 წლის 18 აგვისტოს დედამიწიდან 182 ლიეზე. ზოგიერთი მეტეორი, რომელთა დიამეტრი სამიდან ოთხ კილომეტრამდეა,ხოლო სიჩქარე წამში 75 კილომეტრი, დედამიწის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიილტვის.

ბარბიკენის ვარაუდით ყუმბარიდან ას მილზე სიბნელეში მოულოდნელად გამოჩენილი მფრინავი ბურთის დიამეტრი დაახლოებით ორი ათასი მეტრი უნდა ყოფილიყო. ბურთი წამში ორი კილომეტრის, ანუ წუთში ოცდაათი ლიეს სიჩქარით ახლოვდებოდა. პირდაპირ ყუმბარისკენ მოჰქროდა და რამდენიმე წუთში მათი შეჯახება გარდაუვალი იყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ბოლი, მით უფრო თანდათან იზრდებოდა.

წარმოუდგენელი და ძნელია ჩვენი მოგზაურების განცდების გადმოცემა. მიუხედავად მათი მამაცობისა და შემართებისა, მიუხედაად იმისა, რომ საფრთხეს არაფრად აგდებდნენ, თავზრდაცემულნი ჩუმად გახევებულიᲘყვნენ. ყოველი ძარღვი, ყოველი კუნთი დასჭიმოდათ. ყუმბრა, რომელსაც ვერ მართავდნენ, პირდაპირ ამ ალმოდებული მასისაკენ მიფრინავდა. იგი ღუმელის დაღბული ხახასავით ვარვარებდა და გეგონებოდათ, ყუმბარა ცეცხლოვან უფსკრულოში იჩეხებაო.

ბარბიკენმა ხელი ჩაჰკიდა მეგობრებს და სამივენი ნახევრად თვალმოჭუტულნი თეთრად გავარვარებულ ასტეროიდს მიაშტერდნენ. თუკი გონება Ჯერ კიდევ შერჩენოდათ და აზროვნებდნენ, უსათუოდ უნდა მიმხდვარიყვნენ, რომ დღუპვა არ ასცდებოდათ!

ბოლიდის გამოჩენიდან გასული ორი წუთი შემაძრწუნებელი სიკვდილის ორ საუკუნედ მოეჩვენათ! ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი ყუმბარის ბოლიდთან შეᲯახება. უცებ, მათ თვალწინ ცეცხლოვანი ბურთი ყუმბარასავით, მაგრამ სრულიად უხმაუროდ გასკდა. გარემომცველ სიცარიელეში ჰერის რხევის გამო აფეთქება ხმაურს არც გამოიწვევდა.

ნიკოლის შეძახილზე მეგობრები ფანᲯრებს მისცვივდნენ. რა სანახაობა იყო! ვის კალამს, ვის ფუნᲯს შეეძლო გამოეცნო მათ თვალწინ გადაშლილი სურათის ფერების სიმდიდრე!

იგი შეიძლებოდა შეგვედარებინა კრატერის დაღებული ხახისათვის, ან გრანდიოზული ხანძრისათვის. სივრცეს სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფერის ათასობით ნამტვრევი კვეთდა და ანათებდა. მეგობრებმა თითქოს დაინახეს მრავალფეროვანი გიგანტური მარაო, რომელიც ცისარტყელასავით ყვითლად, ნარინᲯისფრად, წითლად, მწვანედ და ნაცრისფრად ანათებდა. საშინელი უზარმაზარი ბურთისაგან დარჩა ყველა მიმართულებით გაფანტული და შემდეგ წვრილ ასტეროიდებად ქცეული ნამსხვრევები. ზოგი ფოლადივით ბზინავდა, ზოგს თეთრი ღრუბლები ერტყა გარს; დანარჩენს კი კოსმოსური მტვრის მოკაშკაშე კუთი გასდევდა.

მანათობელი ნამსხვრევები იხლართებოდნენ, ერთმანეთს ეᲯახებოდნენ, ნაკუწ-ნაკუწებად იმსხვრეოდნენ, ზოგი ყუმბარის კედლებს ეხლებოდა. ასეთი ნამსხვრევის ძლიერმა დარტყმამ ყუმბარის მარცხენა ილუმინატორი კიდევაც გაბზარა, თითქოს ხელყუმბარების წვიმაში მოხვდაო. ყოველ მათგანს შეეძლო თვალის დახამხამებაში არარაობად ექცია იგი.

ასტეროიდების გარშემო თვალისმომჭრელად აკაშკაშებული სინათლის სხვები მთელ ხილულ სამყაროს ეფინებოდა. როდესაც ამ სინათლეს თვალი ვეღარ გაუსწორეს, მიშელმა ბარბიკენი და ნიკოლი თვის ფანᲯარასთან მიიყვანა.

- როგორც იქნა, უხილავი მთვარის დანახვა შევძელით! - წამოიძახა მან.

და თვალისმომჭრელი სინათლის წყალობით სამმა მეგობარმა რამდენიმე წამის განმავლობაში ნათლად დაინახა იდუმალი დისკო, რომელსაც პირველად მისწვდა ადამიანის მზერა.

მაინც რა გაარჩიეს ამ განუსაზღვრელი მანძილის მიღმა? დისკო დაფარული იყო წაგრძელებული, ღრუბლების მსგავსი ზოლებით, რაც ძლიერ გაიშვიათებულ ატმოსფეროში წარმოიქმნებაა. ამ ღრულბებს შორის მარტო მთები კი არ მოჩანდა, არამედ რელიეფის ყოველი წვრილმანი, პიკები, ცირკები, ისევე პირდაღებული და უცნაურად მიმოფანტული კრატერები, როგორც მთვარის ხილულ ნახევარსფეროზეა. შემდეგ მოჩანდა თვალუწვდენელი სივრცეები, მაგრამ უნაყოფო დაბლობები კი არა, ნამდვილი ზღვები და მრავალრიცხოვანი უკიდეგანო ოკეანეები, რომელთა

ზედაპირზე ირეკლებოდა ზევით, ეთერში გაჩირაღდნებული ზღაპრული ფეიერვერკი. და ბოლოს მატერიკების ზედაპირზე მოჩანდა წამით ელვით განათებული გიგანტური ტყეების მსგავსი ვრცელი ლაქები.

მირაჟი იყო ეს, ილუზია თუ ოპტიკური შეცდომა? ან თუ შეიძლებოდა მათ თვალწინ წამით გადაშლილი სანახაობის მეცნიერულად დასაბუთება? და ბოლოს, ასეთი ზერელე და ნაუცბადევი დაკვირვება უფლებას გვანიჭებდა, დაგვესკვნა, მთვარის უხილავი დისკო დასახლებულიაო?

ამასობაში გრანდიოზული ფეიერვერკი თანდათანობით ქრებოდა; მისი შუქი ნელ-ნელა უფერულდებოდა; ასტეროიდები სხვადასხვა მიმართულებით იფანტებოდნენ და უსასრულო სივრცეში იკარგებოდნენ. სამყარო ისევ სიბნელემ მოიცვა; ჩამქრალი ვარსკვლავები მცირე ხნით ცაზე აკიაფდნენ და წამით განათებული მთვარის დისკო ისევ ღამის წყვდიადმა შთანთქა.

მეთექვსმეტე თავი

სამხრეთ ნახევარსფერო

მოულოდნელმა კატასტროფამ, სულ ახლახანს რომ ემუქრებოდა ყუმბარას, ჩაიარა. ვინ წარმოიდგენდა ბოლიდებთან ასე შეხვედრას? ცთომილი სხეულები ჩვენს მოგზაურებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. ეთერის ზღვში უხვად აღმოჩნდა წყალქვეშა კლდეები, რომელთაც მეზღვაურებივით მოხერხებულად გვერდს ვერ აუქცევდნენ. მაგრამ ჩვენს მკვლევარებს საყვედურიც კი არ დასცდენიათ! არა. მთელი განსცდელი მათ აუნაზღაურა კოსმოსური მეტეორის გრანდიოზული აფეთქების დიდებულმა სანახაობამ, შეუდარებელმა ფეიერვერკმა, რომლის სურათს ვერც ერთი რუჯიერი ვერ გადმოსცემდა. მათ ხომ მხოლოდ რამდენიმე წამით ჩაიხედეს მთვარის უხილავი ნაწილის საიდუმლოში. ამ წამიერ გაელვებაში მატერიკების, ზღვების, ტყეების დანახვა მოასწრეს. შესაძლებელია მთვარის ამ ნაწილში ატმოსფერო რომელიღაც ცხოველმყოფელ მოლეკულებს შეიცავდა. აი, ის გადაუჭრელი საკითხები, ცნობისმოყარე კაცობრიობას დასაბამიდან რომ აღელვებდა!

ნაშუადღევის ოთხის ნახევარი იყო. ყუმბარა მთვარის გარშემო მრუდით მიფრინავდა. იმისი შიში უნდა ჰქონოდათ მოგზაურებს, ყუმბარის ტრაექტორია მეტოერთან შეხვედრის გამო კიდევ ხომ არ შეიცვლებოდა? მაგრამ ყუმბარას მექანიკის კანონების თანახმად, წინასწარ მკაცრად განსაზღვრული მრუდი უნდა შემოეხაზა. ბარბიკენი უფრო იმ აზრს ადგა, რომ ეს მრუდი პარაბოლა იყო და არა ჰიპერბოლა, და თუ ეს ასე იყო, მაშინ ყუმბარა მალე უნდა გამოსულიყო კონუსის ჩრდილიდან, რომელიც მზის საპირისპირო მხარეს ეცემოდა. ეს კონუსი მართლაც ძალიან ვიწროა, რადგან მთვარის კუთხის დიამეტრი ჩვენი დღის მნათობის დიამეტრზე გაცილებით მცირეა. ყუმბარა ჯერ ისევ ჩრდილში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ის საკმაოდ სწრაფად მიფრინავდა, მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს სიჩქარე, თანდათან მცირდებოდა. თუმცა ყუმბარის პარაბოლათი მოძრაობის შემთხვევაში ეს ასე არ უნდა მომხდარიყო. გურკვეველი მოვლენების მოჯადოებულ წრეში მოქცეული ბარბიკენსი წინაშე ახალი პრობლემა წამოიჭრა.

დასვენებაზე არც ერთ მოგზაურს არ უფიქრია. ყველა რაღაც ახალს მოელოდა, რაც მთ ასტრონომიულ გამოკვლევებს შუქს მოჰფენდა. ნაშუადღევის ხუთი საათისათვის მიშელ არდანი სადილის ნაცვლად მეგობრებს პურით და ცივი ხორცის

ნაჭრებით გაუმასპინძლდა. მოგზაურები ისე დანაყრდნენ, ფანჯრებს არ მოსცილებიან. ფანჯრების მინები კი განუწყვეტლივ ყინულის ფენით იფარებოდა.

საღამოს ხუთ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ჭოგრიტით შეიარაღებულნმა ნიკოლმა მთვარის სამხრეთ სანაპიროზე ყუმბარის მიმართულებით რამდენიმე მბრწყინავი წერტილი შეამჩნია, რაც ჩაბნელებული ცის ფონზე მკვეთრად გამოირჩეოდა. ეს წერტილები წააგავდნენ წაწვეტებულ მწვერვალებს, რომელთა მწკრივიც ნათელი წყვეტილი ხაზივით მოჩანდა. ისინი საკმაოდ მკვეთრად ციმციმებდნენ. იგივე შეინიშნება დედამიწიდან, როცა მთვარე ან პირველი მეოთხედის დასაწყისშია, ან უკანასკნელი მეოთხედის დასასრულში.

ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. მეტორი არ იყო, რადგან მოკაშკაშე თხემს არც ფერი ჰქონდა მისი და არც სიჩქარე. ვულკანის ამოფრქვევასაც არ ჰგავდა. ბარბიკენი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული.

- მზეა! - თქვა მან.

- რაო? - ერთხმად იკითხეს ნიკოლმა და მიშელ არდანმა. - მზე?

- დიახ, ჩემო მეგობრებო, მზე გახლავთ. საპირისპირო მხრიდან მთვარის სამხრეთ პოლუსზე განლაგებული მთების მწვერვალებს ანათებს. როგორც ეტყობა, სამხრეთ პოლუსს ვუახლოვდებით!

- ჩრდილოეთ პოლუსიც უკან მოგვიტოვებია! - წამოიძახა მიშელ არდანმა. - რა კარგად მოგვსვლია! გამოდის, რომ ჩვენ თანამგზავრს გარშემო შემოვუფრინეთ!

- ასეა, ასე მიშელ, ჩემო მეგობარო!

- მაშასადამე, ჩვენ არ გვაშინებს არც ჰიპერბოლები, არც პარაბოლები და არც სხვა ღია მრუდები.

- სამაგიეროდ, ჩაკეტილ მრუდს უნდა მოვერიდოთ.

- რომელ მრუდს?

- ელიფსს. იმის ნაცვლად, რომ საპლანეტათშორისო სივრცეებში დაიკარგოს, მოსალოდნელია, ყუმბარამ მთვარის გარშემო ელიფსური ორბიტა შემოხაზოს.

- ერიჰა!

- მაშინ მის თანამგზავრად იქცევა!

- მთვარის მთვარედ! - წამოიძახა აღტაცებულმა მიშელ არდანმა.

- მხოლოდ, ძვირფასო მეგობარო, ნება მომეცი, ისიც აღვნიშნო, - დაუმატა ბარბიკენმა, - რომ ჩვენ ამით არავითარ შეღავათი არ მოგვეცემა. სულ ერთია, მაინც დავიღუპებით.

- სამაგიეროდ, სულ სხვანაირდ, და ამგვარად დაღუპვა უფრო საინტერესოა. - უპასუხა უდარდელმა ფრანგმა.

ბარბიკენი მართალი იყო. ელიფსური ორბიტით ფრენისას, როგორც ეტყობა, ყუმბარას მთვარის გარშემო თანამგზავრივით უნდა ეფრინა სამუდამოდ.

მზის სისტემაში გამოჩნდა ახალი ციური მნათობი მიკროკოსმი, რომლის სამი ბინადარი ჰაერის უკმარისობის გამო მალე გაიგუდებოდა. ბარბიკენს სანუგეშოდ არ ეჩვენებოდა ახალი მდგომარეობა ყუმბარისა, რომელიც ცენტრალური და ცენტრისკენული ძალების მოქმედების სფეროში შევიდა. მაშასადამე, ბარბიკენი და მისი მეგობრები კვლავ იხილავდნენ მთვარის განათებულ ნახევრსფეროს. იქნებ კიდევ მოასწრონ მათ წინაშე მზით გაბრწყინებული დედამიწის უკანასკნელი გაელვების ხილვა. იქებ შეძლონ, რომ უკანასკნელად გამოეთხოვონ დედამიწას, სადაც დაბრუნება აღარ უწერიათ! შედმეგ ყუმბარა ასტეროიდებივით ჩამქრალ, უსიცოცხლო მასად გადაიქცევა. მოგზაურები თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდნენ,

რომ ბოლოს და ბოლოს წყვდიადს თავს დააღწევდნენ და მზის სინათლით განათებულ მიდამოებს დაუბრუნდებოდნენ.

ამასობაში მთვარის ბნელ ზედაპირზე მთები, ბარბიკენმა რომ შეამჩნია, თანდათან ნათლად გამოიკვეთა. ეს მთები მთვარის სამხრეთ პოლუსის მახლობლად აღმართული დერფელი და ლეიბნიცი იყო.

ხილული ნახევარსფეროს ყველა მთის სიმაღლე ზუსტადაა გაზომილი. იქნებ ეს უჩვეულოდაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ ჰიპსომეტრული მონაცემების სისწორეში ეჭვს ვერ შევიტანთ. ის კი არა, იმის მტკიცებაც კი შეგვიძლია, რომ მთვარისა და დედამიწის მთების სიმაღლე თანაბარი სიზუსტითაა დადგენილი.

სიმაღლის განსაზღვრის ყველაზე ხშირდ გამოყენებული მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მთის ჩრდილს ზომავენ,მაგრამ ამ გაზომვის დროს ითვალისწინებენ მზის სიმაღლეს ჰორიზონტზე. ეს მარტივი გაზომვა წარმოებს ორი პარალელური ძაფის ბადურით აღჭურვილი ტელესკოპის საშუალებით. ამასთან, ვარაუდობენ, რომ ზუსტად არის ცნობილი მთვარის დისკოს ნამდვილი დიამეტრი. იგივე მეთოდი საშუალებას გვაძლევს, მთვარის ღრუმლებისა და კრატერების სიღრმე გავზომოთ. ამ მეთოდით სარგებლობდა გალილეი; უფრო მოგვიანებით კი დიდი წარმატებით იყენებდნენ ბერი და მედლერი.

მეორე მეთოდს ტანგენციური სხივეის მეთოდს ეძახიან და ასევე მთვარის რელიეფის გასაზომად იყენებენ. ამ უკანასკნელით სარგებლობენ, როდესაც მთების მწვევალები დისკოს ბნელ ნაწილში, განათებული ნაწილის საზღვართან წარმოქმნიან მოკაშკაშე წერტილებს. ეს წერტილები ღრუბლებს ზემოთ მზის სხივებით განათებული მთების მწვერვალებია, რომლებიც საზღვარს წარმოადგენენ მთვარის ზედაპირის განათებულ და ბნელ ნაწილებს შორის. მოკაშკაშე წერტილებსა და მთვარის ზედაპირის უახლოეს განათებულ ნაწილს შორის მდებარე ბნელი შუალედის გაზომვა საშუალებას გვაძლევს ამ განათებული მთების სიმაღლე ზუსტად განვსაზღვროთ. ცხადია, გაზოვის ასეთი მეთოდი მხოლოდ სინათლისა და ჩრდილის საზღვართან მდბარე მდების გასაზომად გამოიყენება.

მესამე მეთოდი მთვარეზე მთების პროფილის მიკრომეტრის გაზომვაა; ამ მეთოდს მხოლოდ ნახევარსფეროს განაპირის მდებარე სიმაღლეების გაზომვის დროს იყენებენ. ბუნებრივია, რომ ყველა შემთხვევაში - ჩრდილების ან განათებული მწვერვალებისა და ჩრდილების საზღვარს შორის არსებული შუალედების, ანდა ბოლოს, მთების პროფილის გაზომვა - რელიეფის შესწავლა, მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, თუ მზის სხივები დამკვირვებელთან მიმართებით ირიბად ეცემა მთვარეს. ხოლო როდესაც მზის სხივები შვეულად ეცემა, ეს კი მთვარის გავსებისას ხდება, ყველა ჩრდილი ქრება და დაკვირვება შეუძლებელია.

გლილეიმ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა მთვარის მთების არსებობა, ჩრდილების სიგრძის გაზომვით განსაზღვრა მათი სიმაღლე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან გამოიანგარიშა, რომ მთვარის მთების სიმაღლე საშუალოდ 4 500 ტუაზს აღწევს. ჰეველიუსს გაცილებით პატარა რიცხვები მოჰყავს, ხოლო რიჩიოლის მონაცემები ორჯერ მეტია. ჰერშელი, რომელიც გაუმჯობესებულ ხელსაწყოებს იყენებდა, ჰიპსომეტრის მონაცემებს უფრო მიუახლოვდა. ზუსტი სიდიდეები კი თანამედროვე ასტრონომების ნაშრომებში უნდა ვეძიოთ.

თანამედროვე სახელგანთქმულმა ასტრონომებმა ბერმა და მედლერმა მთვარის 1 095 მთა გაზომეს. მათი გამოანგარიშებით ექვსი მწვერვალის სიმაღლე 5 800 მეტრს აღემატება, 22 მთისა კი - 4 800 მეტრს. ყველაზე მაღალი მწვერვალი მთვარეზე 7 603 მეტრის სიმაღლისაა. ამგვარად, დედამიწის მთები მთვარის მთებზე უფრო მაღალია,

მათი სიმაღლე 500-600 ტუაზით მეტია. თუ ამ მთებს ორივე სამყაროსათვის შესაბამის ერთეულს შევადარებთ, მაშინ მთვარის მთები დედამიწისაზე შედარებით მაღალი აღმოჩნდება. პირველნი შეადგენენ მთვარის დიამეტრის ერთ ოთახს სამოცდამეათედ ნაწილს, მეორენი კი - დედამიწის დიამეტრის მხოლოდ ათას ოთხას მეორმოცედ ნაწილს. დედამიწის მთამ მთვარის მთის შესაბამის სიდიდეს რომ მიაღწიოს, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით ექვს-ნახევარ ლიეზე მაინც უნდა იყოს, მაშინ, როდესაც დედამიწის ყველაზე მაღალი მთა 9 კილომეტრსაც კი არ აღემატება.

ამრიგად, თუ შედარების მეთოდით ვისარგებლებთ, დედამიწაზე მთვარის მთებზე უფრო მაღალი აღმოჩნდება ჰიმალაის მთაგრეხილის სამი მწვერვალი: ევერესტი, რომლის სიმაღლე - 8 187 მეტრია, მთვარის მთებს - დერფელსა და ლეიბნიცს იგივე სიმაღლე აქვთ, რაც ჰიმალაის ჯაჭვის ერთ-ერთ მთას - ჯევაგირს, ესე იგი მათი სიმაღლე 7 603 მეტრს აღწევს. ნიუტონი, კაზატი, კურტი, შორტი, ტიხო, კლაიუსი, ბლანკანი, ენდიმონი, მთვარის კავკასიონისა და აპენინეის მთავარი მწვერვალები მღალია მონბლანზე, რომელიც 4 810 მეტრია. მონბლანის სიმაღლე მორეს, თეოფილისა და კატარნის ტოლია; პიკოლომინის, ვერნერისა და ჰარპალუსის მთების სიმაღლეა მონტე-როზას მთა და შეადგენს 4 636 მეტრს; 4522 მეტრიანი სერვენი შეიძლება მაკრობის, ერატოსთენის, ალბატესკის, დალამბერის მთებს შევადაროთ; 3 710 მეტრის ტენერიფის პიკი - ბეკონის, სიზატის, ფილოლაის და ალპების მწვერვალებს. პირენეის მონ-პერდიუს მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 3 351 მეტრია, ტოლია რემერისა და ბოგუსლავსკის მთებისა; ეტნას სიმაღლე კი 3237 მეტრია და ტოლია ჰერკულესისა, ატლანტისა და ფურნერიის მთებისა.

ასეთია ის რიცხვები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მთების სიმაღლე წარმოიდგინოთ მთვარეზე. ყუმბარის ტრაექტორია გადიოდა სწორედ სამხრეთ ნახევარსფეროს მთიან ნაწილზე, სადაც მთვარის ოროგრაფიის ყვლაზე უფრო შესანიშნავი ნიმუშები აღმართულიყო.

მეჩვიდმეტე თავი

ტისის მთა

საღამოს ექვს საათზე ყუმბარამ სამოც კილომეტრზე უფრო ახლო მანძილზე გადაუფრინა მთვარის სამხრეთ პოლუს. დაახლოებით ასეთივე მანძილზე შემოურა ჩრდილოეთ პოლუსსაც. მაშასადამე, ზუსტად ელიფსური ორბიტით მოძრაობდა.

მოგზაურები ისევ მზის სხივების ცხოველმყოფელ ნაკადში აღმოჩდნენ. მათ კვლავ იხილეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ნელა მოძრავი ვარსკვლავები.

გაცისკროვნებული მნათობის გამოჩენას სამჯერ "ვაშას" შეძახილით შეხვდნენ. სინათლესთან ერთად მზე სითბოსაც გზავნიდა. რამაც მალე ყუმბარის ლითონის კედლებშიც შეაღწია. ფანჯრებზე ყინულის ფენა თითქოს ჯადოქარმა გააქროო, მინები ისევ გამჭვირვალე გახდა. მომჭირნეობისათვის გაზი მაშინვე ჩააქრეს. ახლა მხოლოდ ჟანგბადის ხელსაწყოს ჩვეულებრივი განსაზღვრული რაოდენობით უნდა ეხარჯა გაზი.

- ოჰ, რა კარგია, როგორ თბილა! - უხაროდა ნიკოლს. - ასეთი გრძელი ღამის შემდეგ დღის სინათლის გამოჩენას ალბათ როგორ მოუთმენლად ელიან სელინიტები!

- აბა, რა, - უპასუხა მზის სინათლითა და სითბოთი გაბრუებულმა არდანმა, - სითბო და სინათლე - აი, რა არის სიცოცხლის წყარო!

ამ დროს ყუმბარის ძირი, ეტყობა, საკმაოდ გაჭიმულ ელიფსს ხაზავდა, მთვარის ზედაპირიდან ცოტათი გადაიხარა. "სავსე" რომ ყოფილიყო დედამიწა, მოგზაურები უკვე დაინახავდნენ. მაგრამ მზის სხივებში ჩაძირული დედამიწა ჯერ არ ჩანდა. მეგობრების მზერა სხვა სანახაობამ მიიპყრო: ეს გახლდათ მთვარის სამხრეთ ნაწილის სურათი, რომელიც ჭოგრიტმა რთ მერვედ ლიემდე მოუახლოვათ. ისინი ილუმინატორებს არ ცილდებოდნენ და უცნაური მატერიკის ყველა თავისებურებას ინიშნადნენ.

დერფელისა და ლეიბნიცის მთები თითქმის უკიდურეს სამხრეთ პოლუსთან გაწოლილ ორ ცალკეულ ჯგუფს ქმნიან.

მთების პირველი ჯგუფი მთვარის აღმოსავლეთ ნაწილსი, პოლუსიდან 84 პარალელადე გადაჭიმული; მეორე - აკრავს აღმოსავლეთ საზღვარს და სამხრეთ განედის 75 გრადუსიდან მიემართება პოლუსისაკენ.

თითქოს თვალისმომჭრელ თოვლს დაეფარა უცნაურად მოხრილი ამ მთების მწვერვალები, რომლებიც პირველად გამოჩენილმა ასტრონომმა მამა სეკიმ შენიშნა. ბარბიკენს შეეძლო ეს ცნობილ რომაელ ასტრონომზე უფრო მეტი სიზუსტით დაედგინა.

- თოვლი! - წამოიყვირა ბარბიკენმა.

- თოვლი? - გაუკვირდა ნიკოლს.

- დიახ, ნიკოლ, თოვლია, მისი ზედაპირი დიდ სიღრმეზეა გაყინული. შეხედეთ, მზის სხივებს როგორ ირეკლავს. გაციებული ლავა ასე თვალისმომჭრელად არ აელვარდებოდა. ესე იგი, მთვარეზე წყალიც არის და ჰაერიც. იქნებ უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც არის. ამას ვერ უარვყოფთ.

მართლაც, ამაში ეჭვს ვეღარ შეიტანდნენ. და თუ ბარბიკენი ოდესმე დედამიწაზე დაბრუნდებოდა, მისი ჩანაწერები მნიშვნელოვანი შენაზენი იქნებოდა მთვარის მეცნიერთათვის.

დერფელისა და ლეიბნიცის მთები ცირკებისა და წრიული მაღალობების მწკრივით გარშემორტყმულ პატარა დაბლობებს შორის აღმართულიყვნენ. ამ მიდამოებსი ეს ერთადერთი მთაგრეხილი შეხვდათ. არცთუ ისე გადაჭიმულ მთაგრეხილზე აქა-იქ ამაღლებბულიყო რამდენიმე მწვერვალი, რომელთაგან ყველაზე დიდი 7 603 მეტრს აღწევს.

ყუმბარა ამ მაღლობების თავზე მიფრინავდა. მათი რელიეფი მთვარის დისკოს თვალისმომჭრელ სხივებსი ჩაფლულიყო.

მოგზაურებს თვალწინ გადაეშალათ უფერული, მკაფიო მოახაზულობის მთვარის პეიზაჯები, სადაც შუქჩრდილები არ შეინიშნებოდა. თეთრი და შავი ფერის მკვეთრი კონტრასტების მიზეზი კი ის იყო, რომ სხივები არ იფანტებოდა.

მოგზაურებმა ამ ქაოსურ ქვეყანას გრიგალივით გადაუქროლეს; მათ ქვემოთ გაიელვებდა ხოლმე მწვერვალები, დაბლობები, ხეობები; ისინი ჩაშტერებოდნენ ყოველ ნაპრალს, ყოველ საიდუმლო ღრმულს და შეუმჩნეველი არ რჩებოდათ არც ერთი ხვეული თუ შვერილი. მაგრამ მცენარეულის რაიმე ნიშანწყალი, ან საცხოვრებელი ბინის ნაკვალევი არსად შეუნიშნავთ, გარდა ამოფრქვევული ქანების გაპრიალებული ზედპირისა, რაც არეკლილი მზის სხივებში თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. აქ, სიკვდილის სამეფოში, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანდა და მთების მწვერვალებიდან წამოსული ზვავები უძირო უფსკრულებში უხმაუროდ უჩინარდებოდნენ. აქ მხოლოდ და მხოლოდ უტყვი მოძრაობა იყო ყველგან.

ხელახალი დაკვირვების შედეგად ბარბიკენმა დაადგინა, რომ მთვარის დისკოს ნაპირბი, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ნაწილთან შედარებით უჩინარი

ძალების ზემოქმედებას უფრო მეტად განიცდიდნენ, მაინც ისეთივე ერთფეროვანი სტრუქტურისანი იყვნენ. - იქცა ისეთივე გროვა ცირკებისა, ისეთივე ბორცვები და მაღლობები. მაგრამ შეიძლებოდა პირიქთაც გვეფიქრა. ცენტრში მთვარის ჯერ კიდევ მთლად გაუმაგრებელ ზედაპირს მთვარისა და დედამიწის მიზიდულობის ორმაგი ზემოქმედება უნდა გაეცადა, რაც ერთი პლანეტიდან მეორე პლანეტისაკენ მიმრთული რადიუსით უნდა გაგრძელებულიყო. დისკოს ნაპირების მიზიდულობა კი დედამიწის მიზიდულობის პერპენდიკულრული იყო. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამდენი სხვადასხვა პირობების ზეგავლენით მთვარის ქერქის რელიეფს სხვა ფორმა მიეღო. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. როგორც ჩანს, მთვარის ზედაპირის წარმოქმნა და ფორმირება თვით მთვარის უჩინარი ძალების ზემოქმედებით ხდებოდა. სხვა გარეგანი ზემოქმედება არ განუცდია. ეს ადასტურებდა არაგოს საინტერესო ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ "მთვარის რელიეფის წარმოქმნაში არავითარ გარეგან ზემოქმედებას მონაწილეობა არ მიუღიაო".

როგორც არ უნდა ყოფილიყო, თავისი ახლანდელი მდგომარეობით ეს სამყარო სიკვდილის სიმბოლოს წააგავდა, იმასაც კი ვერ იტყოდა კაცი, თუ აქ ოდესმე სიცოცხლე სუფევდა.

დაახლოებით მეოთხმოცე პარალელზე და ოცდაათი გრადუსის გრძედზე არდანს რაღაც ნანგრევების გროვა მოეჩვენა და ბარბიკენს დაანახვა. საკმაოდ სწორად განლაგებული ქვების გროვა ვეებერთელა ციხესიმაგრესავით აღმართულიყო ერთ-ერთ დიდ ნაპრალზე, რომელიც შესაძლოა უხსოვარ დროში მდინარეთა კალაპოტს წარმოადგენდა. შორიახლოს 5 646 მეტრი სიმაღლის, კავკასიონის ტოლი მთაგრეხილი - შორტი მდბარეობდა. არდანი მისთვის ჩვეული გატაცებით ირწმუნებოდა, რომ ეს "უთუოდ" ციხესიმაგრეაო; მას ქალაქის დაკბილული კედლები, პორტიკის გადარჩენილი თაღი და მის ქვეშ ორი-სამი დანგრეული სვეტიც კი ეჩვენებოდა; შემდეგ მოელანდა ჩანგრეული ხიდის გადარჩენილი თაღები; სხვაგან, ტაფობის ნაპირებზე თითქოს გაცამტვერებული ხიდის გიგანტური საყრდენები მოჩანდა. არდანი ისეთ ფანტასტიკურ ჭოგრიტში იყურბოდა და ყველაფერი ისე შელამაზებული იყო მის წარმოდგენაში, რომ მის დაკვირვებებს კაცი ვერ დაეყრდნობოდა.

მაგრამ აბა ვინ გაბედავდა და ვინ იტყოდა, რომ ფიცხი ფრანგი ვერ ხედავდა ყოველივე იმას, რის დანახვაც მის მეგობრებს არ სურდათ?

ყოველი წუთი იმდენად ძვირფასი ეჩვენებოდათ, რომ უაზრო კამათში დროს არ კარგავდნენ. მოჩვენებითი თუ რეალური მთვარის ქალაქი უკვე თვალს მიეფარა. მთვრის დისკოდა და ყუმბარას შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა და მთვარის ზედაპირზე გარკევით ცირკები, კრატერები და ვრცელი დაბლობები მოჩანდა.

ამ დროს ყუმბარის მარცხნივ გამოჩნდა მთვარის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ცირკი, ამ მატერიკის კიდევ ერთი ღირშესანიშნაობა - ნიუტონი. ბარბიკენმა თავის რუკას დახედა და ეს მთა მაშინვე შეიცნო.

ნიუტონი ზუსტად სამხრეთ განედის 77 გრადუსზე და აღმოსავლეთ გრძედის 16 გრადუსზე მდებარეობს. იგი წარმოადგენს რგოლისმაგვარ კრატერს, რომლის 7 264 მეტრზე აზიდული თხემი სრულიად მიუვალი გეგონებათ.

ბარბიკენმა მეგობრებს აცნობა, რომ ნიუტონის სიმაღლე კრატერის სიღრმეზე გაცილებით დაბალიაო. უზარმაზარი ყელი უძირო ჩანდა: ბნელ უფსკრულში მზის სხივი ვერ აღწევდა. ჰუმბოლდტის სიტყვებით, ამ ცირკის ფსკერზე გაბატონებულ აბსოლუტურ წყვდიადს ვერც მზის სხივები და ვერც დედამიწის შუქი ფანტავდა.

რასაკვირველია, მითების შემქნელნი ამ უფსკრულში ჯოჯოხეთის კარებს დაინახავდნენ.

- ნიუტონის მთა, - თქვა ბარბიკენმა, - წარმოადგენს მთვარის მთაგრეხილების სრულყოფილ ნიმუშს, რომლის მსგავსიც დედამიწაზე არ არსებობს. ამ მთაგრეხილებით მტკიცდება, რომ გაციების გზით მთვარის ზედაპირის წარმოქმნა ძლიერი კატაკლიზმების შედეგი იყო: პლანეტის გამდნარი წიაღის ზემოქმედებით მთები მნიშვნელოვან სიმაღლეზე აღიმართნენ, ხოლო კრატერის ღრმულები და ქვაბები მთვარის ზედაპირის დონეზე გაცილებით დაბლა ეშვებოდნენ.

- იქნებ, ასეც არის, - თქვა არდანმა.

ყუმბარამ ნიუტონის მთას გადაუფრინა და რამდენიმე წუთის შემდეგ მორეს მთაგრეხილის თავზე აღმოჩნდა. შემდეგ მათ ჩამოიტოვეს ბლანკანის მწვერვალები და კლავიუსის ცირკს მიუახლოვდნენ.

მთვარის ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ცირკი სამხრეთ განედის 58 გრადუსზე და აღმოსავლეთ გრძედის 15 გრადუსზე მდებარეობს. სიმაღლე 7 091 მეტრია. მოგზაურები ამ მწვერვალიდან 400 კილომეტრზე იმყოფებოდნენ და ჭოგრიტით, რომელმაც ეს მანძილი 4 კილომეტრამდე შეამცირა, ამ მძლავრი კრატერის დიდბულ ბორცვებს ათვალიერებდნენ.

- დედამიწის ვულკანები, - თქვა ბარბიკენმა, - მთვარის ვულკანებთან შედარებით, - თხუნელას სოროებს ჰგვანან. პირველი ამოფრქვევის შემდეგ წარმოშობილი ვეზუვისა და ეტნის კრატერების სიგანე ძლივს აღწევს ექვსი ათას მეტრს. საფრანგეთში, კანტალის კრატერის დიამეტრი ათი კილომატრია და დედამიწის ყევლაზე დიდ ვულკანად ითვლება. მაგრამ ეს რიცხვები არაფერია კლავიუსის დიამეტრთან შედარებით და სწორედ ამ კლავუსის თავზე მიფრინავს ამჟამად ჩვენი ყუმბარა.

- რა სიგანისაა? - იკითხა ნიკოლმა.

- ორას ოცდაშვიდი კილომეტრია, - უპასუხა ბარბიკენმა. - მართალია ყველაზე დიდი ცირკია მთვარეზე, მაგრამ კიდევ ბევრ კარტეს აქვს ორასი, ას ორმოცდაათი, ასი კილომეტრი სიგანე.

- ჩემო მეგობრებო! - წამოიძახა მიშელმა. - წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა, როცა ჩვენს "უშფოთველ მთვარეზე" ყველა კრატერი გრგვინავდა დ ლავის ნაკადებს, ქვების სეტყვას, კვამლისა და ცეცხლის ღრუბლებს აფრქვევდ. რა სანახაობა იქნებოდა! და ამ მშვენიერებიდან რა დარჩა! ახლა მთვარე უზარმაზარი რაკეტის საცოდავი მუგუზალი და დამწვარი მასრაღაა! ამ აფეთქებების, ვარსკვლავთა წვიმების, ფეიერვერკების, მთელი ამ სილამაზის შემდეგ დარჩა მხოლოდ ფერფლი, მუყაოს მასრების ნამწვი! ვინ გამოიცნობს ამ კატაკლიზმების არსს. მიზეზს, წყაროს?

ბარბიკენი არდანს არ უსმენდა. რამდენიმე ლიეზე გადაჭიმულ კლავიუსის განშტოებებსა და მთაგრეხილებს უყურებდა. ვეებერთელა ქვაბის სიღრმეში ქაფქირის ნაჩვრეტებივით მოჩანდა ასობით ჩამქრალი პატარა კრატერი. ამ კრატერებზე აღმართულიყო ხუთი ათასი მეტრი სიმაღლის პიკი.

ირგვლივ გადაშლილიდაბლობი ნაღვლიანად გამოიყურება. რა უნდა ყოფილიყო მთვარის ზედაპირზე მიმოფანტულ მაღლობებზე, ნახევრად ჩამონგრეულ ვეებერთელა მთებზე. მთების მწვერვალების და პიკების ნარჩენებზე უფრო სევდიანი და მჭმუნვარე. თითქოს ამ ადგილას მთვარე შუაზე გაპობილიყო.

ყუმბარა კი მიფრინავდა. ქვემოთ ისევ პირველყოფილი ქაოსი სუფევდა. ცირკები, კრატერები, ჩამონგრეული მთები ერთმანეთს უწყვეტ ნაკადად

მისდევდნენ. არავითარი დაბლობი, არავითარი ზღვა უკვე აღარ ჩანდა. ქვემოთ რაღაც უსასრულო შვეიცარია თუ ნორვეგია გადაჭიმულიყო.

ბოლოს აქ ქაოსის შუაგულის უმაღლეს წერტილში გამოჩნდა მთვარის ყველაზე ლამაზი მთა, თვალისმომჭრელი ტიხო, რომელმაც შთამომავლობას ცნობილი დანიელი ასტრონომის სახელი შემოუნახა.

ვინც კი უღრუბლო ცაზე სავსე მთვარეს დააკვირვებია, აუცილებლად შეამჩნევდა სამხრეთ ნახევარსფეროს ამ მანათობელ წერტილს. არდანის აღტაცებას საზღვარი არ ჰქოდნა და მთას ყველანაირი ეპითეტებით ამკობდა, რასაც კი ფიცხი გონება კარნახობდა. მისი სიტყვებით, ტიხო იყო სინათლის მოკაშკაშე წყარო, გამოსხივების ცენტრი. ცეცხლოვანი ბორბალი, ვეებერთელა მოელვარე თვალი, ვერცხლის საცეცებით მთვარეზე გართხმული კომეტა; პლუტონის შარვანდი; შემოქმედის მიერ ციდან მოწყვეტილი და მთვარის ზედაპირზე ნამსხვრევებად ქცეული ვარსკვლავი.

ტიხო წარმოადგენს სხივური ენერგიის ისეთ თავმოყრას, რომ დედამიწის ბინადარნი მას ასი ათას ლიეზეც კი უოკულაროდ დაინახავდენ. წარმოიდგინეთ, როგორი ელვარება ექნებოდა მოგზაურების წინაშე სულ რაღაც ას ორმოცდაათ ლიეზე აღმართულ ამ მთას. იგი სამყროს კრიალა ჰაერში ციმციმებდ და იმედენად თვალისმომჭრელი იყო, რომ ბარბიკენმა და მისმა მეგობრებმა ოკულარული მინები გაჭვარტლეს, რომ აუტანელ ბრჭყვიალს თვალი არ მოეჭრა. გაოცებისაგან გაშეშებულნი იშვიათად თუ უზირებდნენ ერთმანეთს აღტაცებას და მთებს თვალს არ აშორებდნენ. მთელი მათი გრძნობა და გონება ერთ აზრს შეეპყრო და მზერად ქცეულებს გული ის უცემდათ, როგორც ეს დიდი განცდის დროს ხდება ხოლმე.

ტიხო სხივური მთების სისტემას მიეკუთვნება, ყველაზე დასრულებული და სრულყოფილი მთების - არისტარქეს და კოპერნიკის მსგავსად. იგი უდავოდ ადასტურებს იმ ძლიერ ვულკანურ მოქმედებას, რომელსაც მთვარე უნდა უმადლოდეს თავის წარმოქმნას.

ტიხო გადაჭიმულია სამხრეთ განედის 43 გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის 12 გრადუსზე. მთის შუაგულში ოთხმოცდაშვიდი კილომეტრის სიგანის კრატერია. იგი ელიფსური ფორმისაა და გარსშემორტყმუმლია მთებით, რომლებიც დასავლეთით და აღმოსავლეთით გადაჭიმულ დაბლობებზე ხუთი ათას მეტრზე აზიდულან. ეს გახლავთ ერთი ცენტრის გარშემო განლაგებული და მოკაშკაშე სხივების გვირგვინით გარემოცული მრავალი "მონბლანი".

ფოტოგრაფია ვერ გადმოგვცემს ამ შეუდარებელ მთის სიდიდეს, ამთიანი პეიზაჟის შემოგარენის სილამაზეს, მისი კრატერის ჯადოსნურ კალეიდოსკოპს.

მართლაც, მთელი თავისი სიდიდით ტიხოს მხოლოდ სავსე მთვარის დროს თუ დაინახავთ. მაგრამ მაშინ ჩრდილები ქრება, პერსპექტივა იკარგება და ფოტოსურათი უფერულია და გამომსახველობას მოკლებული. ეს მეტად გულდასაწყვეტია, რადგან მთვარის ამ განსაცვიფრებელი რაიონის ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოცემა სულ სხვა ინტერესს გამოიწვევდა. სურათებზე კი მხოლოდ უფსკრულების, კრატერებისა და ცირკების გროვა, მთაგრეხილების თავბრუდამხვევი ხლართი და მთვარის დაჩვრეტილ ზედაპირზე აქა-იქ მიმოფანტული ვულკანების ქსელია აღბეჭდილი. ამ სურათიდან ცხადი, რომ გაქვავებულმა ზედაპირმა ოდესღაც ამოფრქვევული და აბობოქრებული ლავის სახე შეინარჩუნა. გაციების ზემოქმედების შედეგად დაკრისტალებული მთვარის ეს პეიზაჟი სამუდამოდ ასახულია, როგორც მთვარის სტერეოტიპული მდგომარეობა მისი პლუტონური მოძრაობის ჟამს.

მართალია, მოგზაურებს ტიხოს რგოლისმაგვარი მწვერვალებიდან საკმაოდ დიდი მანძილი აშორებდათ, მაგრამ მისი ძირითადი მოხაზულობა მაინც დაინახეს. ტიხოს რკალის შემკვრელ ცირკს გარედან და შიგნიდან გიგანტურ ტერასებად დაზვიანული მთები ეკვროდა. ეს ტერასები დასავლეთით სამასი-ოთხასი ფუტით მაღალი ჩანდა, ვიდრე აღმოსვლეთით. სტრატეგიული ხელოვნების ვერც ერთი ქმნილება დედამიწაზე ამ ბუნებრივ სიმაგრეებს ვერ შეედრებოდა. ამგვარი ქვაბის სიღრმეში აგებული ქალაქი სრულიად მიუდგომელი იქნებოდა ისევე, როგორც ამდენი ამოფრქვევების შედეგად ანგრეულ ნიადაგზე რაღაც სასწაულით აღმართული ციხესიმაგრე! ბუნებას მისი კრატერის ფსკერი არ დაუცარიელებია და არ გაუსწორებია. ამ განცხალკევებულ, ჩაკეტილ სამყაროს განსაკუთრებული ოროგრაფია, საკუთარი მთების სისტემა ჰქონდა. მოგზაურები გარკვევით ხედავდნენ კონუსებს, მაღლობებს, უცნაურად უსწორმასწორო ნიადაგს, რაც თითქოს თვით ბუნებას მთვარის ხუროთმოძღვართათვის არქიტექტურული ნაგებობის ასაშენებლად მოემზადებინა. აქ ტაძრისათვის მოედანი იყო შერჩეული, იქ - გრანდიოზული ფორუმი მოჩანდა; ერთგან თითქოს სასხლის საძირკველი აღმართულიყო, მეორეგან - ციხესიმაგრის საყრდენი მოედანი. ყოველივე ამას გარს ერტყა ათას ხუთასი ფუტის სიმაღლის რგოლისმაგვარი მთები. ვრცელ დაბლობზე თუნდაც ათჯერ უფრო დიდი ანტიკური რომი დაეტეოდა.

- ღმერთო ჩემო, ამ მთებს შორის გრანდიოზული ქალაქი აშენდებოდა! - წამოიძახა აღტაცებულმა მიშელ არდანმა. - სიმშვიდისა და მყუდროების ეს ციტადელი ყოველგვარი ადამიანური მღელვარებისაგან შორს იქნებოდა! ყველა მიზანთროპი, ყველა კაცთმოძულე, საზოგადოების ყოველი მტერი ამ სიწყნარეში და მარტოობაში რა ლაღად იცხოვრებდა.

- ყველა?! ყველას არ ეყოფოდა ადგილი! - იხუმრა ბარბიკენმა.

მეთვრამეტე თავი

საყურადღებო საკითხები

ამ დროს ყუმბარა ტიხოს მთის განშტოებებს გასცდა. ბარბიკენი და მისი მეგობრები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ მოკაშკაშე სხივებს, რაც სახელგანთქმული მთის ცენტრიდან ყევლა მიმართულებით იფანტებოდა.

რა იყო ეს მანათობელი შარავანდედი! ეს გაცისკროვნებული მარაო რომელმა გეოლოგიურმა პროცესებმა წარმოშვა? ბარბიკენს ეს კითხვა განაკუთრებით აწუხებდა.

მის თვალწინ ყველა მიმართულებით გაჭიმულიყო ბოლოებაპრეხილი და შუაგულჩაზნექილი ნათელი ხაზები. ზოგიერთის სიგანე ოცი კილომეტრი იყო, ზოგისა კი - ორმოცდაათი. თეთრი სხივები ზოგან ტიხოდან ათას კილომეტრზე იფანტებოდნენ და სამხრეთ ნახევარსფეროს თითქმის ნახევარს მთლიანად ფარავდნენ, განსაკუთრებით აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ. ერთ-ერთი ასეთი სხივი მეორმოცე მერიდიანზე - ნეანდრის ცირკამდე აღწევდა. მეორე გადიოდა ნექტარის ზღვაზე და ოთხასი ლიეს შემდეგ პირენეის მთების ძირთან იმსხვრეოდა. დანარჩენი სხივები დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ და მოელვარე ბადით ფარავდნენ ღრუბლებისა და ტენიანობის ზღვებს.

რამ წარმოშვა ეს თეთრი სხივები, რომლებიც დაბლობებს კვეთდნენ და მთებში იჭრებოდნენ, მიუხედავად ამ მთების სიმაღლისა? ყველა სხივი ერთი საერთო ცენტრიდან - ტიხოს კრატერიდან იფანტებოდნეა და იქიდან "ასხივებდა". ჰერშელი ფიქრობდა, ეს ნათელი ხაზები გაციებული ლავის ნაკადებიაო, მაგრამ მიმდევრები არ გამოსჩენია. სხვა ასტრონომები ამ იდუმალ სხივებში უზრმაზარი ქვებისა და ბელტების წყებას, ერთგვარ მორენებს ხედავდნენ, რაც ტიხოს წარმოქმნის დროს ამოფრქვევებს უნდა წარმოეშვა.

- იქნებ, მართლაც ასე იყო? - თქვა ნიკოლმა, რომელსაც ბარბიკენი თან მეცნიერთა სხვადასხვა შეხედულებებს უზიარებდა და თან თანმიმდევრულად უბათილებდა ყველას.

- ასე როგორ იქნებოდა, როგორ უნდა ყოფილიყო ის ძალა, რომელიც ვულკანურ ქანებს ამ სიშორეზე გადაისროდა, ასევე ამოუხსნელია ნათელი ხაზების გეომეტრიულად ასე სწორად განლაგება! - თქვა ბარბიკენმა.

- ვითომ შეუძლებელია! - აღფშფოთდა არდანი. - მე კი მგონია, ამ სხივების წარმოშობა ძალზე დვილი ასახსნელია.

- მართლა? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- აბა რა, - უპასუხა არდანმა. - ჩემი აზრით, ვარსკვლავი ნაპრალია, ფანჯრის მინზე ტყვიის ან ქვის მოხვედრით წარმოქმნილ ბზარს რომ წააგავს.

- შეუდარბელია, - გაიღიმა ბარბიკენმა, - ვისმა ძლიერმა ხელმა ისროლა ეს ქვა?

- ხელი რა საჭირო იყო, - არ უთმობდა არდანი, - რაც შეეხება ქვას, მის მაგივრობას რომელიმე კომეტაც გასწევდა!

- კომეტა? ყველაფერს კომეტებს აბრალებენ! - წამოიძახა ბარბიკენმა. - ძვირფასო მიშელ, შენი განმარტება ცუდი არ არის, მაგრამ კომეტა არაფერ შუაშია. ის ძვრები, რამაც ამგვარი ნაპერწკლები წარმოშვა, იქნებ თვით პლანეტის წიაღშიც მომხდარიყო. ასეთი გიგანტური ვარსკვლავისმაგვარი ნაპრალის წარმოსაქმნლად კი გაციების ზემოქმედებით ქერქის ზედაპირის ძლიერი და სწრაფი შეკუმშვაც იკმარებდა.

- კარგი, გეთანხმები. ეტყობა, მთვარესაც აწუხებს ჭვლები! - უპასუხა მიშელ არდანმა.

- ეს ერთ-ერთი ინგლისელი მეცნიერის ნემსის აზრია, - დაუმატა ბარბიკენმა. - მე მგონი, ამ სხივების წარმოშობის მისეული განმარტება სრულიად დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს.

- ჩანს, ნემსის სულაცარ არის სულელი! - განაცხადა მიშელმა.

მოგზაურები ტიხოს დიდებული სანახაობის მზერით ვერაფერით ვერ გაძღნენ. მთვარისა და მზის ორმაგ ელვარებაში ჩაძირული ყუმბარ გავარვარებულ ბურთს ჰგავდა. ასე მოულოდნელად მოხვდნენ ჩვენი მოგზაურები სიცივიდან პაპანაქებაში. თვით ბუნება უწყობდა ხელს მათ სელენიტებად გადაქცევას.

სელენიტებად გადაქცევა! ამ აზრმა მათ კვლავ მთვარეზე ადამიანის არსებობის პრობლემება გაახსენათ. ყოველივეს ნახვის შემდეგ, ჰქონდათ ამ პრობლემის დადებითად ან უარყოფითად გადაჭრის უფლება! არდანი მეგობრებს ჩააცივდა. მთვარეზე ცხოველის ან ადამიანის არსებობის შესახე ბოლოს და ბოლოს აზრი თქვენც გამოთქვითო.

- მე ვფიქრობ, შეგვიძლია ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ, - თქვა ბარბიკენმა, - მხოლოდ, ჩემი აზრით, კითხვა ცოტა სხვანაირად უნდა დავსვათ...

- შენი ნება არ არის ! კითხვა როგორც გინდა ისე დასვი, - უთხრა არდანმა.

- მაშ ასე, ამოცანა ორკითხვიანია და პასუხიც ორივე კითხვას უნდა გავცეთ: დასახლებულია თუ არა მთვარე ამჟამად? და ოდესმე დასახლებული თუ იყო?

- კარგი, - თქვა ნიკოლმა, - ჯერ პირველ კითხვაზე შევჩერდეთ: დასახლებულია თუ არა მთვარე ამჟამად?

- რომ არ მოგატყუოთ, - ამოიოხრა მიშელ არდანმა, - მე არფერი მაქვს სათქმელი.

- მე კი უარყოფითად ვუპასუხებ, - თქვა ბარბიკენმა. - თავისი ახლანდელი მდგომარეობის, გაიშვიათებული ატმოსფეროს, თითქმის დამშრალი ზღვების, წყლის უკმარისობის, მცენარეულის უქონლობის, სითბოდან სიცივეში მკვეთრი გადასვლების, სამას ორმოცდათოთხმეტსაათიანი ღამეების გამო მთვარე დაუსახლებელი მგონია; გარდა ამისა, იქ არ უნდა იყოს, როგორც ეს ჩევნ გვესმის, სიცოცხლისათვის ოდნავ ხელსაყრელი პირობებიც კი, ცხოველთა სამყაროს წარმოშობას ხელს რომ შეუწყობდა:

- გეთანხმები, - უპასუხა ნიკოლმა, - მაგრამ იქნებ მთვარეზე ჩვენთან შედარებით სრულიად განსხვავებული არსებანი ცხოვებენ.

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო გამიჭირდება, თუმცა შევეცდები, გიპასუხოთ. ჯერ ნიკოლს შევეკითხები: თვლის თუ არ განვითარებას; როგორც ნებისმიერი სიცოცხლის (სულ ერთიარა ფორმე ექნება) აუცილებელ და გარდაუვალ შედეგს?

- რასაკვირველია, - უპასუხა ნიკოლმა.

- ჰოდა, მთვარის მატერიკებს დაახლოებით ხუთასიმეტრიდან ვაკვირდებოდით და მთვარის ზედაპირზე მოძრაობის მსგავსი ვერაფერი შევამჩნიეთ. ადამიანის არსებობა მთვარის ზედაპირზე სულ პატარა ცვლილეას მაინც გამოიწვევდა, რაიმე ნაგებობა თუ არა, ნანგრევები მაინც დარჩებოდა. ჩვენ კი რა დავინახეთ? ყველგან მხოლოდ ბუნების ზემოქმედება და არა ადამიანის შრომის რაიმე კვალი. ესე იგი, თუკი მთვარეზე ცხოველთა სამყაროს წარმომდგენლები კიდევ არსებობენ, როგორც ჩანს, ჩვენი თვალისათვის მიუწვდომელ ღრმურებში არიან თავშეფარებულნი. მე კი ამას ვერ დავუშვებ, ვინაიდან ჰერის თუნდაც გაიშვიათებული ფენით დაფარულ დაბლობებზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლების რაიმე კვალს მაინც დატოვებდნენ. მსგავსი ნაკვალევი არსად შეგვხვედრია. ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ აქ ბინადრობენ ცოცხალი არსებანი, რომელთათვისაც უცხოა მოძრობა და ესე იგი თვით სიცოცხლეც.

- სხვანაირად რომ ვთქვათ: ცოცხალი არსებანი არიან და არ ცოცხლობენ, - შეეპასუხა მიშელი.

- ნამდვილად, - უპასუხა ბარბიკენმა, - ეს კი ჩვენთის უაზრობაა.

- მაშ, შედეგები შევაჯამოთ?- იკითხა მიშელმა.

-Eშევაჯამოთ, - დაეთანხმა ბარბიკენი.

- ამრიგად, - გააგრძელა მიშელ არდანმა, - სამეცნიერო კომისიამ, რომლიც "საზრბაზნე კლუბის" ყუმბარაში თათბირობდა, ახლად მიღებული ფაქტების საფუძველზე ერთხმა დაადგნა, რომ მთვარე ამჟამად დაუსახლებელია.

ეს გადაწყვეტილება "საზრბაზნე კლუბის" პრეზიდენტმა ბარბიკენმა ბლოკნოტსი 6 დეკემბერს ჩატარებული სხდომის ოქმის სახით შეიტანა.

- ახლა, - სიტყვა აიღო ნიკოლმა, - გადავიდეთ მეორე საკითხზე, რომელიც უშუალოდ პირველიდან გამომდინარეობს. ამრიგად, გეკითხებით - ყოფილა კი საერთოდ მთვარე დასახლებული.

- სიტყვა მივცეთ მოქალაქე ბარბიკენს, - წარმოთქვა არდანმა.

- ძვირფასო მეგობრბო, - დაიწყო ბარბიკენმა, - ამ საკითხს მე ჩვენს მოგზაურობამდე გადავჭრიდი, დავუმატებ, რომ ჩვენმა დაკვირვებებმა მხოლოდ რწმენა განმიმტკიცა. მე ვფიქრობ, უფრო სწორად კი ვამტკიცებ, რომ ოდესღაც მთვარე

დასახლებული იყო ადამიანებით, რომლებსაც ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ჩვენს აღნაგობასთან და იქ ბინდრობდნენ ისეთივე ანატომიური აგებულების ცხოველები, როგორიც დედამიწაზეა. მაგრამ ადამიანთა ამ მოდგმამ და ცხოველებმა თავისი დრო მოჭამეს და სამუდამოდ გაქრნენ.

- გამოდის, რომ მთვარე დედამიწაზე უფრო ძველი პლანეტა ყოფილა? -ჰკითხა მიშელ არდანმა.

- არა, - მტკიცედ უპასუხა ბარბიკენმა, - მაგრამ, გაცილებით ადრე დაბერდა. მისი წარმოქმნისა და ნგრევის პროცესები უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. მთვარის შიგნით ნივთიერების წარმომშობი ძალები უფრო მძაფრად ვითარედებოდნენ, ვიდრე დედამიწის წიაღში. ამას ადასგურებს მთვარის დისკოს დათხრილი, დაღარული, დაფლეთილი ზედაპირი. თავდაპირეველად მთვარეც და დედამიწაც გაზისმაგვარ მასასს წარმოადგენდნენ. შემდეგში, მრავალგვარი ზემოქმედების შედეგად გაზი სითხედ გადაიქცა და ბოლოს მკვრივ მასად. მაგრამ შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ჩვენი დედამიწა ჯერ ისევ გაზისმაგვარ ან თხევად მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც გაციების ზემოქმედებით მთვარე გამკვრივდა და დასახლდა.

- გეთანხმები, -თქვა ნიკოლმა.

- იმ დროს, - გააგრძელა ბარბიკენმა, - მთვარეს გარს ერტყა ატმოსფერო. წყალი გაზისმაგვარ გარსში იყო მოქცეული და ვერ ორთქლდებოდა. ჰაერის, წყლის, სინათლის,მზის სითბოსა და საკუთარი შინაგანი სითბოს ზემოქმედებით, მცენარეული მისთვის ხელსაყრელ ნიადაგზე სწრაფად უნდა განვითარებულიყო და ამიტომ სავარაუდებელია, რომ მთვარეზე სიცოცხლე სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა, და რადგან ბუნება ბოძებულს ტყუილუბრალოდ არ ფლანგავს, საცხოვრებლა გამოსადეგ ქვეყანას თავისი ბინადარი უნდა გამოსჩენოდა.

- თუმცა, - შეეპასუხა ნიკოლი, - მთვარის მოძრაობასთან დაკავშირებულ ზოგ პირობას მცენარეული და ცხოველთა სამყაროს განვითარება მაინც უნდა შეეფერხებინა. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც სამას ორმოცდათოთხმეტსაათიანი დღეები და ღამეები.

- დედამიწის პოლუსებზე ეს დღეები და ღამეები ექვს თვეს გრძელდებოდა, - შენიშნა არდანმა.

- ჰო, მაგრამ ეგ ჩემს აზრს არ ეწინააღმდეგება, პოლუსები ხომ დაუსახლებელია.

- არ დაგავიწყდეთ, ჩემო მეგობრებო, - თქვა ბარბიკენმა, - რომ თუ ახლა ეს ხანგრძლივი ღამეები და გრძელი დღეები ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს იწვევენ, უძველეს დროში საქმე სხვაგვარად იყო. მაშინ მთვარეს გარს ერტყა ატმოსფერო და მისი მკვრივი საბურველი მზის სხივების მხურვალებას ასუსტებდა და ღამის გამოსხივებას აკავებდა. ჰაერის ატმოსფერო სინათლეს და სითბოს ფანტავდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ მოვლენათა წონასწორობა, რომელიც ახლა დარღვეულია, რადგან მთვარეზე ატმოსფერო თითქმის აღარ არის. გარდა ამისა, მე თქვენ გაგკვირვებთ...

- აბა, ერთი გაგვაკვირვე! - დაინტერესდა მიშელ არდანი.

- ჩემი აზრით, როცა მთვარეზე ხალხი ცხოვრობდა, დღე და ღამე უფრო მოკლე იყო.

- რატომ? - დაეჭვდა ნიკოლი.

- იმიტომ, რომ ალბათ ღერძის გარშემო მთვარის ბრუნვის პერიოდი დედამიწის გარშემო მთვარის ბრუნვას არ ემთხვეოდა და სწორედ ამ ტოლობის გამოა, რომ მთვარის ყოველი წერტილი თხუთმეტი დღის განმავლობაში მზისკენ არის შემობრუნებული.

- გეთანხმები, - უპასუხა ნიკოლმა, - მაგრამ თუკი ეს ტოლობა ახლა არსებობს, რატომ არ იყო მაშინ?

- ეს ტოლობა დედამიწის მიზიდულობით რის განპირობებული. ვინ დაამტკიცებს, რომ ეს მიზიდულობა იმ შორეულ წარსულში, როცა დედამიწა ჯერ კიდევ თხევად მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმდენად ძლიერი იყო, რომ მთვარის მოძრაობაზე ზეგავლენას მოახდენდა?

- მართლაცდა! - თქვა ნიკოლმა, - ვინ დაამტკიცა, მთვარე ყოველთვის დედამიწის თანამგზვრი რომ იყო?

- მეც სწორედ მაგას ვამბობ, - ჩაერია მიშელ არდანი, - ვინ თქვა; დედამიწა მთვარეზე გაცილებით გვიან წარმოიშვაო!

ჩვენმა მეგობრებმა რაღარ არ წარმოიდგინეს, - ეს კიტხვა ნებისმიერ ჰიპოთეზას დიდ გასაქანს აძლევდა.

ეს გადაუჭრელი საკითხები მეტისმეტად ნუ გაგვიტაცებს, - შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - ნურც ღრმად ჩაწვდომას მოვისურვებთ. მხოლოდ დედამიწის მიზიდულობის თავდაპირველი სისუსტე დავუშვათ. აი მაშინ, ღერძისა და დედამიწის გარშემო სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობისას მთვარეზე დღისა და ღამის ხანგრძლივობა ისეთივე იქნებოდა, როგორც დედამიწაზეა. თუმცა სიცოცხლე ამ პირობების გარეშეც შეიძლებოდა.

- მაშ, კაცობრიობა მთვარიდან მთლიანად გაქრა? - ჰკითხა არდანმა.

- დიახ, - უპასუხა ბარბიკენმა, - მრავალი ათასი საუკუნის არსებობის შემდეგ გაქრა. ამის შემდეგ ატმოსფერო თანდათან გაიშვიათდა. მთვარეზე სიცოცხლე შეწყდა: ასეთივე დაუსახლებელი იქნება ოდესმე დედამიწაც, იგი თანდათანობით გაცივდება.

- გაცივდება?

- რასაკვირველია, - განმარტა ბარბიკენმა, - იმისდა მიხედვით, თუ როგორ ცივდებოდა მთვარის წიაღი, მისი შინაგანი სითბო უფრო ღრმად, ცენტრისაკენ მიიწევდა, ზედაპირი კი მკვრივდებოდა. ამის შედეგები თანდათანობით მჟღავნდებოდა: გაქრა სულიერი, მცენარეული. ამის შემდეგ დედამიწის მიზიდულობის გამო მალე თითქმის მთლიანად გაიფანტა, ასე ვთქვათ, მოტაცებული ატმოსფერო, ამას მოჰყვა ჰაერის გაქრობა და წყლის აორთქლება. მთვარეზე სიცოცხლე შეწყდა და გაქრა ყველა ცოცხალი ბინადარი. მთვარე იმ მკვდარ სამყაროდ გადაიქცა, როგორსაც ახლა შევყურებთ.

- შენი ფიქრით, დედამიწასაც იგივე მოელის?

- ადვილი შესაძლებელია.

- როდის?

- როდესაც დედამიწის ქერქის გაციების შემდეგ უკაცრიელად გადაიქცევა.

- ხომ ვერ გამოვიანგარისებთ, ჩვენი ბედკრული პლანეტა როდის დაიწყებს გაციებას?

- რა თქმა უნდა, გამოვიანგარიშებთ.

- ცნობილია შენთვის ეს გამოანგარიშება?

- ზუსტად არის ცნობილი.

- მაშ, რად გაჩუმებულხარ, გამოფიტულო მეცნიერო, - წამოიძახა მიშელ არდენმა. - ხომ ხედავ, ცნობისმოყვარეობა აღარ მასვენებს.

- ჩემო ძვირფასო მიშელ, - მშვიდად უპასუხა ბარბიკენმა, - ცნობილია, როგორ ეცემა დედამიწის ტემპერატურა ერთი საუკუნის განმავლობაში. ჰოდა, ზოგიერთი

გამოანგარიშებით, დედამიწის საშუალო ტემპერატურა ნულამდე ოთხასი ათასი წლის შემდეგ დაეცემა.

- ოთხასი ათასი წელი! - წამოიძახა არდანმა. - მაშ, ჩვენ ცხოვრებას კიდევ მოვასწრებთ! შიშით კინაღამ გული გამიხეთქე. კაცმარომ ყური დაგიგდოს, ასე ეგონება, სულ რაღაც ორმოცდაათი ათასი წლის სიცოცხლე დაგვრჩენიაო!

მიშელის შიშზე მის მეგობრებს გაეცინათ.

პედანტი ნიკოლი, რომელსაც ყველაფერში წესრიგი უყვარდა, ისევ მიუბრუნდა "დღის წესრიგს".

- ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინათ მთვარე დასახლებული იყო, არა? - იკითხა მან.

ნიკოლმა დადებითი და ერთსულოვანი პასუხი მიიღო.

ვიდრე მეგობრები იმდროინდელიმეცნიერული მიღწევების დონის ამსახველ გაბედულ თეორიებს განიხილავდნენ, ყუმბარა მთვარის ეკვატორს სწრაფად უახლოვდებოდა და მთვარეს თანდათან შორდებოდა. უკან მოიტოვეს ვოლემის ცირკი და დისკოდან რვაასი კილომეტრით დაშორებული მეორმოცე პარალელი. შემდეგ, მარჯვნივ, 30 გრადუსზე ჩამოიტოვეს პიტატი, გადაუფრინეს ღრულბების ზღვის სამხრეთ ნაპირს (მოგზურობის დასაწყისში კი მის ჩრდილოეთ საზღვარს შემოუარეს). სავსე მთვარის თვალისმომჭრელ სითეთრეში, როგორც ნისლში, რიგრიგობით გაიელვეს ცირკებმა: ბუიომ, კვადრატული ფორმის კარტერებმა პურბახმა, შემდეგ კონუსიანმა არზახელმა, რომლის ბრწყინვაებას ენა ვერ გადმოსცემდა.

ბოლოს მთის კონტურები ნელ-ნელა შორს ჩაიკარგა და დედამიწის თანამგზავრის მთელი საოცარი, არაჩვეულებრივი, უცნაური გარეგნობიდან მოგზაურებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებების გარდა აღარაფერი დარჩათ.

მეცხრამეტე თავი

ბრძოლა შეუძლებელთან

ბარბიკენი და მისი თანამგზავრები ოდესღაც ქანანის მიწის საზღვარზე მდგომ მოსესავით ჩაფიქრებულნი და მდუმარენი დიდხანს დაჰყურებდნენ სამყაროს, რომელსაც სამუდამოდ შორდებოდნენ. ბირთვის მდებარეობა მთვარის მიმართ შეიცვალა და ახლა მისი ძირი დედამიწისკენ მიბრუნდა.

ამ ცვლილებამ ბარბიკენი საგონებელში ჩააგდო. თუკი ყუმბარა მთვარის გარშემო ელიფსური ორბიტით ბრუნავდა, მისი ყველაზე მძიმე ნაწილი რატომ არ იყო მთვარისაკენ მიმართული, როგორც ეს დედამიწის გარშემო მთვარის ბრუნვის დროს ხდება?

თუ ყუმბარის მოძრაობას დავაკვირდებოდით, შევამჩნევდით, რომ იგი მთვარეს იმავე მრუდით შორდებოდა, რომელიც მასთან მიახლოებისას შემოხაზა. ყუმბარა ძალიან გაჭიმული ელიფსით მიფრინავდა და, როგორც ჩანს, იმ წერტილს უბრუნდებოდა, სადაც მთვარის მიზიდულობა დედამიწის მიზიდულობას უწონასწორდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, დაკვირვებების შედეგად ბარბიკენმა ასე გადაწყვიტა. მის ამ შეხედულებას ორივე მეგობარი იზიარებდა. ისევ სეტყვასავით დააყარეს კითხვები:

- რა მოგველის, როცა ამ მკვდარ წერტილს მივაღწევთ? - ჰკითხა არდანმა.

- არ ვიცი, - უპასუხა ბარბიკენმა.

- კი, მაგრამ, ხომ შეიძლება რაიმე ვივარაუდოთ?

- მხოლოდ ორი რამ: ან ყუმბარის სიჩქარე არ აღმოჩნდება საკმარი და ორმაგი მიზიდულობის ამ მკვდარი წრტილიდან ვეღარასოდეს გამოვა...

- წინასწარ ვაცხადებ, რომ უპირატესობას მეორე შესაძლებლობას ვანიჭებ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, - შეაწყვეტინა მიშელმა.

- ან ყუმბარას საკმარი სიჩქარე ექნება და ელიფსური ორბიტით მთვარის გარშემო სამუდამოდ იფრენს.

- ვერაფერი სანუგეშო ცვლილებაა, - ამოიოხრა მიშელმა, - მთვარის მოკრძალებულ თანამგზავრებად გადავიქცევთ მაშინ, როდესაც მთვარის მაყურებლის მორჩილ როლს ასე შევეგუეთ! რას იზამ, ჩვენი ბედიც ეგა ყოფილა!

არც ბარბიკენს უპასუხაია და არც ნიკოლს.

- რას გაჩუმებულხართ? - ვეღარ მოითმინა მიშელმა.

- არაფერი მაქვს სათქმელი, - უპასუხა ნიკოლმა.

- ნუთუ ვერაფერს ვიღონებთ?

- ვერაფერს ვიღონებთ?

- ვერაფერს, - უპასუხა ბარბიკენმა. - განა შეიძლება ბრძოლა შეუძლებელთან?

ნუთუ გგონია, რომ ეს სიტყვები შეაშინებს ერთ ფრანგს და ორ ამერიკელს?

- მაინც რა უნდა ვქნათ?

- ჩვენი მოძრაობის ბატონ-პატრონებად უნდა ვიქცეთ! ჩვენ უნდა ვმართოთ!

- ვმართოთ?

- აბა რა, - უპასუხა გამხნევებულმა არდანმა. - შევაჩეროთ ჩვენი მოძრაობა, შევცვალოთ, ერთი სიტყვით, ვაიძულოთ, რომ ჩვენს მიზნებს ემსახუროს!

- ეგ როგორ უნდა გავაკეთოთ?

- ეს უკვე თქვენი საქმეა. თუ არტილერისტები თავიანთ ქვემეხებს ვერ უვლიან, ღირსნი არც არიან არტილერისტები იყვნენ. როდესაც ქვემეხია არტილერისტის უფროსი, მაშინ ქვემეხი ყუმბარით კი არა, არტილერისტით უნდა დავტენოთ! რა კარგი მეცნიერები ხართ!... ხაფანგში გამაბეს და ახლა არ იციან, რა ქნან...

- ხაფანგში გაგაბეს! - იყვირეს ერთხმად ბარბიკენმა და ნიკოლმა: - ამით რა გინდა რომ თქვა?

-კინკლაობის დრო არ არის. საყვედური არ მეთქმის. მომწონს ეს გასეირნება! ყუმბარაც საჩემოა, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მთვარეზე თუ არა, სადმე მაინც დავეშვათ.

- ჩვენც მოხარული ვიქნებოდით, რაიმე გვეღონა, მაგრამ არაფერი შეგვიძლია, - უპასუხა ბარბიკენმა.

- ნუგუ ყუმბარას მიმართულებას ვერ შევუცვლით?

- ვერა!

- სიჩქარესაც ვერ შევამცირებთ?

- ვერა!

- რა მოხდება ხომალდივით ყუმბარასაც ზედმეტი ტვირთი რომ მოაშოროთ?

- აბა, რა მოვაშოროთ? - ჰკითხა ნიკოლმა - გემზე ზედმეტი ტვირთი არა გვაქვს. ამასთან, შემსუბუქებულ ყუმბარას, ჩემი აზრით, უფრო მეტი სისწრაფე ექნება.

- არა, უფრო ნაკლები, - თქვა არდანმა.

- არა, უფრო მეტი, - შეეპასუხა ნიკოლი.

- არც მეტი, არც ნაკლები, - შეაწყვეტინა ბარბიკენმა, - ჩვენ ხომ უჰერო სივრცეში მივფრინავთ, სადაც სიმძიმის ძალა არ არსებობს.

- მაშასადამე, მხოლოდ ერთი გამოსავალი გვრჩება! - გადაჭრით თქვა მიშელმა.

- რა?

- ვისაუზმოთ, - მშვიდად უპასუხა ფრანგმა, რომელიც ყველაზე მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში თავის დახსნის ამ საშუალებას მიმართავდა ხოლმე.

მართლაც, თუ საუზმე ყუმბარის მოძრაობაზე ზეგავლენას ვერ იქონიებდა, უარის თქმა მაინც არ ღირდა, თუნდაც ჯანმრთელობისათვის. ყველა, ყველა და მიშელის აზრები მუდამ მოსაწონი იყო.

ამრიგად, დილის ორ საათზე მეგობრებმა ისაუზმეს: თუმცა, დროს უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მიშელმა ჩვეულებრივ მენიუ შესთავაზა, ოღონდ საუზმე ფარული სარდაფიდან ამოღებულმა ერთმა ბოთლმა კარგმა ღვინომ დააგვირგვინა. თუკი ღვინომ მოგზაურებს არავითარი აზრი არ გაუჩინა, მაშასადამე, 1863 წლის შამბერტენი, არაფრად ვარგებულა.

მოგზაურებმა ძალა მოიკრიბეს და კვლავ დაკვირვებას შეუდგნენ.

ყუმბარიდან გადმოყრილი საგნები მისგან უცვლელ მანძილზე დაფრინავდნენ. მთვარის ირგვლივ ფრენის დროს ყუმბარას ალბათ არვითარ ატმოსფეროში არ გაუვლია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საგნების სხვადასხვა წონა მათ შეფარდებით მოძრაობას შეცვლიდა.

დედამიწის მხრიდან არაფერი ჩანდა, რადგან მხოლოდ წინადღეს, შუაღამისას დადგა "ახალი დედამიწა". მხოლოდ ორი დღის შემდეგ, როდესაც მისი ნამგალი მზის შუქიდან გამოვა, დედამიწა კვლავ შეასრულებს, ასე ვთქვათ, საათის მოვალეობას მთვარის მცხოვრებთათვის: მისი ბრუნვითი მოძრაობისას დედამიწის ყოევლი წერტილი ხომ ყოველი დღე-ღამის შემდეგ მთვარის ერთსა და იმავე მერიდიანს გადაკვეთს.

სულ სხვა სურათი იყო მთვარეზე. იგი მთელი ძალით კაშკაშებდა უთვალავ თანავარსკვლავედებში, რომელთა ნათებას ვერ ჩრდილავდა მისი შუქი. მთქვარის დაბლობებს კი ის ნაცრისფერი დადებოდათ, დედამიწიდან რომ მოჩანს. დისკოს დანარჩენი ნაწილი ძველებურად ანათებდა და მის შუაგულში მზესავით ბრწყინადა ტიხოს მთა.

ბარბიკენმა ყუმბარის სიჩქარე ვერაფრით განსაზღვრა, მაგრამ მისი ვარაუდით, ეს სიჩქარე მექანიკის კანონების შესაბამისად ნელ-ნელა უნდა შემცირებულიყო.

მართლაც, თუ დავუშვებთ, რომ ყუმბარა მთვარის გარშემო ორბიტას შემოხაზავს, მაშინ ორბიტა აუცილებლად ელიფსის ფორმას მიიღებს. ამას ამტკიცებდნენ მეცნიერები. ამ კანონს ემორჩილება ყოველი სხეული, რომელსაც სხვა სხეული იზიდავს და მის გარშემო ბრუნავს. სხეულის მიერ სივრცეში შემოხაზული ყველა ორბიტა ელიფსურია: ელიფსით მოძრაობენ პლანეტები, თანამგზავრები, ელიფსით მოძრაობს რომელიმე უხილავი მნათობის გარშემო და ის მნათობის ღერძის როლს ასრულებს. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სავარაუდებლად, რომ ამ კანონს "საზრბაზნე კლუბის" ყუმბრაც არ დაემორჩილებოდა.

ვინაიდან მიმზიდავი სხეული ყოველთვის ელიფსურ ორბიტის ერთ-ერთ ფოკუსშია მოქცეული, ამიტომ ყუმბარა გარკვეულ პერიოდში ახლოს უნდა იყოს მნათობთან, რომლის გარშემოც ბრუნავს, ხოლო როდესაც მეორე ფოკუსშია - მნათობსშეორდება. როდესაც დედამიწა მზეს უახლოვდება, პერიჰელიუმში მდებარეობს, და პირიქით, როდესაც მზისგან ყევლაზე შორსაა - აფელიოსშია.

ზუსტად ასევეა მთვარეც - როცა დედამიწასთან ახლოსაა - პერიგეაშია, ხოლო როცა შორსაა - აპოგეაში. თუ ანალოგიურ ტერმინეს ყუმბარასთან დავაკავშირებით ვიხმართ, რაც ასტრონომიურლ ტერმინოლოგიას უთუოდ გაამდიდრებს, შეიძლება ვთქვათ, რომ მთვარის თანამგზავრად ქცეული ყუმბარა "აპოსელენში" იმყოფება მაშინ, როცა ის მთვარიდან ყველაზე შორეულ წერტილში მოექცევა, და "პერისელენში", როცა მთვარეს ყველაზე მეტად მიუახლოვდება.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყუმბარამ უდიდეს სიჩქარეს უნდა მიაღწიოს, პირველ შემთხვევაში კი - უმცირესს. როგორც ჩანს, ახლა ის "აპოსელენს" მიუახლოვდა და ბარბიკენი მართალი იყო, როდესაც ვარაუდობდა, რომ ამ წერტილამდე ყუმბარის სიჩქარე განუწყვეტლივ შემცირდებოდა, ხოლო შემდეგ, მთვარესთან მიახლოების გამო, ისევ გაიზრდებოდა. და ბოლოს, თუ "აპოსელენური" წერტილი თანაბარი მიზიდულობის წერტილს დაემთხვეოდა, ყუმბარის სიჩქარე ნულზე უნდა დაცემულიყო.

ბარბიკენმა აწონ-დაწონა. ჩამოთვლილი საშუალებანი ყუმბარაზე როგორ იმოქმედებდა. ფიქრი მიშელის წამოძახილმა შეაწყვეტინა.

- რა სულელები ვართ, ეშმაკმა წაგვიღოს!

-ვერ შეგეავები, - უპასუხა ბარბიკენმა, - მაგრამ მაინც რისთვის გვასხამ ამ ქება-დიდებას?

- ჩვენ ხომ სულ ადვილად შეგვიძლია შევამციროთ ყუმბარის სიჩქარე, ასე რომ გვაშორებს მთვარეს! ამ შესაძლებლობას კი ვერ ვიყენებთ.

- რა შეასძლებლობაა?

- ჩვენი რაკეტების უკუგდების ძალა.

- ასე გგონია?

- სწორია! აქამდე ეს საშუალება არ გამოგვიყენებია, მაგრამ მალე გამოვიყენებთ, - უპასუხა ბარბიკენმა.

- როდისღა?

- როცა დრო დადგება. მეგობრებო, დაიმახსოვრეთ, რომ ყუმბარის ახლანდელ მდგომარეობაში, ანუ როცა იგი მთვარისკენ გადაიხრება, რაკეტები ყუმბრას მდგომარეობას უცვლიან და მთვარეს კი არ აახლოებენ, არამედ - აშორებენ. თქვენ ხომ აუცილებლად გინდათ, რომ მთვარეზე მოხვდეთ?

- რა თქმა უნდა, - უპასუხა არდენმა.

- მაშ, მოთმინება იქონიეთ, რაღაც აუხსნელის ზემოქმედების შედეგად ყუმბარა ძირით დედამიწისაკენ ბრუნდება. ადვილი შესაძლებელია, რომ თანაბარი მიზიდულობის წერტილში მისი კონუსური წვერი პირდაპირ მთვარისაკენ წარიმართოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დროს მისი სიჩქარე ნულს გაუტოლდება. აი, მაშინ კი მოქმედების დრო დაგვიდგება: რაკეტების აფეთქებამ, შეიძლება ყუმბარა მართლაც პირდაპირ მთვარეზე ისროლოს.

- ყოჩაღ! - წამოიყვირა მიშელმა.

- ჩვენ ვერ შევძელით და ამის გაკეთებას ვერც შევძლებდით მკვდარ წერტილში პირველი გადაფრენის დროს, რადგან მაშინ ყუმბარა საკმაოდ დიდი სიჩქარით მიფრინავდა.

- სრული სიმართლეა, - დაეთანხმა ნიკოლი.

- მოთმინება ვიქონიოთ, - გააგრძელა ბარბიკენმა. - ისარგებლოთ ყველა შესაძლებლობით, რაც ჩვენს ხელთაა. ამდენი იმედის გაცრუების შემდეგ, კვლავ მინდა დავიჯერო, რომ მიზანს მივაღწევთ!

ამ სიტყვებმა არდანის აღტაცებული შეძახილები გამოიწვია.

მაგრამ ამ უგუნურთაგან არც ერთს აზრადაც არ მოსვლია ის კითხვა, რასაც სულ ახლახან, თვითონვე უარყოფითი პასუხი გასცეს:L არა, მთვარე დაუსახლებელია. არა, ყველაფერი მოწმობს, რომ შეუძლებელია მთვარე დასახლებული იყოს! მიუხედავად ამისა, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ამ დაუსახლებელ მთვარეზე მოხვედრილიყვნენ!

როცა ასეთ რისკზე მიდიოდნენ, მათ მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებდათ, რომელ მომენტში მიაღწევდა ყუმბარა თანაბარი მიზიდულობის წერტილს. ეს მომენტი რომ ზუსტად გამოეანგარიშა, ბარბიკენს მხოლოდ თავის ჩანაწერებში ჩახედვა დასჭირდა, რათა მთვარის პარალელებზე აღნიშნული სხვადასხვა სიმაღლეები გაეხსენებინა. ამრიგად, მან გამოიანგარიშა, რომ მკვდარ წერტილსა და სამხრეთ პოლუსს შორის მანძილის დასაძლევად იმდენივე დრო იყო საჭირო, რამდენიც ჩრდილოეთ პოლუსიდან მკვდარ წერტილამდე გადასაფრენად. დრო, რომელიც ამ გზის გავლას დასჭირდებოდა, ზუსტად ჰქონდათ აღნიშნული, ამან კი გამოანგარიშება გაადვილა. ბარბიკენმა გამოაცხადა, რომ თანაბარი მიზიდულობის წერტილს ზუსტად 8 დეკემბრის ღამის პირველ საათზე მიაღწევდნენ. ახლა 7 დეკემბრის ღამის სამი საათი იყო. მაშასადამე, ხელს თუ არაფერი შეუშლიდა, ყუმბრა მკვდარ წერტილთან ოცდაორი საათის შემდეგ იქნებოდა.

თავდაპირველად რაკეტა იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ ყუმბარას მთვრეზე დაშვებაში დახმარებოდა, ახლა კი მამაც მოგზაურებს რაკეტები სრულიად საწინააღმდეგო მიზნითუნდა გამოეყენებინათ.

რაკეტები მზად იყო; ისღა დარჩენოდათ, დანიშნულ დროს დალოდებოდნენ.

- ახლა უკვე არაფერი საქმე აღარ გვაქვს, - თქვა ნიკოლმა, - ამიტომ გთავაზობთ...

- რას? - ჰკითხა ბარბიკენმა.

- ძილს.

- ერიჰაა! - იყვირა არდანმა.

- ორმოცი საათია, რაც თვალი არ მოგვიხუჭავს! რამდენიმე საათის ძილი ძალას მთლად აღვგვიდგენს!

- არაფრით არ დავწვები! - წამოიძახა მიშელმა.

- არ გინდა და ნუ გინდა! შენი ნებაა! მე კი უკვე მძინავს!

და დივანზე გაშხლართულმა ნიკოლმა მაშინვე ხვრინვა ამოუშვა.

- ნიკოლი სწორდ მოიქცა, მეც მას მივბაძავ, - გადაწყვიტა ბარბიკენმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პრზიდენტის ხვრინვა ნიკოლის ბარიტონს შეეხმიანა.

- ხანდახან პრაქტიკულ ხალხსაც უჩნდებათ ჭკვიანური აზრები, - თქვა მარტო დარჩენილმა მიშელ არდანმა.

გრძელი ფეხები გაჭიმა, დაკუნთული ხელები თავქვეშ ამოიწყო და ძილს მისცა თავი.

მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ ჩვენს მოგზაურებს მშვიდად და დიდხანს სძინებოდათ. სამივენი მეტისმეტად აფორიაქეულნი იყვნენ. დილის შვიდი საათისათვის გაიღვიძეს და მაშინვე წამოხტნენ.

ყუმბარა მთვარეს კვლავ შორდებოდა და უფრო მეტად აბრუნებდა მისკენ წვერს. ეს მოვლენა ბარბიკენის გეგმებს ხელს უწყობდა, თუმცა ამ მოვლენის არსი ვერ ამოეხსნა.

რაკეტების გასაშვებად ნავარაუდევ დრომდე ჩვიდმეტი საათი რჩებოდა.

ეს დღე ჩვენს მეგობრებს უსასრულოდ ეჩვენათ. რა გაბედულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, მოგზაურებს გული ეკუმშებოდათ იმის გაფიქრებაზე, რომ მალე დადგებოდა წუთი, რომელიც გადაწყვეტდა საკითხს - მთვარეზე უნდა

დაცემულიყვნენ, თუ სამუდამოდ მის გარშემო უნდაეფრინათ. საათები და წუთები დაუსრულებელი ეჩვენებოდათ. ბარბიკენი და ნიკოლი გამოანგარიშებით იყვნენ გართულნი, არდანი ყუმბარის ვიწრო კაუტაში ბოლთას სცემდა და გულგრილ მთვარეს გაჰყურებდა.

დროგამოშვებით მოგზაურები დედამიწას იხსენებდნენ, არ ივიწყებდნენ თავიანთ მეგობრებს, "საზარბაზნე კლუბის" წევრებს და, უპირველეს ყოვლისა, ჯ. ტ. მასტონს.

ახლა პატივცემულ მდივანს ალბათ კლდოვანი მთების საგუშაგო პოსტში დაედო ბინა. რაზე ფიქრობდა იგი, თუკი გიგანტური ტელესკოპის ოკულარით ყუმბარას თვალყურს ადევნებდა? იგი უთუოდ დაინახავდა, თუ მთვარის სამხრეთ პოლუსს როგორ მიეფარა ყუმბარა, ახლა კი ალბათ ხედავს, როგორ მოუხვია ჩრდილოეთ პოლუსიდან, იქნებ ისიც იფიქრა, ყუმბარა მთვარის თანამგზავრად გადაიქცაო! როგორ შეხვდა მათი გაბედული წამოწყების ასეთ მოულოდნელ დასასრულს?

დღე მშვიდობიანად ჩაიარა. შუაღამე დადგა. 8 დეკემბერი თენდებოდა. ერთ საათში თანაბარი მიზიდულობის წერტილს მიაღწევდნენ. რა სიჩქარით მიფრინავდა ამჟამად ყუმბარა, ამის გამოთვლა შეუძლებელი იყო. მაგრამ ბარბიკენი გამოანგარიშებაში არ ცდებოდა. ღამის პირველ საათზე ყუმბარის სიჩქარე ნულს უნდა გათანაბრებოდა.

ამასთანავე ნეიტრალურ წერტილში ყუმბარის გაჩერების მომენტი დამახასიათებელი მოვლენით უნდა აღნიშნულიყო: აქ მდებარეობდა დედამიწისა და მთვარის მიზიდულობის წონასწორობის ხაზი. ამ ადგილზე საგნებს წონა არ უნდა ჰქონოდათ. ეს საინტერესო ფაქტი, რამაც მოგზაურობის დასაწყისში ასე ძალიან გააოცა ბარბიკენი და მისი მეგობრები, შესაბამის პირობებში უკან მობრუნების დროსაც უნდა განმეორებულიყო. სწორედ ამ მომენტში უნდა ამოქმედებულიყვნენ.

ყუმბარის კონუსური წვერი მთვარის დისკოსაკენ უკვე შესამჩნევად შემობრუნდა. ასეთ მდგომარეობასი რაკეტის უკუგდების ძალა ყუმბარას პირდაპირ მთვარეზე ისროდა. ასე რომ, მეგობრების მიერ ჩაფიქრებული გეგმის წარმატებას ყველაფერი ხელს უწყობდა, თუ ყუმბარის სიჩქარე ნეიტრალურ ზონაში ნულს გაუტოლდებოდა, სულ პატარა ბიძგიც კი იკმარებოდა, რომ იგი მთვარეზე დაცემულიყო.

- პირველს ხუთი წუთი აკლია, - წაიჩურჩულა ნიკოლმა.

- ყველაფერი რიგზეა, - უპასუხა არდანმა. და მომზადებული პატრუქი ანთებულ გაზის სანათურასთან მიიტანა.

- მოიცა, - უთხრა ბარბიკენმა, რომელიც ქრონომეტრს დაჰყურებდა.

წონას თითქმის ვერ გრძნობდნენ, მოგზაურებმა მიზიდულობის ძალის სრული გაქრობა იგრძნეს და განიცადეს. თუ მკვდარ წერტილში არ იმყოფებოდნენ, მის მახლობლად მაინც იყვნენ.

- პირველი საათია! - თქვა ბარბიკენმა.

არდანმა ანთებული პატრუქი ზონართან მიიტანა, რომელზედაც ყველა რაკეტა იყო მიერთებული. უჰაერობას დეტონაცია არ მოჰყოლია, მაგრამ ბარბიკენმა ფანჯარაში დაინახა აფეთქების ალი, რომელიც უმალ ჩაქრა.

ყუმბარა შეირყა და მოგზაურები გვარიანად შეანჯღრია.

სუნთქვაშეკრულმა მეგობრებმა სმენა და მხედველობა დაძაბეს, სამარისებურ სიჩუმეში მათი გულისცემაღა ისმოდა.

- რა არის, ვეცემით? - იკითხა ბოლოს მიშელმა.

- არა! - უპასუხა ნიკოლმა. - ყუმბარის ძირი მთვარის დისკოსაკენ არ ბრუნდება...

ამ დროს ფანჯარასთან მდგომი ბარბიკენი თანამგზავრებს მიუბრუნდა. გაფითრებულიყო, წარბები შეეჭმუხნა და ტუჩები მოეკუმა.

- ვეცემით, - თქვა მან.

- როგორც იქნა! მთვარეზე?- იყვირა მიშელმა.

- დედამიწაზე! - უპასუხა ბარბიკენმა.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა მიშელმა და მაშინვე ბრძნულად შენიშნა: - რა გაეწყობა! ამ ყუმბარაში ჩასხდომისას უვნებლად დაბრუნების იმედი თითქმის არცა გვქონდა.

ამ წუთიდან მრთლა დაიწყო სწრაფად დაშვება დედამიწაზე. ვიდრე მეგობრები რაკეტებს გაუშვებდნენ რაღაც სიჩქარის წყალობით, რომელსაც ყუმბარა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, მან ნეიტრალური ხაზის გადაკვეთა მოასწრო, ამიტომ მათი აფეთქება ყუმბარას მიმართულებას ვეღარ შეუცვლიდა.

ის სიჩქარე, რომელიც ხელს უწყობდა მთვარისაკენ მიმავალ ყუმბარას ნეიტრალურ ხაზზე გადაფრენისას, უკან მობრუნების დროსაც იმავე ხაზით მიაქროლებდა. ფიზიკის კანონების მიხედვით,ელიფსური ორბიტის შემოხაზვისას ყუმბარას ერთხელ უკვე განვლილი გზა ხელახლა უნდა გაევლო.

და აი ახლა ყუმბარა დედამიწისაკენ მიჰქროდა, ამასთანავე მიზიდულობის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად მისი სიჩქარეც მატულობდა. შემზარავი იყო 78 ათასი ლიეს სიმაღლიდან ჩამოვარდნა. რომელსაც უკვე ვეღარაფერი შეასუსტებდა! ბლისტიკის კანონის თანახმად დედამიწაზე ჩამოვარდნილი ყუმბარის სიჩქარე კოლუმბიადიდან მისი გაფრენის თავდაპირველი სიჩქარის, ანუ წამში 16 ათასი მეტრის ტოლი უნდა ყოფილიყო.

უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ეს რიცხვი. გავიხსენოთ, რომ ჩატარებულ გამოანგარიშებათა შესაბამისად პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ერთ-ერთი 200 ფუტიანი კოშკიდან გადმოგდებული საგანი ქვაფენილზე საათში 120 ლიეს სიჩქარით ეცემა.

- დავიღუპეთ! - გულგრილად წარმოთქვა ნიკოლმა.

- რა ვუყოთ, - გამოეხმაურა რაღაც რელიგიურ ექსტაზში მყოფი ბარბიკენი. - ეს ჩვენს ექსპერიმენტს კიდევ უფრო გააღრმავებს. ახლა უკვე თვით უფალი გაგვაგებინებს თავისი ქმნილების საიდუმლოებას. იმ ქვეყანაში ჩვენს სულს სამყრაოს შესაცნობად არც მანქანები და არც ხელსაწყოები აღარ დასჭირდება! იგი მარადიულ სიბრძნეს შეერწყმის!

- რაც მართალია, მართალია, - უპასუხა მიშელმა. - ჩვენი წარუმატებლობისთვის "იმ ქვეყანაში" დავჯილდოვდბით მთვრედ წოდებული რომელიღაც უბადრუკი პლანეტით.

ბარბიკენმა ბედს შერიგებული კაცივით ხელები გულზე დაიკრიფა.

- საკუთარი ბედ-იღბალი ღვთის ნება-სურვილსთვის მიმინდვია! - თქვა მან.

მეოცე თავი

"სუსკეჰანას" გაზომვები

- რას იტყვი, ლეიტენენტო, როგორ მიდის საქმეები?

- მგონი, დასასრულს უახლოვდება, - უპასუხა ლეიტენენტმა ბრონსფილდმა. - ვინ იფიქრებდა, რომ ამერიკის სანაპიროდან სულ რაღაც ასიოდე ლიეზე ხმელეთთან ასეთი სიღრმე იქნებოდა.

- მართლაც, ფსკერი აქ ძალიან ღრმაა, - თქვა კაპიტანმა ბლემბსბერიმ. - ამ ადგილზე ჰუმბოლდტის დინებით წალეკილი წყალქვეშა ველია, რომელიც ამერიკის სანაპიროს მაგელანის სრუტემდე გარს ეკვრის.

- ასეთი დიდი სიღრმეები აბრკოლებს ტელეგრფის კაბელების გაყვანას. ვალენსიასა და ნიუ-ფაუნდლენდს შორის, ბრტყელ ფსკერზე გაყვანილი ამერიკის კაბელი ბევრად უფრო მოსახერხებელია.

- არ გედავები, ბრონსფილდ. მხოლოდ ის მითხარი, თუ შეიძლება, ლეიტენანტო, ახლა როგორაა საქმე?

- ახლა ჩვენ ოცდაერთი ათასი ფუტის სიგრძის ტროსი გვაქვს გაჭიმული, ყუმბარა კი, რომელსაც ლოტი ეწევა, ჯერ არ შეხებია ფსკერს, თორემ ლოტი ზემოთ თავისთავად ამოვიდოდა.

- მეტად გონივრულია ეს ბრუკის ხელსაწყო. სიღრმეს ზუსტად ზომავს!

- ფსკერი! - იყვირა ერთ-ერთმა მეზღვაურმა, რომელიც სამუშაოს თვალყურს ადევნებდა.

კაპიტანი და ლეიტენანტი გემის კიჩოსაკენ გაემართნენ.

- აბა, რა სიღრმეა? - იკითხა კაპიტანმა.

- ოცდაერთი ათას შვიდას სამოცდათორმეტი ფუტი, - უპასუხა ლეიტენანტმა და ეს რიცხვი ბლოკნოტში ჩაინშნა.

- დიდებულია, ბრონსფილდ! ამ მონაცემებს რუკაზე გადავიტან. ახლა კი, უბრძანთ, ლოტი ამოსწიონ. კიდევ რამდენიმე საათს მოგვიწევს ჯახირი. ამასობასი მექანიკოსი განკარგულებას გასცემს, რომ ორთქლი გაუშვან და, როგორც კი საქმეს მორჩებით, ღუზას ამოვწევთ. უკვე ღამის ათი საათია, და თქვენი ნებართვით, დასაძინებლად წავალთ.

- ღამე მშვიდობისა! - თავაზიანად უთხრა ლეიტენანტმა.

"სუსკეჰანას" კაპიტანი - ჩინებული ადამიანი და უაღრესად გულკეთილი უფროსი - თავის კაიუტისაკენ გაემართა, გროგი დალია, მებუფეტე შეაქო, მერე საწოლზე წამოწვა, მოსამსახურეს მადლობა უთხრა, ლოგინის გაშლა შეგძლებიაო და უდრტვინველ ძილს მიეცა.

ღამის ათი საათი იყო. დეკემბრის მეთერთმეტე დღის ნელ-ნელა ენაცვლებოდა უნეტარესი სამხრეთის ღამე.

ხუთას ცხენისძალიანი კორვეტი "სუსკეჰანა", რომელიც შეერთებული შტატების ეროვნული ფლოტს ეკუთვნოდა, წყნარი ოკეანის ფკერის გაზომვას აწარმოებდა ამერიკის სანაპიროდან დაახლოებით ას ლიეზე, ვიწრო ნახევარკუნძულის პირდაპირ, რომელიც მექსიკის სანაპიროს მხარს იყო გადაჭიმული.

ქარი თანდათან ჩადგა. ჰაერი თითქოს გაილურსა. კორვეტის ანძაზე ალამი უმოძრაოდ ეკიდა.

კაპიტანი ჯონათან ბლემბსბერი - "საზარბაზნე კლუბის" ერთ-ერთი აქტიური წევრის, პოლკოვნიკ ბლემსბერის ნათესავი იყო, რომელსაც ჰორშბიდენის გვარის ქალი ჰყავდა ცოლად - კაპიტნის დეიდა და კენტუკელი საპატიო კომერსანტის ქალიშვილი, -კაპიტან ბლემბსბერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან კარგი ამინდი გასაზომი სამუშაოების წარმატებით დამთავრბას ხელს უწყობდა.

"სუსკეჰანას" მიერ ჩატარებულ ძირითად გაზომვათა მიზანი იყო ჰავაის კუნძულებსა და ამერიკის მატერიკს შორის წყალქვეშა კაბელის გასაყვანად შედარებით ხელსაყრელი სიღრმეების გამოკვლევა.

ეს სამუშაოები სრულდებოდა ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის პროექტით, რომლის დირექტორსაც - წინდახედულ საირუს ფილდს განზრახული ჰქონდა ტგელეგრაფის მავთულების ქსელით დაეფარა ოკეანის ყველა კუნძული - ეს გახლდათ ამერიკელთათვის ღირსეული უზარმაზარი წამოწყება.

პირველი გაზოვმების ჩატარება დავალებული ჰქონდა კორვეტ "სუსკეჰანას" 11 და 12 დეკემბრის ღამეს კორვეტი ვაშინგტონის მერიდიანზე ჩრდილოეთ განედის 27°7´და დასავლეთ გრძედის 41°37´ იმყოფბოდა.

მთვარის უკანასკნელი მეოთხედი ჰორიზონტზე გამოჩნდა.

კაპიტან ბლემბსბერის წასვლის შემდეგ ოკაჩხეზე ლეიტენანტმა ბრონფილდმა და ზოგიერთმა ოფიცერმა მოიყარეს თავი. ამოვიდოდა თუ არა, მათი ფიქრი მთვარეს დასტრიალებდა, რომლისკენაც, იმ დღეებში მთელი ნახევარსფეროს მცხოვრებთა მზერა იყო მიმართული.

საუკეთესო საზღვაო ჭოგრიტებშიც კი ვერ გამოჩნდებოდა სადღაც, მთვარის გარშემო მოხეტიალე ყუმბრა, მაგრამ მთელი მსოფლიოს ტელესკოპები ამ წუთას მთვრისაკენ იყო მიმართული და მილიონობით ადამიანი მოკაშკაე დისკოს თვალს არ აშორებდა.

- უკვე ათი დღეა, რაც გაფრინდნენ, - თქვა ლეინტენანტმა ბრონსფილდმა. - ნეტა სად არიან ახლა?

- დანიშნულ ადგილზე მივიდნენ! - წამოიძახა ახალგაზრდა მიჩმანმა. - და ახლა ალბათ, როგორც უცხო ადგილას მოხვედრილ მოგზაურებს სჩვევიათ, მთვარის მიდამოებში დასეირნობენ.

- თქვენს სიტყვებში ეჭვს ვერ შევიტან, - ღიმილით უპასუხა ლეიტენანტმა.

- მართლაც, შეუძლებელია მთვარეზე რომ არ დაშვებულიყვნენ, - შენიშნა სხვა ოფიცერმა. - ყუმბარა ხუთ რიცხვში, შუაღამისას, სავსე მთვარის დროს უნდა დაშვებულიყო. - ახლა თერთმეტი დეკემბერია, ექვსი დღე-ღამე გვიდა. ამ ხნის განმავლობაში კი თავისუფლად დაბინავდებოდაკაცი ახალ ადგილზე. წარმოდგენილი მაქვს, როგორ დაბანაკდებოდნენ ჩვენი მამაცი თანამემამულენი სადმე ღრმა ხეობაში, მდინარის პირას, ვულკანურ ნიადაგში ნახევრად ჩაფლული ყუმბარის მახლობლად. ვხედავ, ნიველირმომარჯვებული ნიკოლი როგორ ზომავს ადგილობრივ რელიეფს, ბარბიკენს წესრიგში მოჰყავს თავისი ჩანაწერები,მიშელ არდანი კი სურნელოვან სიგარას აბოლებს და მთვარის მინდვრებზე დასეირნობს.

- დიახ!@ დიახ! ასეც უნდა იყოს! - წამოიძახა მთვარის ახალმოსახლეთა ყოფის იდილიური სურათით აღტაცებულმა მიჩმანმა.

- ღმერთმა ქნას, რომ მართლაც ასე იყოს, - თქვა ლიეტენანტმა ბრონსფილდმა, რომელიც აღტაცებისაგან თავს იკავებდა. -სამწუხაროდ, ჩვენ ვერასოდეს ვეღარ მივიღებთ რაიმე ცნობას მეგობრებისაგან.

- მაპატიეთ, ლეინტენანტო, ნუთუ ბარბიკენს წერა გადაავიწყდა?- ჰკითხა მიჩმანმა.

მიჩმანის ხუმრობაზე ყველას გაეცინა.

- წერილები არა მაქვს მხედველობაში, - მკვირცხლად გააგრძელა მიჩმანმა, - რა თქმა უნდა, წერილებზე არ ვლაპარაკობ! ფოსტა აქ რა შუაშია.

-დეპეშას ხომ არ ელოდებით? - ირონიულად ჰკითხა ერთ-ერთმა ოფიცერმა.

- არა, არც დეპეშას ვგულისხმობ, - უპასუხა მიჩმანმა წარბშეუხრელად. - გრაფიკული მეთოდით ისინი ძალიან ადვილად დაუკავშირდებიან დედამიწას.

- მერედა, ამას როგორ მოახერხებენ?

- ლონგსპიკის ტელესკოპის საშუალებით. თქვენთვის ცნობილია, რომ იგი მთვარეს კლდოვან მთებთან ორ ლიეზე აახლოებს, რაც საშუალებას გვაძლევს მის ზედაპირზე არანაკლებ ცრა ფუტის დიამეტრის საგნები დავინახოთ. ჩვენმა მთვარის გმირებმა უნდა გააკეთონ ვეებერთელა ანბანი, ასი ტუაზის სიგრძის სიტყვები და ერთი ლიეს სიგრძის წინადადებები! ასე თავიანთ მდგომარეობას უფრო ადვილად გაგვაბებინებდნენ.

გამჭრიახ მიჩმანს ყველამ ტაში დაუკრა. მისი აზრი ლეინტენანტმა ბრონსფილდმა სრულიად შესაძლებლად სცნო. გარდაამისა, მან წამოაყენა დედამიწასთან უშუალო კავშირის კიდევ ერთი ხერხი - პარაბოლური სარკეების მიერ არეკლილი მოკაშკაშე სხივები. ეს სხივები ვენერადან ან მარსიდან ისევ გამოჩნდებოდნენ, როგორც დედამიწიდან პლანეტა ნეპტუნი ჩანს. ბოლოს მან განცხადა, შესაძლებელია უახლოეს პლანეტაზე არაერთგზის შემჩნეული ეს ნათელი წერტილები, მთვარიდან დედამიწაზე გადმოცემული სიგნალები იყოო. მაგრამ ლეინტენანტს წამოსცდა, რომ თუ აღნიშნული წესით მთვარიდან ცნობების მიღება შესაძლებელი იყო, დედამიწიდან იქით ვერაფერს გადასცემდნენ, რადგან შორეული დაკვირვებებისათვის საჭირო ხელსაწყოები მხოლოდ მთვარის ბინადართ ჰქონდათ.

- ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო ის არის, შევიტყოთ, რა დაემართა მოგზაურებს, რას აკეთებენ, რას ხედავენ, - ჩაერია ერთ-ერთი ოფიცერი. - თუ პირველი ცდა წარმატებით დამთავრდება, რაშიც ეჭვი არ მეპარება, ამ ცდას გაიმეორებენ. კოლუმბიადა კვლავინდებურად ხომ ფლორიდის მიწაშია ჩაფლული. მაშასადამე, მხოლოდ ყუმბარა და დენთი გვაკლია; ყოველთვის, როდესაც მთვარე ზენიტს გაივლის, შეგვიძლია ექსკურსანტებით სავსე ყუმბარა ... მთვარეზე გავისროლოთ.

- როგორც ჩანს, მასტონი თავის მეგობრებს მალე შეუერთდება! - თქვა ლეინტენანტმა.

- ერთი სიტყვით რომ მითხრას, მასთან ერთად სიამოვნებით გავფრინდები! - წამოიძახა მიჩმანმა.

- მოხალისეები ბლომად იქნებიან, - შეეპასუხა ბრონსფილდი, - ნება რომ დართო, დედამიწის ბინდართა ნახევარი მთვარეზე გადასახლდება!

ოფიცერთა საუბარი ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა. რა ჩამოთვლის იმ ფანტასტიკურ თეორიებსა და წარმოუდგენელ პროექტებს, გულადი ახალგაზრდები რომ გვთავაზობდნენ. ბარბიკენის ცდის შემდეგ სიტყვა "შეუძლებელი" ამერიკელებისათვის აღარ არსებობდა. გეგმებს აწყობდნენ, რომ მთვარის დასაპყრობად არა მარტო მეცნიერთა კომისიები, არტილერისტთა, კავალერისტთა და ქვეითების ჯარის მთელი არმია გაეგზავნათ.

ღამის პირველი საათისათვის ლოტის ამოსაყვანი სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულიყო. კიდევ ათი ათასი ფუტი რჩებოდა შესასწავლი, ამას კი რამდენიმე საათი ჭირდებოდა.

კაპიტნის ბრძანებით საცეცხლურებში ცეცხლი გააჩაღეს. ქვაბებში წნევამ აიწია. "სუსკეჰანა" მზად იყო, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო.

ამ დროს, ღამის 1 საათსა და 17 წუთზე, ის იყო ლეინტენანტი ბრონსფილდი თავის კაიუტისაკენ უნდა წასულიყო, რომ მისი ყურადღება შორეულმა სტვენამ მიიპყრო.

თავდაპირველად ლეინტენანტს და მის მეგობრებს ეგონათ, გაპარული ორთქლის ხმააო, მაგრამ ზევით რომ აიხედეს, დარწმუნდნენ, რომ ეს ხმა ძალიან დიდი სიმაღლიდან მოდიოდა.

ამ უცნაური ხმის ძალა არაჩვეულებრივი სისწრაფით მატულობდა და ოფიცრებმა აზრის გაზირებაც კი ვერ მოასწრეს, რა იყო ამის მიზეზი, რომ მათ თვალები დაუბრმავა ბოლიდმა, რომელიც ატმოსფეროს ფენებთან შეხებას წითლად გაევარვარებინა.

ცეცხლოვანი მასა თანდათან იზრდებოდა და ბოლოს კორვეტის ბუშპრიტზე წარმოუდგენელი გრუხუნით დაეცა, დაამსხვრია იგი და შიშინით და ხმაურით ტალღებშუა გაუჩინარდა.

ეს მასა რამდენიმე ფუტით ახლოს რომ არ ჩამოვარდნილიყო, "სუსკეჰანა" მთელი თავისი ეკიპაჟით ოკეანეში გადაყირავდებოდა.

კაპიტანი ბლემბსბერი ნახევრად ჩაცმული გამოვარდა გემბანზე, სადაც ყველა ოფიცერს მოეყარა თავი.

- ბატონებო, თუ შეიძლება მითხარით, რა მოხდა? - იკითხა კაპიტანმა, - რაშია საქმე?

- კაპიტანო, "ისინი" დაბრუნდნენ! - იყვირა მიჩმანმა.

ოცდამეერთე თავი

ისევ ჯ. ტ. მასტონი.

"სუსკეჰანას" ბორტზე დიდი ჩოჩქოლი იდგა. ოფიცრებსა და მეზღვაურებს აზრადაც არ მოსვილიათ, თუ რა საფრთხე ელოდათ სულ ახლახან, ადვილი შესაძლებელი იყო, გემი გასრესილიყო, ან გახვრეტილიყო და ჩაძირულიყო. არა, მათი ფიქრი დასტრიალებდა კატასტროფას, რომელმაც გაბედული წამოწყება დააგვირგვინა.

- '"ისინი" დაბრუნდნენ! - წამოიძახა ახალგაზრდა მიჩმანმა და ყველა მაშინვე მიხვდა, ვის გულისხმობდა. ეჭვი არავის შეჰპარვია. ტალღებში გაუჩინარებული ბოლიდი "საზარბაზნე კლუბის" ყუმბარა რომ იყო.

- დაიღუპნენ! - ამტკიცებდნენ ერთნი.

- არა, ცოცხლები არიან! - დაჟინებით იმეორებდნენ მეორენი. - წყალი ძალიან ღრმა არის და ვარდნის ძალას შეამცირებდა.

- მაგრამ უჰაეროდ რომ არიან, - ამბობდა მესამე, - უსათუოდ გაიგუდებიან!

- დაიწვებოდნენ! - დაასკვნა ვიღაცამ. - ატმოსფეროში გავლისას ყუმბარა გავარვარებულ მასად იქცეოდა.

- ასეა თუისე, ცოცხლები არიან ისინი თუ მკვდრები, აუცილებლად უნდა ამოვიყვანოთ! - ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა ყველამ ერთხმად.

კაპიტან ბლემბსბერიმ ყველა ოფიცერს სათათბიროდ მოყარა თავი. დაუყოვნებლივ რაიმე უნდა ეღონათ. უპირველეს ყოვლისა, ყუმბარა უნდა ამოეთრიათ, ურთულესი, მაგრამ შესაძლებელი ოპერაცია უნდა ჩაეტარებინათ, თუმცა კორვეტს არ გააჩნდა საამისოდ მძლავრი და ზუსტი მოწყობილობა: გადაწყვიტეს, მაშინვე უახლოეს ნავსადგურში მისულიყვნენ და ჭურვის ჩამოვარდნის შესახებ "საზარბაზნე კლუბისათვის" ეცნობებინათ.

ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს, მხოლოდ ნავსადგური უნდა ამოერჩიათ. 27° განედის უახლოს სანაპიროზე ასეთი ნავსაყუდელი არსად იყო. ცოტა მოშორებით, მონტერეის ნახევარკუნძულს იქით, იყო დიდი ქალაქი, რომლის სახელსაც ნახევარკუნძული ატარებდა. მაგრამ უდაბნოს საზღვართან ვაშენებული ეს ქალაქი მატერიკს სატელეგრაფო ხაზით არ უკავშირდებოდა, ასეთი მნიშვნელოვანი ცნობის სათანადო სისწრაფით გადაცემა კი მხოლოდ ტელეგრაფის საშუალებით შეიძლებოდა.

რამდენიმე გრადუსით მაღლა პორტი სან-ფრანცისკო მდებარეობდა. ოქროს მხარის დედაქალაქიდან შეერთებული შტატების ცენტრთან დაკავშირება -ადვილი იყო. თუ კორვეტი დიდი სისწრაფით ივლიდა, სან-ფრანცისკოში მისვლას თითქმის ორი დღე-ღამე დასჭირდებოდა. ამიტომ დაუყოვნებლივ გზას უნდა დასდგომოდნენ.

კორვეტიმზად იყო გასამგზავრებლად, რადგან ცეცხლფარეშებს ღუმელები უკვე გაეჩაღებინათ. მართალია, წყალში ორი ათასი ბრასის ტროსი კიდევ რჩებოდა, მაგრამ კაპიტანს არც ერთი ძვირფასი წუთის დაკარვა არ სურდა და ტროსის გადაჭრა გადაწყვიტა.

- ტროსის ბოლოს ტივტივაზე მივამაგრებთ, - თქვა მან, - და ყუმბარის დაცემის ადგილის ღმოჩენასიც დაგვეხმარება.

- ამ ადგილის კოორდინატორი ცნობილია, - ჩვენ ვიმყოფებით ჩრდილოეთ განედის ოცდაშვიდ გრადუსსა და შვიდ წუთზე და დასავლეთ გრძედის ორმოდაერთ გრადუსსა და ოცდაშვიდ წუთზე, - აღნიშნა ლეიტენანტმა.

- ჩინებულია, მისტერ ბრონსფილდ, - მიუგო კაპიტანმა, - თუ შეიძლება, უბრძანეთ, ტროსი გადაჭრან.

სიმტკიცისათვის მძიმე ლატანებით აღჭურვილი ვეებერთელა ტივტივა წყალში ჩაუშვეს. ტროსის ბოლო მტკიცედ იყო ტივტივაზე მიმაგრებული, რომ ღელვას ყუმბარის დაცემის ადგილიდან ძალიან შორს არ გაეტაცა.

მექანიკოსმა კაპიტანს აცნობა, რომ კორვეტი წასასვლელად მზად იყო. კაპიტანმა მადლობა გადაუხადა და ბრძანა, კურსი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ აეღოთ. კორვეტი მთელი სისწრაფით დაიძრა სან-ფრანცისკოს ყურესაკენ. დილის სამი საათი იყო.

ისეთი სწრაფმავალი გემისათვის, როგორიც "სუსკეჰანა" იყო, ორასი ლიეს გავლა არაეფრს წარმოადგენდა. ეს მანძილი გემმა ოცდათექვსმეტ საათში გაიარა და 14 დეკემბერს ნაშუადღევის 1 საათსა და 37 წუთზე სან-ფრანცისკოს ყურეში შევიდა.

მთელი სიჩქარით მომავალი კორვეტის დანახვამ, რომელსც გატეხილი ბუშპრიტი და დაზიანებული ანძა ჰქონდა, ქალაქის მცხოვრებნი ააღელვა და ცნობისმოყვარეთა უზარმაზარი ბრბო უცბად მოგროვდა ნაპირზე.

კაპიტან ბლემბსბერიმ და ლეინტენანტმა ბრონსფილდმა ღუზა ჩაუშვეს, რვანიჩბიან კარჭაპში ჩასხდნენ და სწრაფად მოადგნენ ნაპირს.

- ტელეგრაფი! სად არის ტელეგრაფი! - კითხულობდნენ ისინი.

პორტის ოფიცერმა გადმოსულები სატელეგრაფო სადგურამდე მიაცია. ხალხიც აედევნა.

ბლემსბერი და ბროსფილდი კანტორაში შეცვივდნენ. დეპეშები ოთხ ცალად გაუგზავნეს შემდეგ ადრესატებს: საზღვაო უწყების მდივანს ვაშინგტონში, "საზარბაზნე კლუბის" ვიცე-პრეზიდენტს ბალტიმორსი, პატივცემულ ჯ.ტ. მასტონს ლონგსპიკში, კლდოვან მთებზე და ბოლოს კემბრიჯის ობსერვატორიის დიერქტორის თანაშემწეს.

დეპეშაში ეწერა:

"ჩრდილოეთ განედის 27°7 ´და დასავლეთ გრძედის 41°37´, 12 დეკემბერს ღამის 1 საათსა და 17 წუთზე კოლუმბიადის ყუმბარა წყნარ ოკეანეში ჩამოვარდა. ველოდებით ინსტრუქციას.

"სუსკეჰანს" კაპიტან ბლემბსბერი".

ხუთ წუთში ახალი ამბავი მთელ ქალაქს მოედო. საღამოს ექვსი საათისათვის შემაძრწუნებელი კატასტროფის ამბავი მთელმა ამერიკამ იცოდა; შუაღამის შემდეგ კი სახელგანთქმული ამერიკული წამოწყების შედეგები წყალქვეშა ტელეგრაფმა მთელ ევროპას აცნობა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ გამოხმაურებათა აღნიშვნას, გაბედული მოგზაურობის მოულოდნელ დასასრულზე, ქვეყნის ყოველი მხრიდან ყოველ წუთს რომ მოდიოდა.

დეპეშის მიღების შემდეგ საზღვაო უწყების მდივანმა "სუსკეჰანას" კაპიტანს უბრძანა, შემდგომი განკარგულებისათვის სანფრანცისკოს ყურეში დაეცადა, ღუმელებში ცეცხლი არ ჩაექრო და ზღვაში გასასვლელად მზად ყოფილიყო.

კემბრიჯის ობსერვატორიის ასტრონომებმა სამეცნიერო კორპორციებისათვის ჩვეული სიმშვიდით ჩაატარეს საგანგებო თათბირი და მომხდარი ფაქტის მეცნიერულად განხილვას უშფოთველად და აუჩქარებლად შეუდგნენ.

"საზარბაზნე კლუბის" დეპეშამ ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. ყველა არტილერისტი ადგილზე იყო. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, პატივცემულმა უილკამმა ეს-ეს არის საჯაროდ წაიკითხა მასტონისა და ბელფასტის დეპეშა, რომლებიც ატყობინებდნენ, რომ ყუმბარა მათი გიგანტური ლონგსპიკის ტელესკოპის მხედველობის არეში იმყოფებოდა. გარდა ამისა, დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ მთვარის მიზიდულობით შეფერხებული ყუმბარა მზის სისტემის მეორეხარისხოვანი თანამგზავრის როლში გამოდიოდა.

ჩვენ კი საქმის ნამდვილი ვითარება კარგად მოგვეხსენება.

ამრიგად, ჯ. ტ. მასტონისა და კაპიტან ბლემბსბერის ერთდროულად მიღებული სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის დეპეშების განხილვისას კლუბის წევრები ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ყუმბარა ოკეანეში ჩამოვარდა, - ესე იგი, ასე თუ ისე, მოგზაურები მაინც დაბრუნდნე; მეორე ბანაკს კი მასტონის ცნობებზე დაყრდნობით მიაჩნდა, რომ კაპიტან ბლემბსბერი შეცდა. ამ ბანაკის აზრით, ყუმბარა ჩვეულებრივი ბოლიდი, მოწყვეტილი ვარსკვლავი იყო, რომელმაც კორვერტის ქიმი დააზიანა. ამ უკანასკნელ მტკიცებაზე კამათი გაჭირდებოდა, რადგან ჩამოვარდნილი სხეული ისეთი სისწრაფით მოჰქროდა, რომ მისი დანახვა შეუძლებელი იყო. თუმცა ერთი რამ ცხადი იყო: ყუმბრა რომ მართლა დედამიწაზე დაცემულიყო, თუ გავითვალისწინებთ მის გაფრენის წუთიდან გასულ დროს და დედამიწის ბრუნვით მოძრაობას, დედამიწასთან მისი შეჯახების სწორედ დასავლეთ გრძედის 41 დ 42 გრადუსებს შორის, ჩრდილოეთ განედის 27 გრადუსზე უნდა მომხდარიყო.

ასე იყო თუ ისე, "საზარბაზნე კლუბში" ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ბლემბსბერის ძმა ბილსბი და მაიორი ელფისტონი დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ სან-ფრანცისკოში და ოკეანის სიღრმიდან ყუმბარის ამოსაღებად ყველაფერი ეღონათ.

ერთგული მეგობრები დაუყოვნებლივ გზას გაუდგნენ. რკინიგზით, რომელიც უახლოეს ხანში მთელ ცენტრალურ ამერიკას გადაკვეთს, მალე ჩავიდნენ სენ-ლუიში, სადაც დილიჟანსი-ექსპრესი ელოდათ.

სწორედ იმ წუთს, როცა საზღვაო უწყების მდივანი, "საზარბაზნე კლუბის" ვიცე-პრეზიდენტი და ობსერვატორიის დირექტორი სან-ფრანცისკოდან გამოგზავნილ

დეპეშას კითხულობდნენ, პატივცემული მასტონი თავის სიცოცხლეში ყველაზე დიდმა მღელვარებამ შეიპყრო. რა მოსატანი იყო ამასთან ის მღელვარება, რომელიც მან ამ სახელგანთქმული კოლუმბიადის გაშვების დროს განიცადა, კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ კლუბის მდივანი კოლუმბიადის გაშვებისთანავე ყუმბარის სისწრაფით გაემართა თავისი პოსტისაკენ კლდოვან მთებში ლონგსპიკში. მეგზურობას კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორი ბელფასტი უწევდა. მისვლისთანავე ორივე მეგობარი ვეებერთელა ტელესკოპს მიუჯდა და მორიგეობით აღარც მოსცილებიან.

მკითხველს ახსოვს, რომ გიგანტური ტლესკოპის რეფლექტორები, როგორც ინგლისურად ამბობენ, front niew[1]-ისათვის იყო დადგმული. ასეთი დანადგარით დაკვირვების ობიექტის მხოლოდ ერთ გამოსახულებას ღებულობდნენ, მეორე მხრივ, დანადგარი ობიექტის უფრო ზუსტი ხილვადობას უზრუნველყოფოდა. ამიტომ მასტონი და ბელფასტი დაკვირვებების დროს მოედანზე ტელესკოპების ქვედა ნაწილში კი არა, ზედა ნაწილში უნდა ყოფილიყვნენ. ზემოთ დახვეული კიბით ადიოდნენ, ეს კიბეთავისი სიმსუბუქით საინჟინრო ხელოვების საოცრებას წარმოადგენდა, - ასე რო, ორას ოთხმოცი ფუტის სიღრმის ვეებერთელა ლითონის მილი, ძირში ჩადგმული ლითონისავე სარკით მათ ქვეშ მოექცა.

ამრიგად, მეცნიერებმა მთელი დრო ტელესკოპის თავზე გაატარეს ვიწრო მოედანზე. წყევლიდნენ დღის სინათლეს რომელიც მათ მთვარეს უმალავდა, წყევლიდნენ ღრუბლებსაც, რადგან ღამით მთვარეს განუწყვეტლივ ეფარებოდნენ.

რა დიდი იყო მათი სიხარული, როდესაც ბოლოს, რამდენიმე დღის ამაო ლოდინისა და ძიების შემდეგ, 5 და 6 დეკემბრის ღამეს დაინახეს ყუმბრა, რომლითაც მათი მიწიერი მეგობრები მოგზაურობდნენ. მაგრამ მალე სიხარულს იმედის გაცრუება მოჰყვა. ისინი თავდაპირველ დაკვირვებებს დაეყრდნენ და დეპეშით მთელ

---

1 ფრონტალური მიმოხილვა.

სამყაროს მოჰფინეს სიცრუე - ყუმბარა მთვარის გარშემო ელიფსური ორბიტით ბრუნავს და მის თანამგზავრად გადაიქცაო.

ამ წუთიდან ყუმბარა მხედველობიდან გაუქრათ, რაც იმით აიხსნებოდა, რომ იგი მთვარეს მოეფარა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოუთმენლად ელოდნენ ფიცხი მასტონი და მისი მეგობრები დისკოს მეორე მხრიდან ყუმბარის გამოჩენას. მთელი ღამის განმავლობაში ელანდებოდათ თითქოს ყუმბარა მეორე მხრიდან გამოჩნდა, მაგრამ ამაოდ!

ამის გამო მათ შორის დაუსრულებელი კამათი და შეხლა-შემოხლა გაიმართა. ბელფასტი ამტკიცებდა, რომ ყუმბარა არ ჩანდა. მასტონი კი ირწმუნებოდა, ყუმბარა "ხელისგულივით" მოჩანსო.

- ყუმბარაა! - ამბობდა მასტონი.

- არა, უპასუხებდა ბელფასტი. - მთვარის მთიდან ჩამოწოლილი ზვავია!

- დავინახავთ, ხვალ დავინახავთ!

- არა, მეტს ვეღარ დავინახავთ! ყუმბარა სივრცეში გაუჩინარდა!

- არა!

- კი!

ამგვარი კამათის დროს "საზარბაზნე კლუბის" მდივნის გააფთრება პტივცემულ ბელფატს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

კლდოვან მთებში ცხოვრება ორივე მეცნიერისათვის მალე აუტანელი შეიქმნებოდა, რომ მოულოდნელ შემთხვევას მათი დაუსრულებელი კამათისათვის წერტილი არ დაესვა.

14 და 15 დეკემბრის ღამის ორივე "შეურიგებელი მეგობარი" ჩვეულებისამებრ მთვარის დისკოს აკვირდებოდა. როგორც ყოველთვის, მასტონი ბელფასტს ლანძღავდა. თავის მხრივ ვალში არც ბელფასტი რჩებოდა. კლუბის მდივანი მეასედ ამტკიცებდა, ყუმბარა დავინახე და ფანჯარაში არდანის სახეც კი გავარჩიეო. კამათის დროს ფიცხი მასტონი რკინის კაუჭს იქნევდა, რაც ხელის მაგივრობას უწევდა და ამით თანამოსაუბრეს ხიფათს უქმნიდა.

ზუსტად საღამოს ათ საათზე უეცრად სათვალთვალო მოედანზე მსახური გამოჩნდა და ბელფასტს დეპეშა გადასცა. ეს "სუსკეპანას" კაპიტანის ცნობა გახლდათ.

- რა არის? - იკითხა მასტონმა.

- ყუმბარა!

- რა?

- დედამიწაზე დაეშვა!

ამის პასუხად მასტონის საზარელი ღრიალი გაისმა.

ბელფასტი სწრაფად შემოტრიალდა და ტელესკოპის მილზე დაკიდული ბედკრული მეგობარი დაინახა, რომელმაც წონასწორობა დაკარგა და ორას ოთხმოცი ფუტის სიმაღლიდან ტელესკოპში ისე ჩავარდა, როგორც ჭაში. ბელფასტი რეფლექტორის ხვრელს თავქუდმოგლეჯილი მივარდა.

მილში რომ ჩაიხედა, შვებით ამოისუნთქა: ტელესკოპის ერთ-ერთი შიდა საბჯენზე წამოდებული მსტონი ლითონის კავზე დაკიდულიყო და ხმამაღლა ქვითინებდა.

ბელფასტმა თანაშემწეებს დაუძახა და ტვირთმზიდავი ბლოკების დახმარებით წინდაუხედავი მასტონი მთელი და უვნებელი, ტელესკოპიდან ძლივს ამოიყვანეს.

- რა მოხდებოდა, სარკე რომ გამეტეხა?!- თქვა მან.

- მის საფასურს გადაიხდიდი, - მკაცრად უპასუხა ბელფასტმა.

- მაშ, ის წყეული ყუმბარა ჩამოვარდა? - იკითხა მასტონმა.

- წყნარ ოკეანეში!

- წავსულვართ!

თხუთმეტი წუთის შემდეგ მასტონი და ბელფასტი კლდოვანი მთებიდან ეშვებოდნენ და ორი დღის შემდეგ "საზარბაზნე კლუბის" მეგობრებთან ერთად სან-ფრანცისკოში ქანცგაწყვეტილი ხუთი ცხენით ერთდროულად ჩავიდნენ.

ელფისტონი, ბლემსბერი - ძმა და ბილსბი მათ შესახვედრად გამოიქცნენ.

- რა ვქნათ? - ყვიროდნენ ისინი.

- ყუმბარა ამოვათრიოთ, - უპასუხა მასტონმა, - და რაც შეიძლება ჩქარა!

ოცდამეორე თავი

გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა

ის ადგილი, სადაც ყუმბარა ტალღებში ჩაიძირა, ზუსტად იყო ცნობილი. მაგრამ რა მანქნებით მისდგომოდნენ და როგორ ამოეტანათ ოკეანის ზედაპირზე?

ეს მანქანები იქვე, ადგილზე უნდა გამოეგონებინათ და გაეკეთებინათ. რასაკვირველია, ამერიკელ ინჟინრებს ასეთი უმნიშვნელო რამის გაკეთება არ გაუჭირდებოდთ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ორთქლის მანქანებით და ღუზებით უნდა ამოეტანათ ყუმბარა, რომლის წონაც წყლის სიმკვრივის გამო მნიშვნელოვნად შემცირდებოდა.

მაგრამ საქმე მარტო ყუმბარის ამოღებაში არ იყო. მოგზაურებიც უნდა გადაერჩინათ. ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ.

- ცოცხლები არიან, ცოცხლები! - განუწყვეტლივ იმეორებდა მასტონი, რომლის რწმენა ყველას გადაედო. - ჩვენი მეგობრები - მოხერხებული და საზრიანი ხალხია. ბრიყვებივით ხომ არ ჩამოვარდებოდნენ. ცოცხლები არიან, მაგრამ დრო არ უნდა დავკარგოთ. საჭმელი და სასმელი არაფერია, დიდხანს ეყოთათ. მაგრამ ჰაერი! ჰაერი! აი, რა შეიძლება შემოაკლდეთ! ჩქარა, ჩქარა! ნურც ერთი წუთს ნუ კარგავთ.

დრო მართლაც არ დაუკარგავთ.

"სუსკეჰანაზე" ახალი სამუშაოებისათვის ემზადებოდნენ. მისი ყველა მანქანა მიბმული იყო ამწე ჯალამბარზე. ალუმინის ყუმბარა სულ 19250 გირვანქას იწონიდა და ამას წინათ ატლანტის ოკეანიდან ამოტანილ ტრანსატლანტურ კაბელზე გაცილებით მსუბუქი იყო. ერთადერთ სიძნელეს ყუმბარის კონუსისმაგვარი ფორმა და ის გლუვი კედლები წარმოადგენდა, რომებზედაც ხელის წავლება ჭირდა.

ინჟინერი მერჩისონი სან-ფრანცისკოში დაუყოვნებლივ ჩამოვიდა, რომ ვეებერთელა ავტომატური რკინის სატაცები დაემზადებინა. ეს სატაცები ყუმბარას ძლიერ თათებში მოიქცევდნენ და მანამდე აღარ გაუშვებდნენ, სანამ კორვეტს გემბანზე არ ამოიტანდნენ. ამას გარდა მერჩისონმა შეუკვეთა სკაფანდრები, რომელთა გამძლეობა და წყალგაუმტარობა მყვითავებს საშუალებას აძლევდა, ზღვის ფსკერი გამოეკვლიათ. კორვეტზე მოიტანეს აგრეთვე ძალიან გონივრულად აგებული შეკუმშულჰაერიანი კამერა. ეს იყო ნამდვილი ოთახი, რომელსაც ფანჯრების მაგივრად ილუმინატორები ძალიან გონივრულად აგებული შეკუმშულჰაერიანი კამერა. ეს იყო ნამდვილი ოთახი, რომელსაც ფანჯრების მაგივრად ილუმინტორები ჰქონდა. თუ რეზერვუარებს წყლით გაავსებდნენ, შეიძლებოდა ძალიან დიდ სიღრმეზე ჩაეშვათ. საბედნიეროდ, ასეთ კამერებს უკვე იყენებდნენ სან-ფრანცისკოს ყურეში წყალქვეშა კაშხალის მშენებლობაზე და ამან ყუმბარის ამოსაღებად წინასწარ ჩასატარებელი სამუშაოების დრო მნიშვნელოვნად შეამცირა.

მაგრამ მიუხედავად სრულყოფილი მოწყობილობისა და მეცნიერთა ოსტატობისა, რითაც უნდა ეხელმძღვანელათ, ყუმბარის ამოსაღებ სამუშაოთა წარმატებით დაგვირგვინება საეჭვო იყო. ოცი ათასი ფუტის სიღრმიდან ყუმბარის ამოღებას იქნებ მრავალი გაუთვალისწინებელი სიძნელეც გადაჰღობებოდა. ამას გარდა, სხვა საკითხიც დგებოდა: თუ როგორ გადაიტანდნენ ყუმბარის ბინადარნი დედამიწასთან შეხებით გამოწვეულ საშინელ დარტყმას, რასაც ოცი ათასი ფუტის წყლის ფენა მაინცდამაინც ვერ შეასუსტებდა.

აჩქარება მაინც აუცილებელი იყო. მასტინი დღედაღამ არ ასვენებდა მუშებს. თვითონ მზად იყო, ყველაფერი გაეკეთებინა: ჩაეცვა მყვინთავის სკაფანდრი და შესულიყო ჰერის კამერაში, რომ მამაცი მეგობრები რაც შეიძლება ჩქარა მოეძებნა.

მაგრამ, მიხუედავად იმის, რომ სხვადასხვა მოწყობილობანი სწრაფადაც მოამზადეს და შეერთებული შტატების მთავრობამ "საზარბაზნე კლუბის" დიდი თანხებიც გადასცა, ყველა მოსამზადებელი სამუშაოს დამთავრებამდე კიდევ ხუთი გრძელი დღე გავიდა, რაც ყველას ხუთ საუკუნედ მოეჩვენა! მთელი ამ ხნის მანძილზე ყველას მოთმინება დაელია. დეპეშები გაყვანილობებითა და

ელექტროკაბელებით მთელ მსოფლიოს მოედო. ბარბიკენის, ნიკოლისა და მიშელ არდანის გადარჩენა საერთაშორისო საქმედ იქცა. "საზარბაზნე კლუბის" სესხზე ხელისმომწერი ყველა ქვეყანა უშუალოდ დაინტერესებული იყო მოგზურთა მშვიდობით გადარჩენით.

და აი, ამწე ჯაჭვები, საჰაერო კამერა და ავტომატური სატაცები კორვეტის ბორტზე მოათავსეს. მასტონმა, მერჩისონმა და "საზარბაზნე კლუბის" წარმომადგენლებმა თავიანთი კაიუტები დაიკავეს. ისღა დარჩენოდათ, გზას გასდგომოდნენ.

21 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე კარგი ამინდი იყო და კორვეტი ზღვაში გავიდა: ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქროდა, საკმაოდ ციოდა. ზღვაც წყნარი იყო. სან-ფრანცისკოს მცხოვრებნი სანაპიროზე გამოსულიყვნენ და გემით წამსვლელებს დუმილით აცილებდნენ, რათა მობრუნებულებს ოვაციებით შეხვედროდნენ.

"სუსკეჰანამ" თანდათან სიჩქარეს უმატა და ყურეს გასცდა.

ჩვენ ვერ გადმოვცემთ ყოველივე იმას, რაზედაც ოფიცრები, მატროსები და კორვეტის მგზავრები საუბრობდნენ. ყველას ერთი საფიქრალი ჰქონდა, ყველას მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა: რას განიცდიდნენ ბარბიკენი და მისი მეგობრები ახლა, როცა მათი გადასარჩენი სამუშაოები მიმდინარეობდა?! შესწევდათ თუ არა იმის ძალ-ღონე, რომ ყუმბარიდან გამოსულიყვნენ? ამ კითხვებს, რასაკვირველია, პასუხს ვერავინ გასცემდა. მამაც მოგზურებს რაც არ უნდა ეღონათ, სულ ერთია, დამარცხდებოდნენ. ოკეანის ფსკერზე, დაახლოებით ორი ლიე სიღრმეზე ჩვენი ტყვეების ყოველი ცდა წინასწარვე განწირული იყო.

23 დეკემბერს დილის რვა საათზე კორვეტი უკვე საბედისწერო შემთხვევის ადგილზე უნდა მისულიყო. ზუსტი ორიენტირებისთვის შუადღეს დაელოდნენ. ტივტივა, რომელზედაც ტროსი იყო მიბმული, კიდევ არ იყო ნაპოვნი.

შუადღისას კაპიტანმა ბლემბსბერიმ, იმ ოფიცრების დახმარებით, რომლებიც დაკვირებებს "საზარბაზნე კლუბის" წარმომადგენლების თანდასწრებით ამოწმებდნენ, გემის გეოგრაფიული კოორდინატები განსაზღვრა. აუტანელი წუთი დადგა! "სუსკეჰანა" დასავლეთით რამდენიმე კილომეტრზე იმყოფებოდა იმ ადგილებიდან, სადაც ყუმბარა ტალღებში გაუჩინარდა.

გემი მაშინვე იქით გაემართა.

თორმეტ საათსა და ორმოცდაშვიდ წუთზე ტივტივა გამოჩნდა. იგი არ დაზიანებულიყო და დინებას არსად წაეღო.

- როგორც იქნა! - წამოიძახა მასტონმა.

- რა ვქნათ, დავიწყოთ? - ჰკითხა კაპიტან ბლემბსბერიმ.

- ნურც ერთ წუთს ნუ დაკარგავთ! - უპასუხა მასტონმა.

ყვლაფერი იღონეს, რომ კორვეტი წყალზე უძრავად მდაგრიყო.

ინჟინერი მერჩისონის აზრით, უპირველეს ყოვლისა ჭურვის ადგილსამყოფელი უნდა განესაზღვრათ. ძიებისათვის გამოყოფილი წყალქვეშა მანქანებიდან ჰაერი ამოტუმბეს. ამ მანქანების მართვა საშიში იყო: წყალქვეშ, ოცი ათასი ფუტის სიღრმეზე მათზე მაღალი წნევა იმოქმედებდა და ნებისმიერ დაუდევრობას შეიძლება სიკვდილი მოჰყოლოდა.

მასტონს, ბლემბსბერი - ძმა და მერჩისონს საფრთხეზე არც უფიქრიათ და წყალქვეშა საჰაერო კამერაში ჩასხდნენ: კაპიტანი კორვეტის ბოგირზე დადგა, რომ მაშველი ოპერციებისათვის თვალყური ედევნებინ და მზად იყო, ჯაჭვი პირველსავე ნიშანზე შეეჩერებინა, ან გაეშვა. კორვეტის ხრახნი გამორთეს, ყველა მანქანა

გადართეს ჯალამბარზე, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში კამერა ბორტზე უნდა ამოეტანა.

კამერის ჩაშვება დღის 11 საათსა და 25 წუთზე დაიწყეს; წყლით სავსე რეზერვუარებით დამძიმებული კამერა წყალში ჩაიძირა. ახლა კორვეტის მთელ ეკიპაჟს ერთნაირად აწუხებდა როგორც გადასარჩენთა, ისე მათ მხსნელთა ბედ-იღბალი. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ, თავიანთი თავი აღარც ახსოვდათ და კამერის ფანჯრებს მიკრულნი გარემომცველი წყლის სიღრმეს ყურადრებით აკვირდებოდნენ.

ჩაშვება სწრაფად დამთავრდა. 2 საათსა და 17 წუთზე მასტონმა და მისმა ორმა თანამგზავრმა წყნარი ოკეანის ფსკერს მიაღწიეს. მაგრამ ვერაფერი დაინახსე უნაყოფო უდაბნოს გარდა. ზღვის ფლორის და ფაუნის ნიშანწყალი არსად შეიმჩნეოდა. ძლიერი რეფლექტორებით აღჭურვილი ლამპების შუქი დიდ სიღრმეზე დაკვირვებების ჩატარების საშუალებას იძლეოდა. ყუმბარა არსად ჩანდა.

ძნელი გადმოსაცემია, თუ რა მოუთმენლობას განიცდიდნენ მამაცი მყვინთავები. კამერას კორვეტთან ელექტროკავშირი ჰქონდა დამყრბული. "სუსკეჰანას" პირობითი ნიშანი მისცეს, რომ ფსკერიდან რამდენიმე მეტრზე მყოფი კამერა ერთი მილის მოშორებით გადაეადგილებინა.

მყივითავებმა წყალქვეშა დაბლობი შეამოწმეს, მათ წამდაუწუმ მხედველობითი ილუზიები უჩნდებოდათ. მაგრამ იმედი მაშინვე უცრუვდებოდათ. ის, რაც მათ ჭურვი ეგონათ, ხან წყალქვეშა კლდე იყო, დ ხან უსწორმასწორო ფსკერი.

- სად არიან ისინი? - იყვირა მასტონმა.

საბრალო ნიკოლს, ბარბიკენს და არდანს ხმამაღლა ეძახდა, თითქოს ბედკრულ მეგობრებს წყლის გაუმტარ სისქეში გააგონებდა და ისინიც უპასუხებდნენ.

ძიება მანამდე გრძელდებოდა, სანამ კამერაში ჟანგბადი მთლიანად არ გამოილია. როდესაც სუნთქვა გაძნელდა, მყვითავები იძულებული გახდნენ, ზედაპირზე ამოსულიყვნენ.

ამოსვლა დაახლოებით საღამოს ექვს საათზე დაიწყეს, კორვეტის გემბანზე კი მხოლოდ შუაღამისას ამოვიდნენ.

-ხვალამდე! - თქვა მასტონმა, როგორც კი გემბანზე ფეხი დადგა.

- კარგი, ხვალამდე, - უპასუხა კაპიტანმა ბლომბსბერიმ.

- სხვაგან მოვძებნოთ.

- კარგი.

მასტონს წარმატებაში წინანდებურად ეჭვი არ ეპაერებოდა. მაგრამ როგორც კი აღფრთოვანებამ და ნაჩქარევმა იმედებმა გაიარა, მისი მეგობრები დაწყებული საქმის მთელ სიძნელეს მაშინვე მიხვდნენ. ის, რაც ასე ადვილი და შესაძლებელი ეგონათ სან-ფრანცისკოში, აქ, - გაშლილ ოკეანეში - თითქმის განუხორციელებელი აღმოჩნდა.

წარმატების შანსები ყოველ წუთს კლებულობდა და იძულებულები იყვნენ მხოლოდ ბრმა შემთხვევის ნება-სურვილს დაჰყოლოდნენ.

მეორე დღეს, 24 დეკემბერს მიუხედავად წინა დღის დაღლილობისა, ძიება განაახლეს. კორვეტმა რამდენიმე წუთით დასავლეთისკენ გადაინაცვლა და ჰაერით სავსე საჰერო კამერა მყვინთავებითურთ კვლავ ოკეანეში ჩაუშვა.

მთელი დღე ისევ უნაყოფო ძიებაში გავიდა. ზღვის ფსკერი უკაცრიელი იყო. ასევე გაიარა 25 და 26 დეკემბერმაც.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ უკვე ოცდაექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ყუმბარიის ბედკრული ტუსაღები დაპატიმრებული იყვნენ... თუ აქამდე არაფერი დაემართათ და დაცემის დროს საშინელ დარტყმას გაუძლეს, უჰაერობის პირველ

შეტევას იქნებ სწორედ ამ წუთებში განიცდიდნენ? ჰაერთან ერთად იქნებ მამაცობასა და სულიერ სიმტკიცესაც კარგავდნენ!

- ჰაერი შეიძლება არ ეყოთ, - მტკიცედ ამბობდა ამის პასუხად მასტონი, - მაგრამ მხნეობას არასოდეს დაკარგავენ?

28 დეკემბერს, ხელახალი ორდღიანი ძიების შემდეგ, მეგობრების გადარჩენის აღარავითარი იმედიაღრ ჰქონიათ. ოკეანის უსასრულო სივრცეში ყუმბარა ქვიშის უმნიშვნელო მარცვალს წარმოადგენდა. იძულებული იყვნენ უაზრო ძიებაზე უარი ეთქვათ.

მაგრამ მასტონს ამის გაგონებაც არ სურდა. იგი წინააღმდეგი იყო ადგილიდან დაძრულიყვნენ, ვიდრე მეგობრების საფლავებს მაინც არ მიაგნებდა. მაგრამ მიუხედავად "საზარბაზნე კლუბის" მდივნის პროტესტისა და ყვირილისა, კაპიტან ბლემბსბერის დაყოვნება უკვე აღარ შეეძლო და ბრძანა, წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

29 დეკემბერს დილის ცხრა საათზე "სუსკეჰანამ" კურსი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ აიღო და ისევ სან-ფრანცისკოს ყურისაკენ დაიძრა.

დილის 10 საათი იყო, კორვეტი ნელა შორდებოდა იქაურობას, თითქოს ნანობდა, რომ კატასტროფის ადგილს ტოვებდა. უცებ, მეზღვაურმა, რომელიც ბრამსტენგიდან ზღვას აკვირდებოდა, იყვირა:

- ტრავერსზე ტივტივას ქარი არხევს!

ყველა ოფიცერმა ჭოგრიტი მოიმარჯვა. მითითებულ ადგილზე ტივიტივას მსგავს საგანს დააკვირდნენ, რომელსაც ნავსადგურებში და მდინარეებზე ფარვატერის დასადგენად იყენებდნენ, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ წყალზე ხუთ-ექვსი ფუტით ამოშვერილ ტივტივას კონუსურ წვერზე ქარის მიმართულებით ალამი ფრიალებდა. ტივიტივა მზის სხივებში ისე ბზინავდა, თითქოს ვერცხლისაგან არის გამოდნობილიო.

კაპიტანი ბლემბსბერი, ჯ. ტ. მასტონი, "საზარბაზნე კლუბის" წევრები ბოგირზე ავიდნენ და ტალღებს მინდობილ უცნაურ საგანს მდუმარედ შეჰყურებდნენ.

თავშეკავებული ავადმყოფური მღელვარებით აღსავსე მზერა ყველას ტივტივასაკენ მიეპყრო. ვერავინ ბედავდა, ენის წვერზე მომდგარი ვარაუდი გამოეთქვა.

კორვეტი ორ კაბელტოვზე მიუახლოვდა ტივიტივას, მთელი ეკიპაჟი ერთიანა შეკრთა. ალამი ამერიკული იყო.

ამ დროს რაღაც უცნაური ღრიალი მოისმა და პატივცემული მასტონი გემბანზე მოცელილივით დაეცა. მას აღარ ახსოვდა, რომ მარჯვენა ხელის მაგივრობას რკინის კაუჭი უწევდა, ხოლო თავზე გუტაპერჩის თხელი ქუდი ეხურა და კაუჭი თავზე მთელი ძალით შემოირტყა.

ყველანი მისცვივდნენ, წამოაყენეს, მოასულიერეს.

- ოჰ! სამგზის ჩერჩეტებო! ოთხგზის იდიოტებო! ხუთგზის ბრიყვებო! - ყვიროდა გონებაზე ძლივს მოსული.

- რა? ვინ? რატომ? - ეკითხებოდნენ ყოველი მხრიდან. - რა მოხდა?

- როგორ თუ რა მოხდა?

- ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, რაშია საქმე?

- უტვინოები, საქმე ისაა, რომ ყუმბარა სულ ცხრამეტი ათას ორმოცდაათ გირვანქას იწონის! - იღრიალა "საზარბაზნე კლუბის" ფიცხმა მდივანმა.

- მერა რა?

- მერე ის, რომ იგი აძევებს ოცდარვა ტონა, ანუ ოცდათექვსმეტი ათას გირფვანქა წყალს, და, მაშასადამე, ზედაპირზე უნდა ამოტივტივებულიყო.

ძნელი გადმოსაცემია, თუ რა შეუდარებელი კილოთი წარმოთქვა პატივცემუულმა მდივანმა ეს სიტყვა "ამოტივტივებულიყო"!

მატონი მართალი იყო.

ყველას, დიახ, ყველა მეცნიერს დაავიწყდა ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც ოკეანეში ჩამოვარდნის შემდეგ ყუმბარა თავისი წონის გამო უსათუოდ მალე უნდა ამოტივტივებულიყო ზედაპირზე! და აი, ახლა, ყუმბარა ზღვის ტალღებზე მშვიდად ირწეოდა.

კარჭაპები მაშინვე ზღვაში ჩაუშვეს; ერთ-ერთში მასტონი და მისი მეგობრები ჩაცვივდნენ. მღელვარება უსაზღვრო იყო, როცა კარჭაპები ყუმბარას მიუახლოვდნენ, კინაღამ გული გაუსკდათ. რა ბედი ეწიათ ყუმბარის მგზავრებს! ცოცხლები არიან თუ დაიხოცნენ? რასაკვირველია, ცოცლხები არიან, თუკი ალმის აღმართვის შედმეგ ბარბიკენსა და მის მეგობრებს სიკვდილმა არ უწიათ!

კარჭაპზე სიჩუმე სუფევდა. გულისცემა შეუჩერდათ. თვალთ დაუბნელდათ.

ყუმბარის ერთი ფანჯარა ღია იყო. ჩარჩოში მინების ნამტვრევები ამოშვერილიყო, ესე იგი ჩამსხვრეულა. ეს ფანჯარა ახლა წყლის ზედაპირიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე იყო.

კარჭაპი, რომელშიც მასტონი იჯდა, ყუმბარას მიადგა. მასტონი გატეხილი ფანჯრისაკენ გადაქანდა.

ამ დროს არდანის მხიარული და წკრიალა ხმა მოისმა. იგი გამრჯვებული ადამიანის ხმით ამბობდა:

- სიცარიელეა, ბარბიკენ, ყოველი მხრიდან - სიცარიელე!

ბარბიკენი, მიშელ არდანი და ნიკოლი დომინოს თამაშობდნენ.

ოცდამესამე თავი

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მკითხველს ახსოვს, ჩვენი მგზავრები ყველამ როგორ მღელვარებითა და თანაგრძნობით გააცილა. თუ გაბედული საქმის დაწყებამ ახალი და ძველი სამყარო ააღელვა, რა ენთუზიაზმით შეხვდებოდნენ ორივე ნახევრსფეროს მცხოვრებნი მათ დედამიწაზე დაბრუნებას?! ფლორიდის ნახევარკუნძულზე მილიონობით ჩამოსული ხალხის სურვილი იყო, შეხვედროდნენ სახელოვან მკვლევარებს. ამერიკის სანაპიროზე მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან უცხოელთაგან შეერთებული შტატებიდან წასვლს ისე არავინ ფიქრობდა, რომ ბარბიკენი, ნიკოლი და მიშელ არდანი არ ენახა. რა თქმა უნდა, ხალხის ეს ძლიერი სურვილი კეთილშობილური გმირობის ღირსეულ გამოძახილს წარმოადგენდა. სამყაროს სივრცეებში უჩვეულო მოგზაურობდიან დაბრუნებულ ადამიანთა მოდგმის სამ წარმომადგენელს, რომელთაც დედამიწა მიატოვეს, ისეთივე აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, როგორც ზეციდან დედამიწაზე ეტლით ჩამოსულ ილია წინასწარმეტყველს. ოღონდ ისინი დაენახათ, ოღონდ მათი ხმა გაეგონათ - ყველას ეს უნდოდა.

შეერთებული შტატების მოქალაქეთა ეს საყოველთაო სურვილი აუცილებლად და რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაეკმაყოფილებინათ.

ბარბიკენი, არდანი და ნიკოლი მეგობრების თანხლებით დაუყოვნებლივ ბალტიმორში გაემგზავრნენ, სადაც ენით უთქმელი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ბარბიკენის მოგზაურის ჩანაწერები უმალ დასაბეჭდად მოამზადეს. "ნიუ-იორკ ჰერალდმა" ეს ხელნაწერები მაშინვე ჯერ კიდევ დაუდგენელ, მაგრამ ნამდვილად საარაკო ფასად შეისყიდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე გაზეთის ფურცლებზე "მოგზაურობა მთვარეზე" იბეჭდებოდა. მისმა ტირაჟმა ხუთ მილიონ ეგზემპლარს მიაღწია. მოგზაურების დედამიწაზე დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ, მათი მოგზაურობის სულ პატრა წვრილმანიც კი მთელმა სამყარომ იცოდა. ახლა ხალხს ზეადამიანური გმირობის ჩამდენი სამი წარმომადგენლის ნახვა სწყუროდა.

ბარბიკენისა და მისი მეგობრების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით შეასძლებელი გახდა დედამიწის თანამგზავრებთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიების შემოწმება. ეს მეცნიერები ხომ ყველაფერს de visu1 და სრულიად განსაკუთრებულ პირობებში აკვირდებოდნენ. ახლა უკვე საბოლოოდ ნათელი გახდა, რომელი ჰიპოთეზა უკუეგდოთ მთვარის აგებულების, წარმოშობისა და დასახლების შესახებ და რომნელი არა; მოგზაუროებმა მთვარის წარსულის, აწყმოსა და მომავლის უკანასკნელი საიდუმლოებანი ამოხსნეს. ძნელი იყო დავა მკვლევარებთან, რომლებმაც მთვარის დიკსოს ყველაზე განსაცვიფრებელი ოროგრაფიული მოვლენა - ტიხოს მთა ორმოცი კილომეტრის სიახლოვეზე ნახეს; ძნელია კამათი მეცნიერებთან, რომელთა მზერა პლატონის ცირკის ნაპირებს მისწვდა.. რა დაუპირისპირდებოდა სამი მამაცის ჩვენებებს, რომლებმაც მოგზაურობის შემთხვევითობის წყალობით, ადამიანის თვალისათვის აქამდე მიუწვდომელ მთვარის დისკოს უხილავ ნახევარსფეროს გადაუფრინეს? ახლა მათ უფლება ჰქონდათ, მთვარის სამყაროს აღმდგენი მეცნიერებისათვის ეკრნახათ კანონები ისევე, როგორც თავის დროზე კიუვიე ნამარხი ცხოველების ჩონჩხებს აღადგენდა. მათ შეეძლოთ ეთქვათ: მთვარე ასეთი იყო და ასეთი - იგი მანამდე იყო დასახლებული, სანამ დედამიწაზე სიცოცხლე გაჩნდებოდა! ახლა მთვარე სიცოცხლისათვის გამოუსადეგარ სამყაროს წარმოადგენს და ამიტომ დაუსახლებელიაო.

"საზარბაზნე კლუბმა" მოისურვა თავისი სახელგანთქმული წევრისა და მისი მეგობრების დაბრუნება აღენიშნა და ნადიმის გამართვა გადაწყვიტა, მაგრამ ეს

ნადიმი გაბედული მკვლევარებისათვისაც და ამერიკელი ხალხისათვისაც

1 თვალნათლივ (ლათ.)

ღირსეულად უნდა ჩატარებულიყო და ყველა ამერიკელს მონაწილეობა უნდა მიეღო.

ამერიკის რკინიგზების ძირითადი ხაზი რელსებით ერთმანეთს დაუკავშირეს. რკინიგზის ყველა სადგურზე ერთნაირი ალმები გამოკიდეს, ერთნაირი სერვიზით ერთნაირი სანადიმო მაგიდები გააწყვეს. წამებით ზუსტად გამოთვლილ დროს ელექტროსაათმა ერთდროულად ამერიკის ყველა კუთხეში მთელი მოსახლეობა არნახულ ნადიმის მაგიდებთან მიიწვია. ოთხი დღის განმავლობაში 5-დან 9 იანვრამდე რკინიგზის მოძრაობა ყველგან შეჩერდა, როგორც ეს შეერთებულ შტატებში კვირაობით ხდება ხოლმე და ყველა გზა თავისუფალი აღმოჩნდა.

ოთხი დღის მანძილზე საპატიო ვაგონმობმული ერთადერთი ორთქმავალი შეერთებული შტატების რკინიგზებზე არაჩვეულებრივი სიჩქარით დაჰქროდა.

მემანქანისა და ცეცხლფარეშის გარდა, ამ ორთქლმავალზე განსაკუთრებული გამონაკლისის სახით "საზარბაზნე კლუბის" პატივცემული მდივანი ჯ. ტ. მასტონიც მიიწვიეს.

საპატიო ვაგონი "საზარბაზნე კლუბის" პრეზიდენტის ბარბიკენს, კაპიტან ნიკოლს და მიშელ არდანს ეკუთვნოდა.

მემანქანის სასტვენზე მატარებელი ბალტიმორის ვაგზლიდან დაიძრადა ყურისწამღები "ვაშა" და აღფრთოვანებული ამერიკელების ყველანაირი შორისდებული გაიყოლა. მატარებელი საათში ოთხმოცი ლიეს სიჩქარით მიჰქროდა. მაგრამ რა იყო იგი კოლუმბიადიდან ჩვენი გმირების გაფრენის სიჩქარესთან შედარებით?

ზეიმის გმირები ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ და გზაზე სანადიმო სუფრებთან ხვდებოდნენ მთელ მოსახლეობას, რომელიც აღტაცებული ყიჟინით ესალმებოდა. ამრიგად, პენსილვანიის, კონკეტიკუტის, მასაჩუსეტსის, ვერმონტის, მენისა და ნიუ-ბრანსუიკის გავლით მათ აღმოსავლეთ შტატებში გაისეირნეს. ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ გადაკვეთეს ნიუ-იორკის, ოჰაიოს, მიჩიგანის და ვისკონსის შტატები; სამხრეთში ჩაუქროლეს ილინოისს, მისურის, არკანზასს, ტეხასს და ლუიზიანას; სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჭრეს ალაბამის და ფლირიდის, ჯორჯიისა და ორივე კაროლინის შტატები; მოინახულეს ტენესის, კენტუკის, ვირჯინიის, ინდიანას ცენტრები და ბოლოს, ვაშინგტონის გავლით ბალტიმორში დაბრუნდნენ.

ჩვენს მეგობრებს ისე ეჩვენებოდათ, თითქოს ოთხი დღის განმავლობაში უზარმაზარი სანადიმო სუფრასთან მჯდომი მთელი ამერიკა ერთდრულად მძლავრი '"ვაშას" შეძახილით ესალმებოდა. გმირებისათვის ღირსეული აპოთეზა იყო. მათ რომ უძველეს დროში ეცხოვრათ, მითები უეჭველად ნახევარღმერთებად მიიჩნევდნენ.

რა პრაქტიკული შედეგი გამოიღო მთვარეზე ამ მოგზაურობა, რომელიც კაცობრიობის მატიანეში უკვდავყოფილ არც ერთ მოგზაურობას არ ჰგავდა? ხომ არ შეიძლება ოდესმე მთვარესთან უშუალო კავშირის დამყარება? დაწესდება განსაკუთრებული საჰაერო მიმოსვლა მზის სისტემაში? შესაძლებელი იქნება თუ არა პლანეტიდან პლანეტაზე, იუპიტერიდან მერკურზე, ხოლო ამის შედეგად ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე, მაგალითად პოლარული ვარსკვლავიდან სირიუსზე გადასვლა? ტრანსპორტის რა საშუალებით შესძლებენ ადამიანები, რომ მნათობებით მოჭედილი ცის თაღი მოინახულონ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ანგლო-საქსური რასის არაჩვეულებრივ გამჭრიახობას, გასაკვირიც აღარ იქნება ამერიკელების სწრაფვა, ბარბიკენის პირველი ცდიდან რაიმე ისარგებლონ.

გავიდა რამდენიმე ხანი მთვარიდან მოგზაურების დაბრუნების შემდეგ და გაჩნდა განცხადებები "ვარსკვლავების შორის მიმოსვლის ეროვნული საზოგადოების" შექმნის შესახებ, რომელსაც ასი მილიონი დოლარის კაპიტალი ჰქონდა და ასი ათას აქციას უშვებდა. საზოგადოების თავმჯდომარედ ბარბიკენი აირჩიეს, ვიცე-თავმჯდომარედ - კაპიტანი ნიკოლი, ადმინსტრაციული ნაწილის მდივნად - მასტონი, ხოლო მიმოსვლის სამსახურის დირექტორად - მიშელ არდანი.

შეერთებული შტატების მოსახლეობამ ამ წამოწყების განსაკუთრებული კეთილგანწყობით და ამავე დროს ამერიკელებისათვის დამახასიათებელი საქმიანი წინდახედულებით შეხვდა. გაკოტრების შემთხვევისათვის წინასწარ შექმნეს არბიტრაჟთა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მოსამართლე -კომისარი ჰარი ტროლოპომი, მისი თანაშემწე კი მეწარმე ფრენსის დაიტონი იყო.

ბოლოსიტყვა

ძვრიფასო მკითხველო! აი შენ ეს-ესაა წაიკითხე ცნობილი ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის ორი მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანი - "დედამიწიდან მთვარემდე" და "მთვარის გარშემო". ეჭვი არ მეპარება, რომ შინაარსით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამ ნაწარმოებთა გაცნობამ დიდი სიამოვნება მოგანიჭა. მაგრამ, ამასთანავე ერთად, კოსმოსის ათვისების საქმეში დღევანდელი დიდი მიღწევებით "განებივრებულს" ხომ არ მოგეჩვენა, რომ ავტორს მეტად პრიმიტიულად აქვს აღწერილი თავისი საყვარელი გმირების - დაუდგრომელი ბარბიკენის, შეუპოვარი ნიკოლის და უშიშარი მიშელ არდანის გაფრენა მთვარეზე?

დიახ, ხლა ყველამ კარგად ვიცით, რომ საარტილერიო ჭურვით კოსმოსში გაფრენა შეუძლებელია და რომ ჟიულ ვერნის გმირები ვერ დაინახავდნენ მთვარის მთების მწვერვალებზე არარსებულ თოვლსა და მყინვარებს. რამდენიმე სხვა მეცნიერული შეცდომის დაშვებაშიც შეიძლება "ვამხილოთ" ავტორი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჟიულ ვერნის ეს ფანტასტიკური რომანები დაწერილია ას წელზე მეტი ხნის წინათ, თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, ჩვენ მხოლოდ დიდი განცვიფრება შეიძლება გამოხატოთ ავტორის ბევრი წინასწარმეტყველური მიხვედრის გამო.

ჟიულ ვერნი, უპირველეს ყოვლისა, იყო მწერალი - მხატვარი და არა მეცნიერი - წინასწარმეტყველი. ამიტომ მისთვის უმთავრესი იყო შეექმნა არა ზუსტი სახე მომავალი კოსმოსური ხომალდებისა, არამედ გადაეცა მკითხველისათვის თავისი ღრმა რწმენა, რომ ადამიანები უთუოდ გაიკვლევენ გზას კოსმოსისაკენ.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ კოსმონავტიკის ფუძემდებელს, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს კონსტანტინე ციოლკოვსკის არაერთხელ მიუთითებია ჟიულ ვერნის იდეების დიდ გავლენაზე მისი საკუთარი მეცნიერული იდეების დაბადებისას.

ახლა ჟიულ ვერნისა და კონსტანტინე ციოლკოვსკის ოცნება, 1957 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო კოსმოსური ერა. ამ დღეს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაშვებულ იქნა დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი. კოსმოსში ადამიანის გაფრენის პირველი დიდი ნაბიჯიც ჩვენს ქვეყანაში გადაიდგა. ეს იყო 1961 წლის 12 აპრილს. ამ დღეს დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე პირველად გაიჭრა საბჭოთა მოქალაქე იური გაგარინი.

ადამიანის კოსმოსური ფრენის მეორე დიდი ნაბიჯი გადაიდგა 1965 წლის 18 მარტს. ამ დღეს კოსმოსური ხომალდიდან ღია კოსმოსში გავიდა კვლავ საბჭოთა მოქალაქე ალექსი ლეონოვი. იგი 5 მეტრით დასცილდა ხომალდს და 12 წუთის განმავლობაში გარეთ იმყოფებოდა.

შემდგომი, მესამე დიდი ნაბიჯი ადამიანის კოსმოსში ფრენის საქმეში, გადაიდგა ამერიკელი ასტრონავტების მიერ. (ასე უწოდებენ კოსმონავტები ამერიკაში და სხვა ქვეყანაში) 1969 წლის 21 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ორი მოქალაქე ნეილ არმსტრონგი და ედვინ ოლდრინი პირველად გადასხდნენ სხვა ციურ სხეულზე - დედამიწის თანამგზავრ მთვარეზე. მთვარის ზედაპირს რომ პირველად შეახო ფეხი

ასტრონავტმა არმსტრონგმა, წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: "ერთი ადამიანის ეს პატარა ნაბიჯი ნიშნავს კაცობრიობის დიდ ნახტომს" .

ბუნებრივია, დაგებადოს კითხვა: როდის გადადგამს კაცობრიობა შემდგომ დიდ ნაბიჯს კოსმოსში, როდის მიაღწევს ადამიანი მზის სისტემის სხვა რომელიმე პლანეტას?

მთვარემდე ადამიანის მიღწევა საზღვარი არაა. კოსმოსის ათვისების საქმესი დღეს უაღრესად დიდ როლს ასრულებს საბჭოთა და ამერიკული ავტომატური ხომალდები. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან ჩვენი მშობლიური პლანეტის შესწავლას უკვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. თანამგზავრებიდან დაკვირვების შედეგების წარმატებით გამოიყენება სახალხო მეურნეობაში: სასარგებლო წიაღისეულთა ძიებისა და თევზჭერის საქმესი, სოფლის და სატყეო მეურნეობი ბევრ დარგში.

თავისი განვითარებისა და სრულყოფის საუკეთესო საშუალება მიიღეს ისეთმა მეცნიერებებმა როგორიცაა: ასტრონომია, ასტროფიზიკა, გეოლოგია, გეოფიზიკა, ბიოლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგია და სხვა. ავტომატური კოსმოსური ხომალდები უკვე ესტუმრნენ პლანეტებს: ვენერას, მარსს, მერკურის და იუპიეტრს. გადაიღეს ამ ციური სხეულების ფოტოსურათები, გაზომეს მათი ზედაპირებისა და ატმოსფეროების მთელი რიგი ფიზიკური და ქიმიური პარამეტრები, ხოლო დაკვირვების შედეგები გადმოსცეს დედამიწაზე. ავტომატურმა ხომალდებმა და ასტრონავტებმა დედამიწაზე ჩამოიტანეს მთვარის ქანები. უახლოეს წლებში ალბათ პლანეტების ატმოსფეროების ნივთიერბისა და ზედაპირის გრუნტსაც ჩამოვიტანთ, რაც საბოლოოდ გადაწყვეტს მეცნიერებისათვის დიდად საინტერესო საკითხს: არის თუ არა სიცოცხლე დედამიწის გარდა მზის სისტემის რომელიმე სხვა სხეულზე?

მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას: როდის მიაღწევს ადამიანი სხვა პლანეტებამდე? მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს თუ გავითვალისწინებთ, ამ კითხვაზე ასე უნდა ვუპასუხოთ: პირველი პლანეტა, რომელსაც ეწვევა ადამიანი, იქნება მ ა რ ს ი. ეს მოხდება უახლოეს ორ ათეულ წელიწადში.

ნუთუ ასე გვიან? რატომ? მთვარემდე ხომ უკვე რამდენიმე წლის წინათ მიაღწია ადამიანმა? - შეიძლება შეგვეკითხოს ზოგიერთი "გულგატეხილი" მკითხველი.

უნდა ითქვას, რომ პლანეტებისაკენ კოსმოსური ხომალდების გაშვების სიზუსტე ამჟამად ისეთი მაღალია, ყველასათვის კარგად ცნობილი ბარონ მიუნჰაუზენის მსახურსაც კი შეშურდებოდა (იმ მსახურს, თვითონ ბარონისათვის სრულიად უხილავ სამრეკლოს სახურავზე მჯდომ ბეღურას რომ ტყვია მოარტყა თვალში). მაგრამ საქმე ისაა, რომ დედამიწიდან მთვარემდე საშუალო მანძილი ეტოლება მხოლოდ 384 400 კილომეტრს (ხომალდები ამ მანძილს სამ-ოთხ დღეში ფარავენ). იმ დროს, როცა დედამიწიდან მარსამდე უმოკლესი მანძილი არასოდეს არაა 55 მილიონ კილომეტრზე ნაკლები. ასეთი დიდი მანძილის გადალახვას, ცხადია, დროც დიდი სჭირდება (დაახლოებით ექვსი თვე). ეს კი, თავის მხრივ, კოსმონავტებისა საარსებო საშუალებათა გაზრდის აუცილებლობის გამო, იწვევს ხომალდის წონისა და მოცულობის, მაშასადამე მისი ტექნიკური აღჭურვილბის დონისა და ღირებულების მკვეთრ გაზრდას.

აქედან სხვა დასკვნაც გამოდის: პლანეტებისაკენ გაშვებული პილოტირებული ხომალდების ღირებულება იმდენად დიდი იქნება, რომ ერთი რომელიმე სახელმწიფოს მიერ ამ ღონისძიების დაფინანსება ალბათ შეუძლებელი გახდება. აი,

კიდევ რატომაა კარგი ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება და სხვადასხვა სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობა კოსმოსის ათვისების საქმეში!

პიველი საძირკველი ამ მხრივ უკვე ჩაყრილია. 1975 წლის ივლისში დიდი წარმატებით შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი პროგრამა "სოიუზ-აპოლონის" საერთაშორისო ორბიტული სადგურის შექმნის შესახებ. საბჭოთა კოსმონავტებმა ალექსი ლევონოვმა და ვალერი კუბასოვმა ამერიკელ ასტრონავტებთან თომას სტაფორდთან, ვენს ბრანდთან და დონალდ სლეიტონთან ერთად ჩაატარეს დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები. ერთობლივი მოღვაწეობის პროცესში მათ დიდი სიზუსტით შეასრულეს დაგეგმილი სამეცნიერო ექსპერიმენტები და ოთხჯერ განახორციელეს კოსმონავტთა ურთიერთ გადასვლა ერთი ხომალდიდან მეორეში.

"განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებით გამოიცადა ხომალდების შეპირპისპრება ეგრეთ წოდებული ანდროგინული სისტემა. ასეთი სისტემა უთუოდ დიდ გამოყენებას პოვებს შემდგომში კოსმოსის ათვისების საქმეში, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა, ავარიული სიტუაციის შემთხვევაში ერთმანეთს შეუპირისპირდნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა კოსმოსური ხომალდები, რათა კოსმონავტებმა და ასტრონომებმა იხსნან ერთმანეთი გასაჭირიდან.

კოსმოსის გამოკვლევა გრძელდება. საბჭოთა და ამერიკელმა სპეციალისტებმა ისწავლეს, როგორ უნდა გადაწყვიტონ ერთად რთული ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემები. შემდგომი ერთობლივი გაფრენები კოსმოსში, რაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, კვლავ არაერთხელ მოეწყობა, ხელს შეუწყობენ მეცნიერების განვითარებას, მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას და კაცობრიობის საერთო პროგრესს.

ვიქტორ ჯფიაშვილი.

4Love.Ge